1980

ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

64

11

1980

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 11 ნოემბერი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 3
ფრიდონ ხალვაში — მომიკლეს ძმა (ლექსი). . . . . . . . . . . 7
ნელი თარბა — საუბარი დედამიწასთან. ლექსი. თარგმნა **ბ. ხარანაულმა** . . . . 9
გურამ გეგეშიძე — ხმა მღაღადებლისა. რომანი გაგრძელება. . . . . . . 11
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები . . . . . . . . 33
აკაკი ჯორჯაძე — დაუმთავრებელი მოთხრობა . . . . . . . . 38
ენვერ ნიჟარაძე — ლირიკული პოემა ციკლიდან „გზაჯვარედინები“ . . . . 53
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . 61
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . . . . . . . . . 82
სილოვან ნარიმანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 86
მზია ხეთაგური — კარნავალი. ლექსი . . . . . . . . . . . 89
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . . 95
თენგიზ გოგოლაძე — ცისფერი ცეცხლი. დოკუმენტური მოთხრობა . . . . 124

### სკკპ და საქართველოს კპ XXVI ყრილობების შესახვედრად

ირაკლი ხმალაძე — ქალაქი წალკოტი . . . . . . . . . . . 144

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლავროსი კალანდაძე — გზა და გზა . . . . . ; . . . . . 152
ალექსანდრე გეგაშვილი — წიგნი წინაპრებსა და თანამედროვეებზე . . . . 159
ალექსანდრე ღლონტი — ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან . . . . 164
გივი ვარდოსანიძე — სილამაზის ჯილდო . . . . . . . . 172

### პოლემიკა

თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე — კრიტიკის სიზუსტისათვის . . . . 179

### გამოსათხოვარი

გიორგი ნატროშვილი — იოსებ ნონეშვილი . . . . . . . . . 188
ვლადიმერ ჯიბუტი — სიცოცხლის მომღერალი . . . . . . . . . 191
ელგუჯა მაღრაძე — ალიო ადამია . . . . . . . . . 192

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, თ. ბიბიხეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 26/IX-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-80 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X$108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.
უე 08651. ტირაჟი 19.350. შეკ. 2607
ნაბეჭდი ფურცელი 13. საალრ-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# სვანური რვეული

## ვდუმდე, არ შემიძლია

აი ისიც —
სვანეთი —
ღმერთების სავანეთი.

ავივაკე ხაიში,
ვჭვრეტ ენგურის სათავეს
და დავყნოსე ცა ისე,
თითქოს უკვე ცად აველ.

გულში ჩიტად ჩავისვი
ლურჯი ცის სისადავე,
ენგურივით ავიშვი
უცებ ყველა სადავე.

მწვერვალთ თეთრი ჩაჩქნები,
მთები ქოჩრიანები,
ფიცხნი როგორც ჩანჩქრები,
დინჯნი როგორც სვანები.

აი უშბა — სვანივით
ერთფუძე და ერთჭერი,
აი მზით გაბანილი
ვაზიანი ლენჯერი.

წყარო ჩქერებმდუღარი,
კოშკმაღალი ლატალი,
კაცი — მისი დუღაბი,
ღმერთი — მისი მხატვარი.

ავამღერე მე სტვირი,
შიგ ჩავბერე მთის ქარი,
და გამოჩნდა მესტიის
საოცნებო ჭიშკარიც.

გადაბმულნი გულს გულის
უწმინდესი ძაფებით
უმაღლესი უშგულით
მზისკენ გავესწრაფებით.

ვდუმდე ვით შემიძლია,
გულზე ცეცხლი წამენთო,
შენთვის,
შენთვის მიძღვნია
ეს სიმღერა, სვანეთო!

## და ზღაპარში გავიღვიძე

მე ზღაპარში გავიღვიძე! —
ბინდი გულშიც გაიფანტა,
უცებ ვახტანგ გურგენიძე
მეტყვის — ძველი ძმაი სვანთა:

-- ადექ, უკვე ღამის ნისლი
მზის სხივებით დაიშანთა.
ვით ცინცხალი სხივი მზისა,
კართან სხვანი დაი ჩანდა.

— ეს რა კარგი დილა დგება,
მზემ გაფანტა წყვდიადიო, —
აივანზე ცქრიალებდა,
წკრიალებდა მზია დივო*.

სტუმრად ვყავართ გასვიანებს
(სასტუმროდან გაგვიტაცეს),
კერის სითბოს გვაზიარეს
ვით საკუთარ სახლიკაცებს.

— ნუმც მოგაკლდეთ სითბო გულის,
დაო ქუქუნ,
ძმაო შამილ,
ვით თქვენს ჰერქვეშ,
სიყვარული
ყველგან ჩქეფდეს წყაროსავით!

...მე კიდევ ერთ დიდ დღეს ვიძენ,
გმადლობ, ძმაო გურგენიძევ!

ამ დღის მოსვლა,
დავიფიცე,
ივრისთვისაც მიმელოცა...
მესტიაში გავიღვიძე:
მთები ჰქუხან ლილეოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე მესმის სუნთქვა შენი მულახის

რევაზ მარგიანს

თავს მშვენიერი თეთნულდი დამცქერს,
შიგ სულში მაღვრის სინათლის ჩანჩქერს,
თეთრი სვანური ქუდი თუ ჰხურავს
თეთნულდს,
ღრუბლი წვება შხარაზე
ჩქარა, სიმღერის კარი ჩარაზე —
იმ შავ ღრუბელზე დგას თიკანაძე
გურამ —
ტკივილი აყვირებული,
ჩემგან ულექსოდ დატირებული...
სად არ შეხვდება თურმე კაცი კაცს...
და დედამიწის მთათა კლასიკა
სვანეთი
თავის უკვდავ ლილეთი
მამულს მაყვარებს უფრო ძალუმად,
დიდი სიმაღლის მავსებს იმედით,
და სიყვარულის მაქცევს სამუმად.
ენგურისაკენ გარბის მულხურა,
დღემდე რომ არსად არ ჩამუხლულა.
ენგურს ჰესისკენ მიჰყავს მულხურა,
ბარს რომ გასტყორცნოს მზის ყვავილებად,
აქციოს ჩარხთა გვირგვინვა-გრუხუნად,
მოტორთა სუნთქვად, ცის ყვავილებად.
ტატნობზე ტანი დაჰიმულა ხის, —
სვეტი მგონია, ცისთვის შედგმული.
მე მესმის სუნთქვა შენი მულახის,
მკერდზე გრილ შხეფებს მაყრის ენგური.

* დივო — სვანურად გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთების კალთაზე უცხო ფრინველად
ვინ დააფრინა და თქვა მუღახად...
ცათა სარკმლიდან ქვეყნის მზირველი
ხალხს ამირანის ცეცხლს რომ უნახავს...
ცხელი ივლისის მზეში რიალობს
თეთრ-მწვანე მთათა უცხო მხატვრობა.
წელგამართულმა ვით არ იარო
ამ მთებისა და წყლების პატრონმა!

## კოშკის ძირთან მიდგმულ სახლში

დღეს იფარის კოშკი მექცა
მაღალ პიედესტალად,
ვინ მოხატა ასე ეგ ცა,
ვინ მოგნათლა ნესტანად...
ვარ რომელი ტარიელი,
ვეფხვთან რამ შემაჰიდოს...
ჰკიდებს ღამე მთვარიანი
ცას ვარსკვლავთა აკიდოს.
ამ ცის სუნთქვა მაცახცახებს,
ხელს თვალებზე ვიფარებ.
უცებ:
— ჩამო!—
ამომძახებს
ღამის მთელი იფარი.
(მთელი მეთქი, თორემ აქ სულ
ნახავთ კომლს ათიოდეს —
მიწის ღიმილს ცას რომ აქსოვს
სულ მზის გულზე ღვიოდეს!)
— ჩამო, ჩვენი სუფრაც ნახე,
დაილოცე რახითა,
ნახე, კერა აგვიგია
რა ქვითა და რა ხითა.
კარი ფართოდ გაგვიღია —
ღმერთად გვიზის სტუმარი,
ფერხთით ნოხი გაგვიგია,
პურს მოვაკლებთ თუ მარილს.
კოშკის ძირთან მიდგმულ სახლში
დგას ვეება მაგიდა,
სავსე სუფრას სარდლობს მახვში,
ოქრო სცვივა ბაგიდან.
სიტყვა მჭრელობს,
გული ქველობს,
თვალი დიდ შუქს უყურებს
და სრულიად საქართველოს
სადღეგრძელოს ვგუგუნებთ.
...როს სარკმელთან შერძევებულ
ღამემ მიწა მონამა,
სვანეთიდან დღეგრძელებულ
საქართველოს მონამა
წამოვიწყე ეს სიმღერა,
ხვალ რომ ქალალდს გავანდო,
გულზე ცეცხლი დამეძგერა
კოცონივით ამანთო.
მითხრა:
— მთელი გულით წერე
სასვანეთო რვეული,
თვინიერად აამღერე
სტრიქონი ჭირვეული.
ვიდრე გზა წინ გაგიძღვება,
აქვე
აქე იფარი!
...განთიადის მკლავზე წვება
ღამე ნაქეიფარი.

## ოტია მარგველანის ოჯახში

სუფრა გაუშლია ლამარიას —
ოტია მარგველანის ოჯახობას.
რახში ღვინის ფერი რამ არია —
ყანწს ბაგე
მზის ჩარხზე მოსჩარხვოდა.
ოტიას ოჯახი ვადღეგრძელეთ
და ამოუდგა ცოლშვილიც მხარში,
მხარმარცხნივ ჩამწკრივდა მასპინძლის
ლამაზი მეუღლე
და ხუთი ბავშვი.

ხუთი თითიტოლა ბავშვია, უფროსი
ქამრამდე ძლივს სწვდება ოტიას,
გოგოთა ასეთი სიმრავლე უფრო კი
ბიჭის მოლოდინსა სცოდნია.

ამ ლამაზ მიწაზე დღეგრძელობდეთ,
ოტია,
გამრავლდით როგორც ნაწვიმარზე
სოკოები,
შავტუხა ბიჭებიც შეგძენოდეთ, ოტია,
ბედნივრად დაგზრდოდნენ გოგოები!

## სვანებო

ნაღდო ქართველებო,
ძვირფასო სვანებო,
თქვენ, ჯაჭვლიანებო,
თქვენ, მარგველანებო,
თქვენთან ვარ,
თქვენი ვარ,
ჩემნი ხართ ყველანი,
ერთნი ვართ,
ერთია ქვეყნად საქართველო!
...ალისფერ ჩინჩხლს ჰყრიდა
ბოთლში საფერავი,
თქვენს შორის ვიდექი
ვით ვაზი სართველო.
მზისაკენ მიჰქროდა
ოცნების ქურანი,
და სხივთა ჩანჩქერი
მკერდზე მეფრქვეოდა.
იქნებ ვყოფილიყავ
უნდა ჯანგულანი,
იქნება მე უნდა
თემრაზი მრქმეოდა...
...ნულარც შეაშრება
კალმის წვერს მელანი, —
ეს ღამეც სიმღერით
უნდა გავათენო.
თქვენთან ვარ,
თქვენი ვარ,
ჩემნი ხართ ყველანი,
ერთნი ვართ,
ერთია ქვეყნად საქართველო.

## ბოლოთქმა

როგორ ვძლებდით აქამდის,
ნეტავ, უერთმანეთოდ..
მალე,
მალე ნახვამდის,
ჩემო ზემო სვანეთო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

## მომიკლეს ძმა

„მოჰკლეს ბურსაში ახმედ მელაშვილი..."
უცხოელი თანამემამულის დეპეშიდან

«Любая жизнь — собор»...
А. Вознесенский.

ლექსი ეძღვნება ანდრეი ვოზნესენსკის,
პოემა „ანდრეი პოლისადოვის" გამო.

მოჰკლეს ბურსაში
მელაშვილი ახმედი...
რა დროს
მომიკლეს ძმა და
მომაკვეთეს მარჯვენა, ანდრეი!
მოჰკლეს, მე ძლივს რომ ავდექ
ცრემლით პირდაბანილი.
ბევრმა ტკივილმა გამიარა,
ეს კი გამივლის?
შენ არ იცნობდი,
ის სხვა იყო,
არ ჰგავდა ყველას,
სადაც აკრძალეს საქართველო
იქ იქართველა.
წიგნებს ვფუთავდი გასაგზავნად
და თვალწინ მედო
ბარათი მისი, —
შიგ კვნესოდა სამემლექეთო.
ოშკი, ხახული,
ბანა, ტაო, სად ინაცრება,
იქ მან მამულის სიყვარული
აგო ტაძრებად.
იქ ცივი ფერფლიც
სულის ბერვით გამოაღვიძა.
ე, მაგას დასტურ შეეძლო, რომ
ეთქვა: კაცი ვარ.

ვაუს ივერია რომ დაარქვა
და ქალს — თამარი,
ეს კიდევ როდი არის მთავარი.
შეეძლო ასჯერ ნეტარებით ყოფნა,
ვიცოდით,
მაგრამ ცოცხალი
ბეწვს ეკიდა მთელი სიცოცხლით.
მარტო იმიტომ, რომ
უცხოდ ცნო მან უცხოობა,
მარტო იმიტომ,
რომ იწვოდა, როცა ილეწოდა,
რათა ძმებს დედო-მემლექეთი
არ დავიწყნოდათ.
მომიკლეს ძმა და
მომაკვეთეს მარჯვენი, ანდრო,
არ ვიცი გულს რად მოესურვა
დარდი შენ განდოს.
ალბათ ეს გული
სხვად არა გთვლის, —
ძველმა იარამ სულით სულში და
სისხლით სისხლში
ბევრი იარა.
შენ გიძებნია მისი ფესვი,
პოეტო სლავთა.

გზებში, ტაძრებში,
ფუძეებში და ქართულ ხმებში,
რომ გეგრძნო
შენი იჭვის, რწმენის
და ლექსის თესლში
საიდან ღვივის
ივერიის წინწკალი მართლა?
მომიკლეს ძმა და მეჩვენება სისხლში
დამბალი
სახე, ვით მწუხრზე
საქართველოს ტურფა მთა-ბარი,
სახე ნატანჯი,
ფერმიმქრალი,
დუმილის ენით
ესაუბრება ნატვრას, იმედს
ფოთოლდაცვენილს.
და აწევს ჩრდილი
ლურჯ ბაგეებს,
უსხივო გუგებს.
მომიკლეს ძმა და
სიხარული გადამიბუგეს.
მინდა იცოდე, პოეზიავ, —
ბედისტრიალო,
ჩემო ქართულო საისლამოვ,
საქრისტიანოვ,
რომ ღმერთის რწმენა
ჩემთვის არის იმ ენის რწმენა,
სულ ერთი სიტყვით
გულის ტკენის რომ ძალუძს რჩენა.

ამ რწმენისათვის
დაიხარჯა ახმედ-ბურსელი,
ჭრილობა ღია დარჩა,
საქმე კი — გაუხსნელი.
თუმცა რად მინდა, —
რა მტრის დასჯა ანაზღაურებს
იმ კოხტასთავებს,
ხიხანებსა და წიწამურებს?
გათავდა, მორჩა,
ერთი ცოტნეც მიწას მიბარდა,
უსამშობლოოდ ვინც სამშობლოს
ნამუსს ზიდავდა.
მომიკლეს ძმა და
მომაკვეთეს მარჯვენა რა დროს.
ბოროტო, განვედ,
გთხოვ, დარჩენილთ უშველო,
მადლო!

შენ არ იცნობდი,
ის სხვა იყო,
არ ჰგავდა ყველას,
სადაც აკრძალეს საქართველო,
იქ იქართველა.
პატარა ერებს გვეძახიან,
ხომ იცი, ანდრო,
ამას ხან ვდარდობთ,
ხანაც ამას სულაც
არ ვდარდობთ.
რა ვქნა თუ მცხეთა
მაღალ შუბლით
ცას მიწნულია?
რა ვქნა, ვით ტაძარს,
სიყვარულს თუ ჩვენში უვლიან?
სამშობლოს ტრფობა
ხომ მსოფლიოს სიყვარულია?

სექტემბერი, 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი თარბა

## საუბარი დედამიწასთან

ო, დედამიწავ, რამხელა ხარ,
რა ვეებერთელა,
ო, დედამიწავ,
რა კარგი ხარ და რა წარმტაცი!
— დიდი მიტომ ვარ, დაგიტიოთ შვილები ყველა,
ლამაზი მიტომ, რომ შვილები მყავდეთ მამაცი!
ო, დედამიწავ,
ყოვლისშემძლე ვით ხარ ამგვარი,
ო, დედამიწავ,
ვით ხარ ასე ყოვლის მომთმენი,
— მე თქვენთვისა ვარ ყოვლისშემძლეც,
მტკიცეც, მაგარიც,
სულმოკლეობა თუ არ დამცემს როდესმე თქვენი.
ხშირად დიდ საქმეს იქმთ,
კვალიც კი არ დაგაჩნდებათ,
მცირე კი დაგცემთ, მოგალორებთ,
გაქცევთ ლაჩრებად.
ო, დედამიწავ,
როგორ უძლებ ტკივილს ესოდენს,
რომ გმინვაც კი არ გაგვიგია შენი აროდეს,
— მიტომ, რომ შვილი ჩემი არ მსურს ტანჯვით
კვნესოდეს,
მიტომ რომ შვილი
ჩემი მინდა მუდამ ხარობდეს.
მაშინაც, როცა მოთმინება დამეწურება,
მაშინაც, როცა თქვენით თავი არ მეწონება,
მე მაინც ვდგები
და განვაგრძობ ჩემს მსახურებას,
განა გადაჰყრის დაღლის გამო მგზავრი ქონებას?!
ო, დედამიწავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ხარ ასე გაუმაძღარი,
შემოიჭირე მაგ მუცელზე აპეურები!
— ერთი დღის ძოვით დიდხანს გასწევს ულელში ხარი?
მე რომ მშიოდეს, თქვენ ვერაფრით დაგაპურებდით!
მაგრამ თქვენ თვითონ
რატომა ხართ გაუმაძღრები,
რომ დაუნდობლად თქვენზე მცირეს
თავს დააცხრებით.
ო, დედამიწავ,
რატომა ხარ ძლიერი ასე?
— ძალით ვძლიერობ,
მაგრამ შრომა ვინ დამიფასეთ!
ვინა სთქვით ერთხელ,
როს ვარამი მერგო მე ყველა,
კმარა, ეყოფა, დედამიწას უნდაო შველა!
ვის უნდა სწყინდეს
თუ არა თქვენ,
ჩემი ჭრილობა,
მრავალგზის ჩემზე ავბედითი ქარი დასძარით,
განა იმიტომ არის ხოლმე თქვენში ცილობა,
რომ მკერდს მიწვავდეს
ულმობელი ომის ხანძარი?
მაგრამ ჯანაბას,
როდი ვჩივი, რაც მითმენია,
რაც კი ჩემს მკერდზე
გითრევიათ ცხელი სახნისი,
თქვენია, გწამდეთ,
ეს სხეული,
მხოლოდ თქვენია,
გაიგეთ, მხოლოდ თქვენი არის
და არა სხვისი.
ო, დედამიწავ, ძველი ხარ და მარადიული,
შრომა ხარ წლების — მილიონის, განა დღიურის!
— მე რომ არ ვიყო ძველი, განა იარსებებდით,
მარადიული არის ჩემი ძირი, ფესვები.
მე თუ გადავრჩი,
თქვენც იქნებით გადარჩენილი,
ეს უნდა გწამდეთ,
უნდა გქონდეთ გულს დაჩენილი.
თუ დავიღუპე, ემსგავსებით
თქვენც სახლკარმოშლილს,
მე თქვენითა ვარ
თქვენ ხარ ჩემით — ამ სამყაროში.

თარგმნა **ბ. ხარანაულმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# ხმა მღაღადებლისა

რომანი

## ნაწილი პირველი

— უშველის ბატონო. მე გლახუნა არ ვიყო, თუ ჯამბაკური ფეხზე არ წამოვაყენო.

— შენი იმედი მაქვს! — გაისტუმრა ყაფლანმა გლახუნა და ცარიელი და ცივი დარბაზიდან თვითონაც თავის მყუდრო ოთახში გავიდა.

ეს ოთახი დარბაზისგან თელის მსხვილი ფიცრებით იყო გადატიხრული. აქაც ბუხარი გუზგუზებდა, გამჭვარტლულ კედლებზე გრძელი თაროები იყო მიმაგრებული, რომელზედაც სათუთად მოვლილი წიგნები ელაგა. ყაფლანი ფარდაგგადაფარებულ ტახტზე ჩამოჯდა და თაროებს გახედა. მას უყვარდა წიგნები. ასეული წლის წინანდელი ხელნაწერები, ვინმე განდეგილი ბერის მიერ სანთლის მკრთალ შუქზე, ბნელ სენაკში, წლების განმავლობაში გულმოდგინედ გადაწერილი, უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. მარტო მათი დანახვა, მათი შეხებაც კი საკმარისი იყო, რომ უცნაური სიხალისით ავსილიყო. წიგნების გარემოცვა მხნეობას ჰმატებდა, თითქოს წაუკითხავადაც გადმოდიოდა იმათგან რაღაც უხილავი სული, სიმშვიდესავით რომ იფინებოდა ირგვლივ. წუთისოფლის გასატანად ყაფლანს წიგნზე უკეთესი შემწე არ ეგულებოდა, ვინ იცის, იქნებ წიგნების სიყვარულიც სინამდვილიდან გაქცევის ერთგვარი ხერხია და იმიტომ? მაგრამ ყაფლანმა ისიც იცოდა, რომ უბედურებით აფორიაქებული და წონასწორობადაკარგული ადამიანი თუ არსაიდან მოელის ხსნას და იმედს, ვერც წიგნში პოულობს შვებას, და წიგნი მხოლოდ იმის ხვედრია, ვინც წერა-კითხვა იცის, ვისაც სათანადო ცოდნისა, უნარისა და ხალისის გარდა, მოცალეობაც გააჩნია. რასაკვირველია, ყველას არ მიუწვდებოდა წიგნზე ხელი და წიგნებში მოქცეული ჭეშმარიტება უმრავლესობისათვის სამუდამო საიდუმლოდ რჩებოდა, თუმცა ბევრი, რომელმაც იცოდა ამ ცხოვრების სიტკბო და სამსალა, უწიგნოდაც ხვდებოდა წიგნებში განცხადებულ ზოგიერთ სიმართლეს. მაგრამ ახლა, ტახტზე მჯდარი ყაფლანი ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს წიგნები უფრო ათბობდა ოთახს, ვიდრე ბუხ-

გაგრძელება იხ. „მნათობი", № 10.

რის ცეცხლი. მან სიამით შეავლო თვალი ხელნაწერ ბიბლიას, სახარებას; კარაბადინს და ეფრემგვერდს. იქვე იდო ვახტანგ მეფის დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, ბროსეს გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, თანამედროვე ჟურნალები, „ცისკრის“ ნომრები, „საქართველოს მოამბე“, გაზეთ „დროების“ კომპლექტები. ბოლოდროინდელ გამოცემებს დიდი ყურადღებით ეტანებოდა, ყოველი ახალი მწერლის სიტყვა აინტერესებდა, სურდა გაეგო, რას ფიქრობდა ახალი ხალხი, ასპარეზზე ახლად გამოსული, რადგან ხედავდა, რომ ისინი, ვისაც უკვე მოეხვეჭა ძალაუფლება და სიმდიდრე, ძირს უთხრიდა საკუთარ ერს, ჩინ-მენდლებზე ცვლიდნენ ეროვნულ სიამაყეს, რათა ქონება და სხვისგან მონიჭებული პატივი როგორმე შეენარჩუნებინათ. ვინც უფრო ამაღლებულიყო, მას უფრო დავიწყებოდა სამშობლო, და ასე, სულით დაგლახაკებულნი და მონურად ბედს შეგუებულნი უცხო ხელმწიფისაგან მოელოდნენ წყალობას. რაღა აზრი ჰქონდა ისეთ ყოფას, თუ დედაენას დაივიწყებდი, ხორცის გულისთვის სულს გაჰყიდდი და ღირსებაახდილი ცხოველივით იარსებებდი? ზოგს ისე დაჰკარგვოდა სიამაყე, რომ თავს იმართლებდნენ, მხოლოდ შეგუებით შეგვიძლია თავის გადარჩენაო, მაგრამ ეს რა გადარჩენა იყო? ასეთ მათხოვრულ არსებობას ვაჟკაცური დაღუპვა არა სჯობდა? მაშ, რატომ იყო ნათქვამი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო?“ — ყაფლანს ვერ ეგუებოდა იმ ამბავს, რომ ამ სიტყვების მთქმელი სხვა დროის შვილი იყო, ძლიერი და ამაყი, და რომ დღეს ნაძრახი სიცოცხლე არვის აკვირვებდა და აშფოთებდა, ნაძრახი სიცოცხლე არსებობის ფორმა გამხდარიყო. და ამ საერთო გადაგვარების შემყურე ზოგჯერ, საშინელი უნდობლობით იმსჭვალებოდა მთელი ერისადმი, რომელსაც არც ჰქონდა ერთიანი მიზანი, ყველა სხვადასხვა მხარეს იქაჩებოდა. ღირსი იყო ეს უდარდელი და დღევანდელი დღით კმაყოფილი ხალხი თავისუფლებისა?

ყაფლანი ტახტიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ღირსი იყო? მხოლოდ ღმერთმა უწყოდა, ღირსი იყო თუ არა! განუჭვრეტელ წყვდიადს ყველაფერი გაეერთიანებინა, კონტურები წაეშალა და ბნელ მთლიანობაში ქცეული კიდით კიდემდე განფენილიყო. სადღაც, იმ სიბნელეში, ძაღლის ყეფა ისმოდა. ყაფლანი შემობრუნდა და ბუხრის ცეცხლს მიაჩერდა. მჭმუნვარე ფიქრები მოსჯარვოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მომავლის იმედი მთლად გადაწურული ჰქონდა. არა! ბოლო ხანს, სულ უფრო მძლავრად ისმოდა ხმები ეროვნული თავმოყვარეობის აღორძინების მოქადაგე და ეს ხმები მალამოსავით ედებოდა გულზე ყაფლანს. სამშობლოს სიყვარული იყო მისთვის უმაღლესი ცნება. ახალი მწერლები, ახალი თაობის ადამიანები დიდ იმედებს უღვიძებდა და ქედს იხრიდა მათ წინაშე. განსაკუთრებით პატივისმცემელი იყო კახელი თავადიშვილის ილია ჭავჭავაძისა და ზემოიმერელი აკაკი წერეთლისა, რადგან ახლანდელ ვითარებაში მათი კალამი ხმალზე უფრო ბასრად ჭრიდა. ქვეყანას გამოღვიძება სჭირდებოდა, გამოფხიზლება და გამოცოცხლება. და ამისთვის ყაფლანს ერთადერთ გზად განათლება მიაჩნდა. ნასწავლი კაცი თავსაც გამოადგება და სხვასაცო და ცდილობდა თავისი შვილებისთვის ზრუნვა არ დაეკლო, ცოდნის გზაზე დაეყენებინა, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ჯამბაკურმა სწავლას გული ვერ დაუდო, მესამე კლასიდან მიატოვა გიმნაზია, წიგნს ქორ-მიმინო და თოფი ამჯობინა, თუმცა მისი პირველივე ნადირობა სისხლიანი მარცხით დამთავრდა. თითქოს იყო მიზეზი ნადირობა სამუდამოდ შესძულებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, იმ ცოდვამ ვერავითარი კვალი ვერ დატოვა ჯამბაკურის სულში. მაშინ კი მიხვდა ყაფლანი, რომ

ვითარებანი არსს ვერ ცვლიან, და რომ შვილების საქმეში ჩარევა არ იყო მართებული. რასაკვირველია, მშობელს შეუძლია გავლენა მოახდინოს შვილზე, იმოქმედოს მის ცხოვრებაზე, მაგრამ ყველაზე მეტად ადამიანზე მოქმედებს დროის სული, და არავის ძალუძს საკუთარი ნებასურვილისამებრ წარმართოს ვისიმე ბედ-იღბალი, რადგან ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს და მისდევს იმ ვარსკვლავს, და რაც კაცს უწერია, იმას წინ ვერ აღუდგები. რასაკვირველია, ყაფლანი ცდილობდა დახმარებოდა შვილებს, მხარში ამოდგომოდა, ერჩია და ესწავლა, მაგრამ... დაე, თვითონ აერჩიათ თავიანთი სავალი გზა, ვინაიდან ამ არჩევანშიც ბედისწერის ხელი ერია, და ყაფლანს მხოლოდ ეს ამოუხსნელი და გამოუცნობი ძალა სწამდა, ის მიაჩნდა ცხოვრების წარმმართველად. ამიტომ ზედმეტად არ შეშფოთებულა, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ, ვიღაც უცნობი ჭაბუკი ეწვია ეტლით და ყაფლანთან განმარტოებით საუბარი ითხოვა.

იმ საღამოს, ჩამავალი მზე ალუბლისფრად ფერავდა კავკასიონის თოვლიან გუმბათებს. ყაფლანს სტუმრები ჰყავდა: მეზობელი თავადი, ბოქაული, და სადგურის უფროსი ივანოვი, რომელიც ბოქაულმა მოიყვანა. აივანზე ისხდნენ, მაგიდაზე რუსული სამოვარი ედგათ და ჩაის შეექცეოდნენ. ივანოვი რკინიგზაზე ყვებოდა რაღაცას, ამბობდა, ინგლისის დედაქალაქში მატარებლები მიწის ქვეშ დადიანო. სწორედ ამ დროს, როცა ეს უცნაური ამბავი მოისმინეს, ჭიშკარს ეტლი მოადგა. შავჩოხიანი, შავგვრემანი კაცი ეტლიდან ჩამოვიდა და სასახლისკენ გამოსწია ყაფლანი სტუმართან გავიდა. არ ეცნო ეს მაღალი, ხმელი, ძლიერი ჭაბუკი. ხუჭუჭა თმა გვერდზე გადაევარცხნა, ულვაში და წვერი გრძლად მოეშვა, ხშირი, სქელი წარბები ჰქონდა, კეხიანი ცხვირი, ოდნავ ნაღვლიანი მზერა. ყაფლანმა სტუმარი თავის ოთახში გაიყვანა.

— ყაფლან ბატონო! მე ნესტორის მეგობარი გახლავართ, ოთარ ამილახვარი.

— ფრიად სასიამოვნოა! — ეამა ყაფლანს, — რა არის ყმაწვილო, მაგ კაცისგან ერთ ბარათს რომ ვერ ველირსეთ?

— ნესტორის დავალებით გეახელით, ინკოგნიტოდ ვარ ჩამოსული.

ამ უცნაური სიტყვის მნიშვნელობა განათლებულმა ყაფლანმა კი არ იცოდა და იფიქრა, ალბათ, ცხენის სახელი იქნებაო, თუმც ეს ყმაწვილი ცხენით კი არა, ეტლით მობრძანდა. ამის ფიქრში იყო და ამიტომ უყურადღებოდ დახედა ამილახვრის მიერ გამოწვდილ ხანჯალს. შეათვალიერა. მერე იცნო ზუგდიდელი ჯიქიას ნახელავი იარაღი. რომელიც სიმამრმა აჩუქა ქორწილის დღეს, ხოლო თვითონ ნესტორს გაატანა პეტერბურგში. ძვირფასი საქონელი იყო, ზურმუხტებით მოჭედელი, მოვარაყებული. ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და ამილახვარს სახეში შეხედა.

— გისმენთ, ბატონო!

— უნდა მაპატიოთ, ვერ ვარ კარგი ამბის მაცნე. ნესტორი ფულს გთხოვთ, ყაფლან ბატონო, ფრანგის ქვეყანაში აპირებს გაპარვას.

— გასაპარავი რა სჭირს?

— კანონგარეშეა გამოცხადებული. თუ დაიჭირეს, კატორღა არ ასცდება. ახლა გაქცეულია და ოდესაში იმალება.

— რა მოხდა მაგის ფასი?

— მკვლელობა!

— აჰ, რას ბრძანებთ, ყმაწვილო?

...და ფრაკში გამოწყობილი მეტრდოტელი ნელა მიაუხლოვდა კედელთან მიმდგარ მაგიდას, რომელსაც ქართულ ჩოხებში გამოწყობილი თავადიშვილები ოთარ ამილახვარი და ნესტორ ვარდანიძე უხსდნენ. სადგურის რესტორანი შესანიშნავად მორთულმოკაზმული საზოგადოებით იყო სავსე. მგზავრები პეტერბურგიდან პავლოვსკისკენ მიმავალ მატარებელს ელოდნენ.

— უკაცრავად, ბატონებო, იძულებული ვარ გადმოგცეთ ბატონი ოფიცრე-

ბის თხოვნა, — თავაზიანად თქვა მეტრდოტელმა და მეზობელი მაგიდისკენ გაიხედა, რომელსაც შეზარხოშებული ჟანდარმთა ოფიცრები შემოსხდომოდნენ. ოთარ ამილახვარმაც გააპარა თვალი იქეთ. ოფიცრებმა დამცინავი, გამომწვევი მზერა ესროლეს. ოთარი ისევ მეტრდოტელს მიაჩერდა.

— ბრძანეთ, — თქვა ნესტორმა.

— რუსულად ლაპარაკს ხომ არ ინებებთო?

— არა-თქო! — აუღელვებლად უპასუხა წარბებშეჭმუხნილმა ნესტორმა, — ქართულად გვირჩევნია.

— გმადლობთ, ბატონებო. უკაცრავად ვარ, მე მხოლოდ დავალებას ვასრულებ.

მეტრდოტელი ლაქიისებური ღიმილით გაბრუნდა. ოფიცერთა მაგიდასთან მივიდა. ოდნავ მხრებში მოხრილი, ხმადაბლა ელაპარაკებოდა ეპოლეტებიან გალაქულაქებულ პოლკოვნიკს. შემდეგ პოლკოვნიკი ადგილიდან წამოიჭრა, სკამი ხმაურით გასწია და მხედრული ნაბიჯით გამოემართა ჩოხოსანი ქართველებისკენ.

— შესწყვეტთ თუ არა, თქვენს ძაღლურ ენაზე ყბედობას? — დაიქუხა მან და ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა და დაუსისხლიანდა.

ნესტორი უსიტყვოდ წამოდგა. იმავე წამს, ჰაერში პრიალა სატევარმა იელვა და ჟანდარმთა პოლკოვნიკის მოსხეპილი თავი გორაკის წვეროდან დაგორებულ ქვასავით გადმოგორდა მხრებიდან და როგორც მარგილს, ისე დაესო მაგიდაზე მდგარ შამპანურის ბოთლს. ამოხეთქა სისხლმა გადაჭრილი ძარღვებიდან, ერთბაშად წითლად შეიღება ეპოლეტები და მწვანე მუნდირი, უთავოდ დარჩენილი სხეული ჯერ ისევ მაგიდასთან იდგა, მერე ნესტორმა სისხლიანი სატევრის წვერი მიაბჯინა მკერდზე და უაზროდ დარჩენილი ხორცის გროვა იატაკზე გაიშხლართა. ნესტორმა სატევარი დააგდო, სკამზე დინჯად დაჯდა და ხმამაღლა დაიძახა:

— პოლიცმეისტერი მომგვარეთ აქ!..

— ვერ ყოფილა კარგი ამბავი, — ამოიხვნეშა ყაფლანმა და დაბნეული მზერა მიაპყრო ამილახვარს. გაუგებარი იყო, სისხლიანი აჩრდილი რატომ დასდევდა კვალდაკვალ მის შვილებს, რა ცოდვა მიუძღოდათ ასეთი? ჩუმად გავიდა ოთახიდან და ამილახვარს ფულით სავსე ქისა გამოუტანა. იმ დღიდან ოთარ ამილახვარი ატყობინებდა ნესტორის ამბავს, უკვე რამდენიმე წელი იყო, ყაფლანი ერთი და იგივე პასუხით ისტუმრებდა შვილის ამბის გასაგებად მოსულ ოქროპირა ნიგურიანს:

— ნუ გეშინია, კარგადაა შენი ბეგლარი!

— კარგად თუა, სად გადაიკარგა?

— ფრანგის ქვეყანაშია!

— რა უნდა, ბატონო, ფრანგის ქვეყანაში?

..კარზე დაკაკუნებამ ყაფლანი ფიქრებიდან გამოარკვია. — რომელი ხარ მანდ?

ოთახში გლახუნა უნდილაძემ შემოჰყო თავი.

— დილას მოვა, ბატონო, თათრის ქალი, არ გამომატანა ამაღამ იმ დამთხვეულმა თანდილამ.

8.

მეორე დილით, უთენია, თანდილა და მაშო ყაფლანის სასახლეში მივიდნენ. სამოახლოში დასხდნენ. თანდილა ახლადგამოღვიძებულ გოგოებს ელაზღანდარებოდა, გოგოები კი დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ თათრის ქალს, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა მათგან, არც სახის ფერით, არც ტანფეხით და არც ჩაცმულობით. ნისლიანი დილა გათენდა, მაგრამ მაინც თბილოდა. ზამთარი უკან იხევდა, გუბეებში წყალი შრებოდა. სანამ ბატონები გაიღვიძებდნენ, მოახლეები თანდილას და მაშოს ლობიოს შეჭამანდით გაუმასპინძლდნენ. დიდი მარხვა ჯერ არ დამთავრებულიყო. შუაცეცხლზე დადგებული მორი შიშინით იწვოდა,

ქოხში ბოლი ტრიალებდა. მოახლეები საქმიანობდნენ, ზოგს ყველი ამოჰყავდა, ზოგი ხალამში წნილს აწყობდა, ზოგი ნაჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში კერძს ამზადებდა. ჯამბაკურის ძიძიშვილები ფარნა და თათარხან ქოხში შემოვიდნენ, სალამი თქვეს, მერე დაბალ ტაბლას მიუსხდნენ, ჯამებში ლობიო დაისხეს და ჭამას შეუდგნენ. თათარხანმა ერთ ახლოს ჩავლილ ჩათქვირინებულ მოახლე გოგოს რბილ ადგილზე უჩქმიტა.

— შენ დაგწყევლა ღმერთმა, შენი ჯიში ამოაგდო ეშმაკმა, შე თხაპარია! — გვერდზე გახტა ნაჩქმეტი გოგო, ძალზე გაწიწმატდა, მაგრამ თვალები ისე უელავდა. რომ მაინცდამაინც ნაწყენი არა ჩანდა.

— ვინ არის თხაპარია, შე მართლა კიკინა! — ზეზე წამოიჭრა არანაკლებ გაწიწმატებული თათარხანი და შეიქმნა დავა. გაცხარებული კამათის დროს, ქოხში გლახუნა უნდილაძე შემოვიდა, თანდილა და მაშო რომ დაინახა, ისევ გავიდა.

ამასობაში, ბატონ ყაფლანს გაღვიძებოდა და თავის ჩვეულებისამებრ, აივანზე გადმომდგარიყო.

— ექიმბაში გეახლათ. ბატონო, — მოახსენა გლახუნამ.

— მოიყვანე, მერე, შე კაცო! — ბრძანა ყაფლანმა და მაშომ, გლახუნა უნდილაძისა და ჯამბაკურის ძიძიშვილების თანხლებით პირველად შედგა ფეხი სასახლეში. თანდილა გარეთ იცდიდა.

სასახლეში პირველად მოხვედრილმა მაშომ, ერთბაშად დაიმორცხვა. აქამდე მას არასოდეს დაედგა ფეხი ხის იატაკზე და არც ნოხებით დამშვენებული კედლები ენახა. ამიტომ, ყაფლანის კითხვებზე — ვინა ხარ, სადაური ხარ, თათრული თუ იცი, რამდენი წლისა ხარო და სხვა ამგვარებზე, მოკლედ პასუხობდა „კი“ ან „არას“, ხოლო ზოგიერთ კითხვას, რომელსაც ერთი სიტყვით ვერ უპასუხებდა, სულაც უპასუხოდ ტოვებდა. მერე ყაფლანი შეეკითხა, ტყვიით დაჭრილის მორჩენა თუ შეგიძლიაო და მაშინ მაშომ პირველად ასწია თავი მაღლა და წამით თვალი გაუსწორა ბატონ ყაფლანს.

— კი, ბატონო!

— აბა, ვნახოთ ავადმყოფი, — და ბატონი ყაფლანი ჯამბაკურის ოთახისკენ გაემართა.

ჯამბაკურს ეღვიძა. ცალი იდაყვით მუთაქას დაჰყრდნობოდა. ოთახში შემოსულთ უყურადღებოდ მიაჩერდა. „სათათრეთიდან ექიმბაში მოგგვარეთ, ახლა კი მოგარჩენთო“, გაეხუმრა ყაფლანი. ხოლო თათარხანმა საბანი გადახადა და სახვევის შეხსნას შეუდგა. მაგრამ ეს ამბავი ჯამბაკურმა ისე მიიღო, თითქოს მას არ ეხებოდა.

— როგორც ვნებავთ, ბატონო, — უხალისოდ თქვა მან და მოხერხებულად ჩამოჯდა ლოგინზე, რომ თათარხანს საქმე გაიოლებოდა.

თათარხანი ტახტთან ჩაცუცქდა, სახვევები იატაკზე დაყარა და ჭუჭყიანი ხელით მტკივანი ფეხი გაუსწორა ჯამბაკურს. მაშო საწოლს მიუახლოვდა და ჭრილობას დახედა. სისხლი ისევ გამოდიოდა იარიდან და წითლად ღებავდა შიშველ წვივსა და ტერფს. ხორცის ნაფლეთებში ბალღამი ჩამდგარიყო. იატაკზე დაყრილ სახვევებს მყრალი სუნი ასდიოდა.

— ამნაირი ფეხით რაფრა ნადირობდით, ბატონო? — თქვა მაშომ.

ჯამბაკურმა ღიმილით ამოხედა ქალს და მუხლამდე აკაპიწებულ ნიფხვის ტოტს საბანი წააფარა, თითქოს ახლა შეამჩნია პირველად, რომ ეს ქალი ახალგაზრდა იყო და სანდომიანი.

— მეშველება რამე? — დარცხვენით იკითხა მან.

— უსაშველო თქვენს მტერს, ბატონო! ამას ჯერ ყვითელი შაბი უნდა. დანაყული და წვრილად გაცრილი დავაყაროთ დაკოდილზე და მაშინათვე სისხლს დაწყვეტს. მერე მგლის კბილი დაგვჭირდება.

— მგლის კბილი? — გაუკვირდა ყაფლანს.

— კი, ბატონო!

— სად ვიშოვოთ მგლის კბილი? — იკითხა გლახუნამ.

— მგლის მეტი რა არის ტყეში? — მკაცრად შეხედა ფარნამ უნდილაძეს.

ამის შემდეგ, ყაფლანმა გლახუნა შაბის, ქვიჯის და საცერის მოსატანად გაგზავნა სამოახლოში. მოახლეებმა ექიმბაშს ყველა ესენი მოუტანეს, ბუხართან ჯორკო დაუდგეს და მაშო შეუდგა წამლის მომზადებას, ხოლო ფარნა და თათარხანი სანადიროდ გაემზადნენ. ამასობაში, ქალბატონმა მენიკიმაც გაიღვიძა და ვიდრე სასაუზმოდ დაჯდებოდა, შვილის ოთახში შემოიხედა. ქალბატონმა ყურადღებით აათვალჩაათვალიერა საქმით გართული ექიმბაში და, აქაო დ ექიმობისა მეც რამე გამეგებაო, ჰკითხა:

— სათათრეთში ასე წამლობენ დაჭრილს?

— კი ბატონო„! — უპასუხა მაშომ.

როცა ბატონმა ყაფლანმა და ქალბატონმა მენიკიმ ჯამბაკურის ოთახი დატოვეს, სანადიროდ გამზადებული ფარნა და თათარხან ეზოში ჩავიდნენ. ამათ დანახვაზე, სამოახლოს წინ, კუნძზე ჩამომჯდარი თანდილა ზეზე წამოდგა და „ჩემი ქალი სად არისო?“ იკითხა. „შენი ქალი წამალს აკეთებსო“, — უპასუხეს ძმებმა. მაშინ: „თქვენ საით გაგიწევიათო?“

— ტყეში მივალთ, მგელი უნდა მოვკლათ.

— რათ გინდათ მგელი?

— მგლის კბილი ყოფილა საჭირო, თუ არა ისე არ კეთდება მაგ თათრული წამალი, — უპასუხა თათარხანმა.

— სანამ მგლის კბილს არ იშოვით, მანამდე სასახლეში უნდა იყოს ჩემი ქალი?

— აბა?!

უკმაყოფილო თანდილამ მხრები აიჩეჩა:

— ბატონის ნებაა, ფეხებს გინდ აღმა იზამს და გინდ დაღმა. მეც წამოგყვებით, რას ვუცადო აქანა?

— წამობრძანდი, ბატონო, რაც მეტი ვიქნებით, უკეთესია!

და სამივენი ტყისკენ გაემართნენ. გზა იმ უკაცრიელ შუკაზე გადიოდა, რომლის ბოლოში თანდილა სახლობდა. თანდილას სახლკარს გარს ტყრუშული ღობე. ერტყა. ღობის გასწვრივ დარგულ ხეებს ტოტები გზისკენ გადმოეხარათ. გაურანდავი ფიცრებით ნაგები ქოხი ღობესთან იდგა. ქოხის უკან, ატალახებული ბაკი ნაკელის სუნით ქოთდა. ისლით დახურული, წკნელით დაწნული ნალიაც ღობეს მიჰკვროდა. ქოხის წინ დატოვებული გრძელი ეზო ღელისკენ მიიწევდა, იქედან იხვების ყიყინი ისმოდა. ეზოს ბოლოში, ღორებისთვის ქართა იყო შემოღობილი. აი, ამ კარმიდამოს რომ გაუსწორდნენ, თანდილა წუთით ჩამორჩა სამეგრელოდან ჩამოსულ მონადირეებს, ალაგეზე გადააბიჯა, ქოხიდან ომში ნაშოვნი სტამბოლური თოფი გამოიტანა და ამგვარად შეიარაღებულმა გზა განაგრძო. გაიარეს ჯაგნარი, ფშანებში შეაბოტეს და ტყეს შეერივნენ.

სამი დღე იხეტიალეს უღრანში. ტყეში რომ შევიდნენ, იმედი ჰქონდათ მგელს იმავე დღეს მოჰკლავდნენ. იმ ზამთარს, მგლები რამდენჯერმე დაესხნენ სოფლის ნახირს და ერთი ძროხა, ერთი დეკეული და ერთი ბებერი ცხენი დაგლიჯეს. მაგრამ ახლა, გაზაფხულის პირზე, ტყეში მიწა დამბალიყო, ზოგან ჭყაპი იდგა, სიარული ჭირდა და არც ნადირი ჩანდა სადმე. ამას ისიც დაერთო, რომ ფარნა და თათარხანი ერთმანეთს მეგრულად ელაპარაკებოდნენ, თანდილას იშვიათად თუ გასცემდნენ ხმას, თანდილას კი მეგრული კილო არ ესმოდა და ისეთ სიუცხოვეს განიცდიდა, თითქოს მისი თანამგზავრები აზამბურელი თათრები ყოფილიყვნენ. თანდილას ბოღმა იპყრობდა: „რა ჰგონიათ ამ ყმაწვილებს ამათი მეგზური ვარ მე თუ მსახური?“ ამგვარ ყოფაში, გაგულისებულნი, ერთმანეთზე დამდურებულებივით, მიჰყვებოდნენ აღმა მდინარის სათავეს. მესამე საღა-

მოს, იმ მთებს მიაღწიეს, საიდანაც გამოსჩქეფს ვიწრო ხეობაში მომწყვდეული ცისფერი ცხენისწყალი და ტოტებგაშლილი მიიკვლევს გზას ვრცელი დაბლობის დაბურულ ჭალებში. მდინარის პირას დაიბანაკეს, ცეცხლი დაანთეს და ნაბდებში გაეხვივნენ. თანდილას სულ უფრო და უფრო იპყრობდა ბრაზი. ყველაფერი აღიზიანებდა, ბატონიშვილი ჯამბაკურიც, მისი მეგრულად მოლაპარაკე ძიძიშვილებიც და სასახლეში დარჩენილი მაშოც. ყველაზე მეტად გლახუნა უნდილაძის ჯავრი სჭირდა, რადგან სწორედ მან მოსდო ქვეყანას მაშოს ექიმობის ამბავი. ძალუმად მოწოლილ ბოღმას უჯიათი დუმილით აკავებდა. მაგრამ მაშოზე ფიქრს მაინც ვერ იშორებდა. ბნელ ღამეში მარტო დარჩენილს, სიცივისგან აძაგძაგებულს, ენატრებოდა მისი თბილი სხეული, მისი მრგვალი და სრიალა ბაყვების შეგრძნება, მისი ამობურცული მკერდის ფერება. თანდილას პატარა ქოხში, ისინი ერთად წვებოდნენ დასაძინებლად ფართო ტახტზე. თანდილა ცალ ხელს ბარძაყზე დაადებდა ხოლმე ქალს, მკლავზე მიეხუტებოდა და ეძინა გემრიელად, მაძღრად, უშფოთველად, ქოხის მეორე კუთხეში, ბებიასთან დაწოლილი დარისპანის წამოტირებაც კი ვერ უმღვრევდა ძილს. ახლა მიმქრალი ცეცხლის პირას მჯდარს, საოცარი სიმძაფრით ენატრებოდა თბილი სარეცელი, საიდანაც წამოდგა უთენია, ამ სამიოდე თვის წინ. წამოაყენა ქალი და სასახლეში მიგვარა ყაფლანს და მის ვაჟს. ახლა გაცოფებული ფიქრობდა იმაზე, რომ ეს ქალი, რომელიც საკუთარი მარიფათის წყალობით ჩაიგდო ხელში, აღარ გამოატანეს, სასახლეში დაიტოვეს, თვითონ კი მგლების სადევნელად ტყეში გამოაგდეს. მართალია, ჯამბაკურის ძიძიშვილებს თავისი ნებით გამოჰყვა, მაგრამ მაინც იძულებით გამოგზავნილად თვლიდა თავს და ბოღმა ისე იტანდა, რომ მისი დიდხანს ატანის იმედი აღარ ჰქონდა. შეიძლება ტყეშივე მიეხოცა ეს მეგრულად მოყღურტულე ჭაბუკები, შეიძლება, სასახლეში შევარდნილიყო და ხანჯლით აეკუწა გლახუნა უნდილაძე, მისი წყალობითაც აერია საქმე და უცებ, მგლის ყმუილი მოესმა.

თანდილამ ყური ცქვიტა. ნადირი სადღაც, ახლოს იყო. ლადართან მიწოლილ ფარნას და თათრახანს ეძინათ. თანდილამ თოფი აიღო, დატენა, თანამგზავრები არ გაუღვიძებია ისე, სიბნელეს შეერია. ყმუილი ისევ განმეორდა და ჩუმად მიჰყვა თანდილა ღამის წყვდიადში ამ ავბედით ძახილს. მგლის ყმუილი იდუმალი ძალით უხმობდა თავისკენ. იარა თანდილამ, იარა, ერთ ადგილას, ღორღიანი ღრანტე აიარა და კაპანის ძირში, ბაკმოდებული მთვარის გაცრეცილ შუქზე აშკარად გაარჩია თავაღერებული ტყიური, გულსაკლავად რომ უყმუოდა რაღაცას. დარანთან ჩასაფრდა და ყური მიუგდო. მგლის ყმუილი ისე მახლობლად მოეჩვენა, ისე ნაცნობად და თავისად, რომ ჟრუანტელმა დაუარა ტანში. თითქოს თვითონ ყმუოდა! რამდენი გამოუთქმელი წუხილი იყო ამ უპასუხო ძახილში, რამოდენა სურვილი მდედრისა, რაოდენი სევდა უნუგეშო მარტოობისა, განწირული მოლოდინი ცივი და მარადიული ღამისა, საკუთარი ხვედრით უკმაყოფილება, თანამოძმეებისადმი საყვედური, შიშნეული განცდა დაუსაბამო სამყაროსი. ვინ იცის, რა არ აწუხებს ცივ ღამეში ბუნაგს გარეთ მიუსაფრად დარჩენილ სულდგმულს? თავის მგლურ ენაზე გადმოსცემდა ნადირი ხეს ამოფარებულ და თოფმომარჯვებული ადამიანის სატკივარს და უცებ, იქუხა თოფმა და ყმული შეწყდა. საფარიდან გამოსული თანდილა მოკლულ მგელს თავზე დაადგა. გადმოაბრუნა, ახალგაზრდა ხვადი მგელი იყო. „ეჰ, შე საწყალოო", — ჩაილაპარაკა, მგელი მხარზე შეიგდო და წამოვიდა.

თათრახანისა და ფარნას გაღვიძება აზრადაც არ მოსვლია. იქით არც კი

მიბრუნებულა. ტყიდან გამოსვლას ისე ისწრაფვოდა, თითქოს სული ეხუთებოდა. გამალებით მიაბიჯებდა უკუნში და თვითონვე გაოცდა, ჩახლართული ულრანი რომ გამოარღვია. ტყის პირზე შეჩერდა და ვაკეს გახედა. რძისფერ ბურუსში გახვეული ფართო ველი უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა. აქ საძოვრები გაშლილიყო, რომელიღაც უცხო სოფლისა. ნესტით გაჟღენთილ მინდორს დაადგა, ჭყანტობში შეტოპა, ორთქლისებური ნისლის ცივი ფარდა გაარღვია და შეიყნოსა სოფლის სუნი, ჯერ ნაკელისა, შემდეგ ნაცრისა და თივის სიმძაფრით განზავებული. ამასობაში, ტყრუშულ ღობეს წააწყდა, აქ იყო ალბათ, სოფლის სამანი. გადააბიჯა ზედ და საქონლის ჩლიქებით გათელილ ბილიკს მიჰყვა. ნისლიან წყვდიადში ხეთა სილუეტები აიშოლტნენ. სოფელს მიუახლოვდა. შორიდანვე გაისმა ერთობლივი ყეფა. ეტყობა, ძაღლებმა მგლის სუნი იკრეს. ორღობეში რომ შევიდა, მთელი სოფლის ძაღლები აედევნენ, უყეფდნენ, ღობეებს და ყორეებს აწყდებოდნენ, ღრენდნენ, წკავწკავებდნენ, და ამგვარ ყოფაში გაიარა მიძინებული სოფელი და თემშარას დაადგა საიმედოს. ჩამორჩენილი ძაღლების ყეფა წყვდიადში რჩებოდა, ხოლო აღმოსავლეთით თანდათან ბაცდებოდა ცა. როცა ინათა, თანდილა მინდორში იყო, ჯერ კიდევ შორს მისასვლელი. ქუთუთოები დაუმძიმდა, ისე მოერია რული რომ სიარული ველარ შეძლო, მუხლები ეკვეთებოდა. გზიდან გადავიდა, ბუჩქნარში შედარებით მშრალი ადგილი მონახა, ნაბადში გაეხვია, თავქვეშ მისგან მოკლული მგლის ჯერ კიდევ თბილი სხეული ამოიდო, თოფი ლაჯებს შორის მოიქცია და დაიძინა.

როცა გაიღვიძა, გათენებულიყო. ცას ყომრალი ღრუბლები გადაჰკვროდა. თანდილა წამოდგა და მიდამოს გახედა. რიყის ქვებით მოხერგილი შარა გაშლილ ველზე, თხილნარში მიიკლაკნებოდა და შორს, ალვის ხეებით და შტოებდამძიმებული ბებერი ცაცხვებით შემოფარგლულ სოფელში შედიოდა. სოფლიდან მამლის ყივილი ისმოდა. თანდილამ უკან გაიხედა. იქეთაც სოფელი იყო, რომელიც წუხელ გამოიარა. იქ, ახლაც ძაღლები ყეფდნენ. სოფლის განაპირას, პატარა სასაფლაოზე ხის ეკლესია იდგა. თანდილამ თოფი მხარზე გადაიკიდა, მგელი ზურგზე მოიგდო და გზას დაადგა. გზაზე ურმის ნაკვალევი მოჩანდა, ყოლფუხები ნაწვიმარი, მღვრიე წყლით იყო სავსე.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ურემი დაინახა, რომელმაც უკაცური შუკიდან გადმოუხვია და დროგინ-დროგინით მიჰყვა თემშარას. უღელში შებმული ჯიშიანი ხარები ზანტად იქნევდნენ კუდს, ხოლო ბაშლაყით თავწაკრული მეურმე ყალიონს აბოლებდა. თანდილა ურემს წამოეწია და მეურმეს გამოელაპარაკა. მეწისქვილე ყოფილიყო, დოლაბი გაფუჭებოდა და მეზობელ სოფელში ქვის ოსტატთან მიდიოდა ახალი ქვის წამოსაღებად. თანდილას მხარზე გადებული მოკლული მგლის დანახვამ მეწისქვილე ერთობ განაცვიფრა. თანდილამ მგელი ურემზე შეაგდო, თვითონ მეურმეს გვერდით მოუჯდა და თავისი ამბავი უამბო, კერძოდ, მგლის კბილის საშოვნელად რომ გამოისტუმრა სათათრეთიდან ჩამოსულმა ექიმბაშმა. რადგან სხვანაირად არ მზადდებოდა ბატონიშვილის ჭრილობის მოსაშუშებელი წამალი. ამ ამბის მოყოლისას, თანდილამ თანასოფლელების დარად, მამო სათათრეთიდან ჩამოსულ ექიმბაშად მოიხსენია.

— მაგი რაა?! — რიხიანად თქვა მეურმემ, როცა თანდილა თხრობას მორჩა, და უამბო მას ერთი თავისი ნათესავი კაცის ამბავი, რომელსაც განსხვავებით ყველა ქართული ქრისტიანისაგან, ორი კუჭი ჰქონია. რომელთა შესაერთებლად ერთი საფრანგეთიდან ჩამოსული ექიმბაშის რჩევით, საჭირო გამხდარა შემწვარი მგლის ყური ჯიჯლაყის ფხალთან ერთად არეული.

— შევედი ტყეში, გავიხედე, მგელი

მორბის, — განაგრძო თხრობა მეურმემ, — ვესროლე წეიქცა. მიველი რას ნახავ?! ცალ ყურში რომ მომირტყია ტყვია, მეორეში გასულა. არ გამომადგა ის მგელი და ქე დარჩა ის ჩემი ორკუჰა ნათესავი უწამლოდ. ახლაც ორი კუჰი აქვს. აბა?

— რას არ გაიგონებ ქვეყანაზე?! — ჩაილაპარაკა თანდილამ.

ამგვარი მუსაიფით გართულებმა გაიარეს პატარა. მშვიდი სოფელი. ირგვლივ, მთელ სივრცეზე, ცისკენ აზიდული ხეები მოჩანდა. ნაცრისფერ ცას ლაქებად აჩნდა მუქი ღრუბლები. სოფელი რომ ჩამოიტოვეს, ერთხანს ნაყანარებს მიუყვებოდა გზა. მერე ურემი ტყეში შევიდა. ტყიდან ისევ მინდორზე გამოვიდა და ხრიგინ-ხრიგინით მიუყვა შარას. ნაშუადღევს, გზის გასაყართან ერთმანეთს დაემშვიდობნენ. თანდილამ ბაქია მეურმეს მადლობა მოახსენა, მგელი მხარზე შეიგდო და თავისი სოფლის შარას დაადგა, ხოლო ურემმა ცელეზე გადებული ბოგირი გადაიარა და ნორჩ თხმელებს შორის თვალს მიეფარა.

საღამოს მიტანებული იქნებოდა, თანდილამ რომ თავის სოფლის სანახებს მიაღწია. სოფელში ნახირი შემოდიოდა. პირველსავე მოსახლის ქოხიდან ბოლი ამოდიოდა. ქოხის გვერდით, კოხტად მოვლილი ეზოს ბოლოში, ყაბალახით თავწაკრული გლეხი შეშას აპობდა. თანდილამ ერთბაშად დაღლა იგრძნო, თითქოს მოეშვა, მშობლიური კერიის სიახლოვეშ დაამშვიდა. ნელი ნაბიჯით მიჰყვა ორღობეს, შუკის პირზე დარგული ხეებიდან ჩამოცვენილ დამპალ ფოთლებს მიწა დაერბილებინა და თანდილას ნაფეხურები ღრმად დააჩნდა გზას. მიდიოდა და გზად არავინ ხვდებოდა, საოცარი სიჩუმე იყო. ეკლესიას რომ მიაღწია, ხანდაკშემოვლებული გალავნის კარიდან გამომავალი კუზიანი საბა ნიგურიანი შეამჩნია და შედგა. საბამ ჭიშკარი დაკეტა, ბოგირი გადმოიარა და თანდილას მიუახლოვდა. ეკლესიის ჭიშკართან მდგარი ჭადრებიდან ჩამოცვენილი ფოთლები შრიალებდნენ მის ფეხქვეშ. საბა შედგა, მუხლამდე ტალახში ამოგანგლილი თანდილა აათვალ-ჩათვალიერა და მიესალმა.

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს! — მიუგო თანდილამ.

— საით ყოფილხარ?

— ტყეში ვიყავი, მგელი მოვკალი. იმ ჩათუქესან ჯამბაკურს ჰრილობა არ უშუშდება და თუ მგლის კბილი არ იშოვეთ, ისე წამალი არ დამზადდებაო.

— ვინ თქვა მაგი?

— თათრის ქალმა.

საბამ თავი გააქნია და უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა. ისე ნაღვლიანად და დამცინავად შეხედა თანდილას, თითქოს ეუბნებოდა, რა გეშველება შე სულელოო. წვერზე ხელი ჩამოისვა და ამოიოხრა:

— თანდილავ, თავი დაანებე მაგ თათრის ქალს.

— რატომ, შე კაცო, ვის რას ვუშავებ?

— კი არავის უშავებ, მარა. მაგალითი ხარ ცუდი.

— მე მაგალითი კი არა, კაცი ვარ, ბაბა. ჰოდა, თუ კაცი ვარ, რასაც მინდა იმას ვიზამ, — ხმას აუწია თანდილამ.

— ვერ იზამ! — ჩუმად, კვლავ დამწუხრებული კილოთი თქვა საბამ.

ამ საუბრისას, შუკაში, თხრილის გასწვრივ, ძაღლი მოძუნძულებდა. თანდილას რომ მოუახლოვდა, ფეხებში ეცა და გაათრებული ყეფა ატეხა. საბამ ჯოხი დრუზა და მოიგერია, მაგრამ აწკმუტუნებული ძაღლი იქვე, შორიახლოს, ბროწეულის ბუჩქებთან შედგა და აყმუვლდა. მხარზე მგელგადაკიდებული თანდილა ჩაიკუზა, მიწიდან ქვა აიღო, ძაღლს ესროლა და გაგიწყდა პატრონიო, მიაწყევლა. ძაღლი სხლტეში შეძვრა და ახლა იქ ყმუოდა, სადღაც მიმალული.

— დეიმახსოვრე ჩემი სიტყვა, თანდილავ, არ დაგაყრის მაგ თათრის ქალი

სიკეთეს შენ, — კიდევ ერთხელ უთხრა საბამ თანდილას და გამოემშვიდობა. მერე წელში მოხრილი, იღლიაში ამოდებული ჯოხით, დინჯად დაადგა გზას და კვლავ ააშრიალა შარშანდელი დამპალი ფოთლები. ისევ გაისმა სხლტეში მიმალული ძაღლის წკმუტუნი.

— ამოგივარდა პატრონი! — გაურკვეველი მისამართით გაუგზავნა თანდილამ წყევლა სივრცეს და ყაფლანის სასახლისკენ გასწია.

მსახურებმა შორიდანვე შეამჩნიეს და შეიცნეს ჭიშკარში შემოსული თანდილა, რომელსაც მხარზე მოკლული მგელი ედო და ზანტად მოაბიჯებდა. ატყდა ყივილ-ხივილი:

— ე, ბიჭო, თანდილა გამოჩნდა!

— უყურე შენ, მოუკლავს მგელი!

მთელი სასახლე გარეთ გამოეფინა. მოახლეები და ფარეშები ეზოში იდგნენ. ძაღლები ყეფით და წკავწკავით მიეგებნენ მონადირეს. თანდილას დაბრუნება ბატონებმაც შეიტყვეს. ფაფანაკიანი ბატონი ყაფლანი და არახშინით თავმორთული ქალბატონი მენიკი აივანზე გამოდგნენ. ყავარჯნებზე დაყრდნობილი ჯამბაკურიც გამოჩნდა. თანდილამ კიბეზე განცალკევებით მდგარი მამოც შეამჩნია. მხოლოდ გლახუნა უნდილაძე არ ჩანდა არსად.

ამდენი ხალხის დანახვაზე თანდილა კიდევ უფრო დაიბოლმა და სახე მოექუფრა. მდუმარედ მიუახლოვდა თალხ ბინდში გახვეულ სევდიან სასახლეს. კიბესთან შედგა. მედიდურად გადახედა ირგვლივ შეგროვილთ, მერე აივანზე მდგარ ბატონებს მიესალმა, მგელი მიწაზე დააგდო და თქვა:

— ა, ბატონო, წეიღეთ თქვენი მგელი და გამატანეთ ჩემი ქალი!

ამ სიტყვებზე მამოს სახეზე ალმური მოედო. ხოლო ჯამბაკურს დამცინავმა ღიმილმა ბაგე გაუპო. მოსამსახურეები აფხუკუნდნენ.

— წეიყვანე ბატონო, ვინ გართმევს? — გაეცინა ყაფლანსაც.

— რა არის, ბატონო, ასეთი სისწრაფე? — გაიკვირვა ქალბატონმა მენიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდილა მამოს მიუბრუნდა.

— წამოდი, ქალო!

— სად წამევიდე? არ მომირჩენია ჯერ ავადმყოფი! — მკვახედ მიუგო ქალმა.

— ფეხზე ქე წამოგიყენებია, მეტი რა მორჩენა უნდა?

— ფეხზეც დგებოდა და ცხენზეც ჯდებოდა, მარა მორჩენილი კი არ იყო?! — გაალმასებული პასუხობდა ქალი და ასეთი მკაცრი პასუხით სახტად დარჩენილმა თანდილამ პირი დაალო.

სიჩუმე ჩამოვარდა. აივანზე მდგარი ბატონები მქირდავი ღიმილით შესცქეროდნენ ხან მამოს, ხან თანდილას, და ხმას არ იღებდნენ. მსახურები აყეფებულ ძაღლებს იგერიებდნენ.

— თანდილავ, — თქვა მამომ, — მაგ მგლის ერთი კბილი შინ წეიღე და შენს ბალანას კისერზე ჩამოკიდე, მავნე და მაცდური ვერაფერს დააკლებს.

მერე სწრაფად აიარა კიბე, სასახლეში შევიდა, კარი მიიხურა და გაუჩინარდა.

თანდილას თვალებში სისხლი მოაწვა და ამღვრეული მზერა ესროლა აივანზე გადმომდგარ თავადებს.

— თანდილა, ფარნა და თათარხან რა უყავი? — გადმოსძახა ზემოდან ჯამბაკურმა.

— ტყეში დავტოვე! — ჩაიბურდღუნა თანდილამ, ბატონებს ზურგი აქცია, სამოახლოს წინ ჯორკოზე ჩამოჯდა და უცებ დაიღრიალა:

— სადაა, ის ჯამილოკია გლახუნა უნდილაძე?!

— რა გინდა, ბიჭო, აგერ ვარ?! — მიუგო სწორედ ამ დროს მოსულმა გლახუნამ.

— შენ უნდა გამცე პასუხი.

— რა პასუხი, რის პასუხი?

ამასობაში, სასახლეში შემოსული მამო ჯამბაკურის ოთახისკენ გაემართა. ტალანში ერთი ახალგაზრდა მსახური შემოეფეთა, რომელსაც ისეთი ფართო

ყვრიმალები ჰქონდა, რომ ბაყაყს ჰგავდა და ზედმეტ სახელად ყვაჭიჭას ეძახდნენ.

— ყვაჭიჭა! მგელს კბილები დააგლიჯე და მომიტანეთ აქანა! — უთხრა მაშომ. მერე ჯამბაკურის ოთახში შევიდა. ამ ოთახში იგი თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა. მართალია, ღამეს სამოახლოში ათევდა, მაგრამ რაც სასახლეში მოვიდა, მთელ დღეებს ჯამბაკურის ოთახში ატარებდა. ოთახის კუთხეში, ბუხართან ტაბლა და ჯორკო ედგა. აქ ამზადებდა იგი წამლებს და მკურნალობდა ჯამბაკურს. პირველსავე დღეს, ჭრილობაზე დაყრილმა შაბმა დაკოდილს სისხლი დაწყვიტა. მეორე დღეს, როცა ჯამბაკურის ძიძიშვილები და თანდილა ტყეში მგლის მოსაკლავად გაისტუმრა, მაშომ ძაღლის ენა და კოჭი მოითხოვა. ღვთის წყალობით ძაღლები ბლომად იყო სოფელში და რაც ინება, მყისვე მოუტანეს. ყველა ესენი მაშომ გაახმობინა, მერე დანაყა, გაცრა და ავადმყოფს დაკოდილზე დააყარა. ჯამბაკურს სატკივარი დაუამდა, აშკარად დაეტყო მომჯობინება. ფეხზე წამოდგომა და ოთახში ყავარჯნით გავლა-გამოვლაც კი შეძლო, იმედი მიეცა, გამხნევდა და გამხნევებულმა და გახალისებულმა, ორი დღის წინ, როცა ოთახში მარტონი იყვნენ, — თვითონ ტახტზე ჩამომჯდარიყო, მაშო კი მის წინ ჩაცუცქულიყო და წამალს უცვლიდა, — ქალს ხელები მოხვია, მადლობის ნიშნად აკოცა, დაბნეული და აფორიაქებული ქალი გულში ჩაიკრა, ჩაეხვია, დაეწაფა მის ტუჩებს და როცა წინააღმდეგობა იგრძნო, თანდათან გაშმაგდა, ლოგინისკენ გადააწვინა მიბნედილი ქალი და ამ დროს კარი გაიღო და ოთახში გლახუნა უნდილაძემ შემოჰყო თავი. ორივენი შეცბნენ, აფორიაქებულნი და აქლოშინებულნი მიაჩერდნენ გლახუნას. ქალი მსწრაფლ წამოხტა, კუთხეში დადგა თავჩაღუნული და თავსაფრის ბოლოს წვალება დაუწყო. ჯამბაკურმა ჩაახველა. გლახუნას ღიმილი შეეყინა ცბიერ სახეზე, მაგრამ არ დაიბნა, ჰპოვა გამოსავალი, კვლავ ქლესურად ჩაიხითხითა და წარმოსთქვა:

— აღდგომა მოდის, ბატონო, შვილი უნდა მომინათლო.

— რა დროს აღდგომაა, ვექო?! — ძლივს მოითქვა ჯამბაკურმა სული.

— შენ ის მითხარი, თუ მიკადრებ, თვარა აღდგომას წინ რა დაუდგება?

— უკადრისი რა არის, შე კაცო? — ნაჩქარევად უპასუხა ჯამბაკურმა.

გლახუნამ სახეალეწილი ქალისკენ გააპარა ფრთხილი მზერა და უჩუმრად გაძვრა ოთახიდან. ქალმა იატაკზე დაყრილი ჭინჭები მობოჭა და კარისკენ გასრიალდა. მაგრამ ვიდრე კარში გავიდოდა, ანთებული თვალები მიაპყრო ტახტზე მჯდარ ჯამბაკურს და ჩუმად უთხრა:

— ფონის მოუძებნელად წყალში შეტოპვა გყვარებია, ბატონო!

იმ დღეს, ჯამბაკურის ოთახში აღარ შებრუნებულა. საღამოს, თვით ჯამბაკური გამობრძანდა თავისი სამყოფელიდან. სასახლის ბინადარნი გახცვიფრდნენ. ყველა ხედავდა მაშოს ტლეებდაჭრილს რომ რგებდა და „რა ყოფილა ეს თათრის ქალიო“, გაიძახოდნენ. ზოგიერთებს, სხვადასხვა სატკივარით შეპყრობილებს, თათრის ქალის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ მაშომ მხოლოდ ტყვიით და ხანჯლით დაჭრილის მკურნალობა იცოდა. ახლა, ჯამბაკურის ოთახში შესული, თავის ჩვეულებრივ ადგილზე ტაბლას მიუჯდა და კვლავ წამლის მზადებას შეუდგა. ამ ყოფაში იყო, როცა ყაფლანი და ჯამბაკური ოთახში შემოვიდნენ.

— მოიტანა იმ კაცმა მგელი, ახლა რა ვქნათ, ბოშო? — იკითხა ყაფლანმა, ხოლო ჯამბაკური ტახტთან მიჩაკჩაკდა და ჩამოჯდა.

— ახლა, ბატონო, მგლის კბილი მკლავზე ან ყელზე უნდა შევაბათ ბატონიშვილს და მეტი აღარაფერი უნდა, ერთ კვირაში სულმთლად განიკურნება.

— და შენც დაუბრუნდები თანდი-

ლას, ხომ? — ჰკითხა ტახტზე მიწოლილმა ჯამბაკურმა.

მამომ თავი ჩაღუნა, კარგა ხანს პასუხი არ გაუცია. მერე ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა.

— არ მინდა, ბატონო, აქანა მირჩევნია.

— თუ გირჩევნია, ქე იყავი, ვინ გაგდებს?

— იყავი, ბატონო, — დაუმოწმა ყაფლანმაც, — შენ იმისთანა პატივი დაგვდე, რომ...

ამასობაში, ყვაჭიჭამ ეზოში ჭრაქი ჩაიტანა და ბიჭები იხმო. ისინი მგელს გარს შემოეხვივნენ, ერთმა მარწუხი მოიტანა და ცდილობდა კბილის დაძრობას. ქოხის წინ მჯდარი თანდილა ხედავდა, როგორ ეჯაჯგურებოდნენ ისინი ნადირს და ბოლმით გული უსივდებოდა. ეს მგელი მისი მონაპოვარი იყო, მას ეკუთვნოდა და საცა სამართალია, თანდილას გარდა არავის ჰქონდა უფლება თუნდაც ერთი ბეწვი მოეძრო მისთვის. მხოლოდ თანდილას უნდა გაეტყავებინა, თანდილას უნდა დაეძრო კბილი და გადაეგდო მძორი, რადგან თანდილა იყო ამ მძორის პატრონი, რომელსაც ახლა ვიღაც უცხოები ისაკუთრებდნენ და არც ნებას თხოვდნენ თანდილას, არც რჩევას ეკითხებოდნენ, თითქოს იმისთვის იწანწალა სამი დღე ტყე-ღრეში, რომ მისგან მოკლულ ნადირს ვიღაც ცხვირმოუხოცავი ბიჭები დაპატრონებოდნენ. ეს შეურაცხყოფა, ეს უგულებელყოფა მეტისმეტი იყო. დაბოლმილი და მშიერ-მწყურვალი შეუპოვრად რომ მოისწრაფოდა აქეთკენ, იმის იმედი ჰქონდა, რომ საფასურივით გაილებდა მგლის დევნაში გადატანილ წვალებას და როგორც კი ნადირს მიწაზე დააგდებდა, მოიხსნიდა ვალდებულებას, მამოს მაშინათვე შინ წაიყვანდა, გემრიელად დანაყრდებოდა და ამ ღამეს, მამოსთან ერთად თბილ ლოგინში გაატარებდა. მხოლოდ ახლა გაიაზრა თანდილამ ეს, და გაიაზრა თუ არა, მყისვე ზეზე წამოიჭრა, მგლის ირგვლივ შეგროვილ ბიჭებს, დაერია, ზოგს პანღური უთავაზა, ზოგს ქეჩოში წაჰკრა ხელი, აქეთ-იქით მიპფანტ-მოჰფანტა და ომახიანად შეუკურთხა, „დაიკარგეთ აქედან, თქვე ძაღლის გავარდნილებოო".

— რას გვერჩი, თანდილა, თათრის ქალმა თქვა კბილი მომიტანეთო, — სცადა დაშოშმინება ყვაჭიჭამ, მაგრამ თანდილა თავისას განაგრძობდა.

— კბილებს ჩაგიმტვრეთ სუყველას, ახლოს არ მოხვიდეთ თუ არა!

— გაჩერდი, ბიჭო, ბატონი გეიგებს! — შესძახა ჩოჩქოლზე მოვარდნილმა სისო მოურავმა.

— ერთი თქვენი ბატონი და თქვენი პატრონი დედა ვატირე! არ ვიძლევი მგელს, სანამ ჩემს ქალს არ გამატანთ! — ყვიროდა გაცოფებული თანდილა.

ამ გულშემზარავ ყვირილზე თავადის სახლეულნი აივანზე გადმოდგნენ, ეზოში მიმოფანტული მსახურები და მოჯამაგირეები კიბესთან შეგროვდნენ, მოახლეებმა ჭრაქები გამოიტანეს და იქაურობა ააციმციმეს.

— რა ამბავია, ვეუო! — დაიძახა ყაფლანმა.

— ბატონო, თანდილა მგელს არ იძლევა, — მოახსენა მოურავმა.

— რაშია საქმე, თანდილა? — მიმართა ყაფლანმა.

— ქალი გამატანეთ და წეიღეთ მგელი! — კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა თანდილამ.

— არ მოდის, ბატონო, ეს ქალი, ძალით ხომ ვერ გამოვაგდებ?!

— რას ქვია, არ მოდის, ჩამოდი, ქალო, ძირს!

— თანდილავ, ყველაფერს ნუ მათქმევინებ, არ მოვდივარ მე! — შესძახა შუბლშეკრულმა მამომ.

— ბიჭო, თავი დაანებე ამ ქალს!

— მაგი არაა, ჯამბაკურ, შენი საქმე!

— ზრდილობას ნუ გადაუხვიე, ყაზახო! — იწყინა ქალბატონმა მენიკომ, — მომეტებულმა პატივისცემამ ხომ არ გაწყინა?!

— თქვენი პატივისცემა შევარცხვინე მე, თქვენ ხალხი არ იყოთ!

— უყურეთ, რას ბედავს?! გააგდეთ აქედან ეს მუდრეგი და გვერდები დაუზილეთ! — დაიძახა გაბრაზებულმა ჯამბაკურმა.

მაშინ თანდილამ თოფი გადმოიღო და ბოროტად გაიცინა:

— მომიახლოვდით რომელიმე, თუ ხართ ბიჭები!

ირგვლივ წიოკობა ატყდა, თოფმოღერებულ კაცს ვერავინ შებედა. ერთხანს, დაბნეულნი იდგნენ ყველანი, მაგრამ მერე გლახუნა უნდილაძემ სიბნელით ისარგებლა, უკნიდან უჩუმრად მიეპარა თანდილას, თავზე ნაბადი წაახურა, მეყვსეულად ეძგერა, თოფზე ხელი აუკრა და ძირს დასცა. გავარდა თოფი და ატყდა კივილი, სასახლის კიბესთან ზედახორა გაიმართა. ბიჭები ზედ დააცხრნენ ნაბადში გახვეულ თანდილას, თოფი წაართვეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დასცხეს. ზოგიერთებმა სარები მოიტანეს და ისე უბრაგუნებდნენ ნაბადს, თითქოს ჰაერით გაბერილი რუმბი იყო. გოგოები კიოდნენ, ვის მოხვდა ტყვიაო, მაგრამ დაჭრილი არავინ ჩანდა, ბიჭები კი დაუზოგავად იქნევდნენ კეტებს, საწამ ნაბადი მთლად არ გათელეს. მაშინ მოურავმა ძლივს დააშოშმინა აზავთებული ბიჭები და მოაშორა თანდილას. ნაბადში გახვეული სხეული უმოძრაოდ იდო მიწაზე.

— ხომ არ მოკვდა ეს უპატრონო? იკითხა ვილაცამ.

— რა ქენით, კაცი მოკალით?! — განრისხდა ბატონი ყაფლანი.

— მაგი ისეთი ჯიშისაა, ბატონო, რომ ასე იოლად არ მოკვდება, — დააშშვიდა მოურავმა.

ყვაჭიჭამ ნაბადი მოაშორა თანდილას. ერთმა მოახლემ სახესთან ჭრაქი მიუნათა. მთელ ამ სურათს მაშო მშვიდად შესცქეროდა. ბოლოს, ნაცემ-ნაბეგვმა თანდილამ თვალი გაახილა და და წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მაშინ მოურავმა გლახუნას ურემი მოაყვანინა, თანდილა ზედ დააგდეს და ეზოდან ურმით გაიტანეს. გალავანს გარეთ რომ გავიდნენ, თანდილა ურმიდან ჩამოიღეს და ხის ძირში დასვეს.

— წადი ბიძია, სახლში და ოჯახს მიხედე! — უთხრა მოურავმა. მერე ურემი ისევ გალავანს შიგნით შეაყვანინა ბიჭებს და ჭიშკარი გადაკეტა.

თანდილა მარტო დარჩა. ბნელოდა. აქა-იქ, ხეთა ჩრდილებში, ჭრაქების სუსტი შუქი ბჟუტავდა. ძაღლივით ნაცემი თანდილა მიწაზე ეგდო. ბოღმა აღრჩობდა. ბოღმა ყელში მოებჯინა და სუნთქვას უკრავდა. მთელი სხეული სტკიოდა, სტკიოდა სხეული და სული, და ეტირებოდა, მაგრამ ვინაიდან ტირილი არ იცოდა, სიმღერა დაიწყო, იჯდა ხის ძირში და თავისთვის ღიღინებდა, თითქოს მოთქვამდა, ტირილს და სიმღერას ის საერთოდ ვერ ანსხვავებდა ერთმანეთში. ხმის ამოღების, ვარამის ამოთქმის სურვილი ჰქონდა და რადგან არც სიმღერა იცოდა, მისი ღიღინი ღმუილს უფრო ჰგავდა. ბოღმას ვერ ერეოდა და ღმუოდა თანდილა. ამგვარ ღიღინში თუ ღმუილში, განსვენებული მეუღლე მოაგონდა, რომელიც ორი წლის წინათ გარდაეცვალა, მანამდე სულ ორი წელი იცხოვრა მასთან. მეუღლე არასოდეს მოჰგონებია და ახლა გაუკვირდა, რამ მომაგონაო? ეს ქალი მეზობელი სოფლიდან მოიყვანა, მოყვრებმა გაურიგეს. ჯვარისწერამდე სულ ორჯერ ნახა, არც ულამაზო იყო, არც მაინცდამაინც ლამაზი ეთქმოდა, თუმცა მისი გარეგნობა თანდილას მაინცდამაინც არც აინტერესებდა. შრომობდა ქალი ოჯახში და თავისთვის იყო. თვინიერი ადამიანი გამოდგა, არავის აწუხებდა. თანდილა მას ისე ექცეოდა, როგორც კუთვნილებას, რომელიც სურვილისა და წადილის გარეშეც გაგაჩნია საკუთარი ნეკნივით. ცოლთან ის არ განიცდიდა ვნების თავისუფალ და ჟინიან ნავარდს. როცა ლოგინში წვებოდნენ ერთად, თვით უნეტარეს ალერსის ჟამსაც, თანდილა ზოგჯერ ხვალინდელ დღეზე და სამუშაოზე ფიქრობდა, სიფხიზლეს არ კარგავდა რადგან ცოლქმრული ურთიერ-

თობა ოჯახურ მოვალეობად და საზრუნავად მიაჩნდა, როგორც ყანის გათოხნა და საქონლის მოვლა. ცოლი რომ მოუკვდა, მალე გადაავიწყდა, უფლის კერძი ყოფილაო. ახლა თანდილას პირველად დაწყდა გულწრფელად გული, როცა ისეთი კუნაპეტი ღამე იდგა, თითქოს ქვეყანას ზემოდან კუპრი გადმოასხესო. ყოფილიყო ის უბედური ცოცხალი, რა მიჭირდაო. ეს რომ გაიფიქრა, გულამომჯდარი ალიღინდა და უცებ, ღობის ლიწინი მოესმა. ღიღინი არ შეუწყვეტია ისე გაიხედა იქეთ და დაინახა, ბნელი შუკის ბოლოში, როგორ გადმოძვრა სხლტეზე ვიღაცის შავი ლანდი. ანაფორასავით გრძელ მოსასხამში გახვეული ახმახი კაცი ჩუმად გამოყვა ხეივანს, თანდილას გაუსწორდა და შედგა. არც სახე უჩანდა, არც სხეული. უცნაური მოჩვენება იდგა და თანდილასკენ იყურებოდა. „ეს ვინ ოხერიაო“, გაიფიქრა თანდილამ და ამ დროს, „რას აკეთებ აქ, თანდილაო?“ — ჰკითხა იმ ვიღაც ოხერმა.

— რას ვაკეთებ და ვმღერი! — უპასუხა თანდილამ.

— სასიმღეროდ გაქვს საქმე?

— ვინ გეკითხება შენ?

მოჩვენება არ განძრეულა. ამ უცნობი არსების სიახლოვემ, თანდილას ღიღინის გუნება დაუკარგა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სოფლის ბოლოში ძაღლ[illegible] აყმუვლდა. თანდილა მიხვდა რომ უკვე კარგა ხანი გასულიყო, რაც მ ბებერი ცაცხვის ძირში ეგდო და ღიღინებდა.

— ადე, თანდილავ და შინ წადი! — გაიგონა თანდილამ იმ მოჩვენების მკაცრი ხმა და გაბრაზდა, ეს ვინ მუდრეგია ჩემს საქმეში რომ ერევაო.

— მიდი, ბიძია, შენ საქმეს მიხედე! — უპასუხა თანდილამ.

მაშინ ანაფორაში გახვეული ახმახი უჩუმრად გაეცალა ნაცემ-ნაბეგვ თანდილას. ყაფლანის ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდა. გალავანზე გადაძვრა და ბნელ ტევრში გაუჩინარდა. თანდილა რის ვაივაგლახით წამოდგა და უკან მიჰყვა. ძალზე დაინტერესდა, ნეტავ ვინ არის ეს საქმე გამოლეული კაციო. მაგრამ გალავანზე რომ გადაძვრა, ვეღარაფერი დაინახა, არც ის კაცი ჩანდა სადმე და არც არაფერი. მაინც არ შედგა, თავისდაუნებურად სასახლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ისევ მოუნდა მაშო. რა უფლებით წამართვეს ჩემი ნაშოვი ქალი მაგ ძაღლისშვილებმაო, გაიფიქრა გამწარებულმა. სასახლეს მიუახლოვდა, სასახლეს ეძინა. ძაღლებიც მიყუჩებულიყვნენ. სამოახლო ქოხთან მივიდა. კარი ოდნავ გამოაღო, გაცივებული კერიიდან ცივი ნაცრის სუნი ეცა. „მაშო!“ — ხმადაბლა დაიძახა. პასუხად მძინარე გოგოების მაძღარი ფშვინვა შემოესმა. „მაშო!“ — კიდევ ერთხელ დაიძახა და გაინაბა. ქოხის გვერდით, ნალიაში, ვიღაც აფაჩუნდა. მერე რაღაცამ გაიჭრიალა, ვიღაცა ჩამოყვა ნალიაზე მიდგმულ კიბეს და „რომელი ხარ მანდო?“ გაისმა შეშინებული ბიჭის ხმა. თანდილა კედელს აეკრა. ძაღლები არ მომისიონო, მაგრამ ეტყობა, ძაღლებიც ცნობდნენ მგლის მომკვლელ თანდილას, რადგან ერთი ნაგაზი ქოხთან მოცუნცულდა, თანდილას მიუახლოვდა და ალერსიანად წაკრა გვერდი. მერე იქვე, ლაფაროში დაწვა და წკმუტუნით დაამთქნარა. ამასობაში, თანდილას ძახილზე გაღვიძებული ბიჭიც მოახლოვდა, ხოლო ის შავწამოსასხამიანი ახმახი კაცი არსად ჩანდა, თითქოს მიწამ უყო პირი.

— რომელი ხარ მანდო? — ისევ იკითხა ბიჭმა და თანდილამ ყვაჭიჭა შეიცნო.

— თანდილა ვარ, ნუ გეშინია, ყვაჭიჭა!

ყვაჭიჭა შეცბა.

— თანდილა, მე...

— შენ რას გერჩი? თუ ჩემი ბიჭი ხარ, ერთი მაშოს დამიძახე!

— თათრის ქალს?

— ჰო.

ყვაჭიჭამ ჩოხის უბიდან რაღაც ამოიღო და თანდილას გაუწოდა.

— თათრის ქალმა მგლის კბილი გამომატანა თანდილას მიეცი, ბაღანას ჩამოკიდოს კისერზეო.

თანდილამ კბილი გამოართვა და შორს ისროლა. ამის შემდეგ, ყვაჭიჭა ქოხში შეძვრა და ცოტა ხნის შემდეგ, უკან გამობრუნდა.

— არ არის აქანა თათრის ქალი, — ჩურჩულით თქვა მან.

— აბა, სად ძინავს? — განცვიფრდა თანდილა.

— აქანა ეძინა მარა ახლა არ წევს ლოგინში.

უეცრად, ლაფაროში წამოწოლილი ძაღლი აყეფდა და სადღაც, წკვარამში გავარდა. ქარმაც დაუბერა, შიშველი ხის ტოტები აახმაურა.

— ვხვდები მე, ვის ლოგინში ძინავს ამაღამ მაშოს, — ბოღმიანად გაიცინა თანდილამ, — ვიცი რატომ მირტყეს გვერდებში, მარა... მე არ ვიყო თანდილა, თუ ვინმეს რამე შევარჩინო!

მერე ყვაჭიჭას ზურგი აქცია და წამოძუნძულდა. მაგ კახპა დედაკაცის გულისათვის აწი თავს აღარ შევიწუხებო, გადაწყვიტა.

9.

ერთხანს, თანდილა თავის გადაწყვეტილებას მტკიცედ ასრულებდა. ზამთარი ისე მიილია და ისე მოვიდა მწვანე გაზაფხული, რომ სასახლისკენ არც გაუვლია და არც გაუხედავს. როცა დიდი მარხვა დამთავრდა და აღდგომა დადგა, ჯამბკურმა ვაჟი მოუნათლა გლახუნას. ბავშვს სახელად ამბაკო დაარქვეს. ჯამბაკური გამოჯანმრთელდა, უყავარჯნოდ დადიოდა. ამბობდნენ, თათრის ქალმა კარგი ექიმობა გაუწია და ახლა ხასობასაც კარგს უწევსო. ასეთი ხმები თანდილამდე აღწევდა და გულში ჭანგივით ესობოდა, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა იმ თათრის დედაკაცზე აღარ ეფიქრა. მაგრამ გარეგნულად თანდილა არაფერს იმჩნევდა. ყაფლანისეული ჯაგნარი გაკაფა, ამოძირკვა, მერე სიმონა ნიგურიანს ცალი ხარი თხოვა და გადახნა. თანდილა თავისი ოჯახის საქმეებით იყო გართული და სოფლის ჭორებს უხალისოდ ისმენდა. ამბობდნენ, თანდილას გალახვისთვის ყაფლან ბატონმა მკაცრად დატუქსა ჯამბაკურიო. არც ამგვარ სიტყვებს იკარებდა გულთან თანდილა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ჯამბაკურის ჯავრი არ სჭირებოდეს. მხოლოდ გლახუნას ხსენება არ სიამოვნებდა, იჭმუხნებოდა და იბღვირებოდა.

ამასობაში, გაზაფხულმა გაშალა ფრთები. აპრილმა მწვანედ მოჰქარგა მდელო, აბიბინა ირგვლივ ტყე-ველი. აღდგომა დღეს, მშვენიერი დარი გამოვიდა. მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში შეიკრიბა. ბატონი ყაფლანი მობრძანდა თავისი სახლეულით და მსახურებით, აზნაურობა და გლეხობაც დაესწრო წირვას. თანდილამ დაიბანა, ჩაიცვა, დაიხურა და ეკლესიაში წავიდა. და იმ ვაგლახი ამბის მერე, აქ მან პირველად იხილა მაშო, რომელიც ყაფლანის შინამოსამსახურე გოგოებს წამოჰყოლოდა და მათთან ერთად იდგა ეკლესიის ეზოში, ბებერი ცაცხვის ქვეშ. თანდილა გლეხების ჯგუფს შეერია, საუბარში ჩაება. მოღუშული და დაბღვერილი, ზოგჯერ მალულად უმზერდა მაშოს. და ასე, შორით მზირალი, გრძნობდა, რომ ამ ქალის სურვილი სრულიად არ განელებოდა. პირიქით, ის წვიმიანი ღამე აგონდებოდა, პირველად რომ იხილა იგი, და მოუთმენელმა ვნებამ კვლავ იმდაგვარად შეუკუმშა გული. ამ შეგრძნებამ გააოცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეზიზღებოდა ეს დედაკაცი, ასე უმოწყალოდ რომ გაიმეტა და უღალატა, მაგრამ გოგოებთან ხალისიანი საუბრით გართულ მაშოს რომ უყურებდა, არავითარ ზიზღს მის მიმართ არ განიცდიდა, აღარც ის სჯეროდა, ჯამბაკურს ხასობას უწევსო, რომ ამბობდნენ, აღარც თავისი წყენა ახსოვდა, ტანში თბილი ჟრუანტელი უვლიდა და თან სევდა

გულს უსერავდა, რადგან მისთვის აწ დაშრეტილიყო იმ სითბოს წყარო, დაკარგული და უცხო იყო ეს ოდესღაც სასურველი ქალი, რომლისგანაც უარყოფილს ახლა ბოღმა და ბრაზი კი არ იტანდა არამედ გულჩახვეული, მდორე და ულიმღამო დარდი. როცა წირვის შემდეგ, ხალხი აიშალა და ეკლესიის გალავნიდან გარეთ გამოეშურა, თანდილა გლეხების ჯგუფს ჩამორჩა, გოგოების ჯგუფს გაუსწორდა და მაშოსთან გამოლაპარაკება სცადა.

— ქალო, ის შენი თხა მომაშორე თავიდან!

ეს სიტყვები ისე მკვახედ ნათქვამი გამოუვიდა, რომ თვითვე მიხვდა, უკვე ჩატეხა ის ხიდი, რომლის გადებას აპირებდა. მაგრამ მაშომ მშვიდად მოუსმინა, მშვიდად შეხედა ერთბაშად მოვარდნილი ბოღმისაგან სახეშეცვლილ თანდილას სისხლმომდგარ თვალებში და მშვიდად უპასუხა:

— გყავდეს, თანდილა, ეგ თხა შენ. შენს ბაღანას თხის რძე მოუხდება!

— ვის რად უნდა, ქალო, შენი ჭირიანი თხა? — კიდევ უფრო დაიბოღმა და მოიქუფრა თანდილა.

— აბა, თუ არ გინდა, მიეცი ვინმეს! — მოუჭრა მაშომ.

ასე დამთავრდა მათი საუბარი.

აღდგომის მეორე კვირას, სოფელში ორი ეტლი შემოვიდა. წინა ეტლში ერთი მანდილოსანი და ორი მამაკაცი იჯდა. ქალს ევროპული სამგზავრო ტანსაცმელი ეცვა: ფართო შლაპა ეხურა, სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული, ხელში დაკეცილი ქოლგა ეჭირა, ხელთათმანები მკლავებამდე სწვდებოდა. მამაკაცებსაც ევროპულად ეცვათ: გრძელი სერთუკები და ზოლიანი შარვლები, მსხვილად გაკვანძული ჰალსტუკები, თავზე ცილინდრები და ხელში — ტროსტი. ორივეს გრძლად ჰქონდა თმა მოშვებული და წვერულვაში კოხტად გაკრეჭილი. დიდი ხალხი ჩანდნენ. უკანა ეტლი ბარგით იყო სავსე, ზანდუკები და ჩემოდნები ერთმანეთზე ეწყო. ეტლს ფეხშიშველა ბავშვები მისდევდნენ.

როცა ეტლი ორღობეში შემოვიდა, ოქროპირა ნიგურიანი თავის ეზოში ჭიდან წყალს იღებდა. ლაფაროში ჯორკოზე მჯდარი ბაბალე მეზობელს წყევლიდა, მათ უმცროს ვაჟს ბესიას წისქვილიდან საფქვავი მოჰქონდა. ხოლო ეკლესიიდან მობრუნებულმა საბამ ისის იყო შეაღო გოგიელას ეზოს ჭიშკარი. ცხენის ფლოქვების ხმაზე ყველა მათგანმა მიიხედა და თვალი გააყოლა ორღობეში ჩავლილ ეტლს. რომელსაც მტვრის ბული მისდევდა თან. მაგრამ ვერცერთმა ვერ იცნო ეტლში მჯდარი უცხო ხალხი.

ეტლი ბატონი ყაფლანის კარ-მიდამოს მიადგა და ჭიშკრის წინ, მწვანედ აბიბინებულ პატარა მინდორზე შეჩერდა. ეზოს გალავანს წინ ღელე ჩაუდიოდა, რომელზედაც ბოგირი იყო გადებული. მეეტლე კოფოდან გადმოხტა, ჭიშკარი გააღო და მიჰყვნენ ეტლები სასახლისკენ მიმავალ გრძელ ხეივანს. მსახურები და მოჯამაგირეები საქმიანობას თავს ანებებდნენ და უცხო სტუმრებს შეჰყურებდნენ. ბატონებსაც ამცნეს სტუმრების მობრძანება. ქალბატონი მენიკი და ბატონი ყაფლანი აივანზე გამოვიდნენ. წინა ეტლი სასახლეს მიუახლოვდა და კიბესთან გაჩერდა. ერთ-ერთი მამაკაცი, რომელიც ძალზე მაღალი იყო. მარჯვედ გადმოხტა ძირს და ხელი გაუწოდა ჩასასვლელად მომზადებულ მანდილოსანს. მეორე კაცმა პირდაპირ კიბეზე ისკუპა, აივნისკენ აიჭრა და ქუდი მოიხადა. და უცებ ყველამ იცნო მრავალი წლის უნახავი ბატონიშვილი ნესტორი.

ნესტორის ჩამოსვლამ დიდად გაახარა სასახლე. დიდი და პატარა გამხიარულდა, მშობლებმა შვილი გულში ჩაიკრეს. ყველანი მოდიოდნენ და ესალმებოდნენ ნესტორს, მოხუცი გადიები გულში იხუტებდნენ, ძველი მსახურები სიხარულით ულიმოდნენ, ახლები შორიდან უცქეროდნენ. ჯამბაკური განზე იდგა და მორიდებული ღიმილით შესცქერო-

და დიდი ხნის უნახავ ძმას. თავდაპირველად ვერც ნესტორმა იცნო იგი, სანამ ყაფლანმა არ მიჰგვარა ერთმანეთს ძმები. ნესტორი ჯამბაკურს გადაეხვია, ათვალ-ჩაათვალიერა და გაკვირვებით გააქნია თავი:

— როგორ გასულა დრო, ჯამბაკური სულმთლად ყმაწვილი დავტოვე...

— დიახ, ბატონო, უცბად გადის დრო, — გაიღიმა ჯამბაკურმა.

— უცბად კი გადის შვილო, მაგრამ რამდენი რამ იცვლება ამ სიუცბათეში!? — ჩაილაპარაკა ყაფლანმა.

ამასობაში, ნესტორის თანმხლები ქალი და მამაკაცი აივანზე ამოვიდნენ და თან რომელიღაც უცხო ენაზე baaსობდნენ. ეს უცხო ენა ფრანგული იყო, ხოლო ფრანგის ქალი — ნესტორის მეუღლე.

— მომიტევეთ მშობლებო, რომ ეს ამბავი თქვენს უკითხავად გადავწყვიტე, მაგრამ გარემოება შეიქმნა ისეთი, რომ... გთხოვთ, მიიღოთ და შეიწყალოთ თქვენი რძალი მადლენი, — თქვა ნესტორმა.

— თუ ეს ფრანგის ქალი შვილებს ქართულად აღგიზრდის, რა მაქვს საწინააღმდეგო? დამილოცნიხართ, ბატონო! — ბრძანა ყაფლანმა და ზედმეტი შეკითხვებით აღარ შეუწუხებია ნამგზავრი ნესტორი. მამამთილმა, დედამთილმა და მაზლმა შუბლზე აკოცეს უცხო ქვეყნიდან მოვლენილ რძალს.

ამის შემდეგ, ნესტორი თავისი თანამგზავრი კაცისკენ შებრუნდა და იქ მყოფთ წარუდგინა:

— ეს კაცი ბეგლარ ნიგურიანი გახლავთ!

ყველანი ბეგლარს მიაჩერდნენ. ბეგლარ ნიგურიანი დანარჩენებზე მთელი თავით მაღალი იყო. მას არანაკლებ ძვირფასი ტანისამოსი ეცვა, ვიდრე ნესტორს. გრძელი წაბლისფერი თმა ჰქონდა. წაბლისფერი წვერ-ულვაში და ცისფერი თვალები. წელში გამართული იდგა. აღარაფერი მიუგავდა იმ ატირებულ და შეშინებულ გლეხის ბიჭს, ოდესღაც მსახურად რომ გაატანეს ნესტორს უცხოეთში. „ეს ყმაწვილი რამხელა გაზრდილა, ვეჟო?!“ და ყაფლანმა ბეგლარს და ხელი გაუწოდა. ბეგლარმა ყაფლანს ხელი ჩამოართვა, ხოლო ქალბატონ მენიკის მოკრძალებით დაუკრა თავი. ყველას თამამად უცქერდა და უღიმოდა. ჯამბაკურსაც ხელის ჩამორთმევით მიესალმა.

— გახსოვართ, ბატონო ჯამბაკურ?

— როგორ არა, ჩემო ბატონო! — ბატონობითვე მიმართა ნაბატონარმა თავის ნაყმევს.

მოსამსახურეები და მოჯამაგირეები მოწიწებით შესცქეროდნენ ბეგლარს, ალბათ, გულში იმას ფიქრობდნენ, რამხელა კაცი გამხდარა ეს ჩვენი თვისტომიო. ამას რომ ფიქრობდნენ, მხოლოდ მის სიმაღლეს და ტანადობას კი არ გულისხმობდნენ. ბეგლარი ნესტორისაგან ძალზე განსხვავდებოდა, მაგრამ რაღაც ჰქონდა მასთან საერთო, მიხვრა-მოხვრა, მოქცევა თუ ლაპარაკის კილო. ეტყობოდა, ერთმანეთთან ძალზე შევრდომილნი რომ იყვნენ.

— რა ამბავია, შვილო, ფრანგისტანში, რომელი კერძია უფრო მოწონებული?! — გაეხუმრა ყაფლანი ბეგლარს.

— ბატის ღვიძლის პაშტეტი, ბატონო! — მიუგო ბეგლარმა.

— რა ვიცი, ბოშო, მე მითხრეს ბაყაყს და ლოფორთქინას ჭამენო, — და ყაფლანმა ირიბად გადახედა თავის რძალს.

ამის შემდეგ, ნესტორი ცალკე იხმო, თავის ოთახში გაიყვანა, კარი გადარაზა და პირდაპირ ჰკითხა:

— ნესტორ, ასეთი მოულოდნელი ჩამოსვლით რაიმე საშიშროება ხომ არ გელის?

— არა, ბატონო!

ყაფლანმა ჩიბუხი დატენა, კვეს-აბედი გაჰკრა და მოუკიდა.

— ნურაფერს დამიმალავ, თუ კაცი ხარ.

— გავლენიანმა პირებმა გენერალ-ლორის-მელიქოვთან მიშუამდგომლეს,

მისი წყალობით ნება მომეცა სამშობლოში დაბრუნებისა.

— გეპატია დანაშაული?

— მამა ბატონო, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია!

მაშინ ყაფლანმა შვილს სახეში შეხედა. ერთხანს უყურა, თითქოს ცნობდა და ვეღარც ცნობდა თავის პირმშოს. მან არ იცოდა ვინ იდგა მის წინაშე, როგორი კაცი, რა პიროვნება. მაგრამ ათი წლის უნახავმა შვილმა ერთბაშად ჩაუსახა დიდი იმედი, ყაფლანს გაეღიმა და ყალიონი გააბოლა.

სტუმრებს თავთავიანთი ოთახი მიუჩინეს, დიდი მზადება გაიმართა სადილისათვის. ყაფლანმა მოყვრებისა და მეზობელი თავადების დასაპატიჟებლად გლახუნა უნდილაძე გააგზავნა. ნესტორმა ბეგლარი შინ არ გაუშვა და ამგვარად, ყაფლანის ნაყმევის შვილი, პირველად შეიქმნა ნაბატონარის სტუმარი. სტუმრებმა დაისვენეს, ტანსაცმელი გამოიცვალეს და ნაშუადღევს ეზოში გამოვიდნენ. სამთავემ ბაღს მიაშურა, სადაც ბატონ ყაფლანს მშვენიერი ყვავილნარი ჰქონდა გაშენებული. ტკბილი სურნელება იდგა წალკოტში, ჰყვაოდა ვარდი, იასამანი, ლურჯი ზამბახი, თეთრი შროშანი. თეთრად შემოსილი მადლენი ნესტორისა და ბეგლარის თანხლებით დასეირნობდა ხეთა ჩრდილში. დინჯად ბაასობდნენ სადილის მოლოდინში.

ამასობაში, ყაფლანმა კაცი გაუგზავნა ნიგურიანებს და შეატყობინა ბეგლარის დაბრუნება. ოქროპირა, ბესია, საბა, გოგიელა და სიმონა ნიგურიანები სასახლეში მოვიდნენ. მათ თან ახლდათ თანდილა ნიგურიანი, რომელიც ამათ გარეშე ბიძაშვილად მოხვდებოდათ. თანდილა მგელივით ჯიქურად აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ნიგურიანები სამზად ქოხს მიადგნენ, სადაც ფარეშები ფაციფუცობდნენ, მზარეულები საკლავს ქნიდნენ, სხვები კიდევ ცეცხლს უკეთებდნენ. აქ, ისინი სისო მოურავს წააწყდნენ და თხოვეს, ბეგლარი გვაჩვენე, გავიგეთ ჩამოსულაო. სისომ ყაფლანი განზე გაიყვანა და ბაღში მოსეირნე თეთრად შემოსილი უცხო ხალხი დაანახა.

— ე, ის მაღალი კაცია ბეგლარი!

ნიგურიანებმა ქუდები მოიხადეს და ბაღთან მივიდნენ. შორიახლო შედგნენ, მოწიწებით შეხედეს მდიდრულად ჩაცმულ მაღალ კაცს. ვერაფრით ვერ აღექვათ, რომ ეს ფრანგულად მოსაუბრე უცხოელი მათი სისხლი და ხორცი იყო, აქაური მჭადით და ლობიოთი გამოკვებილი. იდგნენ და უცქეროდნენ, სანამ ბეგლარმაც არ შეამჩნია ისინი, ბაღის კართან მორიდებით მდგარნი. თავმოშვლეპილი გლეხების დანახვაზე ბეგლარმა საუბარი შეწყვიტა, შუბლშეჭმუხნულმა, გაკვირვებით გამოიხედა მათკენ, დაჟინებულ, მომლოდინე მზერას წააწყდა, მაგრამ ვერცერთი ვერ იცნო. მაშინ ოქროპირამ მხნეობა მოიკრიბა და ნაბიჯი წარსდგა წინ:

— ბეგლარ ბატონო, მამათქვენი გახლავართ, ოქროპირა!

და უცებ, ბეგლარს მოაგონდა კეცის მჭადის და ქოთნის ლობიოს გადავიწყებული გემო, თვალწინ წარმოუდგა ნესტიან ნისლში გახვეული ვრცელი დაბლობი, რიონის პირზე შეყენებული ურმები, კვლავ შემოესმა მდინარის მდორე ტალღების ტყლაშუნი, კვლავ დაინახა ნაპირზე მდგარი თავმოშვლეპილი გლეხები და ერთბაშად, ხელები წინ გაიშვირა და „ბაბა“, „ბაბაო“! — დაიძახა.

მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ. დანარჩენი ნიგურიანებიც მისცვივდნენ თავის სახლიკაცს, გამოეცნაურნენ, ხელი შეახეს, მიუალერსეს და დიდად გაიხარეს.

იმ დღეს, ნიგურიანები სადილად სასახლეში დატოვეს. სამზადის გვერდით, დიდი კაკლის ჩეროში, გრძელი ტაბლა დაუდგეს და უხვი სუფრა გაუშალეს. ნიგურიანები ტაბლას შემოუსხდნენ. მათ ყვაჭიჭა და თათრის ქალი ემსახურებოდათ. თანდილა თათრის ქალს თვალს არ აშორებდა, გამომწვევად, დამცინავი ღიმილით შესცქეროდა, რო-

ცა მას სუფრაზე რამე მოჰქონდა, ან მიჰქონდა. ქალი ამჩნევდა ამ ახირებულ მზერას, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუხედავს თანდილასაკენ, თითქოს ის აქ არ მჯდარიყოს. როცა ქალი სამზადში შედიოდა, მხოლოდ მაშინ მოუბრუნდებოდა თანდილა მეინახეებს და საუბარში ერთვოდა. მაგრამ ცალი თვალი მაინც მაშოსკენ ჰქონდა, რომელსაც ბიჭები ელაზღანდარებოდნენ ხოლმე, და იმათ ხუმრობაზე ქალის სიცილ-კისკისი რომ ესმოდა, გული ბოღმით უსივდებოდა. ირგვლივ დიდი ფაციფუცი იყო. ფარეშები სამზადიდან სასახლისკენ გარბი-გამორბოდნენ. იქეთ კერძებს მიარბენინებდნენ, აქეთ — ცარიელ ლანგრებს, ხონჩა-ტაბაკებს და ჯამ-ჭურჭელს.

სუფრა დიდ დარბაზში იყო გაშლილი.

— ჭამეთ მახლობელნო და სვით, და დაითვერნით ძმისწულნო! — მიმართა სტუმრებს ბატონმა ყაფლანმა სოლომონ ბრძენის სიტყვებით. იგი სუფრის თავში დაბრძანდა, გვერდით ქალბატონი მენიკო მოუჯდა, მის გვერდით ნესტორი დაჯდა. მერე მისი ფრანგი მეუღლე, მერე ბეგლარი... სუფრის მეორე თავში ჯამბაკური იჯდა. ჩიხტაკოპიანი თავადის ქალები და ჩოხოსანი მამაკაცები, ამ ოჯახის მოყვრები და კეთილი მეზობლები, გრძელ მაგიდას შემომსხდარნი, გულიანად ილხენდნენ. გიყვარდეს, მოლხენა კარგი იცოდნენ. თამადობა ბატონმა ყაფლანმა იკისრა. ყოველ სადღეგრძელოს ალავერდით ჯამბაკურთან გადადიოდა. ჯამბაკურის ძიძიშვილები ფარნა და თათარხან, რომლებიც თანდილამ ტყეში დასტოვა, კარგა ხანია დაბრუნდნენ ტყიდან, ახლა მერიქიფეებად იდგნენ და უმალ ავსებდნენ დაცლილ სასმისებს. ღვინოს არავის აძალებდნენ, ვისაც რამდენი სურდა იმდენს სვამდა. ქალბატონი მენიკო, ჯამბაკური, თათარხან და ერთი მოხუცებული თავადი ელიზბარი დრო და დრო ტკბილად იმღერდნენ. ფრანგის ქალს ძალიან მოსწონდა ქართული სიმღერა და წამდაუწუმ რაღაცას ეკითხებოდა ხან ნესტორს და ხან ბეგლარს.

როცა ნესტორის დღეგრძელობის ჯერი დადგა, ყაფლან ბატონი ზეზე წამოდგა. სამშობლოში დაბრუნება მიულოცა შვილს, სიკეთე და ჯანმრთელობა უსურვა ქვეყნის საკეთილდღეოდ და შემდეგ, რამდენიმე სიტყვით ცალკე მიმართა რძალს:

— განათლებული ქვეყნის შვილი ბრძანდებით, ძვირფასო რძალო. ვიმედოვნებ, გაგვიგებთ და შეგვეთვისებით. დღეს უმწეო ხალხი ვართ, მაგრამ ოდესღაც არავის დაუვარდებოდით. წუთისოფელი ბედის ტრიალია, ვინც ჩვენ ასე დაგვჩაგრა, შეიძლება ოდესმე, ჩვენზე უარეს დღეში ჩავარდეს. ჩვენი დამპყრობნი მარად ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ თავის ზნეზე მიგვაქციონ, მაგრამ ვერ მოგვდრიკეს. ვერც მოგვდრეკავენ. ჩვენ გვწამს, ჩემო რძალო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ აღვსდგებით, და თუ ვინმეს რაიმე სიკეთე გამოუჩენია ჩვენს მიმართ, ასკეცად გადავუხდით. მე ვიმედოვნებ, ძვირფასო რძალო, ჩვენს ჭირს და ვარამს გულწრფელად გაიზიარებთ. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ამისათვის!

ეს სადღეგრძელო, რომელიც დიდის პატივით შეისვა, ნესტორმა მადლენს უთარგმნა. მადლენმა მადლობა გადაიხადა და თქვა, აქაურობა ძალიან მომწონსო. მერე საუბარი უცხო ქვეყნებზე ჩამოვარდა. ნესტორი მოკლედ უყვებოდა იქაურ ამბებს, აქებდა იქაურ წესებს, უყვებოდა, თუ რა გარდახდა თავს უცხოეთში.

— მე ევროპას არ გავცილებივარ, — გაიღიმა ნესტორმა და ბეგლარს გადახედა. — ამ კაცმა ჩემზე მეტი ნახა.

— მართლა მოიარე, შვილო, ქვეყნიერება? — ჰკითხა ყაფლანმა ბეგლარს.

— კი, ბატონო, მოვიარე.

— მაინც რომელი ქვეყანა მოგეწონა ყველაზე მეტად?

— იაპონია!

— მაგი სადაა, ვექო?

— აღმოსავლეთში გახლავთ, საიდანაც მზე ამოდის.

— აგაშენა ღმერთმა! — ზეზე წამოდგა ყაფლანი, — ჩვენს ბეგლარს გაუმარჯოს, ბატონებო! ისეთი დრო მოდის, თავადიშვილობას და გლეხიშვილობას ფასი არ ექნება. განათლებული კაცი იქნება თავადი და გაუნათლებელი — გლეხი.

— მაგი ღმერთმა ნუ ქნას, — ჩაილაპარაკა ვილაცამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრანგული ენის მცოდნე და იაპონიის მნახველი ბეგლარის სადღეგრძელო ყველამ თავაზით შესვა.

— ხედავ, ძმაო, რას შვება სწავლა? კაცი არ გამხდარა ეს ყაზახი ნიგურიანი?! — უთხრა ფარნამ ძმას და ბეგლარს შურით შეხედა.

ამასობაში, მსახურებმა თაბახზე დადებული შემწვარი დეკეული შემოიტანეს. ყაფლანმა თვალი ჩაუკრა სისო მოურავს, იმან ხანჯალი დაიძრო და დეკეულს მუცელი გაუფატრა. იქედან შემწვარი ცხვარი გადმოგორდა, რომელიც ცარიელ თაბახზე დადეს. მოურავმა ცხვარიც გაფატრა და შემწვარი გოჭი გადმოიღო. გაფატრულ გოჭს შემწვარი ინდაური მოჰყვა, ინდაურს ქათამი და ქათამს კვერცხი. ეს კვერცხი ყაფლანმა მოურავს გამოართვა და ახალ რძალს დიდის პატივით დაუდო თეფშზე.

— კესკესეო? — იკითხა გაკვირვებულმა ქალბატონმა მადლენმა და ჯერ ნესტორს მიაჩერდა, მერე ბეგლარს.

— პატ-დე-ფუა-გრასო! — დაუყოვნებლივ მიუგო ბეგლარმა.

მაშინ ქალბატონმა მადლენმა კვერცხი გატეხა, შიგ რაღაც შეჭამანდი იდო. დანის წვერით პურის ნაჭერს წაუსვა იმერულად შეკმაზული ბატის ღვიძლის პაშტეტი, გასინჯა და აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა.

თანდათან ჩამობნელდა. სასახლეში ლხინი გრძელდებოდა. ერი იგი, დამსხდარი ჭამად და სმად, აღსდგა სიმღერად. იყო მღერა და თამაში. სამზად ქოხთან მოქეიფე ნიგურიანებიც ჯვარიანად შეთვრნენ. შეზარხოშებული თანდილა ჯორკოდან წამოდგა და ქოხისკენ გაემართა. თათრის ქალი კერიის პირას ერთმანეთზე დაწყობილ კეცებს მაყალს უცვლიდა. თანდილა ქოხის სვეტს მხრით მიეყრდნო.

— ქალო, ხომ გითხარი, მომაშორე ის შენი ძინგლიანი თხა-თქვა?!

ქალმა ირიბად ამოჰხედა თანდილას.

— თანდილავ, ხომ გითხარი, შენ გყავდეს, არ მინდა-თქვა?!

მაშინ თანდილამ ცალყბად, უხერხულად გაიღიმა...

— აბა, ისე გამეგევლო... — და მისი სიტყვები, ვითომდა აგდებულად, ხუმრობით ნათქვამი, სანუკვარ თხოვნასავით გაისმა. ქოხში მყოფმა გოგოებმა ჩაიკისკისეს, ხოლო მაშომ მყისვე იგრძნო უპირატესობა, შავი თვალები ეშმაკურად აბრიალა, დამცინავად გაიღიმა.

— ხომ ხედავ, თანდილავ, შენთვის არ მცალია, საქმე მაქვს!

— ვის რად უნდიხარ, შე უჯიშო, გაგიწყრა პატრონი, — შეუღრინა თანდილამ და კვლავ თავისიანებს მიუბრუნდა.

კარგა დაღამებული იყო, როცა სასახლეში ქეიფი დამთავრდა. სტუმრები აიშალნენ. ჩიხტაკოპიანი ქალები ამორძალებივით შესხდნენ ცხენებზე. მაშხალიანმა მსახურებმა ჯილავში წაავლეს ცხენებს ხელი და ქალბატონებს ჭიშკრისკენ წარუძღვნენ. შეზარხოშებულმა კაცებმა ყაფლანის ვრცელ ეზოში გააჯირითეს თავიანთი ბედაურები. ისმოდა ჭიხვინი, მათრახების ტკაცანი, ვილაცამ ჰაერში დამბაჩა დაცალა. მერე ხმაური თანდათან მიწყდა. ნაქეიფარი სტუმრები ოროლბეებში დაიქსაქსნენ. მხოლოდ შეზარხოშებული ნიგურიანები იდგნენ სასახლის კიბესთან და ბეგლარს ელოდნენ. ბოლოს ბეგლარიც გამოჩნდა, აივანზე გამოვიდა.

— ბეგლარ, შვილო, შინ წამობრძანდები? — შეეკითხა ოქროპირა.

— ამ წუთში, ბაბა, — თქვა ბეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარმა და კვლავ სასახლეში შებრუნდა. ცოტა ხნის მერე მსახურებმა ბეგლარის ბარგი გამოიტანეს და ნიგურიანებს დაურიგეს. ნიგურიანებმა მკვირცხლად გაინაწილეს ბარგი, ბეგლარმაც ჩამოიარა კიბეები და ყველანი ერთად გაუდგნენ გზას. ღვინისაგან გათამამებულ ნიგურიანებს იმდენად აღარ ერიდებოდათ თავიანთი სახლიკაცისა.

— რავა ხარ, ბეგლარ?

— სად იყავი, ბიჭო?

— რა ისწავლე, რა ნახე? — ეკითხებოდნენ ისინი.

— გემის მართვას ვსწავლობდი, მევიარე დუნია. — პასუხობდა ბეგლარი.

— ხომ ვამბობდი, იქედან კაცი დაბრუნდება-თქვა, — ხელებს ისრესდა გახარებული საბა.

ნელა, ბაასით მიდიოდნენ ბნელ ორღობეში და ბეგლარი ვერ ცნობდა გარემოს. იქ, უცხოეთში გადახვეწილს, საკუთარი სოფელი სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ახლა ეგონა, თითქოს კვლავ უცხო მხარეში მოხვდა. ეკლესიას რომ ჩაუარეს, თითქოს რაღაც მოაგონდა, რაღაც შეირხა მეხსიერების ბურუსში, ხოლო როცა ოქროპირას კარ-მიდამოს მიადგნენ და ბოგირზე შედგა ფეხი, დიდი ხნის წინათ სიზმარში ნანახ და მერე გადავიწყებულ სურათივით შეიცნო სიბნელეში ჩაფლული ისლის ქოხი, რომლის ღია კარიდან კვარის მკრთალი შუქი ბჟუტავდა, მაგრამ მაინც ვერ იგრძნო სიხარული, რადგან ეს გარემო, თითქოს ოდესღაც სიზმარში ნანახი, გაუცხოვებულიყო, აღარ ეკუთვნოდა, არ იზიდავდა. უცხოსავით შეხვდა დედასაც. ბაბალე კაპასი ქალი იყო და არც შვილებს ანებივრებდა ალერსით. ახლა „დედა შემოგევლოსო“, მიეალერსა ბეგლარს, მაგრამ დედისგან ტკბილი სიტყვის უჩვევ ბეგლარს ეს მოფერება ყალბი და ნაძალადევი მოეჩვენა. ნიგურიანებმა ბარგი დააწყეს და შუაცეცხლს შემოუსხდნენ. ბეგლარმა ერთი ზანდუკი გახსნა და ყველას რაღაც უფეშქაშა, ზოგს ქუდი, ზოგს წუღა, ზოგს დანა და ზოგს ყალიონი. დედას თავშალი მოახვია მხრებზე.

— მოიარე დუნია, ხომ? — კიდევ ერთხელ შეეკითხნენ ბეგლარს.

— მოვიარე, მოვიარე!

მერე ყველანი წამოდგნენ, არ დარჩნენ ვახშმად, თუმცა ბაბალე დაფაცურდა და შეიპატიჟა მოყვრები. მაგრამ უკვე გვიან იყო. ნასმურებიც გახლდნენ, „ხვალ გამოვივლითო“ და შინ წავიდნენ. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ბაბალემ, ოქროპირამ და ბესიამ ჭიშკრამდე მიაცილეს ნათესავები. მიწის იატაკიან ისლის ქოხში მარტო დარჩენილ ბეგლარს სევდა მოერია. გადაჩვეოდა აქაურ ყოფას, ცივი და უბადრუკი ეჩვენა მშობლიური კერა. მერე კი, როცა დედამ ფანჯარასთან მდგარ ტახტზე ნესტის სუნით გაჟღენთილი ქვეშაგები გაუშალა, ბეგლარმა ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და მოწყენით გახედა ცაზე ამოსულ მთვარეს. ის ღამე მოაგონდა, მეზღვაურობის დაწყებისთანავე, მარსელიდან გასული გემის ერდოზე რომ იდგა ხმელთაშუა ზღვაში. მაშინ მთვარემ ღრუბლის ქობა რომ გამოარღვია და ვერცხლისფრად აალაპლაპა ლილისფერი ზღვის მძიმე ზვირთები, მშობლიური ქოხი მოენატრა ბეგლარს, თვალწინ წარმოუდგა ქოხის გვერდით მდგარი ბჟოლის ხე, ზედ ქათმები რომ იდებდნენ ბინას ღამღამობით. ახლა კი, მრავალი წლის შემდეგ შინ დაბრუნებული, შორეულ ქვეყნებზე ოცნებობდა, გრძნობდა, რომ აქ აღარ ედგომებოდა, ხვდებოდა, რომ ისევ უნდა შერთვოდა უცხო მხარეებსა და უსასრულო ზღვას, და სევდა იპყრობდა.

ზღვა პირველად ფოთში იხილა. ეს იყო მაშინ, როცა ნესტორს გააყოლეს ლალად რუსეთში. მთელი ღამე მიირწეოდა ორპირიდან გასული პატარა გემი ულრანი ტყეებით გარშემორტყმული რიონის ღონიერ ტალღებზე და გამთენიისას, გემის ერდოზე მდგარმა ბეგლარმა დაინახა ხმელეთის კიდე, რომლის იქით უფერული და ცარიელი სივრცე მოჩან-

და, გემის წინსვლასთან ერთად მუქი სილურჯით რომ ივსებოდა, ფართოვდებოდა და ზევით იწევდა ვეებერთელა სასწორის თეფშივით. ეს იყო ზღვა, და ორი დღის განმავლობაში, სანამ ოდესისკენ მიმავალ სამხედრო ხომალდს ელოდნენ ფოთში, ბეგლარი არ მოშორებია ზღვის სილიან ნაპირს, იმდენად მოხიბლა მანამდე უნახავმა უცნობმა სტიქიამ. მერე კი, როცა ხომალდმა ოდესისკენ აიღო გეზი, გემბანზე მდგარი ბეგლარი მოჯადოებულივით გასცქეროდა უზარმაზარ ლურჯ წრეს, რომლის შუაგულში მოქცეულიყო თვითონ.

ოდესაში მცირე ხანს შეყოვნდნენ. ნესტორს ნაცნობები ჰყავდა მოსანახულებელი. ბეგლარი მარტოდ-მარტო დასეირნობდა ამ მშვენიერი ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში. აქ ყველაფერი უცხო იყო მისთვის, მაღალი სახლები, სუფთა ქვაფენილები, უამრავი ხალხი. მათი იერი, ენა, ჩვევები, მაგრამ ყოველივე ამის შემხედვარე არავითარ გაკვირვებას არ იმჩნევდა, რადგან მართლაც, არაფერი აკვირვებდა ისე, როგორც ბოლაზში თავმოყრილი ურიცხვი გემი, სად მიდიოდნენ, საიდან მოდიოდნენ, რა მიჰქონდათ, რა მოჰქონდათ?

ოდესიდან პეტერბურგს გაემგზავრნენ. გზად ათასი საკვირველებანი შემოხვდათ, მაგრამ ყველაზე მეტად პეტერბურგში იმან გააოცა ბეგლარი, რომ აქ თითქმის არ ღამდებოდა, გაუწყვეტელი თეთრი დღე იდგა. იმ თეთრ დღეებსაც აუღო ალღო და გრძელ ღამეებსაც. რუსული ენაც მალე შეისწავლა. ქართული წერა-კითხვა საბასგან ჰქონდა შინ ნასწავლი, ნესტორის დახმარებით რუსულ ანბანსაც დაეუფლა. შემოდგომით, ნესტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ბეჯითად სწავლობდა, თავისუფალ დროს ბეგლარსაც ამეცადინებდა. ასწავლიდა ლათინურს, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, არითმეტიკას, ალგებრას, და რაც უფრო მეტ ნიჭსა და მონდომებას ამჩნევდა თავის მოწაფეს, მით უფრო ემატებოდა ხალისი მისი განსწავლისა, და მით უფრო იშლებოდა ზღვარი მათ შორის.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

## ნატვრის ასრულება

მზე მაცხუნებდა თუ თავს მაწვიმდა, —
რაღაც სასწაულს მუდამ ველოდი,
მწამდა თბილისი, მცხეთა, მთაწმინდა
და ვამაყობდი საქართველოთი.
მიყვარს სამშობლო, მისი მთა-ბარი,
ბრძენთ შესაფერი ენა ქართული,
შოთას ტრფიალი — მეფე თამარი,
ოქროს ქამარით შემოკვალთული;
აჰა, აღსრულდა მგოსნის იგავი
და არ გამიწყდა ჯამბაზს მავთული,
ნაპრალის თავზე როცა ვიყავი
გაჭიმულ თოკზე რბენით გართული.

* * *

გრძელი ზამთარი ისე წავიდა, —
არ მივჯდომივარ სოფელში ბუხარს,
სად ვკითხულობდი ისევ თავიდან
„ქართლის ცხოვრებას“, შოთას და სულხანს.

## ხანისწყლის გრიალზე

ღამღამობით მესმოდა
ხანისწყალის გრიალი
და მეზობლის ეზოდან
დიდი ცაცხვის შრიალი.
მაშინ ვიგრძენ ობლობა
იმ მთვარიან ღამეში
და გულს მწოვდა ობობა
შავი, ვით „გილგამეში“

* * *

მთაშუბანზე ღრუბელი
ჩანდა სევდის მგუბველი,
ვით სასახლე „გრაალის“.
მასზე თეთრი არ არის
მარმარილო კარარის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოლოდინი

ცივი ღამეა, ძელქვა შიშველი
ჩონჩხიან ხელებს ცისკენ ატოტებს,
და შერჩენილი ბუდის მიშვერით
დგას, ევედრება ცისფერ მნათობებს.
ღვივის ვარსკვლავთა ქვასაბერტყელი
და გაზაფხულის მოსვლის ნუგეშით,
შვიდი მნათობი ცხოველმეტყველი
სცვივა შარშანდელ, დაცლილ ბუდეში.

ცივი ყინულის ისმის შიშინი
და ეშინიათ ციცქნა თრითინებს,
უკან მისდევენ კორას ისინი,
ხოლო დემეტრე მთაში ქვითინებს.
შობის ხის წვერზე ჯდება მნათობი
განთიადისას ბავშვთა გამრთობი.
მერმე დაისი დაცხრა თუ არა,
მთაშუბანს წერომ გადაუარა.

## ჩილელის ჩივილი

ჩემი კარების ჯაჭვი ჩხრიალებს,
ვით ბორკილები ტუსაღებისა,
ნაშუაღამევს თუ სურთ ტიალებს
კარზე მორგება გასაღებისა!
ჩრილში ლილისფრად ლივლივებს
ლულა,
ვხედავ, ჯალათი ბოროტ თვალს
ლულავს,
რომ შეასრულოს ზრახვა მზაკვრული—
ამაოდ დაშვრა ჯალათთა ჯარი,
რადგან კარებზე დახვდა გაკრული
მას ტყვიაგამძლე ფოლადის ფარი.
მყისვე მოშორდა კარებს ჯალათი,
სისხლით მოთხვრილი თვისი ხალათით.
სახურავიდან თუ არ დაეშვა, —

ძაღლი ძაღლს ჩემზე ველარ დაუშავს.
რამდენი კაცი მოსპო მტარვალმა,
რამდენი დაწვა ცეცხლმა ვარვარამ!
პინოჩეტს ახლავს ხვრეტის ოსტატი,—
პირსისხლიანი მგელი ოთხთათით,
და არაკაცი, მხეცი ნამდვილი.
მისთვის კაცის კვლა არის ადვილი.
ო, ვით წარმოშვეს იმ ვერაგებმა
კაენის მოძმე, ნადირი პანჩო,
მოყვასთა სისხლით რომ ველარ ძღება,
და იგი. ახრჩობს?!
განა იმდაგვარ ფაშისტებს დარჩათ
ოქრო და ფარჩა?!
ამაო არის ამაზე ფიქრი.
მათი მძლავრობა ქრება და მიჰქრის.

## ხ ე ვ შ ი

ახლაც მიტაცებს მათი ცხოვრება
როგორც მთის წყარო ცივი ანკარა,
და მე სულ მუდამ მემახსოვრება
ხალხი მამაცი და უანგარო.
ჩამოვიტოვე მთა-ყინვარწვერი,
არ ჩანს ელისო, ვეფხვი ელგუჯა,

გმირი მოხევე და ხევისბერი,
ხელში ხანჯალი რომ ჩაებღუჯა.
ხევში გაისმის თერგის ღრიალი,
წინ ელობება კლდეების ზღუდე
და შავი მღვიმე თვალებდათხრილი
ჩანს, ვით დაცლილი არწივის ბუდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი დაბადების დღეს

ჩემი დაბადების დღეს
შემოდგომის ცრის წვიმა,
მთაში რუხი ქურქი ძევს,
ზედ ფოთოლი ხის ცვივა.

ზეცა მოღრუბლულია,
მთები დამუნჯებული,
მზე, ცისკარი მწყურია
მგოსნებისგან ქებული.

## გაფრთხილება

მეოთხმოცე გაზაფხულს
შევესწრები გაისად,
გარეგარე ნუ მივლით,
მთის ჭაბუკნი, ბარისა,
რადგან თქვენც დაბერდებით,
თქვენც დაჰკარგავთ ხალისსა

და თქვენს ბაღში დროჟამი,
სხვებს გაუშლის ხალიჩას.
ნუ იქნებით მის გამო
დაზაფრული, მდუმარი,
რადგან არ დაელევა
წუთისოფელს სტუმარი.

## მინაწერი მურმან ლებანიძის წიგნზე

შენ გაიხარე მურმან,
იცი ლხინიც და ურვაც...

შენ შენი წილი იგემე ჰირი,
და სიხარულიც გამარჯვებისა,
როს ანისისკენ იბრუნე პირი
და ბრძენ დავითის ქება გეღირსა.
შენ იქ იხილე დავითის ხმალი,
ფარი, ჩაფხუტი და მუზარადი,

ქართველთ ბანაკში კოცონის ალი,
ტყვე ქაიხოსრო და მურზაყანი.
იხილე ხევსურთ შენ ტალავარი,
შემკული მინდვრის ლურჯი ყვავილით,
ვით თამარ-მეფის თვალის ჯავარი
და მკლავში იგრძენ ბრძოლის ქავილი.

შენ გაიხარე, მურმან,
იცი ლხინიც და ურვაც...

## ავი ზმანება

სპარსმა შელეწა მეტეხის კარი,
მეციხოვნენი მოსრნა, გაჟლიტა,
მეტეხის ძირას ვიდოდა მტკვარი
გვამებით სავსე, შმაგი გარჯითა...
„ჰკა, არ გაუშვა, მოჰკალი გურჯი!“
მტერი იძახდა ავ გახელებით,
მთას გაიხიზნენ მხნე კახელებიც.

ღამე ჩამოდგა ვეება, მუნჯი,
დუმდა ქედებზე ქართველთ ქვემეხი —
ვერ გადუხადა მტრის ჯარს ქელეხი.
ამოდიოდა გომბორის მთვარე
არაგველების სისხლში ნაბანი
და ქართველების ზღვა სისხლით
მთვრალებს,
მტრებს დავიწყნოდათ ომის ჭაპანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ყანჩა

ამაო შრომით დაქანცული და სევდიანი,
ყანჩა ლამაზჩელ რაინდივით მიაბიჯებდა,
ვერ მოსპო ბრძოლით ბოროტება, მანკი ტიალი,
ვერც რა გააწყო ქვასროლია სოფლის ბიჭებთან,
ტბის პირას მაღალს ხიბლავს კიბო, ლორჯო და ჭია,,
კაცს — სანაპირო მუხიანში ლურჯთვალა ია.

## მოირა

ბუკის ხმასა ჰგავს ამ ძაღლის ყეფა,
რად არ უსკდება ბებერი კეფა?
მზე ჩაესვენა, მწუხრის ჟამია,
არვინ იმღერის მრავალჟამიერს,
ერთი ფოთოლი ხეშეში, მჭკნარი,
ჭადრის მწვერვალზე შემორჩენილი
თრთის, ეშინია სიკვდილის ბრჭყალის,
რომ არ წაიღოს შავეთს წერილი,
ფოთოლს რა უშავს? ის ისევ მოვა,
როცა მთიანში შეწყდება თოვა,
კაცმა კი არ ჰქნას? რა ეშველება,
როცა შავეთის დახურულია ყველა კარედი!
და ვერ გამოვა თვით ჰეგელი თვისი კარეტით
და ამ სამყაროს ვეღარ მოიარს
რადგანაც მასზეც მძლავრობს მოირა.

## სჯულმდებელი

ბებერი მცხეთის ყველა წერტიდან
მთის წვერზე მოსჩანს ტაძარი—ჯვარი,
ვით მარტოსული, უცხო ერთი და
მცხეთამ რომ თვისი გაუღო კარი.
გამოეარა ქალწულს ქვეითად,
კაბადოკია, უდაბნო ცხელი.
თავს ატყდებოდა მეხი ელვითა
და მცხეთის კარებს შეახო ხელი,
ქალს მეციხოვნემ გაუღო კარი,
მიიპატიჟა უცხო სტუმარი,
ციხეში გრილი შეიჭრა ქარი
და მყის მოესმათ ხმა იდუმალი...

* * *

სტუმარს ეახლა მეფე და ჯარი
და კვლავ დატოვეს გაუბაწრავი.
ქალმა ვაზისგან გამოსჭრა ჯვარი,
შემოახვია თბილი ნაწნავი,
რათა ცოდვასა —უცოდველობას
გადაეხადა ქართლში ქორწილი
და მოეტანა ამ დიდ ხელობას

მშობელ ხალხისთვის შვება ორწილი.
ნინომ აღმართა სვეტიცხოველი
და იქადაგა ქრისტეს მოძღვრება,
ამას მოგვითხრობს ბრძენი მროველი.

მაყვალი, კლდეზე კვლავ რომ
მოძვრება
და მაშინდელი ჯაგი, მოცხარი, —
მცხეთაში კვლავ რომ ვნახე ცოცხალი.

## მ ო გ ო ნ ე ბ ა

მოვიარეთ დიდგორი,
მარაბდა, იალღუჯი,
სისხლნაპკური მთის მიწა,
მიწა, ხელთჩანაბლუჯი —

კვლავ შინ მიმაქვს წუხილით
და მთებიდან მოგვესმის
ჟამინდელი ომების
გარდასული ქუხილი.

## პეპლები ზამთრის პირას

ორი პეპელა დაწყვილდა
და ვერის ბაღში გაფრინდა,
ორთავემ გული დამწყვიტა
მკვდრის მზის და ზამთრის ზაფრითა.
ორთავეს ჰქონდა ერთი დღე,
მიმადლებული ბუნებით.
მე, თუმც კაეშანს ვერიდე, —
მაინც შემბოჭა უნებლიე.

* * *

ისევ მიფრინავს ორი პეპელა,
ერთმანეთისკენ იბრუნეს ბაგე,
მერე დაწყვილდნენ, კეთილ მებაღემ,
სევდით გაჰხედა ნოემბრის ბაღებს,
დადგა, ღიმილი აღარ ინება,
მას შეეცოდა ერთი დღის ვადით
ქვეყნად მოსული ჩია ქმნილება
და ზამთრის პირას დამჭკნარი ვარდი.

## ნატვრის ხე

ჩვენ ლეონიძემ დაგვადგა
თავზე „ნატვრის ხე“ გვირგვინად,

ის ხე სხვა ხეებს არ ჰგავდა
და ცამ მის თავზეც იგრგვინა.

## აღსარება

...აზრი კაცისა,
ბრძნულ შაირში გაცხადებული
აღარ გაქრება არასოდეს
სიტყვად ქცეული,
ვით ტალავარი
დაყურსული ალადასტურით,
ალაზნის ველი
და მარნები,
მიწა ქართული,
ყელმოღერილთა სიმღერები,
იმერ-ამიერ,
კახელთა „გრძელი მრავალჟამიერ“,

სვანთა „ლილეო“, გურულთ
„ხელხვავი“.
ჟამის მხერხავი.
ამ დედამიწის არსებობამდე
ნუღარ მივიყვანთ სულმოკლენი
საქმეს ომამდე.
ერიდეთ წარღვნას,
ზღვაში შთენილ ნოეს კიდობანს,
ცეცხლს და საკირეს!
ქვეყნის დაღუპვას ვინაც აპირებს, —
წყეულიმც იყოს!
გაუმარჯოს ქვეყნად მშვიდობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჯორჯაძე

# დაუმთავრებელი მოთხრობა

## წინათქმა

დაუმთავრებელი... რა გული უნდა გქონდეს კაცს, რომ მოთხრობას დაუმთავრებელი უწოდო. როგორც ამბობენ, დაუმთავრებელი არაფერივარგაო ცხოვრებაში, მით უმეტეს სახლი, რომელშიც უნდა იცხოვრო. თუმცა, გულზე ხელი დავიდოთ და, იქნებ არც ჩვენი სახლებია ჩვენი გემოვნებისამებრ მორთულ-მოკაზმული, მაგრამ დღემდე კი ვცხოვრობთ შიგ დიდი სიყვარულით...

არ შევცდები თუ ვიტყვი, ყველა ჩვენთაგანს, პირველ რიგში, დროსთან აქვს სამდურავი (ბავშვების გარდა!): ისე სწრაფად გარბის წუთები, წლები, გუშინდელი გოგო-ბიჭები დღეს ჭაღარით შევმოსილვართ და რაც ბავშვობას გადაგვხდენია, ასე გვეჩვენება, ყველაფერი გუშინ იყო. არა და, მართლაც რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაოდენ ამაღლდა ჩვენი და ჩვენი ბავშვების ცხოვრების პირობები...

შიდა კახეთში, ცივგომბორის კალთებზე შეფენილია ერთი სოფელი, რომელსაც ჩემი სამშობლო ჰქვია. კაცისათვის სამშობლო მარტო ერთი სოფელი არ არის, ან ერთი კუთხე, მხარე, მაგრამ უპირველესად მაინც ის ეზო-სახლი გვახსენდება, სადაც დავიბადეთ და ფეხი ავიდგით, სადაც გაგვიტარებია ბავშვობის დაუვიწყარი წლები.

ჩემი სოფელი არც თუ დიდი იყო, ყველა ვცნობდით ერთმანეთს. ისიც ვიცოდით, ვის ვინ უყვარდა, ვინ ეჯავრებოდა, ვინ კეთილი იყო, ვინ ბოროტი, ვინ ალალი, ვინ მატყუარა, მაგრამ უფრო მართალი ვიქნები, თუ იმასაც ვიტყვი, — ეს ის წლები გახლდათ, როცა იშვიათად ნახავდით ბოროტს, უდარდელს, მშიშარას, ორპირს; ომმა თითქმის ყველა ოჯახი მოიცვა თალხით, ყველას სატირალი და სადარდებელი გაუჩინა, ამასთან, ყველა ერთი საერთო მიზნისთვის აამოძრავა: გაეძლოთ! გაეძლოთ, ადამიანური ღირსებების დაკარგვის გარეშე.

სისხამ დილიდან გვიან დაღამებამდე ხალხი ველ-მინდვრებს, ვენახებს იყო შესეული. შრომით მოღლილ-მოქანცულები, მშივრები ბრუნდებოდნენ სახლებში, მერე ოჯახი, ოჯახური საქმიანობა და რამდენს მისძინებია ალბათ მშივრებსვე უგონოდ. გათენდებოდა მეორე დღე, ყველაფერი იწყებოდა თავიდან, თავიდან, თავიდან...

უცნაური არ ყოფილა ჩვენი ამ ქვეყნად მოვლენა, მაგრამ უცნაური იყო ჩვენი ბავშვობა. უფრო მეტად დამო-

უკიდებლები ვიყავით, დამოუკიდებლობისკენ მივისწრაფვოდით. არც გაკვეთილების მომზადებაზე გვჭირდებოდა ბევრი ჩიჩინი, არც ჭამის მადა გვქონდა დაკარგული (ახლანდელლებივით!), ნაადრევად დავქალდით და დავკაცდით ალბათ; ჩვენს თვალებში ძნელად ამოსაცნობი სევდა დაბუდებულიყო, მაგრამ თუ ბავშვური ქინი მოგვივლიდა, იმაშიც შეუპოვრები ვიყავით, გამბედავები, გულადები, თუმც ნაადრევად ბავშვობაწართმეულები, მაგრამ მაინც გულწრფელი, უეშმაკო, ხალასი გულისა და გრძნობის ბავშვები...

ეს პატარა მოთხრობაც პატარა გახსენებაა იმ წლების, ჩემი სოფლის იმ ადამიანების, ბავშვების, რომლებთანაც ერთად მეც ვცხოვრობდი, ვიზრდებოდი. დაე, ამ მოთხრობის დედააზრივით გაუთავებელი იყოს მათი და მათი სახით ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის სიცოცხლე და სიყვარული, სიყვარული, — სიცოცხლის საზეიმოდ.

## საკვამურიდან კვამლი უნდა ამოდიოდეს

როცა სოფელმა მამლის პირველ ყივილზე თვალი გაახილა, ყველაფერი თეთრად იყო შეღებილი.

ასე მოულოდნელად არასოდეს მოსულა ზამთარი.

უცბად გაშიშვლდნენ ხეები, გაითოშნენ. თეთრმა და ნაცრისფერმა გააქრო ყველა სხვა ფერი. დიდი, დიდი თოვლი მოვიდა. შემდეგ ზეცა გადაიწმინდა და ყინვები დაიჭირა. დრო და დრო ქარი სისინებდა ხვრელებში, ჩეროებში, ჭუჭრუტანებში, გაციებულ საკვამურებში...

მაღალ ყინვებზე ვაზს კვირტები ეყინებაო.

მორჩა, ხეხილი აღარ დაისხამსო.

ეგლა უნდოდაო სოფელს?..

დიდმა თოვლმა კარგი მოსავალიც იცისო...

ხალხი მაინც ჭრელია და ყველა თავისი ჭკუით ცხოვრობს: ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას...

სოფლის ბოლოში, საურმე გზის პირას, განმარტოებულ სახლის ეზოში მთელ ღამეს ყმუოდა ძაღლი.

— გაცოფდა ალბათ, საცოდავი, — მოიჩივლა იმ სახლთან ყველაზე ახლოს მცხოვრებმა ქვრივმა პურის რიგში დგომის დროს.

— რატომ ცოფდება ძაღლი, დედი? — ჰკითხა მაშინვე გვერდით მდგომმა შალებში ჩაფუთვნილმა თორმეტიოდე წლის გოგონამ, რომელიც ფეხს — ფეხზე იცვლიდა, ადგილზე ირწეოდა ლერწმის ღეროსავით და ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა რიგში მდგომ ქალებს.

დასუსტდა გოგონა და სანთელს დაემსგავსა.

რატომ გახდომოდა თინიკოს ასეთი ნაღვლიანი თვალები? ნუთუ ყველა სუსტი გოგონა ასეთი მგრძნობიარეა?..

მართამ შვილს დათხელებულ მხრებზე ხელები შემოჰხვია, ტანზე მიიკრა — ნიავს მოეფარე, შვილო, არ გამიცივდე. ხუთი ქალი და ჩვენი რიგიც მოვა.

— ძაღლი როცა ყმუის, ოჯახში უბედურებააო, — ჩაილაპარაკა ერთმა დედაბერმა.

„ღმერთო, დაგვიფარე! ღმერთო, დაგვიფარე...“

— ჩვენ თუ უბედურება გვაკლია, — თქვა რიგის ბოლოში ახალგაზრდამ, სახე შავი მოსასხამით დაიფარა და ასლუკუნდა.

„ბავშვი ჰყავსო ავად. ალბათ გაუცივდა. ბავშვი მაინც ბავშვია და ადვილად ერევა ავადმყოფობა. ბავშვს სითბო უნდა დიდი...“

— ქმრის დაღუპვის დეპეშა მიიღო გუშინ, — წაიჩურჩულა ერთმა.

— ვისი, შოთასი? — შეიცხადა მეორემ.

— ვაი, შვილო! ვაი, შვილო...

„ღმერთო, გვაკმარე ამდენი უბედურება! ღმერთო, გვაკმარე...“

ცოტახნით მიჩუმდნენ ქალები, ნაცნობმა სევდამ მოაკითხა ყველას.

გამყიდველი ნელა მუშაობდა, — გრამს გრამზე წონიდა, ნამცეცებს აგროვებდა. რიგი კუს ნაბიჯით მიიწევდა.

— ოჯახში როცა პატრონი კვდება, ძაღლი მაშინ ყმუისო, — თქვა ისევ იმ დედაბერმა. თვალებგაშტერებულს ფრთხილად უტოკავდა ლოყები.

— დედი, — შეეხმიანა თინა დედას დაბალი ხმით.

— კარგად მომეკარი, გოგო, კარგად, — არ ათქმევინა სათქმელი მართამ, სულ უფრო მაგრად იკრავდა ტანზე შვილს, გული გახშირებულად უცემდა რამდენი ხანია.

— ძალიან ხომ არ გცივა? — ხმის კანკალით ჰკითხა.

— მთელი კვირა იქნება, მიხოსთან არ ჩავსულვარ.

— დიდი თოვლია, შვილო, და იმიტომ. განა ჩვენი ბრალია, რომ ამხელა თოვლი მოვიდა?

— არც სკოლაში დადის, იცი?

არა, არ იცოდა მართამ. ახლაც გულხეთქებით ამოირბინა სამსახურიდან. ორ კილომეტრზეა მისი სამსახური, ქალაქში, მაგრამ მაინც ამოირბინა. გუშინაც უპუროდ დარჩენილიყო ბავშვი, გვიან მოსულიყო მაღაზიაში. არა და, ქალაქში უფრო დიდი რიგებია.

მართამ ღრმად ამოისუნთქა, ამოისუნთქა და თითქოს ნაღველიც თან ამოაყოლაო.

„ძალიან შევეხვეწები უფროსს, ვთხოვ, ხვალისთვის მაინც გამათავისუფლოს. ოჯახს მიხედვა უნდა: თინიკოს, მეც... მიხოს, ვანო პაპას... რატომ ყმუოდა მართლა ნეტავ მურია?...“

— დედი, — ხმა ამოიღო ისევ თინამ, — დასვენება არ გეკუთვნის?

— ხომ იცი რა დროა ახლა, შვილო, პატარა კი აღარ ხარ, ცოტა კიდევ უნდა მოვითმინოთ...

„ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ... ოხ, ეს ოხერი მოთმინება...“

— ამხანაგო ქალებო, — გამხმარი თავი გამოყო სარკმლიდან გამყიდველმა, — ტყუილად რომ არ გაცივდეთ რიგში დგომით, მეტი პური აღარ მაქვს, შუადღემდე ალბათ არც მექნება.

რიგი შეირხა. თითქოს ახლაღა გამოფხიზლდნენო, ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ სამდურავის თქმას არავინ აპირებდა.

ან ვისთვის ეთქვათ სამდურავი?

— უპუროდ სახლში ვერ მივალ, ბავშვი მელოდება მშიერი, სიცხიანი, — თავისთვის წამოიწუწუნა რიგის ბოლოში ახალგაზრდამ, შავი მოსასხამი აიწია, ბრჭყვიალა, წყნარი, მწყურვალი თვალები გამოაჩინა.

— როგორ კი მოვრბოდი, თინა, როგორ...

გულში ჩახუტებული თინა მკერდამდე სწვდებოდა დედას. უკვე რამდენი ხანია, სიმაღლე აღარ ემატებოდა ბავშვს, ან თუ ემატებოდა, — უმნიშვნელოდ. მშიერს რა გაზრდისო, თვითონვე ფიქრობდა.

— შენთვის ხომ გაქვს შენახული, — ვერ მოითმინა მაინც ერთმა, სარკმლიდან შესძახა გამყიდველს.

— არა მაქვს, — მშვიდად მიუგო გამყიდველმა.

— ნუცას მაინც მიეცი, ავადმყოფი ბავშვი ელოდება სახლში.

გამყიდველი არ გაბრაზებულა, მხოლოდ დანა დააგდო ცარიელ დახლზე. მერე წვალებით მონახა დასაჯდომი ყუთებზე. უკანა კარებთან მიყუდებულ ყავარჯნებისთვის ხელი არ წაუტანებია. წინგადაღუნული, იატაკს ჩაჰყურებდა, ცალი ფეხი რომ ედო ზედ და თავს აქნევდა მხოლოდ გულნატკენი.

პური აღარ იყო, მაგრამ რიგი არ იშლებოდა. ალბათ პურის მოტანის იმედი თუ ჰქონდათ?

გაჭირვებაში იმედი ყველაზე დიდი განძიაო.

პატარა ფარდულში პური აღარ იყო, პურის სუნი კი ჯერ ისევ ტრიალებდა.

„რატომ, რატომ არის ყოველივე ასე, ვინ მოიგონა, ვინ შექმნა. სად არის

ღმერთი, ყოვლის შემძლე და ყველას მფარველი?..“

„ისევ ჩვენ უნდა გავუძლოთ, ჩვენ უნდა გავუძლოთ...“

„გვეყოფა კი ძალა და ენერგია?..“

„ძალა და ენერგია რწმენაშია, რწმენაში და იმედში. გაჭირვებაში რწმენა და იმედი ყველაზე დიდი განძია...“

განა ასე არ არის?...

— გამომართვი, შვილო, — დედაბერმა ხელებში ძალით ჩაუტენა ახალგაზრდას პურის ნაჭერი, — მე და ჩემი მოხუცი შუადღემდეც მოვითმენთ, გამომართვი.

— არ ვიცი, როგორ გითხრათ მადლობა, — იცრემლებოდა ახალგაზრდა.

— ჭირს გაძლება უნდა, შვილო, გაძლება!

— ჩემი შვილი გადაგიხდით მადლობას; მადლობთ, ხალხნო, მადლობთ...

— ეჰ, ჩვენც წავიდეთ, — თქვა ერთმა, —იქნებ სიმინდის ფქვილი ვიშოვოთ დაკეცილ ტომრებში, ან ღერღილი, ან ქატო. მშივრები მაინც არ დავიხოცებით მტრის ჯიბრზე!...

რიგი მაინც იდგა და ხან იშლებოდა, ხან იკუმშებოდა.

ფარდულს ძველმანებში გამოწყობილი შუახანს გადაცილებული კაცი მოადგა. სიცივისგან და სისუსტისგან წელში იყო იგი მოღუნული. ზევიდან გადახედა ქალებს ღიმილით.

— დილა მშვიდობისა, თქვენი, — მიესალმა იქ მყოფთ, — ბოლოში დამაყენებთ თუ...

— რად დაგიგვიანია, სოლომონ, — ჰკითხა გზად მიმავალმა დედაბერმა, პასუხისთვის არ კი დაუცდია.

— კომისარიატიდან მოვდივარ პირდაპირ, ქალებო, ასე მითხრეს, უკანასკნელად გპირდებითო, ფრონტზე გაგზავნითო ხვალ. ხვალ არა, ზეგ... რა, დავიგვიანე?

— დაიგვიანე, სოლომონ, დაცდა მოგიწევს.

— არა უშავს, დავიცდი; დაგვიანება დამარცხებას არ ნიშნავს, დავიცდი.

— ეზოში ძაღლი ნუ აყმუვლდება და უპუროდ გავძლებთ როგორმე...

— ბრძენ-კაცი არასდროს ყოფილა მაძღარი და ბედნიერი, ჩემსავით. ლამაზ-ლამაზი აზრები მშიერს უფრო მოსდის; მაძღარს, — ძილის მეტი არაფერი მინდა...

„ბედნიერი კაცი ხარ, სოლომონ; ბედნიერი და უბედური გულის მქონე. ყველას მოსარჩლე, ყველას დამხმარე. ნეტავ ძალა მოგდევდეს მაგდენი, მე საცოდავო...“

ამაზე სოლომონი თვითონაც ვერ გაეცემდათ პასუხს. მართლა ბედნიერი იყო? — ალბათ იშვიათად; უბედური გული ჰქონდა? — ...კეთილსაც უბედურს ეძახიან ხოლმე...

— ძილი, როგორც ფილოსოფოსთ უთქვამთ, იგივე სიკვდილია, ამქვეყნიური სიკვდილი. ჩვენ ჯერ მამულს ვჭირდებით და სიკვდილის უფლება არავისა გვაქვს, ჩვენი სიკვდილი არ შეიძლება... მართალს არ ვამბობ, ბალღო?

თინიკოსთან ჩაიმუხლა სოლომონი. თითქოს გაეთამაშა, მაგრამ არ გამოუვიდა. თინიკო კვლავ ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა.

ძლივს წამოიმართა სოლომონი, წარბები შეათამაშა. გული არ გაუტეხავს, გაღიმებულმა გადახედა რიგში მდგომებს, მოძველებული პალტოს საყელო გაისწორა მკერდთან, უბის ჯიბეში მოისინჯა რაღაც; მერე გაუშვდა ხელები თითქოს, აღარაფერი თქვა ხმამაღლა, შეტრიალდა და აუჩქარებლად გადადგა ნაბიჯები.

— მე თვითონ, მე თვითონ, — ბუტბუტებდა თავისთვის.

* * *

ორი დღე ლოდინში გაატარა. დედა არ გაათავისუფლეს.

ოდნავ შებინდებულიყო, როცა მიხოსთან წასვლა გადაწყვიტა. უბეში ორად გატეხილი მჭადი, ოთხი ცალი მოხარშული კარტოფილი და ორი ვაშლი ჩაიტენა.

ორღობეში სიარულს მოერიდა, მოკლე გზით წავიდა.

თოვლი ღრმა იყო და სუსტ კანჭებს თითქმის მთლიანად უმალავდა. რამდენჯერ ჰქონდა გავლილი ის გზა, ვერც დაითვლიდა, ზაფხულობით თვალდახუჭული გაირბენდა ჯერ თავის ეზო-ბოსტანს, მერე მიხოს ეზოს, — ახლა თვალხილულს უჭირდა ზომაზე მეტად. ფეხქვეშ ხრაშუნობდა თოვლი, ადგილ-ადგილ ყინულივით ტყდებოდა.

იქნებ არც მარტო დიდი თოვლი იყო თინას მუხლების თრთოლვის მიზეზი?

სახეგაფითრებულს გულისცემა გახშირებოდა, მაგრამ სხეული მაინც გათოშილი ჰქონდა. ძნელად მიიკვლევდა გზას, წვალებით ადგამდა ნაბიჯებს. არ ეშინოდა, თუმც მუხლები შეშინებულივით მართლაც უკანკალებდა.

ჩვეულებისამებრ მურია არც გზად შეჰგებებია, არც სხვათაშორის შეუყეფავს შორიდან მაინც. ისე მიადგა სახლის აივანს, უცხო ხმა არ შემოსმენია, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა.

„ნეტავ თუ არავინაა სახლში?“ — გაიფიქრა — „ეს შეუძლებელია, ვანო პაპას სიარული აღარ შეეძლო: მიხო არ მიატოვებდა ვანო პაპას...“

სახლი ერთსართულიანი იყო, პატარა აივნით, ძველის-ძველი, ქვითკირით ნაგები, ქართული კრამიტით დახურული. სახლს გვერდიდან მიშენებული ჰქონდა მარანი, ცალკე შესასვლელით, მურიასთვის წნელებისგან შეკრული თავშესაფარიც იქვე იდგა, თივით გადახურული.

— მიხო! — დაიძახა თინამ გაუბედავად და ირგვლივ მოავლო თვალი სახლს.

ჩაშავებული კარ-ფანჯრები მდუმარედ შესცქეროდნენ გოგონას. თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ აცხიაო იქაურობას.

გააჟრჟოლა.

— მიხო! — უფრო ხმამაღლა დაიძახა და მაშინ კი მძიმედ გაჭრიალდა ჩაშავებული კარები.

კარებში მიხო გამოჩნდა...

ბიჭი თხუთმეტი წლის იყო, მაგრამ ტანი დასრულებული კაცის ჰქონდა. უკვე წვერსაც იპარსავდა. ძალიან არ ამოსდიოდა, იპარსავდა კი, ულვაშები გამიშავდესო. თავისით გაგიშავდება, შვილო, კანს ნუ ილიზიანებ, — ეუბნებოდა ვანო პაპა. გამიშავდება და მეტსაც არ იზამს?! — ფიქრობდა თავისთვის პარსვისას, — შავი თმა, შავი წარბები, ბოლოს და ბოლოს, შავი თვალები და აბა რა ოხრად მინდა შეწითლებული ულვაშებიო. რაც დრო გადიოდა, მართლაც შავდებოდნენ ტუჩის თავზე წამომჯდარი ულვაშის უხეში ღეროები...

კარები კვლავ გაჭრიალდა და თავისით დაიხურა. მიხო იქვე კედელს მიეყრდნო, ხმა არ გასცა თინას.

დღის სინათლეს ძალა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ თოვლზე ნაცრისფრად მოჩანდა მიდამო. აივნის ქვეშ კი სიშავე სჭარბობდა და გოგონამ ვერ გაარჩია მიხოს სახე, ვერც იმას მიხვდა, გაახარა თუ აწყენინა თავისი დაგვიანებული გამოცხადებით. ცოტახნით თვითონაც შეყოვნდა, არაფერი უთხრა.

მიხოს ძველი პალტო ეცვა, ვიწრო, მოკლე. ალბათ მაინც ათბობდა და იმიტომ ეცვა; ქუდიც ეხურა თავზე; ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეყო.

— შინა ხარ? — ვერ გაუძლო თინამ დუმილს, დუმილს და სიცივეს; გაუბედავად გადაადგა ნაბიჯები, თოვლიდან მშრალ მიწაზე გადავიდა, ფეხები დაატყაპუნა.

— სკოლაში რატომ არ დადიხარ, მიხო? — ჰკითხა ისევ.

— რა ვიცი, — წყნარად მიუგო მიხომ, კედელს არ მოსცილებია, სახეზე არცერთი ნაკვთი არ შერხევია.

— არა გცივა?

პასუხი არ დაუბრუნა ბიჭმა; თვალი მოარიდა გოგონას, ეზოში გაიხედა.

— მე კი ძალიან შემცივდა. ტანზე იმდენად არა, ფეხებზე — ძალიან, ფეხებზე და ხელებზე... ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი. სკოლაში რატომ არ დადიხარ?

სულ ცოტა ხნის წინ არც თუ იშვიათი სტუმარი იყო თინა ამ ოჯახის. გო-

გოებთან თამაშს, მიხოსთან თამაშს არჩევდა ყოველთვის, გვერდიდან არ სცილდებოდა. ახლა, იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იქნებ წლები რომ მოემატათ, იმიტომ?...

„მიხოს ოჯახური საქმეები გაუჩნდა ბევრი, ჩემთვის სადღა სცალია..."

„რამხელაა უკვე თინა: ქალდება, ლამაზდება..."

„კაცები ყოველთვის ასეთები არიან, მიუხვედრელები. მცივა და სახლში არ მეპატიჟება..."

„ბავშვია მაინც, უგულო ბავშვი..."

— იქნებ სახლში შევსულიყავით, ჰა, მიხო, და იქ გველაპარაკა?

მიხო ეზოს გაჰყურებდა უჩუმარი პირით, ეზოს და ხანდისხან თინას ფეხებსაც შეავლებდა ხოლმე თვალს.

„ასეთ წვრილ ფეხებს ყინვა მოერევა, აბა რა იქნება?..."

— სახლში შევიდეთ, მიხო, აქ ძალიან ცივა, — გაიმეორა თინამ.

— სახლშიც ეგრე ცივა, — მიიღო პასუხად და მოსცილდა კედელს მიხო, — მარანში შევიდეთ, თივა მიყრია იქ.

„ოთახშიც ეგრე ცივაო, — რატომ?... განა ვერ შევხედე, რომ საკვამურიდან კვამლი არ ამოდიოდა? — არ მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ, რადგან მიხომ თქვა, ალბათ ასეა. ალბათ კი არა, ნამდვილად ცივა ოთახში, მარანში უფრო ეთბილება, თივა ყოველთვის თბილია. — ზაფხულშიც, ზამთარშიც. ოჯახის კაცია მიხო, თივაც მოუმარაგებია ზამთრისთვის, მაგრამ მურია თივას რომ არ ჭამს?... ოჯახი დიდი ორმოაო; რაც არა გაქვს, ის არის ძნელი, თორემ, რაც გაქვს, ყველაფერი საჭიროა: თივას კარგად ეკიდება ცეცხლი. ბუხარში ცეცხლის გაღვივებას ნავთი უნდა. ნავთს ლამფებისთვისაც ძლივს ვშოულობთ. თივა ზედგამოჭრილია ცივ ბუხარში ცეცხლის გასაღვივებლად. მიხო კაცია უკვე, ყველაფერი იცის..."

მარნის შესასვლელის ზღუდე გადალახეს თუ არა, ბურბუშელაზე შედგეს ფეხი. შიგნით ბნელოდა. თინამ მაინც დაინახა ერთ კუთხეში დაყრილი თივა, წინ კი ძალიან ბევრი, ბევრი ბურბუშელა. დანარჩენს ვერაფერს ხედავდა, კარებში მიხო აყუდებულიყო და გზას ულობავდა სინათლის სხივს.

„გაჭირვებას გაძლება უნდაო... სიცივეც და სიბნელეც გაჭირვებაა? ადამიანმა სიცივესაც და სიბნელესაც უნდა გაუძლოს?...

ცოცხლები ვიყოთ და მტრის ჯინაზე ყველაფერს გავუძლებთ. სულ ასეთი სიცივეები ხომ არ იქნება, — გამოიზაფხულებს...

გაზაფხულზე მზე კვლავ უხვად გამოგვიგზავნის სხივებს; მაშინ ბევრი სითბოც გვექნება, ბევრი სინათლეც...

მაგრამ ზამთარშიც ხომ შეიძლება სახლის გათბობა?.."

— სანთელს მოვიტან, — თქვა მიხომ და კარებს მოსცილდა. ნიავიც თითქოს ამას ელოდაო, დაუკითხავად შემოისისინა მარანში, კუთხე-კუნჭული მოირბინა.

თვალი მალე მიეჩვია სიბნელეს.

სახელდახელოდ გაკეთებულ ხის გრძელ მაგიდაზე სადურგლო იარაღები ეყარა. მაგიდის ქვეშ ფიცრის გადანაჭრები ჩანდა ხელის ხერხთან ერთად. დანარჩენი ყველაფერი ნაცნობი იყო და თინას არ მიუქცევია ყურადღება. ბურბუშელები ფეხით მისწი-მოსწია, თივამდე გზა გაინთავისუფლა, მოკეცილი ჩაჯდა შიგ.

თითქოს მართლა იგრძნო სითბო თინამ, ან ფიქრობდა, რომ თივაში აუცილებლად უნდა დასთბობოდა და იმიტომ. ხელები დაიორთქლა, მერე უბიდან მჭადის ნატეხები, მოხარშული კარტოფილები და ორი ვაშლი ამოიღო, ფრთხილად დააწყო თივაზე, ერთხანს თვალი ვერ მოაცილა.

„რატომ იგვიანებს მიხო?...

ასე იცოდა ადრეც, ბევრი ლაპარაკი არასდროს ჰყვარებია. ბევრი კი არა, იშვიათად ამოიღებდა ხმას. მხიარული და ენაწყლიანი ძალიან დიდი ხნის წინ იყო, ბავშვობისას, სანამ დედაც თავზე ედგა, მამაც, ბებიაც... ახლა რამ უნდა გაახაროს?...

ბევრს მხიარული ლაპარაკობს მხოლოდ, მხიარული და მატყუარა, მატყუარა და მკვეხარა. ოჯახის კაცი ორი სიტყვით გეტყვის სიმართლეს, თავბრუს არ დაგახვევს, ათასგვარი ლამაზლამაზი სიტყვებით არ გაგტენავს...

დუმილი კია კაცის პატიოსნება? განა ყველა ოხერი დუმილით არ ფარავს თავის ნამდვილ სახეს?... — არავის ავნოს და დაფაროს, გაიხეთქოს გული. მიხო სულ სხვაა: უეშმაკო, ალალი, ლამაზი...

უთქმელი რომ არის?

უთქმელი ცხოვრებამ გახადა..."

ვინ იცის, რა აყალიბებს ადამიანის ნამდვილ ხასიათს, ბუნებას. იქნებ მართლაც ცხოვრებამ გახადა მიხო ასეთი უტყვი, უხალისო, სევდიანი. თუმცა მთელი დღეები ხან მოსწავლეების გვერდით იყო გაკვეთილებზე, ხან კოლმეურნეებთან ვენახებში, — არავისთვის გაუხსნია გული, არავისთვის გაუზიარებია თავისი სიხარული თუ ჭირ-ვარამი. მას თავისი მესაიდუმლეები ჰყავდა: სკოლაში, — მერხი, ან დაფა, ან ფანჯრის რაფებზე შემომდგარი ქოთნის პაწია ყვავილები; ვენახში, — ვაზი, ვაზის კვირტები, ყლორტები... ბუნებაში ყოფნა იყო მისთვის ყველაზე მეტი სიამოვნება, შვება და კმაყოფილება; აი, ვის აძლევდა თავისას და ვისიდან იღებდა ყველაზე მეტს; განსაკუთრებით კი ისევ და ისევ ვაზიდან, რომლის სიხარულსაც გრძნობდა, მტევნებით როცა დაიხუნძლებოდნენ, ტკივილსაც გრძნობდა, გასხლულებს ცრემლი როცა სდიოდათ, მაგრამ უფრო მეტად მათ სიკვდილს განიცდიდა, ხმობას როცა იწყებდნენ მოულოდნელად...

მიხო მალე დაბრუნდა. გრძელი, წვრილი სანთელი აანთო, გოდორში გაჩრილ სახრეზე დაამაგრა, რამდენიმე ასეთივე სანთელი მეორე ამობრუნებულ გოდორზე დადო და უხალისოდ ჩაიჩოქა თინას გვერდით, ზუსტად იქ, სადაც მჭადის ორი ნატეხი, ოთხი კარტოფილი და ორი ვაშლი იდო.

ნერწყვი თავისთავად გადაეყლაპა, მაგრამ თვალი არ დარჩენია ზედ, თივაზე გადაწვა.

— ჭამე, — დაბალი ხმით თქვა თინამ და მაშინღა შეხედა მიხოს სახეში.

„როგორ მოწყენილი მისჩერებია კრამიტებს უაზროდ...

ნუთუ ყველა ობოლს ასეთი ნაღვლიანი თვალები აქვს?.. მაგრამ მიხო როდისაა ობოლი. ილო ძია მალე დაბრუნდება ფრონტიდან; აგერ ვანო პაპა... რატომ ყმუოდა ნეტავ მურია?.."

— არავის ეტყვი? — მოულოდნელად მშვიდად იკითხა მიხომ და წამოიწია; თან ისე მოიკეცა, მუხლები ნიკაპთან მიიტანა, ხელები ფეხებზე შემოიხვია.

წვრილი სანთელი მკრთალად ანათებდა მათ ჩაშავებულ სახეებს.

— არავის ვეტყვი, — მიიღო პასუხად.

— დაიფიცე.

— დედას გეფიცები, დედას და მამას.

— თუმცა სულ ერთია... უნდა გავიპარო.

— სად?

— ფრონტზე.

— ფრონტზე?..

მიხომ თავი შეაბრუნა და თინას მიაჩერდა თვალებში.

— დამელოდები? — ჰკითხა თავისთვისაც მოულოდნელად.

თინამ თავი დააქნია მხოლოდ. მერე თვალები გაუწყლიანდა, მაგრამ ცრემლი არ გადმოვარდნია. არც სახეზე შემჩნევია აღელვება, კვლავ ვითომც მშვიდად თქვა:

— მეტი ვერაფერი მოგიტანე, აილე!

მიხომ მჭადსა და კარტოფილებს გადაავლო თვალი, ვაშლებსაც. დაენანა, რომ მჭადი გატეხილი იყო, ნაჭრები ერთმანეთს დაცილებული, ლოყაწითელა ვაშლები უფრო მოეწონა, თითქოს რომ იკოცნებიანო, კარტოფილი აილო

— იცი? დედაჩემს სამსახურში ბევრი კარტოფილი და სიმინდის ფქვილი მისცეს, — გახალისდა თინა, — იმდენი, იმდენი, რომ ერთ კვირას ყველას გვე-

ყოფა, შენც... არა, — ჩვენც, თქვენც: მე, დედას, შენ, ვანო პაპას...

თინას ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მიხომ ნახევარი კართოფილი უკან დადო, ნახევარი ძლივს გადაყლაპა.

— მურია სად არის, მიხო, — შემკრთალი ხმით გააგრძელა თინამ, — ორი დღის წინ მთელ ღამეს რატომ ყმუოდა მურია?

ათრთოლებული გოგონა უნებურად თითებს ისრესდა, ყინვისგან გულდაგულ გათოშილ თითებს. ბიჭმა შეხედა და თვალი აღარ მოაცილა იმ სანთელივით სუსტ არსებას, სახეზე მკრთალი ალით რომ ელაციცებოდა.

— ისევ გცივა? — თითქოს მშვიდად ჰკითხა.

— ეს ბურბუშელები საიდან, მიხო, ჰა?

— ნახევარი იატაკი ავყარე.

— სახლში?

— მაშ სადა.

— თივაც გაქ, ბურბუშელაც, ფიცრის ნაჭრებიც, ბუხარს რატომ არ დაანთებ, მიხო, იატაკი რატომ აყარე?

მიხომ ღრმად ამოისუნთქა, თავი ჩაქინდრა და წყნარად თქვა:

— პატარა აღარ ხარ, თინა... ვანო პაპა...

— რა თქვი?

— ჰო, მოკვდა.

თინას ჯერ ტუჩები აუკანკალდა, მერე მთელი ტანი. არა, უკვე დიდი ხანია რაღაცას გრძნობდა და კანკალებდა კიდეც, მაგრამ დაჯერება არ უნდოდა. არც ახლა უნდოდა დაჯერება, მარტო ახლა კი არა, — საერთოდ. ალბათ ამიტომაც არ ესმოდა კარგად რას ყვებოდა ნაადრევად დაკაცებული და ცხოვრებისგან გამწარებული ბავშვობის უფროსი მეგობარი. — იმ ფიცრებით კუბო გავაკეთე, თინა. ვიწვალე, მაგრამ მაინც გავაკეთე, — ისმოდა მარანში ბავშვის დაკაცებული ხმა, — ძალიან მძიმე ყოფილა თურმე მიცვალებული. სულელი სოლომონი როა, ის მომეხმარა... ეს სანთლებიც სოლომონმა მოიტანა; არ ვიცი საიდან, მოიტანა კი; წესია, — ორ-ორი უნდა დაუნთოთ ბუხარის დანთება, მართალი გითხრა, ვერ გავბედე, მეშინია, სუნი არ დაეცეს; ისევ ეგრე, სიცივეში მირჩევნია...

მამაჩემისეული სადურგლო იარაღები შემინახეთ. დანარჩენი ყველაფერი თქვენ წაიღეთ, ცოტახანს მაინც გეყოფათ, რაც შეშა მაქვს, ეს ფიცრის გადანაჭრებიც, ბურბუშელაც, თივაც... მურია კი გაიქცა და ალბათ აღარც დაბრუნდება... აღარც მამაჩემი დაბრუნდება, თინა, დეპეშა მივიღე...

— დაბრუნდება, დაბრუნდება, — სლუკუნით ალაპარაკდა თინა, — შეცდომითაც აგზავნიანო დეპეშებს, დაბრუნდება...

— ტირილით მკვდარს ვერ გააცოცხლებ... მოიწმინდე ცრემლები.

— ჰო, შეცდომით... შეცდომით...

გოგონას მკერდში ჩახუტებული ხელები უცახცახებდა, მთელი ტანით თრთოდა. მერე თითქოს ჩაწყნარდა, ცრემლიც აღარ მოსდიოდა, სველ თვალებში მკრთალი მილეული სანთელი ციმციმებდა მხოლოდ. მიხომ ხელები გამოართვა, თავის მუჭაში მოიქცია, ფრთხილად შეუბერა, კიდევ შეუბერა და თავისი სითბო გადასცა...

თინას მიხოს სითბო მიჰყვებოდა სახლში მიმავალს, სითბო და უნებურად მოფრენილი ლოცვა, ყოველ ღამე დედისგან წარმოთქმული:

„უფალო, შენ მოუმართე ხელი ყველა ობოლს, სნეულს, მშიერს; შენ დაიფარე და იხსენ გაჭირვებისგან ყველა ჩვენიანი, მშვიდობით დაგვიბრუნე მამები, ბიძები, ძმები... გეხვეწები, ძალიან გეხვეწები, მშვიდობით დაგვიბრუნე ყველა, დაგვიბრუნე... დაგვიბრუნე... დაგვიბრუნე...“

ორი სანთელი ანათებდა პატარა ოთახს: ერთი კუბოს თავში იყო მიწებებული, მეორე, — ბოლოში. მაგიდაზე ზურგჩანთასთან ერთად ორლულიანი სანადირო თოფი იდო და სანთლის შუქზე დიდი ჩრდილი ეცემოდა კედელზე. ჩრდილი რომელიღაც ფრინველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰგავდა, ასაფრენად მომზადებულ ფრინველს.

მთვარე ნაღვლიანად იხედებოდა ფანჯარაში. ქარი სისინებდა და თან მოჰქონდა შორეული ყმუილი მგლების, ტურების. საზარელი ხმები დრო და დრო უახლოვდებოდა სახლს, — ისევ შორდებოდა.

მიხო ხან კუბოს გაუშტერებდა თვალს, ხან სანთლებს, ხან თოფს, ხან კედელზე — ჩრდილს, ხელში მამის დალუპვის მაუწყებელი ქაღალდი ეჭირა და თინაზეც ფიქრობდა.

ერთხანს მძიმედ, აუჩქარებლად დადიოდა მაგიდის გვერდით, მერე კარებთან შეჩერდა, კედელს შუბლით მიეყრდნო და გულამომჯდარი, ქალივით აქვითინდა...

* * *

რა უნდა მოხდეს სოფელში, უცბად რომ არ მოირბინოს ყველა ოჯახი? სოფელი პირმოხსნილი ქვევრიაო: ჩასძახებ, — მაშინვე ამოგძახებს. თუ არ ჩასძახებ?

?!

სამი დღე ისე გავიდა, სოლომონის მეტს არავის დაუდგამს ფეხი სოფლის ბოლოში, განაპირად მდგარ პატარა სახლში.

უკვე მესამე ღამე ილეოდა, რაც პატარა კაცი მიცვალებულს უთევდა მარტოდ მარტო, თუმც მესამე ღამემ მაინც თავისი გაიტანა, მაგიდაზე გადაწოლილს უგონოდ მიეძინა.

მიცვალებულს ღამე უნდა უთიოს ვინმემ...

უპატრონო მიცვალებულს ღამე კატები თვალებს ამოჩიჩქნიან...

მეტი თვალების დათხრა უნდათ?...

ღამის თევა უკანასკნელი სამსახურია კაცის, — გარდაცვლილისადმი...

მამაპაპისეული წესი წესია და წესს ასრულება უნდა, შვილო...

მიხო გამგონე მოწაფე აღმოჩნდა თავისი მასწავლებლის, ვანო პაპისგან ჰქონდა ყოველივე მოსმენილი, მაგრამ მესამე ღამეს მაინც ჩაეძინა, არ უნდოდა, მაგრამ მაინც ჩაეძინა ლოდინში...

სანთელი კუბოზე ჩამოილევენთა.

სანთელმაც იმდენხანს უთია მიცვალებულს, სანამ ბოლომდე არ დაილია.

სანთელი მაინც სანთელია, — ადამიანი?

ადამიანიც სანთელივით ილევა და ილვენთება...

არაფერია, — ღამეს დღე სცვლის, ზამთარს — გაზაფხული. ბრუნავს დედამიწა და მიჰქრის სამყაროში დაუსრულებლად...

სიზმარი? ვინ მოიგონა სიზმარი?..

მოლლილ-მოქანცულს აღარც სიზმრები აწუხებენ, აღარც მამაპაპისეული აჩრდილები, ყველაფერი მისთვის შავ წყვდიადში იძირება...

ტყუილია ეს! — გული არ ცხრება. სანამ ფეთქავს იგი...

ბავშვი საშინელმა შენჯღრევამ გამოაღვიძა.

— ჰა,... — ელდანაკრავივით წამოიჭრა იგი ფეხზე, — რა, კატამ წამიხდინა პაპა?... ოჰ, ხომ დავაფარე,... საფარობელი დავაფარე ხომ...

ვიწრო პალტოს საყელოში სოლომონი ჩასჭიდებოდა და მთელი ძალით ანჯღრევდა.

— შემაშინე, — იძახდა იგი, — შემაშინე, ბალღო, შემაშინე, მაგრამ ესეც კარგია, რომ ეგრე შემაშინე.

— მაინც ჩამძინებია... თენდება?

— დილის ვარსკვლავი წამოვიდა ცაზე... არა, კარგად არ ჩანს ახლა ვარსკვლავები, ნისლი გადაჰკვრია ცას, მაგრამ რომ ვამბობ, ეგრე იქნება ნამდვილად.

— ჰო, ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს...

— არაყი მოგიხდება ახლა შენ, გათოშილხარ. ბუხარში ცეცხლი უნდა დაგენთო, ბალღო, ეგრე არ შეიძლება, გამოფხიზლდი!

მიხო კვლავ დაჯდა თვალებდახუჭული მორყეულ სკამზე, ძილს ებრძოდა.

სოლომონმა უბიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი ამოაძრო, ხელები დაიორ-

თქლა, თიხის პატარა ჯამში ჩამოასხა, სიმწარე გვაშორის, სიტკბო მოგვცესო, — თქვა და უცბად გადაჰკრა. მერე კვლავ დაასხა, მხოლოდ უფრო მეტი, ვიდრე თავისთვის.

— რა არის? — ჰკითხა მიხომ.

— დალიე, ჯიგარი გაგითბება.

დალია, დაიღრიჯა, ერთი-ორჯერ წამოახველა, კუჭი დაეწვა, მაგრამ „ჯიგარი“ ვერ გაუთბო ჯერ.

— მშვენიერი კუბო გაგიკეთებია, ბალღო, მშვენიერი. ცალთვალა კოდალა დურგალი უკეთესს აკეთებს, მაგრამ ფიცარი მომიტანეთო, — იტყვის, ლურსმანი მომიტანეთო, მაჭამეთო, ცოტა ფულიც მომეცითო. არა და საიდან? რა ძალა აქვს ახლა ფულს? არა, ძალა კი აქვს, თუ გაქვს; თუ არა გაქვს? —მაშინ კუბოც შენ თვითონ უნდა აკეთო, აკვანიც. აკვანიც, ბალღო, მაგრამ რას იზამ, ეგრეც ხდება... ხმის ამოღება რომ შეეძლოს, ცხონებულს, ისიც შეგიქებდა, კარგი კუბო გაგიკეთებიაო...

„აკვნის კეთება მაინც სჯობია კუბოს კეთებას, ნამდვილად სჯობია...

მაგრამ კაცი თუ კვდება? კუბოს გარეშე ხომ ვერ ჩადებ მიწაში?...“

„წესს ასრულება უნდა, შვილო...

კუბოც აკვანია კაცის, სამუდამო აკვანი...“

— ჰო, არ დავიგვიანოთ, წავიდეთ.

— წავიდეთ, ბალღო, წავიდეთ.

— სანამ სოფელი გაიღვიძებს.

— ჰო, სანამ სძინავთ...

ცას ნისლი შეჰპაროდა, მაგრამ არ ბნელოდა, თოვლი უნათებდა მათ გზას.

აქა-იქ მამლის ყივილი გაისმა, ძაღლების შეყეფება.

მგლებისა და ტურების შორეული ყმუილი მაინც მოჰქონდა სოფელში სუსხიან ნიავს...

„ნეტავ სად წავიდა მურია, ისიც მგლებთან ერთად ყმუის?..

გაცოფებული ძაღლი ადამიანებზე იწევსო...

თუ ჰგონია სოლომონს, რომ მურიას მოვაკვლევინებ?!.

გაცოფებულს სიკვდილის მეტი არაფერი შველისო...“

სოლომონს თოფი გაედო მხარზე, მიხოს — წერაქვი, ბარი, ნიჩაბი. გზის სავალი ნაწილი გაკვალული იყო, მაგრამ ყინულზე ფეხი ცურავდა. ჩქარობდნენ სოფლის გადასერას მგზავრები ქვევიდან — ზევით, ვერც ჩქარობდნენ.

გაგულისებული ყინვა ჯერ ყურებს შეეთამაშა, მერე ცხვირებზე შემოჯდა, შიშველ ხელის თითებზე...

— თითქმის ტყეში მივდივართ, — იძახდა სოლომონი, — არა, მინდორია, მაგრამ ტყეც ხომ იქვეა?... ძალიან მომრავლდნენ ეს ოხერი მგლები, უპატრონო ძაღლები. ხომ გავარდება შენი თოფი?

„იქნება არც გავარდეს; რამდენი ხანია კედელზე ჰკიდია; იქნებ არც გავარდეს...“

— გავარდება, აბა რას იზამს, გავარდება, — თავს იმშვიდებდა სოლომონი.

როგორც იქნა სოფელს გასცდნენ, ძნელ აღმართს შეუდგნენ. ფერდობზე მიმავალი გზა გასაკვალი იყო და გაუჭირდათ მგზავრებს სიარული. რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, მით ახლოდან ისმოდა მგლების ყმუილი, უფრო მეტად შეშინებული იხედებოდა აქეთ-იქით სოლომონი; მიხოსაც შეავლებდა ხოლმე თვალს, ხან ბარი რომ უცურდებოდა მხრიდან, ხან წერაქვი.

— ეგრე გიჭირს სიარული, ბალღო, მომეცი რომელიმე!

— ფრონტზე უფრო უჭირთ.

— გაჭირვება ყველგან გაჭირვებაა...

— იქ ხალხი იხოცება, ქალაქები, სოფლები ინგრევა.

— მართალი ხარ ალბათ, ასეთ გაჭირვებას ატანა უნდა, ვაჟკაცის სიტყვებია. არავის რომ არ გავაგებინეთ, ეგ კი არ ვარგა. დაგიჯერე, თავი დაგიქნიე, გგონია, მართალი იყავი და იმიტომ?.. ჰო, ზოგი ცალფეხაა, ზოგი ცალხელა, ზოგი ჩემზე უარესი უძლური; ქალებმაც მეტი რა იციან ტირილზე უკეთესი, არავის ვათქმევინებ: ობოლია, ცოდოა,

მივეხმაროთ, შებრალების თვალებით რომ შემომხედონ, არ მინდაო, პაპაჩემს ჰყავს პატრონი და ეს პატრონი ახლა მე ვარო. არც ეგრეა, ბალღო, საქმე, რომ ვინმეს შესაბრალისი არ გახდეს კაცი. ძალიან ბედნიერი ვინ არის, მაგრამ თუ არის, ისიც შესაბრალისია. რათაო? — იმიტომ, რომ ღმერთს ეჯავრება ბედნიერი კაცი; რომ ემსახუროს ბოლომდე, უყვარს; რომ ბოლომდე იყოს ბედნიერი, არ უყვარს. არ შემეკამათო, რათაო: გაიზრდები, თვალს გაახელ და თვითონ ნახავ, ბედნიერი კაციც, როცა იქნება, აუცილებლად უნდა გამწარდეს. ისე, რომ დიდად არ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. არც მუდმივად გამწარებული არსებობს, ღმერთი იმისკენაც იყურება... და საერთოდ, ყველაფერს ვეჩვევით, ბალღო, სიმწარესაც, ბედნიერებასაც, ვეჩვევით და გვავიწყდება, თუ ჩვენს იქით არსებობს რაიმე სიკეთე, სიბოროტე, ჩვენი თავიც გვავიწყდება ხშირად. ვითომ ამაშია ცხოვრების სილამაზე?...

— ჰმ, ღმერთი, — მწარედ გასცრა კბილებში მიხოს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ წაიბურტყუნა, — ცხოვრების სილამაზე...

სოლომონი მაშინვე გაჩუმდა, თითქოს რაღაცამ დააფიქრაო, წარბებს ხან მაღლა სწევდა, ხან დაბლა, ხან მოეღუშებოდა სახე, ხან გაეხსნებოდა. იფიქრებდით, ეპაექრება საკუთარ აზრებს, მხოლოდ გადაწყვეტილება ვერ მიუღიაო, მგლების ყმუილი თუ შეახსენებდნენ თავს, დრო და დრო თოფზე მაგრად უჭერდა ხელებს.

მოძრაობაში სხეული უხურდა მიხოს, თითები გაჰყინოდა მხოლოდ; რომ შეძლებოდა, სოლომონს არც მოუსმენდა, მაგრამ სხვა რა საქმე ჰქონდა? — ფიქრიც საქმეა, თუმცა ყურებში თავისთავად რომ ძვრება გვერდით გამყოლის ნათქვამი სიტყვები?.. — ერთ დროს განათლებულ კაცად სცნობდა სოფელი სოლომონს, მერე ბევრი წიგნების კითხვით თავში რაღაც გადაუბრუნდაო, ძილშიც არ ჩუმდება, გაუთავებლად ლაპარაკობსო...

„ეჰ, ილაპარაკოს რამდენიც უნდა. მთავარია, კეთილია სოლომონი, კეთილი და სიტყვის პატრონი. არავის ვეტყვიო, — არც უთქვამს, მაგრამ ამ სიმაღლეზე როგორ უნდა ავიტანოთ ვანო პაპა?...

მერე ხან რა გაახსენდა, ხან რა. ფიქრობდა თინაზეც. რატომ? — ტყუილი დეპეშებიც მოდისო. ასეც ხომ მომხდარა და თინამ იცოდა ეს? — ნეტამც, ნეტამც, მაგრამ ჯერ საფლავი იყო გასათხრელი. მთელი სოფლის მოხუცებისთვის ჩამოეარა და ეთხოვა? — თავს ვერ დაიმცირებდა, სხვის შესაბრალისად თავს ვერ გაიხდიდა. აქამდის არ მოაკითხეს? — კაცია უკვე, სიტყვის კაცი, თქვა, რომ თვითონ მოუვლის თავის მიცვალებულს და მოუვლის კიდეც. კაცი მაშინ უფრო უძლებს ჭირს, როცა არ ტირიან და არც სიბრალულის თვალებით შემოსცქერიან...

არაფერი უჭირს, — ახალგაზრდაა, შვილიშვილია, მაგრამ საფლავს მაინც გათხრის, პაპას დაასაფლავებს, — დაასაფლავებს წესის მიხედვით, ერთ ჭიქა ღვინოსაც გადაუქცევს, ერთ ლუკმასაც გატეხავს, მიცვალებული მეტს არ თხოულობს, ყველაფერს წესის მიხედვით გააკეთებს, ადამიანურად, სწორედ იმისთვის, რომ შვილიშვილია და პაპა არ უნდა შეარცხვინოს.

სოლომონიც ასე ადრიანად იმიტომ დაიბარა, არ უნდოდა ვინმეს ენახა, თუ როგორ მიდიოდა შვილიშვილი პაპის საფლავის სათხრელად...

სოფელმა მაინც უნდა გაიგოს, რომ მიცვალებული ჰყავს.

მიცვალებულს ცრემლი შვენის ქალის.

სოფელი ყოველთვის წრფელი ცრემლით დასტირის საყვარელი ადამიანის ცხედარს.

სოფელს თბილი გული აქვს. მხოლოდ, ალბათ მაშინ, როცა შენც სითბო დატოვე სოფელში...

გათენდება და თინა ჩამოუვლის მე-

ზობლებს. მეზობლები რიგ-რიგობით მივლენ, ჩამოსხდებიან მიცვალებულის გვერდით, იქნებ ძუნწად, მაგრამ მაინც დაიტირებენ ვანო პაპას; ზოგი თავის მიცვალებულს დაატირებს, ზოგი ცოცხლად დაკარგულს; მერე რამდენს აქვს დასატირებელი, დასაბარებელი?!

სოფელი თავის მიცვალებულს ყოველთვის აპატიოსნებს...

ჯერ ისევ ღამე იყო, გზას რომ მიუყვებოდნენ საფლავის მთხრელები. სასაფლაო ცივგომბორის კალთაზე აქვს სოფელს, ზევით, ზევით. რაც ზევით ადიან, მით სიცივეა იქ, სუსხიანი ქარი უბერავს.

შეძლებენ კი საფლავის გათხრას? თუ შეძლეს, მიცვალებულს ვინ აიტანს ასეთ სიმაღლეზე, ასეთ ყინულიან გზაზე?..

„არ ვიცი, არ ვიცი", — ეუბნებოდა თავის თავს მიხო და უფრო მეტად სწყდებოდა გული სოლომონზე, თინაზე, სოფელზე...

რატომ სოფელზე?..

იმიტომ, რომ არავინ მოაკითხა, არავინ გაიზიარა თანასოფლელის მწუხარება, არავინ ამოუდგა მხარში. თვითონ კიდევ, პატარა ალარაა, თავმოყვარეა და სიტყვის კაცი...

„რისთვის გავჩერდე სოფელში? სულ ერთია, მაინც გავიპარები ფრონტზე, სოლომონს შევპირდი, მაგრამ მაინც გავიპარები... ეს მერე, ახლა სასაფლაოს გათხრაა მთავარი, დასაფლავება. მოვახერხებთ მარტო ჩვენ ორნი?".

— როგორც იქნა... მოვედით, ბალღო, — გამოარკვია სოლომონის ნათქვამმა და მაშინღა მოავლო თვალი სასაფლაოს, ჩაშავებულ-ჩანაცრისფერებულ მთებს, ხევებს, ქვევით — ბურუსით გადაკეტილ ალაზნის ველს, უფრო ახლოს, — მშობლიურ სოფელს.

ადგილი შეარჩიეს, იარაღები დაყარეს, თოფი იქვე პატარა ხეზე ჩამოჰკიდეს.

— ვითომ აქ სჯობია? — იკითხა მიხომ.

— იშვიათი ადგილია, მთელი სოფელი ჩანს, — დაემოწმა სოლომონმა.

— მკვდრისთვის სულ ერთი არ არის?

— მკვდარიც სოფლისკენ იყურება, ბალღო, რატომ უნდა ვაწვალოთ მიწაში?

მიხომ არაფერი უთხრა, საფლავი ბარით მოხაზა, თოვლი გადახვეტა და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ირგვლივ. — თითქმის ყველა საფლავს ყარაულივით თავში ედგა პატარა, დაბალი ხე,— ზოგი გაშიშვლებული, ზოგი — მარად მწვანე...

„ვანო პაპასაც დასჭირდება ხის დარგვა: ვინ დარგავს, მე რომ აქ არ ვიქნები?.."

საფლავზე ხე კარგად ხარობს, მაგრამ რატომღაც ძალიან მაღალი ვერ იზრდება. ალბათ ისიც ცდილობს, რომ მიცვალებული ფესვებით არ შეაწუხოს...

საფლავზე გაზრდილი ხეები ღამეს უთევენ მიცვალებულებს...

მარტო კი არ უთევენ ღამეს, დღისით უჩრდილებენ კიდეც...

სასაფლაოზე ბევრი ყვავილიცაა, მაგრამ ყვავილები გაზაფხულზე იწყებენ ყვავილობას. ახლა ზამთარია, ყინავს, თითქმის წელამდე სწვდებათ თოვლი მესაფლავეებს...

დრო დაუკითხავად იპარება, თანდათან ნათდება მიდამო.

წელ-ნელა ხელის გულივით გამოჩნდა სოფელი, თვითეული სახლით, საურმე გზებით, ღობეებით; მაგრამ ყველაზე კარგად სახლის სახურავები ჩანდა ზემოდან, ქართული კრამიტით დახურული სახურავები პატარა საკვამურებით, საიდანაც კვამლი ჯერ არ ამოდიოდა.

სოლომონი დიდი ხანი გაშტერებით იყურებოდა ქვევით და თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა.

რამ მოუფრინა სოლომონს თვალებზე ცრემლი?..

საფლავზე ყოველთვის მწუხარება იპყრობს ადამიანს, მწუხარება და შიში.

მგლების ყმუილი იშვიათად, მაგრამ უფრო ახლოდან ისმოდა.

სოლომონმა თოფი ჩამოიღო ხიდან, მიხოს მიაწოდა.

— გაისროლე, — ხმის კანკალით სთხოვა.

— ნუ გეშინია, სოლომონ, მგლები ჩვენგან შორს არიან.

— მე არ შემიძლია, ძვლებს დამიმტვრევს... გაისროლე, თუ ღმერთი გწამს.

— თუ არ მწამს?

სოლომონს ხელები უცახცახებდა და ისე მისჩერებოდა მწყურვალივით. მიხომ მონადირის სიფრთხილით მოავლო თვალი ირგვლივ (თვითონაც არ ჰქონდა გული დამშვიდებით, კიდეც გადასდებოდა სოლომონის შიში!), სოფელს გადახედა და რატომღაც სახლში ყოფნა ინატრა.

— სძინავს სოფელს, სოლომონ, დაღლილია მუშაობით.

— საჭიროა, ბალღო, ძილს აქაც მოვესწრებით.

იქნებ არც გავარდესო, იფიქრა, მაგრამ იგრიალა თოფმა, ორივე ლულიდან ცეცხლები გაყარა... იგრიალა და გააყრუა იქაურობა, თითქოს მთებს და ველებს გადაუარაო, კლდეებს მიაწყდა, ხევებში ჩაქანდა, უსასრულობაში გაინავარდა წყვეტილ-წყვეტილ.

ცოტახნის შემდეგ სოფლიდან ისროლა ვილაცამ; ერთს — მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, ძაღლები აყეფდნენ... საკვამურებიდან კვამლმა იწყო ამოსვლა.

სოლომონს ორივე ლოყაზე სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა.

— შენ გეგონა, ბალღო, მგლების შემეშინდა და იმიტომ? თუ სოლომონს არა აქვს თავისი სადარდებელი?!. — ვერ ფარავდა იგი აღტაცებას, — არავის ემდურება ქვეყანაზე სოლომონი, არც შენ დაემდურო, ბალღო, ვინმეს. თუ დამდურება გინდა, საკუთარ თავს დაემდურე მხოლოდ. ვითომ რათაო, მკითხავ? იქნებ ხელი ვერ შეგიწყო ბუნებამ, გაგიმწარდა ცხოვრება, მაგრამ მთავარი მაინც გვაქვს შენც, მეც, — მშობლიურ მიწაზე გვიდგას ფეხი, თავზე მშობლიური ზეცა გვხურავს. არ კმარა ნუთუ? — ამ მიწასა და ცას შორის შენი სახლი დგას; იყავი და იცხოვრე, ვინ გიშლის? საკვამურიდან კვამლი უნდა ამოდიოდეს!.. თუ საკვამურიდან კვამლი ამოდის, იქ კაცი ცხოვრობს და თუ ცხოვრობს, იქ სიცოცხლეა. თუ სიცოცხლეა, მაშ ვილასთან გაქვს დასამდური, შე ადამიანის შვილო, იყავი და გაათბე ბუხარი; შენ ბუხარს გაათბობ, ბუხარი სახლს გაგითბობს. გამთბარი სახლი მარტო სხეულს ათბობს გგონია? — გულს ათბობს, გულს! ხოლო თუ გული თბილია, მაშინ კაციც ხარ და სიყვარულიც იცი. განა მარტო საკუთარი თავის? — ბუხარი გიყვარს, ცეცხლის დანთება, სითბო გიყვარს, მიწაც და ცაც, სოფელიც. სოფელს კი საკვამურიდან ამოსული კვამლი უყვარს, მაშინაა იგი თბილი და სიცოცხლით სავსე. თბილი სოფელი კი მარტო საკუთარ თავს არ ათბობს, ბალღო, მიწასაც ათბობს, ვაზსაც, სოფლის სითბო შორს სწვდება სოფლის საზღვრებს. რა მოხდა თუ მგლებს და ტურებსაც ალიზიანებს? სოფელში თუ სითბოა, სახლებში ცეცხლია დანთებული, მგელს და ტურას რა გაახარებს სოფელში? გვიწრიალონ გარშემო და გვიყმუვლონ. მოგვტაცებენ თითო-ოროლა ვარიას? — მოიტაცონ. მამალი შეგვრჩეს მხოლოდ, რომ გამთენიას იყივლოს, სოფელი ფეხზე დააყენოს. მაშ... ეგრეა, ბალღო, საკვამურიდან კვამლი უნდა ამოდიოდეს, ესაა მთავარი.

სოლომონი სულს ძლივს ითქვამდა. შუბლზე ოფლი მოსდგომოდა. ქუდი მოიხადა, მაჯებით მოიწმინდა გამხმარი, დანაოჭებული სახე; ჭაღარა თხელ თმებზე ცივმა ნიავმა გადაუქროლა, მაგრამ, როგორც ჩანდა, სიცივე ვერ აშინებდა.

ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო...

თუ მოხუცის გულში ცეცხლია დანთებული, ახალგაზრდაც თბებათ იმ ცეცხლით...

მიხო გაკვირვებული მისჩერებოდა სოლომონს და მოეჩვენა თუ ნამდვი-

ლად ასე იყო, უფრო მეტად შეებრალა რატომღაც. მოხუცის სიხარულმა სევდა მოჰგვარა მაშინვე, დაუბრუნა ყველა საფიქრებელი და სადარდებელი, ცრემლი კი არ მოსდგომია სოლომონივით, მხოლოდ გული უცემდა ზომაზე მეტად. მერე ორივე ხელი ერთ მუჭად შეკრა, რამდენჯერმე ჩაჰბერა. თითებს შორის ორთქლი ბოლივით გამოდიოდა, სახეზე უბრუნდებოდა და უთბებოდა კანი...

„რამ მოუფრინა სოლომონს თვალებზე სიხარულის ცრემლი?..“

მიხოს გონება ერთი მიმართულებით მუშაობდა მაშინ და არ შეეძლო უცბად პასუხის გაცემა. ჯერ სიკვდილს ვერ მოხსნოდნენ მისი ფიქრები: სწყევლიდა ცხოვრებას ასეთი გამწარებისათვის, ასეთი დასჯისათვის, ცხოვრებას და ბედს, თუმც ერთი და იგივეს ნიშნავდა მისთვის ორივე, ბედი ისევ ცხოვრებასთან აბრუნებდა მაინც, ასეთ მწარე, დაუნდობელ, უსამართლო ცხოვრებასთან...

თოვლგადაცლილი მიწაც სწრაფად მოყინულიყო. მიხომ გამეტებით დაჰკრა წერაქვი, მაგრამ ოდნავ ჩაასო შიგ, მეორედ დაჰკრა, — იგივე გამეორდა, მესამედ ქვას წამოედო, ასხლტა და ფეხებს შორის გაუძვრა, მერე ხელიდან გაუვარდა.

„იქნებ არც ისეთი სულელია სოლომონი? სოფლის სითბო სოფლის ფარგლებს სცდებაო. გაცივდა სოფელი და სასაფლაოც იმიტომაა ასე გაყინული?.. რა ამოთხრის ამხელა საფლავს? თუ შევძელი ამოთხრა, ვანო პაპას ვინ ამოიტანს აქ, მარტო მე?..“

ომი დიდია და დიდი მსხვერპლიც მოაქვს სოფლისთვის...

ომში ტყვია ჰკლავს ადამიანს, სოფელს, — ომში გაგზავნილი შვილის დარდი...

ნუთუ ომი გულსაც უციებს სოფელს? მეზობელს მეზობლის გასაჭირი გასაჭირად აღარ მიაჩნია? ომის დროს ხომ არ უთქვამთ: მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო? სად არის ის თბილი სოფელი, სოლომონ, ასეთი გატაცებით რომ ცდილობდი მისი სითბოს ჯადოსნური თვისებების ყოვლისშემძლეობის დამტკიცებას?..

ცოტახანს დაფიქრებულები მისჩერებოდნენ ერთმანეთს. მერე სოლომონი მუხლებით მიწას დაემხო და ხელები ზედ დაალაგა.

— რას შვრები, სოლომონ, გაცივდები, — ხელი შეაშველა მიხომ, მაგრამ მოხუცი არ დაჰყვა მის ნებას.

— მიწას მოფერება უნდა, ბალღო, მოფერება და თავისით გათბება, — ჩურჩულებდა სოლომონი. — ქვეშ კი ისედაც თბილია ჩვენი მიწა, ძალიან თბილი.

სოლომონი უფრო მოილუნა და ახლა ლოყა დაადო გაყინულ მიწას. მიხოს უნებურად პირზე ღიმილი მოერია.

— ჩვენ ახლა მაგისთვის გვცალია? — ღიმილითვე უთხრა.

— მოიცა! — თვალების ხამხამს მოჰყვა მოხუცი, — რაღაცის ხმა მესმის.

— გაცოცხლებულხარ?

— მოიცა, ბალღო, ნამდვილად მესმის ხმები.

— მგლები იქნება...

მიხოს თოფისკენ გაექცა თვალები, ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. წვალებით, მაგრამ მაინც სწრაფად წამოიმართა სოლომონი, კისერი წაიგრძელა. — არ გჯერა?!.

ცოტა ხნის შემდეგ მიხომაც გაიგონა სასაფლაოსკენ მომავალი ადამიანების ხმა.

„ნეტავ სოფელს კიდევ ჰყავს სხვა მიცვალებული?..

ვინ იცის, იქნებ ჩემსავით გაჭირვებულია ვილაც...

მე რომ არ ვცნობდე, ვინ უნდა იყოს ისეთი?..“

სულ მალე სასაფლაოზე რამდენიმე კაცი და ქალი გამოჩნდა ნიჩბებით ხელში. წინ ცალთვალა კოდალა-დურგალი მოუძღოდათ, უკან წვალებით მოაბიჯებდა თინა...

— რა გითხარით შენ, სოლომონ, ძილშიაც ლაპარაკობსო, — ძუნწად საყვედურობდნენ სოფლელები კვლავ და-

ლონებულ მოხუცს. ვერავის არწმუნებდა სოლომონი, რომ თავისი ბრალი არ იყო, რომ მას არ უნდოდა ბავშვი გაპარულიყო ფრონტზე.

— არც ასეა, შვილო, საქმე, არც ასე, — მკერდში ჩაეხუტებინა ცალთვალა კოდალა-დურგალს მიხოს აცრემლებული თავი და თვითონაც იცრემლებოდა.

— განა ისე წახდა სოფელი, რომ შვილიშვილს პაპის საფლავი ათხრევინოს?..

— შენ სახლის გაციება მერე ნახე, ერთმანეთს ზურგი თუ შევაქციეთ.

— ეგ არ მოხდება, სანამ ცოცხლები ვართ.

— ცოცხლები უნდა ვიყოთ, ცოცხლები!

— ეხ, სოლომონ, სოლომონ, უნდა დაგაქორწინოთ, თორემ ცუდადაა შენი საქმე...

მუშაობას ხალისი მოაქვს თურმე სასაფლაოს თხრის დროსაც კი ყიჟინა, შეძახილი, გახუმრება, ცრემლი, — ყველაფერი იყო და არავის სციოდა.

მერე მზეც ამოვიდა...

წელში მოხრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და თავჩაქინდრული სოლომონი სოფლისკენ მიდიოდა მარტო აუჩქარებლად...

შალებში ჩაფუთვნილი თინა ახლოს არ ეკარებოდა საფლავის მთხრელებს, მოცილებით იდგა ნაღვლიანი...

სახლში წასვლის წინ, მიხომ ნათხარი მიწა აიღო მუჭით, მოსრისა და ერთხანს თვალი გაუშტერა ზედ. შუბლშეკრულს ეჭირა იგი ხელში სათუთად, უკვირდა, რომ გულში უხაროდა რაღაც.

ნათხარი მიწა მიხოს თბილი ეჩვენებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენვერ ნიჟარაძე

## ლირიკული პოემა ციკლიდან „გზაჯვარედინები"

მე ცოცხალი ვარ, უსასრულო
განსჯის და ფიქრის
ლაბირინთებში ხეტიალი
მერგუნა ბედით,
დავდივარ ქვეყნად, განათებულ
ვარსკვლავებს ვითვლი
და მხარზე მაზის ფრთაფართფატა
მშვიდობის მტრედი.
მზე ეფერება ოკეანის
ნაპირებს სოველს,
სადაც ჩემს გარდა არ ყოფილა
არცერთი კაცი,
მე დროის ჭრილში გაელვებულ
ქვეყანას ყოველს,
ვით დედამიწის ისტორიის
ვიხილავ ნაწილს.
მე ვიცნობ შორი ბაბილონის
დანგრეულ გოდოლს
და იბერიის ლურჯ სილაში
ოცნებით ვთბები
და აღარ მიკვირს,
რომ ბებერ ლონდონს
ნისლში მოუჩანს მაღალი მხრები.
ზემოდან ვხედავ უძველესი
სახლების გვერდით
ცაში ატყორცნილ
ბეტონს და მინას,
აეროპორტში უთვალავი
ისვენებს გედი
და ალუმინის ნიაღვარში
ხიტროუ ბრწყინავს.

●

მიაფრენს ქარი ცივი წვიმის
დამტვრეულ ტოტებს
და მე არ მჯერა, ისე, როგორც
მჯეროდა წინათ,
რომ დღისით ქვეყნად
ჩადენილ ცოდვებს,
ღამით უეცრად მოვარდნილი
გადარეცხს წვიმა.
ვერაფრით სული თვალთმაქცობას
ვერ შეეთვისა,
არ მაქვს საბაბი წუთისოფლის
თითქოს და მდურვის,
მაინც არ არის უცხო ჩემთვისაც
არც სიყვარული
არცა მტრობა და არცა შური.
რადგან ცხოვრების აჩქარებულ
დინებას ვერთვი,
მეც მაწევს მხრებზე გაურღვეველ
ღრუბელთა სისქე,
სადაც წინაპარს წარმართული
ღმერთების გვერდით
ეგულებოდა ბუდა თუ ქრისტე.
ხოლო ბუნება ძველებურად
აბრუნებს ნელა.
ჭრელ დედამიწას ჩვენი სისხლით
და ცრემლით დამბალს,
ადამიანის მარადიულ
ტკივილთა შველა
არ შეიძლება არაფრით ალბათ.
წვიმს. სხვებთან ერთად ველოდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვინტონში ამინდს.
გარეთ, მინდორში,
ბალახს წიწკნის
ირემი კენტი
და არც კი მახსოვს, როსმე მართლაც
თუ იდგა ჟამი,
როდესაც კარგად ვერ ვამჩნევდი,
ბოროტს და კეთილს.
და ვუსმენ ისევ,
მონოტონურ,
შორეულ ბგერებს
და რაღაც ახლის მოლოდინი
მათრობს და მავსებს ,
ეს ვით ნანატრი
ცისარტყელა,
წვიმების მერე
შენ ამოდიხარ ჩემი ფიქრის
უძირო ცაზე.

●

ვივიწყებ
ყველა ძველ სიმღერას,
აწ უკვე წაშლილს
და ჩემი სული უხილავი
სივრცისკენ მიჰქრის,
ამ ოთხ მილიარდ-ნახევარ კაცში,
როგორ გიპოვნე
თვითონაც მიკვირს.
როგორ მივაგენ მონატრებულ
ფერსა და სურნელს,
თუ არა მართლაც უზენაეს
განგების ძალით
და ახლა ვიცი,
ადრეც მთელი სიცოცხლე თურმე
მწყუროდი,
როგორც უდაბნოში
სწყურიათ წყალი.
სად გაჰქრა ნეტა წუხანდელი
წვიმა და ნისლი,
ვინ გადარეკა ლაჟვარდიდან
ჯადოსნურ კვერთხით,
ძარღვებს აწყდება
გამთბარი სისხლი
და რომ შემეძლოს მთელ სამყაროს
გაგიგებ ფერხთით.
დიახ, მზადა ვარ, თუნდაც სული
მივყიდო ეშმაკს,
კვლავაც გამოვვლო
ქარიშხლები,
ყინვა და თოში,
ოღონდაც ერთად
სიყვარულის ნექტარი შევსვათ
ერთად ვიაროთ
ერთგულების
მზისფერი დროშით.
აჰა, ვივსები შენი შუქით
და აღარ ვმალავ,
რომ მოვარდნილი შთაგონების
გრიგალი მარწევს,
გამოვალ ღამით,
გადავივლი მძინარე ქალაქს
და ზღვაში აწვდილ შუქურაზე
შენს სახელს დავწერ.
და როცა ზღაპრად გადასული
მშვენიერ დღიდან,
ჩასთვლემ დაღლილი
უჩვეულო განცდით და გზნებით,
უცხო გემები, შემოსული
შორეულ მხრიდან
სალამს მოგცემენ ყოველ დილით
საყვირის ხმებით.

●

მიოცნებია მე რამდენჯერ
ამ ზღვათა ხილვა,
რამდენჯერ ნატვრით
დედამიწის
საზღვრებსაც გავცდი,
მეც, მეც ვიარე,
როგორც ყველა ადამის შვილმა
იმედის გზებით
და გზებით ჯვარცმის.
კვლავ გარს უვლიან
ხომალდები
მშვენიერ ქვეყნებს,
ნავსადგურებში
უშვებენ ღუზებს,
მატარებლები გრიალებენ
შორეულ გზებზე
და ყოველი გზა
დედამიწის გადადის გულზე.
ის კი კვლავ ფეთქავს
და მიცურავს სივრცეში მრგვალი,
ის კი კვლავ ცოცხლობს
და ყოველგვარ განსაცდელს უძლებს
და ეზნიქება სიმძიმისგან
ხორცი და ძვალი
და ნაოჭები ემატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღარულ შუბლზე.
მაშ ნუ მოირგებ
გულგრილობის
საზარელ ნიღაბს,
ყურს ნუ დაუგდებ
ბოროტების სატანურ ხარხარს
და გეუბნები,
გეუბნები,
ვინც გინდა იყავ,
ადამიანო,
შენ ჩემი ძმა ხარ.
დამიდექ გვერდში
სიცოცხლისთვის რამეთუ გავჩნდით
და სხვა საბრძანისს
ვერ ვიპოვნით რამეთუ ვერსად,
დამიდექ გვერდში,
და ჩვენს ფეხქვეშ
ლამაზად გაშლილს,
ერთიან ძალით გავუფრთხილდეთ
პლანეტას ჩვენსას.
ისედაც შუღლით და ომებით
ნატანჯს და ნაძიძგნს,
სიმშვიდესა და მყუდროებას
ასე რომ ნატრობს,
ნუ შევუმოკლებთ მისთვის სავალ
დროსა და მანძილს,
გამოვუნახოთ სხვა მიზნები
წყალბადს და ატომს,
რომ არ ატირდეს ქვეყანაზე
არცერთი ბალღი,
რომ არ დაეშვას ჩვენს მიწაზე
კვლავ მარსის ეტლი,
რომ არც იორკის
თმადავარცხნილ
მინდვრებს და ბაღებს,
არც სვანეთის ტყეს
არ გაუჩნდეს
ნაპალმის ცეცხლი.

●

ჩემო რომეო,
ამ ვულკანურ დღეების ლავა
დაგვფერფლავს
ყველას ერთნაირად
მუხას თუ ლერწამს,
ოცდამეერთე საუკუნის
საზღვართან ვდგავარ
და აღარ ვიცი, შენეული
თუ რამე შემრჩა.

ეფრქვევა მინდვრებს ძველებურად
ზეციდან ნამი,
ტალღების თხემზე თოლიები
წვანან და თვლემენ,
მაგრამ რა ხდება,
ვინ ამიხსნის,
ამ ბნელი ღამით,
ოქროსთმიანი მერკუციო
რად იჭრის ვენებს.
იქნებ არც არის საძრახისი
იმქვეყნად წასვლა
ჩვენს დროში,
ძმათა სისხლისღვრისა
და მეხთა ტეხის,
დაიპყრეს მთვარე რახანია
და ყველა ვარსკვლავს
მალე მოკვდავის
გათელავს ფეხი.
შემოსილია დღეს სიმართლე
ძაძით და ფლასით,
ჭეშმარიტებას აღარ უდგას
არავინ მცველად,
ტანგაძარცული სილამაზე
იხრჩობა ბრაზით
და ერთი ღამის სიყვარულში
დაეძებს შველას.
ვის სალოცავში დააბიჯებს
დალლილი მრევლი,
ან ეს ბიჭები
ჭრელ ყვავილებს
ვის ბაღში კრეფენ
და ეთხოვება სიყმაწვილე
ფარული ცრემლით
სამარადისოდ შეგინებულ
ხატებს და კერპებს.
და შენ ყვირიხარ,
იცრემლები,
დარდობ და წუხხარ,
განიცდი სხვათა ტრაგედიებს
და სხვათა დრამებს,
მაგრამ არავინ არ უბრუნებს
მათ ისევ უკან
წართმეულ რწმენას,
არც მაგიერს
აძლევენ რამეს.
არა, არ ესმის ეგ შენი ხმა
სამყაროს შეშლილს,
სად სიყრუე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგრილობა
ბატონობს სრული
დაბორიალებს რკინისა და
ბეტონის ტყეში
ყველაზე ცოდვილ საუკუნის
დაღლილი სული.

●

მიდი-მოდიან ხომალდები
ლამანშის ყელით
სხვადასხვა ფერის და ღირსების
წარწერით ქიმზე,
მიდი-მოდიან ხომალდები
და ძველთაძველი
პორტის კედლები
ქვემეხების თვალებით მიმზერს.
პორტსმუტში მართლაც
ყველა ჯურის ირევა ხალხი,
ქალაქის მაჯა დღე და ღამე
რიტმულად ფეთქავს,
ფარავს ნიღაბი ათასგვარი
სახეებს დაღლილს
და ვინ რას ფიქრობს
ნიღაბს შიგნით
არ უწყის ღმერთმაც.
ბრუნავს რულეტი კაზინოში,
მუსიკა უკრავს,
ბრიალებს ქუჩა
უთვალავი ფერის ფარანით,
მაგრამ აქ მშიერს
არ მოგაწვდის არავინ ლუკმას,
არ აგაყენებს
ძირს წაქცეულს
ფეხზე არავინ.
ხოლო ცხოვრებას ყველასაგან
კუთვნილი მიაქვს,
რამდენი გლახა, უქონელი,
რამდენი კრეზი,
ერთი უფლებით შეერია
გაუვალ წყვდიადს,
საითაც მოკვდავს
საბოლოო
უქირავს გეზი.
მაგრამ სანამდე მომთიბავდეს
არყოფნის ცელი,
სანამდე გული კიდევ ფეთქავს
და შველას ითხოვს,
გემუდარები,
ჩამკიდე ხელი,
მე მინდა ვიგრძნო
შენი სუნთქვა
და შენი სითბო.
თორემ დრო წავა,
სიჭაბუკის მინდვრებზე მოთოვს,
აავსებს თოვლი ჩვენს სულებში
გაჩენილ ბზარებს
და როგორც ქარი მოაქუჩებს
დაცვენილ ფოთოლს,
ბოლოს განგება
ერთად შეგვყრის
საწუთროს მგზავრებს.
ყველა ბილიკი დამთავრდება
გრძელი თუ მოკლე,
ჩაქრება ტყეში
მობრიალე წითლად ძახველი
და მაინც,
ერთხელ თუ უნდა მოვკვდე —
მოვკვდე ბაგეზე, სიყვარულო,
შენი სახელით.

●

გამოჩნდა ისიც, „ვიქტორია" —
ხომალდი გმირი,
გემი დაღლილი ტრაფალგართან
ფიცხელი ომით,
ახლა დგას დოკში
მოწყენილი
და ჩუმად სტირის,
ვით, გალიაში ბებერი ლომი.
ხოლო გემბანზე
უამრავი ტურისტი დადის
და ახალგაზრდა მეზღვაური
რაღაცას გვიხსნის,
მე კი დავყურებ
ანძის ძირას
მონიშნულ ადგილს,
რისმე შეღებილს
ადმირალი ნელსონის სისხლით.
სალამი დიდო ჰორაციო,
ვიცი შენს სახელს
ჩაუქრობელი მზე მოჰფინა
სწორედ ამ გემმა,
ძველ კაიუტას
შვენის ქალის
ღვთიური სახე
და ეს ლამაზი ქალია — ემმა.
დღეს თქვენს სიყვარულს
ჟამი ამართლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბრბო ბრბოა
და არაფრის არა აქვს რიდი,
მაშ რად არ უკვირს,
რომ თქვენს ბარათებს
აუქციონზე ვიღაც ჩარჩი
უგულოდ ყიდის.
მე კი არ მინდა
ჩვენს გრძნობებზე
იარონ ფეხით,
ჯერ ხომ შორსაა შემოდგომის
ფოთლების ცვენა,
ძალიან დიდხანს დაგეძებდი
და რახან შევხვდით,
ვინ იცის,
იქნებ ვუერთგულოთ
ერთმანეთს ჩვენაც.
სხვა ჩვენს ტკივილებს ვერ უწამლებს
ვერასდროს რადგან,
უარვყოთ ყველა მითქმა-მოთქმა,
უარვყოთ ჭორი,
რამდენი რამ დგას,
ღმერთო ჩემო,
რამდენი რამ დგას
რამდენი რამ დგას
ისეც ჩვენს შორის.
მაინც გეძახი,
ჩემში ბჟუტავს იმედის კვარი
და ვბორგავ, თუმცა
არასოდეს ვყოფილვარ მშვიდი...
უკვე ჩემს ქვემოთ გაშლილ ტემზას
მიარხევს ქარი
და ნისლში ქრება
ვატერლოოს
ახალი ხიდი.

●

აქ თურმე შენი არსებობაც
არავინ იცის,
მე კი მეგონა, ყველა კუთხით
გწვდებოდა მზერა
და მე ვიგონებ
სიზმარივით,
ბიჭების სიცილს
შენთვის სიკვდილი
ვის, თამაშად და უჩნდა მღერად.
ითვლიდნენ მაგრამ
ვერ ასწრებდნენ
მომხვდურთა დათვლას,
ყველა გორაკზე საომარი
კოცონი ენთო,
რას გადაურჩი,
საოცარი ხომ არის მართლაც,
დიდება შენდა
მაღალო ღმერთო!
ნათესავს ჩვენსას, ოცი კაცი
ებრძოდა თითოს,
და აწყდებოდნენ ყოველ მხრიდან
ჩაკეტილ კარებს.
რაც მართალია, მართალია,
ღალატიც იყო
და ერთმანეთის სისხლიც ზოგჯერ
ძალუმად ვღვარეთ.
მაგრამ გაუძლო ყოველნაირ
განსაცდელს ხალხმა,
სახელი შენი,
უკვდავების
სიმბოლოდ იქცა,
მეც იმ მოდგმის ვარ,
ვინც არ იცის ძირს ქედის დახრა,
ვინაც რუსთაველს ტიტანიურს,
სიცოცხლე მისცა.
გარჯით,
შენებით,
მშვენიერი წიგნების წერით,
საკუთარ ჯილაგს ვუმაგრებდით
ფესვებს და ძირებს,
მე მაინც მჯერა,
ისტორიამ
არ იცის ერი,
მხოლოდ და მხოლოდ რიცხობრივად
დიდი და მცირე.
და თუ ჟამს მართლა
ერის ნიჭის ნაყოფი ერთვის,
ხომ შეფასდება ყველაფერი
ამ ქვეყნად ერთხელ,
და ერთნაირად ძვირფასია
ქართველი ჩემთვის
პოეტი,
გმირი,
კალატოზი,
თუ ღამის მეხრე.
კურთხეულ იყოს წინაპარი
უხსოვარ დროდან,
ვინც შენს კლდეებში
ულამაზეს ქალაქებს თლიდა,
მე მის წინაშე მოკრძალება
ყოველთვის მქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მის სახელს
ვერ წარმოვთქვამ
ვერასდროს მშვიდად.

●

ვესტმინსტერისას
საბატოს განიერ თაღებს
უნატიფესად დაქსელილი
ჩუქურთმა ქარგავს,
რკინით მოჭედილ
ტაძრის კარს ვაღებ
და ორღანის ხმა ეფინება
ელვარე დარბაზს.
აქ ოთხი თვალი უნდა გქონდეს
კაცს, ორის ნაცვლად
შეუმჩნეველი რომ არ დაგრჩეს
მცირედი რამეც,
რა დიდებული აუგიათ
აკლდამა მართლაც,
განსასვენებლად პატივცემულ
და მაღალ გვამებს.
ყველა მათგანის ქანდაკება
მიწაზე დარჩა,
ყველა მეფის და პრემიერის,
ახლის თუ ძველის,
მხოლოდ უბრალო ინგლისელის
სახელი არ ჩანს,
ვინც ააშენა ეს ტაძარი
საკუთარ ხელით.
რამდენის ხსოვნას
ულმობელი ჟამი გადაშლის,
რამდენის ხსოვნას
გახსენება მოელის მწუთხე,
მაგრამ მათ გვერდით
ამ ვეება გოთურ ტაძარში
მე ვიცი არის ჭეშმარიტად
უკვდავი კუთხეც.
იგი ეკუთვნის
ზეციურ მუზებს
და შეიძლება არ ალეელდე
მხილველი განა?
როცა დიკენსის
და კიპლინგის
საფლავებს უმზერ,
როცა შელი და ბაირონი
გვერდიგვერდ წვანან.
მათი ხსენება გადალახავს
ყველა სამანებს,
ჩვენ კი დრო განგვსჯის,
ცოცხალთაგან
ვინა ვართ სწორი,
თავს ვუხრი კრძალვით
გენიოსთა წმინდა სავანეს
და ფიქრში
წყნარად მოშრიალებს
მთაწმინდა შორი.
იქაც უკვდავი მარმარილო
ციალებს თლილი,
იქაც დაფნები მდუმარებენ
წამების ფასად.
მარადიულით იქ სძინავთ ძილით
დიდ გალაკტიონს,
ბარათაშვილს,
ილიას, ვაჟას.
და კიდევ რამდენ ძვირფას სახელს
გონება ითვლის,
ვისმა ტალანტმაც აგერ დღემდე
გაუძლო დრო-ჟამს,
ვინაც მადლი და
ბრწყინვალება
ქართული სიტყვის,
ააფრიალა
უძლეველ დროშად.
ო, პოეზიავ!
ქვეყანაზე მხოლოდ შენ ძალგიძს
წამალო კაცთა გულებს შორის
ყოველი ზღვარი,
ხან სასიკეთოდ მომართული
შენა ხარ ჩანგი,
ხან მრისხანების
ძლიერი ზარი.
შენ ყველა ტკივილს
და განსაცდელს გაუძლებ, მჯერა,
ყველაზე წმინდა საფიცარი
შენა ხარ ჩემთვის
და ვარ ამაყი,
რომ მსოფლიო
ჩანგების ჟღერას
ქართული ჩანგის
წკრიალიც ერთვის.

●

შენ დგახარ კართან
გაჩაღებულ კანდელით ხელში
და თავზე გადგას
გვირგვინი ნათლის.
შედი ოთახში.
მიმოღვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედის თქეში,
გაათბე შენი სითბოთი და
თვითონაც გათბი
შენ დგახარ გარეთ,
აკაკუნებ კარებზე ფრთხილად,
ხოლო ოთახში უამრავი
ცოდვილი ბორგავს
და ელოდება ყოველ ღამე
და ყოველ დილა
რწმენას,
სიხარულს
და სიკეთეს, რომელიც მოგაქვს.
შენ დგახარ კართან,
მხრებზე თმები გაყრია მრეში,
შორს,
ხის ტოტებში გახლართული
ცა მოჩანს ლურჯი,
შენ დგახარ კართან
გაჩაღებულ კანდელით ხელში,
გაცოცხლებული
ჰოლმან ჰანტის
ჯადოსნურ ფუნჯით.

●

რახან ასეა,
თვალს ვუსწორებ სიმართლეს მწარეს,
ნაზამთრალ მთებზე
კიდევ ბევრი მოვა აპრილი.
მე უკვე მივხვდი, იმთავითვე
სხვადასხვა მხარეს
მიდიან ჩვენი გზები გაყრილი.
მაგრამ იმ დღეებს
ჩამოღვენთილს
მშვენიერ სანთლად,
უცხო ქალაქთა სურნელებას
და ფერთა ციმციმს,
ყველაფერს,
რამაც გაგვანათა,
რაც იყო მართლა,
ვერ დაივიწყებ
ვერასდროს ვიცი.
ვერ დაივიწყებ ვერც იორკის
კათედრალს და ვერც
ოქსფორდის თოვას
და მოვარდნილ სუსხიან ქარებს,
ვერ დაივიწყებ ჰაიდ-პარკის
ხასხასა ხავერდს,
საუთჰემპტონის მონორელსს და
სვინტონის მთვარეს...

მე კი, მე, ალბათ,
კვლავ მთელ სამყაროს
ავუჯანყდები,
რომ არ დასცდეთ
ბაგეებს კვნესა,
და ვით ყველაზე ძვირფას ავგაროზს,
ფიქრში ყოველთვის თან ვატარებ
ხატებას შენსას.
ის გამინათებს უსასრულო
ღამეებს ზამთრის,
ოღონდ შენ აღარ შეგაშფოთებ,
იყავი მშვიდად,
საკუთარ დარდით,
თუ იმედით,
დარით თუ ავდრით,
მე ჩემს მძიმე ჯვარს
მარტოკა ვზიდავ.

●

გათენდა.
ნელა ამოგორდა
მზე ცხრა მთას იქით.
ცოტა ხნის უკან
უცხო ქვეყნის დავტოვეთ ზღურბლი,
უზარმაზარი თვითმფრინავი
შინისკენ მიჰქრის
და ბრიტანეთი იბურება
სიშორის ღრუბლით.
მოსახილველი მოიხილა,
სათქმელი ითქვა,
სიზმრის ფერადი ქალაქები
წარსულში დარჩნენ,
ვუახლოვდები ტკივილამდე
ნაცნობს და ძვირფასს
მთებში ჩაკარგულ,
დედამიწის
ლურჯთვალა ნაჭერს.
ის მელოდება მშვენიერი
და საოცარი,
ის მელოდება საყვარელი,
ნაზი და თბილი,
ბეთანიაში ახლა უკვე
ყვავის მოცხარი,
უკვე მზიანი ამინდები
დაუდგა თბილისს.
ჩემო ქვეყანავ,
ზოგჯერ შენგან მე ისევ წავალ,
გავყვები დროის მდინარებას
და ზვირთთა ღელვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ვიხილო ის, რაც შეჰქმნა
ოდესმე მავან
ადამიანის ყოვლისშემძლე,
ძლიერმა ხელმა.
ჩემამდე ბევრმა
გიგალობა
და გაგალმერთა,
შენს უკვდავებას
ადრეც ბევრი
უდგა თავდებად.
მითხარ, ჩემთვისაც
შენი ტაძრის მცირე ნანგრევთან,
ქვეყნის შვიდივე საოცრება
რად ფერკმრთალდება.
მიტომ ხომ არა,
რომ გენუკვი
მშობლიურ მხარეს,
რომ შენ გეკუთვნი
სულით,
ხორცით,
რწმენით და ბედით,
აი,
გამოჩნდა,
მოვადექით შენს მაღალ კარებს,
ჩვენი ხომალდი
კავკასიის ღრუბლებში შედის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

**წიგნი მეოთხე**

## მუმლი მუხასა

### თავი ოცდამეცხრამეტე

კაპიტან ლვოვის წინასწარმეტყველება ახდა: გრაფ ტოტლებენს ფოთის ციხის აღება აღარ დასცალდა. ყიზლარიდან მისი შემცვლელი — გენერალი სუხოტინი მოვიდა თორმეტი საველე ზარბაზნისა და ჰუსართა ორი ასეულის თანხლებით, გრაფი კი უკან, ასტრახანში გაიწვიეს, საიდანაც, ალბათ, პეტერბურგისაკენ გაისტუმრებდნენ. ტოტლებენი სამ თვესა და ოცდაექვს დღეს იდგა ფოთის ციხის ალყაში და ჭურვებსა და ტყვია-წამალს სულ ტყუილუბრალოდ ხარჯავდა. იმერეთის ლაშქრობიდან შინ მიბრუნებული ოდიშის ბატონი კაცია პირველსავე დღეებში ეახლა და გენერალს ნუზლით დაეხმარა, აღუთქვა, ჯავრი ნუ გექნება, ჯარს არ მოგიშივებო და ნიშნად კეთილი განწყობილებისა, სარდლის ბანაკში თავისი უფროსი შვილი, სალიპარტიანოს ბატონი ბეჟანი და ტყვისმსყიდველობით სახელგატეხილი თავადი კაცო ჩიჩუა დასტოვა.

როგორც კი ზაფხული გამუალდა და ჯოჯოხეთური სიცხეები დაიჭირა, ჰაერში კოლხეთის გაუვალი ჭაობების მოშხამული ოხშივარი დატრიალდა და არაჩვეულებრივი სიდიდის კოღოები და ათასი სხვა მწერი და ჭიაღუა ცხენსა და კაცს დაერია. თვით ტოტლებენი კოღოებმა ისე უწყალოდ დაკბინეს და დაასივეს, საწყალს მთელი ღამეები არ ეძინა, ტანს ქავილით იგლეჯდა და თავბედს იწყევლიდა, რა მეხი დამეცა, აქ სად მოვედიო. მოალყე ჯარში ციებცხელება, ჩიყვი და სიყვითლე გავრცელდა. ხალხიცა და ცხენებიც ხაშმიანმა ჰაერმა და წყალმა დასცადა. დღე ისე არ გამოხდებოდა, ან ცხენი არ მომკვდარიყო, ან სნეულებისაგან გასავათებული სალდათისათვის არ აეგოთ წესი. ტოტლებენი ცხოველურმა შიშმა შეიპყრო. თავის უსასოო მდგომარეობას ის ისევ სოლომონის ორპირობასა და მზაკვრობას მიაწერდა და უკვე

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 10.

მზად იყო, დანაქადი სისრულეში მოეყვანა, ამის სულ მცირეოდენი საშუალება რომ ჰქონოდა.

ვიდრე ყიზლარიდან შემცვლელი და გრაფის მოქმედებით უკმაყოფილო პეტერბურგის რისხვა მოაღწევდა, ტფილისის გამოვლით იმერეთში ვინმე ნაქართველარი მაიორი ოთარ თუმანოვი ჩამოვიდა, ტოტლებენთან ერთად რუსეთში გაწვეული თავადი მოურავოვი შესცვალა და ადგილზე საქმის გამოძიება დაიწყო. იმერეთის სამეფო კარზე მხოლოდ მოგვიანებით შეიტყეს, რომ ქართულის გვარიანად მცოდნე თუმანოვი, ერთი იმ თავადიშვილთაგანი, ვისი მამა-პაპაც ქართლიდან 1724 წელს გახიზნულ მეფე ვახტანგ მეექვსეს რუსეთში გაჰყვა და ბედის ბორბლის უკუღმა დატრიალების შემდეგ რუსხელმწიფის სამსახურში შევიდა, იმდენად ტოტლებენის საქმის გამოსაძიებლად არ უნდა ყოფილიყო ჩამოსული, რამდენადაც თვით მეფე სოლომონს და მასთან ახლო მდგომ დიდკაცობას უთვალთვალებდა. მას გამორჩეულად არ მოსწონდა უცხოელი ბერების შინაურული ფუსფუსი იმერთა მეფის გარემო და ნდობა, რითაც კაპუჩინელი პატრები, კათოლიკური რომის ეს მოხერხებული აგენტები, საქართველოში, კერძოდ, იმერეთში სარგებლობდნენ.

გენერალ სუხოტინს სოლომონმა ლვიძლი ძმა, ბატონიშვილი არჩილი, და სარდლები — ქაიხოსრო აგიაშვილი და ბერი ლორთქიფანიძე შეახვედრა და ბოლოს, დადგენილ წესისამებრ, თავადაც შეხვდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, სოლომონი რომ ქუთაისის სასახლეში საპატიო სტუმარს იღებდა და „რუსის იარანალისათვის“ გამართული დარბაზობის დროს შესამჩნევად ღელავდა. დარბაზობას დედოფალი მარიამი, მაიორი ოთარ თუმანოვი, კაპიტანი ლვოვი და ბატონიშვილი ალექსანდრეც დაესწრნენ და მეფისა და სარდლის საქმიან სჯა-ბაასს თავისებური სირბილე და სინატიფე შესძინეს.

გენერალი მალე გაერკვა ადგილობრივ ვითარებაში, ცდილობდა, კორექტულობითა და ყურადღებით დედოფლის წინაშე თავი გამოეჩინა, თვით შედარებით ახალგაზრდა, მოხდენილი გარეგნობისა და კეთილშობილური მანერების მქონე კაპიტანი ლვოვიც კი დაეჩრდილა და უკლებლივ ყველა მოეხიბლა, მაგრამ მეფე სოლომონის მიმართ, ისევე როგორც მისი წინამორბედი გენერალი ტოტლებენი, მედიდურად იქცეოდა და ცხვირს მაღლა ბზეკდა. ეს ამპარტავნული ცხვირის აბზეკა, უპირველეს ყოვლისა, მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც სოლომონმა ფოთის ციხის ალყის მოხსნა ურჩია და იმერეთისათვის ლეჩხუმის შემოსაერთებლად დადიანის წინააღმდეგ გამოსვლა სთხოვა. მეფის აზრით, აუტანელი ცხელი ზაფხული და შემდეგ წვიმიანი შემოდგომა, კოლხეთის უამისოდაც ნესტიან ადგილებში სიკვდილს რომ მოგანატრებს, ყველაზე უფრო შეუფერებელი დრო იყო მკვიდრად ნაშენ და ჩინებულად შეიარაღებულ ფოთის ციხეზე იერიშის მისატანად. ციხის აღება გაცილებით იოლი იქნებოდა შუა ზამთარში, ბარბალობის შემდეგ, როდესაც ჭაობს თოვლი დაფარავდა, ალაგ-ალაგ კიდევაც გაყინავდა და ჯარს მისვლა-მოსვლა აღარ გაუჭირდებოდა.

გენერალს უმალვე გადავარდა გულიდან, რომ შეხვედრას სუსტი სქესის წარმომადგენელიც ესწრებოდა და მეფეს უხეშად შეაწყვეტინა. თქვა, რომ ცოცხალი თავით არ დაუშვებს საქმეში ვინმეს ჩარევას, თუნდაც ეს „ვინმე“ ამ ქვეყნის ბატონიც იყოს, ხოლო რაც შეეხება ლეჩხუმის ოპერაციაში მონაწილეობის მიღებას, უნდა პრინც სოლომონს აცნობოს, რომ ადგილობრივ მფლობელთა შინაურ დავაში იარაღით ჩარევა მას ნაბრძანები არა აქვს და არც აპირებს, აუტკივარი თავი აიტკივოს.

დარბაზში მყოფთაგან ყველა მიხვდა, მიხვდა, რასაკვირველია, სოლომონიც, რომ იმერეთიდან ტოტლებენის წასვლით ბევრი არაფერი იცვლებოდა, ვინაიდან მის მაგივრად მოვლინებული

 

გენერალი სუხოტინი წინამორბედისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა და სრული ურთიერთგაგების მიღწევა დღესაც ისევე ძნელი ჩანდა, როგორც გუშინ.

მარიამობის მომდევნო სამშაბათს გენერალი სალაშქროდ ალიჭურვა, წინ მეგზურები გაიძღოლა და ეკალ-მუხურის გზით ფოთს მიაშურა, ოთხი დღის შემდეგ კი, შაბათს, იგივე გზა ასი ჰუსარისაგან შემდგარი მცველი რაზმით კორპუსის სარდლობიდან გადაყენებულმა ტოტლებენმა გამოიარა და მეფესთან გამოსამშვიდობებლად ქუთაისში არც კი შეუვლია. ოკრიბის გავლით რაჭისკენ წავიდა, საიდანაც მამისონის უღელტეხილს გადაივლიდა და წინასწარ ამბის გასაგებად, თუ რა ბრალს სდებდნენ და რას უპირებდნენ, ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეში თანაპოლკელ გენერალ ფონ-ფრაუენდორფს მოინახულებდა.

სოლომონმა საბოლოოდ გადაწყვიტა და დარბაზმაც ასე ურჩია, ფოთის ციხის ამბებში არ გარეულიყო, თავის უცოდველობაში ღრმად დარწმუნებული სუხოტინი ნებაზე მიეშვა და მხოლოდ მაშინ მიშველებოდა, როცა იარანალი თავის კაცებს გამოგზავნიდა და შველას სთხოვდა.

ქვეყნის მოღონიერებას და სატახტო ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობას უამრავი დრო და სახსრების გამოძებნა სჭირდებოდა. აი, სწორედ ახლა იწყებდა ფრთების შესხმას მისი ოცნება, პირველად ტფილისის არაგვის კარში შესვლისას და ისნის დიდებული სასახლის ხილვისას რომ დაებადა. აღსადგენი და ხელახლა შესამკობი იყო აწ დაუქმებული და „ქვაბ ავაზაკთად“ ქცეული ძველი ეკლესიები, რისთვისაც ხარჯის გაღებას უწმიდესი კათალიკოსი მაქსიმე კისრულობდა, ქალაქის კედელი, ბაზრები, სავაჭრო სახლები, ფუნდუკები, ქსენონი, ქარავან-სარაები, ხიდები, ბონდები და, რაც მთავარია, ოქროს ჩარდახი — სამეფო პალატები...

მიილია მარიამობის მარხვა, დადგა ენკენისთვე, ფოთიდან კი სანუგეშო არა ისმოდა რა. კაცია დადიანი შინაურ კაცად გაუხდა გენერალ სუხოტინს! ნუზლით ამარაგებდა, ხშირ-ხშირად შინაც იწვევდა მისი ოფიცრებითურთ, ამ საყოველთაო შიმშილობის დროს, ქვეყნის ყველა ფენას რომ მოედო, მდიდრულ ნადიმებს უმართავდა და ყურს, ვინ იცის, რა სიბინძურით არ უვსებდა! ამ ხნის მანძილზე მაიორმა ოთარ თუმანოვმა ორჯერ მოინახულა გადაუდებელ საქმეებში გართული მეფე და მისი სახლეული. მწუხარება გამოთქვა, სუხოტინი რომ ასე ჯიუტობს და ფოთის ალყაში ამაო დგომით ზარალს იმრავლებსო. სოლომონს კრინტი არ დაუძრავს, „იარანალის“ ძვირი პირიდან არ ამოუშვია. პეტერბურგიდან მოჩენილი მსტოვარი კარებამდე სანდო არ იყო. თავისი ნათქვამი უთუოდ სადმე გზაზე დახვდებოდა.

1771 წლის მიწურულს რუსეთის არმიებმა ყუბანისა და ქერჩის ოსმალთაგან გაწმენდა დაამთავრეს, შავ ზღვაზე გავიდნენ და ქერჩის ნავსადგურის ანძაზე რომანოვების იმპერიის ძლევამოსილი ალამი ასწიეს. ოსმალეთის განთქმული ფლოტის ნაშთებმა, ყირიმის სანაპიროს გასწვრივ სასტიკი დამარცხება და ზარალი რომ იწვნიეს, სრუტეებისაკენ დაიხიეს და სულის მოსათქმელად ბოსფორს მიაშურეს. შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად რუსეთის ფლოტის განმგებლობაში აღმოჩნდა. ყუბანსა და ყირიმში გამოთავისუფლებული არმიები მთავარსარდლობამ ხომალდებზე დასხა და დუნაის შესართავისაკენ გადაისროლა, მაგრამ იქ ცეცხლი უკვე თანდათან ნელდებოდა. ხელმწიფის კარს ომის გასაგრძელებლად და წმიდა ქალაქ კონსტანტინოპოლის აღებით მის დასამთავრებლად სახსრები აღარ ყოფნიდა და სანკტ-პეტერბურგის მაღალ წრეებში ხმელეთსა თუ ზღვაზე გაუგონრად შევიწროებულ პორტასთან ზავის დადებაზე დაიწყეს ლაპარაკი. სუხოტინი ამიტომაც ჩქარო-

ბდა, რომ ომში თავისი წვლილი შეეტანა, ფოთის ციხეს ახალ-ახალ ძალებს აყრიდა, ალყის მარყუჟს თანდათან ავიწროებდა, რათა საზავო შეთანხმების დადებამდე ეს ციხეც აელო და სოლომონთან და დადიანთან ერთად სამცხეზეც გაელაშქრა...

ჯერ ქუთაისის ციხის დაცემამ, ხოლო შემდეგ ყირიმის სახანოს მოშლამ იმერეთის პატარ-პატარა ციხეებში ჩაყენებული იანიჩრები დაარწმუნა, რომ მათი ყავლი გავიდა და უკვე დრო იყო, ციხეების უომრად ჩაბარებისა და შინ უვნებლად გაშვების თაობაზე აჩიკ-ბაშის მეფე სოლომონთან ან მის კაცებთან მოლაპარაკება გაემართათ. მეციხოვენთაგან ბევრი ამითაც არ დაკმაყოფილდა. ციხიდან გამოსვლისთანავე სამუდამოდ იმერეთში დარჩენის სურვილი გამოთქვა და მოწყალე ნება ითხოვა, როგორც კი ქვეყანა დაწყნარდებოდა, საფაშოდან სახლეული დაებარებინა.

სოლომონმა საგანგებოდ დანიშნული პირების მეშვეობით გამოირკვია, ვინ რით სუნთქავდა, რამდენად გულწრფელი და სანდო იყო გუშინდელი მოსისხლე მტრის მონანიება და იმერეთის ტახტის ქვეშევრდომად თავის გამოცხადება, შემდეგ კი ზოგი მათგანი უშვილძიროდ გადაგებულთა ნაფუძვარზე დაასახლა, სხვებს კი ადგილ-მამული სახასო მიწებზე მიუზომა და მთელი ათი წლით ყოველგვარი ბეგარისა და გამოსაღებისაგან გაათავისუფლა.

გაზაფხულზე, აღდგომის კვირაში, თოვლი რომ გადნა და ზეკარზე საქარავნო გზა გაიხსნა, მეზობელი სანჯაყებიდან იმერეთში დედაბუდიანად აყრილი სამასიოდე მესხური ოჯახი გადმოვიდა. ამათგან ნახევარზე მეტი კათოლიკე ქრისტიანები იყვნენ, შიგადაშიგ მართლმადიდებლებიც ერივნენ, დანარჩენები მაჰმადის რჯულს სიტყვიერად აღიარებდნენ, ყოფა-ცხოვრებაშიც ოსმალურ წესს მისდევდნენ, მაგრამ გული მაინც შეუცვლელი ჰქონდათ, მამა-პაპის სარწმუნოებრივ დღესასწაულებს სხვა თანამემამულეებთან ერთად იხდიდნენ და ოჯახში მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ამდენი ხალხის დასახლება, ისიც ასე დიდი გასაჭირის ჟამს, იმერეთს რომ ადგა, ადვილი როდი იყო. უძველესი საცხოვრისიდან იძულებით აყრილი და ბედის საძიებლად ქვეყნის სხვა კუთხეში გადმოხვეწილი მესხები მხოლოდ ფეხის მოსაკიდებელ მიწას ითხოვდნენ, რომ ქოხი დაედგათ და შიგ წვრილშვილი და მოხუცებულები მოეთავსებინათ, სხვა მხრივ თავს როგორმე გავიტანთ, ყოველ ცისამრე დღე ქირაში ვივლით, გზების, ხიდების, სარწყავი არხების, ციხე-ქალაქების მშენებლობაზე თავდაუზოგავად ვიმუშავებთ, მებატონეებს და ეკლესია-მონასტრებს ყმებად დავუდგებით, ქედზე თუნდ ხარის უღელს დავიდგამთო.

სამცხიდან ოჯახების დენა ახალი თოვლის დადებამდე აღარ შეწყვეტილა. დიდ-დიდ ჯგუფებად, მამასისხლად დაქირავებული მცველი რაზმების თანხლებით მოდიოდნენ, რომ გზაში ყაჩაღებისაგან თავი დაეცვათ და სოლომონის სამფლობელოებამდე, სადაც შიში აღარაფრისა ექნებოდათ, მშვიდობით მოსულიყვნენ.

ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხიდან ხალხის გადმოსახლება ურიგო საქმე არ იყო, მაგრამ თუ ხვალ და ზეგაც ასე გაგრძელდებოდა, მოსახლეობისაგან სანახევროდ დაცლილ იმერეთში მალე სამოსახლო მიწასაც ველარ იშოვნიდი, ძველი, დროთა განმავლობაში მიტოვებული, ეკალ-ბარდით გადავლილი ახოები ხელახლა უნდა გაეტეხათ და, ამგვარად, თუ მომხვდური მტერი დააცლიდათ, ტყესა და მინდორს ბარ-საწერლით მოსდებოდნენ.

მთავარნაცვლოზობა თენდებოდა. მთელი ქუთაისი და მისი შემოგარენი, ვისაც შეძლება ჰქონდა და მუხლიც მოსდევდა, ადრიდანვე შეუდგა სამზადისს, რათა ეს ბედნიერი დღე მწვანეყვავილას ეკლესიაში გაეტარებინა და ღვთისადმი მხურვალე ლოცვა-ვედრე-

ბით თაფლის წმინდა სანთლები აენთო. ემზადებოდნენ ოქროს ჩარდახშიც. ივანიკა გოშაძემ, მეფის მზარეულმა, რომელმაც მეფის სამზადში მოხუცებულობისაგან დაუძლურებული დალოსტი სხირტლაძე შესცვალა და გემრიელი კერძების გაკეთებით მალე სახელიც გაითქვა, სამწვადე სუკები გაამზადა და რცხილის ხმელი შეშაც ბლომად დააპობინა, ვითამ ცვრიან მწვადებს იქვე, მწვანეყვავილას მუხნარში შევწვავ და ბატონებს ცხლად მივართმევო. ხაბაზებმა მეფის საყვარელი რაჭული ბაჭულები და ნიგვზიანები დააცხვეს, შეკეცილები და ოსური ხაბიზგინები ერბოთი გააჟიჟინეს და გასაგრილებლად თაროებზე ჩამოარიგეს.

მეფეს სტუმრები ჰყავდა. ხარაგაულიდან მძახლები მოუვიდნენ, ახალი მოლოგინებული ბატონიშვილი დარეჯანი, თავისი პირმშო ვაჟით, გვირგვინოსანი ბაბუის სპატივცემოდ სოლომონი რომ დაერქმიათ, თან მოიყვანეს და სხვებთან ერთად ისინიც ეკლესიაში წასვლის თადარიგში იყვნენ. გამგზავრებისათვის ყველაფერი უკვე მზად იყო. შეკაზმული ცხენები ნებიერად ხვიხვინებდნენ და ფეხს მოუსვენრად ინაცვლებდნენ ქვითკირის მაღალი გალავნის გარეთ, რომ სადღესასწაულოდ ჩაცმულ-დახურულ სოლომონს, რომელიც დედოფალ მარიამის გამოსვლასღა ელოდა, დაძმარებული სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი ეახლა და საიდუმლოდ მოახსენა, წინა ოთახში მსახურთუხუცესი ზურაბ მიქელაძე იცდის და თქვენს უმაღლესობასთან გადაუდებელ შეხვედრას ითხოვსო.

სოლომონს, თითქოს ცხელ თორნეში ჩაეხედოს, სახე წამოუხურდა, მიხვდა, ჩემს თავს კარგი ამბავი არ უნდა იყვესო და ხმის ამოღება ძლივს მოახერხა:

— მშვიდობა ხომ არის, ბატონო პაპუნა?

— ღმერთმა კეთილი ჰქმნას, მეფეო, — გაურკვევლად უპასუხა წერეთელმა და სოლომონმა ახლა მეტი სიცხადით იგრძნო, რომ მათს თავს კარგი ამბავი მართლაც არ იყო.

— თხოვე, მობრძანდეს, რაღას ელოდინებ!

წერეთელმა გათეთრებული თავი დინჯად დაუკრა, კარისაკენ აუჩქარებლივ გატრიალდა და სულ მალე მასავით ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ ბრგე, წელში გამსხვილებულ და ბეჭებში ჩადგმულ თავად ზურაბ მიქელაძესთან ერთად დაბრუნდა.

— რას გვიბრძანებ, ზურაბ-ბატონო? — დაყვავებით ჰკითხა მოსულს სოლომონმა და არც კი აცალა, მისალმებისა და თაყვანისცემის ყველა სავალდებულო წესი შეესრულებინა.

— ვერ გახლავარ კაი მახარობელი, დიდებულო მეფეო, — მიუგო მიქელაძემ და ხელი ისევ გულზე მიიდო, ბატონს თვალი გაუსწორა. — აგერ მესამე დღეა, რუსის იარანალმა ფოთის ციხეს ალყა მოხსნა...

— მერე? — სოლომონს თვალები აენთო. — ახლა მაინც მიხვდა, რომ ჩვენ სწორი ვიყავით?

ზურაბ მიქელაძემ მხრები აიწურა, იატაკს ჩააცქერდა, ემძიმებოდა სათქმელის გამხელა, თავი გადააქნია.

— სხვაფრე გახლავს საქმე, მეფეო. ის დალოცვილი ჯარს თავს უყრის, წასასვლელად ემზადება...

— როგორ თუ წასასვლელად! — სოლომონს დასცეცხლა, სისხლი თავში აუვარდა. — სად აპირებს წასვლას? ჩვენ ვის იმედზე გვტოვებს? თავის ჭკუაზე თუ არის იარანალი?!

— მე ის მოგახსენე, რაც ვიცი, მეფეო. შევიტყვე და მაშინათვე აქეთ გამოვეშურე!

— სად არის ახლა იარანალი? გზაშია, თუ ჯერ ფოთიდან არ გამოსულა?

— ჩემი ანგარიშით, ხვალ თუ არა, ზეგ ქუთაისში იქნება. აქ, ალბათ, ორსამ დღეს დარჩება და მერე ისევე დაადგება გზას.

— სად მიდის მაინც, სად?

— რუსეთში!

— ღმერთო და იესო მაცხოვარო, —

სოლომონმა თვალები ზე აღაპყრო და მერე წერეთელსა და მიქელაძეს შორის მიაცქერდა სივრცეს. — ან მე ვარ გადარეული, ან ეს კაცი შეშლილა ჭკუაზე! ძლივს რუსხელმწიფის წყალობას ველირსეთ, ძლივს წელში გავიმართეთ და დღეს ისევე უნდა გაიხაროს მტერმა? რათა, ბატონო, რა დაგვიშავებია ნეტა ამის ფასი?!

— მივეგებოთ, მეფეო, გზაში მივეგებოთ! — ჩაერია სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, რაკი შეატყო, სოლომონს სასო წარეკვეთა და ახალი ამბის შეტყობით გულშემოყრილს, ვეღარ გადაუწყვეტია, რა მოიმოქმედოსო. — უმორჩილესად ვთხოვთ, ნუ ადასრულებს თავის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. ძუძუთა ბლარძმაც კი იცის: რუსის წასვლა და ურჯულოს ხელახლა შემოსევა ერთი იქნება!

— რა თქმა უნდა, ბატონო პაპუნა, — უხალისოდ დაეთანხმა სახლთუხუცესს თავადი მიქელაძე. — ფაშა შავ დღეს გაგვითენებს. აწი ვეღარც შემოვირიგებთ. მაგრამ, ნუ მიწყენთ და, არც ის მგონია, თხოვნითა და იარანალის დანამუსებით ამ საქმეს რაიმე საშველი დაადგეს!

ღრმა ფიქრებში წასულმა სოლომონმა თავი მკვეთრად ასწია, არაჩვეულებრივად გაფართოებული, ხანგრძლივი უძილობისაგან მოღლილი თვალები მენაპირე თავადს მიაპყრო.

— რუსი ზაკონის კაცია, მეფეო, — დინჯად განაგრძო მიქელაძემ. — თავისი ნებით აყრას და სადმე წასვლას ვერ გაბედავდა!

— აბა? — მოუთმენლად დაეკითხა მეფე.

ზურაბს სიტყვა შუაზე გაუწყდა. მეფის ზურგსუკან კარი გაიღო, თეთრ კაბაში გამოწყობილი, ცისარტყელის შვიდივე ფერით მოციმციმე ალმასის ყელსაბამით გაბრწყინებული, თავზე ბაჯაღლო ოქროს ჯილადადგმული დედოფალი მარიამი შემოვიდა და რადგანაც აქ არავის დახვედრას არ ელოდა, ოდნავ შეცბუნებული ზღურბლზევე შეჩერდა. ზურგის მხრიდან მზის კაშკაშა სინათლე მოსდგომოდა და თვალისმომჭრელ შარავანდედში ხვევდა. მარიამი არავის მისალმებია, თუმცა ჭალარა დიდებულებმა ფეხი ფეხს მიადგეს და თავები დახარეს, მწარედ ხმაგაკმენდილ და გაუნძრევლად მდგომ თანამეცხედრეს მიაჩერდა. ქალის ალღოს არ გამოჰპარვია, რომ ქვეყნის განმგებელნი აქ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანისა და საჭირბოროტოს გამო თათბირობდნენ.

— მოხდა რამე, ბატონო? — ბაგე ოდნავ გახსნა და ძლივს გასაგონი ხმით ჰკითხა მან სოლომონს.

— მოხდა! — მგლოვიარესავით გულხელდაჭდობილმა მეფემ ეს ერთადერთი სიტყვა იატაკს ჩასძახა და თავი მხოლოდ ამის შემდეგ ასწია, უჩვეულო ბრწყინვალებით მორთულ-მოკაზმულ დედოფალს მიანათა.

— ისევ კაცია? ისევ კაციამ გამოგვჭრა ყელი?

— რუსის იარანალი მიდის, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო, — მეფის მაგიერ აუხსნა მარიამს სახლთუხუცესმა. — თქვენი უმაღლესობის ძმა, კაცია დადიანი არაფერ შუაშია...

— ოჰ, — მსუბუქად ამოიოხრა მარიამმა და გულზე თითქოს მოეშვა. — არ მესმის, პაპუნა, როგორ თუ მიდის! სად უნდა წავიდეს, ჯერ ფოთის ციხე ხომ არ აგვიღია!

— აღარ უცდის, ბატონო, ციხის აღებას. ალყის მოხსნა უნებებია და ჯარს თავს უყრის, სასწრაფოდ რუსეთში მიბრძანდება!

— ეს მართლა ასეა, სოლომონ? — მარიამი ისევ თანამეცხედრეს მიუბრუნდა და ბუდუარის კარს მომდგარი პირისფარეშები, დედოფალი ერში გამოსასვლელად რომ მოეკაზმათ, თავიანთი ნახელავით კმაყოფილიც იყვნენ და ახლა ყურები დაეცქვიტათ, იქნებ რაიმე ახალი ამბავი შევიტყოთ და ქვეყანას მოვდოთო, ხელის აქნევით დაითხოვეს. — მართლა წასვლა გადაუწყვეტია იმ ჩვენი ცოდვით სავსეს?

— მართლა, — გამოსცრა მეფემ. —

ბატონი პაპუნა ტყუილს მოგახსენებდა?

— მერე ჩვენ რას ვშვრებით, რა უნდა ვილონოთ, თუ რუსმა ჯერ აგარიანთან წაგვაჩხუბა და მერე ღვთის ანაბარა მიგვატოვა?

— მაგას არ ვტირი და ვჩივი მეც?

— იქნება უბრალო კინკლაობის ამბავია, სოლომონ, იქნება ყურადღება დავაკელით და ჩვენგან წყინს რამე, მაგას დაწვრილებით გაგება უნდა. ახლავე გავგზავნოთ ხალხი, იარანალი სასახლეში მოვიპატიჟოთ. გული ნუ გაგტეხია, იმედი მტერს გადაუწყვიტოს ღმერთმა, შემოევლება საქმეს!

— რუსი ზაკონის კაცია, დედოფალო, — უფრო მეტი დამაჯერებლობით გაიმეორა წელანდელი ნათქვამი მიქელაძემ და მარიამს მოწიწებული მზერა შეავლო. — იმას, თუ თავისი უფროსების ბრძანება არ მოუტანეს, მიჩენილ ადგილს რავა მიატოვებინებ!

ახლა სამივემ, მეფე-დედოფალმაც და სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმაც, ზურაბს შეხედა.

— საიდუმლო ბრძანება უნდა იყოს მოსული რუსეთიდან, — გაამჟღავნა, როგორც იქნა, სათქმელი ზურაბ მიქელაძემ. — აგრე გავს. ისე იარანალი, რა გაჭირვებაც არ უნდა დასდგომოდა, სნეულებას და ურჯულოს ტყვიას ნახევარი ჯარიც რომ გაეწყვიტა, ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა.

— ეს ხომ ყველა წინასწარი პირობის დარღვევა იქნება, — თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ დედოფალმა მარიამმა. — ამაზე უარეს მტრობას მტერიც არ უზამს კაცს, არამცთუ ერთმორწმუნე მოყვარე!

ისევ მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა. იგი სოლომონმა დაარღვია:

— სახლთუხუცესო, სასწრაფოდ შეყარე დარბაზის ერი! ეცადე, არავინ დააკლდეს. ჩვენს მძახლებს ბოდიში მოუხადე ჩვენი სახელით, რომ წირვაზე ვეღარ მივდივართ, და სხდომაზე მოიწვიე. საქმე საშურია, გადადებას არ ითმენს. შენ კი, თავადო ზურაბ, — მეფემ მიქელაძეს მიმართა. — ისევ უკან წაბრძანდები და დანამდვილებით შეგვატყობინებ იარანალის ადგილსამყოფელს. თვალყური ადევნეთ მის ყოველ ნაბიჯს და სასახლეში გვაცნობეთ.

ზურაბ მიქელაძემ თავი მორჩილად დახარა.

— შესრულებული იქნება, მეფეო, მზირებს მივუჩენ და რასაც კი შევიტყობ, კაცის პირით მაშინათვე აქ გამოვაგზავნი!

— ვეჭვობ, ეს ისევ ჩემი ცოლისძმის ოინებია, — უთხრა ელდისაგან ერთ ადგილზე გაქვავებულ თანამეცხედრეს სოლომონმა, როდესაც წერეთელმა და მიქელაძემ კარი გაიხურეს და ტალანში მათი ფეხისხმაც მიწყდა. — ვიცოდი, განა არ ვიცოდი, რომ სუხოტინისა და მაგის კურკური უშედეგოდ არ ჩაივლიდა. აი, შედეგიც! უკეთესს მტერი ვერ ინატრებს. სხვა რა ვიფიქრო? აღარ ვიცი, თავი რომელ წყალს მივცე!

— წინდაწინ გულს ნუ გავიხეთქთ, სოლომონ, — ჩვეული პირდაპირობით შენიშნა დედოფალმა მარიამმა. — დიდებულებს მოვეთათბიროთ, კათალიკოსი მაქსიმეც მოვიწვიოთ, აზრი ვკითხოთ, მივდგეთ-მოვდგეთ, ვადროვოთ, რა ამბავს მოგვაწვდის ზურაბ მიქელაძე. იქნებ იმ დალოცვილს, რუსის იარანალს, ჭკუაში დაუჯდა შენი თათბირი და ციხეს ალყა დროებით მოხსნა, რომ უემურით დაუძლურებული ჯარი შეასვენოს, დამპალ ჭაობებს მოაშოროს და, დაზამთრდება თუ არა, ისევე უკან მობრუნდეს? ეს ხომ ჯერ არ ვიცით. ძმას, კაციას, ღმერთია მოწამე, ხელს არ ვაფარებ. ქვეყანა ხედავს, რა წყენა და ზარალიც მოგვაყენა. მაგრამ რუსის იარანალი ვინმე კერძო პირი ხომ არ არის, რომ ვისიმე ენას აჰყვეს და იმის მიხედვით იმოქმედოს, რასაც ყურში ჩასძახებენ? იარანალსაც ხომ ეყოლება პასუხის მომთხოვნი და ჩოხის კალთის ჩამომქაჩველი!

სოლომონმა თავი ისევ ასწია. თანამეცხედრის მსჯელობის საბუთიანობამ თვალებზე ჩამოფარებული ბინდი გადაუწმინდა.

— მაშ, შენც მიგაჩნია, რომ რუსეთიდან ხელმწიფე-იმპერატორის საიდუმლო ბრძანება უნდა იყოს მოსული?

მარიამმა პასუხი შეაყოვნა, მეფისათვის არასასიამოვნო ვარაუდის გამოთქმას, ანუ იმის დამოწმებას, რაც უკვე ითქვა, ამჯერად გაჩუმება ამჯობინა.

— მერე რა მიზანი უნდა ჰქონდეს ამ ბრძანებას? — კვლავ იკითხა მეფემ და პასუხის საძიებლად დაფიქრდა. — ნუთუ რაიმე საიდუმლო გარიგება ხდება ჩვენს ზურგსუკან, ჩვენ კი ჭურში ვზივართ და არაფერი ვიცით? ღმერთო, რად არ დამიბნელე ის დღე, რა დღესაც მე რუსხელმწიფეს ელჩები მივუგზავნე და კეთილმეზობლური შემწეობა ვთხოვე!

დედოფლის სახეზე ძარღვიც არ შეტოკებულა. კიდევ ერთი გულაცრუებით ყურებჩამოყრილ თანამეცხედრეს მან თანაგრძნობით შეხედა და წყნარად ჰკითხა:

— მაგას რას ბრძანებ, სოლომონ! გუშინ იყო თუ გუშინწინ, რუსის აუგს სხვებს უკრძალავდი და ამ ცოდვიან საქმეში შემჩნეულებს ტახტის ლალატის ტოლ სასჯელს პირდებოდი? დღეს სხვას ამბობ. ნუ გამიწყრები და, რომელი ერთი ირწმუნოს კაცმა?!

მეფე მცირე ხანს კიდევ დუმდა, თანამეცხედრის ეს შეკითხვა თითქოს არც გაუგონია.

— ღმერთმა არ მომცა მე უბედურს არჩევანი, — თქვა შემდეგ და თვალი ერთ წერტილს გაუშტერა. — ერთი ვიცი და მჯერა: რომის წმინდა პაპსა და განათლებულ ევროპელ მონარქებზე ფიქრი, ჩვენს შავ დღეს რომ შეიტყობენ, გული დაეწვით და გვიშველიანო, ტყუილი ოცნება გახლავს. ამ ფუჭმა ოცნებამ ბევრი თავი გაახმო და, ისე ეტყობა, ჩვენს წყეულ დროშიაც ბევრ თავს გაახმობს. პაპმა და იქაურმა მონარქებმა კიდევაც რომ მოიწადინონ და იარაღით აღსდგნენ ჩვენს გამოსასარჩლებლად, აქ საიდან მოვლიან, საიდან მოგვიდგებიან, როცა სრუტეები ურჯულო აგარიანს უჭირავს, ზღვები კი რუსეთმა დაიკავა! რუსეთი, რაც თავი მახსოვს, სულ ეს მესმის: დიდი ღვთისმოსავი ძალაა. ის არც ტოტლებენია და არც სუხოტინი. ჩემს მამა-პაპას გულით სწამდა, გულით სწამს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და მეც ამ რწმენით გავიზარდე, რომ მაღალმა ღმერთმა მართლმორწმუნე რუსეთს ის ვალი დააკისრა, გადაუხდელი რომ დარჩა ოსმალების მიერ დამხობილ ბიზანტიის იმპერიას: კაცობრიობის გამოხსნა ისლამური ბნელეთიდან!..

— ღმერთმა გისმინოს, სოლომონ!.. — ჩურჩულით აღმოხდა სმენად გადაქცეულ მარიამს, რომელმაც გუმანით იგრძნო, რომ მეფე უფრო საკუთარი თავის, ვიდრე ვინმე სხვის დასარწმუნებლად ამბობდა ამას და ცდილობდა, მიუხედავად გადაულახავი წინააღმდეგობებისა, წინ რომ ელობებოდა, არჩეული გზით კიდევ უფრო მტკიცედ და წარბშეუხრელად ევლო. — დრო კიდევ გვაქვს ცოტა. სანამ დიდებულები შეიყრებოდნენ და სახლთუხუცესი ისევ მოგვაკითხავდეს, თუ შენი ნებაც იქნება, კარის ეკლესიაში გავიდეთ და სანთლები ავანთოთ!

— გამიძეხი! — ბრძანა მეფემ.

მარიამმა კაბის კალთები აიკრიფა და ამაყად თავაწეული, ცისარტყელის შვიდივე ფერის ციმციმით, იმ კარისაკენ გაემართა, საიდანაც სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი და მენაპირე თავადი ზურაბ მიქელაძე გავიდნენ.

## თავი მეორმოცე

საექსპედიციო კორპუსის სარდალ გენერალ სუხოტინთან შეხვედრამ, რომელშიაც მეფისა და დარბაზის ერის მიერ დანიშნულ საერო პირებთან ერთად გელათიდან საგანგებოდ მოწვეული კათალიკოსი მაქსიმეც მონაწილე-

ობდა, წარუმატებლად ჩაიარა. გენერალი ჩქარობდა, ეკლებზე იჯდა და წამდაუწუმ საათზე იყურებოდა. დანიშნულ დროისათვის ის უკვე იმერეთის ფარგლებს გარეთ, რუსეთის მიწა-წყალზე უნდა ყოფილიყო.

ღვთის წინაშე, სარდალს არ დაუმალავს, რომ, საიდანაც ჯერ არს, მხედრობითურთ სამშობლოში დაბრუნების უზენაესი ბრძანება მოუვიდა, ოღონდ იმის გამხელას კი თავი აარიდა, რა ედო ბრძანებას საფუძვლად და შეეძლოთ თუ არა იმერეთში იმედი ექონიებინათ, რომ მხსნელი ძალა დღეს თუ ხვალ ჩრდილოეთიდან ისევ მოვიდოდა.

საკმაოდ შეფერთხილ ჯართან ერთად იმერეთის დაუყოვნებლივი დატოვების წინადადება მიიღეს საქმეთა რწმუნებულმა გვარდიის კაპიტანმა ლვოვმა და მაიორმა თუმანოვმა, აგრეთვე ყველამ, ვინც რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომად ითვლებოდა და აქ რაიმე მიზნით იყო ჩამოსული თუ გამოგზავნილი.

მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რად და რისთვის ხდებოდა ეს ყოველივე, გამოირკვა მიახლოებით და კუდმოკვეცილად.

რუსეთსა და თურქეთს შორის ამ დროს საომარი მოქმედება უკვე შეწყვეტილი იყო, დიპლომატები საზავო შეთანხმების მაგიდას უსხდნენ ქუჩუკ-ყაინარჯში და იმერეთიდან საექსპედიციო კორპუსის სასწრაფოდ გაყვანა რუსეთისათვის სასარგებლო ზავის დადების ერთ-ერთ უპირველეს პირობას წარმოადგენდა.

ქუჩუკ-ყაინარჯში საზავო მოლაპარაკება ჯერ დამთავრებული არც კი იყო, რომ ბეგლარბეგ იბრაჰიმ-ფაშას კარზე, ახალციხის რაბათში, კონსტანტინოპოლიდან მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით გამოგზავნილმა კაფიჯი-ბაშმა სულთან მუსტაფა მესამის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წყალობის რაყამი მოიტანა. რაყამის თანახმად, სულთანი სცნობდა აჩიკ-ბაშს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, კრძალავდა ტყვეებით ვაჭრობას, ათვარებდა სერასკირ სოლომონს აჩიკ-ბაშის მეფედ და მას გვირგვინსა და სხვა სამეფო ნიშნებს უგზავნიდა. კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი მოვალე იყო, თვით მიეტანა ეს ნიშნები აჩიკ-ბაშის სატახტო ქალაქ ქუთაისში და სოლომონისათვის თავზე მეფის გვირგვინი დაედგა.

რაბათში სულთნის რაყამის მოსვლის, სოლომონის მეფედ ცნობისა და მეგობრული მისიით იმერეთში ბეგლარბეგ იბრაჰიმ-ფაშას შესაძლო მობრძანების ამბავი ჯერ არზრუმელმა ვაჭრებმა მოიტანეს, შემდეგ კი იგივე ამბავი ნატრია საჭურისის მფარველი სომეხი ტერტერას დედოფალ მარიამისათვის საიდუმლოდ გამოგზავნილმა წიგნმა დაადასტურა. დედოფალ მარიამს, რომელსაც პირადად თავის და თავისი ასულების მფარველად და ანგელოზად თვლიდა, ტერტერა გულითადად ულოცავდა ცათა სწორი ხონთქრის წყალობას და იქვე უმორჩილესად თხოვდა, შენი შვილების გახარებამ, დიდებულ მეფე სოლომონთან მიშუამდგომლე, მონაგარითურთ საცხოვრებლად კვლავ სატახტო ქალაქ ქუთაისში დამაბრუნოსო, ახლა იმერეთში აქედან ბევრი ხალხი მოდის და მე აქ რაღას გავუჩერდეო.

— ვერწმუნოთ, თუ ისევ მახეს გვიგებენ? — უმისამართოდ იკითხა სოლომონმა, როცა კარის მდივან მახარიკა ჭიტაძეს ტერტერას წიგნი ორჯერ წააკითხა, მესამედ თვალი თავადაც გადაავლო და ოთხად გაკეცილი ისევ მდივანს დაუბრუნა.

— აქ ყოველი სიტყვა სარწმუნოა, — თქვა დედოფალმა მარიამმა. — ტერტერა პატიოსანი და ღვთისმოშიში კაცია, ტყუილით სულს არ წაიწყმედს, მხოლოდ ის მაფიქრებს: გვმართებს თუ არა სულთნის წყალობის მიღება? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან რუსეთთან კავშირი სამუდამოდ უნდა გავწყვიტოთ?

სოლომონმა დარბაისელთ გადახედა

და შემდეგ მზერა თანამეცხედრეზე გადაიტანა.

— არა გვგონია, მაგას ნიშნავდეს, დედოფალო. რაკი მუსტაფამ წყალობა მოილო და მეფის ღირსება გვიბოძა, აწი სხვა ხელმწიფეებიც იძულებული გახდებიან მეფედ გვცნონ და ჩვენთან ურთიერთობის ყაიდა შეცვალონ. ეს უპირველეს ყოვლისა, თვით სულთანს და სულთნის კარს შეეხება!..

ბერი ლორთქიფანიძემ ბატონს ბოდიში მოუხადა, უკანასკნელი სიტყვების დამატებითი განმარტება ითხოვა.

— ჩვენ მეფედ გვცნეს! — სოლომონმა ხმას აუწია და პირადად მას მიმართა. — მეფე სხვა მეფეებისაგან განცალკევებით მდგომი სახელმწიფოს პატრონი და მეთაურია. სხვათაგან მის საქმეში ჩარევა უცხო სახელმწიფოს საქმეში ჩარევა იქნება და ამის უფლებას ვერავინ დაიჩემებს!

— მაგით იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ სულთნის წყალობის მიღება სულაც არ მოასწავებს რუსეთისათვის ზურგის შექცევას? — ეს ისევ დედოფალმა მარიამმა ბრძანა და გვერდში ამოყენებულ ბატონიშვილ ალექსანდრეს ყვრიმალით მხარზე მიეყრდნო.

— რასაკვირველია! — მიუგო მეფემ და მისი მზერა უკვე წამოზრდილი შვილის მზერას შეხვდა.

„არ დაიღალე, ბატონო მამა? — თითქოს ეუბნებოდა ეს მზერა. — არ შეიძლება, შენი მძიმე ტვირთი, ამდენ ხანს მარტო რომ მოგაქვს, მე გამინაწილო?“

„არა, შვილო, არა,—უნდოდა ეპასუხა სოლომონს. — დღეს ისევ ჩემი ჯერია. შენი ჯერი ხვალ მოვა და ვინძლო გულში ნალოლიავები იმედი არ გამიმტყუნო!“

— ცოტა გულუბრყვილობას ხომ არ ვიჩენთ, დარბაისელნო? — დედოფალმა დარბაზს გადახედა და ლაწვებზე სიწითლე შეეპარა. — ნუკი გეწყინებათ... რა რჯიდა მაშინ სულთანს? რისთვის ეწევა ამ მსხვერპლს? მისი უპირველესი მიზანი და საზრუნავი, ჩემი გაგებით, ის არის, რომ როგორმე ხელმწიფური არმალანებით თვალები აგვიჭრელოს, გადაგვიბიროს და ერთმორწმუნე რუსეთს ჩამოგვაშოროს!

ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილს ღიმილი მოერია და დედოფალს მიაშველა:

— რაღა შორს მიდიხართ და თეთრ ვეშაპს კავკასიის ქედს აქეთ ეპატიჟებით, აგერ არა ვართ?

სოლომონი წელში გაიმართა და მხრებით ტახტის მაღალ საზურგულს მიაწვა.

— მაგრამ აქ კიდევ ერთი საჭოჭმანო საქმეა!

ხმა აღარავის ამოუღია, ყველა მეფეს მიაჩერდა.

— თუ სულთნის წყალობაზე — სამეფო ნიშნების მიღებაზე უარს ვიტყვით, მაშინ ჯარი თოფქვეშ უნდა გვეყენოს და ახალ შემოსევას წინ აღვუდგეთ! ვართ ამისთვის მზად? შეგვწევს ძალონე, მტრის ურდო მოვიგერიოთ?

სატახტო დარბაზში, სადაც სხდომა მიმდინარეობდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მას მხოლოდ ლოდებზე დაჯახებული რიონის განუწყვეტელი შუილი არღვევდა. ახლა აღარავის შეეძლო, მეფის მიერ დასმულ საჭირბოროტო კითხვაზე . გადაჭრილი პასუხი გაეცა.

სოლომონმა იგრძნო ეს და განაგრძო:

— რუსის საექსპედიციო კორპუსი მე სწორედ დღეს მჭირდება, რომ გვერდში ამოვიყენო, ურჯულოს საკადრისად დავუხვდე და ხელმწიფე-იმპერატორისათვის მიცემული ერთგულების ფიცი ჩემდა უნებლიეთ არ შევბღალო!

— მაგრამ თუკი მარტო ვართ? — გაისმა დარბაზში.

თითქოს ამ კითხვას დიდი ხანია ელოდაო, მეფემ პასუხი არ დააყოვნა:

— სწორედ ეგ გვაიძულებს, ახალ სისხლისღვრას, გოგო-ბიჭების ტყვედ გარეკვას და ქვეყნის უწყალო გაჩანაგებას ხონთქრისაგან გამოწვდილი სამეფო გვირგვინის ჩამორთმევა ვამჯო-

ბინოთ! დღესდღეობით, დარბაისელნო, არა ჩანს მესამე გზა და ჩვენს სიცოცხლეში, ღმერთმა ყველას დიდი დღე მოგცეთ, ვგონებ არც გამოჩნდეს! მაგრამ ოთხივე კუთხივ დაყრილ ხმებზე და სომხის ტერტერას მიერ გამოგზავნილ წიგნზე დაყრდნობა მაინც არ ეგების. ადვილი მოსალოდნელია, რომ ხმებს თვით ბეგლარბეგი იბრაჰიმ-ფაშა ჰყრის და თეთრით მოსყიდული ღარიბ-ღატაკი ტერტერას წიგნიც სწორედ მისი კარნახით დაიწერა, რათა ჩვენი ყურადღება მოადუნოს, მოულოდნელად თავს დაგვესხას და რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წასვლის შემდეგ საკუთარი ძალებისა და ღვთის წყალობის ანაბარა დარჩენილი ქვეყანა თავისი მსახვრალი მახვილის კერძი გახადოს!

მეფის ეს უკანასკნელი ვარაუდი, რომელიც დარბაზის ერს და ყველა გულმხურვალე მამულიშვილს სიფხიზლის გამახვილებას და მტრის მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად მუდმივ მზადყოფნას უქადაგებდა, საბედნიეროდ, არ გამართლდა. ხუთასი რჩეული მოლაშქრისაგან შემდგარი მცველი რაზმითურთ სოლომონი გურიაში იყო იქაური დაბურდული საქმეების მოსაგვარებლად, როდესაც ბაღდათიდან კაპუდან-ფაშა იბრაჰიმისა და სულთნის კაცების მობრძანება აუწყეს. ფაშას, როგორც ბაღდათის მოურავი და კაკასხიდის საბაჟოს უფროსი იტყობინებოდა, მცირე ჯარი ახლდა და ამჯერად აჩიკ-ბაშის დასალაშქრავად არ უნდა ყოფილიყო მოსული.

სოლომონმა უხალისოდ დატოვა ოზურგეთი, სადაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისი ნების წინააღმდეგ და ახალციხისაკენ მაცქერალი აჭარელი ბეგების ხელისშეწყობით მთავარი სამჯერ შეიცვალა, და უმოკლესი გზებით ბეგლარბეგთან და სულთნის კაცებთან შესაყრელად გაეშურა. გარდა ხუთასი კაცისა, გურიაში თან რომ მოიყოლა. მეფეს ოზურგეთიდან ტახტის ერთგულებაზე ხელახლა დაფიცებული და მთავრად კიდევ ერთხელ აღდგენილი გურიელი მამია და მისი ექვსასი მეთოფეც გამოჰყვა. ბაღდათს რომ მიაღწია, აქ ამდენივე და კიდევ მეტი ჯარით დახვდნენ ბოქაულთუხუცესი და სამეფო კარის გამგე, იგივე პირველი ვეზირი ბერი წულუკიძე და სხვა დიდებულები, როგორც ქვემო, ისე ზემო იმერეთისა და რაჭის თავადები და აზნაურები, რომელთაგან არავის არ უნდოდა, ღირსშესანიშნავ შემთხვევას გამოჰკლებოდა და არა მტრად, არამედ მოყვარედ მოსული სახელგანთქმული ადმირალი იბრაჰიმ-ფაშა საკუთარი თვალით არ ენახა.

ფაშა ძველი და სასურველი მეგობარივით შეხვდა იმერთა მეფეს, თუმცა დღეს ერთმანეთს პირველად ხედავდნენ, კონსტანტინოპოლიდან საგანგებო დავალებით მოვლინებული კაფიჯიბაში წარუდგინა და სულთნის მიერ წარმოგზავნილი ძვირფასი ხალათი ბეჭებზე თავისი ხელით მოახურა. ხალათები იმ დღეს ყველა დიდებულს ერგო. შეცბუნებულ მდაბიო ხალხს, მსგავსი რამ რომ არასოდეს ენახა და ყოველივეს, რაც მის თვალწინ ხდებოდა, უნდობლად უყურებდა, თეთრი ბათმნობით დაურიგეს და სახელდახელო საუზმის შემდეგ, სახლთუხუცეს პაპუნა წერეთლის ბრძანებით ტირიფებში, ბროლივით ანკარა ხანისწყლის პირას რომ გაეშალათ, ცხენებზე შესხდნენ და უმცროს-უფროსობის წესის დაცვით, სატახტო ქალაქ ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე გამოვიდნენ.

თავის რახტიან, ფეხკავშა ცხენს პირველი მეფე სოლომონი მიაგელვებდა. სამიოდე ნაბიჯით უკან მას სააღლუმო მუნდირში გამოწყობილი კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი მისდევდა, იბრაჰიმს — კაფიჯი-ბაში და მისი მხლებლები, ბოლოს კი იმერელი თავად-აზნაურნი, რომელთაც ბოქაულთუხუცესი და კარის გამგე ბერი წულუკიძე მიუძღოდა, სულ ბოლოს — ჯარი...

მეორე დღეს, კვირას, ქუთაისის საკათალიკოსო ტაძარში, თითქმის ას წელიწადს მეჩეთად რომ იყო გადაკეთე-

ბული და გულმოდგინედ ამოფხეკილი არაბული წარწერები, ყურანის სურები, ჯერ კიდევ აჩნდა, წირვა სადღესასწაულოდ შემოსილმა უწმიდესმა კათალიკოსმა მაქსიმემ გადაიხადა და ღვთისადმი აღვლენილ ლოცვადისში სულთანი მუსტაფა და ბეგლარბეგი იბრაჰიმ-ფაშაც კეთილი სიტყვით მოიხსენია. სამღვდელოების ბრწყინვალე ჩაცმულობა, ვიწრო სარკმლებში სვეტებად ჩამომდგარი მზის შუქი, ოქროცურვილ შანდლებში მობრიალე ასობით სანთელი. გაღვივებული საკმევლის სუნი და ტკბილხმოვანი გალობა, ლოცვა-კურთხევასა და საღმრთო წერილის წამღერებით კითხვას რომ ენაცვლებოდა, მნახველს თვალს სჭრიდა, გულს უცხოდ უჩქროლებდა და სიხარულის მდუღარე ცრემლს აღვრევინებდა.

მრავლის მომსწრე ქუთაისში ჯერ არავის ენახა, რომ მაჰმადიანები, ისიც თვით დიდი ბეგლარბეგი და ცათა სწორი სულთნის კაფიჯი-ბაში, ქრისტიანულ ეკლესიაში შესულიყვნენ და იქ მაცხოვრის სადიდებელი წირვა-ლოცვა მოესმინათ. ისინი ქვეყნად თითქოს მხოლოდ იმისთვის არსებობდნენ, რომ „გიაურთა სამლოცველო სახლებს ღვთის რისხვად მოვლენოდნენ, წმიდა ხატები შეურაცხეყოთ, ეკლესიები გაეძარცვათ, ხოლო მშვიდობიან მლოცველთათვის ტანჯვა და ათასგვარი დამცირება განემზადებინათ. დღეს წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. მაჰმადიანი დიდკაცები უდრტვინველად იდგნენ საკმევლის კვამლით დაბურულ ტაძარში, მღვდელმსახურებას ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ და მოთმინებით აღჭურვილი ელოდნენ, როდის მოაწევდა მათი რიგი...

— სასწაულია, ხალხო, სასწაული!
— წამდაუწუმ ისმოდა ხან აქ, ხან იქ.

— ამას რას შევესწარით, სიზმარია ნეტა თუ ცხადი?

— ეტყობა, ღმერთი ჩვენკენ არი, ვენაცვალე მის ძალას, რაღაი ურჯულოც საამქვეყნოდ მოაქცია!..

— სუ, ბოშო, არავინ გაგვიგონოს, ე იანიჩრებს ვერ ხედავთ თქვენა?

წინასწარი შეთანხმებისამებრ, რისაც გარემოების ბატონ-პატრონი კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი მოწყალედ დაეთანხმა, სამეფო ნიშნების გადაცემას სოლომონის მეფედ კურთხევის სახე არამც და არამც არ უნდა მისცემოდა. სოლომონი თავის დროზე უკვე აკურთხეს მამა-პაპისაგან დადგენილი ქრისტიანული წესით, დღეს კი ეს კურთხევა ბედნიერი სულთნის წარმოგზავნილთ გვირგვინისა და სხვა სამეფო ნიშნების ბოძებით უნდა დაედასტურებინათ. ჭკვიანი ფაშა მიხვდა, რომ აჩიკ-ბაშებისათვის სულ ერთი არ იყო, რა ვითარებაში მოხდებოდა ნიშნების გადაცემა. მეფე და აჩიკ-ბაში დიდებულები საკუთარ ღირსებას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ და სულაც არ აპირებდნენ, ამ ამბის გამო, დღეს ქუთაისში რომ ხდებოდა, წრესგადასული სიხარული და მადლიერება გამოემჟღავნებინათ.

მოკლე სიტყვის შემდეგ, რომელშიაც ბედნიერი სულთნის ღვთაებრივი ნება-სურვილი გამოაცხადა და გაკვრით ახლო წარსულში მომხდარ ორმხრივ გაუგებრობებსაც შეეხო, კაპუდან-ფაშა იბრაჰიმმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, მხარმარცხნივ მდგომ იანიჩართა ასისთავს სამეფო მანტია ჩამოართვა, ზემოთ ასწია, ყველას დაანახვა და თავშიშველ სოლომონს მოწიწებით მხრებზე წამოასხა. ტაძარში ალტაცების ჩურჩულმა გადაიარა, თითქოს უბეში დამალული ათი ათასი მტრედი ჰაერში ერთადააფრინესო და უმალ ისევ სამარისებური სიჩუმე დამყარდა. ფაშა სათითაოდ იღებდა ხავერდგადაფარებულ სამეფო ნიშნებს, ისევე როგორც მანტიას, მაღლა, თავს ზემოთ სწევდა, ხალხს აჩვენებდა და მით სოლომონს ამკობდა, მაგრამ როდესაც ხელთ ლალ-იაგუნდითა და ზურმუხტით ცეცხლებრ მოლაღანე, ზემოდან ალმასის ჯვრით აციმციმებული გვირგვინი აიღო და სოლომონს ზარ-ზეიმით თავ-

ზე დაადგა, ტაძრის თაღებქვეშ გულამოსკვნილი ქვითინი გაისმა, გუნდმა „შენ ხარ ვენახი აღყვავებული“ დასჭექა და ქრისტიანეთაგან ყველამ დაიჩოქა.

მორჩა თუ არა დაკისრებულ საქმეს, კაპუდან-ფაშა იბრაჰიმმა უკან-უკან დაიხია, ინით შეღებილი ხელისგულები ერთმანეთს მიატყუპა, თვალების სიმაღლეზე დაიჭირა, თავი დახარა და მეფეს შორიდან თაყვანი სცა, რაც, ამავე დროს, თავის მხრივ მილოცვასაც ნიშნავდა. ასევე მოიქცნენ საჭურისი კაფიჯი-ბაში და სხვა მაჰმადიანებიც...

გარეთ, ტაძრის სამრეკლოზე, ზარს ჩამოჰკრეს. იმავ წუთს აგუგუნდნენ სატახტო ქალაქის სხვა დიდი და მცირე ეკლესიების ზარებიც და გუნდის ხმას თავიანთი ხმა შეაწიეს.

სოლომონი დაღვრემილი, თითქმის გაოგნებული იყო. რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა. გუნება მაშინაც არ შესცვლია, როდესაც ბეგლარბეგის პატივსაცემად გაშლილ სანადიმო სუფრაზე დედოფალ მარიამისა და კათალიკოს მაქსიმეს შორის აღმოჩნდა.

აქ უნებლიეთ ისევ წააწყდა შვილის მზერას.

„მომილოცავს, ბატონო მამა, კეთილი იყოს, — ეუბნებოდნენ ბატონიშვილ ალექსანდრეს თვალები. — მეტი რაღა გსურს, ღვთის წყალობით, ბედნიერი კაცი ბრძანდები. მოსისხლე მტერი თვით გეახლა და თავზე მეფის გვირგვინი დაგადგა!“

„არა, შვილო, არა, — უნდოდა ეთქვა სოლომონს. — ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მე სამარადჟამოდ ვაჯობე და წამოვაჩოქე. ურჯულო სულთანს, ჩვენი სისხლით რომ ვერ გამძღარა, ქრისტესმოსავი რუსისაგან უჭირს და, სანამ თავზე ხელს მოისვამდეს, იძულებულია, მეც კვერცხი მიგოროს!..“

ეს წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა. სულთნისაგან სამეფო ნიშნების გამოგზავნას და აჩიკ-ბაშის მეფედ თავისი დაუძინებელი მტრის აღიარებას ხელი არ შეუშლია მაჰმადის რჯულის აღმსარებელ გურიელყოფილ გიორგისათვის, ქობულეთში იმერთა მეფის ბიძის, მამუკა თავდგირიძის, სახლ-კარი აეკლო, ტყვე ტყვეზე გადაება და ჩამორთმეული გურიელობის საძიებლად ოზურგეთის მიდამოებში შეჭრილიყო.

შეიტყო თუ არა, გიორგი მაინც არა სცხრებოდა, სოლომონმა სასწრაფოდ მოუხმო ჯარს და წუთიც არ დაუხანებია, სუფსის ნაპირებზე გაჩნდა. ოზურგეთის ციხეში გამომწყვდეული მამიას თანამდგომმა ნაკაშიძემ და მაჭუტაძემ ხრესილის ომის გმირებმა, აქ გურიის მთის სოფლებში შეკრებილი რჩეული ჯარი დაახვედრეს, რამაც მეფის ლაშქარი ერთიორად გაზარდა. ბეგლარბეგის ფარული მხარდაჭერითა და იოლი წარმატებით გათამამებულ გიორგის, რომელსაც მშობლიურ გურიაში მტერიც ბევრი მოეძებნებოდა და მოყვარეც, განრისხებული მეფე სოლომონის აქ მეორედ მოსვლა საკეთილოს არას უქადდა, ქუთაისის სასახლეში დარჩენილ ბერი წულუკიძეს მალემსრბოლები რომ არ გამოეგზავნა და გურიის საქმეებით გართულ სოლომონისათვის მტრის ახალი შემოსევის ამბავი არ შეეტყობინებინა.

ლეკებისა და საფაშოში დაბუდებული სხვა მარბიელებისაგან შემდგარ რაზმებს, რომლებსაც თავი სადგერში მოეყარათ, მარბიელთა რისხვა მეფე ერეკლე რომ არ გაენაწყენებინათ, მტკვრის ხეობა და ტაშისკარი თოფის გაუსროლელად გამოევლოთ, სურამიც უვნებლად დაეტოვებინათ და იმერეთში შემოსასვლელად ჩხერის ციხეს მოსდგომოდნენ. მარბიელებს სამი ათას კაცს ამბობენო, იტყობინებოდა კარის გამგე ბერი წულუკიძე, სათავეში ვგონებ ნაბერალი ერისთვიშვილი მეთოდე უნდა უდგეთ, რომელიც ძმა გიორგისთან ერთად კაცია დადიანმა ოსმალეთში გააქცია და თუ აქეთ გამოლაშქრება მოახერხებდნენ, დახმარებაც აღუთქვაო.

მცირერიცხოვანი მეციხოვნე ჯარით გამაგრებული და სუსტად შეიარაღე-

ბული ჩხერის ციხე ჯერჯერობით მტკიცედ იდგა, გარესამყაროსთან კავშირსაც ადვილად ახერხებდა, მაგრამ თუ მომხვდური მტერი არტილერიასაც იხმარდა, მისი შემდგომი შენარჩუნება ერთობ საეჭვო გახდებოდა.

—ფაშა პირში მიღიმის და ზურგში კი შხამში ამოვლებულ ხანჯალს მიყრის, — ბრძანა სოლომონმა, როდესაც მალემსრბოლებს მოუსმინა და თავისი საჭოჭმანო მდგომარეობა გულდინჯად ასწონ-დასწონა. — თავად უკან დგას, ვითომდა პატიოსანი კაცი ბრძანდება და მოცემულ სიტყვას არ სტეხს, მაგრამ, სამაგიეროდ, სისხლისმსმელ მარბიელებს გზა მისცა, საშოვარზე გამოუშვა, უნდა, სხვისი ხელით მომახრჩოს. ასე უფრო იაფი დავუჯდები. წუნს ვერ დასდებ, სუფთა ნამუშევარია.

სხვა საშველი არ იყო: ორცეცხლშუა მოქცეულმა მეფემ გურიის საქმეების საბოლოოდ მოგვარება ძმას, ბატონიშვილ არჩილს მიანდო, რითაც ძალაუნებურად ჩრდილში დააყენა ტახტისათვის ერთგულად ნამსახური, უკვე სიბერეს მიღწეული ქვემომხარის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, არჩილი განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა და ისედაც მცირე ჯარი ორად გაყო. მეთოდეს სამი ათასი მარბიელის წინააღმდეგ, წინ უხვი ნადავლის შოვნის იმედი რომ მოერეკებოდა, მას ათასი მოლაშქრეც ძლივს ჰყავდა და თუ გზადაგზა, ოკრიბასა, არგვეთსა და საწერეთლოში გაჭირვების ტალ-კვესი ქაიხოსრო აგიაშვილი რასმე არ ილონებდა, მეთოდეს ლაშქრის რიცხვობრივი უპირატესობა უეჭველი იქნებოდა და ვაითუ ეს საბედისწერო გამხდარიყო.

არჩილ ბატონიშვილის დასუსტება, გურიელისშვილ გიორგის პირისპირ თითქმის უჯაროდ, ნაკაშიძისა და მაჭუტაძის ამარა დატოვება, არანაკლებ საშიშროებას ქმნიდა. ბრძოლის ველიდან სოლომონის გაცლის ამბავს რომ შეიტყობდა, გურიელობის მაძიებელი გიორგი მაშველ ძალას მოუხმობდა და უკეთუ ეს მაშველი ძალა საიდანმე, ხმელეთით ან ზღვით, მოუვიდოდა, იქნებ გურიის სამთავროს ხელში ჩაგდებითაც არ დაკმაყოფილებულიყო და გეზი პირდაპირ არასაკმაოდ დაცულ სატახტო ქალაქ ქუთაისზე აეღო.

ეს აზრი სიტყვასიტყვით გამოითქვა სამხედრო საბჭოზე, რომელიც სოლომონმა იმერეთში გამობრუნების წინ მოიწვია და სარდლების ვარაუდი, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, მოთმინებით განიხილა.

უკანასკნელი მოსაზრება მეტისმეტად საბუთიანი იყო. იგი მეფეს იძულებულს ხდიდა, გურიელყოფილ გიორგის ყველა შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა და იმ იმედით, რომ ჩხერის ციხისაკენ მიმავალი გზადაგზა ჯარს შეკრებდა, ბატონიშვილ არჩილის განმგებლობაში დატოვებული ლაშქარი თავისი წილი ლაშქრის ხარჯზე გაეზარდა.

— კაცები უნდა ვაახლოთ და მეფე ერეკლეს დახმარება ვთხოვოთ, — წამოდგა ქაიხოსრო აგიაშვილი. — არა მგონია, ერეკლემ უარი გვითხრას და ჯარი არ მოგვაშველოს. მარბიელმა ხომ მისი უმაღლესობის საბატონო ქვეყანა გამოიარა!

სოლომონმა ხუთასი კაცით გამოვლო საჩინო და შორაპანში დადგა. განზრახული იყო, აქ ორი დღე მოეცადათ და სურამის ქედის აღმართებს მხოლოდ მესამე დღეს შესდგომოდნენ. ამ ხნის განმავლობაში მეფის სპა სატახტო ქალაქ ქუთაისიდან, ოკრიბიდან, რაჭიდან, არგვეთიდან და საწერეთლოდან მოსულ ჯარებს უნდა შეევსო და თან მთელი ორი კვირის საკმარი ნუზლიც მოეტანა.

ბედად, ნაბერალი მეთოდე და ლეკი ბელადები გაუბედავობას იჩენდნენ. მათ უკვე შეეტყოთ, რომ გურიაში ურჩი გურიელისშვილის შესაპყრობად მყოფი სოლომონი სასწრაფოდ აქეთ წამოვიდა, მაგრამ მეფის ჯარის რაოდენობაზე სანდო ცნობები არ მოეპოვებოდათ

და მათს უფრო გაბედულ მოქმედებას სწორედ ეს აბრკოლებდა.

მეორე დღეს სოლომონს ქუთაისიდან და ოკრიბიდან თოფ-იარაღში ჩამჯდარი ოთხასი ცხენოსანი და ამაზე ცოტა მეტი ქვეითი მოლაშქრე მოუვიდა. მესამე დღეს შემომატებულთა რიცხვმა ათას ხუთასს მიაღწია. მოსალოდნელი იყო, რომ ლაშქარი კიდევ გაიზრდებოდა, მაგრამ საამისოდ დრო აღარ ითმენდა და სოლომონმა დაძვრის ბრძანება გასცა.

სამ ნაწილად გაიყვნენ.

მარჯვენა ფრთა ოკრიბის ბატონმა ქაიხოსრო აგიაშვილმა წაიყვანა, წყალში გავიდა და მდინარე ჩხერიმელას მარცხენა ნაპირით აჰყვა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უაღრესი სიფრთხილის დაცვით მას ლეკების ზურგში გასვლა უნდა მოეხერხებინა და საშველად მოსულ ქართლ-კახელებთან ერთად მტრისათვის ვახანიდან დაერტყა. მარცხენა ფრთის სარდლობა სისხლისმღვრელ ომებში გამობრძმედილ როსაფ მაჭავარიანს მიენდო. როსაფის შედარებით მცირერიცხოვან რაზმს უფრო დიდი გზით, ძირულის ხეობით შემოვლა უხდებოდა, რათა მტერს რიკოთის მხრიდან მიჰპარვოდა და მის მარჯვენა ფრთაზე დათქმული ნიშნის მიღებისთანავე მოჩვენებასავით გამოჩენილიყო. მეფეს სამასი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი მეთოფე ახლდა, სულ დარჩეული მეომრები. მეფისანები ციხეს საქარავნო გზით მიუახლოვდებოდნენ და უკეთუ აქეთ მომავალ მტერს გზაშივე შეხვდებოდნენ, ყოველი ღონე უნდა ეხმარათ მის დასაბანდებლად, ვიდრე ზემოდან აგიაშვილი და მაჭავარიანი არ დაეწეოდნენ და ხელჩართული ომი არ გაიმართებოდა.

ბატონის შინ არყოფნის დროს, გარდა გურიელყოფილი გიორგის და მის წამქეზებელ კაცია დადიანის შესაძლო თავდასხმისა, სატახტო ქალაქს კიდევ ერთი უბედურება დაემუქრა. მარიამობისთვის საშინელ სიცხეში, როდესაც ზაფხულის თაკარა მზე სალ[illegible] საც კი თორნესავით ახურებ[illegible] ქვა თითქმის შეუძლებელი ხდება, ქუთაისში ჟამმა იფეთქა. ის ქალაქში ისე შეუმჩნევლად შევიდა, მის ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ისე ქურდულად შეაღწია, რომ, როცა შეიტყეს, თავს რა მეხიც დასცემოდათ, უკვე გვიანი იყო.

წინადღეს ბაღდათიდან კაკასხიდის გზით მომავალი ქარავანი მოვიდა და, ჩვეულებისამებრ, ბაზრის მოედანზე გაჩერდა. ქარავნის მეპატრონე დიდვაჭრებმა ფუნდუკებსა და ნაცნობ ოჯახებს მიაშურეს, სადაც ღამე წინათაც ბევრჯერ გაეთიათ და პატივისცემაც მიეღოთ, აქლემებისა და სასაპალნე ცხენების გამრეკები კი, ჩალვადრები, მცველი რაზმის მოლაშქრეებთან ერთად, ცისქვეშ დარჩნენ და ჯოჯოხეთური სიცხისა და შიმშილისაგან გასავათებულები პირდაპირ აშმორებულ ფილაქანზე დაეყარნენ.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, საფიჩხიაზე და ბალახვანში მამლები უკვე ყიოდნენ, როდესაც იმ წუთს წათვლემილი, ლოგინზე გაუხდელად მიწოლილი დედოფალი მარიამი მოახლე გოგომ გაალვიძა და მიმქრალი ხმით მოახსენა, სასახლეში მონოზნები მოვიდნენ და შენს ნახვას ითხოვენო.

მარიამი სიტყვის შეუბრუნებლად წამოდგა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ, თუ განსაკუთრებით დიდი გაჭირვება არ ადგათ, ვილაც მონოზნები ოქროს ჩარდახში ჯიქურ მოსვლას და უდროო დროს დედოფლის გაღვიძებას ვერ გაბედავდნენ.

მალე ყველაფერი ცხადი გახდა.

მონოზნები ქსენონის მოწყალების დები აღმოჩნდნენ, ახლა პირდაპირ იქიდან მოსულიყვნენ, გულით წუხდნენ, რომ ქრისტეს მხევლებს შუაღამისას დედოფლის შეწუხება დასჭირდათ, მაგრამ რაკი-ღა სხვა ღონე აღარ იყო, მარიამის სათნოებით ესარგებლათ და მოახლე გოგოსათვის მისი გა-

ღვიძება ეთხოვათ. ქსენონში უცნობ მხედრებს აქლემის გამრეკი ბიჭი მოეყვანათ და ყელი გამოეწიათ, მადლიანი ხალხი ხართ, იქნება უშველოთ რამე, გზაში უქეიფოდ შეიქნა და აქამდე ძლივს მოვაღწევინეთო. ბიჭი ხურვებით იყო შეპყრობილი, ოფლში ცურავდა და გონიც დაჰკარგვოდა. მონოზნებს თავს ვერ ედოთ იმ საცოდავის ქსენონში მოთავსება, ვინაიდან ეჭვი დაჰბადებოდათ, ვაითუ იმისთანა რამე სჭირს, თავადაც სული ღმერთს მიაბაროს და ქსენონის ოთხკედელშუა გამომწყვდეულ ავადმყოფებსაც საშინელი სენი შეჰყაროსო და რჩევის საკითხავად სასახლისათვის მოეშურებინათ.

მარიამმა ბერი წულუკიძის გასაღვიძებლად გაგზავნა კაცი, სასახლე ფეხზე დააყენა, თავად კი ქეშიკები იახლა და შიშისაგან დაბნეულ მონოზნებს ქსენონში გაჰყვა.

ქსენონს თლილი ქვით აშენებული ყოფილი ქარვასლა ეკავა ბაზრის თავში, კათოლიკური მისიონის პირდაპირ.

დედოფალი რომ ნოტიო სარდაფის უფანჯრო ოთახში შევიდა, სადაც ერთადერთი ფარდაგგადაფარებული ტახტი ედგათ დახმარების მისაღებად მოყვანილი სნეულის დასაწვენად და გასასინჯად, კაპუჩინელი ძმები უკვე იქ იყვნენ და მარიამის მოსვლას თავშეკავებული მოუთმენლობით ელოდნენ.

დედოფალს ყურადღება არავისთვის მიუქცევია, ოთახში გულდაგულ შევიდა, გამჭვირვალე პირბადე აიწია და ტახტზე გაშხლართულ ავადმყოფს დახედა.

თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო. ნიკაპსა და საულვაშეზე ძლივს ემჩნეოდა აჩხაბაჩხა ამოყრილი ქერა ბუსუსები. შუბლსა და ლაწვებზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. ხარბად სუნთქავდა, ჰაერი არ ყოფნიდა და ყოველი ამოსუნთქვის დროს უცნაურად იკლაკნებოდა.

„— ჰაერი, ჰაერი შემოუშვით!..“ — ბრძანა დედოფალმა, ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, გულისპირიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ყმაწვილს სიცხისაგან გავარვარებულ შუბლზე გადაუსვა, ოფლი მოსწმინდა.

პატრები შეიშმუშნენ.

— ნუ იზამთ, დედოფალო, ახლოს ნუ მიეკარებით!..

დედოფალმა მოიხედა და პატრი ჯულიო ბონოვენთურა კრიპტოელი დაინახა. მას ხელში ანთებული კანდელი ეჭირა და გაქათქათებული თეთრი საყელო, ტანზე შემოსხლეტილ შავ ანაფორას რომ აგვირგვინებდა, გამხდარ, სუფთად გაპარსულ სახეზე რაღაც არაამქვეყნიურ ფერს სცემდა.

—გაგვაგებინე, რა სჭირს, მამაო, — ჰკითხა დედოფალმა. — ნუთუ ასე გულხელდაკრეფილებმა უნდა ვუყუროთ, როგორ ამოსდის სული ადამიანს?!

— ღვთის ნების წინაშე ჩვენ უძლური ვართ, დედოფალო, — მშვიდი ხმით მიუგო პატრმა. — ის-ღა დაგვრჩენია, ღმერთს შევევედროთ, ამქვეყნიური წამება აკმაროს და სასუფეველი დაუმკვიდროს!..

— ცოდვას ნუ ჩადიხარ, ბერო! — მარიამს წარმოუდგა, რომ უთვისტომო ჭაბუკის მაგიერ სიკვდილის სარეცელზე მისი ალექსანდრე იწვა და უცხოელ პატრს ეს ისე გამომწვევად მიახალა, სულიერი მამა როგორღაც შეკრთა და თავისდა უნებლიეთ უკან დაიწია. — ვერ ხედავთ, სულ ბავშვია?

— ღვთის განგებას ვერსად გავექცევით, დედოფალო, — ბერმა სიმშვიდე დაიბრუნა და, მონოზნებს რომ არ გაეგოთ და ქალაქში საშინელი ხმები არ დარხეულიყო, მარიამს მუდარაგარეული ბრძანებით იტალიურად მიმართა:

—ნუ მიეკარებით! მორჩენის იმედი გადაწურულია. ჩვენ ალექსანდრიაში ვნახეთ ჟამით დახოცილები... ზღვამ ნაპირზე გამორიყა...

გათენებას ბევრი ალარაფერი უკლდა, ყმაწვილი რომ ნახშირივით გაშავდა, თანდათან დაწყნარდა და ტანჯული სულიც განუტევა. იმ დილას ბაზრის მოედანზე კიდევ ორი ჩალვადარი და ერთიც მცველი რაზმის მოლაშქრე

იმსხვერპლა საიდანღაც გამოყოლილმა უკურნებელმა სენმა. მიცვალებულები შუადღემდე უპატრონოდ ეყარნენ მზეზე, ბუზები ეხვიათ, მიკარებას ვერავინ ბედავდა, სანამ ისევ ქსენონის მონოზვნებმა საკაცეები არ მოიტანეს, სანახევროდ გახრწნილი გვამები ურმებზე არ დაასვენეს და სამადლოდ ქალაქს არ გააცილეს, სადაც იმ უბედურებს წინასწარ გაჭრილი სამარეები ელოდებოდათ.

— ჟამი, ხალხო, ჟამი დაგვერია!.. — ღვთის რისხვასავით გაისმა კიდით კიდემდე და ყველა სახლისა და სასახლის დირეზე გარდუვალი სიკვდილის აჩრდილი ჩამოდგა. — თავს უშველეთ, დახვიეთ ხელი, რაც გაბადიათ, ანდა მიატოვეთ ყველაფერი და მოშორდით აქაურობას, რადა დროს ქონებაზე ფიქრია, იქნება ცოდვილი სული მაინც შერჩეთ!..

ხალხი სამეფო კარის გადაწყვეტილებას აღარ დაელოდა და, ვისაც როგორ შეეძლო, პირი მთებისაკენ ჰქნა. ადამიანებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ მიუვალ მთებში შეხიზნული სიკვდილს დაემალებოდნენ. უკვე ამაო იყო იმაზე ზრუნვა, ჟამის კერა ქუთაისშივე მოექროთ და დანარჩენი ქვეყანა მისთვის მიუწვდომელი გაეხადათ. კარის გამგე ბერი წულუკიძე და სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი თავგადადებულ დედოფალ მარიამს ქსენონში ეახლნენ და მეფის სახელით, რომელმაც სატახტო ქალაქში დატრიალებული უბედურებისა ჯერ არაფერი იცოდა და სურამის ქედზე, ჩხერის ციხესთან, ნაბერალ მეთოდეს მიერ მოყვანილ ლეკ მარბიელებს ეომებოდა, ქუთაისის დაუყოვნებლივ დატოვება და უშიშარ ადგილას გახიზვნა სთხოვეს. ერთსაც და მეორესაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეზრუნათ, ოქროს ჩარდახის წინ, მამაპაპური ჭადრის ქვეშ, ხალხის გადასაყვანად გამართული ურმები ჩამოეყენებინათ და ყველა ურემი სახაზარში გამოსადეგი ნივთებითა და ძვირფასი ხარჯით დაეტვირთათ. ბატონიშვილი ალექსანდრე და მისი პატარა და თამარის დედას სასახლეში ელოდნენ. წინდახედულ ბერი წულუკიძეს აუცილებელი სიფრთხილე გამოეჩინა, ახალგაზრდებისათვის მცველები დაეყენებინა და მკაცრი მითითება მიეცა, სანამ ახალი განკარგულება არ მოგივათ, დაძმას ფეხი არსად გადაადგმევინოთო.

— დავილუპეთ, ბერი, — უთხრა თვალებგამოლამებულმა დედოფალმა მეფის უსაყვარლეს კარისკაც წულუკიძეს, რომლის ალსაზევებლად „კარის გამგის" სახელოს შემოღებამ, ბოქაულთუხუცესის სახელოს შენარჩუნებით, სახლთუხუცესი ქვეყნის მართვის საქმეს თითქმის მთლიანად ჩამოაშორა და წერეთლების გვარის მაგიერ წინ წულუკიძეთა საგვარეულო წამოსწია. — რაღა პირით შევხვდეთ აწი ტყვიას მიშვერილ ჩვენს ბატონს, რა ვუთხრათ, ჩვენი დაბნეულობა და უმოქმედობა რით ავხსნათ? მე უბედური გვიან მივხვდი და თქვენც, ალბათ, გულიდან გადაგვარდათ, რომ პირველ ყოვლისა გზები უნდა შეგვეკრა, არც ვინმე გაგვეშვა და არც ვინმე შემოგვეშვა, იქნება ეს საზარელი სენი ქვეყანას არ მოსდებოდა!..

— არ გადაგვვარდნია გულიდან, დედოფალო, — მიუგო ბერი წულუკიძემ. — მე და ბატონმა პაპუნამ ყველაფერი ვიღონეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო, მაგრამ არაფერმა გასჭრა. ხალხი გადარეულია. ჯარი ვერ ვიკმარეთ გზების შესაკვრელად. ესეც რომ არა, ჯარისკაციც ხომ კაცია, თვალი ყველას გაქცევაზე უჭირავს და რომელ ერთს გააჩერებ! საშველი ახლა ერთი გახლავს: რაც შეიძლება ჩქარა დავტოვოთ აქაურობა და სახიზარში გავიდეთ. გთხოვთ, გემუდარებით, დედოფალო, თუ მეფისა და ბატონიშვილების სიკეთე გინდათ, ამ წუთშივე გაგვყევით, ხარები უკვე შებმულია!..

მარიამი აენთო, სახის სიყვითლე ჭიაფერმა შესცვალა.

— მეორედ აღარ გამიბედო ეგ, ბატონო ბერი, მე აქედან წამსვლელი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ, ცოცხალი თავით, სანამ სული მიდგას, ქალაქს ვერ მივატოვებ, სოლომონს ქუთაისის მაგიერ ნაქალაქარს ვერ დავახვედრებ და თავად ტყეში ვერ დავიმალები, მამაჩემმა ოტიამ ასე მიანდერძა. ნათელი დაადგეს მის სახელს! ალექსანდრეს და თამარს მიმიხედეთ, როგორც საკუთარ შვილებს. წაიყვანეთ, ვისი წაყვანაც შეგიძლიათ და წადით, ღვთით, რაც შეიძლება შორს, თუნდაც რაჭაში, მე თქვენგან მეტი არაფერი მინდა!

— დედოფალო, — სახლთუხუცესმა მუხლი მოიყარა და მარიამის წინ თეთრი თავი დახარა. — ჩვენ რაღა პასუხი მივცეთ ბატონ მეფეს, თუ ყველა წავა და შენი დიდებულება აქ დარჩება? რა ვუთხრათ შენს შვილებს? ერს? ეცი პატივი ჩემს ჭაღარას, მამაშვილობას, ნუ გაგვაწბილებ!

— არა, ეგ შეუძლებელია! — მოსჭრა მარიამმა და კოპები ისე მკაცრად შეიკრა და ისეთი მბრძანებლური გამომეტყველება მიიღო, რომ ორივე კარისკაცი მიხვდა, შემდგომი ხვეწნა-მუდარა, რჩევა და შეგონება მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებოდა. — ოქროდ საღირალ დროს ნუღარ კარგავთ! სასწრაფოდ დაბრუნდით სასახლეში და გადაარჩინეთ, ვისი გადარჩენაც კიდევ შეიძლება!

— მაშინ ნება მიბოძე, მეც შენს გვერდით დავრჩე, დედოფალო, — გადაწყვეტილად განაცხადა ბერი წულუკიძემ. — ბატონ მეფისაგან ნაბრძანები მაქვს — თავს ვერ დაგანებებთ. ქარავანს ბატონი პაპუნა და ჩემი ვაჟი ბეჟანი გაჰყვებიან!

წულუკიძის მიმართ გულში გაუმხელელი ბოღმა ედო და მეფის რჩეულს სახლთუხუცესი დიდი ხანია თვალს ვეღარ უსწორებდა, მაგრამ ახლა კი არ დასთმო და პირში შეება:

— რატომ მაინცდამაინც შენ, თავადო?! ისე ნუ გამოიყვან, თითქოს ტახტის ერთგული მარტო შენ ბრძანდები და საქვეყნო საქმისათვის თავის დადება სხვას აღარავის შეგვიძლია!

ბერი აიწურა, პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ დედოფალმა დაასწრო, უბოდიშოდ შეაწყვეტინა:

— მოგეხსენებათ, ფუჭი დავისა და ძველი ანგარიშების გასწორების დრო აღარა გვაქვს, დარბაისელნო. ხომ ხედავთ, ახალი მომაკვდავები მოიყვანეს. ქსენონში ტევა აღარ არის. კეთილი ინებეთ, თავადო პაპუნა, და გაეცით განკარგულება, დასცალონ ფუნდუკები და ვისაც აქ ვეღარ ვატევთ, ფუნდუკებში გადაიყვანონ. ბერი სწორს ბრძანებს: მისი ადგილი ქუთაისშია. ქალაქი უპატრონოდ არ დაიტოვება. შენ წაბრძანდი, სანდო ხალხი გაიყოლე და, დღე იქნება თუ ღამე, გადი ქალაქიდან. ამით ნაკლებ სამსახურს არ გაგვიწევ. მაღალი ღმერთი შეგეწიოთ! ჩემს ლოცვებში მეც თქვენთან ვიქნები. შვილებს შენ გაბარებ, — მარიამს მხნეობამ უმტყუნა, გული ამოუჯდა, მაგრამ სისუსტეს ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით მოერია, თავს ტირილის ნება არ მისცა, მოძალებული ცრემლი თვალებში გაეყინა.

— ბავშვების ნახვას არ ინებებ? — ორივე დიდებული დარწმუნდა, საქმეს სხვა მხრივ აღარ შემოევლებაო და იმ იმედით, რომ ღვიძლი ბატონიშვილების დანახვა დედოფალს გუნებას შეუცვლიდა, ეს კრძალვით შეჰბედეს.

— არ ივარგებს სასახლეში ჩემი მობრუნება. ვაითუ მეც უკვე მომერია წყეული სენი და შვილები დავღუპო. იმათი აქ მოსვლა და ამისთანა დღეში ჩემი ნახვა მით უფრო შეუძლებელია! ღმერთო და მამაზეციერო, — დედოფალმა ნახევრად მომუშტული მარჯვენა ხელი გულზე მიიდო და თვალები ზე აღაპყრო. — შეგვიბრალე, ნუ გაგვწირავ, სამუდამოდ ნუ დაგვაშორებ დედას და შვილებს! მეფე გამარჯვებული და საღი დაგვიბრუნე! გელათში ფეხშიშველი გეახლები, ლუკმას აღვიკვეთავ, მარტო წყალსა და ჭადის ნატეხზე გადავალ, სამარის კარამდე ვიმარხულებ! — მერე ისევ სახლთუხუცესს მიუბრუნდა. — დაგელოცოთ გზა და კვალი თავადო პაპუნა, მამაზეციერმა და

ღვთისმშობელმა დედამ ყველა ხიფათი და ფათერაკი აგაშოროთ. წაბრძანდი დროით. მეფეს ნურაფერს გააგებინებთ. იმ საბრალოს თავისი გაჭირვებაც ეყოფა. მოვა და საკუთარი თვალით ნახავს, რა დღეშიაც დავხვდებით!.. — თქვა ეს ცრემლგამშრალმა დედოფალმა მარიამ-მა, ნიშნად გამომშვიდობებისა დიდებულებს თავი ოდნავ დაუკრა, გატრიალდა და მეზობელ ოთახში გავიდა, საიდანაც ავადმყოფების ყრუ კვნესა და ჭირისუფლის ჩუმი მოთქმა ისმოდა.

ჯერ კიდევ უწლოვანი ბატონიშვილი თამარი შედარებით ადვილად დაიყოლიეს და ჩარდახიან ურემში რბილ ფუთაზე დასვეს, ალექსანდრეს დარწმუნება კი, რომ ქალაქიდან გასვლაზე უარის თქმა არამც და არამც არ შეიძლებოდა, მეტად გაძნელდა. როცა შეატყო, აქედან ნებით თუ არა, ძალით წამიყვანენ და სადღაც გადაკარგულმა საწყალი დედაჩემი აწი იქნებ ვეღარც კი ვნახოო, ყმაწვილმა თავდაპირველად ხვეწნით მიმართა ბერი წულუკიძეს, რომელიც ოქროს ჩარდახში ბატონიშვილების გასასტუმრებლად მოვიდა, საწყალობლად შეევედრა, თუ სულ არ დამტოვებთ, ჩემი დედა ერთხელ მაინც კიდევ მაჩვენეთო, მერე კი, რადგან წულუკიძეს გულის ნაცვლად მკერდში ქვა აღმოაჩნდა, გაიბრძოლა და დარაჯად მიყენებულ მსახურებს ხელიდან გაუსხლტა.

— დაიჭირეთ! არ გაუშვათ!.. — დაიყვირა ბერიმ და სასახლის ეზოში გამოვარდნილ ყმაწვილს თავადაც გამოენთო.

აზლუქუნებული, თავმოყვარეობაშელახული, ცრემლად დაღვრილი ალექსანდრე მალე მსახურებმა მხარგაკრული მოიყვანეს, ჩარდახიან ურემზე შიშისაგან გულგადალეული, დაფეთებული დის, თამარის, გვერდით დასვეს და თავი რომ ხელახლა არ აეშვა და ისევ არ გაქცეულიყო, ზურგით ურმის ჭალს მიაკრეს. ალექსანდრე ღმუოდა, აქეთ-იქით ამაოდ აწყდებოდა, ფეხებს გამეტებით იქნევდა, ახლოს არავინ მომეკაროთო, ცდილობდა თოკი გაეწყვიტა, მამას უხმობდა და მსახურებსა და ბერი წულუკიძეს, ვისგანაც მარტოოდენ ალერსი და გულთბილი მოპყრობა ახსოვდა, თვალების დათხრითა და დაბორბლვით ემუქრებოდა. მერე თანდათან დაცხრა, მოსხლტა, მოეშვა და უმწეოდ, ბალღურად გულამოსკვნით ატირდა...

გარეთ მზე ხრუკავდა ყველაფერს. ჩარდახქვეშ სულისშემხუთველი ხვატი იდგა. ურემი რომ დაიძრა და და-ძმის არსებობა თითქოს ყველამ მიივიწყა, თამარი წინ გაჩოჩდა და ალექსანდრეს მკერდსა და ბეჭებზე გადაჯვარედინებული ბაწრის კვანძებს კბილებით ჩააფრინდა, იქნებ როგორმე გავხსნაო, ნუნებიც დაისისხლიანა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

— მეურმეს დავუძახებ, ალექსანდრე, თავი შევაცოდოთ. ასე როდემდე უნდა იქნე? — უთხრა ძმას თვალცრემლიანმა თამარმა, როცა დარწმუნდა, ამ წყეული ბაწრის გახსნას ჩემი სუსტი ძალღონე არ ეყოფაო.

— არა, არ მინდა, — ენით აუწერელი ზიზღითა და სიძულვილით იუარა ალექსანდრემ. — მაგათი არაფერი არ მინდა. მირჩევნია, ასე ვეწამო. ყველას ვაზღვევინებ, ამას არავის არ შევარჩენ!..

მეურმეს, ეტყობა, ლაპარაკი შემოესმა, ყური უთუოდ აქეთ ჰქონდა, ხარებს ჩამორჩა, უკანა ფარდაგი, კარის მაგივრობას რომ ეწეოდა, გვერდზე გადასწია და შიგნით შემოიხედა. დიდი ხნის გაუპარსავი ჭაღარა კაცი იყო, პირხმელი, საშუალო ტანისა, სახეზე რამდენიმე შეხორცებული ნაწიბური, ნახმლევი თუ ნატყვიარი, აჩნდა, თვინიერ თაფლისფერ თვალებში კეთილი, ნაღვლიანი ღიმილი ჩასახლებოდა და ურმის კუთხეში მიკუნჭულ და-ძმას მამობრივი თანაგრძნობით უყურებდა.

— ხომ არაფერი გნებამთ-ყე, ბატონიშვილებო, ურემი ხომ არ გავაჩერო? — ჰკითხა თავის მგზავრებს მეურმემ, ქვა-ღორღიან გზაზე ჯაყჯაყით მიმავალ ურემს კოჭლობით რომ მისდევდა. — თუ რამე მოისურვილოთ. შვილო, ან

მოგწყურდეთ, ან რამე, ასკია-თქვა, ერთი მომაძახეთ და მაშითოვე გიახლებით!

ალექსანდრემ და თამარმა პასუხი არ აღირსეს, თავი არ გაუყადრეს, ვინაიდან მეურმეც ბერი წულუკიძისა და სამეფო კარის მსახურების თანამზრახველად მიაჩნდათ .ორივე მომრგვალებული ნიდაყვით მუხლეპზე დაყრდნობილი თამარი ფეხქვეშ გაფენილ ხალიჩას დასცქეროდა, ჭალზე თოკით მიბმული ალექსანდრე კი ნება-ნება ირწეოდა და მზერა სადღაც მარჯვნივ მიეპყრო, მამობრივი გულკეთილობით პირმომღიმარე მეურმეს განზრახ არ ამჩნევდა. ასკია აბესაძემ სინანულით თავი გადააქნია, ოღონდ კაცი ვერ გაიგებდა, ვინ და რა უფრო ენანებოდა, მომაკვდინებელი საშიშროების წინაშე მყოფი ეს უცოდველი ბავშვები თუ ტანჯვა-ვაებაში ყუნწამდე მისული საკუთარი სიცოცხლე, ფარდაგის კალთა ფრთხილად ჩამოუშვა და ჩარდახში ისევ სულის შემხუთველმა ხვატმა დაიბუდა.

მთელი ღამის უძილარ ალექსანდრეს რული მოერია და მალე კიდევაც ჩაეძინა. თამარი სულ ახლოს მიუჯდა და ხავერდის მუთაქაზე ისე მოეწყო, რომ ყინწმოწყვეტილი თავი ბიჭს ჭალზე არ მიეხალა. წამოჩიტული, ხმადაბოხებული, უცნაურად გაამაყებული ალექსანდრე, როგორც მის კბილა ყმაწვილებს სჩვევიათ, დებსა და დედას საალერსოდ აღარ იკარებდა. თამარმა გული იჯერა მძინარე ძმის მოფერებით. ხან თმაში თითებს უყრიდა, ხან ლაწვით ყვრიმალზე ეხახუნებოდა, ხან თოკიდან გამოთავისუფლებულ მის ხელს გულში იხუტებდა.

ბატონიშვილს ჯერ ისევ ეძინა, როდესაც ფარდაგის ფარდა ხელახლა აიხადა და ჩარდახში ნაცნობმა მეურმემ შემოიხედა.

— ხომ არაფერი გიჭირთ, ბუძუებო? უჰ, მაგას დაძინებია. ღმერთო მამკალი! ძაან გაჭირვება კი გამოგვართნია. ო, მაამო! — ასაკია აბესაძემ ხარებს შეუძახა. ვითომ გავაჩერებო, მაგრამ ისინი მაინც ჩვეული სიდინჯით მიაბიჯებდნენ, ურემი ქვებზე მიხრიგინებდა.

თამარმა მოწყალედ გაიმეტა:

— სადა ვართ, ასკია ბიძია?

— გაღმა გელათია. შეგეწიოს მისი მადლი, ბატონიშვილო! — გლეხმა სახრე მარჯვენადან მარცხენა ხელში გადაიტანა და პირჯვარი გადაისახა. — მოწამეთა გევიარეთ, ახლა წყალწითელას რიყეზე ვეშვებით!

— აქეთ სად მივდივართ მერე?

— თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, რაჭას უნდა გადევიდეთ, ბატონიშვილო. დედათქვენმა, ღვთივ კურთხეულმა დედოფალმა, ასე შემოთვალა. სხარტალში მივალთ, საზაფხულო სასახლეში, ცოტა ხანს იქ დავრჩებით...

— ბატონი დედა სად ბრძანდება, რატომ ისიც ჩვენ არ წამოგვყვა?

— მეც მალე ამოვალო, ბატონიშვილო, ამ საქმეს მოვითავებ და მაშითოვე ამოვალო. შეიძლება, გზაშიდაც ქე დაგვეწიოს. მარა ჩემს მოსაცდელად ნურსად გაჩერდებითო. ფრთებს გამოვისხამ და ისე ამოვალ რაჭაშიო. ამასობაში იქნება მამაც, ჩვენი მწყალობელი მეფე, გამარჯვებული მობრუნდეს ომიდან და ორივე ჩუმად დაგესხმით თავზეო.

— ოღონდ ეგ აგრე მოხდეს და... — წაიჩურჩულა მშობლების გახსენებით გულაჩუყებულმა თამარმა. — თავადი ბერი აქ ბრძანდება?

— არ გახლავს, ბატონიშვილო, მარტვა ქალაქის კარამდე გამოგვაცილა და მერე ისევე უკან დაბრუნდა. თავადი ბერი და დედათქვენი, კურთხეული დედოფალი მარიამი, თუ მეფეს რამე ხელი შეეშალა და შეაგვიანდა, ალბათ, ერთხელა წამოვლიან და კიდევაც დაგვეწევიან. აქ შვილი ბრძანდება ბერის, ახალგაზრდა თავადიშვილი ბექანი. თქვენი ნახვა უნდა, მარა შევაწუხებო და მოსვლას ვერ ბედამს. თუ ინებებ, დოვუძახებ და გეახლება!

ნაღვლიანი თვალები თამარს სიხარულმა აუციმციმა.

— მოვიდეს!..

— კი, შენი ჭირიმე, ბუძუა, ახლავე! — გლეხმა ფარდაგის კალთა აკეცილი დასტოვა და კოჭლობ-კოჭლობით სადღაც წავიდა, მაგრამ ერთ წუთსაც არ გაუვლია, ისევ გამოჩნდა. — წავწყდები ამისი ცოდვით. მართლა გამქცევი ხომ არ არის! ბაწარს ცოტა მაინც მოვუფონებ, სისხლი არ გოუჩერდეს ბოვშვს, არ დევიღუპოთ!

ჭალატყის ომში დაკოდილმა და ფეხდამოკლებულმა ასკია აბესაძემ ურემს წინიდან მოუარა, ხარებს დაუწრუპუნა, შეაყენა; ჩარდახში ფაფანაკიანი თავი შემოჰყო, ჭალებს რის ვაივაგლახით მოუდგა და ნასკვის საპოვნელად თოკს ხორკლიანი ხელი მოუფათურა.

— რა ვუთხარი მე იმას, ვინც ეს დალოცვილი ასე ჩასკვანჯა, მამკვდარა ბოვშვი, ღმერთი წამს ახლა ამის გამკეთებელს?

როგორც კი უცხო ხელის შეხება იგრძნო, ალექსანდრემ თვალი გამოახილა, ერთბაშად ვერ მოიმხრო, სად იყო და რა ხდებოდა მის გარშემო. ბოლოს თავისი მეტიჩარა და, თამარი დაინახა, ძლივს შესამჩნევად გაუღიმა, მეურმეც იცნო და კვლავ ბურანში გაეხვია.

ასკია აბესაძე თან თოკს ხსნიდა, თან ქაქანებდა:

— სულ აგიშვებდი, ბატონიშვილო, მარა ვაითუ მართლა გაგვექცე და სადევრად გაგვიხადო საქმე. ამიკლებს პაპუნა წერეთელი. შენ სიტყვას ვერ შემოგბედავს და ჩემზე იყრის ჯავრს. საალდგომო ციკანივით ოთხში ამომიღებს! ჰა, აგიშვა სულ, არსად გაგვექცევი? თუმცა აქედან სად უნდა გაგვექცე, გზასაც ვერ გაიგნებ, ტყეში დეიკარგები სადმე და. მტრისას და ავისას, ნადირი გაგაფუჭებს. ანდა რატომ უნდა გაგვექცე, ბუძუა? ამხელა კაცი ხარ, საცა არის, თავზე ხელმწიფის გვირგვინს დაგადგამენ, ავი და კაი შენ ალარ გეშლება. გტკივა, განა? ვაი იმათ დედას, ვინც შენ ასე გაგიმეტა!

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

## მარტოობის სიზმარ-ცხადი

ისევ დავბრუნდი,
ჩემო ქალაქო —
უკაცრიელი სიმარტოვიდან
ისევ დავბრუნდი შენს ხალხმრავალ სიმარტოვეში...

ტრიბუნები —
ორატორის ენით ნალოკი...
სტიდიონების თქეში და დელგმა
და ფეხებგადგმულ ისტორიის ძვლების ჭრიალი...

ვხედავ: ყველანი ახლოსა ხართ,
საცა არის, ხელსაც შეგახებთ,
სულ ახლოს... მაგრამ ყველანი თავის
ღამეს ჩაჭყურებთ, თავის წყვდიადს ჩაშტერებიხართ...
თქვენი სიზმრების ქარებს მისტირით...
ჩასძახით მწუხრის ღია ნაპრალებს...

არავინ ჩემსკენ არ წამოვა,
რომ ბეჭებზე ხელი დამადოს,
გამომალვიძოს ქვადქცეული და გარეშემო
შემომიტაროს სანუგეშო სიტყვების ღობე...

თუმცა იქნება მესიზმრება და თვალებიდან
როცა ბინდბუნდი გადაქანდება,
ამ მარტოობის უღრანს კი არა,
ვნახავ მზისაკენ ხელგაწვდილ ქალაქს —

სიყვარულის ცეცხლის გარშემო
მროკავს და მთლიანს და მოზეიმეს...

მაგრამ სიზმარი უსასრულოდ გრძელია, გრძელი...
და ცხადის ძმაა ჩემი სიზმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მდგმურები

ეხლა შორსა ვარ და შორით ვხედავ:
ჩემს მაგიდაზე მოდის ბალახი,
ფესვიანდება კარადა და ხვრეტავს იატაკს,
იფოთლებიან კედელ-კედელ ღამის ლანდები
და ფანჯრებიდან თეთრი ეშვი მოიხედება
და რეკლამების დარცხვენილ შუქზე
ბორიალობენ ხეთა ჩრდილები
და შემოდიან სახლში... შორსა ვარ
და შორით ვხედავ: იქოჩრება მწვანე ბალახი,
ჩემს მაგიდაზე იქოჩრება მწვანე ბალახი.
და შემოჭრილი ტყე იხლართება
ღამის ლანდებში და მაგიდის ლორთქო ფესვებში
გარდერობის და თაროების დახრილ ტოტებში...
და კარგად ვიცი:
დაბრუნება უკვე არა ღირს,
არცა მდგმურების შეშფოთება... დაე, ბალახმა
ფესვმა და ლანდმა, ხეთა ჩრდილებმა
იცხოვრონ — სადაც ვცხოვრობდი როსმე...
ისმინონ იგი სიმღერები,
მე რომ ვისმენდი,
უყვარდეთ იგი სიყვარული, მე რომ მიყვარდა,
სტუმრებს დახვდნენ და მუსაიფი გაუბან სტუმარს,
ფეხზე წამოდგნენ ზარის წკარუნზე,
გადაიხადონ დღეობები და ღამეები
გადაითენონ და ა.შ.

## ჩაძირული არქიპელაგი

და ამ ქალაქის ზღვაში ჩამდგარი ფეხს ველარ ვაწვდენ მიწას და კბილით
ვკიდივარ ტალღის გაშლილ ქოჩორზე
და ვიძირები... და კარგად ვიცი —
რომ ამ მშფოთვარე ოკეანეში ჩაძირულია ბევრი კუნძული —
წყალქვეშ ტორტმანებს არქიპელაგი —
და მიქცევის ჟამს ხრიოკ ზურგებს გადაუნათებს,
წამით გადაჰკრავს ნეონის ალი
და ისევ ზვირთი დაეფარება, ზვირთი ჩაყლაპავს იმათ გაყინულ
და გარინდებულ პირისახეებს.

და ვიძირები... მეც თქვენთანა ვარ, დამუნჯებული კუნძულებო,
თვალებდავსილო...

თქვით, კუნძულებო, თქვენს მახსოვრობას, რაც შერჩენია
და რაც წყალმა ვერ გადარეცხა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე მალამოდ დასადები სიტყვები, კვნესა და სიმღერები...
აიწიეთ ფეხისწვერებზე,
თქვით, რომ ფსკერზე ხართ და მალავენ თქვენი ზურგები
დუმილის ოქროს; თქვით, ძვირფასებო...

ოქრო და ოქრო — საკუთარ გულებს
ვთხრით და გამოგვაქვს, რომ მზეს ვაჩვენოთ,
მაგრამ ვერ აღწევს მისი თვალი ფსკერის ქვიშამდე
და ყრია ჩვენი ავლადიდება
წყალმცენარეთა დახრილ ტოტებზე...

და ვისაც წყალით ევსება პირი, ვინც გულაღმა წევს ფსკერის ლოდებზე,
ისინიც, ვინაც ზემოთ დარჩა, ვინც ჩაძირულებს
მხსნელი ხელი კი არ გაუწოდა,
არამედ წიხლი ჩააზილა და გინება სთხლიშა კეფაში —
ყველანი მაინც ერთად არიან:
მომავლის ქარი აერთიანებთ...

ო, განწირული კივილი თქვენი — ვინც კვლავ ჰკიდიხართ ტალღის ქოჩორზე...
ეს თქვენი ხმაა, რომ აღვიძებს ჩაძირულ ლანდებს —
არქიპელაგი იღვიძებს ხმაზე
და იშმუშნება გარინდულ ფსკერზე.
წყალმცენარეთა აბლაბუდაში...

ზღვა იგრიხება და სუყველას ქვემოთ გეძახით —
შენ, ვისაც ზეცა გეჭირა მხრებით,
ვინც უბრალო ხარ...
შენც, სოდომში ღამენათევო,
რომ დაივიწყე ქვეყნად ყოველი.

ვიცი: არც იგი არის უბიწო,
ვინც კიდობანში ზის და მიცურავს...
ისიც ლოთია და სამყაროს ერთ ქალში გაცვლის...

შენ კი ვის უხმობ, განწირულო, ან ვის ემდური?
განა შენ თვითონ არ იყავ იგი,
ვინც ოკეანეს შემოუძლვა
შუაქალაქში,
ვინც ამხნევებდა რკინის ნიაღვარს?

ო, მინდა, რამე სანუგეშო შემოგახო ჩემი ფსკერიდან
და გითხრა ისიც, რომ მე მუდამ შენთან ვიდექი,
რომ ჩემი ხვედრი დავიმსახურე!

მაგრამ ვერ ვამბობ...
პირს ვაღებ და წყალით მევსება.
მხოლოდ ბუშტები მოფრინავენ ზედაპირისკენ...
და წევს კუნძული. კუნძულები... და მდუმარე არქიპელაგი —
ჩაძირული და ფსკერდაყრდნობილი —
წევს და შეჰყურებს ზედაპირის ცას
და ტალღის ფხაზე დაკიდულ ლანდებს.

* * *

(წიგნიდან: მკურნალი მიწა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, საფლავების მკვიდრო ბალახო,
ფესვებს ჩაუფენ დაწოლილ ლანდებს...
შეგაცოცდება სიმღერები შავეთის მხრისა
და ფოთლის ენით
იმათ ექოს აღმოაცენებ —
ამოიკვნესებ იმ სიმღერებს დედამიწაზე,
გამორეკ გზებზე სახეტიალოდ...

სასაფლაოთა მკვიდრო ბალახო,
ყვავილოვანის იეროგლიფით
შენ წერ ჯიუტად და გულმოდგინედ
მივიწყებული საფლავების ეპიტაფიებს...

შენ, საფლავების მკვიდრო ბალახო,
ფარავ ჯვრებსა და მარმარილოებს...
სასაფლაოთა ბორცვებს და თხრილებს
ასწორებ ფოთლის ნეშომპალათი
და კურნავ
მიწის შიშველ იარებს...
მოდი,
დამადგი ფეხი, ბალახო,
ჩამომიწვადე ფესვის თმები... მოდი, ბალახო,
მო,
ჩემს კუზიან სამარეზე გადაიარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილოვან ნარიმანიძე

## ალვანის ზევით...

ალვანის ზევით, მაღრანის მთიდან,
ფრთებაშვებული ხოხობივით
                    ჩანს ალავერდი,
და ცხრაკარას კი,
დაბალ გორზე მზირალს ოცნებით,
გაფრენა უნდა, —
და არ სწყალობს ოდითგან ბედი!
ერთი მათგანი,
თითქოს მუდამ ფრთებით ცაშია,
მეორე კი სდუმს,
    ვით წარსულის ეპიტაფია!..

* * *

აქვე, მთებს იქით,
    ჩემი ძველი სამოსახლოა,
ახლოა, შენი გახსენება,
    ჩემთვის ახლოა!
მცირე რამ გვყოფნის ადამიანებს...
დაყრუვდა მხარე უშენობით,
    გაიხმიანე!..
ავდრიან დღეებს ხალისი მიეც,
ხარ შორეული,
    გავყურებ გზას, — ველს
                    უკაცრიელს...
— მოხვალ?..
— კი, მოხვალ,
მაგრამ ჩემთან მოხვალ თუ არა,
    შენ, ერთმა იცი?
შენმა სურვილმა ჩემს სურვილებს შორს
                    აუარა...
მოხვალ თუ არა?..
ვიცი, არ მოხვალ!
ახლოა, შენი გახსენება,
მუდამ ახლოა!..
აქვე, მთებს იქით,
    ჩემი ძველი სამოსახლოა!..

## ვარდობა სიღნაღში, 1980 წელს

სიღნაღი მახსოვს, იყო მაისი,
ბაღებში ლორთქო ჰყვაოდა თელა,
და სულ სხვა დღე ,და სულ სხვა ხალისი
მოქონდა დილას, ზენას და ქვენას.
მახსოვს სიღნაღი, როგორ მღეროდა,
ჰანგს დაუვიწყარს ძველს და შორეულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მღეროდა, თითქოს ელოდა
ომში დაკარგულ, ძმას დაშორებულს.
ძვირფასო,
ნუთუ იმ დღესაც ერგო,
გახუნება და გადავიწყება,
კახეთო, დიდო, და ერთადერთო
ისევ აღსდგება ძველი დიდება!
ისევ მოიტანს იმ შორეულ ჰანგს,
ღმერთმა რომ შენი გზები მოფინა,
დღეს კი დილაა, ის მზე პირს იბანს,
უფრო დიდი მზე რომ არ ყოფილა...

* * *

რატომ გაღელვებს ყველა წვრილმანი,
გადახდილ ბრძოლის ნუგეში მცირე,
შენ ერთი შორი გზა აირჩიე,
და ღირსეულად მას შეეწირე!
თორემ დრო მიდის და იკარგები,
ბედის მდევრები არ მოიცდიან,
გზები სავსეა ეკალ-ბარდებით,
ჯერ კი, რა ნახე,
რა განგიცდია!
რომ მიჰყვებოდი მშობლიურ სერებს,
აქეთ იმიტომ დაგაგვიანდა,
იმათზე ფიქრიც აღარ გასვენებს,
ვინც გზებში დარჩა და ვერ იარა.
როგორც აპრილის დილა ცინცხალი,
და საღამოს გზა შინ რომ მიგიყვანს, —
ისე კარგია, რაც შეიცანი,
გულმა რაც იგრძნო, ან წაიკითხა!
ასეა მუდამ, ბედის ბორბალი,
ზოგს თითქოს შველის, ხიფათს
არიდებს,
ზოგი კი, როგორც ყანა მომცდარი,
ბედმოცარული ითვლის თარიღებს.
ნუ აგაღელვებს ყველა წვრილმანი,
გადახდილ ბრძოლის ნუგეში მცირე,
შენ ერთი შორი გზა აირჩიე,
და ღირსეულად მას შეეწირე!..

## ზანგეზურის გაზაფხული

განათებულა გაზაფხულივით, —
აქედან ვხედავ შენს დიდ სიცოცხლეს;
ალტაცებული ზანგეზურივით,
ვრცელ ველებიდან მოგანათებს
მილიონი მზე...

საუკუნეთა სიღრმეებში სიბნელე წვება,
შორს იყო შენგან კეთილდღეობა,
არ შეგიძლია იმ ყველაფრის
გადავიწყება,

ვინ არ გაგყიდა,
ვინ არ გეომა!..

ძმაო, სომხეთო!
ბევრმა გაგწირა ქვეყანაზე,
მაგრამ ქართველს არ გაუწირიხარ,
შენ ეს გახსოვს და,
— გახსოვდეს მუდამ!..

ის ფარად ედგა შენს სიცოცხლეს
და სილამაზეს,
მას მუდამ შენი სიკეთე სურდა...

მახარებს შენი მაისის დილა,
შენი ზვარტნოცის გაზაფხულება, —
ძმობა ფარია და მუზარადი!
ასეთი ვიცან უძლეველი და გზა მარადი,
რომ კვლავ დაგვათრონ ზანგეზურის
თაიგულებმა!

ძევ ოვანესის, აზრიანო,
ჭკვიანო ძმაო,
ისევ ამაღლდა შენი დიდება,
სევდით მზირალი არარატი
ღმერთებთან დაობს,
გელარტის მთებზე შუქი ინთება...
— აინთოს შუქი!

(შენც გიტირია ჩვენს მწარე ხვედრზე,
ქართველის ბედიც აკი ხშირად
ეკიდა ბეწვზე)...
მომეცი ხელი,
დავრჩეთ მუდამ ძმობის მჭედელი,
ჩვენი გზები ხომ ძმობის გზებია,
ჰე, მთებო, თქვენი წარკაძორის დიდი
ედემი,
ხშირად მიგრძვნია,
ოცნებებში დამსიზმრებია...

## ი მ ე დ ი

ვისი იმედიც გაქვს,
და მოლოდინიც ვისი,
მუდამ მოელი მას,
არ მიგატოვებს, იცი!
ვისი იმედიც გაქვს,
კარგია იმედი მისი,
ნურას ინატრებ სხვას,
იყავ იმედის ღირსი.
ატარე მძიმე ტვირთად, —
რაკი იმედად გიცნეს,
გთვლიდნენ იმედის ღირსად,
ეს ბევრს გავალებს ისეც...
დღე რა სიხარულს მალავს,
შენ ეს არ იცი ეხლა,
იმედზე დიდი ძალა,
არა რა არის ქვეყნად.
ვისი იმედიც დაგაქვს,
წყვდიადს გაფანტავს ღამით,
გადმოევლება მთა-ბარს,
რომ შენთან გაჩნდეს წამით.
რომ შენ სიხარულს გგვრიდეს,
გატაროს გულმა მისმა,
და თავდადებად ღირდეს
იმედის ტვირთის ზიდვა.
ვისი იმედიც გაქვს,
დარდიც ატარე მისი
ნურას ინატრებ სხვას
იყავ იმედის ღირსი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

## კარნავალი

რა ამაზრზენი ნადიმი იყო,
რა შემზარავი იყო ღრეობა!
ჩემთვის განკუთვნილ სკამზე ვიჯექი
და შევცქეროდი ამ უმწეობას...
არა, უმწეო თავად ვიყავი
და თქვენს თვალებში ვირეკლებოდი ღვინის ბოთლივით.
ვცადე, თვალები დამეხუჭა—არ დამენახა ველური როკვა,
მაგრამ ყურებში მაინც მესმოდა ღრიანცელი
და მერე დიდხანს, ხან მხედველობით
და ხანაც სმენით ვიკაწრებოდი.

ისიც შემეძლო, სულ გაგცლოდით,
გავსულიყავი სადმე მინდორში,
უსუფთავესი ჰაერისათვის მიმეშვირა
ალმოდებული ჩემი წუხილი.
მაგრამ ვერ იქნა, ვერ გავაღწიე —
კარისაკენ მიმავალ გზას
მილობავდა თამბაქოს კვამლი.
აი, ეს ქალი,
გულმოდგინედ რომ ამოძრავებს დაძაბულ სხეულს
და ვნებისათვის ახელებს მის წინ
ჯამბაზივით მხტუნავ ყმაწვილს —
არცთუ ისე დიდი ხნით ადრე
შენთანაც ასე იგრიხებოდა...
მერე მოვიდა და ავადმყოფი მომინახულა...
მადლობის ნიშნად შავ ყავაზე ვუმასპინძლე
და მას ისეთი სახე ჰქონდა,
თითქოს სჯეროდა, რასაც ვამბობდი,
თითქოსდა მისთვის აღმოჩენა ვიყავი იმ დღეს.
მეც ვიფერებდი მის აღტაცებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტყუებოდით რადგან ორივე.
მერე ჩვენ ამ ქალს ერთი ნაცნობის ოჯახშიც შევხვდით,
საახალწლო კარნავალზე მიიჩქაროდა და მითხრა:
შენი თმის ვარცხნილობა ძლიერ მომწონსო.
წავიტრაბახე: მეხერხება ეს ხელობაც,
განა მხოლოდ მკითხაობის ნიჭი მაქვს-მეთქი!
იგი ბავშვივით დაჯდა სკამზე
და სავარცხელი მომაწოდა.
ძლიერ ვცდილობდი, კმაყოფილი დარჩენილიყო;
მერე სარკეში ჩავახედე,
მან გაიღიმა და თქვა: დიდი მადლობა,
ეს ვარცხნილობა მართლაც მიხდება!
მერე ყველანი ჩემს ნახელავს დიდხანს აქებდით.
ახლა, მის როკვას რომ ვუცქერი, უეცრად მივხვდი:
ის ვარცხნილობა, მე რაზედაც დიდხანს ვიწვალე,
მან საახალწლოდ არ გაიყოლა,
ქუჩის კუთხეში ჩამოიშალა
და როგორც ახლა აქვს დაფენილი,
ისე მივიდა იმ კარნავალზე.
შენ მისკენ ახლა არც იხედები.
დღეს სხვაა შენი ობიექტი
და ისიც ისე ნაზად გეპყრობა, თითქოს უყვარხარ.
გაღიზიანებს ჩემი ზუსტი გამოხედვა, მიხვედრილობა,
შენ გსურს, რომ ბრმამ და ყრუმ ვიარო,
ან სულ არ ვიყო.
ხან თვალებს ვხუჭავ, ხან ყურებისთვის.
შამპანიურის საცობებს ვარჩევ.
არ მოხერხდება ერთდროულად ესეც და ისიც;
ამიტომ ისევ ჩემს აქ არყოფნას ნატრობ და ცდილობ
ხან უხეშობით, ხანაც ალერსით.
მე კი მძულს ახლა შენი ალერსი,
იგი ყალბია და იმისთვის გამოგონილი, რომ დამამშვიდო,
ძვალი მომიგდო, რომ როგორც ძაღლმა
ვღოღნო და ჩემგან ორიოდე წუთს განთავისუფლდე.
ის ქალი კი ნაზად გიღიმის,
რომ საბოლოოდ გამოგიყვანოს
შენი სინდისის მკვრივი რკალიდან,
რომლის მოაჯირს დაყრდნობილხარ უკვე ისედაც.
მე ვითომ გვერდით ვიხედები,
თვალებს ვძაბავ და შენს ნაბიჯებს თვალყურს ვადევნებ,
და ვხედავ — ისევ იმ ქალთან დგახარ.
სასწაულია! სად მოასწარი ასე, ერთ წამში, მასთან
გაჩენა!
თქვენ ხომ დარბაზის დიდი მანძილი გაშორებდათ!
ატრაქციონი, ფეხბურთის მატჩი უკეთესი არ მეგულება,
რა არტისტიზმი, რა მოქნილობა, რა ზუსტი გოლი!
მე ვიღიმები შენი სისწრაფით მოხიბლული და
აღტაცებით გავყვირი: ყოჩაღ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორკესტრის წევრებს თურმე ჰგონიათ,
რომ მათი დაკვრა მომეწონა,
ჰოდა, ამიტომ კიდევ უფრო ძლიერ ურტყამენ,
რითაც, საცაა, ყურთასმენას მართლაც დავკარგავ!
შენმა ალერსმა, დაყვავებამ, გრძნობ, რომ არ გაჭრა.
მიახლოვდები, საცეკვაოდ მიგყავარ წრისკენ,
რომ უხეშობა მოახერხო უკვე პირისპირ.
რათა გითხრა: მე წავედი, ღამე ნებისა!
დაეძებ საბაბს, რა თქვა, როგორ მომიკლა გული.
მე გამეცინა შენს წვალებაზე
და ყველა კბილი გამომიჩნდა.
აი საბაბიც! შენიშვნას მაძლევ! ნუ იცინი,
თორემ ოქროს კბილი გიჩანს და არ გიხდება!
შენ მიზანს აღწევ: ამ სიტყვებმა გამაალმასეს,
მაგრამ მაინც, მაინც ვიცინი,
რათა სხვებმაც არ შეამჩნიონ,
თუ როგორა გვძულს ერთმანეთი მე და შენ ახლა.
და ელავს ჩემი ოქროს კბილი,
ირეკლავს ჭიქებს, საყურეებს, ხავერდის კაბებს,
და ჩემს თვალებში ზღვად მოწოლილ ცრემლებს
ირეკლავს.

მე ვუბრუნდები იმ სკამს, რომელზეც
მთელი საღამო მიჭირს ჯდომა,
ვცდილობ დავმშვიდდე და მაგიდის ქვეშ
ფეხებს ვაყოლებ ველურ მუსიკას.
უცებ შევნიშნე, რომ ვიღაც მამჩნევს,
მთელი საღამო მითვალთვალებს,
მაგრამ ცეკვაზე ნებართვას ვერ მთხოვს,
რადგანაც იცის, რომ შენ გეკუთვნი.
შენ ცეკვავ ახლა, ცეკვავ ისე, რომ ცეკვა არ იცი.
ან ვის სჭირდება აქ ცეკვის ცოდნა,
მთავარი არის, ერთმანეთის სხეულს შეეხოთ...
და მე ვიხსენებ ჩვენს პირველ ცეკვას,
პირველს კი არა, მგონი მეათეს,
ოღონდ ის მახსოვს, რომ პირველს ჰგავდა.
ეს მაშინ იყო, როცა გიყვარდი.
უცხო ქალაქში ვიხეტიალეთ;
მერე მშივრები, გადაღლილები
რესტორანში შევცვივდით, იქ კი
თავისუფალი არ მოჩანდა არსად ადგილი.
ნაქეიფარი მუსიკის რიტმზე
მოცეკვავეთა ზღვას შევუერთდით.
მერე, როცა ოფიციანტმა გამოგვინახა ორი ადგილი —
დაგვვიწყებოდა უკვე შიმშილიც
და ერთმანეთს ძლივსღა მოვცილდით.
მაშინ მიყვარდი...
ახლა კი, შენთან მაშინდელი ცეკვის სურვილით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდის ქვეშ ბაკუნობენ მოგონებები
ისე ძლიერ, რომ ფეხსაცმელზე ქუსლი მომიტყდა
და უშწეოდ კონწიალობს,
როგორც ჩემი შენდამი ზიზღი.
ის კაცი, მე რომ თვალყურს მადევნებს,
უკვე მიხვდა, რომ მიუხედავად მე და შენი
ახლობლობისა,
მაინც მარტო ვარ.
თავს ნებას აძლევს, საცეკვაოდ გამიწვიოს.
მე მოტეხილი ქუსლით მივყვები,
პარტნიორი კი ვერაფერს მამჩნევს.
ვცდილობ, როგორმე მოგიახლოვდე, რომ დაგანახო
როგორ მიზიდავს თავისკენ სულ სხვა მამაკაცი,
როგორ მოვწონვარ!
მაგრამ შენ ირგვლივ არც იხედები.
მაშინ მე იმ კაცს შენსკენ ვეწევი
და ისიც მომდევს, რადგან ჩემთან სიახლოვე სურს.
ვერ მოგახედე!
სხვა ხერხს მივმართე: სწრაფად მოვწყვიტე ქუსლი
ფეხსაცმელს,
როგორც ნადავლი, ზე ავწიე
და მივიპყარი ყურადღება.
ყველა იცინის. იცინის ჩემი პარტნიორიც —
მუსიკის რიტმზე კოჭლობით ვცეკავ
და ყველაზე ორიგინალურ წყვილად ვითვლებით!
კიდევ წუთიც და უკვე ჩემსკენ მოემართება
კავალრების მთელი ნაკადი!
ყველასთან ვცეკვავ, ვინც კი გამიწვევს
და ვგრძნობ, მეც ვროკავ, მეც ვიგრიხები,
მეც ვიწვევ ალბათ მტკივნეულ ეჭვებს ვიღაცის სულში,
მაგრამ ახლა სულ ერთი არის!
უკვე სხვაგვარად ვჯდები სკამზე,
შამპანიურს მისხამენ და მეც ვსვამ უზომოდ,
ვიღაც სიგარეტს მთავაზობს და მადლობას ვუხდი,
მეც ვაბოლებ და მერე, რა, რომ ზოგჯერ ვახველებ —
სამაგიეროდ სასიამოვნოდ მეხვევა თავბრუ
და ნეტარების წუთებს ვეხები...
და დგას კვამლი, უსაშველო მოლურჯო კვამლი,
გასასვლელისკენ გზა თანდათან უფრო მძიმდება.
აი ის ქალი, კარნავალზე რომ იჩქაროდა,
ჩვენს მაგიდას უახლოვდება,
ჯდება, ღიმილით მეკითხება: კმაყოფილი ხარ?
მე მას თვალებში ნდობით შევცქერი,
და ვთხოვ, ოჯახში სტუმრად გვეწვიოს,
ისიც მპირდება.
მერე ვიხსენებ იმ კაცის თვალებს, მე რომ პატივს ვცემ,
რომელიც მომწონს; არა, მგონი მიყვარს კიდევაც,
ვესაუბრები მას ლექსებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „თქვენობით“ მივმართავ მუდამ.
იგი ხანდახან ჩემს თვალებში ნაპერწკალს ამჩნევს,
და ცდილობს თვალი ამარიდოს, რადგანაც იცის,
რომ გაღვივება ამ ნაპერწკლისა არ შეიძლება.
ის გულში ფიქრობს, ალბათ, ჩემზე:
ნუთუ ამ ქალს ძალუძს ღალატი?
მე ყველაფერი ძალმიძს
სწორედ ღალატის გარდა.
ოღონდ ახლა, ამ დარბაზში სულ ერთი არის,
აზელილია აქ ერთმანეთში ეჭვიც და ნდობაც —
და კიდევ კარგი, რომ ის ახლა ჩვენთან არ არის,
ო, კიდევ კარგი!
აბა რა იცის, რომ ვის გამოც იგი კედლად დგას —
იმან გადასწვა ჩემში ყველა ერთგული ფიქრი,
ხოლო ფერფლი კი ზედ სახეზე შემომაყარა...

როგორც იქნა, შენც დაასრულე იმ ქალთან ცეკვა
და ორივენი ჩვენს მაგიდას შემოუერთდით.
მე შენსკენ აღარ ვიხედები,
აღარ მაღელვებს შენი ვნებანი;
მადლობელი ვარ იმ ქცევისათვის, რაც ამ საღამოს
ასე გამკობდა;
ეს დღე რომ არა, — ვერ მივხვდებოდი, რა უმწეო ვარ;
მე აღარა მსურს გაპატიო, რაც გაპატიე.
სხვა ქალთან ცეკვა
ნეტავი რა მოსატანია იმ ტკივილებთან
რაც შენ იმ დროს შემომიკეთე, როცა გიყვარდი,
როცა სხვა ქალზე, ჩემს გვერდით მჯდომს, არც
გიფიქრია.
შენ ვაცილებით მეტი მომიზღე სიყვარულის ჟამს
წარსულთან იჭვით,
ვიდრე შემდგომში — ქალთან ღალატით.
მე ახლა ვფიქრობ სულ სხვა კაცზე,
აი იმაზე, ჩემი ნაპერწკლის გაღვივებისა რომ ეშინია.
მე იგი მიყვარს
და არ ვიცი, როგორ ვაუწყო ეს სიყვარული.
ან რად მჭირდება?
თუმცა მე არა, ეს მას სჭირდება,
რადგანაც კაცმა უნდა იცოდეს, როდესაც უყვართ:
იქნებ ეს მისთვის ხსნაა ოდესმე
თუნდ წამიერი განსაცდელისას?
მაგრამ ეს მერე.. მერე... ოდესმე...
ახლა კი... ახლა კარნავალია,
მადლობა უფალს, რომ თუმცა გვიან,
მაგრამ მეღირსა მასზე მოხვედრა!
— სალამი შენდა კარნავალო, ყოველდღიურო,
— ვინლა დამიშლის შენს სრულყოფილ წევრს
ველურ როკვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ახლა ყველა ვართ მეგობრები, თანამზრახველნი
და გვიხარია ერთმანეთთან დიდი მსგავსება.
მშვიდობით ჩემო უსუფთავესო გრილო მინდვრებო,
მწუხარების მოწამე ქარო,
აყვავებულო სურვილებო, ჯანმრთელო ფიქრო
და სანუკვარო ოცნებაო!
მე ამ დარბაზში ფართის უფლებით ვარ ჩაწერილი,
სადაც მივწვდები უწმინდეს მანდილს,
როცა ძვირფასი დედამიწის გადაშლილ მკერდზე
უმრავლესობა ლურსმებით დადის.
მე ცალი ქუსლით სხეულს გატკენ მათზე ნაკლებად.
მაგრამ გაბოლილ ამ დარბაზში ბევრი ზის ქალი,
ვის ბაგეს — მზის და ვარდობისთვის გაჩენილ ბაგეს
განუწყვეტლად დასთამაშებს თამბაქოს კვამლი.

იქნებ ავდგე და მივაფურთხო წყეულ ღრეობას,
იქნებ ვიტვირთო ერთადერთმა სირცხვილის ტვირთი
და უცხადესზე ცხად სიმართლედ წარმოვაჩინო
თქვენთვის ლეგენდა, გულუბრყვილო ზღაპარი, მითი...
ვდგები, მივდივარ, კვლავ გასასვლელს მიღობავს
კვამლი
და ხმით ველურით ყურთასმენა წამერთვას ლამის...
ო, თუ გავკვალე ამ დარბაზში ჩემი ბილიკი,
თუ სახელურს შევეხე წამით —
დაგიბრუნდები სიყვარულო, ოღონდ უჩინრად,
ოღონდ უსიტყვოდ, უსიმღეროდ, ხელშეუხებლად,
და მე ვიცეკვებ გრილ მინდორში მასთან, ვინც მიყვარს,
უპარტნიოროდ, უმუსიკოდ, — დაუსრულებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რწმენა

## რომანი

— აბა, შენ იცი, ციოყ, — მიაძახა პოლიტხელმა. მის ხმაში თხოვნაც ისმოდა და შეშფოთებაც. შეშფოთება იმ კაცისა, რომელსაც უკანასკნელი იმედი დარჩა და ეს იმედიც საეჭვო იყო. ქვეყნად იმ წუთში მხოლოდ ციოყ ავალიანის იმედი ჰქონდა. მის გატყორცნილ ხელყუმბარების კონას უნდა ჩაეხერგა ხეობა. თუ ციოყი ვერ მიაწვდენდა კედელს ხელყუმბარების კონას, მაშინ იმედად თავისი ხელყუმბარები და თავისი მარჯვენის ძალა რჩებოდა. ხელში ეჭირა ყუმბარები და ისე უჭერდა ამ იმედს, ეგონა, თითები ზედ შეეყინაო ცივ რკინას.

როგორც კი ციოყი გამოქვაბულიდან გავიდა და შვერილს ფეხი დაადგა, ტანკიდან გასროლილი ქვემეხის ჭურვი კედელს მიენარცხა. აფეთქების ტალღამ სვანი შვერილს მოწყვიტა და ხეობაში გადაჩეხა.

პოლიტხელი წამსვე გავიდა გამოქვაბულიდან, შედგა შვერილზე. ღმერთმა უწყის რამ შემატა იმდენი ღონე ამ ძალაგამოლეულ კაცს, ისეთი სიძლიერით მოიქნია და გატყორცნა ხელყუმბარის კონა, უმალვე დარწმუნდა, უსათუოდ მიაღწევდა გაღმა კედელს. არ მოტყუვდა. ჯერ აფეთქების გრუხუნი გაისმა, მერე კედლის ჭახანი, ჭექა, თითქოს მეხი ჩავარდა ხეობაში და ისეთი გრგვინვით ჩაზვავდა კედელი, ადამიანს ეგონებოდა, რამდენიმე მეხი ერთად დაეცა მის ფსკერზეო.

ვიდრე კედელი ხეობაში ჩაიქცეოდა, ტანკმა კიდევ მოასწრო გასროლა და მაშინვე დაფარა კედლის ნარღვევმა. ჭურვი კი გამოქვაბულთან მიენარცხა კედელს, გასკდა და კოჩა ყორშია შვერილზე დააგდო...

სანინსტრუქტორი ვერა ნედელკო ამაოდ ეძებდა ხაროებში, ღრროჩოღროებში და გამოქვაბულებში გადარჩენილებს, დაჭრილებს, მკვდრებს. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული: კედლის ნახეთქ-ნამსხვრევი, დაცლილი ვაზნები, ადამიანის სხეულის ნაგლეჯები, ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ნაფლეთები, სისხლით შეღებილი ჭუჭყიანი თოვლი. არსად სიცოცხლის ნიშანწყალი.

ვერა ნედელკო მაინც ეძებდა. ეძებდა, მაგრამ ირგვლივ ცივი მდუმარება სუფევდა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ისევ და ისევ ეძახდა, გადადიოდა ხაროდან ხაროში, აფეთქებულ გამოქვაბულებიდან გამოქვაბულებში, სული ყელში ადგა, ფეხზე ძლივს იდგა, მაინც ეძებდა, მაინც ეძახდა და მხოლოდ შორეული, ყრუ ექო პასუხობდა.

მზე მთელი თავისი სიდიადით სწრაფად ამოდიოდა, მაღალ, თოვლიან და ყინულოვან მთებს იქით. მისი სხივები

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 9.

ქათქათა თოვლზე სხლტებოდა, ბრჭყვიალებდა.

სანინსტრუქტორი პოლიტხელის გამოქვაბულის შეერილზე ჩამოხოხდა და იქვე შედგა. დაინახა კოჩა ყორშია. სწრაფად ჩაიმუხლა მის წინ.

მზის სხივები სახეზე ადგა პოლიტხელს. ერთ ღამეში კიდევ უფრო გამხდარ სახეზე სიცივისაგან კანი ისე გადაჭიმოდა, ისე გალურჯებოდა, ნიღაბს მიუგავდა. თვალდახუჭული იწვა. სანინსტრუქტორს მკვდარი ეგონა, მაგრამ სახეზე შეეხო თუ არა, იგრძნო, ცოცხალი იყო.

— ამხანაგო პოლიტხელო, — შესძახა ცრემლნარევი სიხარულით. — ამხანაგო პოლიტხელო!

პირაღმა იწვა. დაცემისას ქუდი გადავარდნოდა და იქვე, მის გვერდით ნამქერზე ეგდო. მკლავები აქეთ-იქით ეყარა. სახე დამზრალი არ ჰქონდა. ცივად უელავდა მზის მტვერში.

სანინსტრუქტორმა მედიკამენტების ჩანთა წინ დაიდო, გახსნა, სპირტის შუშა აჰოიღო, წყლით გააზავა სპირტი, კოჩას პირთან მიუტანა, პირი ფრთხილად გაუღო და ერთი ყლუპი ჩაასხა, მერე იდგა მუხლებზე, უცდიდა, შესძლებდა თუ არა გადაყლაპვას, თან მუშტით ცრემლს იწმენდდა.

როდის-როდის შეენძრა ხორხი პოლიტხელს. ახლა ორი ყლუპი ერთად ჩაასხა და დაინახა, რომ ნელ-ნელა ფერიც მოუვიდა, ტუჩები და ქუთუთოებიც შეერხა.

— ამხანაგო პოლიტხელო, — შეჰყვირა იმედმოცემულმა სანინსტრუქტორმა. — თვალი გაახილეთ, შემომხედეთ, — ცრემლის ყლაპვით ემუდარებოდა, — შემომხედეთ, ამხანაგო პოლიტხელო. თქვენ ცოცხალი ხართ.!

კოჩა ყორშიამ გაიგონა მისი ხმა, გაახილა თვალი, მაგრამ წინ ბურუსი ედგა და ვერ ხედავდა სანინსტრუქტორს.

— ამხანაგო პოლიტხელო, მე ვარ... ვერა ნედელკო... ოცეულის სანინსტრუქტორი... შემომხედეთ, გევედრებით, შემომხედეთ, — სასოწარკვეთით ჩასძახოდა.

კოჩა ყორშია, როგორც იქნა, გონზე მოვიდა. დაინახა სანინსტრუქტორი. წამოწევა დააპირა.

— იწექით. არ წამოჯდეთ, ამხანაგო პოლიტხელო, — მხარზე ხელი მოკიდა ვერამ, შეაკავა. — ფეხში ხართ დაჭრილი. განძრევა არ შეიძლება, — ქუდი აიღო, დაახურა, შუბლამდე ჩამოუწია. — მთლად გათოშილხართ. ჭრილობას ახლავე შეგიხვევთ და კარგად გახდებით. არ წამოიწიოთ... გესმით, ამხანაგო პოლიტხელო!... მზე ამოვიდა, იგი გაგათბობთ, — მღელვარებისაგან არეულად, შეუჩერებლად ლაპარაკობდა, ცდილობდა, კოჩა ყორშიას ტკივილი არ ეგრძნო. ჯერ ჭრილობა არ ჰქონდა გასინჯული, მაგრამ შედედებული სისხლისაგან გამობერილი შარვლის ტოტით მიხვდა, რომ მძიმედ იყო დაჭრილი.

შარვალი გაუჭრა. ჭურვის პაწაწინა ნატეხს ხორცი გაეგლიჯა და ძვალზე ედო. ეს მაშინვე დაინახა სანინსტრუქტორმა, როგორც კი შედედებული სისხლი მოაშორა ჭრილობას. ჭურვის ნატეხი ოდნავ რომ განძრეულიყო, სისხლი ისევ წამოუვიდოდა. ჭრილობის ზევით ლახტი დაადო, დოლბანდი სპირტით დაასველა, ჭრილობა შემოწმინდა. ჭურვის ნატეხი ჭრილობის შუაში ედო ძვალზე. შავად ბზინავდა: დიდხანს წმენდდა სისხლს.

კოჩა ტკივილს არ გრძნობდა. — „რატომ არ სტკივა?! — წელან ცდილობდა, ტკივილი არ ეგრძნობინებინა, ახლა აღარ მოეწონა, რომ არ ტკიოდა. „ცოტა მაინც უნდა ეტკინოს, — იოდი რომ წაუსვა, შუბლი შეეჭმუხნა. გაეხარდა სანინსტრუქტორს: — იგრძნო ტკივილი... იგრძნო ტკივილი", — სისხლისმღვრელ ბრძოლაში ბევრ მომაკვდავ ჯარისკაცს მიშველებია, ბევრი მის წინ განგმირულა, მაგრამ სიკვდილის ასე არ შეშინებია.

ახლა იმიტომ ეშინოდა, იმიტომ განიცდიდა მწვავედ, რომ მარტო იყო ამ

უკაცრიელში, ამ მიუვალში, გარშემორტყმული თოვლიანი და ყინულოვანი მთებით. მარტო უნდა შებრძოლებოდა სიკვდილს, ეხსნა პოლიტხელის სიცოცხლე, კაცის, რომელმაც უთანასწორო და მეტად საჭირო ბრძოლა მოიგო — მტერი არ გაუშვა უეუმისაკენ.

მარტოს უნდა გამოეგლიჯა კოჩა ყორშია სიკვდილისათვის. როგორ უნდა ატაროს ფეხში დაჭრილი ხრამებზე, თოვლში?! რა ეშველება, რომ ვერ მოაგნონ მათი ბატალიონის ჯარისკაცებმა? ჭრილობაზე დოლბანდი დააფარა, მერე ბარძაყის ქვეშ ჩაქცეული, შედედებული სისხლი ამოწმინდა, ჭრილობა შეუხვია.

ოფლი დაასხა, დაიქანცა ისედაც გაწამებული, ხელები აღარ ემორჩილებოდა. სული მოითქვა, შეისვენა.

გაჭრილი შარვალი აღარ შემოწვდა ნახევს, ორივე მხრიდან შემოაფინა და ბანდი შემოახვია.

„რა ეშველება, რომ ვერ მოგვაგნონ!“ — თავის თავზე არ წუხდა, პოლიტხელის დარდი ჰქონდა.

კოჩა ყორშიამ თვალი გაახილა. მიშტერებით უყურებდა ვერა ნედელკოს. ხედავდა, რა მღელვარება და შიში, რა იმედი და დარდი ეხატა სახეზე ქალიშვილს.

— ნედელკო...

სანინსტრუქტორი შეკრთა. თავი ასწია. ყურს არ დაუჯერა ისეთი უძლური, უსიცოცხლო ხმით დაილაპარაკა პოლიტხელმა.

— თქვენ დამიძახეთ?! — შერცხვა ასეთი უადგილო, უაზრო კითხვის. აბა, ვინ დაუძახებდა. — დიახ, გისმენთ, ამხანაგო პოლიტხელო!

კოჩა ყორშიამ მეტი ვერაფერი თქვა, ხმა ვერ ამოიღო. ამაოდ ამოძრავებდა მიწისფერ ტუჩებს, ყელში რაღაც უჭერდა, ენას ვერ აბრუნებდა, თვალი ისევ ეხუჭებოდა, უმწეოდ შეჰყურებდა ნედელკოს.

— ჭრილობა შეგიხვიეთ, ამხანაგო პოლიტხელო. ახლა კარგად ხართ, — ამხნევებდა სანინსტრუქტორი. — სპაზმა გაგივლით, დაილაპარაკებთ. ცოტა მოითმინეთ. ჰო, თქვენ გინდათ გაიგოთ, რა ქნა როდიონოვის ბატალიონმა. უეუმი აიღო, ამხანაგო პოლიტხელო!

კოჩა ყორშიას თავისი ოცეულის ამბის გაგებაც უნდოდა. ამას ვერ მიხვდა სანინსტრუქტორი; კიდევაც რომ მიმხვდარიყო, ვერ ეტყოდა, ოცეულიდან მარტო მე და თქვენ დავრჩითო.

ქარი ამოვარდა. დაბლა-დაბლა, სწრაფად წამოიღო საიდღანაც ნისლი, ბლანტი, სქელი, ცივი, შეჩქვიფდა, გახშირდა. ისე ჩამოშავდა და ჩამობნელდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

„ვერ მოგვაგნებენ ასეთ ნისლში. რა ეშველება პოლიტხელს. გამეყინება. ხელზე შემომაკვდება“.

— როგორა ხართ, ამხანაგო პოლიტხელო?

— კარგად ვარ, ნედელკო, — როგორც იქნა ხმა ამოიღო კოჩა ყორშიამ, მაგრამ ისეთივე უმწეო, უძლური, უსიცოცხლო. — დაღამდა?

— არა. ნისლი ჩამოწვა.

— ფრთხილად იჯექით, ნედელკო, — ხელი მოკიდა: — არ გაინძრეთ. ვიწროზე ვართ, მოყინულზე. გადაიჩეხებით.

„ჩემზე ზრუნავს, — იმედით გაიფიქრა ნედელკომ. — მაშ, მართლა კარგადაა, — დამშვიდდა სანინსტრუქტორი, მაგრამ კოჩა ყორშიას ხელიც სახესავით ცივი ჰქონდა. სულს უბერავდა, უორთქლებდა, უნდოდა გაეთბო. — მოგვაგნებენ ჩვენები, უსათუოდ მოგვაგნებენ, — იმედებდა გულს. — რა მეშველება, რომ დამეძინოს? — ორი ღამე არ უძინია. რული ერეოდა, თავს აკანტურებდა, ველარ იმაგრებდა. — რა მეშველება, რომ დამეძინოს?“ — შიშით იმეორებდა. პოლიტხელს ხელზე ხელი მოუჭირა. თუ ჩამეძინა და ვინიცობაა, წამოჯდომა დააპირა, ვიგრძნობო. — ძილი მერევა, რა მეშველება, ამხანაგო პოლიტხელო? — ჰკითხა შეშფოთებით.

— დაიძინეთ, ნედელკო. მე კარგადა ვარ. ჩემზე ნუ წუხხართ.

ისე უცებ წაართვა ძილმა თვალი, არ გაუგონია რა უთხრა პოლიტხელმა...

ღორღის ცვენის ხმამ გააღვიძა. ზევიდან ვიღაც ჩამოდიოდა.

ნისლი ქარმა წაიღო და თვითონაც ჩაიკრიფა მუხლი. მაშინვე კოჩა ყორშიას დახედა. მას ეძინა. გაღვიძება დაუპირა, რომ ეთქვა მოგვაგნესო, მოდიანო, რომ ამ დროს ის ვიღაც შვერილზე ჩამოხტა და ღორღი თან ჩამოჰყვა.

ვერა ნედელკოს წინ მტრის ჯარისკაცი იდგა. ალპინისტის ტანსაცმელი ეცვა და ალპინისტის, ყველა საჭურველი ესხა.

ჯარისკაცმა მკერდზე ჩამოკიდებული ავტომატი სწრაფად მოიმარჯვა.

ტყვიის ჯერის მოლოდინში ნედელკომ თვალი დახუჭა.

ჯარისკაცმა დაინახა, სანინსტრუქტორი უიარაღო იყო. ხოლო ოფიცერი დაჭრილი, მძინარე.

— გამარჯობათ. — მიესალმა ორივეს რუსულად.

კოჩა ყორშიამ ძილში გაიგონა მისი ხმა, გაიღვიძა.

ჯარისკაცი ლამაზი იყო. აკვართულ, ბრგე ტანზე კოხტად ადგა ტანსაცმელი. ალპინისტის ჩანთა ზურგზე ჰქონდა მოგდებული. გრანატები ქამარზე ეკიდა.

— გამარჯობათ, — გაუმეორა მათ ჯარისკაცმა. — პო, თქვენ პიტლერელებს არ ესალმებით. მე პიტლერელი არა ვარ. არც გერმანელი. ავსტრიელი გახლავართ.

კოჩა ყორშია ცნობისმოყვარეობით უყურებდა. დაიჯერა, რომ ჯარისკაცი არ ტყუოდა, იმდენად გულწრფელი იყო მისი კილო, სახე, თვალები.

—ტიროლელი ვარ, ქალაქ ინსბრუკიდან, — განაგრძობდა ჯარისკაცი. — ჩემი სამშობლო პიტლერს უპყრია. ძალით წამომიყვანეს თქვენი უღელტეხილების დასაპყრობად, — გაიღიმა. გამოუჩნდა მტკიცედ ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები. — მე ომამდე დავიპყარი უშბა, თეთნულდი, მხარი და მხელდა. არა როგორც მტერმა. არა, არა. მე მტერი არა ვარ. ძალით წამოყვანილი ალპინისტი ვარ, — თავი გაიქნია ჯარისკაცმა და ისევ გაიღიმა. — თქვენი ალპები ჩემი ტიროლის ალპებსა ჰგავს. სვანები ჩემ ტიროლელებს. ამაყნი, მამაცნი. თქვენ ეჭვით მიყურებთ, — უთხრა ვერა ნედელკოს: — ფაშისტი რომ ვიყო, გესროდით.

— რუსულად სუფთად ლაპარაკობთ, — უთხრა კოჩა ყორშიამ. ყურადღებით დააკვირდა. ნაგანი ზურგსუკან ეკიდა ქამარზე, ხელი იქით გააჩოჩა.

ეს მოძრაობა არ გამოპარვია ჯარისკაცს.

— დამიჯერეთ, მტერი არა ვარ, — გაიმეორა ჯარისკაცმა. — პამირი და ტიანშანიც დავიპყარი. მოსკოვშიაც ვიყავი. პუშკინი რუსულად მაქვს წაკითხული, — ავსტრიელმა უცებ მიმოიხედა, ეს როგორ გავერთეო საუბარში.

ვერა ნედელკომაც მიმოიხედა:

— ვისი შეგეშინდათ?

— გერმანელებმა რომ დამინახონ, თქვენ გელაპარაკებით, მესვრიან: ტყვიას ტყუილად შუბლს არ მივუშვერ.

— და თქვენ მაინც არ გვესვრით?! — გაუკვირდა ნედელკოს.

— არ გესვრით, — დაჭრილ ფეხზე დახედა კოჩა ყორშიას: — ოო, თქვენ სიარული არ შეგიძლიათ. ამალამ მოთოვს. მოგიკიდებდით და წაგიყვანდით თქვენებთან, მაგრამ ისინი არ დამიჯერებენ, რომ ფაშისტი არა ვარ და დამხვრეტენ.

— ჩვენები ჯარისკაცებს არ ხვრეტენ, — უთხრა კოჩა ყორშიამ.

— რისკს ვერ გავწევ, მეგობარო. ლამაზი ცოლი მყავს, — ნაღვლიანად გაუღიმა: — დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გეხმარებით, — ჯიბიდან შოკოლადის მოზრდილი ფილა ამოიღო, ვერა ნედელკოს წინ დაუდო: — ვიდრე დაღამდება, თქვენს ნაწილში უნდა წახვიდეთ. ტყუილად თავს ნუ გაწირავთ

ამით თქვენს პოლიტხელს არ ეშველება.

სანინსტრუქტორმა წყრომით შეხედა ავსტრიელს.

— აჰა, გასაგებია, — მოწონებით უთხრა ჯარისკაცმა. — ვერ მიატოვებთ თქვენს ოფიცერს, — ისევ გაუღიმა: — შინ თუ ცოცხალი დავბრუნდი, ცოლს ვუამბობ თქვენს გმირობას. თქვენ მარტო გარეგნულად არ ყოფილხართ ლამაზი, — ორივეს დაემშვიდობა. მერე ჩაიცინა: — მაგრად დაგვიფრინეს უეცრად, — თქვა და წინ ჩაუარა ვერა ნედელკოს და კოჩა ყორშიას. ჩქარი ნაბიჯით გაუყვა შევრილს.

დიდხანს დუმდნენ პოლიტხელი და სანინსტრუქტორი. ორივე კმაყოფილებით ფიქრობდა ავსტრიელ ჯარისკაცზე.

სიჩუმეს ალპინისტის ფეხსაცმლის მკვეთრი ხმა არღვევდა. ხეობის სიღრმიდან კი უეცრად გამოქცეული ცინგლერის ბატალიონის ეგერების ნაბიჯის ხმები ამოდიოდა.

— ნედელკო, — დაარღვია დუმილი პოლიტხელმა. — მართალი თქვა იმ ავსტრიელმა. ტყუილად თავს ნუ გაწირავთ. ამით თქვენს პოლიტხელს არ ეშველებაო. წადი, ვერა, — თხოვა კოჩა ყორშიამ

— არ წავალ, ამხანაგო პოლიტხელო, — ისედაც დაბოხებული ხმა შეურაცყოფისაგან კიდევ უფრო დაუბოხდა. სიცივემ აიტანა. სახე მოარიდა კოჩას, ეშინოდა, არ ატირებულიყო.

— ვერა... ნუ მაიძულებთ, გიბრძანოთ.

— არ მიბრძანოთ, — შეევედრა ვერა ნედელკო. — ვერ შევასრულებ ასეთ ბრძანებას.

— ნედელკო, — ოფიციალური კილო გაისმა პოლიტხელის ხმაში. — თქვენ გავიწყდებათ, რომ სამხედრო დისციპლინა პირად გრძნობაზე უფრო მაღლა უნდა დააყენოთ.

— ეს პირადი გრძნობა არ არის, ამხანაგო პოლიტხელო, — თვალი გაუსწორა ნედელკომ კოჩა ყორშიას, თითქმის შეხედა: — სამხედრო მოვალეობა გახლავთ... ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, — ისევ შეევედრა სანინსტრუქტორი.

კოჩა ყორშია განცვიფრებით შეჰყურებდა ქალიშვილის სიკეთით გამთბარ თვალებს. ასეთი უფრო ლამაზი, უფრო ამაყი ჩანდა იგი. — „თქვენ მარტო გარეგნულად არ ყოფილხართ ლამაზი", — გაიმეორა პოლიტხელმა ავსტრიელი ჯარისკაცის სიტყვები...

კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონის უფროსი ლეიტენანტი კრივენკო თავისი ჯარისკაცებით მთელი საღამო ეძებდა კოჩა ყორშიას ოცეულს. დილით მხოლოდ პოლიტხელი და სანინსტრუქტორი ვერა ნედელკო იპოვეს.

ორივე გაყინულიყო. ორივეს ერთი მხრიდან ეყარა ქარით მიხვეტილი თოვლი. პოლიტხელს ვერა ნედელკო იმ მხარეს ეწვა, საიდანაც ქარს თოვლი მიეხვეტა.

გახსნილი მაზარის ცალი კალთა კოჩა ყორშიასათვის ჰქონდა გადაფარებული.

უფროსმა ლეიტენანტმა კრივენკომ ქუდი მოიხადა. ქუდი მოიხადეს სხვებმაც.

ქარი ისევ უზერავდა. ახალ ნამქერს აყრიდა სანინსტრუქტორს.

„ოქროს საწმისში" სიმინდის ტეხვა ნოემბრის შუა რიცხვებში დაიწყეს. მოსავალმა ლონგინოზ ლომჯარიას ნაანგარიშევ ცენტნერებსაც გადააჭარბა. სახელმწიფოს ფრონტის ფონდისათვის გეგმის ზევით ათასი ცენტნერი ჩააბარეს.

შრომადღეზე გასანაწილებელი მაინც იმდენი დარჩა, ძლივს დაიტია ახლად აშენებულმა სასიმინდეებმა. რა გვეშველებოდა, ლონგინოზს რომ დროზე არ ეზრუნა ამათ აშენებაზეო, ამბობდნენ კოლმეურნეები.

გახარებული იყო ყველა და უფრო

მეტად გაიხარეს, როცა გამოირკვა, რომ შრომადღეზე სამ-სამ კილოგრამ სიმინდს გაანაწილებდნენ.

ოქროს მიწამ მართლა ოქრო შობა. ხშირად იმეორებდა ცია უჩას სიტყვებს. მან ხომ პირველად უჩასაგან გაიგო, რომ ძველი ბერძნები კოლხეთს ოქროს მიწას უწოდებდნენ.

ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ სიხარული და უსიამოვნება ერთად დადიან. ერთ მშვენიერ დღეს წარმატების სიხარული ჯერაც დამცხრალი რომ არ იყო, კოლმეურნეობის კანტორაში ჯოტია ფოსტალიონი უჩანთოდ მივიდა.

ყველამ მიაქცია ამას ყურადღება. გაუკვირდათ, ერთმანეთს გადახედეს. მუშაობა მიატოვეს და ის იყო უნდა ეკითხათ, ჯოტია დღეს ფოსტა არ მუშაობსო, რომ ჯოტიამ თავმჯდომარის კაბინეტის კარი გააღო, შევიდა და მიიხურა.

— გამარჯობა ჯოტია, — ტარიელსაც გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია, რომ ფოსტალიონი უჩანთოდ მოვიდა. დინჯად მიესალმა, — დაჯექი, — უთხრა და სკამზე მიუთითა.

ჯოტია მღელვარებისაგან გაფითრებული იყო. სკამის ძგიდეზე ჩამოჯდა. კრიჭაშეკრული მიაჩერდა ტარიელს.

თავმჯდომარემ იგრძნო, რომ ფოსტალიონი ცუდი ამბით მოვიდა. თვითონაც აღელდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი შეიწმინდა. წინათგრძნობა არასოდეს ღალატობდა ტარიელს. შვილზე ცუდი ამბის მოლოდინში გული გაუჩერდა. ვიდრე ჯოტია სიტყვას დაძრავდა, წამები საუკუნეებად ექცა. ბოლოს ველარ მოითმინა, გაბზარული ხმით ჰკითხა:

— რა მოხდა, ჯოტია?

ფოსტალიონმა პასუხის მაგივრად გულისჯიბიდან სამკუთხა ბარათი ამოიღო, წინ ისე დაუდო მაგიდაზე, არ შეუხედავს თავმჯდომარისათვის.

ტარიელმა ერთი სიკვდილი გაათავა.

— ვისზეა? — ტარიელი ვერ ხედავდა ბარათს. ხელი ასწია, რომ თვალზე გადაკრული ბინდი ჩამოეცილებია.

— კოჩა ყორშიას დაღუპვის ბარათია, ტარიელ, — უთხრა ჯოტიამ.

ტარიელს ბინდის მიღმა, სადღაც შორიდან შეესმა ფოსტალიონის ხმა. მერე ბინდი თანდათან გადაიწმინდა. ხმა კი ისევ ისმოდა. დაინახა ბარათი. გლოვის ძაძასავით ედო წინ. არა. შვებით არ ამოუსუნთქავს. არ გაუფიქრებია, მადლობა ღმერთს, შვილის დაღუპვის ბარათი არ არისო.

კოჩა ყორშია შვილივით უყვარდა. კოჩას არც მშობლები ჰყავდა, არც ნათესავები. ყველაზე ახლობელი ადამიანი ტარიელ ქარდა იყო მისთვის. ბარათიც მის სახელზე მოვიდა. ხელი გაიწვდინა მისკენ, მაგრამ ვერ აიღო. რა საჭირო იყო წაკითხვა.

უცებ იგრძნო, ჰაერი არ ყოფნიდა. ხელები გაუცივდა. იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას.

— წადი, ჯოტია. მარტო დამტოვე!

ფოსტალიონი კაბინეტიდან რომ გამოვიდა, მის მოლოდინში მისაღებში და მომიჯნე ოთახებში მყოფებმა შეამჩნიეს, რაღაც ცუდი ამბავი მოუტანა ტარიელს.

ჯოტია არ შეჩერდა მისაღებში, არ უნდოდა ეკითხათ რამე, კიბე ჩაირბინა და ჭიშკრისაკენ გაეჩქარა.

თავმჯდომარის კაბინეტში პირველი გალინა არკადიევნა შევიდა. ტარიელი დოქიდან ჭიქაში წყალს ისხამდა. სეროვამ მაშინვე შეამჩნია, რომ ქარდას ხელები უცახცახებდა, არ ჰკითხა რა მოხდაო. მის პირდაპირ დაჯდა, თავი დახარა.

ტარიელმა ერთი ყლუპი მოსვა და ჭიქა დადგა.

— აღარა გვყავს, კოჩა ყორშია, გალინა არკადიევნა!

სეროვამ ახლაღა დაინახა ბარათი. იგი იქვე იდო მაგიდაზე.

— ორი კვირის წინ მივიღე კოჩას ბარათი. იწერებოდა, სახიფათო ოპერაციის შესასრულებლად მივდივარ, მაგრამ შევეცდები დავბრუნდეო. აქ ყოველი ჯარისკაცი ძვირად ფასობსო... ვერ დაბრუნდა კოჩა.

სეროვა ცრემლს იკავებდა. სხვები რომ შემოვიდნენ, წამოდგა და თვალებზე ცხვირსახოცაფარებული ფანჯარასთან მივიდა.

ცუდი ამბავი კარგზე უფრო სწრაფად ვრცელდება. კოჩა ყორშიას დაღუპვის ამბავი იმავე დღეს გაიგეს ფოთში და ახლომახლო სოფლებში. მშენებლობიდან პირველი ყორშია დაიღუპა. ამიტომ ყველამ გულთან მიიტანა მისი სიკვდილი.

ფრონტებიდან მძიმე, საგანგაშო ცნობები მოდიოდა. მტერი კავკასიონის უღელტეხილებიდან გადარეკეს, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა.

საბჭოთა ჯარები დიდი მსხვერპლის ფასად აკავებდნენ ფაშისტთა არმიებს. ქალაქებში და სოფლებში სულ უფრო ხშირად მოდიოდა ჯარისკაცთა დაღუპვის მაუწყებელი ბარათები.

სხვისი სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას, ფრონტზე მყოფი შვილის, მამის, ძმის, დის დაღუპვის შიში ანელებად და ადამიანებს სინდისი ქენჯნიდათ, რომ ვარამს თავისიანის მოსალოდნელი დაღუპვის შიში უნახევრებდათ.

არიან ადამიანები მხნეობით, ხალისით, ღია და კეთილი გულით, ენერგიით რომ გხიბლავენ, გიზიდავენ, თავს გაყვედრებენ; ლონგინოზ ლომჯარია ასეთ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა. თუ რაიმე აწუხებდა, ხასიათზე არ იყო, ესეც გადაედებოდა სხვას.

კოჩა ყორშიას დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, ერთბაშად გამოიცვალა კაცი. დაკარგა ხალისი, მხნეობა, ენერგია.

ადამიანი გაჭირვებაში და უბედურებაში გამოიცნობა. ლონგინოზს კარგად იცნობდნენ კოლმეურნეობაში, უყვარდათ, პატივს სცემდნენ, მაგრამ ასე მწარედ თუ მიიტანდა გულთან კოჩა ყორშიას დაღუპვას, არ ეგონათ.

სხვებსაც გადაედო ლონგინოზის ჭმუნვა. მაგრამ დიდხანს ვერ ატარეს მწუხარება. მათ გულს ახლა არც მწუხარებისათვის ეცალა, არც სიხარულისათვის. თავის მოსათხანი დრო არ ჰქონდათ. სიმინდს, ლობიოს და მუხუდოს, დაბინავება უნდოდა, ჩალას — აჭრა და დაზვინვა. ხალხი სულმოუთქმელად, გაშმაგებით მუშაობდა. არც ქალმა იცოდა მოსვენება რა იყო და არც კაცმა.

ლტოლვილების უმრავლესობამ არ იცოდა ჩალის აჭრა, დაზვინვა, სიმინდისა და ლობიოს გარჩევა, მუხუდოს გალეწვა.

ლონგინოზი ჯარასავით ტრიალებდა ლტოლვილებში, თვითონ უჩვენებდა რა როგორ უნდა გაეკეთებიათ. საქმე მაინც ადვილად არ მიჰყვებოდა ხელს. შეუჩვეველ საქმეში ადვილად ვერავინ გაიწაფავდა მარჯვენას. ქალები ნერვიულობდნენ, ბერიკაცები მალე იღლებოდნენ, მაგრამ ლონგინოზის გამამხნევებელი სიტყვა ბიძგს აძლევდათ, გულს უმაგრებდათ, მეტს აკეთებინებდათ.

თავმჯდომარის, სეროვასა და პარტორგანიზაციის მდივნის შემდეგ კოჩა ყორშიას დაღუპვის ამბავი ყველაზე ახლო ვასო ბრეგვაძემ მიიტანა გულთან. იცოდა, რომ იგი ობლობაში გაიზარდა, გაჭირვებაში ისწავლა, კარგი მომავალი ჰქონდა. ასე უცებ, მოულოდნელად შეწყდა მისი ხანმოკლე, შრომითა და ჯაფით, საქმის სიყვარულით სავსე სიცოცხლე. ისე შეწყდა, დამტირებელი არავინ დარჩა.

ვასო ბრეგვაძეს სასისტემო სამმართველოში საქმე საათივით აწყობილი ჰქონდა. გაწმენდილი იყო არხები, კოლექტორები, ქსელები, კვლები. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, „ოქროს საწმისში“ გარბოდა. ეხმარებოდა ტარიელს, სეროვას და ლონგინოზს. ეხმარებოდა რითაც კი შეეძლო — რჩევით, შრომით.

მალე კოლმეურნეობაში კონსტანტინე ლესელიძის ბარათი მოვიდა. ბარათში მოკლედ და ნათლად იყო აღწერილი კოჩა ყორშიას დაღუპვის ამბავი. სარდალი მადლობას უხდიდა „კოლხიდმშენის“ კოლექტივს ასეთი კომუ-

ნისტის, ხელმძღვანელის და პატრიოტის აღზრდისათვის.

ბარათმა კიდევ უფრო დაამძიმა ტარიელის, სეროვას, ბრეგვაძის და ლონგინოზის დროებით მინელებული მწუხარება. კოჩა ყორშია დაეცა არა როგორც რიგითი მებრძოლი, დაეცა როგორც გმირი და გზა გადაუკეტა მტერს იქ, სადაც ეს თითქოს შეუძლებელი იყო, რომ გამარჯვების გზა გაეხსნა თავისი ბატალიონისათვის. ასე ამთავრებდა ბარათს არმიის სარდალი.

შემოდგომა გვიან მიიწურა.

განაწილებული იყო შრომადღეებზე კუთვნილი სიმინდი, ლობიო და მუხუდო. ბევრმა სიმინდის ნაწილი, ხოლო მუხუდო მთლიანად სახელმწიფოს ჩააბარა.

ახლა შეეძლოთ ცოტა ხნით სული მოეთქვათ, მოესვენათ, წელი გაემართათ, მაგრამ დასვენებაზე არავინ ფიქრობდა. გადაწყვიტეს, ზამთარში სფერული კვლები ოვალურ კვლებად გადაეკეთებინათ ყველა ბრიგადის მიწაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ციას ბრიგადამ ოვალურ კვლებზე სამჯერ უფრო მეტი ჰირნახული აიღო და ყველა დარწმუნდა, რომ ასეთ კვლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

გაზაფხულზე რამდენიმე ლტოლვილს, ჰალადიდელს, ყულეველს და ქვალონელ ოჯახს ერთად მოუვიდა სამკუთხა, შავი ბარათი.

უბედურებამ არც ნატაშასა და მაკარს აუარა გვერდი. ის იყო ოვალური კვლების მოწყობა მოათავეს, შეწყდა მარტის ხშირი წვიმებიც და ხვნას უნდა შედგომოდნენ, რომ ოლგა ბაჩილოს სახელზე ბავშვების მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ცნობა მოვიდა.

ჯოტია ფოსტალიონმა ბარათი თვითონ მოუტანა ცისანას, ურჩია არ გაემხილა ნატაშასა და მაკარისათვის. უგზო-უკვლოდ დაკარგული კაცი ჯერ კიდევ მკვდარი არ არის, ვინ იცის, იქნებ დაბრუნდეს, წინასწარ რატომ მოვუკლათ ბავშვებს გული.

ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ცისანამ და ციამ გადაწყვიტეს, დაემალათ ბარათი.

იმ დღიდან უფრო მეტს ზრუნავდნენ ბავშვებზე.

ნატაშა და მაკარი დაეჭვდნენ, რატომ გვევლებიან თავს ასე განსაკუთრებით, რა მოხდაო. ახლა უფრო გულმოდგინედ მუშაობდნენ ამის საპასუხოდ, ცდილობდნენ უფროსებს არ ჩამორჩენოდნენ.

მარტო რომ დარჩებოდნენ, უნდოდათ მამაზე ჩამოეგდოთ სიტყვა, მაგრამ ვერ ბედავდნენ. იმდენად ბოჭავდათ შიში და ეჭვი, ეგონათ, მამაზე სიმართლეს გაიგებდნენ. გრძნობდნენ, ეს სიმართლე არ იქნებოდა კარგი და კრიჭა ეკვრებოდათ. კრინტს ვერ ძრავდნენ.

შარშანდელივით ისევ ერთად ხნავდნენ. ნატაშა ხარებს მიუძღოდა, მაკარს კავის სახელური ეჭირა. სველ მიწაში სახნისი ღრმად ჩადიოდა. ცუდად გამოზამთრებულ ხარებს ძლივს გაჰქონდათ კვალი. მაკარს ხელი ეწვოდა. თაკარა მზე და გადაბრუნებული მიწის თბილი ოხშივარი თავბრუს ახვევდა, თვალს უჭრელებდა ერთფეროვანი, გველივით დაკლაკნილი ბელტების გრძელი ზოლები, ერთმანეთს რომ ედებოდა, აწვებოდა და შავად ბზინავდა.

ნატაშას ფეხებს მძიმე ტვირთად ეკიდებოდა მიწა, თითქოს ფუთიანი გირები შეებაო. ბორძიკობდა. ეშინოდა, არ წაქცეულიყო, ხარები არ შედგომოდნენ, ან სახნისს არ წამოდებოდა. ითმენდა. ითმენდა მაკარივით.

მაკარიც ბორძიკობდა, ხნულში ფეხი უვარდებოდა, კავის სახელურზე ხელი უცურდებოდა, მკლავი უხევდებოდა. ითმენდა. ითმენდა ნატაშასავით.

ცისანა ანტონ ბაჩილოზე ჯვარდაწერილი არ იყო, ნატაშასა და მაკარს მაინც მაზლიშვილებად თვლიდა. მათზე მზრუნველობა არა მარტო ზნეობრივ

მოვალეობად მიაჩნდა, არამედ — ნათესაურადაც.

ბავშვები დიდად ემადლიერებოდნენ ყურადღებისა და სიკეთისათვის. ეს უმსუბუქებდათ მამაზე დარდს, მაგრამ მეორე მხრივ ეხამუშებოდათ ცისანას ასეთი ყურადღება და სიკეთე. დამოუკიდებელ ადამიანებად მოჰქონდათ თავი, სხვის დაუხმარებლად აკეთებდნენ იმას, რასაც მამისა და ბიძების ფრონტზე ყოფნა ავალებდათ.

ცისანასა და ციას სხვებისათვისაც არ უთქვამთ ნატაშასა და მაკარის მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი. არც ტარიელ ქარდასთვის, არც ლონგინოზისა და სეროვასათვის. საიდუმლოდ ინახავდნენ.

არ იცოდნენ, სწორედ იქცეოდნენ თუ არა. ხომ არ შევცდით ჯოტიას, რომ დავუჯერეთო. იქნებ ჯობდა შვილებისათვის სიმართლე გაემხილათ. ვერა. ვერ ბედავდნენ მათთვის სიმართლის თქმას.

ბავშვები, მიუხედავად იმდენი სითბოსი და ყურადღებისა, რასაც მათდამი ყველა იჩენდა, მაინც ობლად გრძნობდნენ თავს და მათთვის მამის ამბის გამხელა ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა.

ამბობენ, მოთმინება და შრომა ყველაფერს დაძლევსო. ეს თურმე ზოგჯერ არ მართლდება. ბევრი დრო გავიდა. შრომაში აღამებდნენ და ათენებდნენ ნატაშა და მაკარი, მაგრამ ეჭვი სულ უფრო ღრღნიდათ.

ერთხელ სამხრისას პურის საჭმელად რომ დასხდნენ ყანაში, პირში ლუკმა აღარ გადაუვიდათ.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მაკარმა. თუმცა კარგად იცოდა რა მოუვიდა.

ნატაშამ ცრემლით სავსე თვალები შეანათა:

— რამდენი ხანია, მაკარ, მამის ბარათი არ მიგვიღია!

— დიდი ხანია.

— რატომ არ მოდის ბარათი?

— მოვა, — სცადა დანუგეშება მაკარმა.

— მაკარ... ცუდი ამბავია მამის თავზე, თორემ აქამდე მოგვწერდა.

მაკარმა მჭადის ნატეხი ხელში რომ ეჭირა, უკან დადო სუფრაზე.

— ცუდი ამბავი რომ არ იყოს, ამდენ ხანს რატომ არ გავახსენდით, მამას, — ცრემლი მოადგა თვალებზე ნატაშას.

— ნუ სტირი, — უთხრა მაკარმა.

— ყოველთვე ვღებულობდით ბარათს... ნახევარი წელიწადია არ მოუწერია.

— ჰო ნახევარი წელიწადია არ მოუწერია მამას!

— რა ვქნათ, მაკარ?.. ცისანამ და ციამ რაღაც იციან მამაზე და გვიმალავენ.

ასე ფიქრობდა მაკარიც. თურმე ასე ფიქრობდა ნატაშაც. მაკარსაც მოადგა ცრემლი თვალზე...

ჩვეულებრივად ნატაშა და მაკარი ყანიდან დაბრუნდებოდნენ თუ არა, ივახშმებდნენ და დაღლილ-დაქანცულები ადრე წვებოდნენ. დღეს კი აგვიანებდნენ დაწოლას, ერთმანეთს უყურებდნენ. რაღაცის თქმა უნდოდათ ლამპასთან მჯდარი ცისანასათვის, რომელიც მაკარის ხალათზე ღილს აკერებდა.

— რატომ არ წვებით, ნატაშა?! — თავი აიღო საკერავიდან ცისანამ. დააკვირდა ლამპის მკრთალი შუქით განათებულ, დაცეცებულ სახეზე: — რა მოხდა, ნატაშა?! — ღილის დაკერება მიატოვა.

— დეიდა ცისანა, — უთხრა ნატაშამ და ენა დაება.

— ნატაშა,—წამოდგა ცისანა, ხალათი მაგიდაზე დადო. ნატაშას გვერდზე მიუჯდა.

— რატომ გეცოდებით მე და მაკარი, დეიდა ცისანა?

— მეცოდებით?! — ვითომ გაუკვირდა ცისანას. ნატაშას ხელი ხელში აიღო: — რას ამბობ, ნატაშა?!

— აბა, რატომ ზრუნავთ ასე ჩვენზე?!

ცისანამ იცოდა, რატომ ეუბნებოდა ამას ნატაშა.

— განა ასე არ ვზრუნავდით მე და ცია ყოველთვის?

— არა, — უთხრა მაკარმა, — ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ზრუნავთ ჩვენზე თქვენ და ცია. ალბათ, მამაზე ცუდი ამბავი მოვიდა.

— მაკარ, — სახტად დარჩა ცისანა.

— მამაზე ცუდი ამბავი მოვიდა და გვიმალავთ, — შეხედა მოურიდებლად და გამომწვევად მაკარმა. — რატომ გვიმალავთ?! ასეთ ამბავს არ უმალავენ შვილებს. ვინ მოგცათ ამის უფლება? — სიმწრისაგან სახეზე ნაცრისფერი დაედო.

— მაკარ, — გაიმეორა ცისანამ. ტირილი წასკდა. მიხვდა, კარგად არ მოიქცა. — „ვინ მოგცათ ამის უფლება?“ — ესმოდა მაკარის მკაცრი ხმა, საყვედურით სავსე ხმა. ხედავდა სიმწრისგან ნაცრისფერ გადაკრულ მის სახეს. — „მართლა ვინ მომცა უფლება დამემალა მათთვის მამის დაკარგვის ამბავი“.

შემოვიდა ცია. შეხედა ბავშვებს, ცისანას.

— თქვენ იცოდით და გვიმალავდით, — შეკავებული ტირილით თქვა მაკარმა. სახე მიაბრუნა, რომ ცრემლი არ დაენახა ციას.

გაისმა კივილი. კივილს ჰგავდა ნატაშას მკერდიდან აღმომხდარი სიტყვა — „მამა“.

კოჩა ყორშია სხვადასხვა რაიონებში მუშების შესაკრებად რომ წავიდა, პირველი ბურდა კვარაცხელია გამოჰყვა. ბურდა შთამომავლობით მეჯოგე იყო, მაგრამ ამ საქმეს ჩამოშორებული.

ერთ დროს მეჯოგეობით განთქმული მისი სოფელი, ახლა მხოლოდ ჩაის, ციტრუსსა და სიმინდს იწევდა. ბურდა კოლმეურნეობაში მესიმინდეთა ბრიგადირად მუშაობდა. მძიმედ განიცდიდა, რომ მისი რაიონის მეტწილ კოლმეურნეობაში მესაქონლეობის ფერმები არ იყო.

ადრე მის ბაბუას და მამას თავისი ჯოგები ჰყავდა. მთიდან ჩამორეკილ ჯოგს ზამთარში კოლხეთის ზღვისპირა ტყეებში აძოვებდნენ. აქ საქონლისათვის დამატებითი საკვების მომარაგება არ ჭირდებოდათ. ზამთარშიაც ბალახი მუხლამდე იყო.

ბურდამ იცოდა, დამშრალ მიწაზე იქ მესაქონლეობას დიდ ადგილს დაუთმობდნენ, ამიტომ სიხარულით დაეთანხმა კოჩა ყორშიას გაჰყოლოდა მშენებლობაზე და სხვებიც აიყოლია.

სოფელში უკვირდათ, ბურდა კვარაცხელიას, ლაკადაში, ამ მაღალმთიან სოფელში, სადაც ჰაერი და წყალი ზიარებასავით რგებს ადამიანს, მიწა კი უხვ მოსავალს აძლევს, ადვილი დასამუშავებელიცაა, დიდებული სახლ-კარის პატრონს, მდიდარი კოლმეურნეობის ბრიგადირს, რა რჯიდა, იმ დასაქცევში რომ მიდიოდა მიწის მთხრელად: ის მიწა ხომ ციებიანი და ხაშმიანი, ჭაობიანი და სნეული იყო. რა იცოდნენ, რომ მეჯოგეობის საქმეს მონატრებულ კაცს. სიმინდზე არ ედო გული, არც ჩაიზე, ლიმონზე, ფორთოხალზე და მანდარინზე. ბაბუისა და მამის საქმე ეძახდა.

ბურდა კვარაცხელია მეჯოგის მარტო რომანტიკული საქმითა და ცხოვრებით არ იყო გატაცებული, არც უკეთესი პირობებითა და შემოსავლით. ბავშვობიდან ბაბუასა და მამისაგან ჩაგონებული ჰქონდა, რა სიკეთეს აძლევდა საქონელი ადამიანს და ამ ჩამორჩენილი საქმის წინ წაწევა უნდოდა, ხელის შეწყობა უნდოდა, შველა უნდოდა.

ამ მშველელთა ერთ-ერთი მონაწილე თვითონ უნდა გამხდარიყო. ეს მისი მარტო სურვილი კი არა, მოთხოვნილებაც იყო. ამიტომ არ შეუშინდა კოლხეთის ჭაობს, აუტანელ პირობებში მუშაობას. დაჰკრა ფეხი და ერთი პირველთაგანი გაჰყვა კოჩა ყორშიას ყორათში.

ბურდამ მშენებლობაზე მოსვლის დღიდანვე დაიწყო თვეების თვლა, როდის დამთავრდებოდა ჭაობების დაშრობა და ფერმები გაშენდებოდა.

ამ საქმის ყველაზე უფრო ხელშემწყობ კაცად კოჩა ყორშია მიაჩნდა. ენდო მას, დაუჯერა მის დაპირებას, გამოჰყვა მას. ყველაზე მეტ პატივს მშენებლობაზე კოჩას სცემდა. უყვარდა ეს ახალგაზრდა, საქმისათვის თავდადებული, გულისხმიერი, ყურადღებიანი კაცი. კოჩას ფრონტზე წასვლის შემდეგ კიდევ უფრო შეუყვარდა და პატივისცემით განეწყო. მისი დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, ფაცხაში ჩაიკეტა და ცხარე ცრემლით დაიტირა.

კოჩა ყორშია ომში იმ მიწის დასაცავად წავიდა, ბურდა რომ აშრობდა. ხალხი რომ აშრობდა და ხალხის საქმეს შეეწირა, სამშობლოს შეეწირა. ბურდა მწარედ ჩააფიქრა ამან. როგორ მუშაობს ფერმა? როგორ ვმუშაობ მე? შეგვიძლია თუ არა ფერმა უკეთ ვამუშაოთ? ჩვენი ძროხები წელიწადში ათას ლიტრ რძეს იწველიან. ეს ცოტა არ არის, მაგრამ რატომ მეტს არ უნდა იწველებოდნენ? იმიტომ, რომ ზამთარში გარეთ, ავგარაში არიან, ცის ქვეშ, ყინვაში და თოვლჭყაპში. ბოსლებში რომ იდგნენ, დამატებით საკვები რომ ჰქონდეთ, მეტს მოიწველიან, ხორციც მეტი ექნებათ, ხბორებსაც სრულად შევინარჩუნებთ. ნადირის შიშიც გაგვიქრება.

სასიმინდეების აგება თუ შევძელით, ბოსლებსაც ავაშენებთ. ბოსლებს მეტი და უკეთესი ხე-ტყე უნდა. კარგი ხუროები და მეტი დრო უნდა. რას ვიზამთ, უნდა გავიჭირვოთ, მეტი მოვინდომოთ, მეტი უნდა შევძლოთ. კოჩა ყორშიას მაგალითმა მეტი უნდა გაგვაკეთებინოს.

აღარ დააყოვნა. როგორც კი გადაწყვიტა ეს, მეორე დღეს თავმჯდომარეს ეახლა და თავისი აზრი გააცნო:

— თესვა მალე მოთავდება, პატონკოჩი! მარგვლის დაწყებამდე ხალხი თავისუფალია. გამოვიყენოთ ეს დრო. რაჭველ ხუროებს მე ჩამოვიყვან მთიდან. არ მოვეშვათ ამ დიდებულ საქმეს. გარდა იმისა, რომ მეტ რძეს მოვწველით, მეტ ხორცსაც მივიღებთ. საქონლის მადლსაც დავიდებთ, — თვალში შეჰყურებდა ტარიელს, რას იტყვისო. — ცხონებული ბაბუაჩემის დურუბია და მამაჩემის ჩაგუნია კვარაცხელიების ჯოგი ხომ არ არის ჩვენი ძროხები და კამეჩები! არ ეკადრება, პატონკოჩ, ფერმის საქონელს ზამთარში გარეთ ყოფნა. გადავაფაროთ სახურავი თავზე.

— კარგად მოგიფიქრებია, ბურდა, — მოუწონა ტარიელმა.

— მეჯოგემ ძროხაზე და კამეჩზე კარგად უნდა იფიქროს, აბა, რავა. ფუ, მეჯოგემ კი არა, ფერმის გამგემ, — გაიცინა ბურდამ. — მადლობელი ვარ, რომ ჩემი აზრი მოგეწონათ. მაშ, ავაშენოთ ბოსლები, არა?

— უსათუოდ უნდა ავაშენოთ.

თესვის დამთავრების უკანასკნელი დღეები იწურებოდა.

საჭირო იყო ბოსლების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ხე-ტყის დამამზადებელი ბრიგადის შედგენა, რაჭიდან ხუროების ჩამოსაყვანად ბურდას გაგზავნა, მშენებლობის უფროსის დანიშვნა.

დანაშაული რომ ჩაიდინა, ისიდორე სიორდია მაშინ პარტიიდანაც გარიცხეს. სამსახურიდან მოხსნას და პატიმრობას ისე მწვავედ არ განიცდიდა, როგორც ამ უბედურებას, ჩამორთმეული პარტბილეთი სულ თვალწინ ედგა.

ციხიდან განთავისუფლების, კოლმეურნეობაში მიღებისა და მერგოლურად არჩევის შემდეგ, სულ იმის ფიქრში და ოცნებაში იყო, რომ პარტიის რიგებში აღედგინათ. თავისი პატიოსანი შრომით უკვე დამსახურებული ჰქონდა ეს. მონანიებული ჰქონდა ცოდვა, მაგრამ ენა არ უბრუნდებოდა ამის სათხოვად, გულში ატარებდა სანუკვარ ოცნებას.

ვინმეს უნდა ეშუამდგომლა პარტორგანიზაციასთან. ვერავის უბედავდა

ამის თხოვნას. ეშინოდა, ვაი თუ უარი მითხრანო.

თავმჯდომარე გულდასმით აკვირდებოდა მის მუშაობას, საქციელს, ცხოვრებას. ისიდორე ის ისიდორე აღარ იყო. სულითა და ხორცით გამოიცვალა. გულისხმიერი, თავაზიანი, თავდაჭერილი და მორიდებული გახდა. სხვისთვის პერანგს გაიხდიდა. განსაკუთრებით ფრონტელების ოჯახებზე ზრუნავდა, უმამაკაცოდ დარჩენილ წვრილშვილიანებს მიწას დაუხნავდა, დაუთესავდა, გამარგვლაში მიეხმარებოდა, ჩალის აჭრაში და დაზვინვაშიც. ტყიდან შეშას მოუტანდა.

თავის ცოლ-შვილზე არ ზრუნავდა იმდენს, რამდენსაც ფრონტელების ოჯახებისათვის.

ყველაფერი ეს ტარიელ ქარდას თვალწინ ხდებოდა და არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, ყურადღება არ მიექცია.

წინათ ისიდორეს თუ თავს არიდებდნენ, ახლა მეგობრობდნენ მას.

— რას იტყვი, ლონგინოზ, ისიდორე სიორდიას რომ მივანდოთ ბოსლების აშენება? — ჰკითხა ერთ საღამოს პარტორგანიზაციის მდივანს ტარიელ ქარდამ. — ეს კიდევ ერთი გამოცდა იქნება მისი.

— კარგს ვიზამთ, ტარიელ, — უპასუხა თავმჯდომარეს ლონგინოზმა. — მისმა რგოლმა უკვე მოათავა თესვა და ისიდორე თავისუფალია. გარდა ამისა, სწორედ ასეთი მოწადინებული კაცი გვინდა ამ საქმისათვის. მართალი უნდა გითხრათ, არ მეგონა სიორდია თუ ასე გამოიცვლებოდა. დრომ და მდგომარეობამ როგორ უცვალა სახე ადამიანს.

— გააჩნია ადამიანს, ლონგინოზ. უბედური კირილე ვერ შეცვალა დრომ და მდგომარეობამ.

— წამალი ყველა ჭირს არ კურნავს, ტარიელ!

— დროა ისიდორე პარტიაშიც აღვადგინოთ.

ლომჯარია ჩაფიქრდა. ეტყობოდა, მოეწონა თავმჯდომარის აზრი, მაგრამ სახეზე ეჭვიც აღებეჭდა.

— ააშენოს ბოსლები და მერე დავაყენოთ ეგ საკითხი, რომ ყველამ დაუჭიროს მხარი. გახსოვთ ალბათ, ბრიგადირმა ცია ცანამ ეგ კაცი მერგოლურადაც ძლივს გაიყვანა. ბევრმა არ დაუჭირა მხარი.

— ახლა ისიდორე, ის ისიდორე აღარ არის.

— გეთანხმებით.

— კარგი, ლონგინოზ, ააშენოს ბოსლები, ასე აჯობებს.

ვიდრე ისიდორეს ბოსლების მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშვნის საკითხს გამგეობაზე გაიტანდა, ტარიელმა თავის კაბინეტში იხმო იგი.

— ერთი ძნელი საქმე უნდა დაგავალოთ, ისიდორე, — უთხრა მის წინ მაგიდასთან მჯდარ სიორდიას და დააკვირდა.

— ასეთ გასაჭირს ჟამს ყველა საქმე ძნელია, პატენ ტარელ, მაგრამ მე სძნელს არ მეშნა. თქვენ ხმალ და ჩემ კსერ. არც სხვებს უნდა ეშნოდეს ასეთ დროს ძნელ საქმეს.

— ბარაქალა შენ, ისიდორე, — შეაქო ტარიელმა. — ბოსლების აშენება უნდა დაგავალოთ.

— კეთლ და პატოსან. მადლობელ ვარ, რომ მე მანდობთ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ასეთ ძნელ საქმეს. არ შეგარცხვენთ, პატენ ტარელ. მე მაგ სრცხვლ, რაც კსერზე მადევს, სც მეყოფა.

სიორდიას თავისი დანაშაული ლურსმნად რომ ედგა გულზე და ეგონა, ყველას სამუდამოდ მოძულებული ჰყავდა, ახლა თავმჯდომარის წინადადებისა და კეთილი სიტყვების შემდეგ იმედი მოეცა, — მთლად წყალწაღებული არ ვყოფილვარო. ჯერ მერგოლურად ამირჩიეს ტარიელისა და ცია ცანას დახმარებით, ახლა ბოსლების აშენებასაც მავალებს ტარიელი. არა, მართლა არ ვყოფილვარ ხალხის გულიდან მთლად ამორეცხილი. აწი მე ვიცი, აქამდე ტყავიდან ვძვრებოდი საქმისათვის, ახლა კი ჯაჭვით ვერ დამაბამენო.

თავმჯდომარემ დაინახა, როგორ გაუნათდა ისიდორეს ჩაღამებული თვა-

ლები; დაინახა, რომ ეს კაცი სულითა და გულით მოეკიდებოდა ბოსლების მშენებლობას.

— სევ მადლობელ ვარ, პატენ ტარელ, — მღელვარებისაგან ტუჩები შეუთრთოლდა. — თქვენ კეთლ გულ გაქვთ.

— კეთილი გული ყველა პატიოსან კაცს უნდა ჰქონდეს, ისიდორე!

— მე არ ვყავ პატოსან კაც. არ მქონდა კეთლ გულ. მოშხამულ მქონდა გულ. გვან ვაჯობე ჩემს გულს.

— პირდაპირ უნდა გითხრა, ისიდორე. მართლა გვიან აჯობე შენს გულს. გესმის?

— მესმს, პატენ ტარელ, — შეთრთოლებული ტუჩები გაუხევდა. საძრაობა დაეკარგა.

— შენი გული ხალხისათვის არ მუშაობდა.

— მართალს ბრძანებთ.

— აქედან მოდიოდა ყველა შენი შეცდომა.

— შეცდომა რბლათაა ნათქვამ. ყველა ჩემ დანაშაულ.

— კიდევ ბევრი შრომა დაგვჭირდება, ისიდორე, რომ დანაშაული... ყველა დანაშაული მოინანიო.

სიორდიას სახეზე სიმწრის ოფლი ასხამდა.

ტარიელს შეეცოდა.

— კარგი. ამით დავამთავროთ. მჯერა შენი. მაგრამ ხალხმაც უნდა დაგიჯეროს ბოლომდე. გენდოს.

— დავაჯერებ...

— ჩვენ ამის პირობა შეგიქმენით, — განაგრძო თავმჯდომარემ. — ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. საქმით უნდა გამოასწორო დანაშაული. საქმით უნდა დაიმსახურო ხალხის ნდობა.

— თქვენს მადლს სამარეშ თან ჩავიტან, პატენ ტარელ, — ასე უთხრა ვასო ბრეგაძესაც, როცა ციხიდან გამოიყვანა...

— როგორც მერგოლეურმა, ისიდორე სიორდიამ გაამართლა ბრიგადის ნდობა, — თქვა გამგეობის სხდომაზე ციაცანამ.

— ეს არ კმარა მისი დანაშაულის მოსარეცხად, — არ დაეთანხმა ბრიგადირს ერმილე ჯაყელი.

— ადვილი არ არის იმ სირცხვილის მორეცხვა, რაც სიორდიას კისერზე ადევს. არ კმარა ის ამისათვის, რომ ბრიგადის ნდობა გაამართლა, როგორც მერგოლეურმა, — არ დაეთანხმა ცისანა ცინცაძე მეგობარს. — კიდევ ბევრი შრომა დაჭირდება ისიდორეს... კიდევ ბევრი საქმით უნდა გვიჩვენოს, რომ პატიოსან გზას დაადგა.

— ბოსლების აშენება იქნება კიდევ ერთი საქმე, — ხმა მისცა პეტრე ლაგოიდამ.

ისიდორეს გაახსენდა ტარიელ ქარდას სიტყვები, საქმით უნდა დაიმსახურო ხალხის ნდობაო. მაშ, არ დაუმსახურებია ჯერ ხალხის ნდობა. არ ენდობიან კოლმეურნეობის წევრები. ეს ყველაფერზე დიდი სასჯელია მისთვის, ციხეზე დიდი, პარტიიდან გარიცხვაზე დიდი. ხელ-ფეხი გაუცივდა. გადაუწყდა იმედი. არ დაუჭერს გამგეობა მხარს.

ამ ფიქრით შეშფოთებული იყო სიორდია, რომ მისდამოუცლოდნელად, ქომაგად ისეთი ადამიანი გამოუჩნდა, ვისგანაც სულ არ ელოდა მხარდაჭერას.

— კიდევ ერთხელ მივცეთ საშუალება — დაამტკიცოს, რომ იგი პატიოსანი და საქმის ერთგული კაცია, — წინადადება შემოიტანა სეროვამ.

აღარ უკამათნიათ. ისიდორე სიორდია ბოსლების მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნეს.

ყანა მზის სხივით იყო სავსე. ჰაერი კრიალებდა, თრთოდა.

ტანაყრილ სიმინდის გრძელ და განიერ ფოთლებზე დილის გრილი ნამი უხვად ეყარა, იქიდან ატყორცნილი ბრჭყვიალა, ციმციმა სხივი უმცირეს ნაწილაკებად ირეოდა ყანის თავზე. ლურჯად მოკამკამე ზღვის ფონზე სხი-

ვი მსუბუქ ნიავზე მტვერივით იფანტებოდა ცვრისა და მიწის მსუყე სურნელით შეზავებულ ჰაერში.

შარშანდელთან შედარებით, მეორე თოხის შემდეგ, სიმინდი ახლა ისე შორი-შორს აღარ იყო გამოხშირული, რადგან მაშინ ოლგა ბაჩილოს ოვალურ კვლებზე გაცილებით უფრო ახლო იდგა ჯმუხი, ღონიერი სიმინდი და მაინც ჯანითა და ძალით გაზულუქებულს პირზე მწვანე ღიმილი გადასდიოდა.

რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია ყოველ ცისმარე დღე მიდიოდა „ოქროს საწმისში“, დახედავდა მთოხნელებს, მიდიოდა დილით, ვიდრე ცვარი აშრებოდა. ცვრის სუნიც უყვარდა და ფერიც, ბროლივით გამჭვირვალე და ციმციმა. ჩამოუვლიდა ბრიგადებს და შარიანი თვალით აცქერდებოდა ყანას, როგორაა გამოთოხნილი, სარეველა ხომ არ არის დატოვებული, მიწა საკმარისად აყრია სიმინდის ძირს თუ არაო.

სარეველას არავინ დატოვებდა, ყველა სულითა და გულით მარგლავდა, უფრო მეტი მონდომებით, ვიდრე თავის საკარმიდამოზე, მაგრამ ვახტანგი მაინც დაჟინებით ათვალიერებდა ნამარგლს.

ვახტანგ ქანთარია განათლებით აგრონომი იყო. ერთ დროს კოლმეურნეობის აგრონომად მუშაობდა ხობის რაიონში, მერე ზუგდიდის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ. ინსტიტუტის დამთავრებამდე, ათი წლიდან მოყოლებული, მამას მხარში ედგა თოხით ხელში, მამა მთელს სოფელში განთქმული მესიმინდე იყო. ერთ ქცევა მიწაზე სამოცი ფუთი სიმინდი მოჰყავდა, შვილსაც ჩინებულად შეასწავლა ყანის საქმე.

კოლმეურნეობაში აგრონომად მუშაობისას ხშირად უნახავს, როგორ ტოვებდა სარეველას არაკეთილსინდისიერი კოლმეურნე, რომ მეტი გაეთოხნა და ამით მეტი შრომადღე გამოემუშავებია.

ახლა ამ უსინდისობას არავინ ჩადიოდა. ახლა ომისათვის მუშაობდნენ, შრომადღეზე კი არ ფიქრობდნენ, მოსავალზე ზრუნავდნენ.

ამ დილით რაიკომის მდივანი შინიდან პირდაპირ „ოქროს საწმისში“ წავიდა, რომ მიხეილ ლოშკარიოვი ენახა. ბრიგადირს მესამე შვილის, ნიკოლაის დაღუპვის ბარათი რომ ჰქონდა მიღებული და ამის შემდეგ დაიწყო სმა გაუბედურებულმა კაცმა, გუშინ სწორედ მისგან მიუღია წერილი, მძიმედ დაჭრილი ბაქოში ვწევარ ჰოსპიტალშიო.

რაიკომის მდივანი ლოშკარიოვს ამ სასიხარულო ამბის მისალოცად ესტუმრა დილაადრიანად, თორემ მისი ბრიგადის ყანა ისე იყო გამომარგლული, ნემსს იპოვიდა კაცი, ვერავინ ვერ დასდებდა წუნს.

მიხეილ ლოშკარიოვის ბრიგადა წელს ერთ-ერთ მოწინავე ბრიგადად ითვლებოდა კოლმეურნეობაში. წლიწადი სრულდებოდა, რაც სმა მიატოვა მიხეილმა. რომ იტყვიან, თვალში გამოიხედა. ჯავრი კი ვერ მოიკლა. ან კი როგორ გაუძლო ასეთ მძიმე ჯავრს, — ფიქრობდა ვახტანგ ქანთარია.

ლოშკარიოვი ყანაში დაუხვდა. შვილის წერილის მიღების შემდეგ ისე იყო გამოცვლილი, ვეღარც კი იცნო რაიკომის მდივანმა, ერთ დღე-ღამეში ფერიც მოსვლოდა, ხორციც მომატებოდა, თვალში მეტი შუქი ჩადგომოდა. მხრებზე მკლავი გადახვია ვახტანგ ქანთარიამ, მილოცვა ეუხერხულა, ორი შვილი დაღუპული ჰყავდა.

— როდის წახვალთ სანახავად? — ესლა ჰკითხა.

— თუ მოვახერხე, ხვალვე. მარგვლა მოთავებული მაქვს.

— ვიცი. ყველაფერს ვიღონებ, მიხეილ ფილიპოვიჩ, რომ ხვალვე გაგისტუმროთ, — დაპირდა ვახტანგ ქანთარია. — ოღონდ მოსაკითხს უნდა მომზადება. ფოთის ნავსადგურიდან ბაქოში ყოველ დღე გადის სამხედრო სატვირთო მანქანები. თქვენ კი მანამდე მოემზადეთ.

სეროჟას, ციას, ცისანასა და გუდუია ესვანჯიასაც გაეგოთ ნიკოლაის ბარათის მოსვლის ამბავი. ისინიც ლოშკარიოვთან დახვდნენ ვახტანგ ქანთარიას.

— მოსაკითხი უკვე მოუმზადეს მიხეილ ფილიპოვიჩს ციამ და ცისანამ, — უთხრა რაიკომის მდივანს გალინა არკადიევნამ.

— რანაირად?!

— გუშინ სოფლიდან დედები ჩამოუვიდათ და იმათ ჩამოუტანეს.

რაიკომის მდივანმა კმაყოფილებით შეხედა ქალიშვილებს, მერე ისევ ლოშკარიოვს მიუბრუნდა:

— რას იტყვით, მიხეილ ფილიპოვიჩ, ციასა და ცისანაზე? —. თვალს არ აშორებდა მიხეილს. მისი სხივჩამდგარ თვალების სიღრმეში მაინც ხედავდა მწუხარებას დაღუპულ ორ შვილზე.

— მე ქალიშვილები არ მყავს, ვახტანგ სემიონოვიჩ, — მღელვარებისაგან ყელში გორგალი მოადგა. — იმ გაჭირვების ჟამს დაცემულ კაცს, ციამ ხელი რომ გამომიწოდა და ყანა გადამირჩინა, მას აქეთ შვილად მეგულება.

დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მიხეილ ლოშკარიოვს თავის თავისთვის მაინც ვერ ეპატიებია, ნიკოლაის დაღუპვის ამბავმა მთლად რომ მოსპო და სმა დააწყებინა. დიდ დანაშაულს გრძნობდა ამის გამო. ცია რომ არა, ყანა მართლა დაეღუპებოდა. სამოცი ჰექტარი ყანა. ეს სახელმწიფო დანაშაულს უდრიდა. ვის ჰქონდა ასეთ დროს უფლება თავის ჯავრისათვის საქვეყნო საქმე ენაცვლებინა. ლოშკარიოვი იმით ინუგეშებდა გულს, რომ ყანა გადაარჩინეს, უფრო მეტი — მოეხმარნენ, გვერდში ისინიც კი ამოუდგნენ, ვისაც ისეთივე მძიმე უბედურება ჰკლავდა.

ლოშკარიოვს მეორე დღეს მთელი კოლმეურნეობა აცილებდა — ქალი და კაცი. ცოტ-ცოტა მოსაკითხი ყველამ მოუტანა. ვისაც არაფერი ჰქონდა, ტკბილი სიტყვით გააცილა.

მოსაკითხი სამგზავრო ჩანთაში რომ არ ჩაეტია, ბურდა კვარაცხელიამ ფერმიდან ტყავის ძველი ხურჯინი მოუტანა.

ლოშკარიოვის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: თვითონ არ აქვთ საჭმელი, და უკანასკნელ ლუკმას ვიღაც უცნობს უგზავნიან.

გულაჩვილებული ართმევდა ხელს გამცილებლებს. უხაროდა, თან გულიც ტკიოდა, რომ უფროს შვილებთან ვერასოდეს წავიდოდა, ვერ მიუტანდა მოსაკითხს, ვერ იპოვიდა მათ სამარეს.

ზოგმა შვილის, ძმის, დის, მამის რომ არაფერი იცოდა, იქნებ იმ ჰოსპიტალში წევსო, დაიბარა, მიმოიკითხე, ეგებ ნახო და ამბავი ჩამომიტანოო.

განა არ იცოდნენ, რომ ასეთი რამ ათასში ერთხელ ხდება, მაგრამ ყოველ მათგანს იმ ათასში ერთის იმედი ჰქონდა.

თავმჯდომარემ ხელის ჩამორთმევისას ლოშკარიოვს დაიბარა, შვილისათვის გადაეცა, ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ დასასვენებლად აქ ჩამოსულიყო...

მანქანების კოლონას სამხედრო დანიშნულების საჭურველი და საქონელი მიჰქონდა ბაქოში. მიხეილ ლოშკარიოვი მეწინავე მანქანაში იჯდა შოფრის გვერდით, უცხო ხალხის ყურადღებითა და სითბოთი ნაამები მიდიოდა შვილთან.

— რა საქმეზე მიდიხარ ბაქოში, ბიძია? — ჰკითხა სახეჩამომდნარმა, თვალებჩაცვენილმა შოფერმა, ვაჩიკ მირზოიანმა. ლოშკარიოვზე უმცროსი იყო, მაგრამ დიდსა და პატარას, უცნობს, თუ ნაცნობს ყველას შენობით მიმართავდა.

— შვილთან მივდივარ.

— ბაქოში მუშაობს?

— ჰოსპიტალში წევს.

— სად არი დაჭრილი?

— არ იწერება. მძიმედა ვარო დაჭრილი.

— ასე იქნება, — უთხრა მირზოიანმა, — თორემ ამ სიშორეზე არ ჩამოიყვანდნენ ბაქოს ჰოსპიტალში, — გა-

ჩუმდა, წინ იყურებოდა უცნაურად გაშტერებულ თვალებით. საჭეს ცალი ხელით მართავდა. წეკოს ბოლს ღრმად ყლაპავდა. — არ არის კარგად საქმე, ბიძა, — ამოიოხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ. ჩემი ორი შვილი ქერჩში იბრძოდა. — ახლაღა შეხედა პირველად ლოშკარიოვს. არც ჩაჯდომისას, არც აქამდე სახე არ მიუბრუნებია მისკენ. — ბედნიერი ხარ, ბიძა. შვილი ცოცხალი გყავს. ხვალ საღამოს ნახავ.

ლოშკარიოვმა არ უთხრა, რომ ბედნიერი არ იყო, რომ ორი შვილი დაეღუპა.

განთიადისას გენერალ ვეტცელის ოთხმა დივიზიამ კვლავ განაახლა იერიში. გენერალს ნაბრძანები ჰქონდა, რაც უნდა დაჯდომოდა, ჰიტლერის დაბადების დღისთვის გაენადგურებია მცირე მიწის დესანტი.

მტერმა ელვისებური სისწრაფით შემოუტია ჩვენს ჯარებს. რამდენიმე ადგილას გაარღვია მერვე და ორმოცდამეთერთმეტე ბრიგადების პოზიციები და მათ განლაგებაში შეიჭრა.

მეთვრამეტე არმიის სარდალმა კონსტანტინე ლესელიძემ და პოლიტსამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ლეონიდ ბრეჟნევმა იცოდნენ, რომ მტერი იერიშს სწორედ ამ უბანზე მიიტანდა. ასეთი ცნობა მიიღეს მცირე მწის სადესანტო ჯარების სარდლის, გენერალ გრეჩკინისაგანაც.

კონსტანტინე ლესელიძე და ლეონიდ ბრეჟნევი, ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის კონტრადმირალ ხოლოსტიაკოვთან ერთად, იმავე საღამოს გაემგზავრნენ მცირე მიწაზე.

მათი კატერი ნაპირს რომ მიუახლოვდა, შუაღამე გადასული იყო.

ზღვას წყვდიადი აწვა. როგორც ყოველთვის აპრილში, ზღვა ახლაც ღელავდა, ბობოქრობდა.

ფაშისტებმა ტალღების ხათქში და შხუილში მაინც გაიგონეს კატერის ძრავას ხმა. გამანათებელი რაკეტებით აახრიალეს წყვდიადი. დაინახეს, როგორ ისროდა მძვინვარე ზვირთები აქეთ-იქით კატერს და რამდენიმე ქვემეხიდან ერთდროულად დაუშინეს ჭურვები.

კაპიტანი ცდილობდა ცეცხლის არედან გაეყვანა კატერი, მაგრამ ზვირთები გაშმაგებით ასკდებოდა ბორტებს, გადადიოდა და გადმოდიოდა ბაქანზე, მანევრირების საშუალებას არ აძლევდა.

ბოლოს, დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა მაინც შეძლო კაპიტანმა სამშვიდობოს გასვლა. სარდალმა კაპიტანს უბრძანა, დაეცადა ვიდრე ქვემეხები შეწყვეტდნენ სროლას და მერე გაეგრძელებინა ნაპირისაკენ გზა.

ფაშისტებმა, როგორც კი თვალთახედვიდან დაკარგეს კატერი, სხვადასხვა ადგილიდან ერთად აუშვეს რამდენიმე გამანათებელი რაკეტა, მაგრამ თითქოს ზღვამ ჩაყლაპაო, შავ, მაღალ ზვირთებში ველარ იპოვეს იგი.

რაკეტები ჩაქრა თუ არა, მტერმა სროლა შეწყვიტა.

კატერი სწრაფად გაიჭრა მცირე მიწის მისადგომისაკენ.

სარდალი, პოლიტსამმართველოს უფროსი და კონტრადმირალი, თანხმლებ და დამხდურ ოფიცრებთან ერთად, ნელა აჰყვნენ კლდეში ღრმად გამოჭრილ ბილიკს.

ყველას ეგონა, ლესელიძე, ბრეჟნევი და ხოლოსტიაკოვი საკომანდო პუნქტზე ავიდოდნენ, იქ ელოდნენ ბრიგადებისა და დივიზიის მეთაურები, მაგრამ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჯერ 51-ე ბრიგადის წინა ხაზზე მისულიყვნენ.

იქ ჭირდა ყველაზე მეტად, იმ ველზე დატრიალდა საშინელი სისხლიანი ჯოჯოხეთი, იმ ველზე მოჰქონდათ შეუჩერებლად იერიშები ჰიტლერელების დივიზიებს.

ცეცხლი ეკიდა მკვდრებით მოფენილ, დალეწილი საჭურვლით მოხრეგილ მიწას. ერთმა ტყვიით დაცხრილულმა უზბეკმა ჯარისკაცმა სიკვდილის ველიაო ეს წყეული, ამის წამოძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებალა მოასწრო და იმ დღიდან შერჩა ველს ეს სახელი.

მტრის რამდენიმე იერიშის შემდეგ 51-ე ბრიგადამ, როგორც იქნა, შეაჩერა მისი გააფთრებული შემოტევა, ზოგან უკანაც დაახევინა და იერიშზე თვითონ გადავიდა.

მარჯვენა ფლანგზე ფაშისტები თავგანწირვით იცავდნენ თავის პოზიციებს, რომ დაპყრობილი გორაკები შეენარჩუნებიათ. გორაკები სიკვდილის ველს გადმოცქეროდა და გერმანელებისათვის დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მათთვის გორაკების დათმობა ველის დათმობას ნიშნავდა.

მზვერავებმა ბრიგადის მეთაურს ამბავი მოუტანეს, მარჯვენა ფლანგზე ფაშისტებს ახალი სატანკო ნაწილები მოუვიდათ და მძლავრი შეტევისათვის ემზადებიანო.

დიდი დანაკარგით შესუსტებული 51-ე ბრიგადა ვერ გაუმკლავდებოდა სატანკო ნაწილებით გაძლიერებულ დივიზიას.

ლესელიძის ბრძანებით, მარჯვენა ფლანგი ნაკრები ბატალიონებით შეავსეს. ეს ბატალიონები ჰიტლერელების შეტევაზე გადმოსვლისთანავე მედგრად დახვდნენ, თავის თავზე მიიღეს მტრის გრიგალისებური დარტყმა და რამდენიმე დღე აკავებდნენ. მათვე დაახევინეს უკან ცალკეულ ადგილებზე, მაგრამ თითქმის განახევრდნენ.

„სიკვდილის ველი“ იმ ბრძოლებში დახოცილებით იყო მოფენილი. ახლა ნაკრები იმიტომ ერქვათ ამ ბატალიონებს, რომ სხვადასხვა ქვედანაყოფის ჯარისკაცებით შეავსეს.

ბატალიონებში ბევრი იყო ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლებში გამოჯეკილი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთა ერთი ნაწილი ომის დაწყების დღეებიდან იბრძოდა კონსტანტინე ლესელიძის დივიზიაში.

სარდალი, პოლიტსამმართველოს უფროსი და კონტრ-ადმირალი ერთ-ერთ ნაკრებ ბატალიონში რომ მივიდნენ, გათენებული იყო. აქედან ელოდნენ ტანკების იერიშს.

ჯარისკაცები ტანკსაწინააღმდეგო თხრილების გაჭრას ამთავრებდნენ. ქანცგაწყვეტილები იყვნენ. კონსტანტინე ლესელიძეს სინდისი ქენჯნიდა — ნაცვლად იმისა, რომ ბრძოლიდან გამოსული ჯარისკაცებისათვის სასწრაფო დახმარება აღმოეჩინათ, დაესვენებიათ, ისევ ბრძოლაში აბამდნენ.

სარდალი სინდისის ქენჯნას, ჯავრსა და წუხილს არავის უჩვენებდა. შუბლშეკრული იყო. ჩვეულებრივზე უფრო მკაცრი ასეთ გაჭირვების დროს, თვალს არიდებდა ჯარისკაცებისა და ოფიცრების გატანჯულ, გაწამებულ სახეს, სისხლიანი ბანდით შეხვეულ თავებს, მკერდს, ხელებსა და ფეხებს.

პოლიტსამმართველოს უფროსი გრძნობდა, რა მძიმე ჯავრი ედგა სარდალს გულში. იცოდა, რომ იგი მამასავით ზრუნავდა ყოველ ჯარისკაცზე და ოფიცერზე, იცოდა, რა გულკეთილი, თავაზიანი და მგრძნობიარე იყო ბუნებით. რა დიდი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ამ საშინელ პირობებში ასე მშვიდად დაეჭირა თავი! იმას კი არ გრძნობდა პოლიტსამმართველოს უფროსი, რომ თვითონაც ასე იქცეოდა.

სარდალს არ მოეწონა ტანკსაწინააღმდეგო თხრილები. ერთ-ერთ ჯარისკაცთან შეჩერდა.

— მეგობარო, შენ ამ მიწას ტანკსაწინააღმდეგო თხრილისთვის ჰრი, თუ ალუბლის ნერგის დასარგავად?! — ლესელიძე მიხვდა, რომ ჯარისკაცი უკრაინელი იყო და ამიტომ უხსენა ალუბლის ნერგი.

— ალუბლის ნერგი ვის ახსოვს ახლა, ამხანაგო სარდალო, — ჯარისკაცი ძლივს იდგა ფეხზე. ახალგაზრდა იყო, შავთვალწარბა, კაფანდარა. წელში მოხრილს ოფლი ასკდებოდა ჩამომდნარ სახეზე. — ქვასავითაა ეს ტიალი. ბურღითაც გაჭირდება მისი გათხრა.

სარდალმა მეზობელ ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ჩაიხედა. იქიდან ამო-

სული ჯარისკაცი, წერაქვით ხელში, ნაპირზე იდგა. თავ-პირი ბანდით ჰქონდა შეხვეული. თვალმოჭუტული უყურებდა სარდალს. ეტყობოდა, გამოცნაურებას ვერ უბედავდა.

კონსტანტინე ლესელიძე დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. მხოლოდ თვალები, ცხვირი და პირი უჩანდა სქლად ნახვევი ბანდიდან.

— ასე ღრმად უნდა თხაროთ ყველამ. ამ უფროსი სერჟანტის მიწა და შენი მიწა ერთნაირია. ის როგორა თხრის ღრმად? — ჰკითხა უკრაინელ ჯარისკაცს.

— მიწა კია ერთნაირი, ამხანაგო სარდალო, — მიუგო ჯარისკაცმა. — მაგრამ ამას ეს თხრის, ჩემსას მე.

— მერე რა?!

— მე მიწა არასოდეს გამითხრია. შთამომავლობით მეფოლადე ვარ. უფროსი სერჟანტი კი, ომამდე არხს თხრიდა.

არხს თხრიდაო, რომ გაიგონა სარდალმა, უცებ იცნო უფროსი სერჟანტი. ახლა რომ დაწითლებული, უძინარი, მოჭუტული თვალებით შეჰყურებდა. ღიმილით უფრო იცნო. ის ღიმილი სადღაც თვალის სიღრმეში უკრთოდა უფროს სერჟანტს. იგი დივიზიაში მოსვლის დღიდან თბილი ღიმილით შეჰყურებდა კონსტანტინე ლესელიძეს.

— უჩა შამუგია არა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა სარდალმა, თვითონაც გაუღიმა.

— შამუგია გახლავართ., ამხანაგო სარდალო, — უფროსმა სერჟანტმა, სიმწარისაგან მოჭუტული თვალები სიამაყით გაახილა. თვით სარდალი გამოელაპარაკა მას, ბიჭოვო, უთხრა. „ბიჭოს“ რომ ეუბნებოდა კონსტანტინე ლესელიძე ახალგაზრდა ჯარისკაცებს, ამ სიტყვაში „შვილოს“ გულისხმობდა. ეს იცოდა უჩა შამუგიამ.

— ისევ თავში დაიჭერი?!

— თავში არა, ამხანაგო სარდალო. ახლა სახეში მომხვდა ის ოხერი!

— მოსკოვთან ბრძოლაში თავში მოგხვდა, აქ სახეში. მეორედ გადარჩენილხარ.

— არ ვიცი, ვისი ნასროლი იყო მოსკოვთან, ვისი ტყვია მომხვდა აქ, მაგრამ ერთი კი ცხადია — კარგად ისვრიან მამაძაღლები, იციან სად უნდა მოარტყან.

— თქვენთან იბრძოდა უფროსი სერჟანტი, შამუგია, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ? — ჰკითხა სარდალს კონტრადმირალმა ხოლოსტიაკოვმა, საშუალო ტანის ღონივრად ჩასხმულმა კაცმა.

— მოსკოვთან ბრძოლაში შამუგია რიგითი ჯარისკაცი იყო, როსტოვთან — სერჟანტი, კავკასიონის უღელტეხილზე — უფროსი სერჟანტი, — უპასუხა კონსტანტინე ლესელიძემ კონტრადმირალს და ბრეჟნევს მიუბრუნდა: ჰო, იცის შამუგიამ მიწის თხრა, ჭაობს ტაცებდა მიწას, არხი გაჰყავდა.

ლეონიდ ბრეჟნევმა დაინახა შამუგიას გვერდით მდგარი მედიცინის სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, იგი შეწუხებული შეჰყურებდა გასისხლიანებულ ბანდს. სისხლი ახალი გამოჟონილი იყო. უფროსი სერჟანტი თავს იმაგრებდა, რომ ტკივილი არ შეემჩნიათ სარდალსა და პოლიტსამმართველოს უფროსს.

— წუხხართ ექიმო, დაჭრილები რომ გაგვყავს ბრძოლაში.

— ალბათ, სხვა გამოსავალი არ არის, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, — კიდევ უფრო შეწუხდა ექიმი. გიმნასტურა კოხტად ედგა ტანზე, ქამარი ვიწროდ ერტყა წელზე. შავი, გრუზა თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. თეთრი სახე მღელვარებისაგან უფრო გაუთეთრდა.

— არა გვაქვს სხვა გამოსავალი, — მიუგო უფროს ლეიტენანტს ლეონიდ ბრეჟნევმა. — გვიჭირს. ძალიან გვიჭირს, მაგრამ რაკი ასეთი დაჭრილები კვლავ საბრძოლველად გადიან, არც ისე ცუდად გვქონია საქმე. შამუგიასთანა ჯარისკაცები არ წააგებენ ომს. რას იტყვით, უფროსო სერჟანტო? აი, ეს ახალგაზრდა ქალი, უფროსი ლეიტენანტი, წესით ჰოსპიტალში უნდა მუშაობდეს, ან უკიდურეს შემ-

თხვევაში მედსანბატში, მაგრამ თქვენთან ერთად წინა ხაზზეა. ყველაზე ძნელ უბანზე. ჯერ პირზე რძე არ შეშრობია. თქვენ გიდგათ მხარში. თქვენზე ზრუნავს. თავის თავს არ უფრთხილდება. არ გეშინიათ, ექიმო?

უფროსი ლეიტენანტი არ ელოდა ასეთ შეკითხვას. შეყოყმანდა, დაიბნა, თავი ასწია და შეხედა ლეონიდ ბრეჟნევს.

— ვერ დაგიმალავთ... მეშინია, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო. სიკვდილის ვის არ ეშინია.

— და მაინც გვერდში უდგეხართ ჯარისკაცებს?!

— სადაც ისინი, მეც იქ, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო!

— დიახ, დიახ, სადაც ისინი, თქვენც იქ. ასე უნდა ფიქრობდეს ყველა ჩვენგანი. თქვენ მამაცი ქალი ხართ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

— ესენი მაძლევენ მაგალითს, ამხანაგო ლეონიდ ილიჩ, — გადახედა ექიმმა უჩა შამუგიას და სხვა დაჭრილ ჯარისკაცებს.

— ერთმანეთს აძლევთ მაგალითს, ამხანაგო გოთუა, — უთხრა კონსტანტინე ლესელიძემ მედიცინის სამსახურის უფროს ლეიტენანტს. — თქვენ თამარი გქვიათ არა?

— თამარი ვარ, ბატონო კონსტანტინე, — ექიმმაც იგრძნო ისეთივე სიამაყე, როგორიც წელან უჩა შამუგიამ.

— სიმამაცის მაგალითი დიდი ძალაა, თამარ. არა, შამუგია? — ჰკითხა სარდალმა უფროს სერჟანტს.

— ასე გახლავთ, ამხანაგო სარდალო!

— ლეონიდ ილიჩმა თქვა, შენისთანა ჯარისკაცები არ წააგებენ ომსო. რას იტყვით.

— არ დავანებებთ მტერს მიწას, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, — შამუგია ლეონიდ ბრეჟნევისაკენ მიბრუნდა და მას გასცა სარდლის შეკითხვის პასუხი. — მე ყოველი მტკაველი მიწისათვის ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვიბრძოდი. ვიცი მიწის ფასი, — ზღვაური სცემდა სახეში, მარილიანი, ცივი, ანთებით დაწითლებულ თვალებს უწვავდა.

— ყოველი მტკაველისათვის იბრძოდით. გცოდნიათ მიწის ფასი. ასეთ კაცს მედსანბატში ვერ გააჩერებთ, ამხანაგო გოთუა, — უთხრა ლეონიდ ბრეჟნევმა უფროს ლეიტენანტს. — სად იბრძოდით მიწის ყოველი მტკაველისათვის?! — შეხედა უჩა შამუგიას.

— შამუგია კოლხეთის ჭაობებს სტაცებდა მიწას, ლეონიდ ილიჩ, — თქვა კონსტანტინე ლესელიძემ.

— კოლხეთის? — წამით დაფიქრდა ლეონიდ ბრეჟნევი და მერე განაგრძო: — იმ მიწას, საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოსტაცეს ხელმწიფე აიეტს?

— დიახ, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, — გაუხარდა უჩა შამუგიას, რომ ოქროს საწმისი და კოლხეთი გაიხსენეს.

— რა ქენით, გამოსტაცეთ კოლხეთის ჭაობებს მიწა?

— ვერა, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო. არ დამცალდა. ომმა შემიშალა ხელი.

— ომმა ბევრ კარგ საქმეში შეგვიშალა ხელი.

— დროებით, ლეონიდ ილიჩ!

— დიახ, დროებით, უფროსო სერჟანტო, — დიდი, მსხვილი თვალებით მოწონებით გაუღიმა ლეონიდ ბრეჟნევმა. — კარგად ფიქრობთ, შამუგია!

— ყველა ასე ვფიქრობთ მცირე მიწაზე, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო!

— დიდებულია, რომ ყველა ასე ფიქრობთ.

— მცირე მიწისათვის ბრძოლა, დიდი მიწისათვის ბრძოლააო, გვითხრა ჩვენმა სარდალმა, კონსტანტინე ლესელიძემ.

— მერე? — ბრეჟნევს თანდათან უფრო მოსწონდა შამუგია.

— უნდა მოვიგოთ ბრძოლა.

— თქვენ ალბათ, იცით რა ძნელია ამ ბრძოლის მოგება.

— ვიცით. მაგრამ ჩვენმა სარდალმა თქვა, უნდა მოვიგოთ ბრძოლაო, — უპასუხა უჩა შამუგიამ. — სხვა გზა არა გვაქვს, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო. მოსკოვთან ბრძოლაში ერთი პოლიტხელი გვყავდა, გვარად ვალენტინ გრომოვი. პოეტი იყო. ნამდვილი გმირი აი ის იყო. ლექსებით გვამხნევებდა. განსაკუთრებით მიხეილ ლერმონტოვი უყვარდა. ერთხელ, როცა მტრის აურაცხელ ტანკებთან შევკრთით, წამოდგა და მთელი ხმით დაიჭექა ლერმონტოვის სიტყვები:

«Ребята, не Москва ль за нами?
Умрем ж под Москвой.

ლეონიდ ბრეჟნევს, სავსე, მზემოკიდებულ სახეზე ღიმილი შეეფინა, ხშირი წარბები კმაყოფილებით აეწია.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მცირე მიწაზეც არა გვაქვს დასახევი ადგილი. მოვკვდებით და მტერს არ გავუშვებთ არა? — ჰკითხა შამუგიას.

— არ გავუშვებთ.

— მე ალბათ, სწორედ გავიგე თქვენი ფიქრი, — მცირე მიწის დაკარგვა მოსკოვის დაკარგვაა ჩვენთვის.

— ასე ვფიქრობთ ყველა მცირე მიწაზე, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო!

— გარწმუნებთ, თქვენ ამ მიწას არ დაკარგავთ.

— ჩვენმა სარდალმა თქვა, უნდა მოვიგოთ ბრძოლაო, — გაიმეორა უჩა შამუგიამ. სიტყვას ძლივს წარმოთქვამდა. თავი ტკიოდა.

— ჩანს კარგად იცნობთ თქვენს სარდალს.

— ჩვენ გვჯერა სარდლის.

— ეს ბევრს ნიშნავს, ამხანაგო ჯარისკაცებო, — ყველას ერთად მიმართა ლეონიდ ბრეჟნევმა. მერე ისევ უჩა შამუგიას მიუბრუნდა: — წელან კონსტანტინე ნიკოლაევიჩმა თქვა, მოსკოვთან ბრძოლაში თავში დაჭრილხართ. ახლა სახეში. მართლაც ბეწვზე გადარჩენილხართ იქაც და აქაც.

— მტრის ჯინაზე, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, — გაიღიმა უჩამ. დაავიწყდა ტკივილი, დაღლა, შიმშილი, უძილობა, — როგორც ვალენტინ გრომოვი ამბობდა, არც მოსკოვთან გვქონდა უკან დასახევი გზა, ახლა არც აქა გვაქვს. მხოლოდ წინ, ბერლინამდე.

ლეონიდ ბრეჟნევმა სქელ, შავ თმაზე ხელი გადაისვა, მხარზე ხელი დაადო უჩა შამუგიას: — ბერლინში ჩასვლის შემდეგ რას აპირებთ?

— კოლხეთის მიწას დავუბრუნდები. ჭაობს ისევ გავუმართავ ბრძოლას.

— მიწა არ გყოფნით საქართველოში?

— შამუგია კოლხეთის ჭაობზე ცხოვრობს და ამის გამო არ ატანენ ქალს ცოლად, — უთხრა კონსტანტინე ლესელიძემ პოლიტსამმართველოს უფროსს.

— ჰო, თქვენ თურმე მართლა მოგიწევთ ბრძოლა ჭაობთან. არც იქ გექნებათ უკან დასახევი გზა. მაგარი ბრძოლა გელით და არა მარტო თქვენ. რამდენი ყამირი დევს უქმად ჩვენს ქვეყანაში — ჭაობი, უდაბნო.

— ჩემი მეორე ნომერი ყაზახია. ალიმბაევი. ბევრი ყამირი ყოფილა მის სამშობლოშიც, — თქვა შამუგიამ.

— ყაზახეთში მილიონობით ჰექტარი ყამირია, — უთხრა ლეონიდ ბრეჟნევმა. — ასეა ციმბირშიც, ბელორუსიაშიც. დავამთავრებთ ომს და ერთიანი ძალით შევუტევთ ჭაობსაც და უდაბნოსაც.

— ერთიანი ძალით, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, რომ მალე ავითვისოთ მიწა, — გაუხარდა უჩა შამუგიას. — ომამდეც ერთიანი ძალით ვუტევდით კოლხეთის ჭაობს ქართველები, რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, სომხები. საქმე სწრაფად მიდიოდა წინ.

— დაბრუნდებით ომის დამთავრების შემდეგ შინ და უფრო დიდი ძალით შეუტევთ. კოლხეთში ალბათ, განსაკუთრებული მიწაა. ტყუილად კი არ აქებდნენ ძველი ბერძნები, — პოლიტსამმართველოს უფროსმა სარდალს შეხედა: — კონსტანტინ ნიკოლა-

ევიჩ, მგონი თქვენ კოლხეთიდან ხართ!

— კოლხეთიდან ვარ. ბევრია კოლხეთის ზღვისპირეთის ჭაობიან მიწაზე შამუგიასთანა ბიჭები.

— არც პოლესიის ჭაობიან მიწაზე მცხოვრებ ბიჭებს ატანენ ქალს საცოლედ, — თქვა ლეონიდ ბრეჟნევმა.

— ჩემთან ექსკავატორზე ერთი პოლესიელი ბიჭი მუშაობდა დრაგერად. გვარად ანტონ ბაჩილო. იმასაც არ ატანდნენ ქალს. კოლხეთში ბაჩილოს საცოლე დარჩა. ვეღარ დაბრუნდება შინ ის ბიჭი.

პოლიტსამმართველოს უფროსმა შეატყო, რა ტკივილით თქვა უფროსმა სერჟანტმა ეს სიტყვები:

— რატომ ვერ დაბრუნდება. დაიღუპა?

— მძიმედ დაიჭრა მარუხის უღელტეხილზე. მედსანბატში გაგზავნეს... ერთი ძუძუ არ გვიწოვია, მაგრამ მაინც ძმასავით გვიყვარდა ერთმანეთი.

— მედსანბატის ნომერი იცით?

— ვიცი.

— ჩაიწერეთ მედსანბატის ნომერი, — მიუბრუნდა ლეონიდ ილიჩი თავის ადიუტანტს. — ბაჩილოს სახელი და მამის სახელი, — კეთილი ღიმილით შეხედა შამუგიას: — ვეცდებით ვიპოვნოთ თქვენი ძმობილი.

— გმადლობთ, ამხანაგო პოლიტსამმართველოს უფროსო, — თვალი გაუნათდა უჩა შამუგიას. მერე სარდალს შეხედა. რაღაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა.

კონსტანტინე ლესელიძემ შეატყო:

— რა გინდა, ბიჭო? მითხარი, რისი გერიდება.

— გულისტკივილი მინდა გაგიზიაროთ და მერიდება!

— გულისტკივილი?! — გაუკვირდა სარდალს.

გაუკვირდათ სხვებსაც. ერთმანეთს გადახედეს. მოლოდინით მიაჩერდნენ უფროს სერჟანტს.

— მითხარი. შენი ხმალი და ჩემი კისერი, — კონსტანტინე ლესელიძემ დაინახა, რომ შამუგია არ ხუმრობდა. უკმაყოფილოდ შეჰყურებდა. — თქვი, შვილო!

— არ გვეკითხებით, ამხანაგო სარდალო, რატომ გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა!

— რატომ? — სარდალმა მშვენივრად იცოდა რატომ გაარღვიეს მისი ბრიგადების დაცვა და მაინც ჰკითხა, აბა რას იტყვისო.

— ჭურვი და ტყვია არ გვყოფნიდა, — უთხრა შეწუხებული ხმით უფროსმა სერჟანტმა. — გამოზოგვით ვისროდით... ტანკები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ.

— ასე იყო, ბიჭო მაშინაც, მოსკოვს რომ ვიცავდით. იქაც გამოზოგვით ვისროდით, — ისეთი ტკივილით უთხრა კონსტანტინე ლესელიძემ, რომ გული შეეკრა.

შამუგიამ მაშინვე ინანა, რომ გული ატკინა თავის საყვარელ სარდალს, მაგრამ უკან აღარ დაიხია:

— საკმარისი ტყვიაწამალი რომ გვქონოდა, ვერ წამოვიდოდნენ წინ. ორ ტანკს ერთი ჭურვით ვერ ააფეთქებ.

— ჰო. ორ ტანკს ერთი ჭურვით ვერ ააფეთქებ, — სინანულით დაეთანხმა სარდალი. მოეწონა შამუგიას პირდაპირი სიტყვა, საყვედური. — ტყვიაწამალი ახლა თავსაყრელი გვაქვს. ბევრი დატვირთული გემი ჩაგვიძირეს ფრიცებმა. ცოტა კიდევ უნდა გავიჭირვოთ. მოვიტანთ ტყვია-წამალს... იმდენს მოვიტანთ, თავსაყრელად გექნებათ.

— გავიჭირვებთ, ამხანაგო სარდალო. მეტი რა გზა გვაქვს, — შამუგიამ დაინახა სარდლის ჯავრიანი სახე, დაღლილი, დიდი თვალები და რომ გაენელებია თავისი საყვედური, გაემხნევებინა სარდალი, გაუცინა: — გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო, ამხანაგო სარდალო!

— რაო?! — ერთხმად ჰკითხეს ლესელიძეს პოლიტსამმართველოს უფროსმა და კონტრ-ადმირალმა ხოლოსტიაკოვმა.

სარდალმა აუხსნა მათ ანდაზის მნიშვნელობა.

ლეონიდ ბრეჟნევმა და ხოლოსტიაკოვმა გულიანად გადაიხარხარეს. მოეწონათ შამუგია პირდაპირობისთვისაც, ჭკუამახვილობისთვისაც და გულადობისთვისაც.

ტარიელ ქარდა კიბეზე მძიმედ ადიოდა. იმიტომ კი არა, რომ სადარბაზო ჩაბნელებული იყო, არც იმიტომ, რომ კიბე მაღალი იყო და თვითონ დაღლილი; ასეთი ბრუნდებოდა ტარიელი კოლმეურნეობიდან ყოველ დღე, მაგრამ წინათ არასოდეს არ უგრძვნია ასეთი უცნაური მოთენთილობა. ყოველთვის შეუსვენებლად ადიოდა თავის ბინაში მესამე სართულზე.

რატომ მოეშვა უცებ სხეული, რატომ დაუმძიმდა, რატომ მოეკვეთა მუხლი, რატომ დაეცალა სისხლისაგან ძარღვები და დაეხვა თავბრუ?

შედგა. თავისით წაუვიდა ხელი მკრთალად განათებულ რკინის მოაჯირისაკენ. დაეყრდნო. გაჭირვებით შეისუნთქა ჰაერი. შვება ვერ იგრძნო. იგრძნო გული. ფეხქვეშ მიწა შეუქანდა. თვალთ დაუბნელდა. მოაჯირს ჩაეჭიდა. რომ არ წაქცეულიყო.

დღევანდელი დღე ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო მისთვის — გადატვირთული, ნერვული. პაპიროსი არ მოუწევია. დიდი ხანია მიატოვებია ვასო ბრეგაძეშ. არც პაპიროსის ბრალია არც დაღლის. რა დაემართა?!

არ უნდოდა მეზობლებს ასეთ დღეში დაენახათ, აჰყვა საფეხურებს. სვენებსვენებით ადიოდა. თან ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, მაგრამ შვებას მაინც ვერ გრძნობდა.

რამდენიმე საფეხური დარჩა მესამე სართულამდე. უცებ შეჩერდა. იმიტომ კი არა, რომ მუხლი აღარ დაემორჩილა. მისი ბინის კარი გამოღებული იყო. არასოდეს არ დაუტოვებია მარიამს იგი ღია. რა მოხდა?! ხელი უშვა მოაჯირს და ის რამდენიმე საფეხური ერთ წამში აათავებინა შიშმა.

ბინის შესასვლელში მდგარმა მეზობლებმა მის დანახვისთანავე კედლებისაკენ მიიწიეს. სასტუმრო ოთახშიაც მეზობლები იდგნენ და ისხდნენ. ოთახში ქაფურისა და სპირტის სუნი იდგა.

ტარიელს მაშინვე ტახტისაკენ წაუვიდა თვალი. მარიამი პირაღმა იწვა. თავი მაღალ ბალიშზე ედო. სასთუმალთან ექთანი იდგა. ეტყობოდა, ნემსი გაეკეთებია და ნანემსარ მკლავს უზელდა.

მაგიდაზე ქაფურის ამპულების კოლოფი, სტერილიზატორი, სპირტის შუშა და ბამბა იდო... მის გვერდით სამკუთხა ბარათი.

ტარიელმა ფართოდ გაღებულ კარის ჩარჩოს წაატანა ხელი.

ოთახში მძიმე დუმილი იდგა.

ტარიელს გაფითრებულ სახეზე უცებ ცივმა ოფლმა დაასხა. იდგა ზღურბლზე და ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა.

მივიდა პეტრე გერსამია, რომელსაც ჯერ კიდევ შუა დღეზე შეეტყო, რომ მარიამს შვილის დაღუპვის ბარათი მოუვიდა და რუსუდანთან ერთად მოსულიყო. მკლავზე ხელი მოკიდა, მაგიდასთან მიიყვანა, სკამი გამოუწია და დასვა.

ტარიელს არ შეუხედავს მარიამისათვის. ბარათს დააცქერდა. ისე დააცქერდა, თითქოს შვილი ესვენა წინ. ზარდაცემული, უმწეო, უმოძრაო იყო მოხუცი. არ გრძნობდა ოთახში მყოფები თანაგრძნობითა და მწუხარებით რომ შეყურებდნენ. მარტო იყო სამკუთხა ბარათთან, მარტო იყო შვილთან, ბარათიდან რომ შემოყურებდა ისეთი, უკანასკნელად რომ ნახა.

— ახლა მაჯა კარგი აქვს.

შორიდან შეესმა ექთანის ხმა. ტარიელმა შეხედა მარიამს, დაინახა არაჩვეულებრივად გადათეთრებული მისი სახე და ხელები, ლამპის მკრთალ შუქზე ცივად რომ კრთოდა, ღია თვალები, რომლებიც ტარიელის მეტს ვერავის ხედავდნენ. მარიამისათვის იმ წუთში არც არავინ იყო ოთახში. ტარიელი და

მარიამი მარტო იყვნენ თავის მწუხარებასა და სასოწარკვეთილებასთან — თავის შვილთან.

სამი წლიწადი გული საგულეს არ ედო, სამი წლიწადი ამ უბედური დღის გარდაუვალობის მოლოდინში იყვნენ, თითქოს შეეჩვივნენ მას, მაგრამ უბედურება მაინც ისეთი თავზარდამცემი, მოულოდნელი გამოდგა, რომ მხოლოდ ახლაღა შეიგრძნეს მისი ულმობელი, მომაკვდინებელი ძალა, რომელმაც ორივე გაქელა, მიწასთან გაასწორა.

მეზობლები ფეხაკრეფით გავიდნენ. გავიდა პეტრე გერსამია თავის ცოლთან, რუსუდანთან ერთად, გავიდა ტოპოგრაფი ნატალია იურევა, გეოლოგი თეოფილე თარგამაძე, რომლებიც პეტრესა და რუსუდანთან ერთად მოვიდნენ.

ექთანმა აიღო სტერილიზატორი, სპირტის შუშა და ჩანთაში ჩაალაგა. ერთხელ კიდევ გაუსინჯა მაჯა მარიამს, არ უთხრა ახლა არაგიშავსო. იცოდა, ეს ზედმეტი იყო, უადგილო იყო.

გავიდნენ მეზობლებიც.

ტარიელი და მარიამი მარტონი დარჩნენ თავის უბედურებასთან...

გალინა არკადიევნას, ბრეგვაძესა და ლონგინოზ ლომჯარიას არ ეგონათ, თუ ჯავრი, რაც გინდ მძიმე, აუტანელი ყოფილიყო, ასე გატეხავდა ტარიელ ქარდას, ამ ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ, რკინის ნებისყოფის კაცს, მაგრამ იგი კვლავ მისთვის ჩვეული მონდომებითა და შეუპოვრობით მუშაობდა. ისევ უთენია მიდიოდა კოლმეურნეობაში და შეღამებულზე ბრუნდებოდა შინ, მაგრამ არც შინაგანად და არც გარეგნულად აღარ ჰგავდა თავის თავს. შვილის ბარათის მოლოდინით სამი წლის ნაღველჩამდგარი თვალები, ახლა მთლად ჩაუქრა, სახეზე ხშირი ნაოჭები დააჩნდა, მხრებში მოიხარა, დაკარგა აზრის სიცხოველე, შეერყა მეხსიერება. ერთბაშად მოხუცდა.

მეგობრები თბილად და თანაგრძნობით ექცეოდნენ. სანუგეშო სიტყვის თქმას კი ვერავინ უბედავდა. იცოდნენ, ეს კიდევ უფრო დაუმძიმებდა, ისედაც მძიმე სევდას.

ადამიანებთან შეხვედრისას, საუბრისას, საქმეში, ტარიელი ისევ ის ტარიელი იყო. არაფრით არ ამჟღავნებდა ჯავრს. თავის თავთან მარტო რომ დარჩებოდა, კვლავ მოხუცებული, ჯავრისაგან შეჭმული კაცი იყო.

ნიადაგ შვილს მონატრებულს არასოდეს არა ჰქონდა მოსვენებული ცხოვრება: ლევანი ფოთის ცხრაკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ფაკულტეტზე შევიდა. მშობლებთან მხოლოდ არდადეგებზე ჩამოდიოდა. მას მერე კი, რაც ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობა დაიწყო და დაოჯახდა, ცოლთან ერთად მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოფრინდებოდა. ცოლიც მუშაობდა და ვერ ახერხებდნენ შვებულების ტარიელთან და მარიამთან ერთად გატარებას. შვილის შეძენის შემდეგ ვერც რამდენიმე დღით ჩამოდიოდნენ. პატარა ირაკლი ორი წელიწადი არ ენახათ. ის იყო ახლა პაპისა და ბებიას ნუგეში. ტარიელმა რამდენჯერმე გადაწყვიტა წასულიყო ირაკლის ჩამოსაყვანად, მაგრამ ვინ მოუვლიდა ბავშვს. მარიამი თვითონ მოსავლელი გახდა. ლოგინად ჩავარდნილი, რა დღეს გათავდებოდა კაცმა არ იცოდა.

ტარიელი მუშაობდა თავდაუზოგავად, რომ შვილზე არ ეფიქრა, ლევანი მაინც ყოველთვის თვალწინ ედგა. ძალა ელეოდა, გული ხშირად ახსენებდა თავს. ჭაბუკობიდან არ იცოდა რა იყო თავის დაზოგვა. ახლა ხომ, ქვეყნის განსაცდელის ჟამს, ფიქრიც არ შეეძლო საკუთარ თავზე. სიკვდილს ეთამაშებოდა — ყოველ წამს შეეძლო გულს ეღალატნა. სიკვდილთან თამაშს არასოდეს შეუშინებია. უნდა ემუშავა, ვიდრე სული ედგა. უნდა ეცოცხლა შვილიშვილისა და საქმისათვის. მუშაობდა და სხვებსაც იყოლიებდა.

ხე-ტყისა და სხვა საალმშენებლო მასალების დამზადება მოთავებული არა ჰქონდა ისიდორე სიორდიას, ბურდა კვარაცხელიამ რაჭიდან ხუროები რომ ჩამოიყვანა. არც ბინები იყო მათთვის მომზადებული, არც სურსათი, არც ხელფასის ფონდი ჰქონდათ გამოყოფილი.

ბურდას ისე ესწრაფებოდა ბოსლების აშენება, ამ მდგომარეობას ანგარიში ვერ გაუწია და ექვსი ხურო ზედ მიაყენა კოლმეურნეობის კარს.

ეგონათ, ადრე ჩამოიყვანა, მაგრამ გამოირკვა, რომ არ იყო ადრე. ხუროებს თვითონ უნდა ეანგარიშათ რა მასალა იყო საჭირო და რამდენი, მათთან უნდა დაედგინათ თითოეული ბოსელი რა ფართობის იქნებოდა და აერჩიათ ბოსლების ასაშენებელი ადგილი.

ბოსლების გეგმა თვითონ ბურდას ჰქონდა შედგენილი, ადგილიც შერჩეული, მაგრამ მაინც საჭიროებდა ხუროების კორექტივს.

გამოიძებნა ბინები, ხელფასის ფონდი, ხე-ტყეც საკმარისი აღმოჩნდა, შეარჩიეს დამხმარე მუშები.

ბურდამ და ისიდორემ, მოსარიგებლად, კანტორაში მოუყვანეს თავმჯდომარეს ხუროების უფროსი, სამოცდაათ წელიწადს მიღწეული რომანოზ მაისურაძე.

მოხუცს მოკლედ შეკრეჭილი წვერი და შავი, სევდიანი თვალები ჰქონდა. შვილი ომის დაწყების პირველ დღესვე დაღუპვია ბრესტის ციხის დაცვისას. მას აქეთ აღარ გაუღიმია მის თვალებს. ბურდასაგან გაგებული ჰქონდა თავმჯდომარესაც დაღუპული ჰყავდა შვილი. თანაგრძნობით შეყურებდა. არ შევაჭრებია სამუშაოს ფასში. რაც შეაძლია ტარიელმა, იმაზე დათანხმდა. ოღონდ ფულის მაგივრად სურსათით გაგვისწორდით, სთხოვა.

კოლმეურნეობას სიმინდის, ლობიოს, მუხუდოსა და ყველის მეტი არაფერი ჰქონდა.

ხუროებსაც არც არაფერი უნდოდათ მეტი.

— როდის მოათავებთ? — ჰკითხა მორიგების შემდეგ ტარიელმა.

— ეგ მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, — მიუგო რომანოზ მაისურაძემ.

— ჩვენ ყველაფრით შეგიწყობთ ხელს. დაზამთრებამდე უნდა მოგვისწროთ.

— ზამთარში საქონელი დაბინავებული გეყოლებათ.

— ამაზე მე ვაგებ პასუხს, — ჩაერია საუბარში აქამდე გაჩუმებული ბურდა კვარაცხელია.

— შენ რას იტყვი, ისიდორე?

— პასუხს ყველა ვაგებთ, პატენ ტარელ. სწორად თქვა რომანოზმა. ზამთარს საქონელ დაბნავებულ გვეყოლება. ახლანდელ დროშ სტყვას გატეხვას, თავს გატეხვა ჯობს.

— თავის გატეხვა ყოველ დროში ჯობდა სიტყვის გატეხვას, ისიდორე, — ჩამოართვა სიორდიას სიტყვა რომანოზ მაისურაძემ.

— ახლა მანც სულ სხვა დროა, პატენ რაუდენ. სტყვან არაფრთ არ ელალატება.

— მართალს ბრძანებთ, ისიდორე ბატონო, — დაეთანხმა ხუროთუფროსი. — სხვა დროა, — ლაპარაკი უმძიმდა, სიტყვა გაჭირვებით ამოსდიოდა პირიდან. — რამდენი სახლი, კოლმეურნეობის შენობა, კლუბი, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფერმა აგვიგია ოდიშში მე და ჩემს ბიჭს. ვინ მოთვლის მათ რიცხვს. სიტყვა არავისთან გაგვიტეხავს.

ტარიელმა არ იცოდა ხუროთუფროსის ვაჟის დაღუპვის ამბავი.

— შვილიც ჩამოგყავთ? — ჰკითხა რომანოზს.

— შვილი ბრესტში დამეღუპა. ვეღარ ააგებს ჩემი ბიჭი ვერც სახლსა და ვერც ფერმას.

ტარიელს ტყვიასავით მოხვდა გულზე ხუროთუფროსის სიტყვები. შეეცოდა მოხუცი, შეეცოდა თავის თავიც.

„რომანოზიც შრომაში ეძებს შვებას. თორემ რა წამოიყვანდა ამ ხნის კაცს

იმ სიშორიდან, — მწარედ გაიფიქრა ქარდამ, მაგრამ უმალ შერცხვა ასეთი ფიქრის, არა. ის შვებას არ ეძებს. არა ჰგავს ასეთ კაცს. საქმემ წამოიყვანა იმ სიშორიდან, — მოეწონა მოხუცი, მის ბედში მყოფი მამა. — თავის გატეხვა ყოველთვის ჯობდა სიტყვის გატეხვასო. სინდის-ნამუსის კაცია. ასეთი ადამიანი არ დაგვაღალატიანებს. ფასში არ შემევაჭრა. საშოვარზე არ ჩამოსულა. იცის რა საქმეს აკეთებს, ვისთვის, რისთვის აკეთებს. საქონელი ზამთარში დაბინავებული გეყოლებათო".

— რას შვრება, ჰიტლერი, ტარიელ ბატონო?

შეესმა ფიქრში წასულ ქარდას ხუროთმოძღვრის ხმა.

—გაუშავდა ჰიტლერს სტალინგრადის შემდეგ დღე!

— ჩვენი შვილების ცოდვამ უწია.

— ცოდვა აუდუღდა, რომანოზ!

— ჩვენი შვილების ცოდვა მიწაშიაც არ მოასვენებს იმ წყეულს.

— მიწა არ მიიღებს მის გვამს.

ერთმანეთის პირდაპირ იჯდა შვილზე გაუნელებელი სევდით შეჭმული ორი მამა.

ფანჯრის წინ ლურჯი, მაღალი ცის ფონზე თვალის მომჭრელი სისწრაფით ირეოდნენ მერცხლები. ერთმანეთს ენაცვლებოდა მათი თეთრი გულმკერდის და ტანის შავი ფერები. ბასრად სერავდნენ კამარას.

ფანჯრის იქით, ყანის დასალიერამდე, მწვანედ ხასხასებდა სიმინდი, ჩუმად შრიალებდა ზღვიდან მონაბერ ნიავზე. ნიავს, ბულბულის სტვენასთან ერთად, მრავალრიცხოვანი მერცხლების ჭიკჭიკი და ყანის სურნელიც შემოჰქონდა ფანჯარაში.

სიცოცხლით სავსე ცისა და მიწის ამ მხიარულ ხმებსა და ფერებს ქალის მოთქმა შეერწყა. ოდში დაღუპულ შვილს დასტიროდა დედა. შემაძრწუნებელი ზარი მეზობელ ბარაკიდან გამოდიოდა.

ყანიდან დაბრუნებული დედა ყოველდღე, ერთიდაიმავე დროს, მარტო რჩებოდა შვილის სამახსოვრო ნიშანთან, მარტო ეძლეოდა ჭმუნვასა და და-გვას.

მოთქმა სუდარასავით ეფინებოდა მიწას. ჩუმდებოდა ბულბული, ჩუმდებოდნენ მერცხლები, წყდებოდა ცაში მათი თეთრი გულმკერდისა და შავი ტანის თვალის მომჭრელი ბრწყინვა.

ნიავიც ჩერდებოდა თითქოს, ყანაც წყვეტდა შრიალს, კარგავდა სიხასხასეს და მრუმე ფერს იკიდებდა.

— მიწა არ მიიღებს მის გვამს, — გაიმეორა ხუროთმოძღვრისმა და აუტანელ გვრინს რომ გაცლოდა, წამოდგა: — წავიდეთ, ისიდორე ბატონო. საძირკველი ჩავუყაროთ ჩვენს საქმეს.

საღამო ახლოვდებოდა.

ისინი ბოსლების მშენებლობიდან ბრუნდებოდნენ. ყოველ საღამოს შინ ერთად მიდიოდნენ. გუდუია ესვანჯია — შუაში, მაღალი, მხრებგანიერი და ჯმუხი. ნატაშა და მაკარ ბაჩილოები აქეთ-იქით მოჰყვებოდნენ. რიონის მაღალ დამბაზე მოაბიჯებდნენ.

მდინარე გაშლილად მოდიოდა განიერ, ორივე ნაპირით ადამბულ კალაპოტში. მძიმედ მიჰქონდა ზღვისაკენ თავისი დიდი წყალი. მწვანედ ლივლივებდა მისი დამდორებული ზედაპირი მზის ლილონო სხივებზე.

— ბაბუა გუდუია, დაზამთრებამდე მართლა მოვათავებთ ბოსლების აშენებას? — ჰკითხა ესვანჯიას ნატაშამ. გოგო ორ წელიწადში ისე მოიწიფა, ქალიშვილს დაემსგავსა. ტანი აიყარა და გასრულდა. მაღალ ფეხებზე იდგა. მზის შუქით განათებულ წელსა და მხრებს კოხტად მიარხევდა. მზის შუქი დროდადრო სახეზედაც ეცემოდა; თმა მხრებზე ეყარა, წელისა და მხრების მოძრაობისდაგვარად ნელა ერხეოდა, ნელა იცვლიდა ფერს.

— მოვათავებთ, — მიუგო გუდუიამ.

— შეიძლება ადრეც მოვათავოთ.

— რა კარგია, — ხელი ხელს შემოჰკრა ნატაშამ. — მოსავალს რომ ავიღებთ, სამუშაოდ ფოთში წავალ.

— ფოთში რა გინდა, გოგო?! — გაუკვირდა გუდუიას.

— აბა, ზამთარში აქ რა ვაკეთო. იქ სამხედრო ქარხანაში ვიმუშავებ.

— მე კი გაზაფხულზე ჯარში წავალ, ბაბუ გუდუია, — უთხრა მაკარმა.

— რა დროს შენი ჯარია, ბიჭო?! — შედგა გუდუია.

— გაისად ჩვიდმეტისა გავხდები, ბაბუ გუდუია, — ამაყად უთხრა მაკარმა.

— მაინც ადრეა, მაკარ!

— არ არის ადრე. შური უნდა ვიძიო ჩვენი დედ-მამის მკვლელებზე.

— შური უნდა იძიო!

თქვა გუდუიამ და გაჩუმდა. დიდხანს მიდიოდნენ მდუმარედ, დაფიქრებული და შეურვებულები.

მზემ დაბლა დაიწია ზღვის მხარეს. მისი სხივები ნელა ჩამოცურდა მათი სახიდან.

ბარაკში ისე მივიდნენ, ხმა არ ამოუღიათ.

მთელი ღამე მოუსვენრად წრიალებდა საწოლში მაკარი. მძინარესაც და მღვიძარესაც თვალწინ ედგა დედ-მამა. ალერსიანები და ყურადღებიანები, მუდამ საქმეში ჩაბმულები, მაგრამ მაინც შვილებზე მზრუნველები.

მამა რაც გინდ დაკავებული ყოფილიყო, ნატაშასა და მაკარისათვის მაინც გამონახავდა დროს. ეს კაცი შრომისა და სიკეთისათვის არის გაჩენილიო, ამბობდნენ მეზობლები.

მამის მაგალითმა შეაყვარა შრომა და სწავლა მაკარს. სწავლა თესლია ცოდნისა, ცოდნა კი ბედნიერებისაო, ეუბნებოდა მამა.

აღარ არის მამა. აღარ არის დედა. ისინი ჰიტლერმა მოჰკლა.

ნატაშაც ძილ-ღვიძილში იყო. ხედავდა სიბნელეში, ესმოდა სიჩუმეში, რომ არ ეძინა მაკარს. გრძნობდა, რაზე ფიქრობდა, რაზე წუხდა. გრძნობდა, ორივეს ერთი ფიქრი ჰქონდა, მოუსვენარი, მტანჯველი.

— მაკარ, მართლა წახვალ გაისად ჯარში?! — წასჩურჩულა ნატაშამ, რომ ცია და ცისანა არ გაეღვიძებინა.

— გაისად ჩემი წასვლის დრო დადგება, — ჩურჩულით უპასუხა მაკარმა.

— არ დადგება გაისად შენი წასვლის დრო... შენ ჩვიდმეტის არ იქნები გაისად.

— მაინც წავალ. შენ ხომ მიდიხარ ფოთში ქარხანაში სამუშაოდ.

— ქარხანაში წასვლა, ომში წასვლა არ არის, მაკარ!

— აბა, რატომ მიდიხარ?!

— სამხედრო ქარხანაში მუშაობით უნდა ვიძიო შური შენსავით ჩვენი დედ-მამის მკვლელებზე.

— ყოჩაღ, ნატაშა, — მოუწონა დას გადაწყვეტილება მაკარმა.

— მე აქ სულ მარტო დავრჩები, მაკარ! რა გამაძლებინებს უშენოდ!

— რატომ მარტო?! შენთან იქნებიან ცისანა, ცია და კიდევ ბაბუ გუდუია.

— მაინც მარტო დავრჩები უშენოდ.

— ჯარში წასულის რამდენი დაი დარჩა მარტო, დედა დარჩა, მამა დარჩა, ცოლი დარჩა მარტო.

— ვიცი მაკარ. მართალი ხარ, მაკარ... უნდა წახვიდე ჯარში. არ იფიქრო, ჩემი თავის ჯავრი მაქვს. შენი ჯავრი მაქვს, — ცრემლი გაერია ხმაში. თავი ვერ შეიკავა და ასლუკუნდა. მაშინვე პირზე საბანი წაიფარა, რომ ციასა და ცისანას არ გაეგონათ.

— მე ხშირად მოგწერ, ნატაშა, — ამშვიდებდა მაკარი დას.

ნატაშა ისევ სლუკუნებდა.

— ყოველ თვე მოგწერ. გაიგონე?

ნატაშამ არ უპასუხა.

— შენც ხომ მომწერ?

ნატაშა ისევ სლუკუნებდა.

— ნატაშა, საბანი გადაუწია სახიდან მაკარმა. ცრემლით დასველებულ სახეზე ხელი მოუსვა და მოწმინდა.

განთიადისას ჩაეძინა ორივეს.

არც გუდუიას ეძინა იმ ღამეს. თეთრად გაათენა ნატაშასა და მაკარზე ფიქრში. მამასავით ფიქრობდა შორეული ბელორუსიის შვილებზე, უდედმა-

მოდ და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებზე.

არა მარტო ფიქრობდა, ზრუნავდა, წუხდა, უყვარდა. თუ წინათ უჩასა და ანტონის მშვიდობით დაბრუნებაზე ფიქრობდა, ახლა ნატაშასა და მაკარის წასვლა აღელვებდა... — „სამხედრო ქარხანაში ვიმუშავებ, — ესმოდა ნატაშას ხმა. — შური უნდა ვიძიო ჩვენი დედ-მამის მკვლელებზე“, — ესმოდა მაკარის ხმაც. ხედავდა იქ, რიონის დამბაზე მის გვერდით მომავალ მათ ფიქრიან სახეს.

ახლა მესამედ რჩებოდა გუდუია მარტო. პირველად სოფლიდან განდგომის შემდეგ, მეორედ უჩასა და ანტონის ჯარში წასვლის შემდეგ, ახლა ნატაშა და მაკარიც ტოვებდნენ.

გუდუია წინათ არ უცდიდა ნატაშასა და მაკარის გაღვიძებას. უთენია მიისწრაფოდა ყანაში. ახლა ყოველ დილით ერთად მიდიოდნენ ბოსლების მშენებლობაზე და ერთადვე ბრუნდებოდნენ შინ.

იმ საღამოს შემდეგ ბავშვებს სიტყვა აღარ ჩამოუგდიათ გუდუიასთან ქარხანაში და ჯარში წასვლაზე. იცოდნენ, რარიგ ტკენდა გულს გუდუიას მათი გადაწყვეტილება.

მას შემდეგ, რაც ბურდა კვარაცხელიამაც გაიგო ნატაშასა და მაკარის ქარხანაში და ჯარში წასვლის განზრახვა, გუდუია ესვანჯიასავით ისიც განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდა მათ, ზოგჯერ სამხრისას თავის ფაცხაში შეიტყუებდა და შვილიშვილისათვის გადანახული რძით გაუმასპინძლდებოდა.

ნატაშა და მაკარი უარობდნენ, მაგრამ ბურდა არ ეშვებოდა. საღამოს დაძმა საბანაოდ რიონზე რომ წავიდოდნენ .მუშაობის შემდეგ, ბურდა მალულად სულგუნის ნაჭერს ჩაუდებდა აბგაში. ისინი იმდენს მუშაობდნენ, მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ. არ ერიდებოდნენ მძიმე საქმეს, არ უნდოდათ სხვებს ჩამორჩენოდნენ.

მეტი შრომა მეტ საჭმელს მოითხოვს. ეს იცოდა ბურდამ და ამიტომ შეტკიოდა ნატაშაზე და მაკარზე გული.

ბურდას შვილიშვილი ბათულია კვარაცხელია მაკარის ხნისა იყო. მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა გაისად ჯარში წასვლა. მაკარივით ჯერ არც მას უწევდა ასაკი, მაგრამ სამშობლოს განსაცდელის გრძნობა ეძახდა, გული კი აქ რჩებოდა, გული ნატაშაზე ჰქონდა შევარდნილი.

ნატაშა ბოსლების მშენებლობაზე ნახა პირველად. მანამდე გოგოებს არ შეხვედრია. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სამანქანო-სატრაქტორო სადგურში დაიწყო მუშაობა თავის სოფელში. მთელ დღეს სახელოსნოში ატარებდა. შინ ღამე ბრუნდებოდა და აბა სად შეხვდებოდა გოგოს.

ომის დაწყების შემდეგ სამანქანო-სატრაქტორო სადგური დაიკეტა. ბათულია „ოქროს საწმისში“ ჩამოვიდა და ფერმაში პაპასთან დაიწყო მუშაობა.

აქ დღე და ღამე საქონელს უვლიდა, აქაც არ ხვდებოდა გოგოებს. ამიტომ მშენებლობაზე ნატაშა დაინახა თუ არა, მაღალი, ტანწერწეტა, მხრებზე დაყრილი ბრინჯაოსფერი კულულებით, ეშხიანი და ლამაზი, გოგოს უნახავი ბიჭი სახტად დარჩა, თავგზა აებნა. მოსვენება დაკარგა. მოუშორებლად თვალწინ ედგა ეს უცხო გოგონა, ქართველს რომ არაფრით ჰგავდა. არც გარეგნობით, არც ქცევითა და ხასიათით. ყველგან ჩრდილივით დაჰყვებოდა მისი სახე, მისი ღიმილი, მისი ტანი, მაგრამ გაურბოდა, ახლო არ ეკარებოდა, ეშინოდა მისი.

ეშინოდა სწორედ იმისი, რითაც ხიბლავდა, იზიდავდა. სილამაზის გარდა, ნატაშაში იყო მისი დამატყვევებელი ღიმილი და შუქიანი, გრძელწამწამებიანი თვალები, რომლებიც ცეცხლს უკიდებდა. იცოდა, მასთან კრინტს ვერ დასძრავდა, მღელვარებას ვერ შეიკავებდა, დაიბნეოდა, თვალს ვერ გაუსწორებდა.

მალულად უყურებდა, შეფოფინებ-

და. მისი ცქერით ტკბებოდა, მისი ღიმილით, მისი ხმით, გადამდები სიცილით გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ეშინოდა არ გაეგონა ნატაშას მისი გულის ხმა. შორიდან უყურებდა, ან ზურგს აქცევდა. მაინც თვალწინ ედგა, მაინც ხედავდა მის ღიმილს, მის ბრდღვიალა თვალებს, პატარა, ამრგვალებულ ტუჩებს.

ხედავდა მაშინაც, თვალს რომ დახუჭავდა.

ნატაშამაც იგრძნო, რომ პირველ დანახვისთანავე თვალი მასზე შერჩა ბიჭს, იგრძნო, რატომ ერიდებოდა, რატომ გაურბოდა. იგრძნო და ანდამატივით მიიზიდა ბათულიას ალალმა, შეშინებულმა თვალებმა, მისმა კრთომამ, მისმა ფარულმა, მაგრამ ნატაშასთვის დაუფარავმა გრძნობამ.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს — ბათულია გაურბოდა, თავს არიდებდა. ნატაშა პირიქით — ეტანებოდა, მისკენ ილტვოდა. მუშაობისას მორი, ან ფიცარი რომ უნდა აეწია ბათულიას, ნატაშა დაბარებულივით მასთან გაჩნდებოდა, აწევაში მეორე მხრიდან შეეშველებოდა და უნდოდა დიდხანს ჰეროდა ბათულიასთან ერთად მისი ხელმოკიდებული ის მორი თუ ფიცარი.

პირველი მოულოდნელი სიყვარულით ელდანაცემი ბიჭი დამფრთხალი გაურბოდა გოგოს, პირველი მოულოდნელი სიყვარულით თავაწყვეტილი გოგო თვითონ ილტვოდა ბიჭისაკენ.

ხშირად მოულოდნელად იჭერდნენ ერთმანეთისაკენ თავისდაუნებურად მიცეცებულ მზერას. ისეთი ძლიერი ლტოლვა იყო მათ თვალებში, მათ სახეზე, მათ გულში, რომ მეტი აღარ ძალუძდათ თავის შეკავება და შიშობდნენ, მეტს ვეღარ მოითმენდნენ, იქვე მშენებლობაზე, ხალხში გაუმჟღავნებდნენ ერთმანეთს იმას, რასაც საიდუმლოდ ინახავდნენ.

ბოსლების მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. ნატაშას აღარ ექნებოდა აქ მოსვლისა და ბათულიასთან შეხვედრის საბაბი. ბათულია ყანაში არ მუშაობდა და არც მას ექნებოდა ნატაშას ბრიგადაში მისვლის საბაბი.

— ბურდა ბაბუ, — უთხრა მუშაობის დამთავრების შემდეგ ერთ საღამოს ნატაშამ. — ჩვენი ბარაკი აქედან ძალიან შორსაა. დიდი დრო გვჭირდება აქ მოსვლამდე და თანაც ძალიან ვიღლებით ამ სიგრძე გზაზე აქეთ-იქით სიარულით. მშენებლობის დამთავრებამდე აქ დავრჩებით მე და მაკარი.

— აქ სად დარჩებით, შვილო?! — ბურდა კარგა ხანი იყო გრძნობდა, რომ ბათულიასა და ნატაშას ერთმანეთზე გული შეუვარდათ და მაინც ორივესთან თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა.

— ჩვენს ფაცხაში დარჩებიან, — ნატაშას მაგივრად სწრაფად მიუგო ბაბუას ბათულიამ, რომ უარი არ ეთქვა ბურდას ნატაშასათვის.

— თუ იკადრებენ ჩვენს ფაცხას, კი ბაბუ, — ულვაშებში ჩაეღიმა ბურდას შვილიშვილის სულწასულ პასუხზე.

— როგორ არ ვიკადრებთ. თქვენი ფაცხა ჯობია ჩვენს ბარაკს. ხომ ასეა? — ჰკითხა ნატაშამ ძმას.

მაკარიც კარგა ხანი იყო გრძნობდა, ხედავდა, ტრფიალის რა ცეცხლი ტრიალებდა ნატაშასა და ბათულიას გულში. შეხედა დას, მისი პასუხის მოლოდინით წამონთებულ სახეს.

— რასაკვირველია, თქვენი ფაცხა ჯობია ჩვენს ბარაკს, ბურდა ბაბუ!

ნატაშა არ მოელოდა ძმისგან ასეთ პასუხს. ფაცხა არ ჯობდა ბარაკს. — „მაკარმა იცის, რატომ მინდა აქ დარჩენა“, — სიხარულით გაიფიქრა ნატაშამ და კინაღამ გადაეხვია.

— დარჩით, შვილებო, თუ ჩემი ფაცხა ჯობია თქვენს ბარაკს, — დაეთანხმა ბურდა ნატაშასა და მაკარს. — ცოტა ვიწროდ კი იქნებით, მაგრამ თუ თქვენ ასე გირჩევნიათ, ალბათ ასეა საჭირო. რას იტყვი ბათულია? — მიუბრუნდა ბურდა შვილიშვილს და დაინახა რა მადლიერებით აენთო ბიჭს თვალები და სახე.

— კი ბაბუ. ასეა საჭირო. არ ვიქნებით ვიწროდ.

— ჰო, ასეა საჭირო. მართლა არ ვიქნებით ვიწროდ, — კვერი დაუკრა ნატაშამ.

ცისანასა და ციასთანაც გზის სიშორე მოიმიზეზეს ნატაშამ და მაკარმა. მეორე დღეს თავისი ლოგინი თან წაიღეს ბურდას ფაცხაში.

გადიოდა დღეები.

ბათულია ახლა ერთ ფაცხაში უფრო ერიდებოდა ნატაშას. ქალიშვილი კი ისევ ისე ილტვოდა მისკენ. ფაცხაში დიახაც ვიწროდ იყვნენ. საწოლები ახლო იდგა ერთმანეთთან. სუნთქვაც კი ესმოდათ ერთმანეთის. ნატაშა დაწოლას რომ დააპირებდა, ტანსაცმელის გახდისას, ბათულია გარეთ გადიოდა და მხოლოდ მაშინ შედიოდა ფაცხაში, როცა ნატაშა დაწვებოდა.

ერთ ცხელ, მთვარიან ღამეს ნატაშა გვიანობამდე არ შემოვიდა დასაწოლად.

ბათულიამ გადაწვიტა მის შემოსვლამდე დაწოლილიყო.

ნატაშა იმიტომ არ შევიდა ფაცხაში, რომ უნდოდა ბათულია გამოსულიყო.

ხალხისაგან განცალკევებით ისინი ჯერ პირისპირ არ დარჩენილან. რამდენს ცდილობდა ნატაშა ეპოვა მასთან მარტო დარჩენის საბაბი, დღემდე ვერ იპოვა და აი, ახლა გარეთ [illegible] მაგრამ ბათულია ვერ ბედავდა [illegible]

დიდი ხნის ამაო ლოდინის შემდეგ, ნატაშა უკან რომ შებრუნდა, მთვარე ცის კაბადონზე ენთო. ფეხაკრეფით მივიდა თავის საწოლთან. კაბა წაიძრო. ფაცხის მეჩხერად ნალობ კედლებიდან მთვარის შუქზე უცებ გაშიშვლდა ბათულიას თვალწინ ნატაშას ტანი.

ქალიშვილს ეგონა, ბათულიას ეძინა. იდგა და მშვიდად იწნავდა თმას, რომ დაწოლის წინ შეეკრა. ძველი, გაცრეცილი პერანგი ვერ ფარავდა სავსე მკერდს, თეძოებს და ხელებში ჩასატევ წელს.

ბათულიას შერცხვა, მალულად რომ უყურებდა. სახეზე საბანი წაიფარა. მის მოძრაობას თვალი შეასწრო ნატაშამ. — „არ ძინავს, — გაეხარდა. შეტრიალდა და პერანგის ამარა გარეთ გავარდა. — არ ძინავს, — გაიმეორა ისევ. — გამოვა. ახლა კი გამოვა. მიხვდება, რომ მას ვუცდიდი გარეთ, — გაიფიქრა იმედით. იმავე წამს შეესმა, როგორ ადგამდა ბათულია შიშველ ფეხებს სოხანზე, დაინახა, როგორ მოდიოდა ღია კარისაკენ, გამოჩნდა მთვარით თეთრად განათებულ ჩარჩოში. იდგა და ელოდა. დაავიწყდა, პერანგის ამარა რომ იყო, ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყნად.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# ცისფერი ცეცხლი

## დოკუმენტური მოთხრობა

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდან ვეტრფოდი.

**ნიკოლოზ ბარათაშვილი**

შინ არავინ არის. ყველანი ფრონტზე ვართ.
**წარწერა მერკვილაძეების სახლის კარზე*.**

იპოლიტე ბაბუამ სკოლიდან გამოგზავნილი წერილი წაიკითხა და მის მომტან ყმაწვილს მიმართა:

— კაი, ბიძიკო, მადლობელი ვარ!

რას უცდიდა ბიჭი? იმის გაგებას, თუ რა მოჰყვებოდა მასწავლებლის წერილს?

იპოლიტე ბაბუა იშვიათად შეიმჩნევდა გაბრაზებას. ბოღმას ისე დაიტრიალებდა გულში, კაცი ვერ გაიგებდა ამ დროს ბალღამი თუ აწუხებდა.

ბიჭი შებრუნდა და ეზოდან გაიძურწა.

იპოლიტემ წერილი ერთხელ კიდევ გადაიკითხა და ოდა-სახლისკენ დაიძრა.

— პელაგია!

პელაგია, იპოლიტეს მეუღლე, ამ დროს მჭადების დასაცხობად კეცებს უფიცხებდა ბუხარში დანთებულ ცეცხლს.

— პელაგია! — ერთხელ კიდევ ცოტა უფრო ხმამაღლა დაიძახა იპოლიტემ და სახლისკენ წავიდა. როცა სამზადის კარს მიუახლოვდა, პელაგიამ მაშინ გამოიხედა.

— რა გაყვირებს, შე კაცო?

— მაყვირებს კი არა და... ახლა ის ბიჭი რომ აქ იყოს, წიწილასავით... — იპოლიტემ ორივე ხელი მომუჭა, ერთმანეთს მიატყუპა, მერე მარჯვენა ისე გაიქნია, ვარიას თავს რომ წააწყვეტენ. მაგრამ სახეზე გაბრაზება მაინც არ ეტყობოდა. ისევ მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა.

— კაი ახლა, წიწილასავით კი არა და... რომელ ბიჭზე მელაპარაკები, შე კაცო?

— შოთაზე.

— რა დააშავა ბავშვმა?

— აუკლია სკოლა. ცელქობსო, არ სწავლობსო... ა, აგერ, ახლა მომიტანეს მასწავლებლის წერილი.

— მერედა, წიწილასავით თავი წააცალეო, მაგიც წერია? — ვითომც აქ

*ოჯახში იყო ხუთი სული: მამა, დედა, 3 ვაჟიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი, მეუღლის დასამშვიდებლად ხუმრობის კილოზე მიუგო პელაგიამ.— ქვეყანა რომ დაენგრია, ხმაურს გავიგებდით. შე კაცო... ცუდად სწავლობსო, მაგი კი შენი ბრალია ნამდვილად, — ბოლოს მაინც გაჰკენწლა.

— ა, უყურე ერთი ამას! რატომაა ჩემი ბრალი!

— სიმღერის მეტს არაფერს ასწავლი მაგ ბავშვებს. წიგნში ჩაიხედეო, იმას კი არ ეუბნები.

— მე რაც შემიძლია იმას ვასწავლი, შე ქალო! სხვა რამის სწავლება რომ შემეძლოს, თოხსა და ბარს კი არ დავიჭერდი ხელში. სიმღერა მეხერხება და სიმღერას ვასწავლი. არც ვემდური ჩემს მოწაფეებს. ნიშნები რომ იწერებოდეს ამ შინაურ ატმოსფეროში სამივეს ფრიადებს დავუწერდი. ისე როგორ ვმღერით, თქვი თუ ქალი ხარ.

— კარგად, კარგად, ღმერთი ნუ წაგიწყდებათ, — თქვა პელაგიამ და სამზადში შებრუნდა.

პელაგია მართლაც ნეტარებით და სულგანაბული უსმენდა ხოლმე ოთხთა სიმღერას. საღამოობით ბაბუა გვერდით მოისვამდა ორ შვილიშვილს, მესამეს, პატარა თენგიზს, კალთაში ჩაისვამდა და მღეროდნენ. ბაბუა ძველსა და ახალ იმერულ სიმღერებს ასწავლიდა შვილიშვილებს. თვითონ ჩინებული ხმა ჰქონდა და მისთვის სასიხარულო ის იყო, რომ შოთას, გივის და თენგიზს საუცხოო სმენა და კრიალა ხმები აღმოაჩნდათ. ჩემი ჯილაგისანი არიანო ძლიერ უყვარდა თავისი მოდგმა. გუნდი შეკრა, რა გუნდი! მღეროდნენ და სადამდეც მათი სიმღერა გასწვდებოდა. ატკბობდნენ მეზობლებს.

სადაც კი თეფში გაჩხრიალდებოდა და სუფრას გააწყობდნენ, იქაური მოპატიჟე აუცილებლად მიადგებოდა იპოლიტე მერკვილაძეს. ბავშვებმა იცოდნენ, რომ წვეულებაზე ბაბუა მათაც წაიყვანდა. ასეთ დროს პატარა თენგიზი შინ, ბებიასთან რჩებოდა. შოთა და გივი კი ბაბუა იპოლიტეს ამშვენებდნენ და ტკბილ სიმღერებში ეხმარებოდნენ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ მეზობელმა ქეიფში მარტო იპოლიტე ბაბუა დაპატიჟა. იმ დღეს ბებია დილიდანვე შეუძლოდ იყო და ბიჭებმა ვერ მიატოვეს.

ქალი თავის ავადმყოფობასთან ერთად იმასაც ჩიოდა, რომ იმ დღეს კერძი ვერ გაუკეთა ბავშვებს და წინა დღის გამომცხვარი მჭადის ამარა დატოვა. ამ დროს მეზობლისას კი...

იმერეთის სოფლის მეზობლობა მოგეხსენებათ: ერთი მოსახლე მეორისაგან ბაღით, ყანით, საძოვრითა და ვენახითაა დაშორებული. ერთმანეთს შორით-შორეთიდან გასძახ-გამოსძახებენ.

ბაბუას წასვლის შემდეგ კარგა ხანმა რომ გაიარა და მზე გადაიხარა. ეტყობა შეზარხოშებულ მოქეიფეებს სიმღერა მოუნდათ. კაცს ემღერება თუ არ ემღერება, ხმა აქვს თუ არა აქვს, სმენა გააჩნია თუ არ გააჩნია—ღვინოს თავისი ძალა აქვს, ბახუსს თავისი კანონები — ღიღინი აუცილებელია.

უსიმღერო ქეიფი რა ქეიფია. ბებიას და შვილიშვილებს მალე შორიდან მამაკაცების აუწყობელი სიმღერა შემოესმათ. სიმღერა კი არა, მამაკაცთა ბღავილი იყო.

რას შვრება ბაბუა იპოლიტე? რატომ მისი ხმა არ ისმის? იქნებ მღერის კიდეც, მაგრამ შეზარხოშებული მამაკაცების ხმებში იკარგება მისი დინჯი ბარიტონი.

არ გაიარა ხანმა და მერკვილაძეებისას მოქეიფეთაგან შიკრიკი — მეზობლის ლოყებაწითლებული გოგო, თალიკო, შოვარდა, წამოდით, ბიჭებო, ბაბუა გიხმობთ სასწრაფოდო, უთხრა შოთას და გივის.

ბიჭები დაფაცურდნენ და მაშინვე გაჰყვნენ თალიკოს. სულ სირბილით გაიარეს ბინდბუნდში ჩაძირული სიმინდის ყანებშუა გაჭრილი ბილიკი.

სახლი, სადაც ქეიფობდნენ, როგორც უმეტესობა კარგად გამართული იმერუ-

ლი სახლებისა. ხისა და ქვითკირისა იყო. ქვითკირით ნაგები — სამზადი და მარანი, ზემოთ ხით შეკრული — „ზალა“ და ოთახები. „ზალაში“ ქეიფობდნენ. ბავშვებს დიდის ამბით მიეგებნენ. ბაბუამ თავისთან იხმო და აქეთ-იქით ამოიყენა.

შოთამ და გივიმ ერთი კი ხარბად გადაავლეს თვალი სუფრას. მართალია მოქეიფეებს უკვე საკმაოდ შეეხრათ შესახრავი, გაეგლიჯათ გასაგლეჯი, მაგრამ გულუხვად გაშლილ სუფრაზე მაინც ბლომად იყო ყველაფერი.

ნუთუ ქათმის თითო ბარკალს ჩვენც არ გამოგვავლებინებენ პირში, გაიფიქრა და ნერწყვი გადაყლაპა შოთამ.

დიასახლისი ხაჭაპურებს ეცა და ბავშვებს გაუწოდა, მიირთვით. თქვენს გაზრდასო.

ბაბუა იპოლიტემ შეიცხადა:

— როგორ გეკადრებათ, მარუსა, ბაღნებმა წელან ხაჭაპურიც ჭამეს და ქათმის ხორციც.

ბაბუამ ორივე ბიჭს ისე შეხედა, ორივემ უარის ნიშნად ხელები უკან წაიღო და გმადლობთო, წაილუღლუღეს.

მერე მშივრებმა იპოლიტესთან ერთად რამდენიმე იმერული სიმღერა ჩაარაკრაკეს. მოქეიფენი სიამოვნებით ნაბავდნენ თვალებს.

ბიჭებმა შეზარხოშებული ბაბუა შინ წამოიყვანეს. გზაში კრინტი არ დაუძრავთ. შინ რომ მივიდნენ, არც იქ უთქვამთ რამე. მორჩილად და გულმოკლულად დაიძინეს.

ბებიას ასე ეგონა, ისინიც იპოლიტესავით მაძღარნი დაბრუნდნენ წვეულებიდან.

ბიჭები გაკვირვებული იყვნენ, რატომ დასჭირდა ბაბუას ტყუილის თქმა. ვერაფრით ვერ ახსნეს ეს ამბავი და ვერც ბაბუას ეკითხებოდნენ. არადა ბაბუა იპოლიტეს ტყუილი ჭირის დღესავით ეზარებოდა, ესეც კარგად იცოდნენ ბიჭებმა. მაშ რა მოხდა? ვერ მიხვდნენ, ვერ გაიგეს... ეს ამბავი სამუდამოდ კი ჩარჩათ გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოლიტემ ეზო მოათვალიერა. მასწავლებლის წერილმა მართლა ატკინა გული მოხუცს. მაგრამ რა უნდა უყოს ახლა შოთას? რა უთხრას, რითი დასაჯოს? გაუწყრეს და ბავშვს გული მოუკლას? გაწყრომის ღირსი კი არის ნამდვილად, თუკი ეს გამოუვა და შვილიშვილს აგრძნობინებს, რომ მან, გულთბილმა და მოალერსე კაცმა, მოფერების გარდა თურმე სასტიკი გაწყრომაც იცის. ეგებ ყმაწვილი ცოტა მოთოკოს. ბავშვის გათამამება რომ არ კარგა, იპოლიტეზე უკეთ ვინ იცოდა, მაგრამ ეტყობა ალერსიანი მოპყრობა ცოტა მეტი მოუვიდა და შვილიშვილებთან ერთად მომღერალთა გუნდში გაერთიანებამ სასწორი ბავშვების მხარეს გადახარა — გათამამდნენ და ცუღლუტობამაც იმარჯვა.

ეზოში პატარა თენგიზი შემოვიდა. მეზობლიდან ბიჭი შინ ისეთი ამოგუნგლული ბრუნდებოდა ხოლმე, პელაგია ბებია თან ტკბილად წყევლიდა, თან ვარცლში ისეთი ალერსით ჩაბანდა, სიყვარულის მთელ გრძნობას აქსოვდა.

შემოვიდა ეზოში და ბაბუამ თავისთან მიიხმო.

— შოთა სადაა, ბიჭო?

რატომღაც მარტო შოთა იკითხა. სადაც შოთა იყო, იქვე იქნებოდა გივიც. ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სულ ასე განუყრელად დადიოდნენ სკოლაში იქნებოდა თუ სხვაგან.

— იქ არიან, ბაბუა, ჭალაში... შოთა ალვის ხეზეა ასული და არ ჩამოდის... ბიჭებს ქე მოუგო სანაძლეო.. — ჩაუკაკლა თენგიზმა.

— რაზეაო ასული, ბიჭო?

— ალვის ხეზე, ბაბუა. ვინ უფრო მაღლა ავაო და შოთა ავიდა. იქაა ახლაც.

— რას აკეთებს ალვის ხეზე, ბიჭო? — ანგარიშმიუცემლად იკითხა შეშინებულმა იპოლიტემ და სამზადისაკენ მიმავალ თენგიზს მაშინვე მიაძა-

ხა, — არ უთხრა ბებიას. არაფერი უთხრა, თორემ გაილახები! — თითქოს დაუქნია, უმალ დაკაცურდა და ეზოდან ისეთი ჩქარი ნაბიჯით გავიდა, თითქოს ცეცხლის ჩასაქრობად უხმობენ, იპოლიტე, შენ თუ არ მოხვედი, ვიღუპებითო. და გაენთო იპოლიტეც ჭალისკენ მიმავალ ბილიკზე. ისე გარბოდა, მალე გული ყელში მოებჯინა. მართალია ჯაბანი კაცი არ იყო, გულსაც არ უჩიოდა, მაგრამ შვილიშვილის საქციელმა ისე ააღელვა, ერთი სული ჰქონდა ჭალაში მალე ჩასულიყო.

რა უნდა ალვის ხეზე, იმ შეჩვენებულს?! ხეხილზე ასვლა კიდევ ჰო, რამეს მოიწევს... ალვის ხეზე?! ამ მაცდურ ხეზე! ხეზე, რომელსაც კაციშვილი არ ეკარება. კარგი შეჯიბრი გაუმართავთ, მე და ჩემმა ღმერთმა. რომ ჩამოვარდეს?

ამის გაფიქრებამ ტანში გაბურძგლა იპოლიტეს, ციებიანივით აკანკალდა და მერე რამდენს არ ცდილობდა, ცუდი რამ არ ეფიქრა, ის საშიში წარმოდგენა ვერა და ვერ მოიცილა.

გარბოდა.

ორმაგი პასუხისმგებლობა ჰქონდა იპოლიტეს თავისი შვილიშვილების მიმართ. ერთი, რომ ბაბუა იყო მათი და ყურადღება მართებდა; მეორე, შვილისა და რძლის წინაშე იყო პასუხისმგებელი მათი შვილების ჯანმრთელობაზე, კარგად ყოფნაზე, სწავლა-განათლებაზე.

იპოლიტეს შვილი გრიშა და რძალი, ვალია თბილისში მსახურობდნენ. ხელმოკლეობის გამო, იმის გამოც, რომ ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში ვიწროდ იყვნენ, დროებით შვილიშვილების აღზრდა თავს იდო იპოლიტემ. ბიჭები მასთან იქნებოდნენ იმ დრომდე, ვიდრე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ქალაქში ფეხს მოიკიდებდნენ. სოფელში სასმელ-საჭმელი არ აკლდათ ბავშვებს. იპოლიტეს კარგი სახლ-კარი ჰქონდა, ბაღ-ვენახი, სიმინდის ყანა... სოფელში საშუალო სკოლაც იყო და შეიძლებოდა ბავშვების აღზრდა. ბებია და ბაბუაც არ იყვნენ მოწყენით და საღამოობით, მთვარიანში რომ დასხდებოდნენ მერკვილაძეები სასიმღეროდ, ახლომახლო მეზობლები უკვე მოელოდნენ გულში ჩამწვდომ სიმღერებს.

ახლა ვერც წარმოუდგენია იპოლიტეს შვილიშვილების გარეშე არსებობა.

ის მამაძაღლი შოთა კი ალვის ხეზე ასულა და...

გარბის იპოლიტე, გულის ფეთქვამ ლამის გაგუდოს, ჰაერი არ ყოფნის. აჰა, მიაღწია ჭალას. აქ, ცაცხვებთან ცაში ატყორცნილი ალვებიც იყო.

ყველაზე მაღალ ალვის ხესთან სოფლის ბიჭებს მოეყარათ თავი და ხეს მაღლა შეჰყურებდნენ. მაღლა კი, იპოლიტემ შორიდანვე შენიშნა შოთას წითელი პერანგი.

ბიჭი თითქმის კენწეროს მოჰქცევია. რამხელა ხეა, ეს დასაქცევი! მხოლოდ ახლა არ ეპრიანა მისი სიმაღლე იპოლიტეს.

იქნებ შველა უნდა? ავიდა და ვეღარ ჩამოდის...

ამის გაფიქრებაზე უფრო აუჩქარა ნაბიჯს და როცა თავშეყრილ ბიჭებთან მიირბინა, ენა წართმეული ჰქონდა... გული იმითღა დაიმშვიდა, რომ ბიჭებს შიში არ ეტყობოდათ, მშვიდად იდგნენ და შეჰყურებდნენ ხეზე ასულ შოთას. ახლოდან უფრო მაღალზე ჩანდა, წასული სადღაც ცის უსასრულო სიღრმეში.

— ჩამ... ჩამ... — ჩამოდიო, უნდოდა ეყვირა იპოლიტე ბაბუას, მაგრამ სიტყვა ვერ მოჰკიდა ენას, ვერც ქვედა ყბა დაიმორჩილა. მხოლოდ ეს იყო, ორივე ხელი აქეთ-იქით გაიქნია.

— ნუ გეშინია, ბაბუა, — მხოლოდ ახლაღა შემოესმა გივის ხმა. ამასობაში შეძლო იპოლიტემ ენის დამორჩილება და გივის შეუტია:

— რავა ნუ მეშინია, შე მამაძაღლო.. კვახივით გასკდება... სული არ დაყვება დაბლა. შოთა! — ასძახა შვილიშვილს,

— ჩამოდი ახლავე... ფრთხილად! ფრთხილად!

იპოლიტე განზე გადგა. გაფოთლილი ტოტები ხელს უშლიდა ხის ძირიდან შეეხედა შვილიშვილისათვის. წითელპერანგა ბიჭი კი კროლა ვაშლივით მოჩანდა ფოთლებში. მან ბაბუას ხელი დაუქნია და ჰაუ, ჰაუო, სადღაც ცის ლაჟვარდს გასძახა ამაყად და ისეთი ყიჟინით, თითქოს ეს არის, ახლა ამ სიმაღლესაც არ იკმარებს, ალვის ხეს მოსწყდება, ფრინველივით გაჰკვეთს ღრუბლებს და მაღლა წერტილივით გამოჩნდება, როგორც ბოინით გალაღებული არწივი.

— ჩამოდი, შოთა! — ერთხელ კიდევ შეუძახა იპოლიტემ. ხმაში ისეთი ბზარი ჰქონდა, ბიჭი ალბათ შეშინდა და ხის ტოტებში შეინძრა.

„ფრთხილად, ფრთხილად!“ ახლა კი გუნებაში უხმობდა შოთას, რომელიც ხიდან ჩამოდიოდა. აღარ უნდოდა შეეძახა. იქნებ დაბნეულიყო ბიჭი. ან ხელი დროზე ვერ მოეკიდა ტოტისთვის, ან ფეხი დასცდენოდა.

ბიჭმა ხის შუაწელს მიაღწია. იპოლიტეს ბოლმა მოაწვა ყელში, ერთი სული ჰქონდა მიწაზე მშვიდობიანად დაედგა ფეხი მის შვილიშვილს და აი, მაშინ კი... აჯანჯღარებს ისე, როგორც არასდროს... აჯანჯღარებს ისე, რომ მეორედ ალვის ხეზე კი არა, ალუბალზე ასვლაც კი ვერ გაბედოს და ხის სახსენებელი შეიძულოს.

იპოლიტე თვალს არ აშორებდა შვილიშვილს და მზად იყო სისრულეში მოეყვანა განზრახული. სკოლის ამბავიც რომ დღეს გამოტყვრა! რომელი ერთი აიტანოს, რომელი ერთი!

შოთა ძირა ტოტს ჩამოეკიდა, ფეხები გაფარჩხა.

— რას შვრები? — იყვირა იპოლიტე ბაბუამ, რადგან ბიჭი საკმაოდ მაღლა იყო და იქიდან რომ ჩამომხტარიყო... სანამ რამეს გაიფიქრებდა იპოლიტე, შოთა მიწაზე ჩამოხტა, წაიბორძიკა, მაგრამ ხესთან მირბენილ ბაბუას ისეთი სიხარულით სავსე თვალები მიანათა, იპოლიტე ადგილზე გაქვავდა.

ბიჭს სახე უციმოდა. აშკარა იყო იგი საოცნებო მხრიდან დაბრუნდა. დაბრუნდა გაბრუებული, თავრეტდასხმული და ბედნიერი.

ეს აშკარად შენიშნა იპოლიტემ და მუქარის აღსასრულებლად აღმართული ხელი უკან წაიღო.

— მადლობა ღმერთს! — თქვა იპოლიტემ ყველაფერი რომ მშვიდობიანად დამთავრდა. ბაბუამ პირჯვარი გადაისახა და შვილიშვილს ერთხელ კიდევ შეხედა.

— მე ღმერთთან ვიყავი, ბაბუა, — უთხრა შოთამ.

ბიჭებმა გაიცინეს. შოთასაც ეღიმებოდა. იპოლიტე ბაბუა დამშვიდდა, დაჯდა იქვე ბალახზე, რომ უფრო დამშვიდებულიყო და რამე ეთქვა...

— საოცარია ქვეყანა მაღლიდან, ბაბუა! — აღტაცებით ამბობდა შოთა, — რა ბედნიერია ის, ვინც ამას ყოველდღე, ყოველ წუთს ხედავს! ნეტავი ჩიტად გავჩენილიყავი!

იპოლიტემ ცას ახედა, ალვის კენწეროს შეავლო თვალი და მერე შვილიშვილის ნეტარებით ნათქვამ სიტყვებს ჩაუკვირდა. ბიჭი ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო დაბლა.

ბიჭები ჯგროდ გაჰყვნენ შინისკენ მიმავალ იპოლიტეს. შვილიშვილები გვერდში ამოსდგომოდნენ.

მასწავლებლის წერილზე გზაში კრინტი არ დაუძრავს. ისე, გეგმას კი აწყობდა საყვედურებისას. მაგრამ იქნებ აჯობოს მასწავლებელთან ერთად მოაგვაროს ეს საქმე? გაიგოს რა დააშავა, რა თქვა, რა მოიმოქმედა ისეთი, რომ მასწავლებელი იძულებული გახდა მიეწერა წერილი ბაბუასათვის. ახლა შვილიშვილთან რომ გამოიძიოს, ბიჭმა შეიძლება სიმართლის თქმა ვერ გაბედოს, თავი დაიცვას. რამდენჯერ ყოფილა, როცა მოწაფეს მასწავლებლისათვის ბევრი რამ დაუბრალებია. ჯობია ახლა შვილიშვილები შინ მიიყვანოს და ხვალ

სკოლაში წაყვეს. იქ გაირკვევა ყველაფერი. ალვის ხეზე კი.. .ალვის ხეზე ასვლა სახიფათოა და მეორედ აღარ უნდა გაბედოს! ჩვენ მიწის შვილები ვართ და ფეხი მიწაზე უნდა გვედგას მაგრად და მკვიდრად. ბუნებას ცისთვის რაც დაუწესებია, კი არის ცაში. ცაში უნდა იყოს ფრინველი და მწერი, მიწაზე ჩვენ... იგონებენ რაღაც აეროპლანებს, ცდილობენ, ილეწებიან, მაინც ადიან, მაინც იგონებენ... ეს დალოცვილი მიწა კი ყველას დაიტევს, ოღონდაც ნამუსიანად ვიაროთ და ერთმანეთი არ ვძიძგნოთ უღმერთოდ და უმართებულოდ...

ბაბუა იპოლიტემ გადაწყვიტა მასწავლებლის წერილის ამბავი შვილიშვილისათვის არ ეთქვა, ვიდრე სკოლაში არ გამოარკვევდა საქმის ვითარებას. მაგრამ პელაგია ბებიასთან რომ არ შეთანხმებულა ამაზე, ქალმა ყველაფერი ჩაუკაკლა შოთას.

— გემდურის. აბა!

შოთამ თავი დახარა და ყველაფერი ცხადი გახდა. იგი მტყუანი იყო.

იმ საღამოს მერკვილაძეების კარ-მიდამო დუმდა. მეზობლები ამაოდ ელოდნენ სიმღერის გაგონებას. მდუმარებაში დაიძინეს კიცხელებმა.

— რა ვქნათ ახლა, დავიბაროთ გრიშა და ვალია? გაგაყოლოთ ქალაქში? — მიმართა მეორე დღეს ორივე შვილიშვილს ბაბუა იპოლიტემ. თურმე ცელქობაში გივიც არ ჩამორჩებოდა თავის ძმას, მასავით მოიკოჭლებდა სწავლაში. ეს ყველაფერი იპოლიტემ სკოლაში შეიტყო, როცა მასწავლებელს ეახლა. ბაბუამ მოუსმინა მასწავლებელს, გულდასმით ასწონ-დასწონა მისი საყვედურები, შენიშვნები და შეგონებანი. რას ერჩი, მართალი იყო კაცი. მართალია ახალგაზრდაა, ცხოვრების იმდენი გამოცდილება არა აქვს, რაც იპოლიტეს, მაგრამ ნასწავლია. ნასწავლ კაცს კი ტყუილიც დაეჯერება. ასე მსჯელობდა იპოლიტე.

ბიჭები თავჩაქინდრული იდგნენ ბაბუას წინ.

— ესე იგი შევატყობინო, ხომ?

— არა, ბაბუა... დედას ჰგეფიცებით თუ კიდევ... — წამოიწყო შოთამ.

ალბათ ამასვე იტყოდა გივიც. მაგრამ იგი ჩუმად იდგა.

— ჰაიტ! — შეუწყრა იპოლიტე ბაბუა, — თუ ტყუილად იფიცებ დედას! განუზომელია დედის ფასი! მშობლის ფასი! გაჭირვებას დაუდგეს თვალი თუ არა, თქვენ თქვენს მშობლებთან უნდა იყოთ! ცხოვრება გამოსწორდება, ასე ხომ არ იქნება! — დაასკვნა ბოლოს ბაბუა იპოლიტემ. სათანადოდ ვერ შეუწყრა ბიჭებს, მაგრამ ფიცი კი დაადებინა, რომ სკოლაში აღარ იცელქებდნენ, კარგად ისწავლიდნენ და, ბოლოს და ბოლოს, მერკვილაძეების დიდ სახელს არ შეარცხვენდნენ.

იპოლიტე აფრასიონ მერკვილაძით ამაყობდა. ეს ერთი კაციც კმაროდა გვარის დამამშვენებლად.

ერთ დღეს მოკეთეებში აფრასიონის სურათი მოიძია. ზესტაფონში წაიღო, ფოტოგრაფს გაადიდებინა და შინ თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდა. მაშინ შვილიშვილებთან შერიგებული იყო, რადგან სკოლიდან მათზე სამდურავი აღარ სმენია. დასვა სამივე და სულ დაწვრილებით უამბო აფრასიონ მერკვილაძის საგმირო ამბები. თან სურათს თვალს არ აშორებდა.

— ...აფრასიონმა და მისმა ორმა ამხანაგმა —ალექსანდრე გაჩეჩილაძემ და ლავრენტი დუგლაძემ ჭიათურას შეაფარეს თავი, — განაგრძობდა ამბის მოყოლას იპოლიტე ბაბუა, — წუნკალსა და მაკვარანცხ ადამიანს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. დამალულები ვინცხა ბიწაძემ და მღვდელმა წერეთელმა დაასმეზღეს მთავრობასთან. მიესივნენ მერკვილაძის საფარს ჯალათები. გაიქცნენ ბიჭები. დაეწივნენ ჯალათები, მისცხეს და მისცხეს ტყვია აფრასიონ მერკვილაძეს და მის ამხანაგებს...

— ესენი რას შვრებოდნენ, ბაბუა?.

ამათ არ ქონდათ თოფები? — ველარ მოითმინა გივიმ.

— მაცალე, შე კაცო. რავა არ ქონდათ! ამათაც, იცოცხლე, დოუნთეს და დოუნთეს, სულ ბდღვინი გააცალეს მდევარს... მაგრამ, რა გინდა რა! ბევრნი იყვნენ. გაჩეჩილაძე დაჭრეს. აფრასიონმა მოიკიდა ზურგზე დაჭრილი ამხანაგი და კარგა ხანს ატარა ტყეში. გაჩეჩილაძე ეხვეწებოდა თურმე, დამტოვე, აფრასიონ, თქვენ უშველეთ თავსო. მაგრამ აფრასიონი რის მერკვილაძე იყო კაცისთვის ეღალატა!.. ღალატი ჩვენ გვარს არ სჩვევია! მუდამ გახსოვდეთ: კაცის ღალატი დიდი დანაშაულია და თუ სასჯელს კაცთაგან გადაურჩი, ღმერთი მაინც არ გაპატიებს...

— ღმერთი? შენ რომ ამბობ, ღმერთი არ არსებობსო, ბაბუა? — ჩიშნის მოგებით შენიშნა შოთამ.

— ღმერთი როგორ არ არსებობს, შე კაცო... კაცის სინდის-ნამუსი ყველაზე დიდი ღმერთი არაა ადამიანისათვის?! — კმაყოფილად გაიღიმა იპოლიტე ბაბუამ, რომ შვილიშვილის შენიშვნაზე დროზე მოძებნა პასუხი.

— მერე, ბაბუა, მერე? — აფრასიონ მერკვილაძის ამბავი აინტერესებდა გივის.

— სამივე გაქცეული კლდეს შეეფარა. იბრძოდნენ. ტყვია-წამალი გაუთავდათ და... — ბაბუამ აფრასიონ მერკვილაძის სურათს შეხედა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

ბიჭებიც სურათს მისჩერებოდნენ, მამაცი კაცის სურათს, ცოცხალივით რომ იყურებოდა უბრალო ჩარჩოდან. თითქოს ისიც ყურს უგდებდა იპოლიტე მერკვილაძის ნაამბობს და არ ეთანხმებოდა, რომ იგი მკვდარი იყო, ჯალათების მიერ გულგანგმირული. სურათი ამის საბაბს არ იძლეოდა. კაცი ცოცხლად იყურებოდა. და ალბათ ასე იქნება სულ, სულ... ამას ჰქვია უკვდავება.

იმავე საღამოს იპოლიტემ შვილებს ახალი სიმღერა შეასწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა ხმადაბლა დაიწყო:

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა.
ოცი ტყვია მკერდში მოხვდა
— თხილის კაკალი ეგონა...

ეს რომ ერთად დაიმღერეს და კარგად გამოვიდა, ბაბუა იპოლიტემ განაგრძო:

მიწაში რომ ჩაასვენეს,
თავის გარემო ეგონა,
გულზე მიწა დააყარეს
— თბილი საბანი ეგონა,
სასაფლაოს მიაბარეს,
თავი სიზმარში ეგონა.

ცოტა ნაღვლიანი სიმღერა იყო, მაგრამ მასში ვაჟკაცური სული მაინც ტრიალებდა და ბიჭებს ძლიერ მოეწონათ. კარგა ხანს მღეროდნენ. ალბათ ბევრმა კიცხელმა დაიძინა კიდეც. ბიჭებს ძილი არ ეკარებოდათ და ვინ იცის მერამდენედ იწყებდნენ:

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა.

ზოგჯერ ბაბუა იპოლიტესაც ეწვეოდნენ მეზობლები. ბუხრის პირას ტაბლასთან მიმსხდარნი მუდამ სოფლისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ. ოცდაათიანი წლები იყო. გლეხობა ჯეროვნად ვერ ერკვეოდა რას მოუტანდა მათ კოლექტიური შრომა. ზოგმა წერა-კითხვა არ იცოდა. ქვეყნის ამბები კი არა, ბევრჯერ მეზობლური ამბები ვერ მოეგვარებინათ, ახალი არ აინტერესებდათ, ძველსა და მიჩვეულს ბრმად ებღაუჭებოდნენ. მაგრამ უმეტესობას ახალი ცხოვრება ეწადა, მომავალს იმედის თვალის შეჰყურებდნენ. ერთ-ერთი ასეთი იმედიანი კაცი იპოლიტე ბაბუა იყო, რომელსაც ჰირის დღესავით ეზარებოდა მოწუწუნე კაცი, მისი სიტყვა სარწმუნო იყო, შორს გახედული და დამაფიქრებელი.

გივი და თენგიზი, შოთას მომდევნო ძმები, თუ არხეინად მიიძინებდნენ და ბუხართან მიმსხდარი მეზობლების საუბარი არ გაეგებოდათ, არც აინტერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებდათ, შოთა ყურებდაცქვეტილი იყო. თავს მოიმძინარებდა და უფროსების წალაპარაკევს ხარბად ისმენდა ფარლალლა კარს იქით. ისმენდა და გულში იბეჭდავდა. გლეხები ცხოვრებაზე მსჯელობდნენ, ცხოვრებაზე, რომლის სითბოსა და სუსხს უკვე განიცდიდა ყმაწვილი. იგი მგრძნობიარე ბავშვი იყო და როცა დედ-მამა მოენატრებოდა, ცრემლს ძლივს იკავებდა. ის დღე ზეიმად ექცეოდა, როცა მისი მშობლები კიცხში ჩამოვიდოდნენ. ეს იყო ბედნიერი წუთები, თუკი რამ ახსოვს სასიხარულო ბავშვობიდან; ვალია თექვსმეტი წლის იყო, როცა შოთა ეყოლა. ეს იყო ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელსაც კიცხელები სიყვარულითა და მოწიწებით ეგებებოდნენ, როცა იგი შვილებისა და დედამთილ-მამამთილის სანახავად ჩამოდიოდა. თავადის ქალებს არ ღირსებიათ ასეთი პატივი. მეზობლები მოსაკითხით მოდიოდნენ. ვალია თავისი შვილების ალერსში იყო, სამივეს ერთად იკრავდა გულში.

— მალე, სულ მალე ერთად ვიქნებით, — ალერსში ამ სიტყვებს აქსოვდა ქალი.

ის დღე იყო და, ალვის ხიდან რომ ჩამოვიდა შოთა, მთლად შეიცვალა იგი. მისი ბავშვური გატაცების აფრებს სხვაგვარმა სიომ დაუბერა, სიო გაძლიერდა და აფრებიანი მისი ოცნების ნომალდი შორს გაიტაცა.

სიმაღლისაკენ ლტოლვა დასჩემდა. ადიოდა სახლის სახურავზე, მაღალ ხეებზე, გორაკზე და კარგა ხანს ზემოდან დაჰყურებდა სოფლის შემოგარენს, გზაბილიკებს, კარ-მიდამოებს, ყანებსა და ბაღებს, მდინარეს, ჭალას... ოცნებობდა მაღლა, სულ მაღლა და შორს გაფრენილიყო.

ზამთრის არდადეგები მოახლოვდა. ბავშვები დაითხოვეს. შოთა სკოლიდან რომ დაბრუნდა, ბაბუა იპოლიტეს ნიშნების ფურცელი არ მოუთხოვია, შვილიშვილის ჩანთა გახსნა, ფურცელი თვითონ ამოიღო და სანამ სათვალეს მოირგებდა, შოთას გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

ბაბუამ პელაგიას გასძახა:

— ყური მიგდე შენც!

— აგერ ვარ, იპოლიტე.

— ქართული — ფრიადი. ყოჩაღ! წერა — საშუალო, — სათვალეს ზემოდან გადმოხედა თავდახრილ ბიჭს იპოლიტე ბაბუამ, — ატყობ, რომ დიდი განსხვავებაა, ხომ?

— კი, ბაბუა.

— გეოგრაფია... ორიანი, ბიჭო?! ფუი, შეგირცხვა სინდისი! აკიო, ასეო და ისეო... გამაცურეს ამ ხნის კაცი და ესაა! — გადაირია იპოლიტე ბაბუა. უნდა წამომხტარიყო. ამის მერე რას იზამდა, კაცმა არ იცოდა. წამოიწია გაბრაზებულმა. პელაგიამ ქმარი დააშოშმინა:

— როგორ გინდა ახლა, ასე უცებ... წაიკითხე დანარჩენი, შე კაცო, იქნებ რა წერია... ერთმა ორიანმა რავა გადაგრია, ბავშვს წინა მეოთხედში ხუთი ორიანი არ ყავდა?

— არც ეს უნდა იყოს! — დაიყვირა ბაბუმ, — რა პასუხს აძლევ ამ კაცს?

იპოლიტემ ჯერ შვილიშვილს შეხედა, მერე აფრასიონ მერკვილაძის სურათს.

აფრასიონი ცოცხლად და მკაცრად იყურებოდა. შოთას თვალი შეჩვეული ჰქონდა ამ სურათზე და იქითკენ არც კი გაუხედავს, ისედაც თვალწინ დაუდგა აფრასიონის სახის ვაჟკაცური იერი. ბაბუამ ნიშნების ფურცელს თვალი გააყოლა.

— არითმეტიკა — კარგი. — ხმაში სილბო გამოერია. დაშოშმინდა, დაწყნარდა. ალბათ ქვემოთ უფრო საიმედო რამ ეწერა. შოთამ წინ წამოდგა ნაბიჯი.

— ისტორია — კარგი... ე, ბიჭო, ამირიე ტვინი და ეგაა... რა ღმერთი გაგიწყრა ამ გეოგრაფიაში? ფიზკულ-

ტურა — ფრიადი, სიმღერა — ფრიადი...

— შენ კი გადირიე, იპოლიტე, — სახე გაუბრწყინდა პელაგიას. ამდენი კარგი ნიშნის გაგონებაზე უცებ მიავიწყდა ალბათ გეოგრაფიის ორიანი.

— მასწავლებელი ჩამაჯინდა, — თავი იმართლა შოთამ.

— ჩაგაჯინდა ახლა, მამულებს ეცილებოდი! — ჩაიქირქილა იპოლიტემ.

— იქნებ მართლა ჩააჯინდა? — შეილიშვილს გამოექომაგა პელაგია, — მიდი, შე კაცო, სკოლაში და გაიგე, რა მოხდა, რატომ დაუწერა ცუდი ნიშანი.

მეორე დღეს ბაბუა იპოლიტე საგანგებოდ გამოეწყო და სკოლისაკენ გასწია.

ახალი წელი ახლოვდებოდა. საკვამურებიდან ამოსული კვამლი ღრუბლებამდე ასვეტილიყო. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ემზადებოდა ახალი წლის შესახვედრად. და იდგა ისეთი სიწყნარე სოფლად, თითქოს კიცხში კაციშვილი არ სახლობდა.

დეკემბერი მიიწურა. მაგრამ კიცხში ჯერ არ მოსულა პირველი თოვლი. ცა კი დიდი ხანია საავდროდ იყო შემზადებული. კავკასიონის ქედის დათოვლილი ზურგი ბარში სუსხს ფენდა.

იპოლიტე სკოლას მიადგა. მართალია სწავლა შეწყვეტილი იყო, მაგრამ მასწავლებლები მეორე მეოთხედის ბოლო საქმეებს ითავებდნენ.

ბაბუამ ჯერ შოთას კლასის ხელმძღვანელი მოინახულა.

— აჰ, ის ორიანი რომ არ გამოყოლოდა! — სინანულით გააქნია თავი მასწავლებელმა, — თქვენი მობრძანების შემდეგ, შოთას საგრძნობი გამოსწორება დაეტყო, დამჯერი გახდა...

ის კი არ უთხრა მასწავლებელმა, მე რომ წერილი გამოგიგზავნეთო. თქვენი მობრძანების შემდეგო.

იპოლიტეს ესიამოვნა მასწავლებლის სიტყვები. მერე კლასის ხელმძღვანელმა უცხო ახალგაზრდა კაცი გააცნო.

— ეს გახლავთ გეოგრაფიის მასწავლებელი.

—გამარჯობა, ბიძიკო! — თავი მდაბლად დაუკრა იპოლიტემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის ხელმძღვანელი გაეცალა პირისპირ დარჩენილთ.

— არ სწავლობს, ბატონო, აბსოლუტურად არაფერი იცის გეოგრაფიაში. ამბობენ სიმღერაში ფრიადი აქვსო. ორიანის პატრონს რა ამღერებდა! — ჩაიქირქილა გეოგრაფიის მასწავლებელმა და განაგრძო, — იმასაც ამბობენ... — ღიმილი პირზე შეაცივდა და იპოლიტეს ისე შეხედა, სათქმელი ეთქვა თუ არ ეთქვა, ორჭოფობა აშკარად დაეტყო.

— ჰო, რას ამბობენ, მაინც? — მასწავლებლის დამცინავმა ღიმილმა გული ატკინა იპოლიტეს.

— ბაბუამ გაათამამაო.. ბოლოს და ბოლოს, მარტო სიმღერის სწავლით ხომ არ შემოიფარგლება ბავშვის აღზრდა!..

ჭკუას ეს ვინ მარიგებსო, ბაბუამ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა მასწავლებელი.

— ბიძიკო, რამდენი წლის ბრძანდებით? — თავშეკავებით კითხა იპოლიტემ და როგორც ყოველთვის, ახლაც შეუმჩნევლად მოაწვა ბოლმა ყელში.

— რა შუაშია ჩემი წლოვანება?

— არა, მაინც?

— ოცდარვა წლის ვარ.

— ორჯერ მეტი ვარ შენზე.

— კეთილი და პატიოსანი.

— თქვენ ბრძანეთ, სიმღერაში ფრიადიო, — ალმაცერად შეხედა იპოლიტემ ახალგაზრდა კაცს, — თუ ხედავთ, მე რაც ვასწავლე ფრიადი რომ ყავს იმაში... შენ კი, ყმაწვილო. გეტყობა კარგად ვერ ასწავლე ორიანი რომ მიიღო.

ეს უთხრა, თავი მდაბლად დაუკრა ერთ ადგილზე გახევებულ მასწავლებელს და ისეთი ნაბიჯით გაშორდა, მასწავლებელს აგრძნობინა გულმოსული რომ იყო.

ის ორიანი, რასაკვირველია, დროთა განმავლობაში გამოსწორდა. მაგრამ

შოთამ ნიშნები მაინც ვერ გაათანაბრა, ყველა საგანს ერთნაირად ვერ ერეოდა.

იპოლიტეს კარგად ესმოდა, ზოგს იმის უნარი რომ არ შესწევს ერთნაირად დასძლიოს ყველა საგანი. ვის რაში ეძალება ნიჭი. „მთავარია ცუდი ნიშანი არ ქონდეს ბავშვს!“

სოფელი წელს იმაგრებდა, კოლექტივი ღონიერდებოდა. იპოლიტე და პელაგია კი ამბობდნენ, წლები გვაკლდებაო. მათი სიტყვები გასაგები გახდა მაშინ, როცა შოთამ ანალიზი გაუკეთა — ბებია და ბაბუა ბერდებოდნენ.

ბერდებოდნენ. მაგრამ ჯერ მაინც ყოჩაღად იყვნენ.

— წლები ჩვენ გვაკლდება, თქვენ გემატებათ, — ეტყოდა ბიჭებს იპოლიტე და სიყვარულით შეჰყურებდა ზრდაში წასულ ყმაწვილებს — მერკვილაძეების სამი ბოკვერი დღითი დღე ვაჟკაცდებოდა.

მერვეკლასელი შოთა საღამოობით ტაბლაზე ბაბუას გვერდით ჯდებოდა, როცა მეზობლები ეწვეოდნენ. მეზობლებს კი ქვეყნის ამბები მოჰქონდათ, ზოგი გაზეთში ამოკითხული, ზოგიც ზესტაფონში გაგონილი.

მართალია შოთას რამდენიმე წლის წინ გეოგრაფიაში ორიანი ჰქონდა ორ მეოთხედში, მაგრამ შემდგომ ამ „აბსოლუტურად უცოდინარმა“ ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა ამ საგანში, მასწავლებელს გაკვეთილებში უსწრებდა და ბევრი რამ იცოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაზე.

დილიდანვე მოუსვენრად იყო იპოლიტე ბაბუა. ხუმრობა საქმეა, სამივე შვილიშვილი მიჰყავთ ერთბაშად, შორს, ლიხსგადაღმა ქალაქში. არ კმაროდა შვილისა და რძლის შორს ყოფნა? ახლა შვილიშვილებიც წავლენ. მარტონი დარჩებიან პელაგია და იპოლიტე, ერთმანეთს მიაჩერდებიან და მძიმედ, მძიმედ დაითვლიან დღეებს — როდის მოვა მეორე ზაფხული.

მარტოობის სიმძიმე კარგად იცის იპოლიტემ, მაგრამ რა ქნას, მშობლებს თავისთან უხარიათ შვილები. დროა ერთად იყვნენ. აქამდეც იყო დრო და უნდა წაეყვანათ, მაგრამ ოჯახის ცხოვრება ბევრჯერ ისე ვერ ეწყობა, როგორც გსურს.

მიჰყავთ. უნდა წაიყვანონ. ამ აზრს შეგუებულია იპოლიტე. ერთი ხანობა კი იფიქრა, მოდი, ვთხოვ გრიშას, ეს პატარა თენგიზი მაინც დამიტოვოს, გავზრდი, დავავაჟკაცებ და მერე, კი ბატონო, წაიყვანონ ესეც. მანამდე კი იპოლიტეს და პელაგიას შინ ხმის გამცემი ეყოლებათ, საზრუნავი ექნებათ. საღამოობით კიდევ დასხდებიან ბაბუა და შვილიშვილი და ახალ-ახალ სიმღერებს ააწყობენ.

ნუთუ სულ უნდა დადუმდეს მერკვილაძეების კერა? ნუთუ მეზობლებს ზაფხულის დადგომამდე მონატრებენ სიმღერებს? მეზობლებს კი ბევრჯერ უთქვამთ იპოლიტესთვის: შენმა მოდგმამ გაიხაროს, რავარც შენ და შენი შვილიშვილები გვასიამოვნებთ თქვენი სიმღერებითო. ესე იგი მოსწონთ, უყვართ, მოელიან... ამიერიდან კი..

ვერ გაბედა შვილისათვის ეთქვა, თენგიზი მაინც დამიტოვეო.

მთელი დღე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ბიჭები თანატოლებს ეთხოვებოდნენ. ისინიც არ შორდებოდნენ. თითქმის მთელი სოფლის გოგო-ბიჭები იპოლიტეს ჭიშკართან იყვნენ.

იპოლიტემ ურემი გამართა. პელაგიამ ურემზე ლეიბი დააგო, მუთაქებიც დაყარა. თბილისში წამსვლელები კიცხიდან საღამო ხანს უნდა გასულიყვნენ. ბებიამ თადარიგი დაიჭირა, იქნებ გზაში რომელიმეს თვლემა მოერიოს, ურემში მიწვება და ცოტა ხანს მიიძინებსო. პელაგია ჩუმად იყო იმ დრომდე, ვიდრე წამსვლელები გზას არ დაადგნენ. მერე წაიზლუქუნა. იპოლიტემ შეუტია:

— სატირალი რა გაქვს, შე ქალო! შეხედე მერკვილაძეებს! — გვარი ისეთი რიხით წარმოთქვა, თავის დროზე ბაგრატიონებსაც გაუჭირდებოდათ ასეთი თავის მოწონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომწერეთ ხოლმე, ბებია... ხშირად მომწერეთ, — თავშლის ბოლოთი იმშრალებდა ცრემლს პელაგია. მერე შვილიშვილები გულში ჩაიკრა. უწინ სამივენი ეტეოდა მკერდზე, ახლა ხელებიც ვერ შემოაწდო.

ურემში დაიძრა.

— კარგად იყავი, დედაჩემო. მალე ამოგხედავ. არ იდარდო, — გრიშა დედას მოეხვია, მხურვალედ დაკოცნა და მერე ჰიშკარში გასულ ურემს წამოეწია.

გოგო-ბიჭებმა სოფლის ბოლომდე გააცილეს ქალაქში მიმავალი ამხანაგები.

როცა ურემი გასცდა, ჯგროდ, ერთ ჯგუფად გზაზე დარჩენილთ, შოთამ ცრემლით სავსე თვალები მოარიდა ძმებს. არ ეთმობოდა სოფელი, მაგრამ ქალაქში მაინც მიუხაროდა — იქ დედა იყო. დედა ელოდა მათ.

მიდიოდნენ. ურემი გზაზე მიჭრიალებდა. ზაფხულის ვარსკვლავებიანი ღამე დგებოდა. ირგვლივ ჭრიჭინობელებისა და ვასაკების ხმა გაისმოდა.

მამა და შვილი ურემს წინ მიუძღოდნენ. ჩუმად ლაპარაკობდნენ.

ბიჭები ერთ ხანს უკან მიჰყვებოდნენ ურემს. თენგიზი მალე მოიღალა და ლოგინზე აძვრა. თავი მუთაქაზე მიდო და მიიძინა. გივისაც მოეწყინა. აძვრა ურემზე და ძმას მიუწვა. შოთა ურმის კოფოზე შემოჯდა.

ხარები მიიზლაზნებოდნენ. არ ჩქარობდნენ, რადგან წინ მამაკაცები დინჯი ნაბიჯით მიდიოდნენ.

ნელა იარეს და კარგად იყო შელამებული ზესტაფონში რომ შევიდნენ. ურემი რკინიგზის სადგურის შენობასთან გააჩერა იპოლიტემ. შოთა კოფოდან გადმოხტა, გივიმ თავი წამოყო.

— მოვედით? — იკითხა ნახევრად მძინარემ.

— კი, თბილისში ვართ. — გაეხუმრა შოთა.

თენგიზსაც გაეღვიძა, წამოჯდა და თვალები მოისრისა. გრიშა სადგურის შენობაში შევიდა ბილეთების საყიდლად.

იპოლიტე შვილიშვილებთან დარჩა.

— მოიწი აქეთ! — აღელვებული ხმით მიმართა მან თენგიზს.

თენგიზმა ურმის ბოლოში გადმოიჩოჩა.

— გძინავს?

— არა, ბაბუა, — ყოჩაღად შეაქნია თავი თენგიზმა. ძილი კი ყველაფერს ერჩივნა.

— არ გვემღერა, ბიჭებო? — იკითხა იპოლიტემ და ხელები ლონივრად მოხვია შოთას და გივის. მჭიდროდ ამოიყენა აქეთ-იქიდან.

და როცა გრიშა სადგურიდან გამოდიოდა, კარებში გაჩევდა. ურემთან ბაბუა და შვილიშვილები ხმადაბლა მღეროდნენ. ახლო-მახლო მცხოვრებ ზესტაფონელებს ალბათ მისწვდათ ყრუდ, შორეულად... ზესტაფონელებს სიმღერით როგორ გააკვირვებ. მაგრამ ეს სულ სხვანაირი იყო, რადგან ასე მღელვარედ არასოდეს უმღერია ბაბუა იპოლიტეს.

თბილისი, რასაკვირველია, ოდნავადაც არ გავდა კიცხს, არც ზესტაფონს. შოთას კიდევ რაღაც ახსოვდა ამ დიდი ქალაქიდან, გივი და თენგიზი გაოგნებულები იყვნენ, მთლად სოფლელი, ტლუ ბიჭები. მერკვილაძეთა მეზობლები ისე უყურებდნენ და ათვალიერებდნენ, თითქოს გრიშასა და ვალიას საკუთარი შვილები კი არა, აფრიკიდან თუთიყუშები ჩამოეყვანოთ, რაღაც ასეთი შთაბეჭდილება დარჩა შოთას. რამ გადარია ეს ქალაქელი ხალხი! იქნებ უნდათ ამით მეზობელს ასიამოვნონ, ეს რა ლამაზი ვაჟკაცები გყავთო. ასე დაკვირვებითა და გაფაციცებით ჯერ მათთვის არავის შეუხედავს. აბა, მაშინ რას იზამს ეს ხალხი, კიცხელი გოგო-ბიჭებით რომ გაივსოს ეზო? გადირევიან?

მაგრამ სულ მალე შეწყდა ბიჭების დათვალიერება-გაცნობა. პირველ სექტემბერს გრიშამ ბიჭები სკოლაში წა--

იყვანა. ახალი სკოლა, ახალი მასწავლებლები, ახალი ამხანაგები. რასაკვირველია, მეზობლებივით ისინიც ახედდახედავნენ, შეათვალიერებდნენ, გაეცნობოდნენ. ო, როგორ არ უყვარს შოთას ასეთი ამბები.

ძმები თავ-თავიანთ კლასებში განაწილდნენ.

შოთა მეცხრე კლასში დაჯდა. მოელოდა, რომ ქალაქელი გოგო-ბიჭები ქედმაღლურად შეხედავდნენ სოფლიდან ჩამოსულს, მაგრამ ვითომც არაფერი, ბევრმა ისე შეხედა, თითქოს პირველ კლასიდან მასთან იყო შეამხანაგებული. და შოთას გულზე მოეშვა. თავი თავისუფლად იგრძნო. ბიჭებს პირველსავე დღეს შეუთამამდა.

სკოლა, როგორც ყველგან, თავისას მოითხოვდა — სწავლას და დისციპლინას. სოფელში ზოგიერთი მასწავლებელი თუ ზერელედ, აგდებით ასწავლიდა ბავშვებს, ქალაქის სკოლაში ბიჭებმა ცოტა მეტი სუსხი იგრძნეს. კიცხიდან ცოდნის საკმაო მარაგი ვერ ჩამოჰყვათ.

დედამ თავიდანვე შეატყო, რომ სამივეს სწავლა გაუჭირდა, ამიტომ შვილებს ჩაუჯდა და ის, რაც იძულებით წლობით დააკლო, ახლა ერთბაშად სურდა აენაზღაურებინა. გულს ერთი რამ უკეთებდა ვალიას — მისი შვილები თვინიერი და წესიერი ბიჭები იყვნენ.

იპოლიტეს აღზრდილთ მოსდგამდათ იმერული მოკრძალება და ზრდილობა. შინ მეზობელიც რომ შემოსულიყო, ბიჭები მაშინვე ფეხზე წამოდგებოდნენ და მანამდე არ დასხდებოდნენ, ვიდრე არ ეტყოდნენ, დაჯექით. ეს ამბავი სამაგალითოდ ექცათ მეზობლებს. ისინი თავიანთ შვილებს მერკვილაძეების ბიჭებზე მიუთითებდნენ, ზოგიერთი გულღრჯო თავის შვილს კიდეც წაუსისინებდა: სოფლელმა როგორ უნდა გაჯობოსო.

ვალიას სწორედ ამ „სოფლელებით“ უხაროდა, თავის დედამთილ-მამამთილს ემადლიერებოდა შვილების არა მარტო გაზრდისთვის, აღზრდისათვისაც. და კიდევ ერთი ჩვევა გამოჰყვათ ძმებს: ძილის წინ უთუოდ რასმე იმღერებდნენ ბაბუას რეპერტუარიდან.

ნეტარებით შეჰყურებდნენ ვალია და გრიშა შვილებს, ტკბილ იმერულ სიმღერებს რომ აღუღუნებდნენ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახში ბედნიერებამ შემოდგა ფეხი და როგორც ოჯახის მეექვსე წევრი, ამიერიდან მათთან განუყრელი იყო.

ბიჭები მღეროდნენ. ო, რას მღეროდნენ! ზოგჯერ ხმამაღლა შემოსძახებდნენ, რიხიანად, ვაჟკაცურად, ღია ფანჯრებიდან, ქუჩას, უბანს ეფინებოდა მათი წკრიალა ხმები...

— აქამდე სად იყავით, სად! — შეხაროდნენ მეზობლები.

— კიცხის კონსერვატორიაში, — კმაყოფილებით ამბობდა გრიშა მერკვილაძე.

ბაბუა იპოლიტეც რომ აქ ყოფილიყო, მაშინ ენახათ მეზობლებს რა შესძლებიათ მერკვილაძეებს.

ბაბუა იპოლიტე კი იმ დროს ალბათ თავისთვის ნაღვლიანად ღიღინებდა და შორეულ ზაფხულს ელოდა.

მალე შოთას შეუჩნეველი არ დარჩა ერთი მეათეკლასელი ბიჭი, რომელსაც განსაკუთრებული პატივით ექცეოდნენ მასწავლებლები და უფროსკლასელები.

ამ ბიჭს მფრინავს ეძახდნენ.

ჩვენი მფრინავი მოვიდაო, და მისი დანახვა უხაროდათ.

პირველ ხანებში შოთას ეგონა, რომ სოსო ბეკოევს მფრინავს იმიტომ ეძახდნენ, კარგად რომ სწავლობდა, სკოლას ფრიადზე ამთავრებდა. მერე თანაკლასელისაგან გაიგო, რომ სოსო ბეკოევი მფრინავი-პლანერისტი იყო.

აქამდე ბეკოევი შოთასთვის თუ ჩვეულებრივ მოწაფედ ითვლებოდა, ეს ბიჭი ლამის სალოცავ ხატად იქცა მის თვალში.

მფრინავი!

მარტო ამ სიტყვის გულში გავლები-

სასაც კი ქრუანტელი გასცრიდა ხოლმე შოთას. აგონდებოდა სოფელში როგორ დაძვრებოდა ალვის ხეებზე, სახურავებზე, გორაკებზე. როგორ ეპოტინებოდა ცას, მაგრამ ცა ფრთების გარეშე ხომ არავის იკარებს. და არც შოთას იკარებდა. ცას ფრთები უნდა. ცის შვილები ფრთოსნები არიან. და აი სოსო ბეკოევი მისი შვილი ყოფილა.

სოსო თუ ბიჭებში დგას — იქვე აიტუზება შოთაც.

სოსო სკოლიდან შინ ბრუნდება — ფეხდაფეხ მისდევს შოთა.

სოსო ჯერ არ მოსულა სკოლაში, სკოლის კართან ელოდება შოთა. აგერ ისიც. და გული ისე გამალებით უძგერდა მის გამოჩენაზე, თითქოს სოსო ბეკოევი კი არა, იმ დროს სახელგანთქმული, ლეგენდარული ვალერი ჩკალოვი გამოჩენილიყოს.

უნდა რომ გამოელაპარაკოს. მისთვის სახეში შეხედვაც ვერ გაუბედავს. თითქმის მისი ტოლი კი არის. მისი ტოლი და უკვე მფრინავი. ასეთი პატივით და დიდებით რომ არის სკოლაში გარემოცული.

ერთხელ გაბედა და მიმართა:

— მართალია, შენზე რომ ამბობენ მფრინავიაო?

— მართალია, — უპასუხა ბეკოევმა.

— სულ მაღლა, მაღლა დაფრინავ?

— ჯერ მანამდე სადაა! — გაიცინა ბეკოევმა, — ნამდვილ თვითმფრინავშიც არა ვმჯდარვარ. პლანერით კი დავფრინავ.

— ნეტავი შენ! — შენატრა შოთამ და ისეთი თვალებით შეხედა, ბეკოევმა მაშინვე მხარზე დაჰკრა ხელი.

— შენც გინდა იფრინო? — კითხა მან აღფრთოვანებით.

— მინდა რომელია! — თვალები ლამის გადმოუცვივდა შოთას.

—მაგაზე ადვილი რა არის. მხოლოდ სიმაღლის არ უნდა გეშინოდეს და გულადი უნდა იყო.

— არც სიმაღლის მეშინია და გულიც მაგარი მაქვს.

— მაშინ, იცი რა გითხრა, მიგიყვან ჩვენს ხელმძღვანელთან. იქ სულ ჩვენისთანა ბიჭები არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სოსო!

— არ უნდა ამას ბევრი ჩიჩინი... პირველად რომ გაგაფრენენ, მერე ვილაპარაკოთ.

— მერე რაღა მექნება სალაპარაკო?

— ზოგი ვერ უძლებს. მაშინვე ფრთხება და მიდის.

— მე გავუძლებ, გავუძლებ, ისე გავუძლებ, რომ... — აღელდა შოთა. ისე აღელდა თითქოს უარი უთხრეს, გულადობაში არ ენდნენ, ვაჟკაცობა დაუწუნეს და ცის შვილი რომ გამხდარიყო, ამის ღირსად არ ჩათვალეს. ბეკოევი რა, ავიაციის მთავარსარდალი იყო, მას რომ გადაეწყვიტა შოთას ბედი? მაგრამ ყმაწვილი მაინც შეშინდა რატომღაც, არ წამიყვანს თავის ხელმძღვანელთან და ოცნება ჩამეშლებაო.

— გამოგივლი. სად ცხოვრობ?

სოსო ბეკოევმა მისამართი დაუწერა და მერე გააფრთხილა:

— დედ-მამას ჰკითხე. ზოგი მინდვრიდან აჭრელებული წაუყვანიათ.

— როგორ თუ აჭრელებული?!

— ჰო, ერთმა კაცმა თავის შვილს ჩვენ წინ ქამრით სცემა, ეს რა გაგიბედნია და სად მოსულხარო. მე კი მამაჩემმა მითხრა, რახან გული გერჩის, წარმატებას გისურვებო... სულ სიხარულის ცრემლი მოსდიოდა ჩკალოვი, ბელიაკოვი და ბაიდუკოვი ამერიკაში რომ ჩაფრინდნენ, ნახე, შვილო, სად ავიწიეთ და სადამდე გავიწიეთო! როცა მამა ასე ამოგიდგება მხარში, პლანერის ფრთებთან ერთად სხვა ფრთებიც გემატება და უფრო ლაღად ფრენ, გწამს, გიტაცებს, გჯერა, რადგან შენიც სჯერათ და შენგან ბევრ რამეს მოელიან... შენიანებმა იციან?

— არა, არავინ არაფერი იცის.

— მამაშენი გამოსცადე. როგორმე ჰკითხე, ისე, რა აზრის იქნები-თქო, მე რომ მფრინავი გავხდე-თქო. თუ ქამარს წამოავლო ხელი, გაგიჭირდება, რასაკვირველია. ცოტა ხანს, სანამ კაცი გახ-

დები. მაგრამ ხომ გაგიგონია, არწივები თავიანთ მართვებს ჯერ კიდევ ადრევე ასწავლიან ფრენას. არწივი მართვეს დაისვამს ზურგზე, აიყვანს სულ მაღლა, მაღლა, ზურგიდან გადმოაგდებს და... იფრინე, შვილო! აი, ცის შვილებმა რა იციან. სანამ ახალგაზრდები ვართ უნდა ვისწავლოთ ფრენა, თორემ მერე, რა ვიცი... ჩვენი მასწავლებელი გვეტყვის ხოლმე: მამაკაცი რომ დამძიმდება, წონაში კი არა, წლოვანებაშიაო, მერე მისი ფრენა ვიღამ თქვაო. ჰოდა, აბა, მიდი, დღეს და ხვალ დრო გაქვს. სულ ერთია ჩვენი ხელმძღვანელი მაინც გკითხავს, დედ-მამამ თუ იცისო. სწავლის საქმე როგორ გაქვს? ნიშნებსაც გვისინჯავს.

— სამიანებიც მაქვს. არ მიმიღებს? — ისევ დასწყდა გული შოთას.

— მიგიღებს, მაგრამ გეტყვის, მფრინავს მეტი ცოდნა მართებსო.

— შენ ფრიადოსანი ხარ, ვიცი... ეჰ! სოფელში ვსწავლობდით მე და ჩემი ძმები... რა ვიცი, იქნებ ეს სამიანებიც გამოვასწორო... მეოთხედის ბოლოს ვნახოთ, ვეცდები არ მქონდეს.

— მოიწადინე და... მოწადინებით არ არი!

რა სახენათელი და გულღია ბიჭია სოსო! დადექი და ელაპარაკე რამდენიც გინდა, არ მოგწყინდება.

სოსო ბეკოევს რომ დაშორდა, შოთა აფორიაქებული იყო. შინ რომ მოვიდა, მოუსვენრად წრიალებდა. გონებაში მამას ესაუბრებოდა და უმტკიცებდა. რომ ფრინავობა არის მისი ერთადერთი ოცნება, დიდი ხნის ოცნება, რომ მისი გული და სული ცის ლაჟვარდოვან სივრცეს, ქულა ღრუბლებს ეპოტინება, რომ მას არაფერი აღელვებს, სხვა არაფერი იტაცებს.

დედა სამსახურიდან დაბრუნდა. იქნებ ჯერ დედას გაენდოს, მერე მამას? თუ შეცხადება, ქალებმა უფრო იციან შეცხადება, შიში და უარი. შვილს როგორ გაიმეტებს საფრენად! ვაითუ... მთელი ცხოვრება სულ „ვაითუზე“ უნდა იყოს და ყოველი მისი გაფრენა შიშით ავსებდეს დედის გულს.

— დედა, მე ახლა პატარა აღარა ვარ. — ისეთ კილოზე დაიწყო შოთამ, თითქოს ქალის დასანიშნად უნდა წავიდესო. ალბათ ამიტომ მიაჩერდა გაკვირვებით დედა, ბიჭი ალბათ შეყვარებულია და ახლა უნდა გამანდოს თავისი გულში ნადები გრძნობაო. ვალიას ესიამოვნა კიდეც, რომ მისი შვილი გულახდილი იყო და არაფერს უმალავდა. ასეთი ურთიერთობა მათ შორის დიდი ხანია გამტკიცებული იყო.

— აღელვებული ჩანხარ, შოთა... სკოლაში რამე ხომ არ შეგემთხვა ცუდი? — დედა გვერდით მიუჯდა და შვილს მხარზე მოხვია ხელი.

— არა, ცუდი არაფერია... მინდა რაღაც გთხოვო. ოღონდ მომეცი სიტყვა, რომ უარს არ მეტყვი! — შეევედრა შოთა.

— ასეთი პირობით თანხმობა რა საჭიროა, თუკი კარგი საქმეა! გიყვარს ვინმე?

შოთას უცებ აუწითლდა ლოყები.

— არა. რას ამბობ! — თქვა უცებ და შერცხვა დედისა.

— არაფერია გასაკვირი. შენ ახლა თხუთმეტი წლისა ხარ. შენს ასაკში ყველაფერია მოსალოდნელი, გატაცება, სიყვარული...

— ერთიც და მეორეც — გატაცება და სიყვარული! — უცებ შეუთამამდა დედას და გაბედულად შეხედა თვალებში.

ვალიას თვალები მშვიდი და ალერსიანი ჰქონდა. ქალი მოელოდა, რომ შვილი კიდევ ეტყოდა რამეს, რადგან ბიჭი წამოეგზნო. იგი წამოდგა და ფანჯრიდან ცისკენ გაიშვირა ხელი.

— აგერ, ჩემი გატაცება და სიყვარული. მე მფრინავი მინდა გავხდე! — შოთა პირით ფანჯრისკენ იდგა. ეს თქვა და გულშეკუმშული დაელოდა დედის ხმას. თითქოს სუნთქვაც შეეკრა. აი, ახლა, ამ წუთებში გადაწყდება მისი ბედი. აი. ახლა დედის ერთი სიტყვა ან ფრთებს შეასხავს, როგორც ბეკოევმა

უთხრა, დამატებითსაუჩინარს, მაგრამ ძლიერ ფრთებს, ანდა...

ცა იყო ლურჯი, კამკამა, მომღიმარი, მიმზიდველი, საოცრად მიმზიდველი, და თბილი, როგორ დედის ალერსი, როგორც დედის უბე. და ერთ წუთს, იმ მდუმარების ერთ წუთს, შოთამ გულში ჩუმად ჯიუტადაც გაივლო: „სულ ერთია მაინც!“

ქალს არაფერი უთქვამს. შოთას მოესმა ტახტის ჭრიალი, მერე დედის ფეხის ხმა. ქალი მისკენ მოდიოდა. სულ რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა. შოთამ იგრძნო დედის ორივე ხელი. მან შვილს თავში მოკიდა ხელები, თავისკენ შეაბრუნა და ლოყაზე აკოცა.

— შენი ჭირიმე, ჩემო დედიკო! — ისე იყვირა შოთამ, ფანჯრის მინებმა დაიზრიალეს.

საღამოს მამამ თქვა:

— მე ასე მწამს: ვაჟკაცი ვაჟკაცურ საქმეს უნდა ეწიოს. თუ გული ცისკენ მიგიწევს, არწივად დაბადებულხარ და უნდა გაფრინდე კიდეც!

დანიშნულ დროზე გაუარა შოთამ ბეკოევს. ერთად გაეშურნენ ქალაქგარეთ. ერთ დაცემულ ველზე გავიდნენ. შორს რაღაც საგნები მოჩანდა. უცებ შოთას მოხშირებით აუძგერდა გული.

მინდორში ორი ფრთაგაშლილი მანქანა შენიშნა.

— აგერ მთელი ჩვენი ტექნიკა. — შორიდანვე მიუთითა ბეკოევმა.

— თვითმფრინავებია?

— თვითმფრინავები კი არა, პლანერებია.

— თვითმფრინავები? თვითმფრინავები სადღაა?

— თვითმფრინავები ცალკე აეროდრომზეა... იქამდე, ჩემო ძმაო, ჯერ შორსაა.

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა? — გაიღიმა ბეკოევმა.

— ჩამდვილმა ფრინავებმაც ასე დაიწყეს?

— ეს აუცილებელია. როგორც თოთო ბავშვისათვის ჭოჭიალა... პლანერი მფრინავის ჭოჭიალაა...

ფეხს აუჩქარეს. პლანერები თანდათან გამოიკვეთა მწვანე მოლზე. გაიზარდნენ და ფრთებიც თითქოს უფრო განზე გაშალეს, ვიწრო სიფრიფანა ფრთები.

დამრეცი ადგილი იყო. პლანერებს პირი თავქვე ჰქონდათ მოქცეული.

შოთას წარმოდგენა არ ქონდა, მოტორის გარეშე რას უნდა მოეყვანა მოძრაობაში პლანერი. ალბათ წინ გამობმული გრძელი თოკებით მიწაზე ახოხიალებენ. პლანერებს თვლებიც არ ქონდა.

შოთამ მიირბინა ერთ პლანერთან, ხარბად შეათვალიერა, ფრთებს ხელი შეახო. ღია კაბინაში ჩაიხედა, ერთადერთი ტყავგადაქერცლილი სავარძელი რომ იყო ჩაჭედილი. სახელურები და ბერკეტებიც იყო გამართული. მაგრამ ამით ცაში აიჭრება კაცი?

სანამ იგი პლანერს ათვალიერებდა, ბეკოევმა მიაშურა მიწურს, რომელიც სასწავლო ოთახს წარმოადგენდა. აქ პლანერისტები თეორიულ ცოდნას იძენდნენ. მიწური ზაფხულში გრილი, ზამთარში თბილი იყო. მეცადინეობა ზამთრობით არ წყდებოდა და თბილ, მზიან ამინდში პლანერითაც ვარჯიშობდნენ.

მიწურში რამდენიმე პლანერისტი და მათი ხელმძღვანელი ახალგაზრდა კაცი ნესტორ მეტრეველი იყო. მიწურს ორი ვიწრო ფანჯარა ჰქონდა, იქიდან საკმაო სინათლე შემოდიოდა.

ბეკოევი იქ მყოფთ მიესალმა და მერე ნესტორ მეტრეველს უთხრა, ერთი ჩვენი სკოლელი ბიჭი მოვიყვანე, საფრენოსნო საქმის შესწავლა უნდა და ხომ არ გაესაუბრებოდითო.

— შემოიყვანე, ვინ არი? — მიუგო ნესტორმა და ღია კარიდან გაიხედა. ერთ-ერთ პლანერთან უცნობი ბიჭი დაინახა.

სოსომ მიწურიდან გასძახა:

— შოთა!

შოთა მაშინვე მოსწყდა ადგილს და

მიწურის კართან მიირბინა, მაგრამ ბეკოევის ნაცვლად უცნობი ჭაბუკის მომღიმარე სახეს შეეფეთა.

— შემოდი, შემოდი! — უთხრა იმ უცნობმა.

შოთა მიწურში შევიდა, გამარჯობათო, თქვა და ჭაბუკს თვალი არ მოაშორა.

— გაგიმარჯოს თუ კაცი ხარ. — მხიარულ კილოზე მიუგო მეტრეველმა და ხელი გაუწოდა. შოთამ ჩამოართვა.

— მაშ მფრინავი გინდა გახდე?

— მინდა, — მიუგო შოთამ.

— დღეისათვის ძალიან ცოტა ენთუზიასტი ყავს ჩვენს საქმეს... მომავალი კი ცის შვილებისაა!.. — მაღალფარდოვნად დაიწყო ნესტორმა, მაგრამ კილო უმალ შეცვალა, — შინ იციან?

ჩემი მშობლები თანახმა არიან.

— ნამდვილად?

— მე ტყუილის თქმა არ მიყვარს. — ცოტა არ იყოს წყენით მიუგო შოთამ.

— ჰო, კარგი, ნუ გეწყინება... მე ხომ ჯერ არ გიცნობ, რა კაცი ხარ. აი, ერთ ფუთ მარილს რომ შევჭამთ ერთად, მაშინ გვეცოდინება ვინა ვართ, რანი ვართ... მე არც გვარი ვიცი შენი, არც სახელი. აბა, მითხარი.

— შოთა მერკვილაძე.

— აფრასიონ მერკვილაძე თუ იცი?

— კი ვიცი, — გაეღიმა შოთას, — ბაბუაჩემის ბიძაშვილი იყო. შინ მისი გადიდებული სურათი გვიკიდია და მასზე გამოთქმული სიმღერაც კი ვიცი.

— ძალიან კარგი. მაშ მშობლები თანახმა არიან. შენც დიდი სურვილი გაქვს... მაგრამ მერე ლალატი არ იყოს.

— რას ბრძანებთ! — შეფხუკიანდა იმერელი ბიჭი.

ნესტორმა მხარზე დაადო ხელი.

— რახან ასეა, დღეიდან ჩვენი ხარ.

ინსტრუქტორი ნესტორ მეტრეველი მოწადინებული იყო, რაც შეიძლება ბევრი ყმაწვილისათვის გაეღვიძებინა ავიაციის სიყვარული, მოემზადებინა ისინი ცის დასაპყრობად. მას ცხადად ესმოდა რა ამოუწურავი შესაძლებლობანი ესახებოდათ ადამიანებს არა მარტო იმ სფეროს დასაპყრობად, დედამიწას ასე ლამაზად რომ აკრავს გარშემო, არამედ გზები გაიჭრებოდა პლანეტებისკენაც, მოკაშკაშე ვარსკვლავებისკენ.

მართალია მას პლანეროდრომზე ორი პრიმიტიული პლანერი ჰქონდა, რომელთაგან მხოლოდ ერთით შეიძლებოდა ვარჯიში, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო იმ ძიძის როლში გამოსულიყო, რომელიც ჩვილ ბავშვებს პირველად ადგმევინებს ნაბიჯს.

მონდომებული, ხალისიანი ბიჭები შემოიკრიბა.

იქ, სადაც ახლა დიდებული გამარჯვების პარკია ვაკეში, იქ სადაც უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მარადიული ცეცხლი გიზგიზებს, უწინ ამ ფერდობზე პლანერებისთვის უკეთესი საფრენი მთელ ქალაქში არსად მოიძებნებოდა. და ნესტორ მეტრეველმაც აქ დაიდო ბინა თავისი პლანერისტთა რაზმით.

გაზაფხულზე მათ ახალი პლანერი მიიღეს, რომელიც სამ-ოთხ მეტრზე მაღლა ადიოდა. მას შეეძლო ერთი ლამაზი წრე გაეკეთებინა ვაკის დაფერდებულ მინდორზე; პლანერისტის ოსტატობაზე იყო დამოკიდებული, როგორ კოხტად დასვამდა მანქანას.

მონდომებულ ბიჭებში უფრო მონდომებულებიც იყვნენ და მათ შორის კი ყველაზე უფრო მეტად შოთა მერკვილაძე. ნესტორ მეტრეველი ატყობდა, რომ ეს ბიჭი უკვე ავადმყოფურად განიცდიდა ავიასაქმის სიყვარულს.

შებინდებისას დამთავრდა მეცადინეობა. შოთამ იმ დღეს გული იჯერა, მაგრამ უკმარისობის გრძნობა მაინც ვერ გაიქარვა, რადგან გული უფრო მაღლა ეწეოდა, მაღლა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდ ქალაქს ხელის გულივით დახედო, ამ მთებს, გორაკებს, ველებს... საიდანაც უფრო ნათელი სუ-

რათი დაიხატება ქვეყნისა, მისი ფერადოვნებისა და მოხატულობისა...

დამთავრდა მეცადინეობა და ბიჭები შინ, წავიდნენ. ნესტორმა ცოტა ხანს შეაყოვნა შოთა და მერე მინდვრიდან ერთად წამოვიდნენ ქალაქისკენ. მინდორი რომ გადაჭრეს, საურმე გზას დაადგნენ.

მზე ჩავიდა. ბინდდებოდა.

— შოთა, — მიმართა ნესტორმა. შოთა მოელოდა, რომ ინსტრუქტორმა რაღაც მიზეზით დაიმგზავრა თავისი მოწაფე.

— შენ თუ მართლა სერიოზულად ფიქრობ მფრინავი გახდე, ჩვენთან ყოფნა შენ აღარაფერს მოგცემს. ეს არის და ეს, რაც მე შემეძლო შენთვის მესწავლებინა. პლანერს ჩინებულად ფლობ და გატყობ სხვებს ბევრად სჯობიხარ ამ საქმეში... აეროკლუბში უნდა ჩაეწერო და იქ უნდა შეისწავლო თვითმფრინავის მართვა.

— მერე თქვენ?! — რაღაც ისეთი კილოთი წარმოთქვა შოთამ, თითქოს პატარა ბავშვია და შინიდან გარეთ სიბნელეში აგდებენო.

— მე რა... ძიძა გჭირდება ამხელა კაცს? შეხედე ცას, იქაც მარტო მოგიწევს ასვლა! — მეტრეველმა მაღლა აიხედა.

და იმ ადგილას, შებინდების ჟამს, საბოლოოდ გადაწყდა შოთას ბედი. იგი გულდაწყვეტილი დაემშვიდობა თავის მასწავლებელს, ასე მალე, ასე სწრაფად რომ გაირბინა მასთან გატარებულმა დრომ. ასე მალე, მაგრამ პლანეროდრომზე გატარებული თითო წუთი იმდენად ძვირფასი იყო, ზოგიერთი ადამიანის მთელ სიცოცხლეს უტოლდებოდა. და ამ მოკლე დროში შოთა ძალიან შეეჩვია ნესტორ მეტრეველს. მუდამ ისე ეგონა, რომ ნესტორ მეტრეველი თვითმფრინავით ისევე შეცვლიდა პლანერს, როგორც ძველი პლანერი შეცვალა ახლით. ვაკის მინდორზე მოელოდნენ აეროპლანს, მაგრამ პილოტაჟის დაწყებითი ჯგუფისთვის ვერავინ გამოეტებდა თვითმფრინავს. თვითმფრინავის მართვას სხვანი ასწავლიდნენ აეროკლუბებსა და სპეციალურ სასწავლებლებში.

ქალაქის ქუჩაში რომ შემოვიდნენ, ნესტორი აქ გამოემშვიდობა თავის ბეჯით მოწაფეს, წარმატება უსურვა, ხელი ჩამოართვა და ალბათ იმედიანად წავიდა, რომ შოთა მერკვილაძეს უთუოდ ჩარიცხავდნენ აეროკლუბში.

მომავალ მფრინავს კი არც თვითმფრინავი ენახა ახლო, არც მფრინავი, რომელიც ამ უცნაურ მანქანას მართავს.

მეორე დღეს მარტო გასწია ქალაქგარეთ აეროდრომისკენ, სადაც აეროკლუბის მსმენელები მეცადინეობდნენ და ალბათა მათი უფროსიც იქ იქნებოდა.

აეროდრომს რომ მიუახლოვდა, მინდორში რამდენიმე თვითმფრინავი დაინახა. მათმა ცქერამ ისე გაიტაცა, სულ დაავიწყდა რისთვის მოვიდა აქ. თვლებზე შეყენებული ორ-ორ ადგილიანი თვითმფრინავები ერთმანეთისაგან მოშორებით იდგნენ და მახლობლად კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მიდი, ხელი შეახე, კაბინაში ჩაბრძანდი. ღვთის ანაბარა მიტოვებულ მანქანებს არავინ ედგა მეთვალყურედ და შოთაც გაბედულად მიუახლოვდა ერთ მანქანას.

— აი, რანაირი ყოფილხარ, ღმუილავ! — ალერსით გამოელაპარაკა გუნებაში. ხელი შეახო როგორც ცოცხალ არსებას. მანქანა კი იდგა უძრავად. გარშემო შემოუარა. ფეხის წვერებზე აიწია, რომ ეგებ როგორმე კაბინაში ჩაეხედა. მაგრამ ვერაფერი დაინახა. რა კოხტა საქარე შუშები აქვს.

შოთამ მერე შენიშნა, რომ თვითმფრინავებს იქით აეროდრომის ფიცრული შენობები იყო, დაბალი, ვიწროსარკმლებიანი და ყველა ერთნაირად მწვანედ შეღებილი.

ერთ-ერთი სახლის კარი გაიღო და ხმაურით გამოვიდნენ კომბინიზონებში გამოწყობილი მფრინავები. თავზე ბეწვიანი ტყავის ყურებიანი ქუდები ეხუ-

რათ და ქუდზე დიდი მრგვალმუშიანი სათვალეები ეკეთათ.

წინ ერთი ტანდაბალი მფრინავი სხარტად მოუძღოდათ. შოთამ შორიდანვე შენიშნა მისი უწვერ-ულვაშო სახე, ლამაზი, ქალური და გულში იმედი გაუღვივდა, რომ აქ სხვებიც ყოფილან მასავით ყმაწვილები, ჯერ ღინღლი რომ არ გამოჩენილა მათ პირისახეზე.

შოთა განზე გადადგა.

ვიღაცამ შენიშნა იგი, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მფრინავები მანქანებისკენ მიემართებოდნენ და განსაკუთრებით ყველას ყურადღება წინ მიმავალ ტანდაბალ მფრინავისკენ იყო მიპყრობილი. იგი მარდად მიუახლოვდა ერთ მანქანას, შემოტრიალდა, ხელი მხედრულად აიღო და ერთ ახმახ კაცს მოახსენა:

— მზად ვარ ფრენისათვის!

— გისურვებ წარმატებას! — იყო პასუხი.

მფრინავი მარდად შეხტა თვითმფრინავის ფრთაზე, მერე ორადგილიან მანქანაში მარტო ჩაჯდა. შოთამ დაინახა მფრინავმა სათვალე ქუდიდან რომ ჩამოიწია და ხელი მაღლა შემართა.

მალე ძრავა აგუგუნდა, თვითმფრინავი აძაგძაგდა. მერე ადგილს მოწყდა და ჯერ ბარბაცით გაემართა ასაფრენ ბილიკისაკენ, მერე, როცა ბილიკს გაუსწორდა, ერთი მაშინ მოითქვა სული ღმუილით და წავიდა... წავიდა, რას წავიდა! შოთას გულიც თან გაიყოლა. თვითმფრინავს თვალს ვერ აშორებდა. რა ლაღად შეკრა კამარა, მზის სხივებში გაეხვია, ოქროსფრად ალივლივდა. თვალისმომჭრელად აკიაფდა, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო. თვითმფრინავის ძრავა ღმუოდა, ხან ძალოვნად, შეტევით, ბრაზიანად, ხან კი თანაბრად, რბილად, თითქოს დამშვიდდა, მერე ისევ შეუტევდა ცას და ისევ ბრაზიანად აღმუვლდებოდა. და ეს მისი ხმა გონებას უფორიაქებდა შოთას.

თვითმფრინავი ერთ ხანს თვალთაგან დაეკარგა. სანამ იგი გამოჩნდებოდა, თვალი შეავლო მფრინავებს, რომლებიც მაღლა ცისკენ იყურებოდნენ. არც ერთი მათგანი გაფრენას არ აპირებდა. ალბათ იმ ყმაწვილ მფრინავს ადევნებდნენ თვალს, ლაღად. თავისუფლად რომ დანავარდობდა ცაში.

ნუთუ შოთასაც ეღირსება ასეთი ბედნიერება?

თვითმფრინავი გამოჩნდა. ერთხელ კიდევ გაეხვია მზის სხივებში, ერთხელ კიდევ აკიაფდა, მერე დაბლა დაეშვა და ახლა უკვე ძრავის მოგუდული ხმაურით წამოვიდა, საფრენ ბილიკს გაუსწორდა. ატორტმანდა და მალე მიწას შეეხო თვლებით, სვლას უკლო და გაჩერდა.

მფრინავთა ჯგუფი დაშვებულ მანქანისაკენ წავიდა. მათ ფეხდაფეხ აედევნა შოთა.

როცა თვითმფრინავს მიუხლოვდნენ, მფრინავი კაბინიდან ამოდიოდა, სათვალე უკვე აეწია ქუდზე, კაბინის კიდეებს ორივე ხელით დაეყრდნო და მარდად ამოხტა. გაღიმებული გადმოვიდა ფრთაზე, მფრინავებს ხელის აწევით ისე მიესალმა. ისე გაუღიმა, თითქოს შორეული გზიდან დაბრუნდაო. მიწაზე ჩამოხტა და ასევე მარდად მოიშვლიპა ბეწვიანი ქუდი.

და შოთას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან მფრინავის მოკლედ შეკრეჭილი, მაგრამ მაინც ქალის თმა დაინახა და თითქოს მფრინავს სახის იერიც შეეცვალა.

მის წინ იდგა მომღიმარე გოგონა.

მის წინ. რადგან თავისდა უნებურად შოთა მფრინავებში გაერია და მფრინავისაკენ წაიწია. ალბათ იმ დროს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მაშინვე მიიქცია მფრინავი გოგონას ყურადღება.

— რაო, ყმაწვილო? — მხიარულად ჰკითხა მან დაბნეულ ბიჭს.

მფრინავებმაც მაშინ შეხედეს უცნობ ყმაწვილს, პირდაღებული რომ მისჩერებოდა მფრინავ ქალს.

— რა კარგად დაფრინავდით! — გაბედა შოთამ.

— აქ ყველანი კარგად დავფრინავთ. — ღიმილით მიუგო ქალმა, — რაო, შენც ხომ არ გინდა გახდე მფრინავი? თვალებში გატყობ...

— სწორედაც შეგიტყვიათ, — უფრო შეუთამამდა შოთა, — მე პლანერისტი ვარ...

— მით უკეთესი. მაგრამ აქ რომ ვერაფერში დაგეხმარებით, — უთხრა ერთმა მფრინავმა, — აეროკლუბში უნდა მიხვიდე.

— ვიცი. მაგრამ მე აქ მეგონა.

მფრინავებმა დაწვრილებით აუხსნეს სად. ვისთან უნდა მისულიყო, მერე ერთ ხანს აყურებინეს როგორ ვარჯიშობდნენ. წყვილად და ცალ-ცალკე დაფრინავდნენ. მაგრამ რატომღაც ის პირველი ნანახი, ქალის გაფრენა უფრო ჩარჩა გულში და შინ დაბრუნებულს ცის ლაჟვარდში განავარდებული თვითმფრინავები არ შორდებოდა თვალთაგან. თურმე შეიძლება ასეთ დროს ჭკუა-გონება დაკარგო! თურმე შეიძლება ამას შფოთიანი ძილიც მოჰყვეს. მთელი ღამე ასეთი შფოთიანი ძილით ეძინა შოთას, სიზმარს სიზმარზე ხედავდა. ძრავების ღმუილი ჩაესმოდა, მაგრამ სიზმარში თვითმფრინავების ნაცვლად რაღაც გაურკვეველი საგნები ეხვეოდნენ, სადღაც მიაქანებდნენ... ზოგჯერ ხელებგაშლილი მისრიალებდა ცის უსაზღვრო სივრცეში,..

ბებიასგან გაგონილი ჰქონდა, ფრენა სიზმარში კარგის ნიშანია, ცხადში სიკეთე იცისო და დილით ამ სიზმრის გახსენებაზე მხიარულ გუნებაზე დადგა.

დილის შვიდ საათზე კლუბის კართან იყო. კლუბში კი ცხრა საათზე მოვიდნენ თანამშრომლები. მფრინავები, ინსტრუქტორები. აგერ ნესტორ მეტრეველიც. მისი დანახვა ისე გაეხარდა კლუბის დერეფანში ატორღიალებულ ბიჭს, თითქოს დიდი ხანი არ ენახა.

— მოხვედი?

— მოვედი. ნესტორ.

— წამოდი აბა, ვცადოთ ბედი... მეჭვება კი თექვსმეტ წლამდე ჩაგრიცხონ.

— შევეხვეწები, ძალიან შევეხვეწები.

ნესტორი შოთას გაუძღვა. ბიჭი ერთ-ერთი ოთახის კართან შეაჩერა და უთხრა, დამელოდეო. თვითონ კარი შეაღო და შევიდა. შოთას გული ყელში ამოსდიოდა, ისე ღელავდა, როგორც გამოცდაზე მისული სტუდენტი.

კარი მალე გაიღო და ნესტორმა იგი ოთახში შეიხმო. საწერ მაგიდასთან ერთი შავგვრემანი კაცი იჯდა. შოთას ისეთი თვალით შეხედა, ყმაწვილს შეეშინდა?

— ესა? — იკითხა კაცმა, — ეს ხომ ჯერ ძუძუმწოვარა ბავშვია. რამდენი წლისა ხარ, ბიჭო?

— მალე თექვსმეტის შევსრულდები.

— ჰოდა, როცა შესრულდები, მაშინ მოდი! — ისეთი კილო ჰქონდა, არავითარი თხოვნა-მუდარა მასთან არ გასჭრიდა. მაგრამ შოთამ მუდარის თვალები მაინც მიაპყრო ნესტორ მეტრეველს. თვალებით უსიტყვოდ ანიშნებდა. მიშველე რამეო. მაგრამ ნესტორ მეტრეველმა პასუხად მხრები აიჩეჩა, შოთას ხელი მოჰკიდა ნიშნად იმისა, რომ წავიდეთ, ჩვენ აქ არაფერი გვესაქმებაო.

შოთას თვალებში სიმწრის ცრემლი მოადგა.

დერეფანში გამოვიდნენ.

— ჰო, კარგი, ნუ ღელავ ერთი წელიწადი გინდ აქეთ ყოფილა, გინდ იქით, — ნუგეში სცა ნესტორმა, — ეს აეროკლუბი ისევ აქ იქნება... ხოლო ცა ასე მალე არ აივსება მფრინავებით, რადგან ჯერ საამისო ტექნიკა არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია, — დაუმატა ღიმილით, ეგებ როგორმე გავამხიარულო ბიჭიო, — მანამდე კი, იარე ჩემთან, განვაგრძოთ მეცადინეობა.

შოთა გაბუსული იდგა, ალარც უნდოდა იმ კარისკენ გახედვა, რომლის იქით ის ბრაზიანი, ბოროტი კაცი იჯდა. ბოროტი და შეუბრალებელი, უგულო და უხეში. მისი გამოხედვა ახლაც

ჟრუანტელს უყენებდა შოთას და გულში ამბობდა, აჰ, რატომ არ ვარ ნესტორის ხნისაო.

— წადი ახლა, — უთხრა ნესტორმა შოთას, — მე აქ დავრჩები, საქმე მაქვს. შაბათს კი მოდი ვაკეში.

— კარგი. ნახვამდის. — ხმადაბლა და ცრემლშერეული ხმით მიუგო ბიჭმა და დერეფანში ნაცემი ხარივით წავიდა. კარებს რომ მიუახლოვდა, აეროკლუბში ქარივით შემოიჭრა ის მფრინავი ქალი, გუშინ ნავთლუღის აეროდრომზე რომ ნახა.

— მოხვედი? — უცებ იცნო ბიჭი.

— მოვედი, — მიუგო შოთამ არა თავისი ხმით და ქალმა შუბლი შეკრა.

— რა სახე ჩამოგტირის?.. ვისთან იყავი, რა გითხრეს?

— ნესტორმა შემიყვანა აგერ იქ... არაო, ჯერ ადრეაო...

— უყურე ერთი! მაგან ყოველთვის აგრე იცის!.. წამოდი! — ქალმა ხელი წაავლო და ფეხათრეული ბიჭი გაიტაცა დერეფანში.

იმ გულღრჯო კაცის ოთახის კარს ჩაუქროლეს. სხვა კარს მიადგნენ. ქალი ერთ წუთს შეჩერდა, სული მოითქვა, წელში შესწორდა, შოთას ერთხელ კიდევ შეხედა.

— აბა, ყოჩაღად! სახე ნუ ჩამოგტირის! — გაამხნევა და კარზე რომ დააკაკუნა, მაშინვე შეაღო.

— შეიძლება?

— მობრძანდი, რუსუდან, მობრძანდი! — გაისმა მამაკაცის აღფრთოვანებული ხმა. — შენთვის აქ ყველა კარი ღიაა!

პირმცინარე, ახოვანი და ლამაზი მამაკაცი დიდის ამბით შეეგება რუსუდანს. მან ხელი ჩამოართვა მფრინავ ქალს და მერე უცნობ ბიჭს შეხედა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — სტუმრებს მიმართა მამაკაცმა.

ისინი აეროკლუბის უფროსის მოადგილის კაბინეტში იყვნენ. ეტყობა ნესტორ მეტრეველი რაღაცა მიზეზით არ შემოჰყვა აქ შოთას, თორემ ასეთი მომღიმარე, გულღია კაცთან ხომ ყველაფერს იოლად მოაგვარებს კაცი, თვითმფრინავი რომ სთხოვოთ, გაჩუქებს.

მაგრამ როგორც კი გაიგო. რომ შოთა თექვსმეტისა არ იყო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. როგორ გაუმტყუნდა იმედი შოთას! ისევ დაღონდა, ისევ ცრემლი მოადგა თვალებში. არაფრის დიდებით მაგის მიღება არ შემიძლიაო, უთხრა აეროკლუბის უფროსის მოადგილემ მიხეილ გოგრიჭიანმა რუსუდანს.

— არ მეგონა თუ უარს მეტყოდით. — რაღაც ისეთი ნაწყენი კილოთი თქვა რუსუდანმა, მიხეილი შეწუხდა.

— შენ კარგად იცი, რომ თექვსმეტ წლამდე... — დაიწყო თავის მართლება გოგრიჭიანმა.

— მე ყველაფერი კარგად ვიცი. — მიუგო რუსუდანმა. — შეხედეთ. რა ბიჭია... არც ძმაა ჩემი, არც მეზობელი და არც საერთოდ ვიცნობ... მაგრამ ვატყობ რომ ცეცხლივითაა ანთებული და ჩვენ რა უფლება გვაქვს ჩავუქროთ ეს ცეცხლი! რა გვარი ხარ, ბიჭო?

— მერკვილაძე.

— ა, ხედავ, მერკვილაძე ყოფილა, აფრასიონ მერკვილაძის მოგვარე, იქნებ ნათესავიც... — მიაყარა რუსუდანმა თავდახრილ მამაკაცს, რომელიც გულდასმით უსმენდა გაცხარებით მოსაუბრე ქალს, თან იღიმებოდა.

— რა მნიშვნელობა აქვს ახლა, სამი თვის მერე გახდება თექვსმეტისა თუ ახლაა თექვსმეტის... მთავარია გული არ გავუტეხოთ. კაცი ჩვენსკენ — ჩვენ კიდევ ეშმაკებისკენ ვკრათ ხელი? — ცხარედ განაგრძობდა რუსუდანი. ამ საუბარში მოასწრო და შოთას თვალიც ჩაუკრა ეშმაკურად, ვითომ. ნურაფრის გეშინია, აქედან ისე არ წავალთ, თანხმობა რომ არ ვათქმევინოთო.

☐ გაგრძელება იქნება ☐




ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ხმალაძე

# ქალაქი წალკოტი

ჩვენი საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უჩვეულოდ მაღალი ტემპით ხასიათდება; ტექნიკის წინსვლამ ცხოვრების ყველა მხარეზე მოახდინა ზეგავლენა, მან მრავალზე მრავალი სიკეთე მოუტანა ადამიანს, მაგრამ, ამავე დროს, ტექნიკის ბუმბერაზული ნაბიჯებით წინსვლას მოჰყვა ისიც, რომ დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა ადამიანსა და ბუნებას შორის.

ტექნიკის პროგრესი ჟანგბადის მტრად მოგვევლინა, რის გამოც იზრდება ადამიანის ფსიქოლოგიური დატვირთვა, ემოციები, დაძაბულობა. ახლა ამ ტვირთის მოსახსნელად საჭიროა მშრომელთა მასობრივი დასვენების ნორმალური პირობების შექმნა.

ვერაფერი ვერ წარმოქმნის ისეთ მაღალ, დადებით ემოციებს, რასაც იძლევა ტყეები, ბაღპარკები, თუნდაც ყვავილების პატარა თაიგულები.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა გარემოს დაცვისა და გაჯანსაღების საკითხებს. საქართველოს კპ XXV ყრილობის, მომდევნო წლების პლენუმების, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიების, საერთოდ პარტიისა და მთავრობის არაერთი დადგენილება მიეძღვნა ბუნების დაცვის საქმეს, რამაც უკვე უაღრესად დიდი ნაყოფი მოიტანა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე და პარტიის თბილისის კომიტეტის XXXVII კონფერენციაზე, სხვა ფრიად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საგანგებო ყურადღება დაეთმო ჩვენი ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისა და გამწვანების საკითხებს.

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავთა, როგორც ფართობის ზრდას, ისე მათ მოვლასა და დაცვას.

მწვანე მშენებლობა, ლანდშაფტური მებაღეობა, მხატვრული შემოქმედების ფრიად მნიშვნელოვანი დარგია: იგი გამოყენებითი ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება და დაფუძნებულია როგორც ბიოლოგიურ, ისე სხვა მეცნიერებებზე.

მშრომელთა ცხოვრების შედარებით ჯანსაღი პირობების შექმნის მაღალი დონე, მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხერხებულად და მოხდენილად არის ქალაქი გამწვანებული. დეკორატიული მწვანე ნარგავები და ყვავილები სიგრილისა და სუფთა ჰაერის უშრეტი წყაროა, ჟანგბადის ოაზისია, რაც, ამავე დროს, ალამაზებს ადამიანის საცხოვრებელ თუ სამუშაო გარემოს და ჩვენი ქვეყნას საერთო ლანდშაფტს.

ჩვენს პრესაში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ ჩვენი დედაქალაქი საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებით ჩამორჩება (ერთ სულზე 11 კვადრატ. მეტრი) საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს; (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სილამაზით განთქმულ პარიზში ერთ სულზე 1,5 კვადრატ. მეტრი მოდის).

ცხადია, ეს სიმცირე გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის და ქალაქის ტერიტორიის ზრდის ტემპს საგრძნობლად ჩამორჩებოდა მწვანე მშენებლობა.

ახევე, ჩვენს პრესაში შევხვდებით გაცილებით უფრო გადიდებულ რიცხვებს — 15-21 კვადრატულ მეტრს. აქ, უთუოდ, შეცდომით უმატებენ ფერდობებისა და შემოგარენის მწვანე ნარგავებსაც.

ხშირად გვსმენია მეცნიერთა, მხატვართა, ხუროთმოძღვართა, მწერალთა პლენუმებსა და დისკუსიებზე ფრიად საქმიანი საუბრები ჩვენი დედაქალაქის გარეგნულ სახეზე, მისი კოლორიტის შენარჩუნებასა და საუკეთესო ტრადიციათა განვითარებაზე. ჩვენ არ შევუდგებით იმ მახინჯ მოვლენათა გახსენებას, რამაც მძიმე კვალი დააჩნია დედაქალაქის ესთეტიკურ სახეს. მის საერთო კულტურას; ჩვენ ვისაუბრებთ მწვანე მშენებლობისა და მეყვავილეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და წამოვაყენებთ მისი განვითარების და გადაჭრის კონკრეტულ პრობლემურ ღონისძიებებს.

თბილისელები რატომღაც მეტ ყურადღებას აქცევენ შემოგარენის გამწვანებას და არსებული ტყეების, აგარაკების, კურორტების კეთილმოწყობას, მაგრამ ბევრად უფრო სასიკეთო საქმე იქნებოდა, თუ ამგვარ ზრუნვას ადამიანის ძირითად ადგილსამყოფელზე, თვით ქალაქზე გადავიტანდით. ვფიქრობთ, ეს არის უპირველესი საშური სამუშაო. დედაქალაქის შუა ადგილებში, უკანასკნელი 25 წელიწადია, პარკი არ გაშენებულა; თავისუფალი ადგილები კი ათეული წლობით გაუმწვანებელია, აი, მაგალითად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის გასწვრივ, (ლუდის ქარხნიდან — ბეტონის ქარხნამდე) 15 ჰექტარი; მის მოპირდაპირე, მარჯვენა სანაპიროზე (ვაქცინებისა და შრატის ინსტიტუტის უკან) 4 ჰექტარზე მეტი დაჭაობებული ნაკვეთი; ლენინის რაიონში — გაუქმებული აგურის ქარხანა — 5 ჰექტარი; ა. წერეთლის პროსპექტის ბოლოში — 4 ჰექტარი; ყოფილი რიყის ტერიტორია — 5 ჰექტარი; ავტოვაგზლის მოპირდაპირედ მტკვრის სანაპიროზე (5 დეკემბრის ქუჩის გასწვრივ) 10-15 ჰექტარი და სხვ.

* * *

რატომ არ არის „მზისა და ვარდების დედაქალაქში", ან „სავარდო და სამაისო" ქუთაისში, ან თუნდაც მთავარ პროსპექტებზე, ვარდები?!

დღეს უკვე ძალიან ძნელია ავტომანქანების, სხვა მავნე ტოქსიკური ნივთიერებათა გამონაბოლქვის, ძლიერი გამტვერიანების, ჩრდილისა და მოზრდილ ხეთა ფესვთა სისტემის მეტოქეობის გამო ამ ნაზი მცენარის გახარება. კიდევაც რომ შეიძლებოდეს ქვენიადაგის ნაყოფიერი მიწით შეცვლა, ვარდის რამდენიმე წლით დატოვება, მისი გახარება მაინც გაძნელდება; ამიტომ ვარდი გაზონებში შეიძლება ჩაირგას მხოლოდ ქოთნით, ყუთით. იგი თავისუფლად აყვავდება, დაამშვენებს ქალაქს და, როგორც კი დაიყვავილებს, საჭიროა მისი ამოღება ჭურჭლიდან და შეცვლა, სხვა რიგის მოყვავილე ვარდებით; ცხადია, ეს დიდ შრომასა და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ რუსთაველის პროსპექტზე მაინც უნდა შევძლოთ ასეთი აგროტექნიკის განხორციელება.

ორი ათეული წლის წინათ შედგა დენდროლოგიური პროექტი ინფექციურ საავადმყოფოსა და იპოდრომს შორის (საბურთალო) 18 ჰექტარ ფართობის პარკის გასაშენებლად (ავტორი — ლანდშაფტის ცნობილი არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ა. ციციშვილი); მერე ის იყო გაშენდა გურიის რაიონების დახმარებითა და სარგავი მასალით 5 ჰექტარი (მას ამ ორი წლის წინათ მაინც ჩამოათალა ნაკვეთი 16 სართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა). დანარჩენ 13 ჰექტარზე კი ამ შესანიშნავ საპარკო ადგილზე ახლაც შეიძლება მისწრება, ვიდრე ამწეებმა არ აღმართეს ცათამბჯენთა კედლები.

თბილისში ყოველწლიურად ათასობით ხე და ბუჩქი ირგვება. აქედან ყველას, რომ გაეხარა, ახლა ჩვენთან გაუვალი ჯუნგლები იქნებოდა. ნარგავების დიდ ნაწილს სახლმმართველობები განაგებენ. ისინი სათანადოდ ვერ უვლიან მას, საჭირო მუშა-ხელის ნაკლებობის გამო. ამიტომ მცენარეების მოსავლელად უნდა დაირაზმოს ყველა მოქალაქე, ახალგაზრდები, ბავშვები, საჭიროა ჩავუნერგოთ მათ ბუნების სიყვარული, ვასწავლოთ ელემენტარული აგროწესები.

ამ ათიოდე წლის წინათ მოწყობილი ავჭალის წყალსადენის ზონის გამწვანებული ტერიტორია, დღეს უპატრონობის გამო გავერანებულია. ნუთუ მისი პარკად გადაქცევა არ შეიძლება?

* * *

მარკო პოლო თბილისს „უმშვენიერეს ქალაქად" იხსენიებდა. ბევრი მას „ამიერკავკასიის პარიზს" უწოდებდა.

რა სჯობს მაისში თბილისსა
ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა...

ასე უმღეროდა ჩვენი ქალაქის მშვენიერებას ვახტანგ VI.

აი რას წერდა თბილისის 1.500 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული კვიპროსელი ანფიას თევკროსი: „ბეთჰოვენს უყვარდა თურმე თქმა: „რაც უფრო მეტი ხეა ქალაქში, მით უფრო დიდი და ლამაზია". თბილისში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, თუ რაოდენ მართალი იყო ეს დიდი მუსიკოსი".

მთაწმინდიდან ვლ. მაიაკოვსკიმ თბილისს რომ გადმოხედა, ხელები გაშალა და წარმოთქვა: საქართველო ედემად გამოჰყვესო. და მართლაც ამ ჩვენს — „ედემის ბაღს", „ტურფასა საბაღნაროსა", ვეფხისტყაოსნად მოხატულ მთა-ბარსა და ველ-მინდვრებს თვალისჩინივით მოვლა, პატრონობა და დაცვა სჭირდება, რაც ყველა თბილისელის წმიდათაწმიდა მოვალეობაა, უდიდესი ეროვნული, საშვილიშვილო, პატრიოტული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა; ეს ყველა შეგნებული მოქალაქის ყოველდღიური ზრუნვისა და რუდუნების საგანს უნდა წარმოადგენდეს. სხვაგვარად, ქვეყნის ჯანსაღი, ლამაზი მომავალი წარმოუდგენელია.

* * *

ძველი თბილისი ღარიბი იყო დეკორატიული მწვანე ნარგავებით.

აი, რა პატრიოტული მნიშვნელობით იყო აღსავსე „ივერიაში" დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის მოწინავე წერილი, მიძღვნილი მაშინდელი თბილისის საარსებო საჭიროებისადმი:

„დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს: ერთი მუშტაიდი, მეორე — ალექსანდროვის ბაღი. ერთი ისე შორს არის, რომ შეძლებული კაცი თუ წავა, თორემ სხვა არავინ. მეორეც თითქმის შუაგულ ქალაქშია. მაგრამ მარტოობით იმოდენა ზემოქმედება არა აქვს არც

ქალაქის მცხოვრებლებზე, არც ქალაქის ჰაერზე, რამდენიც სასურველი და სანატრელია. ამოდენა ქალაქს ერთი იმისთანა ადგილი არა აქვს, რომ ბავშვების სათამაშო ადგილი იყოს. არიან ასაწყალი ბავშვები დახშულნი ოთახში, და თუ გამოდიან იშვიათად, ისიც ბულვარზედ, საცა მორთულობა არ აძლევს ნებას არც ცელქობისას, არც თამაშობისას"...

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმებს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. „ივერიის" იმავე მოწინავე წერილში ვკითხულობთ:

„ქალაქი უნდა ეცადოს, რომ მტკვრის სანაპიროები შენობებს გადაარჩინოს იქ, საცა დღეს გადარჩენა შეიძლება. და თუ ქალაქმა ეს ადგილები ბაღებად, ბულვარებად და ჭალებად აქცია, მაშინ ნახეთ ეს ჩვენი დღეს უგემური თბილისი რა სასიამოვნო ადგილად შეიქმნება".

ამ გონივრულ რჩევა-დარიგებას დღესაც, საუკუნის შემდეგ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

* * *

ახლა საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ ბუნების იშვიათ ცოცხალ ძეგლებს, ისტორიულ ხეებს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება საუკუნოვანი ხეები, ზოგიერთის ხნოვანება 1.000 წელიწადს აღემატება. სად არ შეხვდებით ათასწლოვან ქორაფა ბერმუხებს (საგარეჯო, ბოჭორმა, ზემოდერჩი, ქვემო ხოდაშენი, ონი, ბაბანეური, ზემო ბუგეული და სხვ.). ვის არ უნახავს ჭადრების პატრიარქი — თელავის ჭადარი, რომლის გარშემოწერილობა 12 მეტრია (დიამეტრი თითქმის 4 მეტრი), მომსწრე დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა! ამ გოლიათი ხის ქვეშ გამართულ ნადიმზე შესანიშნავი ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა (1911 წლის 20 ივლისს). 1986 წელს სახელოვანმა მეცნიერმა-მეტყევემ სოლომონ ქურდიანმა თელავის ჭადრის ასაკი 800 წლით განსაზღვრა.

ასევე მრავალ საუკუნეს ითვლის ჩვენში ბევრ ადგილას გაფანტული თითოოროლა ხეები: უთხოვარი (ახმეტა, ჯიხაიში), ძელქვა (ეწერი, ჩხარი, აჯამეთი), ცაცხვი (ამბროლაური), რცხილა, წაბლი, ფიჭვი, წიფელი, ზეთისხილის ხე, დაფნა კეთილშობილი, თელა, იფანი, ვერხვი, ვაზი და სხვა მრავალი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ჯიშები. მათ ჟამთა მსვლელობის კვალი ნაკლებად ამჩნევია. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას მათ მოვლასა და დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ვინ არ გაიზიარა საქართველოს ბუნების უდიდესი მესაიდუმლისა და მოამაგის — აკადემიკოს ნიკო კეცხოველის გულისტკივილი იგოეთში ათასწლოვანი მუხის დაწვის, ბულაჩაურსა და ნორიოში ორასამდე სამასწლოვანი კაკლის ხის ძირიანად მოგლეჯის გამო, ხოლო 1980 წლის 16 მარტს ტელევიზიამ და 17 მარტს გაზ. „თბილისმა" ამხილა კიდევ ერთი ბარბაროსობა. თბილისში, ზაქარიაძის ქ. № 5-ში, საბავშვო ბაღის ეზოში 24 ძირი ალვისხე თვითნებურად გაჩეხეს, რათა იმ ადგილას გარაჟი აეგოთ. და ეს იმ დროს, როდესაც 1 ძირი ალვისხე 4 კაცს მთელი სიცოცხლის მანძილზე აწვდის ჟანგბადს.

უხუცესი ხეები, ოდესღაც არსებული დიდი ტყის უკანასკნელი მოჰიკანები, ჩვენს დედაქალაქსაც შემორჩა. თბილისის ტერიტორიაზე დღემდე აქა-იქ გადარჩა 300-500 წლიანი, 20-25 მეტრის სიმაღლის ისტორიული ვერხვები, მუხები, უზარმაზარი ჭადრები, ჭყორმუხა, თუთა, ვისტარია, თელა და სხვ. ხოლო შარშანწინ, შემოდგომაზე ისანში, დარეჯან დედოფლის სასახლის ეზოში („საჩინო"), მოჭრეს თბილისში ერთადერთი უხნიერესი, უნიკალური საუკუნოვანი საკმლის ხე.

სამწუხაროდ, ბუნების საუკუნოვანი ცოცხალი ძეგლებისადმი უსულგულო მოპყრობას კიდევ შევხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ მათზე რამდენჯერმე დაიწერა და ითქვა.

საუკუნოვანი ხეები სანერგეში არ გამოჰყავთ და არც ისე ადვილი საქმეა მათი გადარგვა.

ფერმაში წიწილა რომ მოკვდება, უმალ აქტი დგება და დამნაშავეს ეძებენ. ბაღ-პარკებსა თუ ეზოებში კი ასწლიან ხეს ისე სჭრიან, მიზეზს არც კი კითხულობენ. სატელეფონო, ელექტრო ხაზებისა და შუქფარნებისათვის ხშირად თვითნებურად უწესოდ ჩეხავენ ტოტებს; ამის გამო თბილისის ქუჩების ნარგავების უდიდესი ნაწილი, მექანიკური დაზიანების, მოჯირითე მძღოლების ან დაუფიქრებელი მშენებლის გამო, მოითხოვს შეცვლას, რაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. 40-60 წლის წინათ ქალაქის ვიწრო ქუჩებში ნაკლები მოძრაობის გამო ადვილი იყო ხის გახარება. ახლა კი, მილიონიან ქალაქში, გამწვანების მუშაკებს ხშირად ერთსა და იმავე ადგილზე, თითქმის ყოველ წელიწადს უხდებათ ხის დარგვა.

ხშირად წარმოება-დაწესებულებათა და საცხოვრებელ ბინებთან, როგორც ახალ საცხოვრებელ მასივებში, ისე ქალაქის ძველ ნაწილში მწვანე ნარგავების ხარჯზე ხდებოდა ბოქსების, ოთახების, აივნების, ფარდულების, სამზარეულოების, ახალი კორპუსების მიშენება-დაშენება (გაიხსენეთ კონიაკის ქარხანა, ჩაის გადამწონი ფაბრიკა, სამშობიარო სახლი ოქტომბრის ქუჩაზე, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, უოფ. არამიანცის საავადმყოფო და ვინ მოსთვლის სადღა არ მოსპეს ასწლოვანი ხეები; ამცირებდნენ არა მარტო ქალაქის მწვანე ნარგავების ფართობს, სამშენებლო მასალით აზიანებდნენ მეზობელ ნარგავებსაც. დღეს თბილისის ქუჩებში ვერ ნახავთ ვერც ერთ ასწლოვან ხეს, მექანიკურად რომ არ იყოს დაზიანებული და დამახინჯებული.

ბარნოვის ქუჩაზე საქართველოს უდიდესი დენდროლოგის, შესანიშნავი მამულიშვილის, პროფ. სოლომონ ქურდიანის და მისი სტუდენტების შრომითა და დახმარებით აგებული საუცხოო დენდროლოგიური პარკი — თბილისისათვის იშვიათი ეგზოტების კოლექციით, გადათხარეს, ძვირფასი ხეები მოჭრეს და სახლები ააგეს. ჩემდა სამწუხაროდ, მე მაშინ თბილისის მთავარი აგრონომი ვიყავი.

ასეთი მდგომარეობა არის არა მარტო დედაქალაქში, არამედ რესპუბლიკის ბევრ დაბასა და ქალაქში (ბათუმში გამწვანების ტრესტმა ადრევე გააუქმა დეკორატიული სანერგე — პიონერთა პარკის გვერდით, დღესაც უკვე ახალ ადგილას გაშენებულ სანერგეს მშენებლები კვლავ ამცირებენ. ასევე ამცირებენ სოხუმში დეკორატიული სანერგის ტერიტორიას და აგებენ საქაჩავს. სრულიად მოუვლელია სოხუმის ისტორიული პარკი „სინოპი", „დენდროლოგიური პარკის" მეორე ნახევარი ხომ სანაგვედაა გადაქცეული, ცუდადაა მოვლილი გურჯაანის ტერასული პარკი, ხირსის, ბიჭვინთის პარკები და სხვ.).

სრულიად დაამახინჯეს ლენინის მოედანზე არსებული პუშკინის სკვერი. ნუთუ თბილისის შემოგარენს ქვა-ღორღი და ბეტონი აკლდა, რომ ქალაქის ცენტრში ერთ დროს მოყვავილე და მარადმწვანე ბუჩქებით შემკობილი ლამაზი პუშკინის სკვერის ასწლოვანი ჭადრები ლოდებით დაფარეს — ეს ხეებიც განწირულია გასახმობად. აკი კიდეც გახმა თელა, მუხა, კედარი, უთხოვარი, ვაზის შპალერი და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ 16 ჰექტარი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი 5 ჰექტარამდე დაიყვანეს.

მოსკოვში ერთი ხის სიცოცხლის შესანარჩუნებლად მიწის ქვეშა კომუნიკაციებსაც კი შეუცვლიან ხოლმე მიმართულებას.

ყველასთვის ცნობილია, რომ მოზრდილი მწვანე ნარგავები, განურჩევლად იმისა, ხეხილია, ტექნიკური თუ დეკორატიული მცენარე, საერთო ადგილზეა იგი, თუ სპეციალური დანიშნულების ან ინდივიდუალურ ნაკვეთზე, წარმოადგენს ქალაქის მწვანე ფონდს; ამიტომ არავის არა აქვს უფლება თვითნებურად მოჭრას ან გადაბელოს იგი.

მიუხედავად ამისა, ქალაქის თითქმის ყველა რაიონში არის უამრავი შემთხვევა ნარგავებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა; დიდხნოვან ხეებზე აჭედებენ ლურსმნებს, რკინის კავებსა და სამაგრებს, სარეცხისა თუ ლამპიონებისათვის, უნებართვოდ ჭრიან ტოტებს, ამაგრებენ კალათბურთის ბადეებს, ხშირად ხე მომწყვდეულია აივანში, მიდგმულია ფარდულები და სხვ.

ასეთი შემთხვევები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, რომ რაიონის საბინაო საექსპლოატაციო კანტორის მუშაკები, რაიგამწვანების თანამშრომლები სისტემატურ ახსნა-განმარტებით და პროფილაქტიკურ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, ქმედით კონტროლს ახორციელებდნენ, გადამჭრელ ზომებს იღებდნენ თვითნებობისა და სხვა დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

თბილისის საპარადო მოედნებზე მჩქეფარე შადრევნები მეტად მხატვრულ ელფერს მისცემს ჩვენს ქალაქს, ხელს შეუწყობს ჰავის ტენიანობასა და გაზომიერებას, მით უმეტეს მცხუნვარე მზიან დღეებში.

სამწუხაროდ, თბილისის ბევრი ახლად აგებული და ძველი შადრევნებიც ზაფხულში უმოქმედოა, თითქოს ფერხული ჩაუბამთო, ისე შემოხვევიან ადამიანები პუშკინის სკვერის შადრევანს, ათასში ერთხელ ჰეიზერივით, რომ ჩქეფს.

რუსთაველის გამზირზე ცადაზიდული ჭადრების (დარგულია 1848 წელს) მწკრივს თუ დააკვირდებით, ადამიანის უსულგულობის ნაკვალევსაც შეამჩნევთ. ამ ჭადრების, კედრების, ცაცხვებისა და სხვა მცენარეთა ღეროსა და ტოტებზე მავთულებია შემოჭერილი და ზოგან ისე ღრმად ჩაზრდილი, რომ მოსალოდნელია მათი გახმობა. ტოტებზე გადაკიდებულია მსხვილი კაბელები, დამაგრებულია პროჟექტორები, რეპროდუქტორები, ხოლო საახალწლო ნაძვის ხის ილუმინაცია, გირლიანდები და სხვა მორთულობა ხომ მთელი წელიწადი ზედ კიდია!

ბევრ ადგილას ნახავთ, რამდენიმე საუკუნის ხეებზე მიშენებულია ერთი ან ორსართულიანი სახლები, მოჭრილი აქვს მსხვილი ტოტები, გაქერქილია, ფესვის ყელი მოასფალტებულია და სხვ.

ხშირად გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხეების დარგვას ზარ-ზეიმით და სიხარულით ვხვდებით; ზოგიერთი მოქალაქის ვულგარული მოქმედებით, ცუდი მოვლის ან მექანიკური დაზიანების გამო კი ბუჩქი, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-50 წლით განისაზღვრება, ახლა 5-10 წელსაც ვერ ძლებს, ბევრი მცენარე იღუპება, და ამას ხშირად უყურადღებოდ ვტოვებთ.

მიღებულია, რომ წიწვოვან ხეებს, დარგვისას აჭრიან ქვედა 3-5 ტოტს, ხოლო ფოთლოვანი ხეების დარგვისას ვარჯის ტოტების კენწეროები უნდა შემცირდეს, რათა წონასწორობა დამყარდეს შემცირებულ ფესვთა სისტემასა და ვარჯს შორის; ამით უმჯობესდება კვების პროცესები და მცირდება სავეგეტაციო პერიოდში აორთქლება. ხშირად ხდება, რგავენ მოზრდილ ხეებს და ტოტებს კი არ უკვეცავენ (ალბათ იმ მიზნით, რომ მოგვაჩვენონ, შეხედეთ, ახალ დარგულ ხეს რაოდენ ბევრი სიმწვანე აქვსო), რის გამოც შემდეგ წლებში ისინი სუსტ ნაზარდს, წვრილფოთოლს იძლევიან, კნინდებიან და ზოგი მათგანი ხმება კიდეც.

დღეს დედაქალაქში მეტად მწვავედ დგას ქუჩის ხეების ჯიშთა შერჩევა. თბილისის ქუჩების

გამწვანებისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ რომელი მცენარე რა პირობებს უფრო იტანს, ისე, რომ ყოველ ქუჩაზე, მოსახვევში თვალწინ ახალ-ახალი სახეობა იშლებოდეს; არ უნდა იგრძნობოდეს ერთი და იმავე ჯიშის თვალისდამღლელი, მოსაბეზრებელი ერთფეროვნება.

ჭადარი ულამაზესი დეკორატიული ხეა (თუმცა მისი ყვავილები გაზაფხულზე ალერგიას იწვევს, ამასთან, ბოლო ხანებში, თვითონაც ავადდება), მაგრამ მაინც თბილისში განსაკუთრებით მასობრივად ამრავლებენ ჭადარს.

რით შეიძლება ჭადარი შევცვალოთ?

ცაცხვი კარგად იტანს ქუჩის ნაკლებ განათებულ მხარეს; პლეხანოვის პროსპექტზე აკაკი ცუდად იზრდება, ერისთავის ქუჩაზე კი, პირიქით. ცხენისწაბლა, კიევის ქუჩებს რომ ამშვენებს, ჩვენთან ქუჩას ვერ იტანს, პარკში კი კარგად ვითარდება.

ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვების საფუძველზე, თბილისის ქუჩებს კარგად ეგუებიან (ჩამოთვლილია უკეთესობის რიგით) წიწვოვანებიდან: ჰიმალაური კედარი, ატლასური კედარი, მარადმწვანე ჰორიზონტალური კვიპაროზი, მარადმწვანე პირამიდალური კვიპაროზი, ვეიმუტის ფიჭვი, ელდარის ფიჭვი, ენგელმანის ნაძვი, ბიოტა, უთხოვარი და სხვ.

ფოთოლმცვენებიდან: ჭადარი (რადგან, ბევრია, მათ დარგვაზე თავი უნდა შევიკავოთ დროებით მაინც), იაპონური სოფორა, ნეკერჩხლების ზოგიერთი სახეობა, ცრურობინია, ალბიცია, აკაკი, იფანი, ცაცხვი, მაგნოლია, დიდყვავილა, ალვის ხე, კაკალი, ჭყორმუხა, ვერხვი და სხვანი, ხოლო ბუჩქებიდან: ბიოტები, წყავი, იაპონური აუკუბა, აბელია, კეთილშობილი დაფნა, დაფნიფილუმი, კოწახურები, პიტოსპორუმები — მწვანე ფოთოლა და ჭროლა, როზმარინი, სირვაშლა, მარადმწვანე ტეონსტროემია, მჩხვლეტავი ფშატი, ჩიტვაშლები, ჭყორი, მარადმწვანე ხეშავი, იუკა და სხვანი.

თბილისში, მწვანე მშენებლობაში ნაკლები ყურადღება ექცევა, მერქნიანთა ძირითად სახეობებთან ერთად, დეკორატიული საბაღო ფორმების, ჰიბრიდებისა და ვარიანტების დანერგვას, რომლებიც მეტად ძვირფას მასალას წარმოადგენენ მთელი წლის განმავლობაში ლამაზი კომპოზიციების შესადგენად (მაგალითად, ვერცხლა, ჭროლა, ცისფერი და ოქროსფერი მტირალა, გართხმული ნაგალა და სხვ.).

სახელოვანი ქართველი მეცნიერი, დიდი მამულიშვილი, გამწვანების დაუცხრომელი ქომაგი და მოამაგე აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი თბილისის დეკორატორებს ურჩევდა — ქალაქს, რომ მთელი წლის განმავლობაში მეტი სიმწვანე და სუბტროპიკული იერი შეემატოს, პალმები, და რაც შეიძლება მეტი მარადმწვანენი მოამრავლეთო.

არანაკლებ ალამაზებს ქალაქს შვეული გამწვანება — ხვიარა მცენარეები, რაც მიწის ნაკლებ ფართობს მოითხოვს: ვაზი (იზაბელა, გორული მწვანე, ვარდისფერი ტაიფი, განჯური), სურო, ფათალო, ვისტრია, არისტოლოხია, ტეკომა და სხვანი. ვაზიდან ერთადერთი ჯიშია — იზაბელა (ადესა), რომელიც არც მყნობასა და წამლობას მოითხოვს და მოვლაც გაცილებით იოლია, მხოლოდ ქუჩის პირობებისადმი ნაკლებ მდგრადი, ეზოში კი უხვმოსავლიანია.

ჩვენი ბაღ-პარკებისა და სკვერებისათვის ასორტიმენტის რამდენიმე ასეული ჯიში შეირჩევა. სამწუხაროდ, ჯიშთა ასეთ მრავალფეროვნებას ჩვენს გამწვანებაში ვერ შეხვდებით. ეს სიღარიბე კი ჩვენი სანერგეებიდან იწყება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის სანერგეში ასეულობით ძირი 2-3 მეტრიანი სიმაღლის ატლასური კედარი, ჰიმალაური კედარი, წყავი და ბევრი სხვა ხე და ბუჩქები თუ უახლოეს ხანში არ გადაირგა, ალბათ სარგავ მასალად აღარ გამოდგება; და ასეთივე მდგომარეობაა ბათუმის, ოჩამჩირის, სოხუმის, ეშერის და ბევრ სხვა სანერგეებში.

საერთოდ, ქუჩის ნარგაობას, გარდა დეკორატიულობისა, უნდა ჰქონდეს ჩრდილი. თბილისში კი ამ ორიოდე წლის წინათ, ისედაც ყბადაღებულ ჭადარს ქვედა ტოტები შევაჭერით და კიდევ უფრო დავამახინჯეთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანებში როგორც თბილისში, გორში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, დაიწყეს ქუჩის ხეების შტამბის აწევა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ქვედა მსხვილი ტოტების შეჭრით, სანერგეში გამოყვანილი ღერო და ვარჯი მახინჯდება.

ამას გარდა, 60-100-წლიან და უფრო მეტი ხნოვანების ხეებზე აწარმოებენ გადაბელვას, ხოლო წიწვოვან ხეებს აჭრიან დიდი რაოდენობით ქვედა ტოტებს; ასეთ „აგროტექნიკას" სკვერში და ქუჩაში ხეები არ მოითხოვენ. ამიტომაა, რომ ქალაქს აკლდება დიდი რაოდენობით სიმწვანე და ჟანგბადი. 30-50 წლის წინათ, როგორც ცნობილი დეკორატორი გ. კალანდაძე აღნიშნავს, ხეებზე ტოტების შეჭრა სასტიკად იყო აკრძალული.

ბუნებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულების გამოვლინებაა, როდესაც მოსწავლე ბაღში, ან ქუჩის გაზონებში ყვავილებს წყვეტს, როდესაც წკეპლასავით გადატეხს ნერგს, როდესაც მძღოლი მანქანით აზიანებს ხეს, ან როდესაც მშენებლობის აგურსა და ფიცარს აყრიან მცენარეებს და დაუფიქრებლად სპობენ მას, ან წარწერებით ასახიჩრებენ ხეს.

ბუნების სიმდიდრისადმი ასეთი დაუდევარი, უმსგავსო მოქმედების მხოლოდ ადმინისტრაციული წესით აღკვეთა შეუძლებელია. ნარგავებს სპობს და აზიანებს ის კაცი, რომელსაც ბავშვობიდანვე არ ჰქონდა ჩანერგილი სასარგებლო მცენარეებისადმი სიყვარული, ადამიანის შრომისადმი პატივისცემა.

 

მწვანე ნარგავების მოვლისა და დაცვის მიზნით, ბაღ-პარკებში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ნარგავთა ინვენტარიზაცია, ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება. უნდა ვეცადოთ არსებული დამტკიცებული ნორმატივებით 1 ჰექტარ დეკორატიულ, საერთო სარგებლობის ნარგავთა მოვლაზე მუშაობდეს 0,7-2,0 მუშა. სამწუხაროდ, მათი სიმცირე საგრძნობლად მოქმედებს ნარგავთა და ყვავილნართა მოვლაზე.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე დაიწყო თბილისისა და მისი შემოგარენის, მთებისა და ფერდობების ინტენსიური გამწვანება — მწვანე მასივების, ტყე-პარკების, კულტურისა და დასვენების პარკების, ბაღების, სკვერების მშენებლობა, რის გამოც თანდათანობით მოისპო თბილისის ბუნებისა და ჰავის ნაკლოვანებები და დედაქალაქი უფრო ჯანსაღი, ლამაზი და მომხიბლავი გახდა.

ყვავილი ალამაზებს გარემოს, ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს, უნერგავს მშვენიერებისა და სიკეთის სიყვარულს.

ყვავილნარს მაშინ აქვს მხატვრული ღირებულება, როცა იგი ხანგრძლივად ყვავილობს — ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ამშვენებს ქალაქს. ჩვენი რესპუბლიკის თბილ და ზღვისპირა რაიონებში ხომ ზამთარშიაც ყვავილობს ვარდი და ბევრი სხვა მრავალწლოვანები.

სამწუხაროდ, თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მიატოვეს სეზონური მეყვავილეობა; ამით ეშხი და შნო მოაკლდა გაზაფხულის (ზიზილა, კონკიძველა, ლობელია, ხარისძირა, იაუუუნა, ნარგიზი, სუმბალი, იორდასალამი, ტიტა და სხვ.), ზაფხულის (პეტუნია, პერილა, ბეგონიები, წიწილყურა, აგერატუმი, პორტულაკი, ჰიბრიდ-ცინერარია, პირეტრუმა, სანტოლინი, ხატოვან-ხალიჩოვანი, ჯუჯა მცენარეები და სხვანი), შემოდგომის (სალვია, ქრიზანთემები) და სხვა უამრავ ყვავილებით განახლებული და დამშვენებული კლუბების, რაბატების, არაბესკების, პარტერების მხატვრულ გაფორმებას.

ამასთან, ყვავილნარებში არ ხდება გამოფიტული მიწის ახლით შეცვლა; ორგანულ სასუქს ხომ მეყვავილეებს არავინ აძლევს; თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ბევრი მოქალაქე აზიანებს ყვავილნარს, ძირიანად თხრის ან ფეხით თელავს მხატვრულ გაფორმებას, ცხადი იქნება, თუ რა ცუდ მდგომარეობაშია ეს დარგი.

მრავალი ღონისძიების მიუხედავად, დედაქალაქში მეყვავილეობის განვითარება, განსაკუთრებით კი მოჭრილი ყვავილებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენი სათბურები შეუფერებელია სამხრეთის კლიმატური პირობებისათვის. აქ გაზაფხულის თვეებში ტემპერატურა 85 გრადუსზე მეტ სითბოს აღწევს, რის გამოც, ცხადია, ბევრი მცენარის შენარჩუნება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, გამწვანების მეურნეობაში მაინც აგებენ პრიმიტიულ სათბურებს (ავშნიანი, საქარხნო რაიონი, ლაგოდეხი და სხვ.). სასურველია მათი მშენებლობა განხორციელდეს დიდ, 5-10 ჰექტარ ფართობზე, შესაბამისი მოწყობილობით, ლაბორატორიებითა და სხვა სათავსოებით.

დღეს გაცილებით ეფექტურია რემონტანტური მიხაკის, ქრიზანთემის, ფრეეზიას, ჯადვარისა და სხვათა სარგავი მასალის არავირუსოვანი — მერისტიმული წესით მიღება. სწორედ აქ არის საჭირო მცენარეთა ფიზიოლოგებისა და სხვა მეცნიერთა დროული დახმარება; მაშინ მიხაკი და სხვა ყვავილებიც უფრო მეტი გვექნება და უფრო იაფი დაჯდება.

გამწვანების არც ერთ მეურნეობას არა აქვს ბოლქვოვან და სხვა კულტურებისათვის მცირე გაბარიტიანი ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი, საკრეჭი თუ ამოსათხრელი მანქანები.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენში რატომღაც აიკრძალა ქაღალდის, პარაფინისა და ქსოვილებისაგან ხელოვნური ყვავილების დამზადება. მათ მაგიერ შემოიღეს „თაიგულები", „კალათები"; სამგლოვიარო ყვავილწნული არაფრით განსხვავდება საქორწინო თუ სადღესასწაულო თაიგულებისაგან და გვირგვინზე 2-3-ჯერ უფრო ძვირია.

ვიდრე გვიან არ არის, საჭიროა კვლავ შემოვიღოთ ხელოვნური ყვავილები, გვირგვინებისათვის მაინც. ხელოვნურ ყვავილებს შევხვდებით იაპონიის, შრი-ლანკას, ჩინეთის, ამერიკის და ევროპის ბევრ ქვეყანაში.

მართალია, ბოლო ხანებში ჩვენთან საგრძნობლად გაფართოვდა ორანჟერეების ფართობი, მაგრამ პროდუქციის გამოსავლიანობა, წლის ყოველ დროს, ერთ კვადრატულ მეტრ სტელაჟიდან ჯერ კიდევ მეტად დაბალია (1 ძირი მიხაკიდან 7-8 ცალი, ვარდი 5 ცალი, ჰერბერა 10 ცალი), რაც გამოწვეულია იმითაც, რომ ორანჟერეებში ყველგან არ არის მოწყობილი კონდიციონერი, ავტომატური ვენტილაცია, არაფესვური კვება, არა აქვთ მაცივრები, დამატებითი განათება, რწყვის, ჰაერის, ტენიანობის, სითბოს ავტომატური რეგულირება და სხვ.

სახელგანთქმულ მცხეთელ მეყვავილეს მიხეილ მამულაშვილს ვერც კი წარმოედგინა დღევანდელი კეთილმოწყობილი ორანჟერეები და მაინც ახერხებდა, რომ მცხეთისა და თბილისის ერთი პატარა სახელოსნოდან — „სოლეი-დორიდან" პეტერბურგსა და მოსკოვს სისტემატურად ათასობით ყვავილსა და ყვავილწნულსაც კი აწვდიდა; აი, რას წერდა მცხეთაში სტუმრად ჩამოსული ჰოლანდიელი სელექციონერი ვანზანტენი: „ის, რაც მამულაშვილს პარეკვაში, თავის სოროსავით გათხრილ სათბურებში გა

მოჰყავს, ჩვენ, ჰოლანდიაში მარმარილოსა და ბროლის სათბურებში ვერ ვახერხებთო“.

აი რამდენად წინ იყო ჩვენი მეყვავილეობა საქვეყნოდ სახელგანთქმულ ჰოლანდიაზე.

მაშ, ჩვენ რა გვემართება? რატომ არ არის ყვავილი? ეს „საიდუმლოება“ სწორად ამოხსნა ჟურნალისტმა მ. მიქაძემ, როცა აღნიშნა: „სახელმწიფო საყვავილე მეურნეობებში მოყვანილი ყვავილების დიდი ნაწილი სპეკულიანტების ხელში ხვდება და ბაზარზე საღდება“.

როგორც ცნობილია, დღეს ჰოლანდიელი მეყვავილეები მძიმე შრომას ეწევიან ნიადაგის დასამუშავებლად. თუ ჩვენთან ვენახისა და ხეხილისათვის ნიადაგს 80 სანტიმეტრის სიმაღლეზე ვამუშავებთ, იქ, ჰოლანდიაში ყვავილებისათვის ჰაობიან და მწირ ნიადაგს 5-8 მეტრის სიღრმეზე ამუშავებენ.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში წინანდალს ერთი გერმანელი ქიმიკოსი ეწვია, ღვინის ანალიზებთან ერთად ნიადაგებიც შეისწავლა და თქვა: „ჩვენი მიწები რომ ასეთი ნოყიერი იყოს., გერმანელებზე მდიდარი არავინ იქნებოდაო“.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: ჩვენი მევენახე ვაზის მოვლითა და დიდი გამოცდილებით „ევროპელ მეცნიერსაც კი აჯობებსო“. მაშ სხვაგვარად როგორ მივიღებდით საქვეყნოდ ცნობილ რქაწითელს, საფერავს, მწვანეს, ციცქასა თუ ცოლიკაურს! ქართველ მევენახეს სულსა და გულში უზის ვაზის სიყვარული.

მე მგონია, ყვავილის მოყვანას არანაკლებ ცოდნა, სული და გული სჭირდება.

ორი-სამი წლის წინათ დიღმის სათბურში რამდენიმე ათეული ათასი მანეთის მიხაკი და სხვა ყვავილი გაიყინა.

განა შეიძლება კარგმა მეურნემ წარმოიდგინოს სათბურში გაყინვა?

ყვავილის გამოყვანა-გამოყენებას ასი თვალი და ყური უნდა. სათბურში, ყუთებში თუ სტელაჟზე ნათესარს და აღმონაცენს თუ თვალს მოარიდებ და იგი მხურვალე მზის სხივებში მოხვდება, ნახევარ საათში მთლიანად გადაიწვება და დაგელუპება მოსავალი.

დღეს თბილისში საგრძნობლად ფართოვდება სასათბურო საორანჟერეო მეურნეობა; სამაგიეროდ, ძლიერ შემცირდა დიღმის საბაზისო დეკორატიული სანერგე (220 ჰექტარიდან — 20-30 ჰექტარამდე), საიდანაც, საუკეთესო ნიადაგობრივი პირობების გამო, მუდამ გამოდიოდა იაფი და მაღალხარისხოვანი სარგავი მასალა. ეს ძვირფასი სავარგულები გადასცეს სხვა უწყებებს; განა მათთვის სხვა ნაკვეთების გამოყოფა არ შეიძლებოდა? ვთქვათ, თბილისის ზღვის მიდამოებში, ან გამოუყენებელ მწირ ფერდობებზე? (რა შესანიშნავად და რა ლამაზად აქვთ გამოყენებული დაღესტნელებს მთის ფერდობებზე შეფენილ აულებში საცხოვრებელი სახლები).

ახლა თბილისელები ნერგებს კიევში, როსტოვში, ნალჩიკის და შავი ზღვის სანაპიროს ყველა სანერგეში ეძებენ.

დიღმის სანერგის ფართობის შემცირება უნდა შეწყდეს. ასევე უნდა შეწყდეს სოხუმში ეშერის დეკორატიული მებაღეობის სანერგის, ბათუმის გამწვანების ტრესტის სანერგის კვლავ შემცირება. ზემოჩამოთვლილი სანერგეები, ლენინგრადის, კიევის სანერგეებთან ერთად, მთელ კავშირს ამარაგებდნენ საუკეთესო სარგავი და საოთახო მცენარეთა მასალით.

* * *

ბაღ-პარკებში ადამიანი თავს უნდა გრძნობდეს ბუნების წიაღში. დღეს ჩვენს პარკებში ყველაზე კარგი ღონისძიება იქნებოდა „ბრძოლა სიწყნარისათვის“, უხილავი მტრის — ხმაურის წინააღმდეგ.

გასული საუკუნის ბოლოს დიდმა მეცნიერმა რობერტ კოხმა თქვა: „ოდესმე კაცობრიობა იძულებული გახდება ისეთივე გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს ხმაურს, როგორც უსწორდებოდა იგი ქოლერასა და შავ ჭირს“. და აი, უკვე დიდი ხანია დადგა ეს დრო; ხმაურს, რომელიც მილიონობით ხალხის ტანჯვის მიზეზად იქცა, მტკიცე, მედგარი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ბაღ-პარკებში, როგორც ბუნების წიაღში, უნდა ვიგრძნოთ მხოლოდ სრული სიჩუმე, სიწყნარე; კინოს, სპექტაკლებსა, ლექციებს, სამსახურსა და ოჯახებში ვისმენთ და ვუცქერით. აქ მაინც დავისვენოთ. ხმაური ჯანმრთელობის უჩინარი მტერია.

ბაღ-პარკებში და, საერთოდ ქალაქებში, უნდა აიკრძალოს ფოთლებისა და ნაგვის დაწვა, რაც მძაფრი, მწვავე სუნით ავსებს მიდამოს.

ქართველ დეკორატორების უახლოესი მეგობარი, ქალაქის მთავარი მხატვარი ოთარ ლითანიშვილი და სხვანიც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჩვენს ბაღ-პარკებს შემოქმედის ხელი აკლიაო, არ იგრძნობა მხატვრის მონახაზი, დღეს ვერ დაასახელებთ თუნდაც ერთ კაცს მწვანე არქიტექტურაში, რომელსაც შეეძლება მწვანე მასივების მაღალგემოვნებიანი გადაწყვეტაო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი სპეციალისტები თანდათან მიდიან, მათი ღირსეული შემცვლელი კი ჯერ არა ჩანს. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მწვანე მშენებლობის ფაკულტეტები, მგონი, მთელ კავშირშიაც არ არსებობს.

ძველად ლანდშაფტის ორი-სამი ხელოვნებათმცოდნე და არქიტექტორი თუ გვყავდა, საბაღო ხელოვნების შედევრებიც უცხოეთიდან მოწვეულ სპეციალისტებს ეკუთვნოდათ; სამწუხაროდ, ჩვენს დროშიც ამგვარი სპეციალისტების აღზრდასა და დასტატებაზე ნაკლებად ვიზრუნეთ.

მერე და რამდენი ყვავილების მოყვარული და ენთუზიასტი გვყოლია! როგორც კი

გამოცხადდა, რომ 1978 წლის სექტემბერში ბუნების დაცვის საზოგადოების სახალხო უნივერსიტეტთან (რექტორი პროფესორი გ. გიგაური) შეიქმნა „მწვანე მშენებლობისა და მეყვავილეობის ფაკულტეტი“ (დეკანი ი. ხმალაძე), თბილისის გარდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან (სოხუმი, ქუთაისი, გორი, ახმეტა, ყვარელი, ბათუმი, ცხინვალი და სხვ.) 250-ზე მეტი მსურველის განცხადება შემოვიდა და ახლა ისინი ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტების ლექციებს ისმენენ და პრაქტიკულად ეუფლებიან ამ მეტად საჭირო ძვირფას საქმიანობას.

თანამედროვე ქალაქის სილამაზე, მისი კეთილმოწყობის მაღალი დონე დიდადაა დამოკიდებული კარგ ფიტოპროექტზე (რომლის ნაწილია დენდროლოგიური პროექტი), რაც დაფუძნებულია საპარკო კომპოზიციის პრინციპზე. აქ მთავარია სარგავი მასალის შერჩევა-შეთანწყობა, მათი მხატვრული განლაგება, პერსპექტივის კანონების დაცვა, რიტმი, მასშტაბი, კონტრასტი, ფერი, წონასწორობა, შუქჩრდილები და სხვ. რათა მიღებული იქნეს ლანდშაფტური ხელოვნების მხატვრული ნიმუში.

და აი, 1979 წლის 6 მარტს საფუძველი ჩაეყარა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიდუბის ახალი ხიდის მახლობლად, თბილისის ახალ პარკს (80 წელიწადია დედაქალაქში პარკი არ გაშენებულა). აქ პარკის გაშენება თბილისელთა იმ მოწოდების საქმიანი პასუხია, რომელიც გაისმა XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან: „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად“. პარკის დაბადების ამ სასიხარულო დღეს მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის ათასობით მცხოვრებმა; აქ იყვნენ თბილისთან შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — სვერდლოვსკის, ბაქოს და ერევნის დელეგაციები, მწერლები, მეცნიერები და სხვ. აქ ხეები დაირგვება ღირსშესანიშნავი მოვლენების — სასწავლებლის დამთავრების, ქორწინების, შვილის შეძენის, ჩამოსული სტუმრის აღსანიშნავად და სხვ.

1979 წლის გაზაფხულზე საკმაოდ დიდი ფართობის ყვავილნარები და სკვერები შეემატა თბილისის თითქმის ყველა რაიონს. საუცხოოდ გამწვანდა მიდამოები ავჭალის გზატკეცილზე, გლდანის ხიდთან, ხეთაგუროვის, გრიბოედოვის, კრწანისის, შაუმიანის, ხმელნიცკის ქუჩები, ადგილები ორხევის ახალ ხიდთან, დიდუბის ახალ ხიდთან, პირველი მაისის რაიონში და სხვა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ერთიანი სპეციალური ცენტრი, რომელიც მთელ რესპუბლიკაში უხელმძღვანელებდა მწვანე მშენებლობის, მეყვავილეობის, სასათბურო-სანერგე მეურნეობის, ყვავილვაჭრობის და დაპროექტების საქმიანობას.

დღეს ეს დარგები მრავალ ორგანიზაციებსა და სამინისტროებს ექვემდებარება.

ჩვენს ქალაქს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები აქვს, რომ ნამდვილ ბაღნარად იქცეს; საჭიროა გვიყვარდეს მცენარე, ვიცოდეთ მისი ფასი, ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მწვანე ნარგავის საკეთილდღეოდ. მხოლოდ მაშინ იქნება თბილისი ნამდვილი წალკოტი, ტევრებისა და ვარდ-ყვავილების სავანე, და რაც მთავარია, შვილებსა და შვილიშვილებს დავუტოვებთ ჯანსაღსა და ლამაზ ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

# გზა და გზა

## შალვა დადიანი და სხვები

მივდევ ფიქრების მოძრაობას და ამის გამო არც თუ ზუსტად მივდევ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

განგებას თვალებზე დიდი საოცრება რა გაუჩენია?

ადამიანის თვალები უეჭველად სასწაულია სასწაულთა შორის.

სასწაულები ცხოველთა თვალთმეტყველებაშიც კი უამრავია, მაგრამ ადამიანთა თვალთმეტყველება იმდენი და იმდენნაირია, რამდენი ადამიანიცაა.

თვალთმეტყველების განგება, ჩემი ფიქრით, ძნელზე ძნელიცაა და, ასე გასინჯეთ, ადვილზე ადვილიცაა. ვინ არის ჩვენ შორის ისეთი, ვისაც ერთხელ მაინც არ წაეკითხოს თვალების ნათქვამ-მონათხრობი? შეგვიძლია ვთქვათ: ვინ, იცის, რას მეტყველებენ თვალები? თანაც ისიც ვთქვათ — რა ადვილია იმის ამოცნობა, თუ რას მეტყველებენ თვალები.

შალვა დადიანის თვალები, ჩემი დაკვირვებით, მუდამ რაღაც სასიამოს, სასიყვარულოს და საალერსოს მეტყველებდნენ. მაშინაც კი, როცა თვითონ შალვა რამეზე გამწყრალი, ან გულნატკენი იყო, მისი თვალები ლმობიერად უღიმოდნენ და ეალერსებოდნენ ქვეყნიერებას. ისინი განსაკუთრებით ეუღუნებდნენ ქალების მიმართ. თითქმის მუდამ სიხარულით, სიამით, ალერსით და ნეტარებით გაშუქებული პოემა მოჩქეფდა ამ თვალთაგან მაშინაც კი, თუ ოდესმე მათ დანანების ან სიბრალულის ცრემლი ჩაუდგებოდათ. ამ თვალებს საოცრად ესადაგებოდათ თუ ეჰარმონიულებოდათ შალვას დიდი, მძიმე თავი, დაზვინული შეჭაღარავებული გრუზა თმით და ზორბა, ახოვანი აღნაგობა. ეს თვალები თითქოს ციაგგუმბათოვანი და გაჩირაღდნებული დარბაზის ღია სარკმელი იყო. სიცოცხლე, სიყვარული და ხალისი მოგიზგიზებდა ამ სარკმლიდან. შალვას თვალები მეტყველებდნენ მისი სულისა და გულის გაუბზარაობას, მისი ადამიანური არსების დაურღვეველ მთლიანობას. ეს, რასაკვირველია, ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო და, ვინ იცის, არც თუ ისე გარდაუვალი შინაგანი კანონზომიერება მისი ადამიანური არსებისა. ერთი სიტყვით, მე ეს თვალები ყოველთვის სხივმფრქვეველ და ღიმილჩამდგარ თვალებად მეჩვენებოდა.

მაგონდება სრულიად განსხვავებული, სულ სხვაგვარად გამომეტყველი თვალები, პაოლო იაშვილის თვალები. პაოლოს პირადად არ ვიცნობდი. მაგრამ მე, როგორც ახალგაზრდა წითელარმიელი, 1926-1927 წლებში ხშირად ვხვდებოდი მას რუსთაველის პროსპექტზე ხან სად და ხან სად, და ყოველთვის მაოცებდა, მაოგნებდა, მაფიქრებდა, თუ გნებავთ, მატყვევებდა კიდევაც მისი საოცრად ნაღვლიანი და მწუხარე თვალები, მწუხარე და ნაღვლიანი იმ წუთებშიაც კი, როდესაც თვითონ პოეტი ერთობ მხიარული იყო, გულიანად იცინოდა და ლაღობდა. დიდად,, დიდად მაოცებდა მხიარულების, ლაღობის, სიცილის შეზავება თვალების ნაღვლიანობასა და მწუხარებასთან. მეჩვენებოდა, რომ პოეტის თვალები ყოველთვის რაღაც ტრაგიზმით სავსე პოემას ახხივებდნენ. ამავე დროს, მთელი სახიერება პოეტისა საკმაოდ მთლიანი და ჰარმონიული მოჩანდა.

ახლა თვალთა მრავალთა ნაირნაირი გამომეტყველება მაგონდება.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ორიოდე მაინც უნდა გავიხსენო აქ.

50-იანი წლების ერთ მონაკვეთში მწერალთა

საქართველოს და საკავშირო ყრილობის სამზადისში მივლინებით ჯერ ბათუმში და იქიდან გემით სოხუმში ჩავედით ელგუჯა მაღრაძე (მაშინ საქართველოს კ.პ. ცენტრალური კომიტეტის მუშაკი) და მე (როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წარმომადგენელი); აფხაზეთის მწერალთა სტუმრებად მოსკოვიდანაც იყვნენ ცნობილი მწერალი გალინა ნიკოლაევა და პოეტი ევგენი დოლმატოვსკი. გვმასპინძლობდა აფხაზეთის მწერალთა მაშინდელი მეთაური ბაგრატ შინკუბა.

საგულისხმო და საამო იყო, რომ მწერალთა თითქმის ყოველ სხდომას ესწრებოდა აფხაზური მწერლობის წამომწყები და თავკაცი დიმიტრი გულია; კონფერენციაზე ჭკვიანი, საქმიანი საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ბაგრატ შინკუბამ. საქმიანი სიტყვებით გამოვიდა რამდენიმე აფხაზი და ქართველი მწერალი, ითქვა მცირეოდენი საყვედური საქართველოს მწერალთა გამგეობის მისამართით, განსაკუთრებით კი ლიტფონდის მისამართით. ჩვენც, თბილისიდან ჩამოსულებმა, ჩვენი გულითადი სათქმელი ვთქვით, ისიც ვთქვით, რომ მათ გარკვეულ საყვედურსაც შევატყობინებდით ადრესატებს, კარგად, რიხიანად ილაპარაკა საბჭოთა პოეზიის დიდ ამოცანებზე ევგენი დოლმატოვსკიმ. ჭკვიანური, შთაგონებული სიტყვა წარმოთქვა გალინა ნიკოლაევმაც. მაგრამ მთელ ამ მოკლე ინფორმაციაში, როგორც ხედავთ, რაიმე მნიშვნელოვანი აზრი თითქმის არ არსებობს, მთავარი ის იყო, რაც ამ გარეგნული ნახაზების მიღმა სუფევდა. ეს მიღმისეული თითოეული ჩვენთაგანის იდუმალი ფიქრი იყო. ცხადია, მე მხოლოდ ჩემი იდუმალება შემეძლო მცოდნოდა. მაგრამ უეცრად ჩემი იდუმალი ფიქრი გადაკვეთა მოულოდნელმა ნახატმა; მე აქამდე არ ვიცი მომეჩვენა, თუ მართლაც ასეთი თვალები ჰქონდა გალინა ნიკოლაევას: ერთი კამკამა ცისფერი, მეორე — მოშავო თაფლისფერი. ასე გეგონებოდათ: ერთი თვალით იგი ადამიანის სულის სიღრმეში იხედებოდა, მეორეთი — გარემყარის სივრცეებში; ერთი თვალით იგი თითქოს ქვეყნიერების უფსკრულებში იცქირებოდა, მეორეთი — ფერთა შეზავებას შესციცინებდა, ერთით — სიბრძნის ხვეულებს გაჰყურებდა, მეორეთი — ქალურ ცბიერებას ახსივებდა ირგვლივეთში... არა, არ ვიცი, მწერალ ქალს მართლაც ასეთი თვალები ჰქონდა თუ მეჩვენებოდა, მეჩვენებოდა სწორედ მისი ერთი ნაწარმოების აკვიატებული გავლენით, ნაწარმოებისა, რომლის ერთ-ერთ პერსონაჟ ქალს მართლაც აქვს სხვადასხვა ფერის თვალები.

გაოგნებული ვიყავი. გალინას თვალები ხან ერთფეროვანი მეჩვენებოდა, ხან ძლიერ სხვადასხვა ფერისანი. ფიქრთა ათასნაირი ხლართები ამეღევნა ნანახისა და განცდილის გამო. ერთი საჭირბოროტო და რამდენადმე განყენებული საკითხი მაინც განსაკუთრებით ამეკვიატა: როგორია ადამიანის თავისუფლების ყველაზე უკეთესი იდეალი. ამ საკითხებზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხშირად ვსაუბრობდით მგზავრობაში ელგუჯა და მე. ელგუჯა თავის მსჯელობაში საკმაოდ ჩაღრმავებული და ღონიერი იყო. თვალებითაც მეტყველებდა კეთილად და ფიქრიანად. გულითადი და ხალისიანი იყო იგი, ადრე ბათუმშიც, იქაურ მწერლებთან შეხვედრისას. ბათუმშივე, ქალაქის გარეუბან სოუქსოში, ჩემი დის ოჯახსაც ვეწვიეთ. ელგუჯა ყურადღებას იქცევდა თავისი გულითადობით და უბრალოებით. ჩემი საამო თანამგზავრისა და ჩემი სტუმრობით მაშინ საოცრად ბედნიერი იყო ჩემი და — ვერა. წლების შემდეგ კი მისი ცხოვრება საოცრად დიდ ტრაგედიად შეტრიალდა: ზედიზედ ტრაგიკულად დაეღუპა ოთხი შვილი... ჭეშმარიტად: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

სოხუმშიაც, ქალაქის ერთ-ერთ ბექობიან უბანში თავის სახლ-კარში მიგვიპატიჟა მწერალმა კლიმენტი გოგიავამ... გახარებული კაცი იყო იგი თავისი ნაყოფიერი ლიტერატურული შრომითაც და თავისი მრავალშვილიანობითაც. ერთხელ კლიმენტიმ კიდევაც იხუმრა: — თუ ლიტერატურით ვერ გავამდიდრებ სამშობლოს, შვილებით მაინც გავამრავალრიცხოვნებ მასო. კლიმენტის ოჯახშიაც ელგუჯა ლაღსა და სანდომიან ადამიანის არსებას ამჟღავნებდა... აქამდე გულსატკენად მაქვს, რომ მოულოდნელი მწვავე ავადმყოფობის გამო ვერ ვისარგებლეთ გულითადი მიპატიჟებით დიმიტრი გულიას ოჯახში... მაინც აქამდე კარგ მოგონებად მრჩება მაშინდელი მოგზაურობა ელგუჯასთან ერთად ბათუმსა და სოხუმში...

მერე ელგუჯა მაღრაძემ თანდათან აინაცვლა თანამდებობრივ კიბეზე, ლიტერატურული შრომებიც ბლომად გამოსცა. ერთხელ, მეც მისახსოვრა წიგნი გრიგოლ ორბელიანზე. ეს წიგნი გულდაგულ წავიკითხე. რამდენიმეჯ შემაფიქრიანა თემატიკურ-სტილისტური მახვილების, აქცენტების განაწილებამ წიგნში. პირადად, მე გრიგოლ ორბელიანი ერთობ მძაფრად გაორებულ დიდ ადამიანად მესახება. არ ვიცი, მისთვის თვით შემოქმედისათვის შინაგანად ეს გაორება თვითშემეცნებული და, მაშასადამე, უაღრესად ტრიგიკული იყო, თუ სტიქიური და გაუცნობიერებელი. არსებითად, ორივე შემთხვევაში., თავისთავად, ობიექტურად ეს გაორება, რასაკვირველია, ტრაგიკული იყო. ეჭვი არ არის, არსებითად გასარკვევია შინაგანად გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი იყო პოლარულობა თვითმპყრობელი იმპერატორის ერთგული გენერლისა და დიდი ეროვნული თვითმყოფადობის თავდავიწყებული მომღერლისა. ყოველ შემთხვევაში, ეროვნული შარავანდედისა და უკვდავებისათვის განზრახულია ბრწყინვალე პოეტი და არა მეფის ერთგული, თუნდაც ფრიად მამაცი გენერალი...

რას იზამთ, სხვა რომ არ იყოს რა, თანამდებობრივ საფეხურზე ამაღლება და იმავე დროს, ვაჟკაცობის შენარჩუნება ყოველთვის ძნელი იყო.

მაგრამ გზა და გზა ადევნებულმა ფიქრებმა თუ საკითხებმა მე შორს გამიტყუა და შალვა დადიანის სახიერების ჩემეული გამოსახვის გზას ამაცდინა. ახლა მის ღიმილს უნდა დავუბრუნდე. ო, რა ძნელ გასატოპავ ფონს მივადექი: კაცის ღიმილსა, თუ სიცილში მთელი მისი სამყარო ირეკლება. აქაც შეიძლება ითქვას, რამდენნაირი ადამიანიცაა, იმდენნაირი სიცილი თუ ღიმილია ამ ქვეყნად. სიცილში მოჩანს ადამიანი. უამრავია ნირი სიცილისა: არის გულიანი და გულალალი სიცილი, არის ფიქრჩაწნული გონივრული სიცილი, არის სევდიანი სიცილი, არის მწარე სიცილი, არის გულიდან დაძრული სიცილი, არის გულისმიღმა ყელიდან ამომავალი სიცილი, არის კეთილი ხარხარი, არის ხარხარი იქედნურიც, ბოროტიც, არის ქალურიც, კეკლუცურიც, არის ქირქილიც და, ვინ მოთვლის, რამდენნაირი, რამდენი ელფერის სიცილია. და ყოველნაირ სიცილს უთვალავი პიროვნული და განუმეორებელი გასხივება აქვს.

თავაზიან-დარბაისლური, უდარდელ-არტისტული, კეთილი, ლაღი და დარდიმანდული იყო შალვა დადიანის სიცილი. მაგრამ მის თვალთმეტყველებამდე და მის სიცილამდე მე მისი ლიტერატურული ნაწარმოები გავიცანი. ეს იყო პატარა პიესა „როს ნადიმობდნენ“. გურიის სოფელ ხიდისთავის სკოლის მოსწავლეებმა ეს პიესა დავდგით სოფლის სახალხო სახლში. სახალხო სახლს ეძახდნენ გრძელ ფიცრულ ფარდულს, აგებულს ჭოლა ლომთათიძის საყვარელი მთის ღელის — ლუგუბას პირას, მდინარე გუბაზოულთან, შესართავის მახლობლად. ჯერ კიდევ ადრე, როცა მე სოფლის სკოლის 8-9 წლის მოსწავლე ვიყავი, სხვა ანგალ ბიჭებთან ერთად, ღრიჭო ფიცრებს შუა, შევპარულვარ ამ ფარდულში იმ დროს, როცა იქ საგასტროლოდ ჩამოსული გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს. მაშინ უფრო მსმენელთა დაუოკებელი აღტაცება და სტუმარი პოეტების წმინდანური სახიერება მეტყველებდა, ვიდრე მათი ლექსების ღვთაებრივი მუსიკა, იმ მეეტლეს მაინც შევნატროდი, ვისაც პოეტი ცხენების გარეკვას შესთხოვდა. ო, რა დამათრობელი სურნელება აქვს ზოგჯერ გარდასული ჟამის თუნდაც სრულიად უბრალო ნაკვთებს!... შემდეგ და შემდეგ სიცოცხლე იტვირთება უამრავი განცდით...

აქამდე ჩაუქრობელი რომანტიკის შუქით დაფერილ ფაქტად მეხატება შალვა დადიანის „როს ნადიმობდნენ“ ხიდისთაველი მოსწავლეების მიერ დადგმული უკვე საკმაოდ შორეულ წარსულში. განსაკუთრებით სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში პიესის ბოლო სცენაში მოხმობილი სტროფი ცნობილი ლექსიდან — „უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოცექული“. მაშინ მოსწავლეები პირდაპირ გაბრუებული ვიყავით პიესის ერთგვარი მსუბუქი რომანტიკითაც და ჩვენი შესრულების სრული გულუბრყვილობით (მაგრამ მოაბრუნეთ ის დღეები, ის ფიქრები, ის ოცნებანი, ის გოგობიჭები და, ასე მგონია, სულში იფეთქებს ბედნიერებაც, მშვენიერებაც). დიდიხნის შემდეგ, როცა შალვა დადიანი პირადად გავიცანი, შემთხვევა მომეცა მისთვის მეამბნა ჩემი პირველი განცდანი და გატაცება მისი პიესით. შალვამ არტისტულად ჩაიცინ-ჩაიხარხარა და თბილად თქვა: — კარგია, კარგი...

როგორც შევატყე, გაბმული საუბრით თავის შეწუხება არ უყვარდა. თითქმის ყოველთვის ლაღი იყო და მომღიმარი. მისი ნათელი სიბრძნე საოცრად შეთანხმებულ-შერწყმული იყო მის საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან. ხალისიანი, მხიარული და ოპტიმისტური ბუნების პიროვნება იყო. ერთხელ, ერთ პატარა წრეში, თითქოს ხუმრობითაც და თითქოს მტკიცე შინაგანი დარწმუნებითაც თქვა: — სანამ ქვეყნად ქალები არ გამოილევა, მანამ არც სილამაზე და არც ნეტარება გამოილევა. ღვთის მადლით, თუ მასთან ერთად, ღვინოც და არაყიც ხელმისაწვდომი იქნება, სიხარულს რაღა გამოლევს... — და არტისტულად ჩაიხარხარა.

გარკვეული მნიშვნელობით, შალვა დადიანი უეჭველად შეიძლება აღიარებულ იქნას ახალი დროის ქართველ ეპიკურედ და, უკეთ ვთქვათ, ხალისით სავსე ქართველ ბრძენკაცად. მახსოვს, ერთხელ ერთი საჭოჭმანო ვითარებისა და ერთი პიროვნების არც თუ საამო საქციელის გამო, შალვამ დაფიქრებით და თავისებური არტისტული რიხით თქვა: — კარგია, კარგი, როცა კაცს აქვს იმის მტკიცე რწმენა, რომ არამცთუ სიბოროტით, სისულელეს კი რას უზამთ, — არამედ სიბრძნითაც კი არ უნდა გაუმწარო სიცოცხლე ადამიანებს!..

ერთობ წონადია შალვა დადიანის ღვაწლი ქართულ მხატვრულ კულტურაში, მან როგორც მსახიობმა, რეჟისორმა, დრამატურგმა, პროზაიკოსმა და საკმაოდ ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწემ მნიშვნელოვანი, და წარუხოცველი ფასეულობა ჩასდო ეროვნული კულტურის საგანძურში. მისმა პიესებმა უეჭველად მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ქართული თეატრი, სასცენო ხელოვნება, დრამატურგიული ლიტერატურა. ფრიად თვალსაჩინოა მისი წილი ქართულ პროზაში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა რომანები „გიორგი რუსი“ და „გვირგვილიანების ოჯახი“. პირადად ჩემი აზრით, მწერლის მთელი მემკვიდრეობიდან ყველაზე ძლიერი და საუკეთესო მაინც მისი ისტორიული რომანი „გიორგი რუსია“. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ეს რომანი ერთ დროს კონიუნქტურული კრიტიკის მიერ არამც თუ გაკენწლილი, არამედ დაგმობილი იყო. მიუხედავად ერთგვარი ბუტაფორული ნაკვეთებისა, ეს რომანი ძლიერია თავისი შემკვრივებული რომანტიკით, კარგი სტილური პლასტიკით, წარმტაცი ხატოვნებით და, რაც მთავარია, ოსტატურად, დამაჯერებლად, რეალისტურად გამოკვეთილი თუ გამოსახული პერსონაჟებით, ხასიათებით, სახეებით... მაგრამ თავის დროზე და ამჟამადაც ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ისტორიულისა და თანადროულობის დიალექტიკური ურთიერთობის პრობლემა მხატვრულ ნაწარმოებში. ჩემი აზრით, წარმოსახვით რა შორეულ წარსულშიც უნდა წავიდეს თანამედროვე შემოქმედი, თავის მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ მრწამს ვერ გაემიჯნება და შეგნებულად თუ სტიქიურად ყოველთვის შეეცდება გაამჟღავნოს ან, უკეთ ვთქვათ, ხორცი შეასხას მშვენიერებისა თუ სიმართლის თავის იდეალს ანუ თავის მსოფლგაგებას. რამდენადაც ისტორიულ ნაწარმოებშიაც შემოქმედი თავისი მსოფლმხედველობის და თავისი ესთეტიკურ მრწამსის პრიზმში გატარებულ სამყაროს გამოსახავს, ამდენად ეგ სამყარო თავისი პერსონაჟებით შემოქმედის თანადროულიცაა, ისტორიული გმირიც ამ თვალსაზრისით მწერლის თანამედროვე გმირიცაა. ამ თვალსაზრისით და ამის საფუძველზე შევიტანე მე ჩემს მოხსენებაში შალვა დადიანის ისტორიული რომანის პერსონაჟებიც. ამ მოხსენებით მე გამოვდიოდი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, სადაც 50-იანი წლების დასაწყისში მივლინებით ვიყავით გაგზავნილი აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვიქტორ გაბესკირია და მე. დაუვიწყარია ამ შესანიშნავ და სათითაოდ პიროვნულად განუმეორებელ მწერლებთან მოგზაურობა. აკაკი ბელიაშვილი მსუბუქად, ხალისიანად კითხულობდა პატარა მოთხრობებს, განსაკუთრებით შთამბეჭდავად კითხულობდა ერთგვარ სევდანარევ მოთხრობას ბებერი, უპატრონოდ გაშვებული ცხენის შესახებ, რომელიც იმერეთის გზაზე მაინც ამოუდგებოდა გვერდში ეტლში შებმულ თანამოძმეებს. აკაკიმ კარგი, კეთილი ხარხარი იცოდა. კონსტანტინე ჭიჭინაძე უფრო ხშირად თავის ცნობილ ლექსს „ვარციხეს“ კითხულობდა, ჩემი დაკვირვებით, კონსტანტინე ჭიჭინაძე უფრო ინტელექტუალური ბუნების პოეტი იყო, დინჯი და ჩამკვრივებული. ვიქტორ გაბესკირია ფიქრჩახვეული, მძაფრი, მაგრამ არამეტისმეტად გამომჟღავნებული სულიერი ყრუანტელისა და პატარ-პატარა ლირიკული ჩანახატების ოსტატი იყო. იგი შთამბეჭდავი სიდინჯით კითხულობდა თავის ლექსებს. მსმენელები თვითეული მათგანის მიმართ შესაფერისად გულისხმიერნი იყვნენ. მე კი ამ საღამოებზე პატარა შესავალი მოხსენებით გამოვდიოდი თანამედროვე ლიტერატურის — პროზისა და პოეზიის შესახებ. შემდეგში ეს მოხსენება წერილად გავაკეთე — „თანამედროვე ქართული პროზის გმირის“ სახელწოდებით და ჟურნალ „მნათობში“ დავბეჭდე. სწორედ ამ წერილში თანამედროვე ქართული პროზის გმირთა წყებაში მოვიხსენიე შალვა დადიანის რომანის პერსონაჟი — თამარ მეფე. იმ ცხარე დავის გამო, რაც ამ საკითხის ირგვლივ ატყდა მგზნებარე, დაუცხრომელი, ნიჭიერი, ენამჭევრ ბესო ჟღენტსა და ჩემს შორის, არას ვიტყვი (ამ დავის წერილობით გამოხატულება ვრცლად არის აღბეჭდილი იმ დროის მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას“ და ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე)., რომ უნებლიედ ცალკერძობაში არ გადამიცდეს კალამი. მხოლოდ გაკვრით გავიხსენებ, რომ ჩვენს დავაში იმ ხანად, სხვათა შორის, ჩაერია მოსკოვიდან თბილისში სტუმრად ჩამოსული ალექსი სურკოვი. ის ერთ რეპლიკაში თითქოს მე შემეკამათა: „რასაკვირველია, ლიტერატურის მხატვრული სახეები უნდა შეფასდეს მათი იდეურ-ესთეტიკური დატვირთვით, მაგრამ არ შეიძლება ერთნაირად მოვეკიდოთ სტახანოვისა და რომელიმე ძველი მეფის გამოსახვას ჩვენს ლიტერატურაში“.

ჩემს გამოსვლაში მე შევეცადე დამესაბუთებინა არსებითი სხვაობა სინამდვილის ფაქტების, ნამდვილი ცოცხალი ადამიანებისა და მხატვრული ვითარების, ადამიანთა მხატვრული სახეებისა. ლიტერატურაში, მხატვრულ წარმოსახვაში თანამედროვე ნამდვილ გმირზე გაცილებით სისხლსავსე და შინაარსეული შეიძლება იყოს სრულიად უბრალო ადამიანის მხატვრული სახე. ლიტერატურული გმირი თანამედროვეა, თუ ისტორიული, საბოლოო ჯამში გამოხატავს შემოქმედის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ამიტომ ზოგჯერ ისტორიულ-ლიტერატურულ გმირში შეიძლება უფრო მძაფრად იყოს გამოსახული შემოქმედის მსოფლმხედველობა, მსოფლშეგრძნება, ვიდრე რომელიმე თანამედროვე პერსონაჟში. ერთხელ კიდევ გავიმეორე ბევრჯერ ნათქვამი: მთავარია არა ის, რას ან ვის გამოხატავ, არამედ ის, თუ როგორ გამოხატავ და რა გრძნობა-აზრს აქსოვ გამოხატულში.

არა მგონია, მაშინ უფრო ღრმა და მჭევრმეტყველი ვიყავი, თუმცა დემნა შენგელაიამ ჩემი გამოსვლის შემდეგ საჯავახოურად მეხუმრა: მორევში ჩავარდნილ კაცს ჰგავდი, ხან თავს რომ ამოყოფს, ხან რომ ჩაყურყუმელავდებაო.

თავის საბოლოო სიტყვაში სურკოვი ბევრ რამეში დამეთანხმა და კიდევაც კეთილად გამომეხმაურა...

როგორც მახსოვს, კამათს მისი რომანის გამო შალვა დადიანი არ დასწრებია. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ პოეტმა ანდრო თევზაძემ მიამბო, თუ როგორ შეხვდა შალვა მისი რომანის გამო

ატეხილ დავას. (პოეტი ანდრო თევზაძე ძალიან დაახლოვებული იყო შალვა დადიანთან, ერთხანს შალვას ბინაშიაც კი ეკავა ერთი კუთხე). ანდრო თევზაძის გადმოცემით, შალვას ეთქვა:
— მთელ ჩემს სიცოცხლეში მუდამ ის მწყუროდა, რომ მთელი ჩემი არსება, მთელი ჩემი მოკრძალებული მოქმედება ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის, ჩვენი ადამიანების კეთილდღეობასა და სიხარულს შელეოდა. ამიტომ გული მტკივა, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემი მცირე ნალვაწის გამო ასეთი ვაჟკაცები წაიკიდნენ... მაგრამ არა უშავს, კეთილი ადამიანები არიან, მალე დაზავდებიანო

თანაც კეთილად იცინოდა თავისი არტისტუდაზავდებიანო.

ამაზე რამდენადმე ადრე, თუ რამდენადმე გვიან საქართველოს მწერალთა კავშირში მარიკა ბარათაშვილის რომელიღაც პიესის განხილვა მოეწყო. განხილვაში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. მეც ვილაპარაკე პიესის გამო. ღირსებასთან ერთად ზოგიერთი ხარვეზიც აღვნიშნე. დროის, სივრცის და მოქმედების ერთიანობის პრინციპი ჩვენს დროში დრამატურგიული ნაწარმოებისათვის არ არის სავალდებულო, — ვთქვი მე, — მაგრამ დრამატული ნაწამოებისათვის, ჩემი აზრით, მუდამ იქნება სავალდებულო სანახაობრივობა. დროთა ვითარებაში კი ამ სანახაობრივობას თანდათან გაღრმავებული დანიშნულება დაეკისრება, დაეკისრება არა მარტო ის, რომ გაგახსენოს, რაც ოდესღაც გინახავს ან სხვას განუცდია გუშინ, გუშინწინ ან შორეულ წარსულში, არამედ რაღაც სრულიად ახალი, უნახავი ან განუცდელი გიჩვენოს და გაგრძნობინოს. ამიტომ, ჩემი აზრით, ყოველ ჭეშმარიტ დრამატულ ნაწარმოებს., ისე როგორც ყოველ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს. პირველადი გარსის ანუ პირველი ფენის შიგნით უნდა ჰქონდეს მეორე, მესამე და ასე შემდეგ და შემდეგ სიღრმეული ფენა, დამუხტული ღრმა აზრითა და გრძნობით. დრამატულ ნაწარმოებს ყოველთვის უნდა მივუდგეთ ცხოვრების ზედაპირის გადაღმა, რაღაც სხვა გასაოცარ სამყაროში...

ამას რომ ვლაპარაკობდი, შევატყე რომ შორს შევტოპე რაღაცნაირ აბსტრაქციაში და უმალვე შემოვბრუნდი პიესის შინაარსისაკენ... შალვა კეთილი ღიმილით შემომყურებდა. ვფიქრობდი, რომ იგი ხვდებოდა ჩემს შინაგან ჭოჭმანს. თვითონ კეთილგანწყობილად ილაპარაკა პიესაზე, სიღრმეებში არ წასულა. რამდენიმე დღის შემდეგ თეატრალური საზოგადოების შენობაში შევხვდი, ღიმილიანი და კეთილგანწყობილი იყო. მახსოვს, თითქოს მოწყვეტილად და უკონტექსტოდ თქვა: — ჰე, ჩემო კარგო, ყველაფერი კარგია, მაგრამ ჟამთასვლა ულმობელია: ყოველ წუთს მოუბრუნებელ წარსულში გადავყავართ. თვალის დახამხამების შემდეგ ჩვენი აქამდელი ცხოვრება წარსულში გადაბარგდება. ბევრიც ეცადოთ, გარბენილ წუთებს ველარ შემოაბრუნებთ. ამიტომ ჩვენი ცხოვრებიდან რაც მომავლისათვის დაიწურება, ღირსეული მხოლოდ ის არის... კარგი იყო, ძალიან კარგი იმდღევანდელი ჩვენი ბაასი მარიკას პიესის გამო...

შალვას ამ სიტყვაში რაღაც მეცნაურა. მან დინჯად განაგრძო გზა თავის კაბინეტისაკენ...

ერთხელ, როგორც ჩანს შალვას წინადადებით, მე აღმოვჩნდი ქუთაისის თეატრის მუშაობის შესასწავლად მივლინებულ მცირე ჯგუფში. ჯგუფის შემადგენლობა ასეთი იყო: მწერალი როდიონ ქორქია — ავტორი პატარა, მუდამ ულრმესი, სულისშემძვრელი დრამატიზმითა თუ ტრაგიზმით აღსავსე მოთხრობისა თუ ნოველისა—„მარილის აკვანში“ (ეს ნაწარმოები ფრიად კეთილად მოიხსენია რომელიღაც წერილში ნოდარ დუმბაძემ); მრავალი საგულისხმო სხვაც რამ რომ არ დაეწერა მწერალს, არდავიწყების საბაბად ეს ნაწარმოებიც ეყოფოდა; ამას ისიც მიუმატეთ, რომ იგი კეთილი გულის, უხვი ბუნების და მოკრძალებული ხასიათის პიროვნებაცაა. როგორც ვიცი, როდიონ ქორქია ერთგვარად შემოქმედებრივადაც თანამშრომლობდა შალვა დადიანთან. ჩვენი ჯგუფის წევრი იყო აგრეთვე ჟურნალისტი, კრიტიკოსი და თეატრალი პეტრე ბახტურიძე — კაცი რიხიანი, ხალისიანი მოსაუბრე; ქუთაისში, გორაკზე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევის სულ ახლო მას კარგი საზიარო სახლ-კარიც ჰქონდა; ერთ ღამეს ამ სახლში გულუხვადაც გაგვიმასპინძლდა, შინ დაყენებულ კარგ ღვინოს გვთავაზობდა და თანაც ხუმრობდა — დალიეთ, შეგერგებათ, სიბრძნე კი, რაც შეიძლება არსებობდეს ქვეყნიერებაზე, უკვე ამოწურულია ჩვენამდე უთვალავი ბრძენის მიერ.

სხვათა შორის, ამ ხუმრობას სხვა დროსაც ხშირად იმეორებდა პეტრე ბახტურიძე.

ქუთაისის თეატრის მაშინდელი დირექტორი და მთავარი რეჟისორი დოდო ანთაძე, ერთობ გულმხურვალედ შეგვხვდა. დოდო ანთაძე ძლიერ მონდომებული, საქმიანი, მასშტაბური გაქანებისა და ენერგიული თეატრალური მოღვაწე იყო. იგი მარჯანიშვილის ერთგულ მოწაფედ, თანამშრომლად და თანამოღვაწედ ითვლებოდა, შესაბამისად ახმეტელის სკოლაც ჰქონდა გავლილი. ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი კერის — თეატრის კარგი და საქმიანი ორგანიზატორი იყო უეჭველად. მე იგი პირადად იმ დროს გავიცანი ქუთაისში. მასთან საუბრიდან დავრწმუნდი, რომ იგი შალვა დადიანს დიდ პატივს სცემდა, დიდად აფასებდა და არამარტო ქართული თეატრის, არამედ მთელი ქართული მხატვრული კულტურის ერთ-ერთ დიდ ბურჯად თვლიდა. კეთილად და კარგი იუმორის გრძნობით იხსენებდა შალვას ზოგიერთ თავგადასავალს.

ჩვენ დავესწარით ქუთაისის თეატრის რამდენიმე წარმოდგენას, დავრწმუნდით, რომ იგი ფლავდა ერთ-ერთ არაპროვინციული, თვალსაჩინო ქართული თეატრის დონეს. დაახლოებით ასეთი შეფასება მივეცით მას თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის თათბირზე და ასეთივე შეფასება მოგვქონდა თბილისში მოსახსენებლად. ქუთაისის რამდენიმე საწარმოს, კერძოდ, საკონსერვო ქარხნის დათვალიერების შემდეგ (მაშინ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, როგორც მახსოვს, მხოლოდ ჩანაფიქრში იყო) დიდო ანთაძემ თავის ოჯახში კარგი სამახსოვრო წვეულება გამართა. წვეულება ერთგვარად საქმიან შემოქმედებით თათბირსაც ჰგავდა. იქ გავიცანი პირადად დოდოს ფრიად განათლებული და შინაარსიანი მეუღლე — ფატი გოკიელი. გამიგონია, როცა ფატი თბილისის უნივერსიტეტში ირიცხებოდა და შალვა ნუცუბიძის ლექციებს ისმენდა, შალვა მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და ამბობდა, ასეთი ღრმა ფილოსოფიური მიდრეკილების ქალი იშვიათი მოვლენააო. ამ ცნობის სიზუსტეს ვერ დავიჩემებ, მაგრამ ეს ქალი რომ ერთობ მახვილი გონების პატრონი იყო, გაცნობისთანავე ვიგრძენი (რამდენიმე წლის შემდეგ მე შემთხვევა მქონდა რედაქცია გამეკეთებინა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის ერთი წიგნის ქართული თარგმანისათვის, რომლის ერთი მონაკვეთი ფატი გოკიელს ეკუთვნოდა; ეს მონაკვეთი ერთობ კვალიფიციურად და ძარღვიანად იყო თარგმნილი). იმ წვეულებაზე დიასახლისმა შალვა დადიანი მოკრძალებით და კეთილად მოიხსენია. მას აქეთ მახსოვს ამ ქალის საგულისხმო ნათქვამი: (უფრო ნათქვამის აზრი, ვიდრე სიტყვები): —მე ძლიერ ვიღლები ისეთი ნაწარმოებების კითხვით, რომელთა ავტორები ძლიერ ხშირად თავისთავის სიყვარულით უფრო არიან გართულნი, ვიდრე ქვეყნიერების სიღრმესა და სილამაზეში შეღწევით. მიუხედავად თავისი პიროვნების ფრიად განსხვავებული და დიდებული სკულპტურული გამოკვეთილობისა, თავის შემოქმედებაში შალვა დადიანი მოკლებულია ყოველგვარ ექსცენტრიულობას. ეს მომხიბვლელი თვისებაა ყოველი შემოქმედისა.

ამას რომ ამბობდა, დიასახლისის თვალები ღონიერ აზრს ასხივებდნენ.

საამო იყო ქუთაისის შთაბეჭდილებანი.

თბილისში რომ დავბრუნდით, მე გამოვაქვეყნე პატარა წერილი „მნათობში" ქუთაისის თეატრის ზოგიერთი დადგმის შესახებ.

ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ ვეტანები. ქვეყნიერების გულისწუხილისათვის ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ 1953 წლის მარტის თვიდან ისტორიის ღერძი რამდენიმედ ახალი მიმართულებით გადაიხარა. საქმე არა მარტო პიროვნების როლს ეხებოდა. მთავარი იყო ჟამთასვლის შინაგანი ვულკანური ძალების მოქმედება. თუმცა ზოგჯერ ფრიად გონიერი მოწიფული ადამიანებიც კი იმ გულუბრყვილო ბავშვებს ვგავართ, ვაგონის კედლებს რომ აწვებიან და ჰგონიათ, რომ მატარებელი მათ მიჰყავთ...

ერთი სიტყვით, გარკვეულ დროიდან შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან" არამც თუ კოცონად არ გადაიქცა, არამედ თანდათან კიდევაც ჩანავლდა, ჩაიფერფლა. კაცმა რომ თქვას, თავისი მხატვრული ღირსებით, ჩემი აზრით, ეს პიესა არცთუ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ვგონებ, ამას თვითონ შალვაც გრძნობდა...

მაგრამ სჯობს შალვას სულის, გულის და სხეულის ახოვანებას თვალი შევავლოთ სხვაგვარ ვითარებასა და განათებაში.

ნურვის გაუკვირდება, რომ ბილიკებს გავუყვები და არა ფართო შარაგზებს, არა მაგისტრალებს, მაგრამ ბილიკებსაც ხომ აქვთ მნიშვნელოვანი მისადგომი ქედები.

1954 წლის დეკემბერში თბილისიდან მოსკოვში მატარებლით მივემგზავრებოდით მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების უმეტესობა (ზოგიერთმა თვითმფრინავით ირჩია). თითქმის მთელი ვაგონი გვეჭირა, ზოგს, მათ შორის მეც, მეუღლეც მიჰყვებოდა.

შალვა დადიანს დაკავებული ჰქონდა ვაგონის განაპირა კუპის ქვედა საწოლი. იგი დევკაცურად იჯდა თავის საწოლზე და იქვე კუთხეში მიდგმული ჰქონდა კახური წითელი ღვინით სავსე კარგა მოზრდილი ტიკი. პურობის დროს ღვინოს თვითონ ასხამდა მომცრო ჭიქებში, თანამგზავრებს სთავაზობდა, დროდადრო კი თვითონაც სიამოვნებით გადაჰკრავდა ხოლმე. თითქმის ყველას მიჰქონდა თავისი საგზალი შალვას სუფრაზე. ერთხელ ოდნავ შეზარხოშებულმა, შუქურასავით თვალებანთებულმა შალვამ დამიმარტოხელა და გულითადი საუბარი გამიბა. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთი რამ თქვა: — უნაყოფოდ არასდროს ჩავთვლი სულისა და გულის ძალას, რაც ჩვენი დროის დიდი პიროვნების გამო დამიხარჯავსო.

შემდეგ საუბარში ორთავე მივედით დასკვნამდე, რომ რანაირ მაღალ მდგომარეობასაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა, არ უნდა დაივიწყოს, რომ სხვათაებრ მომაკვდავია, რომ ადრე თუ გვიან მისი მზეც ჩაესვენება. ამიტომ ყოველთვის უნდა ჩქარობდეს, ხარჯოს თავისი ადამიანური ძალები სიკეთისათვის, სიყვარულისათვის, სილამაზისათვის.

რასაკვირველია, ჩვენს ამ პათეტიკურ აგზნებულობაში გარკვეული წილი ედო საამურ კახურსაც. რამდენადაც მახსოვს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმ კედლის გაზეთის შემდგენლებსაც, რომელიც სახელდახელოდ გამოუშვეს მატარებელში თბილისიდან მოსკოვამდე მგზავრობის დროს.

ამ მგზავრობის ყველა მონაწილე სათითაოდ,

ასე თუ ისე, თავისებურად განუმეორებელი ხელწერის მწერალი იყო; ამიტომ მათ დასახელებას საერთო სიაში მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თვითეულის თავისებურების გამოსახვას უამრავი დრო, ადგილი და სალებავი დასჭირდება... ეს კი არ ძალმიძს.

ერთ შემთხვევაში შალვას მოწოდებულმა ღვინომ სახეზე ისეთი ალმური წამოკიდა, რომ ჩემიანებს საზრუნავი ავუჩინე... შალვა გამეხუმრა... — მე კი გარდაქეშანი მეგონეთ სუფრაზედაც და საწერ მაგიდაზეც.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა გაიხსნა 1954 წლის 15 დეკემბერს. საქართველოდან ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს ირაკლი აბაშიძე და შალვა დადიანი. ყრილობის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებშიც აირჩიეს საქართველოდან გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, სერგი ჭილაია.

ყრილობაზე საქართველოდან სიტყვით მხოლოდ ორი დელეგატი გამოვიდა: ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე.

ყრილობაზე დარხეული ცოცხალი აზრების, განცდების და გრძნობების კვალდაკვალ ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ვიღაც-ვიღაცეები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რათა ნათქვამის გართულებით შეეფუთნათ სიმჩლევე ფიქრისა. მე კი ყოველთვის მეგონა და ახლაც მგონია, დიდი ფიქრი და აზრი საჭიროებს არა ჭრელჭრულა ზიზილ-პიპილებს, არამედ ძვირფას, მაგრამ სადა სამოსელს.

ყრილობაზე ერთი მწვავე კრიტიკული სიტყვა კვლავ ითქვა შალვა დადიანის ცნობილი ისტორიული რომანის მიმართ, შალვა ოლიმპიური სიმშვიდით ისმენდა ამ კრიტიკას.

არ მინდა ვწერო იმაზე, რაზედაც არსებობს მრავალი ლიტერატურული მასალა — წიგნებსა, ჟურნალებსა თუ სხვა ბევრ ბეჭდვით ორგანოებში.

შალვა დადიანს მრავალჯერ შევხვედრივარ სხვადასხვა შეკრებებზეც და ყრილობებზეც. განსაკუთრებული რამ, რაც ჟურნალების, გაზეთების და წიგნების ფურცლებს არ შემოუნახავს, არ დამხსომებია. მხოლოდ მისი დანახვისას რატომღაც ხშირად მახსენდებოდა შექსპირის უკვდავი თქმა: მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთებაო... და თითქმის ყოველთვის თავს ვტუქსავდი, ხომ არ მგონია, რომ სიმაღლეში გენიოსი ინგლისელი ადამიანის ფიზიკურ ახოვანებას გულისხმობდეს-მეთქი. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს, ეცადოს ასეთი გულუბრყვილობაში არ გადავარდეს.

...ამასობაში შალვა დადიანმა გამოაქვეყნა რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“. ეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებია არა მარტო თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვით, წარსულისა და მომავლის შეჯვარების ერთგვარი ინტუიციური გააზრებით, არამედ ორიგინალური მხატვრული სტრუქტურითაც; საგულისხმოა თვით ავტორის თავისებური ჩარევაც პერსონაჟთა ურთიერთობაში. ერთი სიტყვით, ეს რომანი უეჭველად ქართული საბჭოთა პროზის საგულისხმო მოვლენაა. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ მისი ადრინდელი ისტორიული რომანი მხატვრულად უფრო ძლიერია. მე მესმის, რომ ჩემი ეს მოსაზრება შეიძლება ერთობ სადავო იყოს. მაგრამ ახლა ჩემი ამოცანა ამ საკითხის გამო დავა არ არის.

შემდეგი დროის დინებიდან ყველაზე ცხოვლად ახლა მახსენდება ერთი ეპიზოდი შალვა დადიანის ცხოვრებისა. ეს იყო მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში, 1958 წლის მარტში. მოსკოველებთან ერთი შეხვედრა გაიმართა ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში. როგორც მახსოვს, ამ შეხვედრას უძღვებოდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ახოვანი, სახენათელი და თვალსხივოსანი შალვა დადიანი, მას რაღაცნაირი ნიშნეული ღიმილით შეჰყურებდნენ მოსკოველი მწერლები და ხელოვანები. შალვამ მხურვალე სიყვარული გამოუცხადა რუსეთს, მოსკოველებს, დიდ რუსულ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას. ბევრი რამ თქვა ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე შთაგონებულად, აზრიანად, არტისტულად. ბოლოს დაახლოებით ასე მიმართა დამსწრეებს: — მე თქვენ მხურვალედ მიყვარხართ, მიყვარს მოსკოველები, მიყვარს ყოველი აქ დამსწრე, ძალიან მიყვარს აი, ის მწყაზარი, ცისფერთვალება ქალიშვილი, — ხელი აუდიტორიის შუაგულისაკენ გაიშვირა, — და განგებას ვთხოვ მის ბედნიერებას, კარგად ყოფნას...

მსმენელებში გულიანი სიცილი დაირხა.

შალვა დადიანის შემდეგი ცხოვრებიდან სხვა რამ მძაფრი მოსაგონარი მე არა მაქვს...

მხოლოდ ჩვენს ხსოვნაში არასდროს წაიშლება დიდი ტრაგიკული დამთხვევა: 1959 წლის 17 მარტს, როდესაც მთაწმინდის მიწა შალვა დადიანის ნეშტს იბარებდა, დიდი პოეტი გალაკტიონი გამოეთხოვა სიცოცხლეს.

ცხოვრების ზღაპარი კი კვლავ გრძელდება და გრძელდება.

გზაც მიდის და მიდის უსასრულოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბეგაშვილი

# წიგნი წინაპრებსა და თანამედროვეებზე

გრიგოლ აბაშიძის ახალი წიგნი „წინაპრები და თანამედროვენი“, რომელიც სამ ძირითად განყოფილებად არის დაყოფილი („წინაპრები და თანამედროვენი“, „მეგობრობა გზად და ხიდად“, „პოეზიისა და მშვიდობის გზებზე“) და ლიტერატურულ წერილებს, პუბლიცისტურ გამოსვლებსა და უცხოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს შეიცავს, წიგნის ბაზარზე ერთ დღესაც რომ არ გაჩერებულა, ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია: ქართველი ხალხი ხომ მუდამ ცხოველი ინტერესით, სიამოვნების გრძნობით მოელის თავის საამაყო შვილთა ნაფიქრალსა და ნააზრევს.

პირველი წერილი, რომელსაც „სული ერისა“ ჰქვია, ქართული ენის წარსულსა და აწმყოს ეხება. ავტორი წერს: „ჩვენი ეროვნული ენისათვის ზრუნვას განსაკუთრებული გასაქანი მიეცა უკანასკნელ წლებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის ბრძოლამ ჩვენს ხალხს ამდენი სიკეთე მოუტანა.

მარტო ის ფაქტი, რომ ამ წლებში ქართულ პერიოდიკას რამდენიმე მრავალტირაჟიანი ახალი გამოცემა შეემატა, მჭევრმეტყველურად ადასტურებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გამუდმებულ ზრუნვას ჩვენი ენისათვის, ჩვენი მწერლობისა და კულტურის აყვავებისათვის.

ჩვენი ენის ბედი ჩვენს ხელთ არის და ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გონივრულად და ნაყოფიერად გამოვიყენოთ ის დიდად ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ჩვენმა დიდებულმა კონსტიტუციამ შეგვიქმნა ეროვნული ენის არნახული განვითარებისა და აყვავებისათვის.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ქართველი ხალხი, მისი კომუნისტური პარტია დღეს მართლაც რომ გონივრულად იყენებენ ამ პირობებს“.

კაცს გაგიჭირდება, უფრო უკეთ გამოთქვა ეს სრული და უდავო ჭეშმარიტება. როცა ამ სიტყვებს ვკითხულობთ, სიხარულსაც განვიცდით და ქართული ენისათვის იმ დიდ გულშემატკივრობასა და ზრუნვაზეც ვფიქრობთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა დღენიადაგ რომ იჩენენ, იმ მნიშვნელოვან ამაგსა და წვლილსაც ვიხსენებთ, დედაენისათვის ზრუნვაში — ამ დიდ ეროვნულ და ინტერნაციონალურ საქმეში მთელ ქართულ მწერლობას, კერძოდ, მის ხელმძღვანელს — აღნიშნული სტრიქონების ავტორს ყოველ გადამწყვეტ დროს სიტყვით კი არა, საქმით რომ შეაქვს. ამდენად, ამ თემაზე დაწერილ გრიგოლ აბაშიძის სტრიქონებს ქართველი მკითხველისათვის მართლაც რომ მეტი ძალა და ავტორიტეტი, მეტი ფასი და დამაჯერებლობა ენიჭება.

კარგად არის ცნობილი, რომ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი ყოველთვის თავისი სამშობლოს პატრიოტია, ჭეშმარიტი პატრიოტი კი — ყოველთვის ინტერნაციონალისტი. და ადამიანის დამამშვენებელი, მისთვის კაცური კაცობის გვირგვინის დამდგმელი ეს ორი უწმინდესი გრძნობა გრიგოლ აბაშიძის, — მწერლისა და მოქალაქის — გულშიც ერთმანეთს ჩაქსოვილი, შერწყმული და შედუღაბებულია. როცა ქართველი მწერალი თავისი ერის დიდ და საამაყო შვილებზე გვესაუბრება, ვხედავთ, რომ მათი ღვაწლი, მათი სახეები იდეალად და საფიცარ

* გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი მ. ჯაფარიძე.

ხატად დაუსახავს, მაგრამ საკმარისია სარეცენზიო წიგნში რუსეთის, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, უცხოეთის პროგრესულ მწერალთა და მოღვაწეთადმი მიძღვნილი მისი წერილების პირველივე გვერდები გადავიკითხოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ სიყვარულისა და პატივისცემის ცეცხლი ავტორის გულში არა თუ ჩაფერფლილა, არამედ ახალი ძალით გაღვივებულა და ამ გულის მგზნებარება ერთი წუთითაც არ განელებულა.

წერილი „მოგზაურობა რუსთაველის ეპოქაში“ ქართველი ერის გენიის — შოთა რუსთაველის ეპოქის პოლიტიკური მოვლენებისა და „ვეფხისტყაოსნის“ საპრობლემო საკითხების გაშუქებას ეძღვნება. იმას გარდა, რომ აქ საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნა მოჩანს, რაც რომანების „ლაშარელას“, „დიდი ღამის“, „ცოტნე დადიანის“, გრ. აბაშიძის ისტორიული პოემების მკითხველისათვის აქამდეც კარგად იყო ცნობილი, იმას გარდა, რომ ყოველი ფურცლიდან ავტორის წერის კულტურის მაღალი დონე და ერუდიცია გამოსჭვივის, ეს წერილი იმითაც იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ავტორი ახლებურ შუქსა ჰფენს რუსთველოლოგიის ზოგ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, გაბედულად გამოთქვამს ზოგი გაბატონებული აზრის საპირისპირო ახალ, ჭკვიანურ, ლოგიკურად და ისტორიულად დასაბუთებულ, დამაჯერებელ აზრებს.

ქართველი ერის მამის — დიდი ილიასადმი მიძღვნილ წერილში ავტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, დავით აღმაშენებლის გარდა, ძნელად მოიძებნება მშობელი ხალხის აღორძინებისათვის ილია ჭავჭავაძის ტოლი ამაგის დამდები მეორე მოღვაწე“.

როცა საუბარი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასა და მხატვრულ შემოქმედებას ეხება, ძალიან ძნელია კაცმა ისეთი რამ სთქვა, რაც მკითხველს არ გაეგონოს, ჯერ არსად წაეკითხოს. გრიგოლ აბაშიძეს არც დაუსახავს ასეთი მიზანი, მაგრამ თუ წერილი მაინც შეუნელებელი ინტერესით იკითხება, ეს მისი დიდი ღირსებაა და იმით აიხსნება, რომ ავტორს შეუძლია სათქმელი ახლებურად, სხვისგან გამორჩეულად, ორიგინალურად და მიმზიდველად გადმოგვცეს. და ეს ხომ მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა აზრების თავანკარა წყარო შიგ გულის სიღრმიდან მომდინარეობს.

სარეცენზიო წიგნის ავტორი თავისი მადლიანი კალმით ერთხელ კიდევ შეგვაგრძნობინებს დიდი ილიას მგზნებარე მამულიშვილურ გულსა და მწერლური ნიჭის ელვარებას, ერთხელ კიდევ შეგვახსენებს მის ჭეშმარიტ ჰუმანიზმსა და ინტერნაციონალიზმს: „ილია ჭავჭავაძე, თვლიდა რა ენას ეროვნების არსებით ნიშნად, ერის სულად და გულად, დიდ პატივს სცემდა სხვა ენებსაც და, რა თქმა უნდა რუსულ ენას. ცარიზმის რუსიფიკატორებთან — იანოვსკისთან და სხვებთან ბრძოლა მას სულაც არ უშლიდა ხელს დაენახა და ჯეროვნად დაეფასებინა რუსული ენის სიდიადე და ჩვენი ხალხისათვის ჩაეგონებინა მისი შესწავლის სიკეთე და აუცილებლობა“.

როცა „დიდ გზას“ ვკითხულობთ და ავტორთან ერთად ილია ჭავჭავაძეზე ვფიქრობთ, სავსებით ბუნებრივად და თითქოს ჩვენდაუნებლიედ თვალთახედვის არედან არა გვცილდება აკაკის ლანდი. ეს ორი დიდი სახელი, მათი იდეები და იდეალები ისეა ერთმანეთს ჩაწნულჩახლართული და გადაჯაჭვული, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო: ქართველი მკითხველის ცნობიერებაში აკაკიზე ფიქრი ხომ ილიაზე ფიქრის გაგრძელება და დაგვირგვინებაა.

და ამ ფიქრებზე, ამ ორი დიდი მუზის დიდ საგალობელსა და მამულისათვის წვაზე ისე წრფელად და აღფრთოვანებული გულით წერა, როგორც გრიგოლ აბაშიძე წერს, მხოლოდ ისეთ კაცს შეუძლია, რომლის გულისძგერაც ამ ორი ღმერთკაცის გულისძგერას ეხმიანება.

გრიგოლ აბაშიძის წერილი „უკვდავების ბედნიერება“ მოკლე პუბლიცისტური ნარკვევია. საქართველოს ბულბულზე კვლავაც დაიწერება ვრცელი მეცნიერული ტრაქტატები, მრავალთაბახიანი წიგნები, მაგრამ ეს ოთხფურცლიანი ნარკვევი მაინც დარჩება როგორც ერთსა და იმავე დროს მკითხველის ესთეტიკურად დამატკბობელი და აკაკის პოეტური და პატრიოტული გულის ნათლად წარმომდგენელი ნაწარმოები.

მომდევნო ნაშრომებში ავტორი, დავით გურამიშვილის ტრაგიკულ სახესთან ერთად, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი შტრიხების ოსტატური თავმოყრითა და გადმოცემით, მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად გვიხატავს სახეებს: ნიკოლოზ ბარათაშვილისას, ვინც „ადამიანის სულის მარადიულ ტკივილებს ისე მძაფრად შეეხო, ისე მწვავედ აშალა ეს ტკივილები და ისე ღრმად განგვაცდევინა, რომ მათ ჩვენ თითქმის ფიზიკურად ვგრძნობდით“; დიდი პოეტის, მთის არწივის ვაჟა-ფშაველას, რომელიც „ილიასთან და აკაკისთან ერთად ძნელ დროში ამხნევებდა ქართველ ხალხს და თავისი ვაჟკაცური ლექსებით მომავლის რწმენას უნერგავდა“, „მეოცე საუკუნის საქართველოს უდიდესი შვილის“ ივანე ჯავახიშვილისას, რომელმაც „ილია ჭავჭავაძის გზა მეოცე საუკუნის რთულ პირობებში ასე სახელოვნად განაგრძო... შექმნა საქართველოს მეცნიერული ისტორია და თავისი ფუნდამენტური შრომებით სათავე დაუდო ჰუმანიტარული მეცნიერების მრავალი დარგის განვითარებას“.

„ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკა“ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ისტორიას მიმოიხილავს; „თეატრსა და მწერლობაში“ მარჯანიშვილისა და ახმეტე-

ლის მიერ გვირგვინდადგმული, სახელოვანი ქართული თეატრის წარსულსა, დღევანდელ მდგომარეობასა და მისი შემდგომი აღორძინების აქტუალურ პრობლემებზეა საუბარი; „ჩვენი ზნეობრივ-პატრიოტული ვალი“ კი მწერლობის ახალი კადრების აღზრდის საჭირბოროტო საკითხებს ეხება და ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბების საჭირო, სასარგებლო კონკრეტულ წინადადებებსა და მოსაზრებებს შეიცავს. ამ მოსაზრებებს ქართველ მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი გამოთქვამს და მით უფრო საინტერესო და საყურადღებოა.

მეფის საპყრობილეებში ჯანგაცლილი, მაგრამ ხმაგაუბზარავი პოეტის იროდიონ ევდოშვილის მგზნებარე მომწოდებელ ძახილს გვახსენებს თუ გიორგი ლეონიძის თავანკარა ქართულის სურნელებას შეგვაგრძნობინებს, ალექსანდრე აბაშელის — ფაქიზი გემოვნების პოეტისა და ფუტკარივით მშრომელი კაცის ცხოვრებას გაგვახსენებს თუ ილო მოსაშვილის — „ქართული ლექსის პირველხარისხოვან ოსტატთა შორის გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილის მქონე, ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტის“, „საყვარელი და საიმედო მეგობრის, ქვეყნისათვის თავდადებული, სამშობლოს ერთგული შვილის“ საყვარელ სახეს გვიცოცხლებს, ავტორის ყოველი სტრიქონი მათდამი სიყვარულით არის გამთბარი. მთავარი ის არის, რომ მკითხველს სჯერა ეს წრფელი და უანგარო სიყვარული, ამიტომაც არის, რომ მათდამი მიძღვნილი ყოველი წერილი თვალმოუშორებლად და გატაცებით იკითხება. აქვეა წერილი აკაკი ვასაძეზე, რომლის ყოველ სტრიქონსაც ქართული თეატრის დიდი მოტრფიალისა და მცოდნის მადლიანი ხელი ატყვია.

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ამ რკალიდან ორი წერილი „ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი“ და „გერონტი ქიქოძე“ ცალკე გამოვყოთ, და მარტო იმიტომ კი არა, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართული პოეზიის თვალშეუწვდენელი მწვერვალია და გერონტი ქიქოძე ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი ინტელიგენტია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ეს ორი წერილი მხატვრული სრულყოფილებით, კრიტიკული სიღრმით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ამშვენებს და ღირსებას მატებს მთელ კრებულს.

პირველი ლაკონურად და ორიგინალურად ამბობს დიდ სათქმელს, მეორე კი შესაშურებელი სიმახვილით სწვდება გერონტი ქიქოძის ბუნებისა და ხასიათის სიღრმეს, მისი ნიჭის სიელვარესა და სტილის სიმშვენიერეს. გულს ახარებს, რომ ეს წერილი ქანდაკებასავით ფაქიზად არის ნაძერწი და, ისევე როგორც მთელი სარეცენზიო კრებული, გერონტი ქიქოძის ღრმააზროვან, დახვეწილ და ლამაზ წერის მანერას გვაგონებს. ჩვენი დროის ქართული კრიტიკული აზროვნების აღიარებულ პატრიარქს, დიახაც, რომ სწორედ ასეთი წერილი შეეფერება, დიახაც, რომ მას თავისი ღირსი სტრიქონები უნდა მიძღვნოდა.

ვისი კალამი არ შეხებია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას: კვალიფიციური, მოსაწონი, ნიჭისმაღლცხებული წერილებიც გამოქვეყნებულა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი წერილებიც წაგვიკითხავს, რომელთაგან ზოგს უნიათო, მოწაფური ენით მხოლოდ ის გადმოუცია, რომ პოეტის შემოქმედება ორ პერიოდად — დეკადენტურ-სიმბოლისტურ და რევოლუციურ პერიოდებად იყოფა, ზოგი კი თავის გამოსაჩენად ნახმარი, „პროფესიონალობის“ დამამტკიცებელი ლიტერატურული ტერმინებით, უცხო სიტყვებით იმდენად დამძიმებული და ბუნდოვანი ყოფილა, რომ კაცს იქიდან აზრის გამოტანა გასჭირვებია. გრიგოლ აბაშიძის ეს არც თუ ისე დიდი მოცულობის, მაგრამ ბევრი აზრის დამტევი, რომ იტყვიან, ადამიანურად დაწერილი წერილი კი, სწორი და ნათელი, ლოგიკურად ჩამოყალიბებული აზრების შემცველია და მას, ჩვენი აზრით, საპატიო ადგილი ეკუთვნის გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში.

წიგნის მეორე განყოფილების სათაური „მეგობრობა გზად და ხიდად“ თვითონვე გვამცნობს მასში მოთავსებული წერილების პათოსსა და შინაარსს: ყოველ მათგანს წითელ ზოლად გასდევს ლიტერატორთა დაახლოების, ხალხთა ურთიერთმეგობრობისა და სიყვარულის კეთილშობილური იდეა.

ავტორი გულწრფელ სიყვარულს აქსოვს მთელი საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლების — მაქსიმ გორკის და ვლადიმერ მაიაკოვსკის, მათი მომდევნო დიდი რუსი მწერლების — მიხეილ შოლოხოვისა და ნიკოლოზ ტიხონოვის, სხვა მოძმე საბჭოთა ერების მწერლობის კორიფეების — ლესია უკრაინკას, მიკოლა ბაჟანის, ოვანეს თუმანიანის, სამედ ვურღუნის, ქრისტიონას დონელაიტისისა და რასულ ჰამზათოვისადმი მიძღვნილი წერილების თვითეულ სტრიქონს. ამ წერილებს შთამაგონებელი ძალა აქვს და მცირე მნიშვნელობა როდი ენიჭება ხალხთა ურთიერთსიყვარულის ძვირფასი და კეთილშობილური სულისკვეთებით მკითხველი მასების, განსაკუთრებით ჩვენი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდაში. ეს დიდი წვლილია, რომლის გაღებაც ყოველი პატრიოტი მწერლის ვალია. გრიგოლ აბაშიძე, როგორც მწერალი და მოქალაქე, პირნათლად იხდის ამ ვალს.

მხატვრული თარგმანი ხომ „საბჭოთა ხალხების ურთიერთ სულიერი გამდიდრებისა და მათ შორის მეგობრობის განმტკიცების მძლავრი საშუალებაა“ და ამიტომაც არის, რომ მწერალი ვრცლად, საქმის ცოდნით მიმოიხილავს ლიტერატურის ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში არსებულ დღევანდელ მდგომარეობას და მხატვრული თარგმანის ხარისხის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზეც გვესაუბრება. ეს სა-

უბარი მარტო იმით კი არ არის საინტერესო და საგულისხმო, რომ მისი ავტორი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ამ საქმის ორგანიზაციულ მხარესა და ქართულ თარგმანებს გაცნობილი ადამიანია, არამედ უმთავრესად იმით, რომ მას, — შანდორ პეტეფის საუკეთესოდ აღიარებული ქართული თარგმანების შემსრულებელს, — საინტერესო და სასარგებლო პრაქტიკული გამოცდილება მოეპოვება. უთუოდ გასაზიარებელია მისი სამართლიანი მოსაზრება, რომ თარგმანს მხოლოდ მაშინ აქვს იდეური და მხატვრული გამართლება, თუ თარგმნილი ნაწარმოები იმ ლიტერატურის ფაქტად იქცევა, რომლის ენაზეც ითარგმნება. ავტორი, თანამედროვე და კლასიკური მწერლობის მაგალითების მოშველიებით, ნათლად გვიჩვენებს იმ სწორ, ჭეშმარიტ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს ყველა, ვისაც მიზნად მხატვრული თარგმანის მაღალი დონის მიღწევა დაუსახავს.

უცხოეთში თავისი მოგზაურობისათვის ავტორს პოეზიისა და მშვიდობის გზებზე მოგზაურობა დაურქმევია. და მართლაც მისი ყოველი სიტყვა, ინდოეთის დედაქალაქ დელიში აზია-აფრიკის მწერალთა კონფერენციაზეა წარმოთქმული თუ ბელგიაში პოეტების ბიენალზე, ფრანგ მწერლებთან შეხვედრაზე თუ დასავლეთ გერმანიის მწერლებთან სტუმრობისას, ერთი მიზნით, ერთი სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ეს წმინდა მიზანი საყოველთაო და მყარი მშვიდობაა, ეს სულისკვეთება ჰუმანიზმია.

უცხოეთში მყოფი ქართველი მწერალი ყველგან ამ უწმიდეს, კაცობრიობის სანუკვარ გრძნობებს ქადაგებს. ამით მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის პოზიციას, მთელი საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს.

წიგნის ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს შექსპირის სიდიადეს, თვალწინ გვიყენებს უნგრეთის დიდი პოეტისა და მამულიშვილის — შანდორ პეტეფის ბობოქარი ცხოვრების ამაღელვებელ დღეებს, გვაცნობს მის პოეტურ შედევრებს. ჩვენი რეცენზიის მოცულობა განსაზღვრულია და ყოველივე ამაზე ვრცელი საუბარი აქ არ შეგვიძლია, მაგრამ შორეულ ფილიპინებზე მოგზაურობას რომ გვერდი ავუაროთ, ეს კი ნამდვილად გაგვიჭირდება.

წყნარ ოკეანეში მარგალიტებად გაბნეული, მთაგორიანი, ტბებით, მქუხარე მდინარეებით, ტყეებით უხვი შვიდი ათას ასზე მეტი კუნძული...

შუქრეკლამებით გაჩირაღდნებული ქალაქი მანილა...

პოეტების მსოფლიო კონგრესი...

კონგრესის მონაწილეთა დაფნის გვირგვინები...

ქალაქის დიდი სასტუმროს — „მანილა ოტელის“ წინ გაშენებული ხოსე რიზალის გრანდიოზული პარკი...

ზოგადი შტრიხებით ასე წარმოგვიდგება პანორამა, რომელსაც მწერალი თავისი მოგონების პირველ ფურცლებზე გვიხატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე რიზალის პარკი!

აი სწორედ ეს ხოსე რიზალია, რომელმაც ერუანტელი მოჰგვარა, გული აუთრთოლა ფილიპინებზე წასულ ქართველ მწერალს და შემდეგ ეს თრთოლვა წიგნის ფურცლებიდან ელექტროდენივით მკითხველთა გულებშიც გადავიდა.

ხოსე რიზალი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ფილიპინელი პოეტი და მეცნიერია, რომლის პატრიოტული გული სამშობლოს სიყვარულის საკურთხეველზე დაიფერფლა.

„დეკემბრის სისხამ დილას ხელებგაკრული რიზალი საპყრობილედან გამოიყვანეს. არტილერიის ორი ბატარეა და ცხენოსანთა ესკადრონი მიაცილებდა ბაგუმბაიანის მოედანზე, სადაც პოეტი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ეს მოედანი ფილიპინელი პატრიოტების სასაკლაო იყო. აქ ბევრჯერ დაღვრილა ფილიპინელთა საუკეთესო შვილების წმინდა სისხლი; აქ ცვიოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა თავები.

ერთხელ ახალგაზრდობაში რიზალს ბაგუმბაიანის მოედანზე სეირნობისას უთქვამს: მე მჯერა, რომ ჩემი ცხოვრებაც აქ გათავდებაო. ასრულდა პოეტის წინათგრძნობა. იგი ბაგუმბაიანის მოედანზე იდგა ხელებგაბაწრული.

თოფშემართული რვა ფილიპინელი ჯარისკაცი უკვე მზად იყო... ფილიპინელ ჯარისკაცებს უკან რვა ესპანელი ჯარისკაცი ედგა. მათ ევალებოდათ იქვე დაეხოცათ ფილიპინელი ჯარისკაცები, თუ განაჩენის აღსრულებაზე უარს იტყოდნენ.

— იმედი მაქვს, ჯარისკაცების პირისპირ დამაყენებთ. — მიმართა რიზალმა მეთაურს.

— არა, ეს შეუძლებელია. ნაბრძანები მაქვს ზურგში გესროლონ.

— კი, მაგრამ მე არასოდეს მოღალატე არ ვყოფილვარ!

— მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებ. — ცივად მოუჭრა მეთაურმა.

...რიზალმა ერთიღა ითხოვა: მისთვის თვალი არ აეხვიათ, არ დაეჩოქებინათ და თავში კი არა, გულში ესროლათ. მას ნება დართეს.

რიზალმა შებოჭილი ხელით ანიშნა ჯარისკაცებს, სადაც უნდა ესროლათ. რვა ტყვია ერთად გავარდა.

პოეტი მოცელილივით დაეცა.

ბაგუმბაიანის მოედანი ფილიპინელი ხალხის საუკეთესო შვილის სისხლით შეიღება და იმ დღიდან წმინდა ადგილად იქცა“.

„შორეულ ფილიპინებზე მე ვიპოვე ჩემი იდეალი ჩაგრული ქვეყნის პოეტისა — ხოსე რიზალი“, — წერს მწერალი და როცა მის გულშიჩამწვდომ სტრიქონებს ვკითხულობთ, რიზალის სახელი ჩვენც იდეალად გვესახება.

„— რა ბედი ელის ხოსე რიზალს? — ვკითხე რამდენიმე მწერალსა და სწავლულს.

— იგი მოკვდება ჩვენი შთამომავლობისათვის, — ნაღვლიანად გვიპასუხებდნენ ისინი...“

აქ ხოსე რიზალის ფიზიკურ სიკვდილზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მის, როგორც პოეტის, სიკვდილზე, ე. ი. მისი შემოქმედების უკვალოდ შთანთქმასა და გაქრობაზე. საქმე ის არის, რომ ხოსე რიზალი ესპანურად წერდა, ამერიკელმა კოლონიზატორებმა კი განდევნეს ესპანური ენა და ფილიპინებზე ინგლისური ენა დაამკვიდრეს. მომავალ თაობებს ესპანური ენა არ ეცოდინებათ და, მაშასადამე, ხოსე რიზალი, როგორც პოეტი, აღარ იარსებებს.

გრიგოლ აბაშიძის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი, მისი პოზიცია ქართველი პატრიოტი მწერლის პოზიციაა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ჰუმანური და ინტერნაციონალისტური ბუნებიდან, ჩვენი პარტიის პოლიტიკიდან გამომდინარეობს: „ფილიპინელთა მაგალითზე აშკარად ჩანს ბილინგვიზმის რეაქციულობა, მისი დამღუპველობა კოლონიური ხალხებისათვის და მით უფრო გაუგებარ ანაქრონიზმად გვეჩვენება მისი თითო-ოროლა პროპაგანდისტის უნაყოფო ცდა — საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების განვითარებისათვის ახალ, მოწინავე ეტაპად ორ ენაზე წერის გამოცხადება“.

ყველა ნამდვილი მწერალი ჭეშმარიტების არსს ჩამწვდენი ნათელი მოაზროვნე და თავისი ხალხის ღირსეული შვილია. და გრიგოლ აბაშიძის ეს სიტყვებიც სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ღლონტი

# ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან

ეუძღვნი აკადემიკოს
აკაკი შანიძეს

ერთი ძველი ლექსიკონის ახალი გამოცემის საჭიროებასთან დაკავშირებით აკად. აკაკი შანიძემ ამას წინათ სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ელგუჯა მაღრაძეს; რაკილა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის წერილში აღძრულია ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისით ფრიად საჭირბოროტო საკითხი, მინდა იქიდან დავიმოწმო სათანადო ადგილი: „დიდად პატივცემულო ბატონო ელგუჯა! კარგად მოგეხსენებათ, თუ რარიგ საჭიროა კულტურული ერისათვის სხვადასხვა სახის ლექსიკონები. ქართული ენის ლექსიკონებს შორის დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ხალხს დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულმა და რუსულ-ქართულმა ლექსიკონებმა. ჯერ კიდევ 1840 წელს დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის სამ-ენეული ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ფრანგული), ხოლო ექვსი წლის შემდეგ (1846 წ.) დაიბეჭდა მისივე რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მეორედ გამოიცა 1886 წ. და მესამედ — 1901 წელს. რაც შეეხება ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს, ავტორმა იგი გადაამუშავა და ოცი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგად საფუძვლიანად შესწორებული და გამართული ლექსიკონი მზად ჰქონდა დასაბეჭდად უკვე 1878 წელს. მაგრამ მის დაბეჭდვას ბევრი დაბრკოლება გადაელობა წინ და მხოლოდ 1887 წელს მოხერხდა მისი ბეჭდვის დაწყება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. იგი იბეჭდებოდა ნაკვეთებად და, როცა მისი ბეჭდვა დასრულდა 1890 წლის მარტში, ამ ვრცელმა რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა შეადგინა დიდი ფორმატის 890 გვერდი, ანუ 1780 სვეტი. ეს ლექსიკონი უთუოდ დიდი მონაპოვარია ქართული ლექსიკოგრაფიის საქმეში. სხვაც ბევრი აქვს გაკეთებული პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს დავით ჩუბინაშვილს (ანუ დავით ჩუბინოვს, როგორც ის წერდა), მაგ., მან გამოსცა 1846 წელს ქართული ქრესტომათია ორ ნაწილად, „ქართლის ცხოვრების“ დიდი ტომი (1854 წ.), ქართული ენის გრამატიკა რუსულად (1855 წ.) და სხვა, მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მისი ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანის განთქმული „ქართული ლექსიკონის“ შემდეგ ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ წარმოადგენს გარკვეულ ეტაპს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში. ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულის ენისა“ ანუ „ქართულ-რუსული ლექსიკონი ხელ-ახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან“ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სალექსიკონო მასალის შეკრებისა, დალაგებისა, ქართულად ახსნისა და რუსულად თარგმნის საქმეში. მასში სიტყვათა უმრავლესობა დამოწმებულია ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, რაც ძალიან ზრდის მის მნიშვნელობას. ეს წიგნი დღესაც დიდად საჭიროა, მაგრამ იგი

არსად იშოვება გასაყიდად და ხშირად სპეკულაციის საგნადაც არის გამხდარი. აუცილებელია, რომ იგი ხელახლა გამოიცეს ოფსეტის წესით და დიდი ტირაჟით".

ამ სიტყვებს არც დამატება სჭირდება და არც კომენტარი: აქ ყველაფერი ზუსტადაა ნათქვამი. ა. შანიძე სამართლიანად მოითხოვს დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მეორე გამოცემის გამეორებას ოფსეტის წესით. დიდად სასარგებლო წიგნის ახალი გამოცემა ნამდვილად საშური საქმე იქნებოდა. იგი ახლაც უთუოდ საჭიროა. თავის დროზე კი მისი დაბეჭდვა ცის მანანის გამოჩენას ჰგავდა. და იგი ჩვენს დროშიც, ამ გამოცემიდან თითქმის მთელი საუკუნის გასვლის შემდეგაც, ინარჩუნებს თავის ღირსებებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველამ როდი იცის, თუ რა გადახდა მას თავს. ამიტომ აქ მინდა შევჩერდე ლექსიკონის სწორედ ამ გამოცემასთან დაკავშირებულ ამბებზე, მძიმე დაბრკოლებებზე, რომელთა გადალახვას ავტორის ათწლიანი თავგანწირული ბრძოლა დასჭირდა.

დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) ღვაწლი ქართულ ლექსიკოგრაფიაში ფრიად მნიშვნელოვანია. მისი ლექსიკონები შესულია ჩვენი მეცნიერების საგანძურში. დ. ჩუბინაშვილმა უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, შემდეგ კი იქვე პროფესორად მოღვაწეობდა. ლექსიკოგრაფია მას შეაყვარა საკუთარმა ბიძამ, XIX ს. პირველი ნახევრის სახელოვანმა ლექსიკოგრაფოსმა ნიკო ჩუბინაშვილმა, რომელიც მისი გამზრდელი და პირველი მასწავლებელი იყო. ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის თეორიულ პრობლემატიკას დ. ჩუბინაშვილი აკად. მ. ბროსეს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. თავისი ქართულ-რუსულ-ფრანგული და ქართულ-რუსული ლექსიკონები ავტორმა შეადგინა სწორედ მ. ბროსეს კონსულტაციით და ისინი გამოქვეყნებულია ბროსესავე რეცენზიების საფუძველზე. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მზრუნველობა ქართველი მეცნიერის ლექსიკოგრაფიული შრომების გამოცემებზე განსაკუთრებით აღსანიშნავია.

დავით ჩუბინაშვილი, როცა მან გამოსაცემად წარადგინა პირველი წიგნი — ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1887 წ.), იყო სრულიად ახალგაზრდა, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, 23 წლისა, ხოლო როცა ეს კაპიტალური ნაშრომი გამოვიდა (1840 წ.), გახდა 26 წლისა. ეს წიგნი გახლდათ „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ", „ღირს-ქმნილი სრულის დემიდოვის პრემიისა".[1] წიგნს ერთოდა: ბროსეს წინასიტყვაობა, ავტორის მოკლე ქართული გრამატიკა რუსულ ენაზე, და საძიებლები: სინონიმებისა, ქართული სიტყვების ძირებისა, ქალთა და კაცთა საკუთარი სახელებისა; ნაშრომი, რომელშიაც თვად ავტორის მიერ მოპოვებულ მასალასთან ერთად აღიბეჭდა ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გარკვეული ნაწილიც, ასახავდა ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების იმდროინდელ დონეს. თავისი ზემოხსენებული ხელნაწერი ლექსიკონები კი ბიძამ 1887 წ. შესანახავად დაუტოვა ძმისწულს საქართველოში დაბრუნებისას ავადმყოფობის გამო. გამოცემას, როგორც ცნობილია, ფართო გამოძახილი მოჰყვა.[2]

1840 წ. გამოცემულ ლექსიკონში ნიკო ჩუბინაშვილის მასალის შესახებ დ. ჩუბინაშვილს არაფერი აქვს ნათქვამი. ამის გამო ზოგი მკვლევარი კიდეც შეეჭვებულა: 23 წლის სტუდენტი როგორ შეძლებდა ამოდენა ტვირთის აწევასა და ასე ფუნდამენტური ლექსიკონის შექმნასო. მაგრამ ეს ცალკეა საძიებელი, რაზედაც ახლა სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.[3] მთავარი ისაა, რომ დ. ჩუბინაშვილმა 1840 წ. შეძლო გამოეცა ვრცელი სამენოვანი ლექსიკონი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. ამის შემდეგ ავტორს არ შეუწყვეტია დაწყებული საქმე, შეუდგა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის შევსება-სრულყოფას, რასაც ორმოცზე მეტი წელი მოანდომა, ამის პარალელურად შეადგინა და 1846 წ. ორ ტომად გამოაქვეყნა რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი ლექსიკონი (გამოიცა იგი სამჯერ: 1846, 1886,

---

1. ამ ცნობილ ნაშრომს რ. დოდაშვილი, სამწუხაროდ, სხვა სათაურით იხსენიებს: „რუსულ-ქართულ-ფრანგული ლექსიკონი გამოქვეყნდა 1840 წლის ივლისში" (მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 55), რაც სწორი არ არის.

[2] დაწვრილებით: А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. XVII-XXXV; აგრეთვე: ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგანითურთ ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 85 და შემდ.; კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970, გვ. 19-25.

3 ეს საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასპექტით განიხილა რამდენიმე ავტორმა, მათ შორის: ალ. ცაგარელმა (დასახ. ნაშრ.), ვ უ კ. ბ ე რ ი ძ ე მ („დავით ჩუბინაშვილი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 1936; ან იგივე: ვ უ კ. ბ ე რ ი ძ ე,

1901 წწ.). საგულისხმოა იმის ხაზგასმა, რომ 1846 წ. გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის I ტომის წინასიტყვაობაში საჭირო მასალებისა' და საფუძვლიანი ცნობების მოწოდებისათვის გარდაცვლილ ბიძას დ. ჩუბინაშვილი ჭეროვან მადლობას მოახსენებს.[4]

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ მუშაობას პეტერბურგში თვალყურს ადევნებდა მაშინდელი ქართული პრესა და ამის შესახებ პერიოდულად ინფორმაციას აწვდიდა ხოლმე მკითხველს. „ივერია“ 1877 წლის 2 ივნისს იუწყებოდა: „ჩვენ პეტერბურლიდამ ცნობა მოგვივიდა, რომ ჩვენს პატივცემულს უფ. დ. ი. ჩუბინოვს ახალი, უფრო ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი თითქმის შეუსრულებია (ამჟამად ასოს „ლ“ ათავებს თურმე) და აპირებს დაბეჭდასო, — ამბობენ, უფ. ჩუბინოვს მოუსურვებია, რომ რაც ამ ლექსიკონისაგან ფული შემოვა, იმით რაც დააკლდება, თავისით, სტიპენდია დაარსოსო რომელსამე უნივერსიტეტში ქართველებისათვის უფ. მარშლის დანიშვნითა და თვით ფულსაც, ამისათვის საჭიროს, მარშალს ჩააბარებს. ღმერთმა ქმნას და ეს ფრიად კეთილი სურვილი აღუსრულოს ამ ჩვენს პატივცემულს ქართულის ენის მოღვაწეს“ (№ 14, გვ. 1).

40 წლის რუდუნების შედეგად ავტორმა შეძლო თავისი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის საფუძვლიანად გადამუშავება-შევსება, სრულყოფა და ახალი გამოცემის მომზადება, რაზეც გაწეულია ჭეშმარიტად ტიტანური შრომა. ახალი მასალის უხვად დამატებასთან ერთად არსებული სიტყვა-სტატიები მნიშვნელოვნად განუვრცია და გაუუმჯობესებია. ფაქტობრივად შეუდგენია ახალი ლექსიკონი.

სასტამბოდ გამართული ლექსიკონის ხელნაწერი დ. ჩუბინაშვილმა 1878 წლის 4 აპრილს წარუდგინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ავტორის მიმართვაში, რომელიც აკადემიის მუდმივი მდივნის აკად. კ. ს. ვესელოვსკის სახელზეა დაწერილი (კ. ს. ვესელოვსკი აკადემიის მუდმივი მდივნის პოსტზე 1857-1890 წწ. იმყოფებოდა), ნათქვამია: დასაბეჭდად ვადგენ 1840 წ. გამოცემულ ლექსიკონს საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული სახით.[5] თანაც ამისათვის არ მოუთხოვია არავითარი ჰონორარი.

აქ საგულისხმოა იმის გახსენება, რომ იმ დროს აკადემიის წიგნის მაღაზიაში კიდევ უოფილა დარჩენილი 1840 წ. გამოცემული ლექსიკონის (სულ დაიბეჭდა 600 ცალად) 114 ეგზემპლარი.[6] ეს გარემოება კი, როგორც ქვევით დავინახავთ, ერთ-ერთ მძიმე დაბრკოლებად იქცა და შეაფერხა წიგნის ახალი გამოცემა.

კ. ს. ვესელოვსკი იმთავითვე გულცივად შეხვედრია დამსახურებული პროფესორის თხოვნას და უველა ღონე უხმარია, რათა ავტორს უკანვე წაეღო ხელნაწერი. მუდმივი მდივანი ლექსიკონის გამოცემაზე ფაქტობრივად თავს იკავებდა, იქცეოდა ისე, როგორც ბიუროკრატიული აპარატის მოხელე, მაგრამ საკუთარ განზრახვას ყოველმხრით ნიღბავდა. უარის საბუთად კ. ს. ვესელოვსკიმ დაასახელა ოთხი დაბრკოლება:

1. რომ თითქოს იმჟამად აკადემიის შემადგენლობაში არ იყო ქართული ენის მცოდნე პირი, რომელსაც შეიძლება მინდობოდა წარმოდგენილი ხელნაწერის შემოწმება და რეცენზირება;

2. რომ თითქოს აკადემიის სტამბა სათანადო შრიფტის უქონლობის გამო ვერ შეძლებდა ლექსიკონის რთული ტექსტის აწყობას;

რუსთველოლოგიური ეტიუდები. თბ., 1961, გვ. 16-27); ალ. ღლონტმა (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961. გამოკვლევა, გვ. 5-S, 85-87; მისივე: ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 173-175; ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 241-243); ა. ჩიქობავამ (იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 290-294); კ. კინწურაშვილმა (დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970, გვ. 35). ა. ჩიქობავას შრომის გამო უნდა ითქვას შემდეგი: აქ აღნიშნულია, რომ თითქოს „ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოიცა 1961 წ. ალ. ღლონტის რედაქციით“ (გვ. 294), ნამდვილად ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოიცა არა 1961 წ., არამედ ტ. I — 1971 წ., ტ. II — 1973 წ. 1961 წ. დაიბეჭდა ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“. ეს ორი სხვადასხვა ლექსიკონია.

[4] «В заключение автор считает себя обязанным принесть должную дань признательности покойному его дяде Коллежскому Советнику Николаю Чубинову за материалы для составления Русско - Грузинского Словаря и сообщения им основательные замечания» (Д. Чубинов, Русско-Грузинский Словарь, I, СПб., 1846, წინასიტყვაობა, გვ. 11).

[5] Архив АН СССР, Ленинградское отделение, ф. 2, № 11, ფურც. 2—3.

[6] ცნობაში აღნიშნულია: «4-го апреля 1878 года находилось на лицо в Книжном магазине Академии сто четырнадцать брошюрованных экземпляров «Грузино-Русско-Французского Словаря Чубинова» (Архив АН СССР, ф. 2, № 11, ფურც. 2, 4).

3. რომ ლექსიკონის ვრცელი ტექსტი მოითხოვდა შემცირებას (მისი აზრით, უნდა ამოღებულიყო განმარტებათა ქართული ნაწილი);

4. რადგან ჯერ მთლიანად არ იყო გაყიდული პირველი გამოცემა (წიგნის მაღაზიაში კიდევ მოიპოვებოდა 114 ცალი), ლექსიკონის მეორე გამოცემაზე ლაპარაკი პირველი გამოცემის სრულ რეალიზაციამდის ზედმეტიაო.

ყველა ეს ხელოვნურად შეკოწიწებული დაბრკოლება დ. ჩუბინაშვილმა თანამიმდევრულად გააბათილა.

1. მიუთითა რომ აკადემიის სისტემაში მოღვაწეობს გამოჩენილი ქართველთმეტყველი აკადემიკოსი მ. ბროსე, რომელიც კარგად იცნობს წარმოდგენილ ლექსიკონსო, სხვა გზა აღარ ჰქონდათ: ხელნაწერის შეფასება მ. ბროსეს მიანდეს. მხცოვანმა მეცნიერებმაც, ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის მიუხედავად, არ დააყოვნა, აკადემიას წარუდგინა დადებითი დასკვნა და რეკომენდაცია ლექსიკონის გამოცემის საჭიროების შესახებ.

2. აცნობა აკადემიის მუდმივ მდივანს, რომ ავტორი საკუთარი სახსრებით შეიძენდა ლექსიკონის ტექსტის აწყობისათვის აუცილებელ შრიფტს და უსასყიდლოდ გადასცემდა აკადემიის სტამბას.

3. დაეთანხმა აკადემიის მუდმივი მდივნის წინადადებას ნაშრომის მოცულობის შემოკლების შესახებ და შესაძლებლად ჩათვალა ტექსტის 12-15 თაბახით შემცირება ფრანგული ნაწილის ხარჯზე. ქართული ნაწილის ამოგდებაზე კი კატეგორიული უარი განაცხადა: ქართული ნაწილის ამოღება ნაშრომს დაამახინჯებს და მნიშვნელობას დაუკარგავსო.

4. რაც შეეხება ლექსიკონის პირველი გამოცემის დარჩენილ ეგზემპლარებს, ავტორმა მუდმივ მდივანს აუწყა, რომ მიღებულია ზომები მათი სასწრაფო რეალიზაციისათვისო. ამასთან, აკადემიას იმ დღეებში ეწვია ერთი ქართველი მამულიშვილი და განუცხადა: თუ კი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი დაიბეჭდება, პირველი გამოცემის დარჩენილ ნაწილს დაუყოვნებლივ შევისყიდიო (სამწუხაროდ, ამ პირის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა).

ერთი სიტყვით, დ. ჩუბინაშვილმა შეძლო ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების დაძლევა, მაგრამ აკადემიის მუდმივი მდივნის გული მაინც ვერ მოიგო. კ. ს. ვესელოვსკიმ ლექსიკონის ხელნაწერი ავტორს მაინც უკანვე დაუბრუნა და ამით საქმე დამთავრებულად ჩათვალა.[7]

დ. ჩუბინაშვილი საგონებელში ჩააგდო კეთილი საქმის ასე ხელოვნურად შეფერხებამ. მისი უანგარო კურატორი, აკად. მ. ბროსე, უკვე გარდაიცვალა, აკადემიაში მხარდამჭერი აღარავინ დარჩა. არ სურდა ხელნაწერის უკან დაბრუნება, ყოველმხრივ ზრუნავდა, რათა საქმე მკვდარი წერტილიდან დაეძრა, — მაგრამ ამაოდ. დრო, წლები გადიოდა, შედეგი არა ჩანდა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცულია დ. ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და მუდმივი მდივნის სახელზე 1878-1888 წწ. გაგზავნილი წერილები, რომელთაც კაცი დამშვიდებით ვერ წაიკითხავს. ყოველ წერილში დამსახურებული პროფესორი აკადემიის ხელმძღვანელობას ერთსა და იმავეს ემუდარება: მიხედეთ ჩემს 40 წლის დაძაბული შრომის შედეგს, ხელი შეუწყვეთ მის დაბეჭდვასო; მოთმინებით მოითხოვს თავისი ერთადერთი სურვილის დაკმაყოფილებას, 40 წლის შრომის მზის სინათლეზე გამოტანას, ამისათვის „არ მოვითხოვ არც რაიმე გასამრჯელოს, არც ჯილდოსო“, მაგრამ ყინულის გალხვობა მაინც არ იქნა და ვერ მოხერხდა. ერთადერთი რამ, რაც მას ამხნევებდა და ძალას ჰმატებდა, იყო ქართული საზოგადოებრიობის, ქართული პრესის მხარდაჭერა. იგი ამას ყოველთვის გრძნობდა. ადგილობრივი (თბილისური) ჟურნალ-გაზეთები მუდამ ეხმაურებოდნენ ხოლმე ქართველი მეცნიერის მოღვაწეობას პეტერბურგში და მის შრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ. საბუთად დავიმოწმებ „ივერიის“ სარედაქციო წერილს, რომელიც სწორედ იმ მძიმე დღეებში, 1878 წლის 25 მაისსაა გამოქვეყნებული. მასში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემის საკითხზე გამოთქმულია ქართველი საზოგადოებრიობის ერთსულოვანი აზრი. წერილი მომყავს მთლიანად.

„ჩვენ რამდენჯერმე გვიუწყებია, — ნათქვამია იქ, — ჩვენთა მკითხველთათვის, რომ ჩვენი პატივცემული და დაუღალავი მშრომელი დ. ი. ჩუბინოვი ახალს ქართულ-რუსულ-ფრანციულს ლექსიკონს არიგებსო, უფრო სრულს და ვრცელსაო, ვიდრე აქამომდე იყო. ეხლა მოგვივიდა ცნობა, რომ ეს დიდი შრომა შეუმთავრებია და შეუსრულებია და 4-ს აპრილს წარუდგენია ხელნაწერად სამეცნიერო აკადემიაში. სამეცნიერო აკადემიის წერილებში 7-ს აპრილიდამ ჰსწერია ამ საგანზედ შემდეგი: „მას აქეთ, რაც აკადემიამ 1840-ს წ. დაჰბეჭდა ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი უფ. ჩუბინოვისა, და მიანიჭა დემიდოვის სრული ჯილდო, უფ. ჩუბინოვი შეუდგა მასალის შეკრებას უფრო სრულის და უფრო უკეთესის ქართულის ლექსიკონის შედგენისათვის. ამჟამად წარმოდგენილი მისგან შრომა არის ნაყოფი მისის ორმოცის წლის მეცადინეობისა. ავტორის სიტყვით, ახლად შედგენილ ლექსიკონში, რომელიც წინანდელზე უფრო ვრცელია და უფრო განკარგებული, არის შემდეგი: 1) ახსნა ქართულ ლექსთა ქართულადვე და მისი თარგმანი რუსულად და ფრან-

[7] Архив АН СССР, ф. 2, № 11. ფურც. 3, 4.

ციულად; 2) ყველას სიტყვასთან და ფრაზასთან ჩართულია ციტატა ძველთა და ახალთა წიგნთა და ხიგელთაგან, რათა ცნობილ იქნას ისტორია ყოველის სიტყვისა და მისი მნიშვნელობა როგორც ძველად ნაწერებში, ისე ახალს ენაში; 3) ყოველს ქართულს ზმნასთან ნაჩვენებია თვითოეული ფორმა ცალკედ, ახსნილია მისი მნიშვნელობა ქართულად და თარგმნილია რუსულად და ფრანგულად; 4) ამას გარდა, ყველას ფორმასთან ნაჩვენებია ძირეული დრონი და ცდომილნი ზმნანი და ჩამოთვლილია ის ნაწარმოები, რომელშიაც მაგვარნი ზმნანი არიან ხმარებულნი“. აკადემიას განურჩევია, რომ უფ. ჩუბინოვის ლექსიკონი გარდაეცეს აკადემიელს მ. ი. ბროსეს განსახილველად. დიდის სულსწრაფობით მოველით, რომ ეს ყოვლად სასარგებლო შრომა მალე იქნას დაბეჭდილი. დიდი იმედია, რომ მაგ შრომას მთელი საქართველო დაიტაცებს. ჯერ ეხლაც, ჩვენ თვითონ გამოცდილებით ვიცით, რომ ბევრი მდომელია, არამც თუ იმგვარის ლექსიკონისა, რომელიც ეხლა წარუდგენია პატივცემულს დ. ი. ჩუბინოვს, არამედ იმსაც, რომელიც წინათ იყო დაბეჭდილი. თუ ეგრეა, გვეტყვის მკითხველი, რატომ უწინდელი დაბეჭდილი ლექსიკონი არ არის სრულად გაყიდულიო. აკადემიის წერილიდამ ჰსჩანს, რომ უწინდელი ლექსიკონი სულ ექვსას ეგზემპლარად დაბეჭდილა და დღეს აქამომდე გაუსყიდველად დარჩომილა 114 ეგზემპლარი. ჩვენის ფიქრით, ეგ აგრე არ მოხდებოდა, თუ რომ ლექსიკონის აუარებელთ მდომელთ ჰსცოდნიყოთ, სად და ვისთან იყიდებოდა ლექსიკონები. დღესაც ეგ არავინ იცის. აი ეს არის მიზეზი, რომ ის 114 ეგზემპლარი დღეს აქამომდე დარჩომილა გაუსყიდავად. ეს ახალი ლექსიკონი რომ დაიბეჭდოს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე გასაღდება, რადგანაც დიდი საჭიროებაა და ბევრი მდომელია, რომ მაგგვარი წიგნი იქონიოს“ (ბიბლიოგრაფიული ცნობა, „ივერია“, № 20, 1878, გვ. 12).

ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა სწორად ასახავს საქმის ვითარებას პეტერბურგში. ინფორმაციის წყარო თავად ავტორის ნაამბობი უნდა იყოს, თორემ 1878 წლის მაისში, ისიც თბილისში, ვის უნდა სცოდნოდა ასე დაწვრილებით ის ამბები, რომლებიც პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის დახშულ კარებში მოხდა სულ რამდენიმე დღის წინათ, იმავე წლის აპრილში, და ეხებოდა მხოლოდ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემას.

ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის გამოცემის საკითხით იმ პერიოდში დაინტერესებულა არა მარტო ქართული, არამედ რუსული პრესაც. საქმეში ჩარეულა პეტერბურგის მაშინდელი გავლენიანი გაზეთი „გოლოსი“, რომელსაც კარგად შეუსწავლია ლექსიკონის გამოცემის დაბრკოლებათა ნამდვილი მიზეზები, გაბედულად გამოსარჩლებია მრავალტანჯულ ავტორს და სასტიკად დაუგმია აკადემიის მუდმივი მდივნის შეურიგებელი პოზიცია ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებით. ამ საკითხს „გოლოსმა“ 1881 წ. იანვარში (№ 1) მიუძღვნა მთელი სარედაქციო წერილი, რომელიც ობიექტურად ასახავს ლექსიკონის გამოცემის გამო შექმნილ ვითარებას და მოითხოვს საკითხის დადებითად გადაწყვეტას. მსგავს შემთხვევას არ იცნობს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია. ამიტომ „გოლოსის“ სარედაქციო წერილს ამ ისტორიაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. სამწუხაროდ, წერილი ჩვენს სპეციალისტებს შეუნიშნავი დარჩათ. ამ მოსაზრებით საჭიროდ მიმაჩნია მისი სრულად გამოქვეყნება ქართულ ენაზე, რომ ნათელი გახდეს, თუ ცარიზმის წყვდიადში როგორ გაისმოდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გაბედული ხმა მეცნიერული ჭეშმარიტების დასაცავად. აი, ეს სარედაქციო წერილიც.

„ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულებას რუს მეცნიერებთან და რუსეთის მოსახლეობის ინტერესებთან ფრიად რელიეფურად გვიჩვენებს ქართული ლექსიკონის ისტორია. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებულმა პროფესორმა, დ. ი. ჩუბინოვმა, მრავალი წლის მუშაობის შემდეგ, 1878 წლის 4 აპრილს მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა თავისი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, გადამუშავებული საუკეთესო ლექსიკონების ნიმუშების მიხედვით, და სთხოვა, მისი გამოცემა ისე, რომ თავისი დიდი შრომისათვის არ მოუთხოვია არავითარი ანაზღაურება. აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილება დ. ჩუბინოვის ნაშრომს უაღრესი თანაგრძნობით შეხვდა და ხელნაწერის განხილვა აკადემიკოს ბროსეს მიანდო. ამ ჭეშმარიტად მეცნიერმა აკადემიკოსმა ბ. ჩუბინოვის ნაშრომი მიიჩნია სამეცნიერო ლიტერატურის ფრიად ძვირფას შენაძენად და მის შესახებ მოკლე რეცენზიაც კი გამოაქვეყნა ქართულ ჟურნალ „ივერიაში“ (1878 წლის № 28), რომელშიც ნათქვამია, რომ ბ. ჩუბინოვის ახალი ლექსიკონი სრულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან „შედგენილია ავტორების მიხედვით, პირველი გამოცემისაგან განსხვავდება არა მარტო განმარტების მეთოდით, არამედ სიტყვათა მკაფიო დამუშავებითა და მნიშვნელოვანი სისრულით“. საჭიროა შევნიშნოთ, რომ იმავე ბ. ჩუბინოვმა უკვე 1840 წელს შეადგინა ერთი ქართული ლექსიკონი, რომელიც აკადემიის სახსრებით დაიბეჭდა და დაიმსახურა დემიდოვის სრული პრემია; მაგრამ ის საგრძნობლად ჩამორჩება ახალ ნაშრომს, რომელიც გადამუშავებულია სრულიად ახლებურად. ამრიგად, მეცნიერი აკადემიკოსი ფრიად თანაგრძნობით მოეპყრო ქართული ლექსიკონის გა-

მოცემას; საქართველოს მოსახლეობა აგრეთვე მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას მზის სინათლეზე. ეს არ სურდა მხოლოდ აკადემიის მუდმივ მდივანს ბ. ვესელოვსკის. მან გადაწყვიტა, რომ ლექსიკონი არ შეიძლება გამოიცეს მანამ, სანამ მთლიანად არ გაიყიდება ძველი გამოცემა, რომლიდანაც აკადემიის საწყობში დარჩენილი იყო კიდევ 100 ეგზემპლარი.

ბროსეს მეცადინეობით დაჩქარდა გაყიდვა და ერთმა ქართველმა კიდეც აცნობა აკადემიას, რომ ის იყიდის ყველა დარჩენილ ეგზემპლარს, თუ აკადემია ბ. ჩუბინოვის ახალი შრომის გამოცემას შეუდგებაო. აკადემიკოსი ბროსე, დარწმუნებული, რომ ახლა უკვე დაბრკოლება აღარ არსებობდა, შეუდგა საცდელი თაბახის ბეჭდვას და კიდეც გამოიანგარიშა, რომ გამოცემას დასჭირდებოდა 3.200 მან. ბ. ვესელოვსკიმ ეს თანხა მეტისმეტად დიდად მიიჩნია და მოითხოვა ლექსიკონის მოცულობის შემცირება. ბროსემ, აკადემიის კანცელარიის ზეგავლენით, ბ. ჩუბინოვს გადასცა მუდმივი მდივნის სურვილი ხელნაწერიდან ამოეგდო სიტყვათა ყველა ქართული განმარტება და, ამავე დროს, ურჩია, ბ. ვესელოვსკისათვის მიერთმია განმარტებითი ბარათი ლექსიკონის შემოკლების შეუძლებლობის შესახებ. რაღა გაეწყობოდა, ქართული ლექსიკონის ავტორი იძულებული გახდა, 1879 წლის 1 მარტს ბ. ვესელოვსკისათვის წერილობით განემარტა, რომ ქართული ტექსტი ლექსიკონს განსაკუთრებით არ ამძიმებს, პირიქით, ის აუცილებელია და შეკვეცა შრომას დაამახინჯებსო. ბ. ვესელოვსკიმ ავტორის პრეტენზია უმართებულოდ ჩათვალა და დასასჯელად, თავისი ძალაუფლების გამოყენებით, მას უკან დაუბრუნა ხელნაწერი. აღსანიშნავია, რომ ამასთან ბ. ვესელოვსკიმ ჩათვალა, თითქოს მას მინიჭებული აქვს ყოველგვარი საშუალების გამოყენების უფლება და მოურიდებლად ხელნაწერის უკან დაბრუნების მოტივად ის დაასახელა, ვითომც აკადემიკოსმა ბროსემ მას გადასცა, რომ ავტორს თავად სურს ხელნაწერის უკან მიღებაო, თუმცა ბ. ჩუბინოვს ეს სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ბ. ვესელოვსკი თვითნებურად მოიქცა. იმის ნაცვლად, რომ მთელი საქმე აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების შეხედულების შესაბამისად წარმოედგინა, მუდმივი მდივანი თავად გამოგვეცხადა ფილოლოგიური შრომის მსაჯულად და გადაწყვიტა, მისი დაბეჭდვა არ ღირსო. ბ. ვესელოვსკი არც იმან შეაშფოთა, რომ ამის შემდეგ მიიღო ბ. ჩუბინოვის ორი წერილი, რომლებიც აუწყებდა, რომ ავტორს ხელნაწერის უკან დაბრუნება არ უთხოვია. მუდმივი მდივანი იცავდა თავის აზრს, წამოაყენეს საკანცელარიო მომიზეზებაც. ვითომც ბ. ბროსეს არ წარმოუდგენია დაწვრილებითი მოხსენება ბ. ჩუბინოვის ნაშრომზე და მთელი დანაშაული ახლა უკვე გარდაცვლილ აკადემიკოსს გადააბრალეს.

მაშასადამე, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის გამოცემის საქმე აკადემიაში ორნახევარ წელიწადს ჭიანურდებოდა და თითქმის მუდამ ბ. ვესელოვსკის ხელში ტრიალებდა. ამჟამად გამოჩნდა კიდევ ახალი საკანცელარიო მიზეზები: იმის გამო, რომ ბ. ბროსეს გარდაცვალების შემდეგ აკადემიაში აღარ არის წარმომადგენელი ქართული ლიტერატურისა, აკადემიას ლექსიკონის გამოცემა გაუჭირდებაო. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მოაზროვნე ადამიანს ის აოცებს, რომ მუდმივი მდივანი თავისთავზე იღებს აკადემიის იმ განყოფილების მოვალეობას, რომელმაც ერთად-ერთმა უნდა გადაწყვიტოს — დაიბეჭდოს ან არ დაიბეჭდოს ლექსიკონი. ისიც კი შესაძლებელია, აკადემიამ სრულიად არა იცის რა მისი მუდმივი მდივნის გადაწყვეტილების შესახებ. ნუთუ მუდმივი მდივნის აზრი მართლაც სავალდებულოა აკადემიისათვის? ამ საქმის სრულად შეფასების მიზნით დავამატებთ, რომ ბეტლინგის სანსკრიტული ლექსიკონის გამოცემა აკადემიას 60.000 მანეთი დაუჯდა და ის დაიბეჭდა მხოლოდ ერთი, გერმანული ტექსტით, თუმცა რუსი აკადემიკოსები, მაგალითად, ი. ი. სრეზნევსკი, მოითხოვდნენ რუსული თარგმანის დართვას" (გაზეთი „გოლოს", 1881, № 1 (13), გვ. 3).

წერილმა, იგულისხმება, აღაშფოთა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში მისი პრეზიდენტი გრაფი ფ. პ. ლიტკე (1797-1882) და მუდმივი მდივანი კ. ს. ვესელოვსკი. ვესელოვსკიმ მაშინვე შეადგინა უარყოფა და 1881 წლის 12 იანვარს ფ. პ. ლიტკეს მიმართვითურთ გაუგზავნა ოფიციალურ ორგანოს — „პრავიტელსტვენნი ვესტნიკის" რედაქციას გამოსაქვეყნებლად.[8] მუდმივი მდივანი აქ მიკიბულ-მოკიბულად თავის მართლებას ცდილობდა, ყველაფერს დამთავრებულად თვლიდა, რადგან ლექსიკონის ხელნაწერი ავტორს უკან დაუბრუნა, გაზეთის პრინციპულ გამოსვლას კი გაუგებრობას უწოდებდა. უარყოფა არ დაბეჭდილა. ტექსტი ინახება აკადემიის არქივში, ერთვის კ. ს. ვესელოვსკის ასეთი ცნობა: გრაფმა ლიტკემ გადმომცა სახალხო განათლების მინისტრის ა. ა. საბუროვის განმარტება: ხელმწიფემ განკარგულება გასცა, იმპერატორის აკადემიის წინააღმდეგ გაზეთების თავდასხმების უარყოფა არ დაიბეჭდოსო.[9]

ლექსიკონის გამოცემის საკითხზე მიწერ-მოწერა ავტორსა და პეტერბურგის აკადემიას

[8] Архив АН СССР, ф. 2, № 11, ფურც. 12, 16).
[9] იქვე, ფურც. 14.

შორის კიდევ მრავალ წელს გაგრძელდა. დ. ჩუბინაშვილს ფარხმალი არ დაუყრია, შეუპოვრად იბრძოდა მრავალქირნახული ნაშრომის მზის სინათლეზე გამოტანისათვის. საბოლოოდ ყინული გალხვა და 1887 წელს აკადემიის" სტამბა შეუდგა ლექსიკონის ბეჭდვას. იბეჭდებოდა ის ნაკვეთებად, ხოლო ბეჭდვა 1890 წ. დამთავრდა. ბოლო ნაკვეთის 1779-ე სვეტზე იკითხება: „30 მარტსა 1878 შესრულდა ხელწერილი, გარნა დაიბეჭდა 1890 წელსა, მარტს 26 დღესა, ქართულსა ქრონიკონსა მგ". ლექსიკონის გამოცემის გამო ატეხილი ათწლიანი ომი ავტორის გამარჯვებით დამთავრდა.

მაგრამ დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი გამოსვლისთანავე მოძველებული აღმოჩნდა. იგი უკვე აღარ შეეფერებოდა ქართული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეს. 90-იან წლებში ჩვენი ეკონომიკა, კულტურა, ლიტერატურა, მეცნიერება მნიშვნელოვნად დაწინაურდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ახალი ქართული ლექსიკონის შედგენის ამოცანა. ამ საკითხზე გაჩაღდა მსჯელობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პრესაში. გამოითქვა საინტერესო შეხედულებები ახალი ლექსიკონის შედგენისა და დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის კვლავ შევსებული სახით გამოცემის ასპექტებზე.[10] მოითხოვეს ადგილებზე სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ლექსიკური მასალების შეკრება, გასპეტაკება და სალიტერატურო ენის სამსახურში ჩაყენება, ამ მასალით დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის შევსება.

ილიას „ივერიაში" მ. ჯანაშვილი წერდა: „საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავნუსხოთ და ეს ამირანის დარი შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი ლექსიკონი ერთიორად გადიდდება, ხოლო ენამზეობაც ჩვენის ენისა იმატებს, უფრო გაბრწყინდება და შარავანდედით შეიმოსება. როგორ უნდა შესრულდეს და ვინ უნდა ითავოს ეს დიდი და დიადი საქმე? როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმეში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას.[11]

1897 წ. დ. ჩუბინაშვილის ერთი ლექსიკონის ახალი გამოცემა განიზრახა გ. ბარნაბაშვილმა და თავისი გადაწყვეტილება ამის გამო „ივერიის" რედაქციას შეატყობინა. „რადგანაც დიდს საჭიროებას შეადგენს, — წერს გ. ბარნაბაშვილი, — ყოველს განათლებულს ქართველის ოჯახში რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი, მით უმეტეს რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი აღარსად მოიპოვება, მე განვიზრახე დ. ჩუბინაშვილის ჯერხანად რუსულ-ქართული ლექსიკონის საუცხოო ყდით და ბ-ნ ჩუბინაშვილის სურათით გამოცემა. ლექსიკონში განდევნილ იქნება ყველა დაძველებული სიტყვები ახლად ხმარებულნი. შრომას უკვე შევუდეგ და ამიტომ ვთხოვ ყველა იმათ, რომელთაც განიზრახეს ამავე ლექსიკონის გამოცემა, ნულარ შესწუხდებიან, ანდა მე დამითმონ".[12] „ივერიის" რედაქცია დაეთანხმა ლექსიკონის ახალი გამოცემის განხორციელების იდეას, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია საქმეში არა კერძო პირის, არამედ „მცოდნე და სანდო კაცების", სპეციალისტთა კომისიის ჩაბმა. „სრულიად ვეთანხმებით ბ-ნს ბარნაბაშვილს, რომ ხსენებულ ლექსიკონების მოთხოვნილება ჩვენს ქართულ საზოგადოებაში ამჟამად ფრიად დიდია და არსებული ძველი ლექსიკონებიც, მრავალ საჭირო სიტყვათა უქონლობის გამო, ყველა შრომისათვის ვერ გამოდგება. ამ მხრივ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები მცოდნე და სანდო კაცთაგან უნდა იქნას შევსებულ-შემუშავებული, რისთვისაც ქართველ საზოგადოების მოვალეობა იყო, აერჩია კომისია ენის საუკეთესოდ მცოდნეთა საქართველოს ყველა კუთხეში და ამათთვის მიენდო იმათი გადასინჯვა და შევსებაო".[13]

გ. ბარნაბაშვილის გადაწყვეტილებამ ლექსიკონიდან „ყველა დაძველებული სიტყვის განდევნის" შესახებ საზოგადოების დამსახურებული უკმაყოფილება გამოიწვია. „ივერია" კვლავ დაუბრუნდა ახალი ლექსიკონის გამოცემის საკითხს და 1897 წ. 24 ივნისს ამ თემაზე გამოაქვეყნა განდეგილის (დომინიკე ერისთავის) მრავალმხრივ საინტერესო წერილი. „ლექსიკონის მოთხოვნილება, — წერს განდეგილი, — როგორც ქართულ-რუსულის, ისე რუსულ-ქართულისა რომ დიდია, ეს ყველამ კარგად იცის; იცის აგრეთვე ისიც, რომ ჩუბინაშვილისაგან გამოცემული ლექსიკონი ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებას და ამიტომ ყველა დიდის სიხარულით მიეგებება ახლად გამოცემულს ლექსიკონს, თუ იგი ლექსიკონი უფრო შევსებულ-გაუმჯობესებული იქნება. თვით ცხოვრებამ მოითხოვა ახალი სიტყვები, განვითარებული ენა. ყოველი ახალი გამოკვლევა — სულ ერთია, ბუნების მოვლენათა შეეხება იგი, თუ სხვა რასმე, — საჭიროებს ახალს სახელს, ახალს სიტყვას. მაგრამ ამავე დროს სამარისაკენ როდი ისტუმრებენ ძველს სიტყვებს, თუნდაც ახლად გამოგონილი „ტერმინი" უფრო საგნის შესაფერად იყოს მონათლულ-სახელწოდებული. ძველი სიტყვები საჭიროა არა მარტო როგორც სიტყვა, არამედ

10. ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1965, გვ. 176-178; ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 243-245.

11. მ. ჯანაშვილი, ქართველები და ქართული ენა, „ივერია", 1895 წ. № 206, გვ. 3.

12. „ივერია", № 118, 1897.

13. „ივერია", იქვე.

მას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ლექსიკონი — რა ენაზედაც უნდა იყოს იგი დაწერილი, საყურადღებოა, სხვათა შორის, ეთნოგრაფიის მხრითაც და ისტორიასთანაც დიდი კავშირი აქვს სიტყვათა მომდინარეობას. იმის შემწეობით შეიძლება აიხსნას, რა გავლენა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზედ ამა თუ იმ ხალხს"... შემდეგ ავტორი დასძენს: „ახლა ჩავუკვირდეთ ბ-ნ ბარნაბიშვილის წერილს, რომლითაც იგი გვაუწყებს: „ძველი სიტყვები განდევნილი იქნება ლექსიკონიდანო". რომელი ენის შესახებ ამბობს ამას წერილის ავტორი, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ თუ ძველი ქართულის სიტყვების განდევნა აქვს განზრახული, ჩვენ გვგონია, ეს განზრახვა განზრახვადვე დაურჩება და არასოდეს ქართველთა შეგნებული საზოგადოება ნებას არავის მისცემს, რომ ახალის სიტყვების გამო ძველი სიტყვები განდევნილ იქნას ლექსიკონიდან".14

ასევე საყურადღებო აზრი გამოთქვა ქართული ლექსიკონის შედგენის საკითხზე თ. სახოკიამაც. 1897 წ. იგი წერდა: „განსვენებულის დავ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი არ გვაკმაყოფილებს, ცხოვრებამ წინ გაუსწრო, მრავალი ახალი სიტყვები შემოვიდა, ახალი ტერმინები გამოიგონეს. მაშასადამე, დროისა და მოთხოვნილების ლექსიკონია საჭირო, რომელიც ახლანდელს ინტილეგენტებს ასე თუ ისე აკმაყოფილებდეს, რომ მისის შემწეობით კაცმა შეიძლოს ასე თუ ისე სერიოზულს სამუშაოს მოჰკიდოს ხელი". ამ მიზნის განსახორციელებლად ავტორს საჭიროდ მიაჩნდა:

ა) „ლექსიკონის შემდგენელი სრულებით თავისუფალი კაცი უნდა, ისეთი კაცი, რომელიც მარტო ამისთვის უნდა იყოს მოცლილი — ლუკმა-პური საზრუნავი არა ჰქონდეს";

ბ) „კარგის ლექსიკონის შედგენისათვის საჭიროა: ძველის ხელთნაწერების გადაკითხვა, ჩვენს დაბა-სოფლებში მოგზაურობა, რომ ამ სიარულის დროს გაგონილი სიტყვები ჩაიწეროს";

გ) „რედაქტორი ავტორიტეტი უნდა იყოს, რომ მისის დროშის ქვეშ ამოდგომა მისის ავტორულის თავმოყვარეობისათვის დამამცირებელი არ იყვეს. ავტორიტეტი ამ საქმეში ჩვენ არა მოგვეძევა, ავტორიტეტი ჩუბინაშვილი იყო და აწ არა გვყავს. ავტორიტეტი—ლექსიკოგრაფი საქმემ უნდა დაჰბადოს";

დ) „კერძო კაცს უფრო ნაკლები შანსი აქვს, რომ საზოგადოებამ თავისი წვლილი ხალისიანად მიაწოდოს... ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა საქმეს კოლექტიური ხასიათი მივცეთ, თუ გვინდა, რომ საქმე ნახევარ გზაზე არ შეჩერდეს, თუ გვინდა, რომ გაკეთებულს ნდობა ჰქონდეს და დამშვიდებულის სინდისით შეგვეძლოს ვსთქვათ, შრომა ჩვენს სასურველს ნაყოფს მოისხამსო";

ე) „მოთავეობა ხეირიანის ლექსიკონის შედგენისა იმას (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას) უნდა დავაკისროთ".15 ეს მოსაზრებანი გაიზიარა მ. ჯანაშვილმაც.16

ქართველი საზოგადოებრიობა ასე სათუთად უფრთხილდებოდა დავით ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას. ძველი ქართული ლექსიკონის გაუმჯობესებისა და ახლის შედგენის საკითხზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოითქვა სალი, მეცნიერულად დასაბუთებული აზრები. ჯეროვნად შეფასდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებიც, რომლებიც, მოძველების მიუხედავად, წარმატებით ემსახურებოდნენ საზოგადოებას, და არა თუ მაშინ, დღესაც დგანან მწყობრში და ძვირფას ინფორმაციას აწვდიან ჩვენს თანამედროვეობას ასევე დააფასებს მათ მთამომავლობაც.

---

14. განდეგილი, ლექსიკონის გამოცემის შესახებ, „ივერია", № 124, 1897. გ. ბარნაბიშვილმა განდეგილისადმი გაცემულ პასუხში („ისევ ლექსიკონის გამოცემის გამო") დააზუსტა დებულება „ძველი სიტყვების განდევნის" შესახებ და დასძინა: „როგორ შეიძლება ლექსიკონის შევსება-გაუმჯობესება, შესწორ-გალამაზება, თუ რომ დაძველებულს, ესე იგი ხმარებიდგან გამოსულს სიტყვებს (რაიცა ბლომად არის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში) და არა „ჩვენი ძველის მწერლობის ქართულ სიტყვებს", როგორც ჰფიქრობთ და ბრძანებთ, არ განდევნით და ან არ შესცვლით?!" („ივერია", № 135, 1897, გვ. 3).

15. თ. სახოკია, ქართულის ლექსიკონის შედგენის გამო, „ცნობის ფურცელი", № 223, 1897, გვ. 2.

16. მ. ჯანაშვილი, ქართული ლექსიკონის შედგენის გამო, „ცნობის ფურცელი", № 226, 1897, გვ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ვარდოსანიძე

# სილამაზის ჯადო

შავი ზღვის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში დასასვენებლად ჩასული ახალგაზრდა ქალვაჟები ჯინსების შეძენის დაუძლეველ სურვილს შეუპყრია, მთელ დღეებს შავ ბაზარზე ატარებენ, მზად არიან საეჭვო ღირებულების უცხოურ საქონელში სპეკულიანტს ზღაპრული თანხა გადაუხადონ, თავს საფრთხეში იგდებენ და არაფერს ერიდებიან. მიშა მილიციაში მოხვდა სპეკულიანტების ხელის შეწყობისათვის; ავთომ ქურდობა ჩაიდინა — პლაჟზე ჯინსის შარვალი მოიპარა; თამაზს მილიციელებმა წაასწრეს, ვიღაც გადამყიდველისაგან ჯინსის შარვალს რომ ყიდულობდა და განყოფილებაში წაყვანა დაუპირეს, ამის შემხწრე თამაზის მეუღლეს — ლიას შიშისა და ნერვიულობისაგან ოთხი თვის მუცელი მოეშალა...

ჯინსებითა და უცხოური ფალას-ფულასით გატაცებაში ბიჭებს არ ჩამორჩებიან გოგონები. მაკამ და ციცინომ კვირა დღეს მთებში საინტერესო და ხალისიან ექსკურსიას არჩიეს შავ ბაზარზე გასულიყვენ და სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი სპეკულიანტების გადამკიდეთ, ნერვები დაეწყვიტათ.

შავ ბაზარზე ამერიკულ ჯინსის შარვალს უშედეგოდ დაეძებს თხუთმეტიოდე წლის გოგონა ხათუნა და მისი ავადმყოფი დედა.

რა ხდება, რა ემართებათ ამ ადამიანებს? ასე განუკურნებელ ციებ-ცხელებად რატომ შეჰყრიათ უცხოური საქონლის შეძენის სურვილი?

ახალგაზრდებს თავადაც ესმით, რომ ჯინსომანია სისულელეა, სიგიჟეა. „— ამას ჯინსებისაგან სიგიჟე ემართება და ველარაფერი გაუგია", — ამბობს ლია თავის მეუღლეზე, თამაზზე.

გურამი დასცინის ზურიკოს, რომლის „ლაშქრობა" ჯინსისათვის, მართლაც, სასაცილოდ დასრულდა.

„... ბიჭო, მოსაკლავი არა ვარ, კაცი არ ვიყო, თუ ამ ჯინსების გადამკიდე ერთი დღე მაინც ჩავსულიყავ ზღვაზე, აი, ერთი დღე!"—ამბობს ავთო.

„...—რას გვიშვრებიან ეს ოხრები, — თავი გაარატრატა როლომ, — ჩემმა მეზობელმა ჩამოიტანა საფრანგეთიდან სწორედ ამნაირი, ვიანვარიშეთ და ჩვენს ფულზე რვა მანეთი დაიჯარა, ესენი კი..."

„— ესენიო?! — შეესიტყვა გურამი, — ესენი კი არა, ჩვენა ვართ დამნაშავენი, თორემ შენ თუ არ მისცემ, ძალით ვინ გართმევს..."

„...— ვაჰ, ამას თუ დასვენება ჰქვია და, ჩაცუცქდა ავთო და მკერდი მოისრისა, — ეს ხუთი კილო ხომ დავიკელი და ბრაზისაგან ახლა გულმა დამიწყო ჩხვლეტა... ერთი მალე გავეცალო აქაურობას!.."

„— არა, ძმაო, ჩვენ ნამდვილად დასახოცი ვართ — ყველაფერზე რომ ვფეთდებით და ჭკუას ვკარგავთ, სხვებიც ასე კი არ იქცევიან!

დიახ, ახალგაზრდებს ესმით, რომ სისულელეს ჩადიან, როცა სპეკულიანტებს უვარდებიან ხელში; თავს საფრთხეში იგდებენ და აშკარა დანაშაულზეც კი მიდიან. იციან, რომ ამას არ უნდა აკეთებდნენ, რომ ყოველივე ეს უგონო და საძრახი საქციელია, მაგრამ თავს ვერ იმორჩილებენ და ცთუნებას ვერ ძლევენ.

— რატომ? — იბადება კითხვა, უცხოურ საქონელს რა ისეთი თილისმა აქვს, რომ გოგო-ბიჭები ერთიანად გიუგიჟებია? რით აიხსნება არა ჯანსაღი ტენდენცია, რომელსაც საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებში და ბევრ ასაკოვან ადამიანშიც?

ამ მტკივნეული კითხვების პასუხები მოცემულია ისევ ნარკვევში — „შარშანდელი ზაფხული", რომლის ავტორია ახალგაზრდა მწერალი ჯემალ მეხრიშვილი (ჟურნალი „მნათობი", № 8, 1979 წ.).

„— ზაზას გაუმარჯოს! — ახმაურდნენ ბიჭები და ახლადჩაცმულ „ლევისის“ შრატისფერ პერანგზე ქორებივით დააცხრნენ, — ეს მოგიტანა გუშინ?

— კი! — ამაყად განაცხადა ზაზამ, ხელები ჩამოუშვა და უფრო გაიჭიმა, რომ ბიჭებისათვის პერანგის დათვალიერების საშუალება მიეცა.

— რა მიე?

— ოთხმოცდაათი.

— რამ გადაგრია! — შეიცხადა ვასიკომ და აქერტლილ მელოტზე ხელი მოისვა, — ვერ შეევაჭრე?

— გეკადრება მაგი? — შეხტა ზაზა და სიგარეტი ამოიღო, — ვინცხა ლაწირაკს იმას ვათქმევინებდი — ჯერ მომატანინა, მერე კი კაპიკებზე ხიცინი დამიწყოო“.

ამ სტრიქონებში ძნელი არ არის ამოიკითხო ახალგაზრდა კაცში გაჩენილი ყალბი უპირატესობის გრძნობა, ამპარტავნობა და კუდაბზიკობა, რასაც ცხადია, კვებავს საზოგადოების ნაწილის ჩამორჩენილი, მეშჩანური სულისკვეთება.

ამ ტენდენციას ერთ-ერთი პერსონაჟი აშკარად და პირდაპირ მიუთითებს: „— კაცმა მართლაც როგორ უნდა აიღოს სინდისზე ხელი, თორემ, — დაიმუქრა მაკა, — ახლოსაც არ უნდა გაეკაროს ამათ. დასასვენებლად ჩამოხვედი — დაისვენე! რაზე ვაწეწინებთ ნერვებს. მაგრამ ხომ იცი ჩვენი ხალხი — რამე გამოსაჩენი თუ არაფერი ჩაიტანე, დაცინვას დაგიწყებენ: მუცელს მოახმარა ყველაფერი და ერთი ჯინსის კაბაც კი არ ჩამოიტანაო...“

და ამ გარემოებას ადამიანები გასაჭირში ჩაუგდია.

ავთო „ბრაზისაგან ხორცებს იგლეჯდა — თბილისში უჯინსოდ როგორ ჩავიდეო“. და რაკი „საოცნებო“ საქონელი სპეკულიანტებისაგან ვერ იქნა და ვერ შეიძინა, პლაჟზე მოიპარა, ნაცნობ-მეგობრებს, საზოგადოების გარკვეულ წრეს უჯინსებოდ როგორ ვეჩვენოო.

„...ეს კაბაში ასოცდათხუთმეტი მივეცი. ერთი ესაა, რომ იტალიურია, თორემ რა აქვს ამას ასოცდათხუთმეტის...“ თავის პირით ამბობს ქართველი გოგონა.

ავტორსაც თუ პერსონაჟად მივიჩნევთ, მისი აზრითაც ჯინსომანია, უცხოური ფალას-ფულასით გაგიჟება არის მოდას უაზროდ აყოლა, ავადმყოფობა, ყოველივე უცხოურისადმი ბრმად ქედის მოხრა. და კიდევ ის, რომ ზოგი სრულიად უბრალო რამ ჩვენში დღემდე საოცრად დეფიციტურია, რაც სპეკულაციის თავი და თავი წყაროა.

„—დერმაკოლი ლიასაც უნდოდა. რა მიეცით?

— ძვირია. ოცდათხუთმეტი მანეთი.

— ვახ, ვახ... ზინამ მითხრა — მოსკოვში ორი და ოთხმოცი ღირსო.

—ეე, აბა წადი და უდარაჯე...“ ე. ი. სად იშოვიო, რიგში უნდა დაალამო და შეგხვდება თუ არა, კაცმა არ იცისო.

ნარკვევს აქვს მინაწერი: „მკითხველს შესაძლოა დაებადოს სამართლიანი კითხვა — ნუთუ კურორტზე მხოლოდ ნარკვევში აღწერილი ჯურის ადამიანები იყვნენ? რა თქმა უნდა არა!“ — უპასუხებს ავტორი და მკითხველმაც კარგად იცის, რომ უცხოური საქონლის შეძენის ციებცხელებით ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ადამიანების მხოლოდ ნაწილია დაავადებული.

მე ძალიან ვწუხვარ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობით ამბობს მწერალი, რომ ნარკვევის მიზანს არ შეადგენს იმ ზაფხულს კურორტზე გაცნობილი ქართველი სტუდენტების, ოჯახების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა აღწერა, რომლებიც არამცთუ არ გიჟდებოდნენ უცხოურ ფალას-ფულასზე და არ დადიოდნენ შავ ბაზარზე, არამედ არც იცოდნენ ამ უკანასკნელის არსებობა — ისინი დასასვენებლად იყვნენ ჩამოსული და ისვენებდნენ კიდეცო. და რომელ საზოგადოებაშიც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, თავიანთი კეთილშობილებით, სიკეთით, რაინდული ყოფაქცევით, თავდაჭერით, გულუხვობით, უბრალოებით, გემოვნებით ყველას პატივისცემას და აღტაცებას იმსახურებდნენო.

ავტორის გულისტკივილი შეიძლება მკითხველმაც გაიზიაროს, მაგრამ ნარკვევში მაინც არის პერსონაჟი, რომელიც ჯინსომანიით შეპყრობილ ახალგაზრდებს უპირისპირდება. მას არ აინტერესებს შავი ბაზრის უცხოური საქონელი. ზღვაზე დასასვენებლად არის ჩამოსული და ისვენებს კიდეც, ზღვაში ბანაობს, ექსკურსიაზე დადის... ეს პერსონაჟი პირობითად თვით ავტორია.

მინაწერში გამოთქმულია სწორი აზრი, რომ თავისთავად უცხოური საქონლის წინააღმდეგი არავინ არის. დასაგმობია, როცა უცხოურ საქონელს ვაღმერთებთ, ვემონებით, მისთვის დანაშაულსაც კი ჩავდივართ.

ჯემალ მეხრიშვილი ნაყოფიერად და წარმატებით მუშაობს ნარკვევის ჟანრში. ეს ნარკვევიც ხასიათდება კარგი ლიტერატურულ-მხატვრული დონით. მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟების უმეტესობა არსებითად ერთნაირ გარემოებაში არიან ჩაყენებული (ისინი ჯინსების შეძენის დაუოკებელი სურვილით მოქმედებენ), ავტორი ახერხებს თითოეულს მოუნახოს მეტნაკლებად მძაფრი და დამახასიათებელი შტრიხი. მკითხველს ამახსოვრდება თამაზი, ავთო, ზაზა, ხათუნა და მისი ავადმყოფი დედა, „ჯინსოვაია იმპერია“. ავტორი მიმართავს ირონიას, გროტესკს, განწყობილების გადმოსაცემად და ხასიათის მისანიშნებლად ავტორი მარჯვედ იყენებს

დიალოგს, რომელიც უმეტესად ბუნებრივი და მართალია; ჯინსებით გაგიჟებულ ბიჭებს თავისი ენა აქვთ, სპეკულანტებს—თავისი. დიალოგი უმთავრესად სიტყვაძუნწი და შეკუმშულია; მხოლოდ საჭირო სიტყვები, მხოლოდ საჭირო წინადადებები.

დიალოგით დახასიათების გამორჩეული მაგალითია ნარკვევში ხათუნას დედა, ხანში შესული ავადმყოფი ქალი.

ავტორს ყურადღება არ დაუკლია ნარკვევის კომპოზიციისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მაინც და მაინც აუცილებლად არ აღიქმება მინაწერი. ყველა სხვა მონაკვეთი, დეტალი თუ ეპიზოდი საჭიროდ მოჩანს, ნარკვევის მხატვრულ-იდეური არსის ხორცშესხმას ემსახურება. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ავტორი ამძაფრებს სიტუაციებს (მიშა დაიჭირეს, ლიას მუცელი მოეშალა; ავთომ შარვალი მოიპარა), მაგრამ არ იგრძნობა სიყალბე, ნაძალადეობა.

ისიც უნდა ითქვას: კარგია, რომ ნარკვევის ჟანრით ინტერესდება ახალგაზრდა მწერალი. ეს დიდად შეუწყობს ხელს მის მომავალ შემოქმედებით წარმატებას.

ახალგაზრდობის თემას ეძღვნება მიხეილ კვესელავას ნარკვევი — „ფერადი ნისლის სიმღერა“, რომელიც „მნათობის“ იმავე ნომერშია დაბეჭდილი, მხოლოდ აქ ახალგაზრდობა დანახულია სულ სხვა კუთხით, ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიმართ გამოთქმულია სულ სხვა სურვილები. საზოგადოების მოვალეობაც ახალგაზრდების მიმართ გასაზღვრულია სხვა ასპექტში. მაგრამ ეს ორი ნარკვევი საოცრად ავსებს ერთმანეთს და საბოლოოდ ერთ დიდ, კეთილშობილურ მიზანს — მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება.

ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი თუ მოუწოდებს, რომ ბრმად არ ავყვეთ მოდას, თავი დავაღწიოთ უშინაარსო მიბაძვას, ყოველივე უცხოურისადმი ბრმა და სამარცხვინო დამონებას, მიხეილ კვესელავას ნარკვევში იგულისხმება, რომ ეს ბარიერი დაძლეულია, ლაპარაკია არა ადამიანის სულში გაჩენილ პატარა და იაფფასიან მისწრაფებაზე, არამედ სულის მაღალი კატეგორიის ფასეულობის — „სილამაზის აღმოჩენის“ უნარზე. აქ უკვე აღარ გვაკმაყოფილებს ის, რომ ჯინსომანიას არ შეუპყრივართ, სპეკულაციის ხელის შეწყობისათვის მილიციაში არ მოვხვედრილვართ, და არ გვიქურდნია: წამოყენებულია „პოეტური სულის“ აღზრდის, „სილამაზის აღმოჩენის“ უნარის გამომუშავების მოთხოვნა. და ბუნებრივად ყალიბდება დასკვნა: ვისშიაც პოეტური სული ვერ აღვზარდეთ, ვისაც სილამაზის ხილვა არ ხელეწიფება, ის პოტენციურად განწირულია წვრილმანი და იაფფასიანი ინტერესებისათვის, განწირულია იმისათვის, რომ ყოველივე უცხოური გააფეტიშოს, შავი ბაზრის მუდმივი კლიენტი გახდეს და ქურდობაც კი ჩაიდინოს.

ნარკვევის ავტორის ყურადღება მიიქცია ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ ლექსს, რომელიც ახალგაზრდა პოეტის კალამს ეკუთვნის. გამაკვირვა მისმა მეტისმეტად გაბედულმა სათაურმა: „XX საუკუნე“. წარმოგიდგენიათ, ერთი პაწაწა ლექსი და... მთელი საუკუნეო, — აცხადებს მიხეილ კვესელავა. მაგრამ უცნობი ახალგაზრდა ავტორის ლექსს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ერთბაშად გაქრობია ეჭვი სათაურის პრეტენზიულობის შესახებ. ლექსი ასე იწყება: უეცრად ბიძგმა შემატორტმანა და შიშით კედელს ამოვეფარე. ჯერ არ ვიცით, რამ შეაშინა პოეტი ასე „უმიზეზოდ და უმისამართოდ“. ■ ნათქვამია მხოლოდ: კედელთან მდგარი იმ ველურს ვგავდი, მოულოდნელად მამონტს რომ შეხვდა. და ნარკვევის ავტორისათვის გასაგები გამხდარა ლექსის სათაურის სიზუსტეც და იმ შიშის მიზეზიც, თუ მისამართიც. ეს არის შიში, შესაძლოა ქვეცნობიერად განცდილი შიში, ატომური ომის საფრთხის წინაშე, ომისა, კაცობრიობას მოსპობით რომ ემუქრება. და აქ ბუნებრივად მოჩანს უფსკრული, რომელიც ახალგაზრდობის ორ წრეს, ორ ჯგუფს შორის გაჩენილა. ერთ მხარესაა ნამცეცა, მეშჩანური ინტერესების ტყვეობაში მყოფი ახალგაზრდობა, ხოლო მეორე მხარეს — ჩვენს რთულ საუკუნეში კაცობრიობის ბედით, ჩვენი ცივილიზაციის ბედით შეძრული ახალგაზრდა პოეტი და ყველა, ვის აზრსა და განცდასაც ის გამოხატავს.

მიხეილ კვესელავა თავისთვის აღმოჩენად მიიჩნევს კარლო არსენაშვილის მოთხრობების პატარა კრებულს „ხოხბები გვალვაში“. განსაკუთრებით მოსწონებია ორი მოთხრობა: „შემოქმედის სიკვდილი“ და „ახალი წლის ღამე“. პირველ მოთხრობაში ყველაფერი ერთ პატარა ქალაქში მოხდა. ქალაქი ვიწრო ხეობაში იყო გაშენებული და უამრავი ქუჩები უშნოდ და უგემოვნოდ კვეთდნენ ერთმანეთს, სიცხე მტვრის დიდ სარქველს აფარებდა ქალაქს... მოქმედების ადგილია ერთი პატარა სასტუმროს ოთახი; ის ოთახი სატუსაღო საკანს ჰგავდა, გაცრეცილი, ცივი, მიუსაფარი და უსიცოცხლო იყო. ბეუტავდა კვარი და წყლის ამოყინული წვეთები ბრწყინავდნენ ნესტიან კედლებზე. მინებჩალეწილ ფანჯარას ქაღალდი ჰქონდა აკრული. ქაღალდი სუსხიან ქარს ვერ აკავებდა და ჰაერის ცივი ნაკადი ჩუმი სისინით შემოდიოდა... იმ საკანში სასიკვდილოდ გადადებული შემოქმედი იწვა. მომაკვდავი არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, მისთვის უკვე დამდგარიყო განკითხვის ჟამი და აღარაფერს ამქვეყნიურს არა გრძნობდა... უცებ კარმა გაიჭრიალა. მწოლიარემ ვერ გაიგო შემოვიდა ვინმე, თუ კარი ქარმა შემოაღო. ჰო, მგონი ვილაც შემოვიდა, მგონი ვილაც თუ რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც დგას მის წინ... და ის „ვილაც თუ რაღაც" რამდენჯერმე უმეორებს კითხვას: — გაგახსენდი? მომაკვდავი ვერ იხსენებს, დიდხანს ვერ იხსენებს... არ გეწყინოს, ვერ გიცანი. ჰო. შეიძლება ერთად ვსწავლობდით, გავიზარდეთ, გამოვიცვალეთ და ველარ გცნობ. არა? მაშინ შეიძლება ქალაქგარეთ შევხვდით ერთმანეთს. ქალაქის გარეთ ცაცხვის ქვეშ მიყვარდა ყოფნა. ის ცაცხვი ყველა ხეს მერჩივნა, წამოვწვებოდი ჩრდილში, ნიავი დაუბერავდა, წვრილი, ოქროსფერი ნაყოფი ფოთოლს მოსცილდებოდა. ძალზე კარგად მოჩანდა ცის სილურჯეში როგორ ხტოდნენ ოქროსფერი ბურთულები...

ის ვიღაც გაოცებული შესცქერს მომაკვდავს:

— სადა დგას ეს ცაცხვი?

— ქალაქგარეთ, გორაკზე, არ იცი? მწვანე გორას ეძახიან.

— მწვანე გორა ვიცი, მაგრამ როგორც შენ ამბობ, ისეთი ლამაზი ცაცხვი არა დგას. ერთი გამოფუღუროებული, კანდამსკდარი ხეა, სადა აქვს ფოთლები, ან ოქროს ბურთულები?!

— არა, სწორედ მწვანე გორაზეა ის ცაცხვი. ფუტკრები გამუდმებით ეხვევიან...

— არა, მწვანე გორაზე ერთი გამხმარი ხეა და იმ ხეს კოლო-ბუზები ეხვევა.

— როგორ გეკადრებათ! მწვანე გორაზე ვეებერთელა ცაცხვის ხე დგას. ქვევით ველია, ველი ყვავილებითა არის სავსე: ცაში კი არწივები დანავარდობენ...

— იქ რა უნდა გაშლილ ველს? შიშველი ბორცვებითა და ღრანტეებით არის იქაურობა მოფენილი. აქა-იქ შეტრუსული სარეველა მახათივით გაშეშებულა...

დიახ, ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევის პერსონაჟები შავი ზღვის საკურორტო ქალაქში ვერაფერს ვერ ხედავენ, გარდა ჯინსებისა და სხვა უცხოური ფალას-ფულასისა, კომფორტაბელური სანატორიუმებისა და საკურორტო კოტეჯების სარკმლები მათთვის დახშული აღმოჩნდა სილამაზის სახილველად. მომაკვდავი შემოქმედი კი, ყველასაგან დავიწყებულ პატარა პროვინციულ ქალაქში, სადაც უამრავი ქუჩები უშნოდ და უგემოვნოდ კვეთენ ერთმანეთს და სიცხე მტვრის დიდ სარქველს აფარებს ქალაქს, სასტუმროს სარდაფის ოთახში, რომელიც სატუსაღოს საკანს ჰგავს, გაცრეცილი, ცივი, მიუსაფარი და უსიცოცხლოა, „აღმოაჩენს სილამაზეს", ქალაქგარეთ გორაკზე იხილავს ცაცხვის ხეს, რომელიც ოქროსფერ ნაყოფს ისხამს...

ქვევით ველია. ველი ყვავილებით არის სავსე; ცაში კი არწივები დანავარდობენ... მაშ, ერთნი სილამაზეს ვერ ამჩნევენ, თუნდაც სილამაზეში ცხოვრობდნენ; მეორენი სილამაზეს აღმოაჩენენ, სილამაზეს ხედავენ იქაც კი, სადაც ის არ არის. რატომ? პირველების სული წვრილმან ინტერესებს დაუკნინებია და დაუხშვია. მეორენი მახინჯ სინამდვილეშიც კი სილამაზეს აღმოაჩენენ და თვით სიკვდილზეც კი იმარჯვებენ.

მიხეილ კვესელავა თვლის, რომ არა ნაკლებ საინტერესოა იმავე ავტორის მეორე მოთხრობა „ახალი წლის ღამე". სანატორიუმის ერთ-ერთ პალატაში სამი ავადმყოფი წევს: ნოდარი, ილარიონი და ლევანი. ნოდარი უიმედოდ არის დაავადებული, ფილტვები აქვს დასუსტებული. ერთხელ ლევანმა საწოლი შეუცვალა ნოდარს და ახლა ჩემი საწოლიდან ფანჯარას პირდაპირ ვუყურებდიო, — გვიამბობს ნოდარი. ტყის პირი ჩანდა. ზოგჯერ ნაძვის რომელიმე ტოტი თოვლის ტვირთს ჩამოჰყრიდა, ტვირთისგან გათავისუფლდებოდა და ისევ ზევით აირკალებოდა. შემდეგ მეორე ნაძვი გამართავდა ტოტს, მესამე... და თეთრ სამოსს თანდათან იცილებდნენ. ფანჯრის თალს ყინულის ლოლუები გასდევდა... ერთ საღამოს კი ნოდარმა ნამდვილი სასწაული იხილა. ჩაბნელებულ ოთახში (ფანჯარა ლევანმა გამოაღო და სინათლე ჩააქრო) დაჰქროდნენ ფერადი წერტილები. კრიალებდნენ, ბზინავდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ წერტილები. ბრუნავდნენ, ფერს იცვლიდნენ, ქრებოდნენ, ისევ აენთებოდნენ...

— ეს ნისლია, ნოდარ, ფერადი ნისლი! — გავიგონე მოხუცის (ლევანის) ხმა, — აი, ახლა ნიავი დაუბერავს და ფერები კვლავ გავლენ ოთახიდან. ცოტა ხნის შემდეგ ფერებმა მართლა დატოვეს ოთახი. ნელა გავიდა ნისლი გარეთ. ეზოში აირივნენ ფერადი წერტილები. შემდეგ ერთმანეთისაკენ დაიძრნენ წრეებად და გამოჩნდა დიდი ყვითელი ბურთი, რომელსაც შარავანდედი შემორტყმოდა...

მალე შარავანდედიც შემოსცილდა და მკვეთრად გავარჩიე, რომ დიდი ყვითელი ბურთი ლამპიონი იყო. ცოტა ხანიც გავიდა და... ფანჯარაზე ჩამოკიდებული ლოლუები აელვარდნენ. ნისლი გამოიფრქვა ოთახში და ფერადმა წერტილებმა კვლავ იწყეს სრიალი, ისინი მიახლოვდებოდნენ, მშორდებოდნენ და... თითქოს მღეროდნენ კიდეც...

დიახ, ლევანის დახმარებით ნოდარმა იხილა სილამაზე, მოუსმინა სილამაზის სიმღერას, რამაც შეუწყო ხელი მის განკურნებას. რაც ვერ შეძლეს ექიმებმა, ის შეძლო ადამიანის სიყვარულით გულსავსე მოხუცის კეთილად გაწვდილმა ხელმა. რის მიმართაც უშედეგო იყო ექიმის წამლები, ის განკურნა სილამაზის ხილვამ.

მანამდეც იყო სილამაზე, მაგრამ ნოდარისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. კეთილი ადამიანი დაეხმარა, სილამაზე ეხილა და განეცადა. ჯემალ მეხრიშვილის პერსონაჟები კი, როგორც ვთქვით, „სილამაზეში ცხოვრობენ", მაგრამ წვრილმან, მეშჩანურ ინტერესებში ყელთამდე ჩაფლულებს გული დახშვიათ და გონების თვალი დაბნელებიათ, ვერ გრძნობენ და ვერ ხედავენ სილამაზეს, და ვინც „მნათობში" დაბეჭდილ ამ ორ ნარ-

კვევს გაეცნობა, ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა, მოთხოვნა და მოწოდება: სად ხართ თქვენ, კეთილო ადამიანებო, სად ხართ თქვენ, ლევან, რატომ არ გაუწვდით ხელს ჭაობში ჩაფლულ იმ ახალგაზრდებს, რატომ არ ახილვინებთ ნამდვილ და ჭეშმარიტ სილამაზეს, ამით თქვენ მათ განკურნავდით და გადაარჩენდით, დაუბრუნებდით ჩვეულებრივ ცხოვრებას, რომელიც არაჩვეულებრივია მხოლოდ ჩვენი საინტერესო, კეთილშობილური და ლამაზი მისწრაფებებით, გონივრული და შინაარსიანი არსებობით.

კ. არსენაშვილის მოთხრობა „ახალი წლის ღამე“ მიხეილ კვესელავას თავის პირველკურსელი სტუდენტებისათვის წაუკითხავს (ზოგიერთებს მეორე მოთხრობაც წაუკითხავთ) და უთხოვია რვეულის რამდენიმე გვერდზე გადმოეცათ თავიანთი შთაბეჭდილებები, თანაც გულწრფელად გაეცათ პასუხი კითხვაზე: გქონიათ თუ არა თქვენს ცხოვრებაში სილამაზის აღმოჩენის რაიმე ისეთი შემთხვევა, რაც ამ მოთხრობაშია აღწერილი? ამ ექსპერიმენტის მთავარი მიზანი ყოფილა, ცალი თვალით მაინც ჩაეხედათ ახალგაზრდების სულიერ სამყაროში, გაეგოთ რაიმე მათი ინტერესებისა და მისწრაფებების შესახებ. მერედა რა გამოვიდა აქედან? შედეგმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბაო. სამოცი სტუდენტიდან, სამოცივეს დაუწერია რაღაც „აღსარების“ მსგავსი და, რაც გასახარელია, ამ „აღსარებაში“ ახალგაზრდების უმეტესობამ გამოამჟღავნა სილამაზის პოვნისა და დაფასების გულწრფელი სურვილი და ამის ჭეშმარიტი უნარიც. სტუდენტი წერს: ...ჩემი ოცნებაა ვისწავლო ამგვარი სილამაზის პოვნა და დაფასება, ე. ი. მშვენიერების აღმოჩენა ადამიანებში... ამაზე კეთილშობილური მისწრაფება რა უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, რომელიც ეს-ეს არის გამოდის ცხოვრების დიდ ასპარეზზეო, — შენიშნავს მიხეილ კვესელავა და შეუძლებელია მას არ დაეთანხმო.

ერთი სტუდენტი წერს: ... თქვენ იქნებ ეს ლიტერატურაში ამოკითხული წინადადებები გგონიათ, მაგრამ არა, ყველაფერი ჩემი საკუთარი განცდებია...

და საბედნიეროდ, როგორ არა გავს ეს მისწრაფებები და განცდები ჭემალ მეხრიშვილის ნარკვევის პერსონაჟების მისწრაფებებსა და განცდებს. მაგრამ იმ სტუდენტებს შორისაც ყოფილან ისეთები, რომლებსაც სილამაზის პოვნაზე არ უოცნებიათ, ადამიანებში მშვენიერების აღმოჩენა არ უცდიათ. ასეთ რამეზე არც არასოდეს გვიფიქრია და არც დაგვიწერია,—გულწრფელად წერს ერთი იმათგანი.

— ვითომ რატომ? — გაისმის სამართლიანი და მომთხოვნი კითხვა და უპირველესად პასუხს მოითხოვს საზოგადოებისაგან, ყველა იმისაგან, ვის ხელშიც არის მომავალი თაობის აღზრდის დიდი საქმე. განა ბავშვები, მოზარდები იმ თავითვე არ უნდა მივაჩვიოთ ბუნებას და ცხოვრებაში ან ხელოვნებასა და ლიტერატურაში სილამაზის ძიებასა და აღმოჩენას? თუმცა ეს რომ შევძლოთ, ცოტათი მაინც ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ლევანის მსგავსი ადამინები, თორემ იცით ერთი სტუდენტი რას წერს? აბა, მოუსმინეთო.

...ახლა ვწუხვარ იმაზე, თუ ჩემი ცხოვრების მანძილზე, რამდენჯერ მექნებოდა ბედნიერება ასე განმეცადა სილამაზე, ლევანისთანა ადამიანები რომ ყოფილიყვნენ ჩემს ირგვლივ!...

სრულიად ვერაფერს დაუმატებ ვერც ნარკვევის ავტორისა და ვერც სტუდენტის ნათქვამს.

სამართლიანია საყვედური ზოგიერთის მიმართ მოზარდი თაობის სულიერი სამყაროსადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებისათვის. ამ დამოკიდებულების მართალ და გულწრფელ პასუხად გაიაზრებს მიხეილ კვესელავა მეათე კლასის მოსწავლის ნინო სიხარულიძის ლექსს — „პასუხი“, მოგაწვდით ნარკვევის ვარიანტით. ამ ლექსის ეპიგრაფია: „არაფრად ვარგა დღევანდელი ახალგაზრდობა“ (ავტობუსში გაგონილი საუბრიდან). ლექსი ასე იწყება: ეჰ, ბიძაჩემო, რამდენი ვარგა, გულით რომ გსურდეთ, ვერ შეძლებთ დათვლას. მომავლის იმედს, დღეის დღის ძალას ასე უწყალოდ რად ასხამთ თავსლაფს? ასე ამრეზით რათ უცქერთ გურამს, ანდა რას ერჩით ლელას და თამაზს? ჩვენ დღეს მოვედით, ვცხოვრობთ აწმყოთი, წარსულს ვაფასებთ არა ნაკლებად, ქართული ცის და მიწის დარაჯებს რატომ მიგვიჩნევთ ქვეყნის ამკლებად?

შემდეგ:

ეგებ იმაში მიგვიძღვის ბრალი, რომ იმ სამასი ვაჟკაცის მსგავსად კრწანისის ველზე ვერ დავდეთ თავი, რომ თამარ მეფის არ ვახლდით ლაშქარს, ჩალისფერ დროშებს არ ვწევდით მაღლა და მტრის შეშუსვრით ფრთებგამოსხმულნი არ გავკიოდით ხმამაღლა „ვაშას“... ... რა ვუყოთ ბედმა ასე ინება და ჩვენი ბრალი სულაც არ არის, რომ გვერდზე დაგვრჩა ცხრაასჩვიდმეტი და ბარიკადზე ბრძოლის ხანძარი...

თორემ:

თუ ისევ დასხლტა მტრის რისხვა მეხად, კვლავ გამეორდა ხიავე დროთა, ჩვენც თქვენგვარად, ეგებ მეტადაც...

და ასე შემდეგ. ბოლოს კი ისევ:

ეჰ, ბიძაჩემო, ტყუილად ამბობთ, თითქოს შვილობის არ ვიყოთ ღირსი...

გულისტკივილი უსაფუძვლო საყვედურისათვის სრულიად ბუნებრივია. და გარდა იმისა, რომ ლექსში გადმოცემულია ასჯერ და ათასჯერ სწორი აზრი, გამჟღავნებულია მოქალაქეობრივი შემართება და პატრიოტიზმის კეთილშობილური და მართალი გრძნობა, მიღწეულია მომხიბლავი სისადავე და შინაგანი განცდის. დინჯი და უშუალო გაზიარება.

ეგებ, სწორედ, პირიქით იყოს, ჩვენ არ ვიყოთ ღირსი ჩვენი შვილების მამობისა? ერთი

ნათელია, ის, რაც ჩვენ არ მოგვწონს, რასაც ვკიცხავთ ჩვენ შვილებში, ჩვენივე მიზეზითაც არის. აკი ნარკვევის ავტორიც შეგვაგონებს: „...ჩვენ გულშიც უნდა ჩავიხედოთ. იქნებ ყველაფერს ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა, ან შეცდომებსაც ვუშვებთ, მნიშვნელოვანისადმი უყურადღებობას ვიჩენთ, თვალს ვხუჭავთ იმაზე, რაც აშკარად ჩანს...“

ნარკვევში ყურადღება გამახვილებულია მხატვრული ნაწარმოების დიდ როლსა და მაღალ დანიშნულებაზე. ერთხელ კიდევ ხაზგასმით არის გამოთქმული ნათელი ჭეშმარიტება, რომ მხატვრული ნაწარმოები იქმნება ადამიანისათვის, ადამიანის საკეთილდღეოდ; მოწოდებულია იყოს ადამიანის შემწე, მეგობარი, უანგარო აღმზრდელი და ბრძენი მოძღვარი, გზის გამკვლევი, შთაგონების წყარო და სიცოცხლის ელექსირი, აზრის, გრძნობისა და გონების ჰოგრიტი; აღვივებდეს კეთილშობილურ გრძნობებს, მისწრაფებას სიკეთისადმი, სილამაზისადმი...

...ნაწარმოები, რამაც ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა და „მაიძულა“ სულ სხვა თვალით შემეხედა ცხოვრებისათვის, დამენახა ბუნების მოვლენების სილამაზე, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი, —წერს ერთ-ერთი სტუდენტი, — კ. არსენაშვილის მოთხრობა „ახალი წლის ღამე“ გახლავთ...

ეს მარტო შთაბეჭდილება კი არა, — სწორად შენიშნავს ნარკვევის ავტორი, — ისეთივე ზეგავლენაა, როგორიც ნოდარზე მოახდინა სილამაზის ხილვამ...

ამ კეთილშობილურმა ზეგავლენამ დააწერინა მეორე სტუდენტს: ...სულ რამდენიმე დღის წინათ თბილისში თოვლი მოვიდა. მე ფონეტიკის კაბინეტში ვიჯექი. უკვე ხუთი საათი იყო, რომ გამოვედი. გარეთ არ ბნელოდა, მაგრამ ქარი ქროდა და პირველ ფიფქებს ბუნება უხვად აფრქვევდა თბილისს. გამახსენდა ბაკურიანი და ფეხით გავლა მომინდა. ხალხი აჩქარებით, თავდაღუნული მიდიოდა ქუჩაში. მე კი სახე მივუშვირე ფიფქებს და მხიარული, ბედნიერი გამომეტყველება მივიღე. ასე მეგონა მთელი ქვეყანა ჩემი იყო. მივდიოდი ნელა, ვუყურებდი ლამპიონებს და ჩემდაუნებურად არსენაშვილის „ახალი წლის ღამეზე“ ვფიქრობდი...

რა შეიძლება მხატვრული ნაწარმოების უფრო დიდი ღირსება იყოს, ვიდრე ის, რომ მკითხველს ბედნიერება განაცდევინოს, მისი სული სიკეთითა და სილამაზით აღავსოს?! მწერალი უფრო დიდ ჯილდოს ვერ ინატრებს, თუ მის ქმნილებას ადამიანში სიყვარულისა და სიხარულის თესლი გაუღივებია; გული და გონება კეთილშობილურ საქმეთა სამსახურში ჩაუყენებია, თუ კაცს ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში კეთილ და საიმედო მეგზურად მოვლენია, სინამდვილის ჩამობნელებულ გზებზე შუქურად ანთებია...

სხვა სტუდენტი წერს: ...თუ სული სუფთა გაქვს, კეთილი ცხოვრების მშვენიერებას უფრო აღიქვამ, ყველაფერში ეძებ სილამაზეს და თავს ბედნიერად გრძნობ, როცა იპოვი მას — გახსნილი შუბლით და გაღიმებული სახით შეჰყურებ სილამაზეს და ლამაზი ხარ შენც., რადგან გაქვს უნარი ლამაზად აღიქვა და შეიგრძნო ყველაფერი. ლამაზია შენი კეთილშობილური ფიქრები, ლამაზია ყველა მაღალი გრძნობა...

და ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები სწორედ ემსახურება სულის სისუფთავეს, მშვენიერების აღქმის უნარის გამომუშავებას, სილამაზის ძიების სურვილის გაღვივებას. და მართლაც, როცა გახსნილი შუბლით და გაღიმებული სახით შეჰყურებ სილამაზეს, ლამაზი ხარ შენც!

აი, კიდევ სულის ერთი „აღსარება“: ...ლამაზია კეთილშობილური განზრახვა, ლამაზია ყოველგვარი ამაღლებული გრძნობა, ლამაზია სიყვარული, რაც ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ცხოვრების ძნელი, სერიოზული და ბედნიერი გამოცდაა. ლამაზებად არ იბადებიან. ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ სულიერ სილამაზეს. თუ მათი ცხოვრება აღსავსეა ინტერესით, შემართებით, აზრებით, ძიებით, სიკეთითა და კეთილშობილებით — ისინი ლამაზებიც არიან და ბედნიერნიც. ამგვარი სულიერი სილამაზის ადამიანებმა შემოგვინახეს ჩვენ სამშობლო...

ხშირად ვერ მოისმენ სულისა და აზრის, გონების ასეთ ლამაზ, ჭკვიანურ და გულწრფელ აღსარებას, სადაც ყოველი სიტყვა განცდილია, გულით ნაკარნახევია და გატარებულია გონების ქურაში; სადაც სიტყვები მზესავით ძალგულობენ. და როგორ არ ჰგავს ეს ფიქრები და ეს განცდები ჯ. მეხრიშვილის ნარკვევის „გმირების“ ფიქრებსა და განცდებს. იოტისოდენა ეჭვიც არ გრჩება, რომ ეს ახალგაზრდები თავიანთ სურვილებსა და მისწრაფებებს არ დაახურდავებენ და დააწვრილმანებენ, რომ მათი გატაცებისა და მომხიბვლელი „სილამაზის ჯადო“ იქნება არა ჯინსები, არა უცხოური ფალას-ფულასი, არამედ შინაარსითა და აზრით დახუნძლული, კეთილშობილური იდეალებითა და სიკეთით შთაგონებული, ამაღლებული ხილვებით აღსავსე სინამდვილე.

ათასგზის მართალია ნარკვევის ავტორი, რომ დაძაბულ ყურადღებას მოითხოვს ყველა ახალგაზრდა, ისიც, ვისაც სილამაზის ხილვის და, მაშასადამე, შინაარსიანი, მხნე და საინტერესო ცხოვრების უნარი აქვს და ისიც, ვინც ირგვლივ ვერაფერს ხედავს საყურადღებოს და მიმზიდველს, ვინც უიმედობისა და გაუხარლობის ნაჭუჭში საადრევად მომწყვდეულა... უყურადღებობამ, უსულგულობამ და მოუფიქრებელმა დამოკიდებულებამ თვალხილულ ახალგაზრდას შეიძლება თვალის ჩინი დაუკარგოს, ხოლო გონიერი ზრუნვა, სითბო, ალერსი, უანგარო მეგზურობა

ბრმასაც კი აუხელს თვალს და ნათელი ცხოვრების გზაზე დააყენებს. ასეთი გონიერი ზრუნვის, ჭეშმარიტად მშობლიური სითბოსი და ალერსის არ ქონების მსხვერპლი არიან სწორედ ჯ. მეხრიშვილის ნარკვევის პერსონაჟები, თუმცა გარეგნულად და ფორმალურად მათ არაფერი აკლიათ, შავი ზღვის სანაპიროზე სანატორიუმებში ისვენებენ, აცვიათ და ახურავთ, ფული მოუზოგავად აქვთ...

მ. კვესელავა პირდაპირ და სამართლიანად მიუთითებს, რომ ახალგაზრდობის ნაწილის გადაგვარების მიზეზი არსებითად არის ცუდი აღზრდა ოჯახში, ცუდი აღზრდა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში; რომ ახალგაზრდების ბედისათვის პასუხისმგებელია მთელი საზოგადოება. რით უნდა აიხსნას, თუ არა ჭეშმარიტი გულშემატკივრობის უქონლობით, რომ დღემდე არ მოგვარებულა სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ უკვე დიდი ხანია არის ლაპარაკი ყველა სფეროში, ყველა დონეზე და ალარავის არ ეპარება ეჭვი., რომ პროგრამები და სახელმძღვანელოები უსაშველოდ არის გაზრდილი და რომ ეს საქმე გადაუდებელ მიხედვას საჭიროებს. არადა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ცოდნასთან მაზიარებელი ხიდის ნაცვლად, შეიძლება გადაულახავ ჯებირად ექცეს ახალგაზრდას ცოდნისაკენ მიმავალ გზაზე და სულის დაკნინებისა და დამახინჯების მიზეზიც გახდეს. ხომ ამბობს ოთხი ათეული წლის პედაგოგის უტყუარი გამოცდილებით მ. კვესელავა, რომ შეუძლებელის კედელთან დაყენებული სტუდენტი, იმასაც არ აკეთებს, რაც ნამდვილად შესაძლებელია. ეს კი უკვე სწავლაზე გულის აცრუებაა და იქნებ ესეც არის ერთი მთავარი სათავე ჯანსაღი ინტერესების დაკარგვისა, სულიერი დაკნინებისა და გაუხეშებისა?!

საბედნიეროდ, შესანიშნავი მწერლისა და გამოცდილი პედაგოგის მიხეილ კვესელავას ექსპერიმენტიც გვარწმუნებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობის აბსოლუტურ უმრავლესობას უხვად მინიჭებული აქვს ძალა და უნარი, არა მხოლოდ კარგად გაიგოს და ჯანსაღად შეაფასოს მისდამი ზრუნვა და ყურადღება, არამედ გაუძლოს ზერელე, ფორმალური, ცივი და უსულგულო დამოკიდებულების გამოვლინებებსაც, უხვად მინიჭებული აქვს უნარი სილამაზის ხილვისა, მაღალი ოცნებისა; აქვს გულწრფელი აზრი, მაღალი ფიქრი, კეთილშობილური მისწრაფება, კეთილი სურვილები, შინაარსიანი და საინტერესო სულიერი სამყარო. სტუდენტების ნაწერებში გამოჩნდა არა მხოლოდ „ხილვის უნარი“, არამედ „ორიგინალურად ხილვისა“, იმის ძალა, რომ არა მხოლოდ ეზიარონ „სილამაზის ჯადოს“, არამედ თვით ქმნიდნენ სილამაზეს და ამკვიდრებდნენ სიკეთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ დოიაშვილი
ლევან ბრეგაძე

# კრიტიკის სიზუსტისათვის

„მნათობის“ 1979 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „მიხეილ კვესელავას წიგნის — „პოეტური ინტეგრალების“ მართებული შეფასებისათვის“ — პროფ. ვენორი ქვაჩახია სადავოდ ხდის მ. კვესელავას წიგნის „პოეტური ინტეგრალების“ შესახებ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას, რომელიც ალმანახ „კრიტიკის“ 1978 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა. პროფ. ვ. ქვაჩახია თავის ამ წერილში მთელ რიგ სერიოზულ ბრალდებებს გვიყენებს, რომელთაგან უმთავრესი ის არის, თითქოს ჩვენ განგებ დაგვემახინჯებინოს პროფ. მ. კვესელავას წიგნის ძირითადი აზრი, გვერდი აგვევლოს ამ წიგნში აღძრული საკვანძო საკითხისათვის, მხოლოდ მეორეხარისხოვან ლაფსუსებსა და შეცდომებზე გაგვემახვილებინოს ყურადღება და ამ გზით გვეცადოს ნაშრომის დისკრედიტაცია.

პროფ. ვ. ქვაჩახია წერს: „მიხეილ კვესელავას წიგნში მთავარი ის იყო, რომ გალაკტიონ ტაბიძის ინტეგრალური პოეზიის საიდუმლოებას მოჰფენოდა ნათელი. რეცენზიაში სწორედ ეს მთავარია დავიწყებული“ (გვ. 158) და კიდევ: „ამრიგად, რას უწოდებდა გალაკტიონი პოეზიის ინტეგრალებს? ამას ეძღვნება წიგნი, და ამის შესახებ რეცენზიაში არაფერია ნათქვამი“ (გვ. 159).

ჩვენ რეცენზიაში დაწვრილებით განვიხილეთ „ინტეგრალური პოეზიის“ მ. კვესელავასეული გაგება, გავაანალიზეთ „ინტეგრალური პოეზიის“ მის მიერ გამოყოფილი ორი ნიშანი (პოეტური სახის სემანტიკის უარყოფა და სახის აგება მუსიკის კონსტრუქციულ საფუძველზე) და დავასაბუთეთ გალაკტიონის მიერ ლექსებში რამდენჯერმე ნახსენები გამოთქმის — „პოეტური ინტეგრალების“ — მ. კვესელავასეული გაგების მცდარობა (სხვათა შორის, ეს გაგება, ე. ი. წიგნის უმთავრესი აზრი რომ მცდარია, ამას პროფ. ვ. ქვაჩახიაც არ უარყოფს, მაგრამ ამაზე ქვემოთ). ასე რომ, განცხადება, თითქოს ჩვენ გვერდი აგვევლოს ამ წიგნში დასმული ძირითადი საკითხისათვის, არ შეეფერება სინამდვილეს. უმთავრესი საკითხის უყურადღებოდ დატოვებაში თუ იმიტომ გვდებენ ბრალს, რომ პროფ. მ. კვესელავას მოსაზრების უარყოფის შემდეგ ჩვენი საკუთარი თეორია არ ჩამოვაყალიბეთ იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა გალაკტიონი „პოეზიის ინტეგრალებში“, ამის გამო უნდა ითქვას, რომ ამ მეტაფორული გამოთქმისათვის ცნებითი კატეგორიის მნიშვნელობის მინიჭება არსებით შეცდომად მიგვაჩნია და, ვფიქრობთ, აქ საკვლევი ამ მხრივ არაფერია. პოეტური მეტყველების სპეციფიკაში გარკვეული ადამიანი ადვილად უნდა მიხვდეს, რომ გალაკტიონი „ინტეგრალურ პოეზიას“ უმაღლესი პოეზიის, დიდი ლიტერატურის მნიშვნელობით ხმარობს.

ჩვენს რეცენზიაში საკმაო ადგილი უჭირავს მსჯელობას იმის გამო, რომ პოეტური სახის აგება მუსიკის კონსტრუქციულ საფუძველზე სწორხაზოვნად, პირდაპირი მნიშვნელობით ესმის პროფ. მ. კვესელავას: იგი საერთოდ შლის ზღვარს პოეზიას, ე. ი. სიტყვიერი ხელოვნების დარგსა, და მუსიკას შორის, რის შედეგად პოეზიაც ხელიდან გვეცლება და, ცხადია, ვერც მუსიკის საწადელი მიიღწევა. პროფ. ვ. ქვაჩახია დუმილით უვლის გვერდს ამ არსებით საკითხს, მხოლოდ ერთგან შენიშნავს ყრუდ: „გალაკტიონის ამ ლექსების ამგვარი გაგება. მათი მუსიკის კონსტრუქციულ საფუძველზე აგებულობა — საკმაო საფუძვლის მქონეაო“ (გვ. 162). სანამ ასეთ ზოგად დასკვნას გააკეთებდე, მანამდე ხომ უნდა ეცადო ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი არ-

გუმენტების დარღვევას, მათ გაბათილებას! (იხ. ჩვენი რეცენზიის გვ. 80-84) მაგრამ პროფ. ვ. ქვაჩახია ერთი სიტყვითაც არ ეხება „მუსიკის კონსტრუქციული საფუძვლის“ ჩვენეულ კრიტიკას. თუმცა ეს არც არის გასაკვირი: ამ საკითხების ხელახლა წამოჭრა მას ხელს არ აძლევს, იმდენად აშკარაა მათი უმართებულობა.

პროფ. ვ. ქვაჩახიას ყურადღება „ინტეგრალების“ მხოლოდ პირველი „ნიშნის“ ჩვენეული კრიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული. აქ ცდილობს იგი დაგვიჭიროს წინააღმდეგობასა და შეცდომებში. მაგრამ ძალიან ძნელი ამოცანის წინაშე დგას. საქმე ის არის, რომ პროფ. მ. კვესელავას ინტეგრალური პოეზიის თეორია უბრალო გაუგებრობაზეა დამყარებული, რაც ძირითადად გალაკტიონის ლექსთა ცალკეული ადგილების ვერგაგებითაა გამოწვეული. ამაზე ვრცლად არის ლაპარაკი ჩვენს რეცენზიაში, კონკრეტული მაგალითების განხილვით ვასაბუთებთ, რომ ის, რაც პროფ. მ. კვესელავას ამოუხსნელი ენიგმები და „მხოლოდ მუსიკა, სხვა არაფერი“ ჰგონია, სრულიად აზრიანი პოეტური სტრიქონებია.

პროფ. ვ. ქვაჩახია ჩვენი მისამართით აცხადებს: „ავტორები წერენ, მ. კვესელავას პოეტურ ინტეგრალებად მიაჩნია გალაკტიონის ისეთი ლექსები, სადაც „რაიმე ინფორმაციის ლოგიკურ-სემანტიკური გადმოცემა არ არის“. და იქვე დასძენს: „მ. კვესელავა მართლაც ამტკიცებს დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ა მ ა ს ო“ (დაყოფა ჩვენია), (გვ. 159). „დაახლოებით“ კი არა ზ უ ს ტ ა დ ამას ამტკიცებს. ჩვენ რეცენზიაში მოვიყვანეთ მ. კვესელავას სიტყვები: „...გალაკტიონის პოეტური ინტეგრალებისათვის არ არის დამახასიათებელი რამე ინფორმაციის ლოგიკურ-სემანტიკური გადმოცემა“ („პოეტური ინტეგრალები“, გვ. 527). ოპონენტთან სიტყვას „დაახლოებით“ ის ფუნქცია აქვს, რომ ცოტათი მაინც შეარბილოს პროფ. მ. კვესელავას მცდარი დებულების კატეგორიულობა, მაგრამ მიზანი მიუღწეველი რჩება. პროფ. ვ. ქვაჩახია ვერაფრით ვერ ახერხებს ჩვენს მიერ ახსნილი „ინტეგრალური“ ფრაზების აზრის ხელახლა გაბუნდოვნებას, მათ დაცლას სემანტიკისაგან, მათ გადაქცევას „მხოლოდ მუსიკად“ და იძულებულია ყველა ჩვენს განმარტებას დაეთანხმოს. მაგრამ ერთ „წინააღმდეგობაში“ მაინც „გვიჭერს“: თქვენ თვითონვე ხომ წერთ, რომ გალაკტიონის პოეზიაში შეინიშნება სახეთა ერთი წყება („ივლისისფერი ყინვის თასების“ ტიპისა), რომელთა ლოგიკურად გააზრება ალბათ მართლა შეუძლებელია, რადგან ამგვარი სახეები სიმბოლიზმის აზრობრივ-პოეტიკურ ტრადიციებთან არის დაკავშირებულიო. იგი ასე აყენებს საკითხს: „კრიტიკოსებმა ხომ თვითონვე გამოყვეს, განაცალკევეს „რამდი დარის“ ტიპის სახეები სიმბოლისტური სახეებისაგან, ხომ თვითონ დაადგინეს, რომ პირველი ტიპის სახეები გასაგებია, მეორესი კი — არაო. რაში ედავებიან კრიტიკოსები მონოგრაფიის ავტორს? თვით იმ შემთხვევაშიც, როცა ჩავთვალეთ, რომ „დარობს რამდი დარის“ ამოხსნა შეუძლებელი არ ყოფილა, მისი ტიპის სახეების თავისებურება არ გვიარუყვია, მაშასადამე, ავტორს მიუგნია სიახლისათვის“ (გვ. 160).

ვუპასუხებთ პროფ. ვ. ქვაჩახიას შეკითხვას: კრიტიკოსები მონოგრაფიის ავტორს ამ შემთხვევაში იმაში ედავებიან, რომ იგი, ჯერ ერთი, მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან „ინტეგრალურ“ და სიმბოლისტურ სახეებს და, მეორეც, კატეგორიულად უარყოფს გალაკტიონის კავშირს სიმბოლიზმთან. ჩვენ „კრიტიკაში“ გამოქვეყნებული რეცენზიის დასაწყისშივე მოვიყვანეთ მისი სიტყვები, სადაც ეს გამიჯვნა აშკარაა: „...ძველებურ, განსაკუთრებით სიმბოლისტურ ლექსებში, ეს ასეა, ინტეგრალურში— არა“ (გვ. 597). ამ საკითხზე ვრცლად ვმსჯელობთ ჩვენს რეცენზიაში (გვ. 77-80) და ვასაბუთებთ, რომ ის, რაც პროფ. მ. კვესელავას თვისებრივ სიახლედ მიაჩნია, დიდი ხანია ცნობილია სიმბოლისტურ პოეტიკაში, ამიტომ პროფ. ვ. ქვაჩახიას განცხადება—„მაშასადამე, ავტორს მიუგნია ს ი ა ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს ო“ — არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან, როგორც ახლახან მოყვანილი ციტატიდან ჩანს, თვითონ მ. კვესელავასაც სიმბოლისტური ლექსები „ძველებურ“ ლექსებად მიაჩნია. ან განა შეიძლება გალაკტიონთან სიმბოლისტური სახეების „აღმოჩენა“ სიახლედ ჩაითვალოს?

ვ. ქვაჩახია წერს: „კრიტიკოსები განზრახ თუ უნებლიედ, ტექსტიდან გამოტოვებენ სიტყვას — ე რ თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი, რჩება მარტო გ ა გ ე ბ ა, რაც სრულიად გაუმართლებელია“ (გვ. 162). ჩვენს ოპონენტს არ მოაქვს არც ერთი მაგალითი ჩვენს მიერ ტექსტიდან ამ სიტყვის გამოტოვებისა და ვერც მოიტანდა, იმიტომ რომ ასეთი რამ არ ჩაგვიდენია და არც გვჭირდებოდა, რადგან მ. კვესელავამ, როგორც ვნახეთ, სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბა „პოეტური ინტეგრალის“ თავისებურება, როცა განაცხადა, რომ მისთვის „არ არის დამახასიათებელი რამე ინფორმაციის ლოგიკურ-სემანტიკური გადმოცემაო“. ჩვენ ვაანალიზებდით მ. კვესელავას მიერ ინტეგრალური პოეზიის ნიმუშებად მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებს და ვასაბუთებდით, რომ მათში იყო „რამე ინფორმაციის გადმოცემა“ პოეზიის (ტროპული მეტყველების) ენით, პროფ. მ. კვესელავა კი იმიტომ ვერ პოულობდა მათში რამე ინფორმაციის გადმოცემას, რომ არასწორად კითხულობდა ტექსტს.

მ. კვესელავამ ინტეგრალური ლექსები სრულიად გარკვევით უწოდა ისეთ ლექსებს, „სადაც სემანტიკა ან მეტაფორებისა და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა თითქმის მთლიანად

დარღვეულია“ (გვ. 199), ჩვენ კი ვაანალიზებდით მის მიერ ინტეგრალური პოეზიის ნიმუშად მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებს და ვასაბუთებდით, რომ მათში სემანტიკა ან მეტაფორებისა და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა სულაც არ იყო დარღვეული. მაგალითად, რა სემანტიკა და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურაა დარღვეული მთვარიანი პეიზაჟის გამომხატველ ამ სტრიქონებში: „მაღალ ალვათა რიგნი მთვარეს მწვერვალებს უხრის“, რომელიც მ. კვესელავას თვისებრივად ახალი, „ინტეგრალური“ პოეზიის ნიმუშად მიაჩნია (იხ. „პოეტური ინტეგრალები“, გვ. 372; ჩვენი რეცენზია, გვ. 74-75).

დღისით-მზისით რატომ უნდა დაგვბრალდეს ეს ჩაუდენელი დანაშაული — ტექსტიდან სიტყვა „ერთმნიშვნელოვანის“ განზრახ თუ უნებლიედ გამოტოვება? ან, საერთოდ, რა შუაშია ეს ვრცელი მსჯელობა შესახებ იმისა, ყოველთვის შესაძლებელია თუ არა ხელოვნების ნაწარმოებთა ერთმნიშვნელოვანი გაგება და შეიძლება თუ არა, ნაწარმოები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად არ ესმით, მაინც იწვევდეს ემოციურ ზემოქმედებას? რა კავშირი აქვს ამას ჩვენს რეცენზიასთან, რომელსაც ლაიტმოტივად მხოლოდ ის ანბანური ჭეშმარიტება გასდევს, რომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ მხატვრული სახის მოწონება-არმოწონებაზე, თუ მისი სემანტიკა არ გვესმის. ჩვენ რეცენზიაში ყველგან მხოლოდ სემანტიკის,. ტექსტის, სიტყვებით გადმოცემული აზრის გაგების შესახებ გვაქვს საუბარი, პროფ. ვ. ქვაჩახია კი ნახეთ ახლა საით წაიყვანს მსჯელობას: „განა „ოთარაანთ ქვრივი“ ერთნაირად ესმოდათ, ერთნაირად იყო გასაგები ყველასათვის? — გვეკითხება იგი, — განა დიდხანს არ იმტვრიეს თავი სპეციალისტებმა იმის თაობაზე, თუ რა მთავარი აზრია ავტორის მიერ გამოხატული, ეს ჩატეხილი ხიდი, ეს წოდებათა ასეთი თუ ისეთი ურთიერთობაო, ეს იმისი იდეოლოგიაო... ასევე არ იყო „განდეგილის“ მთავარი აზრის გაგების საკითხიც? ზოგიერთი ხომ დღესაც დაობს?!“ (გვ. 168).

აღვილი შესამჩნევია, რომ პროფ. ვ. ქვაჩახიამ აქ ერთმანეთში აურია ორი სხვადასხვა კატეგორია: ნაწარმოების სემანტიკა და ნაწარმოების იდეა. რა თქმა უნდა, შეიძლება მკითხველმა (ძალზე კვალიფიციურმაც კი!) ზუსტად ვერ ჩამოაყალიბოს, შეიძლება საერთოდ ვერც გაიგოს, ან მეორე მკითხველისაგან განსხვავებულად გაიგოს, ვთქვათ, იმავე „ოთარაანთ ქვრივის“ იდეა და მაინც დიდი ესთეტიკური სიამოვნება განიცადოს მისი კითხვისას, მაგრამ ის კი ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ნაწარმოები სემანტიკის დონეზე ვერ გაიგოს (ან თუნდაც „ერთმნიშვნელოვნად“ ვერ გაიგოს, ე. ი. ვერ მიხვდეს, მაგალითად, გიორგის უყვარდა კესო თუ სძულდა, შეეწირა იგი ამ სიყვარულს თუ ყოველივე ბედნიერად დაგვირგვინდა და ა. შ.) და მაინც აღფრთოვანებული დარჩეს მისი თხრობით. სემანტიკის, სიტყვებით გადმოცემული აზრის გაგება-ვერგაგებაზე საუბარი ასე მოხერხებულად გადაიტანა პროფ. ვ. ქვაჩახიამ ნაწარმოების საერთო აზრის, იდეის გაგება-ვერგაგების შესახებ საუბარზე და ამგვარი მანიპულაციით სურს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ჩვენი მტკიცება, როგორც თვითონ ამბობს, „ემყარება თეორიულ სრულ გაუგებრობას“ (გვ. 168).

მაგრამ აქაც ტექნიკურად საკმაოდ ძნელად გადასაჭრელი ამოცანის წინაშე დგას ოპონენტი. განა ადვილია სემანტიკის ცნების თვალსა და ხელს შუა იდეის ცნებით შეცვლა და ამ გზით მოწინააღმდეგის აზრის გაყალბება? თუ როგორ ახერხებს იგი ამას, ნათლად დავინახავთ ერთი ადგილის ანალიზით, რომელიც მეტად საინტერესოა მისი კამათის მეთოდის გაგებისათვის. აი, როგორ მსჯელობს იგი (ფრჩხილებში მოყვანილია ჩვენი კომენტარები):

„დავუშვათ მ. კვესელავა, აჭარბებს და ზოგიერთ შემთხვევაში შეცდომაც მოსდის, როდესაც ამბობს, ასეთი ადგილების გაშიფვრა არ შეიძლებაო. თუმცა ამ შემთხვევის გამოც მისი მთავარი აზრი სულ სხვაა — თუ გავშიფრეთ, რაღა გამოგვივაო (?) და ა.შ. (აქ წინააღმდეგობა აშკარაა, მაგრამ ნუ მივაქცევთ ახლა ამას დიდ ყურადღებას: მთავარია, რომ ჯერჯერობით ვ. ქვაჩახია ცალკეული ფრაზების სემანტიკის გაგება-ვერგაგებაზე ლაპარაკობს). ამიტომ მ. კვესელავას ეს ადგილები (?) ასე რომ დაეწერა (?) თავის წიგნში, დაახლოებით ასე რომ ეთქვა: სპეციალური ანალიზით შეიძლება ზოგჯერ გაგებასაც მივაღწიოთ, მაგრამ ამის გარეშე მკითხველთა უდიდესი ნაწილისათვის მხატვრული ეფექტი კი მაინც ძალზე დიდია და გალაკტიონის პოეზიის ინტეგრალებიც ეს არისო. ვშიშობ, — განაგრძობს ვ. ქვაჩახია, — ვაი თუ გაუგებარი გამოვიდა და ამიტომ კიდევ ვიტყვი, სხვა სიტყვებით (თვითონვე რომ აღიარეს, გაუგებარიაო, ეს მცირეოდენი უკანდახევაა ტაქტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი, რათა შემდეგ გოლიათური ნაბიჯი გადაიდგას წინ): მაშასადამე, არის თუ არა გალაკტიონის პოეზიაში ისეთი ლექსები, სადაც ის, რაც ერთმნიშვნელოვნად გასაგები არ არის, აღწევს საოცარ ეფექტს? არის!“ (გვ. 159-160).

აქ უკვე ძნელი მისახვედრია, რის ერთმნიშვნელოვნად გაგებაზეა საუბარი. თითქოს ისევ სემანტიკურ გაგებაზე გველაპარაკებიან, მაგრამ რა შეიძლება პოეზიაში იყოს „ის, რაც ერთმნიშვნელოვნად გასაგები არ არის“? რა თქმა უნდა, ნაწარმოების იდეა. ეს გარდამავალი საფეხურია. მზადაა ნიადაგი ერთი ცნების მეორეთი შესაცვლელად. მაგრამ კატეგორიების

შეცვლა ასე ერთბაშად მაინც ვერ მოხერხდება, რადგან აშკარა იქნება შეუსაბამობა. ამიტომ აქ „ერთმნიშვნელოვნად“ გაგებაზე საუბარი დროებით წყდება და მკითხველის ყურადღების მოდუნების მიზნით სხვა საკითხებზე იწყება მსჯელობა, ხოლო დაახლოებით სამი გვერდის შემდეგ ისევ ვუბრუნდებით ერთმნიშვნელოვნად გაგებას. ეს სამგვერდიანი ჩანართი რომ სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც ახლა გვქონდა საუბარი, იქედანაც ჩანს, რომ ქვემოთ მოყვანილი სიტყვები ახლახან შეწყვეტილი მსჯელობის უშუალო გაგრძელებად აღიქმება, თუმცა როგორც ვთქვით, მათ შორის შუალედი სამი გვერდია. მაშ ასე, 168-ე გვერდზე პროფ. ვ. ქვაჩახია განაგრძობს მედიტაციას „ერთმნიშვნელოვნად“ გაგების თაობაზე:

„განა ასე უცნაურია აზრი იმის შესახებ, რომ საერთოდ ხელოვნების, კერძოდ კი პოეზიის ნიმუშები ყოველთვის როდი არიან ერთმნიშვნელოვნად გაგებული და, მიუხედავად ამისა, იწვევენ ემოციურ ზემოქმედებას... განა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?“ ყველას ერთნაირად ესმოდა, თუმცა კი ძალიან მოსწონდათ?“ და ა.შ. და ა.შ.

საქმე დამთავრებულია: სემანტიკის კატეგორიაზე წამოწყებული საუბარი ოსტატურად შეგვიცვალეს იდეის კატეგორიაზე საუბრით.

რასაკვირველია, ხელოვნების ქმნილებების ერთმნიშვნელოვანი გაგება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ხელოვნება ხელოვნება არ იქნებოდა. მეტიც: არც ცხოვრებისეული მოვლენების ერთმნიშვნელოვანი გაგება ხერხდება („ერთმნიშვნელოვანი“ გაგების მოთხოვნა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არადიალექტიკური იქნებოდა). მაგრამ ყოველივე ეს ხომ ნაწარმოების იდეური ანალიზის სფეროს განეკუთვნება? ჩვენ კი ჩვენს რეცენზიაში მხოლოდ ტექსტის, სიტყვებით გადმოცემული აზრის, სემანტიკას გაგებაზე გვაქვს საუბარი, ესე იგი, გაცილებით მოკრძალებულ მიზანს ვისახავთ, ვიდრე ოპონენტი მოგვაწერს.

როგორც ყველა მეცნიერებას, ლიტერატურისმცოდნეობასაც თავისი კატეგორიები გააჩნია. ნაწარმოების სემანტიკა და ნაწარმოების იდეა სხვადასხვა ცნებებია, ისინი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, თორემ „თეორიული სრული გაუგებრობა“ გამოვა.

როგორც ითქვა, ვ. ქვაჩახიას თვითონაც მცდარად მიაჩნია მ. კვესელავას წიგნის უმთავრესი აზრი. მას სხვა გზა არა აქვს — ეს უნდა აღიაროს, რადგან მ. კვესელავას „ინტეგრალური პოეზიის“ თეორია, როგორც ვნახეთ, უბრალო გაუგებრობაზეა დამყარებული. პროფ. ვ. ქვაჩახიამ „ინტეგრალური პოეზიის“ საკუთარი თეორია ჩამოაყალიბა. მაგრამ ხანამ ამაზე ვიტყოდეთ რამეს, ჯერ ვნახოთ, როგორ ახერხებს იგი, რომ ნაშრომი, სადაც, მისი სიტყვით, უმთავრესი აზრი მცდარია, „ბრწყინვალე“, „სანტაპო“ და ა. შ. წიგნად წარმოადგინოს. იგი წერს:

„წინასწარვე ვგრძნობ მკითხველის გაოცებას — უმთავრესში თუ არ ეთანხმები ავტორს, მაშინ მისი წიგნის უარყოფასაც უნდა დაეთანხმო. არა! ეს გაუგებრობა იქნება... თუ რატომ, აქ ლოგიკური მსჯელობით მტკიცებას აჯობებს საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებიდან ორიოდე ნიმუში მოვიყვანოთ. პლატონის ნააზრევში, რომელმაც, როგორც ცნობილია, განსაზღვრა მთელი მიმართულება ფილოსოფიაში, სწორედ მთავარია მცდარი და მიუღებელი, მაგრამ რამდენია დღესაც მისაღები; ამიტომაც მკითხველი მას არ გამოლევია. კანტის უმთავრესი დებულება — ცოდნის აპრიორული ფორმების შესახებ, ჰეგელისა — აბსოლუტური სულის შესახებ მცდარი და მიუღებელია, მაგრამ ნუთუ ვინმეს ეპატიება ამას გადააყოლოს კანტისა და ჰეგელის ნააზრევთა უდიდესი სიმდიდრე...“ (გვ. 168).

საკითხის ამგვარად დასმის უმართებულობაზე რომ მივანიშნოთ, გვინდა ვთხოვოთ ამ სტრიქონების ავტორს ერთ შეკითხვაზე გაგვცეს პასუხი: რა უფრო მთავარია ჰეგელთან — მოძღვრება აბსოლუტური სულის შესახებ, თუ მისი დიალექტიკური მეთოდი?

პროფ. მ. კვესელავასაგან განსხვავებით, პროფ. ვ. ქვაჩახია ფიქრობს, რომ გალაკტიონი „ინტეგრალურ პოეზიას“ თავისი ლექსების ერთ რომელიმე ჯგუფს კი არ უწოდებდა, არამედ მთელ თავის შემოქმედებას. ვ. ქვაჩახია ჩამოთვლის შვიდ ნიშანს (167-168 გვერდებზე) და ამბობს, რომ ესენი „ერთიანობაში უნდა იყოს, ჩემი გაგებით, გალაკტიონის პოეზიის ინტეგრალებით“. რა ნიშნებია ესენი? პირველი ნიშანი ის არის, რომ თურმე გალაკტიონის შემოქმედებაში სამყაროს, სინამდვილის ერთი რომელიმე მხარე, ასპექტი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ყ ვ ე ლ ა (დაყოფა მისია). რა შეიძლება ითქვას „პოეტური ინტეგრალების“ ამ პირველ ნიშანზე? მხოლოდ ის, რომ ამგვარი განცხადების ავტორმა ჯერ უნდა დაადგინოს სამყაროს, სინამდვილეს რამდენი მხარე და ასპექტი აქვს და შემდეგ დაგვიმტკიცოს, რომ პოეტს არც ერთი მათგანი არ გამორჩენია, ყველას გამოხმაურებია თითო ლექსით მაინც.

მეორე ნიშანი ის ყოფილა, რომ გალაკტიონის პოეზიაში თურმე „გამოყენებულია ლექსის ყველა არსებული ფორმა (არის ახალიც, მისმიერიც)“ და თანაც თურმე „არც ერთი არ დომინირებს“, რაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, ორმაგი უაზრობაა.

დანარჩენ პუნქტებად ჩამოთვლილი ნიშნები, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გალაკტიონის პოეზიაში ინტელექტუალური და ემოციური, შინაარსი და ფორმა, ეროვნული და საერთო საკა-

ცობრიო მოტივები ერთ მთლიანობაშია შერწყმული, ყველა დიდი ხელოვანის შემოქმედებას ახასიათებს და მარტო გალაკტიონ ტაბიძის „ინტეგრალური“ პოეზიის თავისებურებად ვერ ჩაითვლება.

აი, ასეთ მოსაზრებებს გვთავაზობენ ალმოჩენის სახელით. წერენ ამგვარ რამეს და ფიქრობენ, გალაკტიონის პოეზიის თავისებურებას ჩავწვდით, „ინტეგრალური პოეზიის“ საიდუმლოებას მოვფინეთ ნათელიო.

ჩვენ რეცენზიის დასკვნაში ვწერდით, რომ პროფ. მ. კვესელავამ ამ წიგნში არსებითად ვერაფერი გვითხრა ახალი გალაკტიონის პოეზიაზე. სხვა აზრისაა პროფ. ვ. ქვაჩახია. იგი ჩამოთვლის „რამდენიმე საკითხს, სრულიად ახლებურად გაშუქებულს მ. კვესელავას წიგნში“ (გვ. 162). იგი „სიახლეთა“ რიგს მიაკუთვნებს უკვე საყოველთაოდ გაზიარებულ დებულებებს, ვთქვათ, ასეთს: „მ. კვესელავა ამტკიცებს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ბადალი არა ჰყავს მეტაფორულ აზროვნებაში (გვ. 324) და ეს ნაჩვენებია ლირიკის კორიფეებთან მდიდარი პარალელებით“ (გვ. 162).

გალაკტიონი რომ, მართლაც, მეტაფორული აზროვნების დიდოსტატია, ეს, დიდი ხანია, სადავო აღარაა. ამასთან, პროფ. მ. კვესელავა მითითებულ გვერდზე არაფერს ამტკიცებს, იგი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს: „ვინმემ რომ აილოს და ჩამოწეროს ჩვენი საუკუნის პოეტების საუკეთესო მეტაფორული მეტყველების ნიმუშები და შეადაროს ერთმანეთს, რა გამოვა? მე ვიცი, რა! აქ გალაკტიონს ბადალი არ ეყოლება. ვისაც ეს არ სჯერა, თვითონ სცადოს, თუ არ დარწმუნდეს ამაში“. ასეთ ჰიპოთეტურ მოსაზრებას, რომლის შემოწმება ძალიან გაჭირდება, ძნელია მტკიცება უწოდო. არც ორიოდე საილუსტრაციო ნიმუში გ. აპოლინერის ლექსებიდან არის „მდიდარი პარალელები“. არა გვგონია, თავად პროფ. მ. კვესელავა ფიქრობდეს, რომ ამ საკითხის ახლებურად გაშუქება მოგვცა. „სიახლის“ ცნობებს პროფ. ვ. ქვაჩახია გულუხვად არიგებს. ეს რომ ასეა, ამაში დასარწმუნებლად კიდევ ერთ ე.წ. სიახლეს მივაქციოთ ყურადღება.

პროფ. ვ. ქვაჩახია წერს: „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ე.წ. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებლად, დომინანტად ზოგჯერ პესიმისტურ განწყობილებას მიიჩნევენ, ამ აზრს ზოგიერთები არ ეთანხმებიან, მაგრამ მხოლოდ მ. კვესელავამ ტექსტუალური ანალიზით უჩვენა ე.წ. პესიმისტური და ოპტიმისტური მოტივებისა და განწყობილებათა თანაფარდობა 1908 1911 წ. ლექსებში (გვ. 56-61)“ (გვ. 162). მეტად საეჭვო სიახლეა, რადგან ასეთი ანალიზი ადრევე იყო ჩატარებული ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. საკმარისია დავასახელოთ რ. თვარაძის წიგნი „გალაკტიონი“ (თბ., 1972), სადაც „პესიმისტური და ოპტიმისტური მოტივებისა და განწყობილებების თანაფარდობა“ აღნიშნულ პერიოდში სწორედ რომ საშური სიზუსტითა და საბუთიანობით არის ნაჩვენები (გვ. 88-99)

„სიახლეებთან“ დაკავშირებით ერთ საკითხზეც გვინდა შევჩერდეთ, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს პროფ. ვ. ქვაჩახიას კომპეტენტურობა ნოვაციათა სფეროში. წერილის ავტორი მიუთითებს, მისი აზრით, კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან სიახლეზე — ეს არის „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ქართულ ეროვნულ ძირებზე აქამდე გამოთქმული ზოგადი მოსაზრების სრულიად ახალი მხარის ჩვენება — რუსთაველის რითმისა და ბარათაშვილის რიტმის შერწყმით აღწევსო გალაკტიონ ტაბიძე ლექსის მუსიკალობის განსაკუთრებულ დონეს (იხ. გვ. 334 და შემდეგ)“ (გვ. 162).

ის, რაც პროფ. ვ. ქვაჩახიას „პოეტური ინტეგრალების“ ავტორის მიერ მიგნებულ „სრულიად ახალ მხარედ“ მიაჩნია (იგულისხმება რუსთაველის რითმისა და ბარათაშვილის რიტმის შეერთება), თვითონ გალაკტიონმა დააფიქსირა თავის ჩანაწერებში (გ. ტაბიძე, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. XII, გვ. 141-142). პროფ მ. კვესელავას თავის წიგნში მოჰყავს პოეტის სიტყვები: „მე მოვახერხე შეერთება რუსთაველის რითმისა და ბარათაშვილის რიტმის... ეს არის გაღრმავება...“ (გვ. 332), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას არა აქვს პრეტენზია პოეტისეული აზრი საკუთარ მიგნებად გამოაცხადოს. ამას ხჩადის მხოლოდ პროფ. ვ. ქვაჩახია, რომელიც დაუფიქრებლად არიგებს პატენტებს „მიგნებებზე“. არცოდნა არცოდვაა, მაგრამ როდესაც არარსებული სიახლეების დაუნახაობას გვაბრალებენ, ამგვარი არცოდნა მოსათმენი აღარაა. საკითხში გარკვეული პატივცემული პროფესორი, უკეთესი იყო, თავისსავე „სენტენციას“ მიჰყოლოდა: „ვინც ამ წიგნზე იმსჯელებს, რა თქმა უნდა, აჯობებს დაკვირვებით წაიკითხოს მთელი წიგნიო“ (გვ. 169). ასე რომ მოქცეულიყო, კოლეგას აღარ ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში — გინდა თუ არა, გალაკტიონის თვითაღიარება შენს მიერ მიგნებული სიახლეაო.

ვის სჭირდება ასეთი დაცვა, რომლის მიღმა ავტორის ნაღვაწისადმი ზერელე დამოკიდებულება იფარება?!

პროფ. ვ. ქვაჩახია თავის წერილში რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ იგი არ იზიარებს პოეტური ინტეგრალების მ. კვესელავასეულ გაგებას, ე.ი. იმას, რაც წიგნის არსებითი პრობლემაა. მიუხედავად ამისა, იგი განსახილველ ნაშრომს მაინც ახალ ეტაპად მიიჩნევს გ. ტაბიძის შემოქმედების შესწავლის საქმეში, როგორი საეჭვო გზით და პარალელებით ცდილობს იგი ან წინააღმდეგობის „დაძლევას“, ამაზე უკვე ზემოთ ითქვა. აქ მხოლოდ ერთ, გარეგნულად თითქოს უზადო მხარეს გვინდა მივაქციოთ ყურადღება. თავის ორიგინალურ შეხედულებებს

პოეტურ ინტეგრალებზე წერილის ავტორი უპირატესად მ. კვესელავას „ნაშრომის წყალობით შექმნილად“ (გვ. 168) თვლის და მოჰყავს კიდეც ის ადგილები მ. კვესელავას წიგნიდან, რომლებსაც ჩვენი ოპონენტი, მისივე აზრით, ინტეგრალური პოეზიის ახლებურ, მ. კვესელავასაგან განსხვავებულ, გაგებამდე მიუყვანია. აი, ზოგიერთი მათგანი: „ასე გლობალური ხასიათისაა გალაკტიონის ინტერესთა და მისწრაფებათა სფერო...“; ან: „გალაკტიონი როგორც ეპოქის პოეტი, სულიერი უნივერსუმის გამომხატველია“; კიდევ: „ასეთია გალაკტიონის პოეზიაც. მასში ყველაფერია — იმედი, სევდა, ბრძოლის ჟინიცა და სასოწარკვეთაც, დაცემაც და შემართებაც“ (გვ. 168) და ა.შ. როგორც ვხედავთ, ნაშრომის არსებით პრობლემას უპირისპირდებიან, ხოლო მისი დიდი ღირსების საილუსტრაციოდ ყოვლად ჩვეულებრივი, ორდინალური, მოარული ფრაზები მოჰყავთ.

საერთოდ, წერილში აშკარაა პროფ. ვ. ქვაჩახიას სწრაფვა, მეტრის პოზა მიიღოს და მიმტევებლური ტონით მოუწონოს ან დაუწუნოს თავის კოლეგას ესა თუ ის მსჯელობა. იგი წერს: „მ. კვესელავა თავის წიგნში უყურადღებოდ არ ტოვებს ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მონაცემებს. ეს ცუდი როდია...“ (გვ. 169); ანდა: „ავტორი ერთგვარად მაინც აცდა სწორ გზას, რომელსაც შეეძლო იგი მიეყვანა პოეზიის ინტეგრალების გასაზიარებელ გაგებასთან“ (გვ. 169). ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს „გასაზიარებელი გაგება“ პროფ. ვ. ქვაჩახიასეული გაგებაა, რომლის შესახებ ცოტა ზემოთ მოკრძალებით ამბობდა: „თუ ღმერთმა ქნა და მართალი გამოდგაო“ (გვ. 168), შემდეგ კი კეთილშობილური დაეჭვება გაქრა და „გასაზიარებელი გაგების“ ავტორმა შემწყნარებლურად დაიწყო საუბარი სხვათა გზიდან გადაცდენაზე.

პატივცემული პროფესორის სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, შეიძლება ითქვას: „ის დონე, რაც მისმა წერილმა შემოგვთავაზა, მეტად უსუსურად გამოიყურება“. ქვემოთ მოვიტანთ ერთ ნიმუშს პროფ. ვ. ქვაჩახიას მსჯელობისას, რომელიც „მისაბაძ ნიმუშად“ გამოდგება თეორიული გააზრებისა და ანალიზის სიღრმის თვალსაზრისით:

აი, როგორ ახასიათებს იგი ლადო ასათიანის პოეზიას: „ბევრჯერ გამომითქვამს გაკვირვება იმის გამო, რომ სნეული კაცი სნეულებას კი არ ემონა... არც ერთ ლექსში არ უწუწუნია, არც ბედს დამდურებია. ვერც იზამდა, რადგან ეს იქნებოდა მისი მხატვრული მრწამსის საწინააღმდეგო“ (გვ. 166). ცოტა ზემოთ კი ამბობს: „მარტივის (ის რთული ხომ მარტივიცაა!) მარტივად გამოხატვის დიდოსტატია ჩვენი დიდებული ლადო ასათიანი. იგი თავისი წკრიალა პოეზიით ასე ეუბნება ადამიანებს: რა გაწუხებთ, თქვე კარგებო, რაღა გინდათ მეტი, რა გაწუწუნებთ? რისთვის ვერ მიგილწევიათ? კიდევ რამე გაკლიათ, როცა აი, აგერაა ყველაფერი! ნახეთ:

რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნალა (?),
ბულბულთა ნაამბორალი“.

ეს „წკრიალა პოეზია“ და „თქვე კარგებო“ თავისთავად ყველაფერს ამბობს. ჩვენ, „კარგებს“, კი ის გვაწუხებს, რომ ბარდნალა „კარგი იყო“ და ამიტომ, როცა გვეუბნებიან „რისთვის ვერ მიგილწევიათ... აგერაა ყველაფერიო“, ვერ დავიჯერებთ („იყო“, მოგეხსენებათ, წარსულ დროს აღნიშნავს, „აგერაა“ კი — აწმყოს) და ამ ლექსის ავტორთან ერთად ვნატრობთ:

ეჰ, რა იქნება ხელახლა
დაიწყებოდეს თავიდან,
რაც დროის დენამ შელახა,
რაც დროსთან ერთად წავიდა...
რად არ ჰიხვინებს ვეება
ლაფშა ლაგამის მკვნეტავი?
ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი!

ლ. ასათიანის პოეზიის (და კერძოდ ამ ლექსის) ზემოთმოყვანილი დახასიათების ავტორმა სხვათა შეფასებისას ნაკლებად უნდა იხმაროს სიტყვები: „დონე“, „უსუსური“, „თეორიული“, „გაუგებრობა“ და ზოგიც სხვა.

პროფ. ვ. ქვაჩახიას, როგორც ითქვა, საქმე ისე სურს წარმოადგინოს, თითქოს ჩვენს რეცენზიაში არაფერს ვამბობდეთ პროფ. მ. კვესელავას წიგნის არსებით მხარეზე, მეორეხარისხოვანი, წვრილმანი შეცდომებისა და უზუსტობების ჰიპერტროფირებას მივმართავდეთ და ამით მკითხველს განზრახ ვუქმნიდეთ არასწორ წარმოდგენას აღნიშნულ ნაშრომზე.

ჩვენი რეცენზია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეძღვნება ძირითად პრობლემას — პოეტური ინტეგრალების მ. კვესელავასეული გაგების კრიტიკას, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ნაკვეთი, იწყება წინადადებით: „გარდა ამ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებისა და შეცდომებისა, წიგნში კიდევ უამრავი ლაფსუსი და უზუსტობა გვხვდება“ (გვ. 84). ამას მოსდევს ამ ნაკლოვანებათა ჩამოთვლა თერთმეტ პუნქტად. როგორც ვხედავთ, ჩვენი პოზიცია, ვისაც მისი დანახვა სურს, სრულიად გარკვეულია — აქ არსებითს არსებითი ჰქვია და არაარსებითს — არაარსებითი.

მაგრამ მივყვეთ პროფ. ვ. ქვაჩახიას მსჯელობას, რომელიც წიგნის ავტორის დისკრედიტაციის მძიმე ბრალდებას გვიყენებს — რეცენზენტებს „მეტად ეხალისებათ უსაფუძვლოდ იოხუნჯონ ცნობილი მეცნიერისა და ლიტერა-

ტორის „მისამართითო“ (გვ. 161). აი, პროფ. ვ. ქვაჩახიას „საბუთიც“:

„რეცენზენტები წერენ: („კრიტიკა“, გვ. 85): „მ. კვესელავას ხშირად დამახინჯებით მოაქვს გალაკტიონის სტრიქონები. ორიოდე მაგალითი: „ანგელოზს ეჭირა ხელში პერგამენტი“ (გვ. 487); „არასოდეს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ (გვ. 202); „ათასი საუკუნის მთელი ტრაგედია“ — ეს უკანასკნელი სტრიქონი ორ-გზის არის მოყვანილი ამ სახით, მარცვალმომა-ტებული (გვ. 28, 33). გვაგონდება მ. კვესელა-ვას სიტყვები ამავე წიგნიდან: „ღმერთო ჩემო, როგორ უდარდელად ეპყრობიან მკითხველები ტექსტს! ავტორის ნაცვლად თვითონ ქმნიან რითმს (უნდა იყოს „რიტმს“ — თ. დ., ლ. ბ.), ინტონაციას“ (გვ. 571).

ასეთია რეცენზენტების შენიშვნა, რომელ-საც დაცინვის ტონი, რა თქმა უნდა, მოუცილე-ბლად აქვს. დავაკვირდეთ — თითქოს როგო-რი სიზუსტითაა გაკეთებული: ეს სტრიქონი ორ-ჯერ არისო არაზუსტად. ამის შემდეგ მკითხ-ველი ოდნავადაც არ დაეჭვდება, რომ აქ ასე-ვე ზუსტად არაა სხვაც ყველაფერი“ (გვ. 161).

ჩვენი რეცენზიიდან ციტირებულ მონაკვეთ-ში არავითარი დაცინვა არ არის. აქ მხოლოდ ფაქტებია მოყვანილი, რომლის საპირისპიროდ წერილის ავტორი ვერაფერს ამბობს და აქცენ-ტი სხვა რამეზე გადააქვს: ხედავთ, როგორ ტენდენციურად არის მოწოდებული მასალა — შექმნილია ზედმიწევნითი სიზუსტის ილუზია, იმისათვის, რომ მკითხველმა დაუეჭვებლად ირ-წმუნოს — „აქ ასევე ზუსტად არაა სხვაც ყვე-ლაფერი“.

როგორი განწყობით უნდა წაიკითხოს კაცმა ჩვენი რეცენზია, რომ ამ დეტალში, ნაცვლად პროფესიული კეთილსინდისიერებისა, რაიმე ქვენა განზრახვა დაინახოს?! როგორია ჩვეულე-ბრივი ვითარება? ჩვენ მოვიყვანეთ სტრიქონი „ათასი საუკუნის მთელი ტრაგედია“, სადაც ხმოვანი „ი“ სიტყვაში „ათასი“ მეტრის თვალ-საზრისით ზედმეტია. ტაეპის ერთგზისი მოხმო-ბის შემთხვევაში ტექსტიდან გადახვევა შეიძ-ლება კორექტურად ჩაგვეთვალა და მითითები-საგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ რადგან სტრიქონი ორჯერ არის დამოწმებული მცდარი ფორმით, ვირწმუნეთ, რომ ეს კორექტურა არაა. მხოლოდ ამის შემდეგ მივეცით თავს უფ-ლება ეს ტაეპი ტექსტის დამახინჯებათა ნუსხა-ში შეგვეტანა. ეს არის და ეს. სადაა აქ „თით-ქოს როგორი სიზუსტე“?

რისთვის დასჭირდა პროფ. ვ. ქვაჩახიას ამ შენიშვნაზე ყურადღების გამახვილება? იგი მკითხველს მიანიშნებს: ხედავთ, რის გამო ედავებიან წიგნის ავტორს, როგორ წვრილმა-ნებს გამოკიდებიან, მოდი და ამის შემდეგ მა-თი მიუდგომლობა ირწმუნეთო. თუ დავაკვირ-დებით, პროფ. ვ. ქვაჩახია სწორედ იმას სჩა-დის, რასაც ჩვენ მოგვაწერს: რეცენზენტებს, რომლებიც არსებითზე არაფერს ამბობენ, ასე-თი „ასოკირკიტული“ შენიშვნები აქვთ. თუ მკითხველმა ეს დაიჯერა, „ამის შემდეგ ოდნა-ვადაც არ დაეჭვდება“, რომ რასაც შემდეგში იტყვის პროფ. ვ. ქვაჩახია ჩვენზე, ასევე სწო-რი იქნება.

ნუთუ მართლა წვრილმანებზე ვდავობთ? არა, ეს არ არის წვრილმანები. მოტანილ ნიმუშებ-ში და ბევრგან სხვაგანაც, რომელთა დამოწმე-ბისაგან თავი შევიკავეთ, დარღვეულია ტაეპე-ბის ევფონიური და მეტრული წყობა. შენიშვ-ნის არსი ის არის, რომ მკვლევარი, რომელიც გალაკტიონის პოეზიის რიტმულ-მუსიკალურ ბუნებას სწავლობს, დიდ სიფრთხილეს უნდა იჩენდეს ტექსტისადმი, მისი ბგერითი ქსოვილი-სადმი. სხვა შემთხვევაში ტექსტის არასწორად დამოწმებაზე შეიძლება არაფერი გვეთქვა, თუ-მცა ასეთი რამ არასდროს შესაწყნარებელი არაა. რეცენზიაში ამის აღნიშვნის საჭიროება საქმის არსებითმა მხარემ განაპირობა. ჩვენ რომ ქილიკისა და ოხუნჯობის გუნებაზე ვიყოთ, არ გაგვიჭირდებოდა სათანადო კომენტარებით მიგვეწოდებინა მკითხველისათვის ის სტრიქო-ნები, რომლებიც ამჯერად უკვე პროფ. ვ. ქვა-ჩახიას წერილშია დამახინჯებულად ციტირებუ-ლი. მაგალითად:

„მშრალ ციფრების ამარა უდაბნოში
ღელდება“ (გვ. 167);
„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნალა,
ბულბულთა ნაამბორალი“ (გვ. 166).
„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს
გევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები“
(გვ. 172).
„როგორც ერთია ქვეყანა ვრცელი, ისე
ერთია გალაკტიონი“ (გვ. 166);
„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ
გაიარე, რაა მამული“ (გვ. 166);
„შენ ახლა ჩემთან აღარ დადიხარ,
ამბობ, შორს ცხოვრობ, აღმართი მღალავს“
(გვ. 167); „სძინავს ბნელ ხვეულებში
გამოუცნობ ქიმერებს“ (გვ. 167, ორჯერ:
პირველ და მეორე სვეტში); „მსგავსება
მათსა და პოეტის ცხოვრების შორის“
(გვ. 159).

ეს ყოველივე სიტყვამ მოიტანა, თორემ ჩვენ ალბათ არც აღვნიშნავდით ამ ტექსტობრივ და-რღვევებს, რადგან პროფ. ვ. ქვაჩახია გ. ტაბი-ძის პოეზიის მუსიკალურ საფუძვლებზე არ გვე-საუბრება. გვესაუბრება კი არა, როგორც ვნა-ხეთ, ძალიანაც ერიდება და შორიდან უვლის ამ სახიფათო საკითხს.

პროფ. ვ. ქვაჩახია ცდილობს მნიშვნელობა დაუკარგოს ჩვენს შენიშვნებს და ამის მისაღწევად საშუალებებსა და ხერხებს მაინცდამაინც არ დაგიდევთ. იგი ერთმანეთში ურევს არსებით და არაარსებით შენიშვნებს, ცალკეული საკითხების განხილვისას მკითხველს უმალავს ჩვენი შენიშვნების ძირითად აზრს და ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს მართლაც მხოლოდ უწყინარი შეცდომები იყოს დაშვებული. მოვუსმინოთ წერილის ავტორს:

„მ. კვესელავას წიგნში არის ადგილები, სადაც ავტორს მართლაც ულალატა მეხსიერებამ, ან მოხდა უბრალო კალმისეული შეცდომა და მართლაც ლაფსუსია დაშვებული. რამდენიმე ასეთი მაგალითი მოტანილი აქვთ რეცენზენტებს. მათში მე ვერ ვნახე ვერცერთი ისეთი, რაც დიდ გავლენას ახდენდეს აზრზე, შინაარსზე. მაგალითად, 12 მარცვლიანი ლექსის ნიმუშად 14-მარცვლიანი დაასახელაო. სწორია. შეცდომაა. მაგრამ როგორი შეცდომაა: არსებითია? — არა! არსებითი მაშინ იქნებოდა, თუ გალაკტიონს არ მოეძებნებოდა სათანადოდ თორმეტმარცვლიანი ლექსი. ამ შემთხვევაში აზრი, მართლაც, არსებითად შეიცვლებოდა. ასეთივეა, გ. ლეონიძემ უწოდა, თუ ტ. ტაბიძემ გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“. მართალია, ტ. ტაბიძემ უწოდა. წიგნის ავტორს შეცდომა აქვს დაშვებული. როგორი შეცდომა? იგი იქნებოდა არსებითი, რომ იმ გვარის შეცვლით რაიმე იცვლებოდეს ან, უფრო მეტი, ასეთი რამ არავის ჰქონდეს ნათქვამი. ისეთივე ამბავია ტიუტჩევისა და ფეტის შესახებ. უფრო ნაკლები ცოდვაა — ბარატინსკის ალექსანდრე ერქვა, თუ ევგენი...“ (გვ. 161).

აქ, მართლაც, არაარსებითი შენიშვნების გვერდით, როგორიცაა გ. ლეონიძემ უწოდა თუ ტ. ტაბიძემ გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“, ან ბარატინსკის ალექსანდრე ერქვა თუ ევგენი, მოტანილია მნიშვნელოვანი შენიშვნა ფეტსა და ტიუტჩევთან დაკავშირებით და, რაც მთავარია, მარტივი მანიპულაციის საშუალებით არსებითიდან არაარსებითად არის ქცეული მსჯელობა 12-მარცვლიანი ლექსის შესახებ. ჩვენც აქედან დავიწყოთ.

რეცენზიაში ჩვენ, მართლაც, შევნიშნეთ მ. კვესელავას, რომ მან 12-მარცვლიანი ლექსის ნიმუშად 14-მარცვლიანი ლექსი მოიყვანა. ჩვენ ვწერდით: „ასეთ პრინციპულ საკითხზე მსჯელობისას განა შეიძლება 12-მარცვლიანი ლექსის ნიმუშად 14-მარცვლიანი ლექსის დამოწმება? თანაც ისეთი ცნობილი ლექსისა, როგორიცაა „ლურჯა ცხენები!“ (გვ. 88). პროფ. ვ. ქვაჩახია აკადემიური სიდინჯით გვაშოშმინებს — სიმართლე თქვენს მხარეზეა, მაგრამ რა? თუ „ლურჯა ცხენები“ არ არის 12-მარცვლიანი, სხვა ლექსები ხომ მაინც აქვს პოეტს 12-მარცვლიანიო. იგი მსჯელობას ისე წარმართავს, თითქოს შენიშვნის არსი მხოლოდ ამ კონკრეტულ ლაფსუსთან იყოს დაკავშირებული. დაკვირვებული მკითხველი ჩვენს ზემოთმოყვანილ ავტოციტირებაში აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას პირველსავე სიტყვებს — „ასეთ პრინციპულ საკითხზე მსჯელობისას...“ და დაეჭვდება, პროფ. ვ. ქვაჩახია რაღაცას გვიმალავს, თურმე რაღაც პრინციპულ, არსებით საკითხზეა საუბარიო. მართლაც, რეცენზიაში, ვმსჯელობთ რა პოეზიისა და მუსიკის მიმართებაზე მ. კვესელავას წიგნში, ვწერთ: „პარალელი მუსიკასა და პოეზიას შორის აქაც ზოგადია და არგუმენტირებას მოკლებული. განა ელემენტარული განმარტება მაინც არ უნდა იმას, თუ რა პრინციპით შეიძლება 12 ბგერისაგან შემდგარი ოქტავისა და 12-მარცვლიანი ლექსის ურთიერთდაკავშირება?“ (გვ. 88). აი, თურმე რა ყოფილა! შენიშვნა მარტო იმას კი არ გულისხმობს, 12-მარცვლიანი ლექსის ნიმუშად 14-მარცვლიანი ლექსი რად იქნა დამოწმებულიო, როგორც ამას გულუბრყვილო უბრალოებით აუწყებს მკითხველს პროფ. ვ. ქვაჩახია და ჩვენც დიდსულოვნად გვეთანხმება, სიმართლე თქვენს მხარეზეაო, არამედ არსებით საკითხს — 12-მარცვლიანი ლექსის მიმართებას 12 ბგერისაგან შემდგარ ოქტავასთან. ჩვენ ვთვლით, რომ ეს აზრი არამარტო მცდარია, არამედ აბსურდულიც. პროფ. ვ. ქვაჩახიამ დუმილით აუარა გვერდი სახიფათო საკითხს, „შეკრიჭა“ შენიშვნა და შემდეგ ჯიქურ გვკითხა: „როგორი შეცდომაა: არსებითია? — არა“. როგორ არა ,იმდენად არსებითია, რომ სხვისი შეცდომების ისეთ დამცველსაც, როგორიც პროფ. ვ. ქვაჩახიაა, დუმილი უკარნახა. ეს დუმილი ჩვენი თვალსაზრისისადმი თანხმობად უნდა მივითვალოთ, ხოლო თუ ასე არ არის, მაშინ პროფ. ვ. ქვაჩახიამ განგვიმარტოს რა კონკრეტული აზრი აქვს მ. კვესელავას ამ მსჯელობას, რომელსაც ჩვენი შენიშვნა ერთვის: „ეს კვინტური წრეც თავისი კონკრეტული შინაარსით გალაკტიონისა და ბრიუსოვისებურ პოეტური ოქტავების მოდულაციებთანაცაა დაკავშირებული. იგი შეიცავს დიეზების ტონალობას, რომელიც ოქტავაში მოთავსებული ყველა 12 ბგერისაგან შედგება. ამასთანავე, უკანასკნელი ტონალობა ენჰარმონიულია პირველ ტონალობასთან. ამ თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო იქნებოდა გალაკტიონის სწორედ 12-მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი ლექსის, ვთქვათ, „ლურჯა ცხენების“ მუსიკალური ტონალობის დადგენა“ (გვ. 570).

საკითხი აქ პრინციპულად მცდარად არის დასმული, წაშლილია ზღვარი პოეზიასა და მუსიკას შორის, და მას არაფერი ეშველება. მოდით, პროფ. ვ. ქვაჩახიასებური ლაკონიურობით ვიკითხოთ: მკვლევარის შეცდომა არსებითია? — დიახ!

ასევე „მოუთვინიერებია“ ოპონენტს ჩვენი შენიშვნა ფ. ტიუტჩევის ერთი სტრიქონის გამო,

რომელსაც მ. კვესელავა ა. ფეტს მიაწერს. პროფ. ვ. ქვაჩახიას მიხედვით, აქ თითქოს გვარების მექანიკური შეცვლა მოხდა, სინამდვილეში კი ვითარება ასეთია: რეცენზიაში მოგვაქვს ამონაწერი მ. კვესელავას წიგნიდან: „ფეტი წერს. „მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც არის აზრი, ჩემთვის არ არსებობსო". ამასვე გვაუწყებს მისი ფრთიანი ფრაზა:

**«Мысль изреченная есть ложь».**

ჩვენი კომენტარი ასეთია: „ჯერ ერთი, ეს ორი გამონათქვამი სულაც არ გვაუწყებს ერთსა და იმავეს. პირველი აზრისა და პოეზიის შეუთავსებლობას გულისხმობს, მეორე კი გამოხატავს გულისტკივილს სიტყვიერი საშუალებებით აზრის ადექვატური გამოთქმის შეუძლებლობის გამო. გარდა ამისა, რუსულად მოყვანილი ეს საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონი ა. ფეტს კი არ ეკუთვნის, არამედ ფ. ტიუტჩევს" (გვ. 86). მაშასადამე, აქ მარტო მეხსიერებისმიერ შეცდომაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ განსხვავებული აზრების გაიგივებაზე, ამ ორი პოეტის პოზიციათა სხვაობის ვერშემჩნევაზე. შეცდომა მნიშვნელოვანია? — დიახ! მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს შენიშვნა არ შეგვიტანია არსებით შეცდომათა რიგში. რამდენადაც იგი უშუალოდ არ უკავშირდება წიგნის ძირითად პრობლემას — პოეტურ ინტეგრალებს.

ასეთია ჩვენი ოპონენტის კამათის მეთოდი და მისი ლიტერატურული აზროვნების სტილი.

სამწუხაროდ, ჩვენში ბოლო დროს გაძლიერდა ერთი ტენდენცია: რაკი ლიტერატურისმცოდნეობა „ზუსტ" მეცნიერებათა რიგს არ განეკუთვნება, ამიტომ იმედოვნებენ, ლიტერატურული კამათისას წყალს თუ ავამღვრევთ, შეიძლება თევზიც დავიჭიროთო. ამგვარი ტენდენციის არც ერთი კონკრეტული გამოვლინება არ უნდა დარჩეს უპასუხოდ. ამას მოითხოვს ლიტერატურის, ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების ინტერესები, მისი ღირსების დაცვა. აუცილებელია ბრძოლა კრიტიკის სიზუსტისათვის, კრიტიკის კრიტერიუმების გამომუშავებისათვის. ჩვენი ეს პასუხიც ამ აუცილებლობის შეგნებითაა გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსებ ნონეშვილი

1918-1980

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენი იოსები აღარ არის, რომ ეს შუბლგახსნილი, მუდამ მოღიმარე პოეტი ვეღარ გაივლის რუსთაველის პროსპექტზე, რომ გაუღიმოს, მიესალმოს ყველას — გამვლელსა და გამომვლელსაც — დიდსაც და პატარასაც, და მთელი თბილისიც ასევე გულღიად პასუხობს მის სალამსა და გამარჯვებას; ასე ახლოს იცნობდა მას არა მარტო ქალაქი, არამედ — ეს არ არის გადაჭარბება — საქართველოს ყველა სოფელი.

მახსენდება ერთი ცხელი შუადღე ფიცხოვის ხეობაში, ახალციხის რაიონში რომ მდებარეობს; ეს იყო მინდვრად, კოლმეურნეებმა შესვენების დროს სიცხეს თავი შეაფარეს გრძელ სარაიაში, სადაც თითქმის მთელი სოფელი დაეტია. მოვიდნენ ლექსების მოსასმენად მოხუცები და ახალგაზრდები, სჭარბობდნენ ქალები, რომლებიც ბოსტანში მუშაობდნენ. ნონეშვილი ჯერ არ ენახათ, მაგრამ ეს სახელი უცნობი არ იყო მათთვის — წიგნებით იცნობდნენ და რადიოთიც მოესმინათ. ახლა კი იმ სარაიაში არც მაღალი ტრიბუნა იდგა და არც მიკროფონი იყო საჭირო. პოეტი სოფლელებს შორის მუდამ შინ გრძნობდა თავს, მუდამ შინ იყო. ახლაც იოსებმა თავისი სიტყვა იმით დაიწყო — დედაზე წაგიკითხავთ ლექსსო. თან დასძინა — დედაც და მამაც აღარ მახსოვს, უპატრონო ობოლი — ბებიამ და კარდანახმა გამზარდესო. კარდანახი მისი სოფელია, და მოჰყვა პოეტი როგორ ზრდიდა სოფელი პატარა ფერმკრთალ ბიჭს, როგორ აღებდა კაპიკზე კაპიკს, რომ ობლისათვის ფეხსაცმელი ეყიდათ.

მძიმე დროს დაემთხვნენ მისი ბავშვობის წლები. უსმენდნენ კოლმეურნე ქალები და ტიროდნენ. ძნელად თუ ნახავ ერთბაშად ატირებულ ამდენ ხალხს! იცოდა იოსებმა· ლექსშიც და ტრიბუნაზეც როგორ შეხებოდა გულის ყველაზე იდუმალ ძაფებს. ჩვენც, მის თანამგზავრებსაც (იოსებთან ერთად იყვნენ იქ ალიო მირცხულავა, ალ. ქუთათელი და ამ სტრიქონების ავტორი) გადმოგვედო რაღაც უცნაური მღელვარება, როცა პოეტმა დაიწყო ლექსი კი არა, ლოცვა, ვედრება ქართლის დედისადმი, ეს იყო ღაღადი — დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები, თითქოს ფიქრებიც გვქონდა საერთო, შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი, რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო. შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა, არ მშორდებოდი წუთით, საათით, რომ სიარული გესწავლებინა, შენც დადიოდი ჩემთან ტაატით, შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა, თავზე ნამუსის ქუდი დამხურე, სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა და სიყვარული დავიმსახურე, — კითხულობდა პოეტი და შეჰხაროდნენ მსმენელები.

პოეტის ღირსება იზომება იმ სიყვარულით, რომელიც მან ხალხის გულში მოიპოვა. ეს არ არის საღავო, ეს მთავარი კრიტერიუმია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებია მკითხველის გული იოსებ ნონეშვილის ლაღსა და ფრთიან სტრიქონებს! ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანდა მაშინ, როცა პოეტი ასე პირისპირ ხვდებოდა თავის მკითხველს. იმ დღესაც იოსებმა იმდენი სიხარული მიუტანა მათ, იმდენი სითბო გულისა, რომ აღარ უნდოდათ მისი გაშვება, ეძნელებოდათ მასთან გამოთხოვება, სთხოვდნენ, კიდევ ჩამოდიო... და მე მგონია, ეს იყო ყველაზე ძვირფასი რეცენზია, ყველაზე უკეთესი შეფასება, რაც კი ჩვენს პოეტს მოუსმენია თავის ლექსებზე.

ყოველი ჭეშმარიტი პოეტის ოცნება — ეს არის იპოვოს გზა ხალხის გულისაკენ. ეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი, უამისოდ პოეზიის არსებობას აზრი არა აქვს.

იოსებ ნონეშვილი წერს იმაზე, რაც უნახავს, რაც განუცდია. მას კი ბევრი რამ უნახავს — ის ოთხ ათეულზე მეტი წელი, პოეტის სამწერლო მოღვაწეობას რომ მოიცავს, სავსე იყო დიდი ისტორიული ძვრებით, დიდი ეპოქალური მოვლენებით და ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში.

იოსებ ნონეშვილი სრულიად ახალგაზრდა პოეტი იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო. იმ დღეებშივე მან ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა და მისი ლექსიც იქცა მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად. ჩვენი მკითხველისათვის მუდამ მოსაგონარი იქნება ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა ჩვენი მამაცი მხედრების, ქართველი ვაჟკაცების საბრძოლო შემართება, შინ დარჩენილთა თავდა-

დებული შრომა, წმინდა, სიყვარულის ის დიდი გრძნობა, რომელიც აერთიანებდა პოეტისა და მხედრის, ფრონტზე მებრძოლისა და დაზგასთან მდგომი მუშის, დიდისა და პატარის გულს. ნონეშვილის ლექსებში მთელი ძალით, მთელი თავისი სიწმინდით გამოჩნდა ხალხის უტეხი სული, გამოჩნდა არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ისტორიული ტრადიციაც ქართული რაინდული თავდადებისა, რომელმაც სასწაულები მოახდინა სამამულო ომის ფრონტზე, სადაც ქართველი ჯარისკაცები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავდნენ მთელი კაცობრიობის მომავალს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

იოსებ ნონეშვილის ომისდროინდელი ლექსები „ოთხი ძმა ლესელიძე“, „ადექ, აიღე ფრანგული“, „ბარათი ფრონტიდან“, „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“ და სხვები გამოირჩეოდნენ დიდი შთამაგონებელი ძალით. 1944 წლის ბოლოს, საახალწლოდ დაწერილ ლექსში პოეტი ამბობდა:

ვადღეგრძელოთ ბრძოლის ქარში,
ვისაც დროშა მიაქვს ახლა,
ვინც ახალწლის გარიჟრაჟი
სანგარიდან დაინახა.
ვისაც ქარი უწეწს კალთებს,
არ ეღლება ბრძოლით ხელი
და ნისლიან ღამეს ანთებს
მოქნეულ ხმლის ცისარტყელით.

გულწრფელი და ღრმაა მწუხარება პოეტის სტრიქონებში, როცა იგონებს მებრძოლებს, რომლებმაც მამულის დასაცავად სიცოცხლე გასწირეს, როცა მკითხველს მოუწოდებს სიყვარულით გაიხსენოს

...ისიც, ვინც დღეს ველარ ხედავს,
მუხლმაგარი, ვით არსენა,
საყვარელი საქართველო
სიკვდილის წინ ვინც ახსენა.

1944 წელს დაწერილ ლექსში — „მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა“ — წარმტაცი ფერებით არის დახატული, როგორ მოდიოდა, როგორ ყოველდღიურად ახლოვდებოდა საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ამ გამარჯვებას ჰქონდა მთელი ხალხი და პოეტის მართალ სიტყვას აქ მცირე როლი როდი ჰქონდა მიკუთვნებული, მაშინ პოეზიაც ომში იყო, სიმართლის გამარჯვებისათვის იბრძოდა.

ომის დამთავრების შემდეგ იოსებ ნონეშვილმა გამოაქვეყნა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, რომელშიც მკაფიოდ გამოკვეთა ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის მუდამ წარმტაცი სახე. ეს არის ნაწარმოები ერთ ადამიანზე კი არა, მთელ თაობაზე, მთელ ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობაზე, რომლისთვისაც უველაზე მაღალი მცნებაა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა.

პოეტის ლირიკული ლექსების მთავარი თემა საქართველო იყო, მისი წარსული და აწმყო, მისი თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი შესანიშნავი ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები. პოეტი გვიხატავდა მათ ფიქრებს, გრძნობებს, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს. მისი ლექსები თბილისურ შემოდგომასა თუ ყამირზე წასულ ქართველ ჰაბუკებზე, გუთნისდედებსა თუ მეჩაიეებზე, მისი ლექსები სიყვარულზე, სილამაზეზე უაღრესად პოპულარულია ჩვენს ხალხში. ეს აიხსნება იმით, რომ პოეტის სიტყვა მუდამ მართალია, გულწრფელი, უშუალო, მის ლექსში იგრძნობა ლაღი ტემპერამენტი, სითბო და ინტიმი.

სწორედ ამით არის საინტერესო პოეტის შემოქმედება, ამით იქცევს იგი ყურადღებას არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. არ ვიცი, ვინ წარმოსთქვა ეს ფრაზა პირველად, მაგრამ საკმაოდ ხშირად გაიგონებთ, პოეტი ელჩია თავისი ქვეყნისაო. როცა იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებულს ათვალიერებთ, ბუნებრივად გახსენდებათ ეს სიტყვები. მართლაც და, მსოფლიოს რომელ ქვეყანას დაასახელებთ, რომ იოსები მას არა სწვეოდეს, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამშობლოსი, საქართველოსი, მისი გულმხურვალე პატრიოტი, მისი გულწრფელი მესიტყვე და პოეტი. სად არ ყოფილა ის, სად არ ჩაუტანია ქართული სალამი და გამარჯვება! მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტმა ლამის მთელი დედამიწა შემოიარა — რომი და პარიზი, ბერლინი და ვაიმარი., პრაღა და ვარშავა, დელი და ბომბეი, ბეირუთი და დამასკო, ნიუ-იორკი და ვაშინგტონი და კიდევ ვინ მოსთვლის!

ამ გაუთავებელმა მოგზაურობამ დიდად გაამდიდრა იოსებ ნონეშვილის პატრიოტული პოეზია. სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, ოცნებით ქართლ-კახეთის ველმინდვრებს, რაჭისა და აჭარის მთებს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს, იმერეთსა და მესხეთს შეხარის, მუდამ ახსოვს თავისი ხალხის დანაბარები — იბრძოლოს სიკეთისა და სამართლიანობის, კომუნიზმისა და კაცთმოყვარეობის წმინდა იდეალების დასამკვიდრებლად და რა სასიხარულოა, რომ ქართველი პოეტის ხმაც მთელი ძალითა და ძლიერებით ისმის მსოფლიო პოეზიის იმ დიდ ორკესტრში., რომელიც ჩვენს პლანეტაზე ბოროტისა და ბნელის დასათრგუნავად არის აჰმიანებული.

ი. ნონეშვილი წერდა მსოფლიოს ხალხთა ტკივილებსა და ჰრილობებზე, წერდა მათზე, ვისაც ჯერ კიდევ ქედზე ადგას იმპერიალიზმის უღელი, წერდა მათზე და თავისი ხალხის თანაგრძნობა მიჰქონდა მათთან. პოეტის ფიქრები აქ მუდამ ორიგინალური და ცოცხალია; აქ მინდა გავიხსენო მისი „ნიაგარა“. პოეტი მოუხიბლავს

ბუნების ამ უცხო სანახაობას, თვალი ველარ მოუწყვეტია ცისფერი ტალღებისათვის, კლდეებზე რომ იმსხვრევიან. პოეტს აქვს სამყაროს სილამაზის უმძაფრესი შეგრძნება და ეჩვენება, რომ ჭქ წყალი კი არ მოდის, ტალღებად მოდელავენ ლოლო და ასკილი, გვირილა და გულისაბა, ბილილები იქაური მთაბარისა, მამაზეციერს ვეება ცელით რომ მოუთიბავს და წყლისათვის გამოუტანებია. მაგრამ ნამდვილი პოეტისათვის ბუნება განუყოფელია ისტორიისაგან, ის ცალკე, გამოთიშულად არ შეიმეცნება; ნიაგარის მიდამოები მარტო ლამაზი პეიზაჟი როდია, ის ადამიანთა ტანჯვის, ბრძოლის, სიხარულის, სასოწარკვეთისა თუ იმედების ასპარეზიც არის... ეს გაგება ბუნებისა ოდითგანვე ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში, სადაკ მარაბდა თუ კრწანისი არასოდეს ყოფილა მარტო ყვავილებით აჭრელებული მინდორი, არამედ იყო ბრძოლის ველიც, სადაც ხალხის ბედი წყდებოდა, და მდინარეები იმაზე უფრო მეტს მოუთხრობდნენ პოეტს, ვიდრე ამას უბრალო მგზავრის ყური მოისმენდა. ისინი ბუტბუტებდნენ თავიანთ იდუმალ ენაზე და პოეზია იყო გზა, საიდანაც ეს ხმა ხალხის გულამდე აღწევდა. ასე აისახებოდა პეიზაჟი ქართულ პოეზიაში, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა მოწინავე მოქალაქეობრივი იდეებით. სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ასეთი გაგება პეიზაჟისა მარტო ქართული პოეზიის ნიშანთვისება იყოს, მაგრამ აქ ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ი .ნონეშვილს ქართველი პოეტის თვალით უნდა შეეხედა პირველად ნანახი უცხო სამყაროსათვის, საგნისა თუ მოვლენისათვის, იქნებოდა ის ქალაქი, მთა თუ მდინარე. და ასეც მოხდა — ნონეშვილის ამ ლექსებში იგრძნობა ძველი ქართული პოეზიის ფესვებიც და თანამედროვე ჩვენი დროის ადამიანის ძლიერი გულისფეთქვაც, და აი ნიაგარას ჩანჩქერის ხმაურსა და ზრიალში მას აგონდება, რომ აქ არის სამშობლო ძველი იროკეზებისა, რომლებიც გაწყვიტეს ინგლისიდან გაძევებულმა პურიტანებმა,. ხოლო გადარჩენილები რეზერვაციებში ჩაკეტეს. ბუნების ხილვა აქ უშუალოდ და ორგანულად ერწყმის ისტორიულ ასოციაციებს. ჩანჩქერების ზრიალში, ტალღების ქუხილში პოეტს ჩაესმის აქ გაწყვეტილ თაობათა კვნესა და წუხილი, ესმის მათი საბრძოლო შემართების ყიჟინა და ხმაური:

> იქნებ ინდიელთა ტომები მოდიან
> კლდეების ღარტაფით მწვერვალთა უბით?!
> თავზე სირაქლემის ფრთები უფრიალებთ,
> ხელში უპრიალებთ მშვილდი და შუბი.

აქ არის ნამდვილად დიდი პოეტური ხილვა, სილამაზის დიდი და ჭეშმარიტი გრძნობა, ასე ბუნებრივად გადაწნული ადამიანურობისა და ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრების პათოსთან.

ნიაგარიდან გზა ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ცათამბჯენებისაკენ მიდის და აი პოეტი ცდილობს გადმოგვცეს კაპიტალისტური სამყაროს დიდი ქალაქების შთაბეჭდილებანი. ლექსს თავისი მკაცრი კანონი აქვს — აქ ფართო განზოგადებებს ვერ გაჰყვები, აქ უბრალო მხატვრულმა სახემ, ერთმა უბრალო შტრიხმა უნდა დაიტიოს დიდი აზრი, მოგვცეს წარმოდგენა იმაზე, რაც ყველაზე მეტად ნიშნეულია კაპიტალისტური ცივილიზაციისათვის, და აი ვხედავთ, რომ პოეტმა იპოვა ყველაზე ზუსტი სიტყვები., ყველაზე ტევადი და შინაგანი აზრით სავსე სახეები. სწორედ ამით გამოირჩევა იოსებ ნონეშვილის „ცათამბჯენები". მაღალია ცათამბჯენები, ლამის ღრუბლებამდე ატყორცნილან. მაგრამ თურმე უფრო მაღალია ლურჯი კვიპაროსი, ეს ჩუმი ლოცვა მიწისა და სიცოცხლისა. პოეტი აქ იხსენებს თავთავთა შრიალს, შხაპუნა წვიმას, ყვავილთა ელვარე ... ლანს, მოცელილ ბალახს, რომელსაც შორეული ცისა და წვიმების სუნი გამოჰყოლია, იხსენებს მზესუმზირას, დილით ბავშვივით ცერებზე რომ დგება და ისე ეგებება მზეს, იხსენებს ყოველივე ამას არა იმიტომ, რომ ბუნების პირველყოფილი მშვენიერება და უშუალობა დაუპირისპიროს საერთოდ ცივილიზაციას, არამედ მზის სინათლეზე გამოიტანოს და დახატოს კაპიტალისტური ცივილიზაციის შინაგანი წინააღმდეგობანი. პოეტური მეტაფორა (შენობები — ხეები) აქ იძენს თავისებურ შინაარსს, იძენს დიდ სოციალურ ჟღერადობას.

> არ იცით სად არის თქვენ-თქვენი მებაღე,
> ვინც ფესვი გაგიდგათ, ვინც მაღლა აგწიათ,
> ჩრდილს როდი მიაწვდენთ, კეთილი ხესავით,
> იქნება უჭერო, მაშვრალი კაცია.

ქალაქის პეიზაჟი პოეტმა აქ ასახა კეთილისა და ბოროტის, ბნელისა და ნათელის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ასპექტში.

თავის ლექსებში იოსებ ნონეშვილი დგას იმათ მხარდამხარ, ვინც იბრძვის საქვეყნო მშვიდობისათვის, დედამიწაზე სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. ამ თემას ეძღვნება მისი ლექსები „ვიყოთ გულლია", „ყური დავუგდოთ", „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ", „გოეთეს მუზეუმში", „ღამე ბენარესში", „როცა შენ ცეკვავ" და მრავალი სხვა.

იოსებ ნონეშვილი ეკუთვნოდა ქართული სიტყვის იმ მოწინავე ოსტატთა რიცხვს, რომლებიც ქმნიან და რომლებსაც წინ მიჰყავთ ახალი ქართული საბჭოთა პოეზია.

იოსების სახელი მუდამ უკვდავი იქნება ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მისი ლექსი მუდამ იცოცხლებს მკითხველის ხსოვნაში.

გიორგი ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლის მომღერალი

საქართველოს ყოველ კუთხეში იცნობდნენ მას; დიდმა და პატარამ იცოდა· მისი სახელი. რით დაიმსახურა მან ხალხის ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა? კეთილი გულით და ჭეშმარიტი ლექსით.

მოუსვენარი, დაუდგრომელი, დაუზარელი კაცი იყო იოსები. მთელი ცხოვრება მოძრაობასა და მოქმედებაში გაატარა. მოგზაურობა იყო მისი სტიქია, თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი ჰქონდა. მაგრამ მაინც ახალ გზებზე ოცნებობდა, ბოლოს კი, ყველა გზა კარდანახში იყრიდა თავს. უზომოდ უყვარდა ის ეზო და კარმიდამო, სადაც თვალი გაახილა და ფეხი აიდგა. ქართულ მწერლობაში სოფლიდან მოვიდა და თან მშობლიური მიწის სითბო და სურნელება მოიტანა. პოეზიაში იგი ფერმწერალი და მუსიკოსი იყო. კომპოზიტორები მის ლექსებში ადვილად პოულობდნენ მათთვის საჭირო მელოდიებს, სიუჟეტებს, მაგრამ ეს მისი პოეზიის მხოლოდ ერთი მხარეა. იოსებ ნონეშვილი მძაფრად გრძნობდა ფერებს: „შემოდგომა თბილისში" ხომ ქართული შემოდგომის ფერწერული სურათია. მაგრამ მისთვის მთავარი იყო არა პეიზაჟი, არამედ ცხოვრება, ადამიანი, რომელიც იპყრობს ახალ-ახალ მწვერვალებს. შესწევს უნარი სულ წინ იაროს.

შეიძლება მისწვდე ყველა ადამიანურ გრძნობას, აღიქვა მშვენიერი, მაგრამ ეს როდია მთავარი; მთავარია რასაც მისწვდი და რაც აღიქვი, ისე გამოხატო, რომ სხვებზე იმოქმედო. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო იოსებ ნონეშვილის შემოქმედება, რომლის ერთ-ერთი წამყვანი თემაა მშვიდობა, მეგობრობა. აქ უნდა გავიხსენოთ მისი ლექსი „დილა მშვიდობის — ტკბილი თქმულება". აქ ჩვენი ეროვნული გრძნობების გამომხატველი სიტყვა „დილა მშვიდობის" მაღალ მხატვრულ რეგისტრშია აყვანილი და გაისმის ისე, როგორც მოწოდება მშვიდობის დროშის დასაცავად. მძაფრად ჟღერს სიცოცხლის ჰანგი ჭეშმარიტი შემოქმედის პოეზიაში. გამამხნევებელი ხმები ისმის, მთელ არსებას იმედით ავსებს ლექსი „საქართველოში გაზაფხულია". აქ ყველაფერი დანახულია ოპტიმისტის თვალით.

პოეტის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალაა კეთილშობილური იდეა; მისი ლექსები იმიტომ არის უზადო და უხინჯო, რომ მათ შესანიშნავი იდეები უდევს საფუძვლად. გავიხსენოთ თუნდაც ფრიად პოპულარული, სიმღერად ქცეული ლექსი „გამიგონია მთვარიან ღამეს". ამბავი, რომელსაც ავტორი მასში მოგვითხრობს, დამაფიქრებელია. აქ ლექსის იდეა, სიბრძნე იგავური გონებამახვილობით არის გადმოცემული.

იოსებ ნონეშვილისათვის სავსებით უცხო იყო ეკლექტიზმი, ერთ ლექსში რამდენიმე თემის გაერთიანება, სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების არევ-დარევა, მათი უპრინციპო შეერთება; პოეტს ღრმად სწამდა, რომ ცხოვრების წარმმართველი აზრი — ადამიანობაა. უამისოდ ყოველივე დაცლილია ესთეტიკური და იდეური ღირებულებისაგან და არც შეიძლება იყოს შთაგონების საგანი. ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პოეტის სუბიექტური განცდები მთელი ეპოქის, მთელი ხალხის ფიქრებს ემთხვევა. ამას ადასტურებს მისი პოეზია, რომელშიც ომახიანად ჟღერს გულნათელი პოეტის ხმა. იგი სულიერ სიახლოვეს გრძნობდა ყოველ დიდსა და კეთილშობილ მოვლენასთან, ყოველ ახლად აფეთქებულ სიცოცხლესთან, რომელიც ამქვეყნად მოდის სიკეთით, სიყვარულით, ნათელი მიზნებით და ადამიანური სურვილებით.

იოსებ ნონეშვილის ლექსები, ერთი დიდი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი არსების, ჩვენი სულის სიმებზე გატარებულ ქამანს ჰგავს. მართალია პოეტი დაგვატარებს თავის შინაგან სამყაროში, მოგზაურობს თავის „მე-ს" გარშემო, მაგრამ არა მარტო თავისი, არამედ ჩვენი ფიქრებიც, ჩვენი აზრებიც ამღერებს მას. როდესაც იგი მოგვითხრობს სამშობლოზე, რომელიც მას რაღაც საოცრად უყვარდა, ჩვენს სიყვარულსაც გამოხატავს, რა თქმა უნდა, გამოხატავს წარმტაცად. ხალხის საერთო განწყობილების, ეროვნული ტრადიციების გამოხატვასთან ერთად, იოსებ ნონეშვილის პოეზია, ეს არის ხალხისაგან გაცემული სესხის უკან დაბრუნება დიდებული სურათების სახით.

საბჭოთა სინამდვილე, დღევანდელი დღე, ყამირი, შრომა, გამარჯვება, უცხოეთში მიღებული შთაბეჭდილებანი, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება, აი იოსებ ნონეშვილის თემები., მხატვრულად ესოდენ ბრწყინვალედ გადაწყვეტილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის ნაწარმოებს შეუძლია განავითაროს ადამიანში პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობა, აღძრას მასში ჭეშმარიტი ვაჟკაცობა; დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის პოეტი იოსებ ნონეშვილი, კიდევ მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებს შემატებდა მშობლიურ ლიტერატურას, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: სრულიად უდროოდ გამოეცალა იგი ქართველ მწერალთა დიდ ოჯახს.

ვლადიმერ ჯიბუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალიო ადამია

**1914 — 1980**

შიდევ' ერთხელ გვეწვია ჭიქურ უწვეველი სტუმარი და თან კიდევ ერთი მშვენიერი სიცოცხლე წარიტაცა. კიდევ ერთი კაცური კაცი გავიდა ამ სოფლიდან და განეშორა ახლობელთა და ნათესავთა, მეგობართა და ამხანაგთ.

სიცოცხლე განსვენებულისა იყო სუფთა ყვა ანკარა, წყარო წმინდა, შეუმღვრეველი. იგი მაღალი ნიჭით დაჭილდოებული ადამიანი იყო და სწორედ ამიტომ, წყნარი, უშფოთველი ცხოვრებით განვლო თავისი წუთისოფელი. იცხოვრა მშვიდად, ყოველგვარი შფოთის, აყალ-მაყალისა და ხმაურის გარეშე. ბუნებისაგან გულთამხილავის ნიჭი ჰქონდა მომადლებული, მაგრამ ცუდის თქმას არავისზე კადრულობდა და ბოროტს მხოლოდ სიკეთეს მიუზღავდა. ზოგ-ზოგთა ბილწი საქციელისა და ავკაცობის გამჟღავნებისას ისე დაირცხვენდა ხოლმე, თითქოს სხვისი სათაკილო და საძრახისი საქციელის მიზეზი თვითონ ყოფილიყოს.

მიცვალებულთა ერთ წყებას მხოლოდ სისხლიერი ნათესავნი და ახლობელნი დასტირიან ხოლმე. ალიო ადამიას კი ყველა დასტირის, ვინც მისი გმირების ცხოვრებით შეძრულა, რადგან იგი ადამიანების გულშემატკივარი იყო, სიცოცხლის ხალისს უნერგავდა მათ, ცხოვრებას აყვარებდა კაცთა მოდგმას და სათნოებასა და სიყვარულს ასწავლიდა. იგი ერთგულ დარაჯად ედგა სიკეთეს, ჰქმნიდა, ხატავდა, ძერწავდა და აქანდაკებდა იმ ლიტერატურულ გმირებს, ვისი ცხოვრებაც მისაბაძი მაგალითი შეიქმნა მრავალთათვის. აი, რატომ დავსტირით ჩვენ დღეს ალიო ადამიას ცხედარს, ამიტომ მიგვაჩნია, აქ მისი ნეშტის გარშემო შემოკრებილთ, ალიო ადამია თავისიანად და ახლობლად, იმიტომ მიაჩნია გრძნობიერ და გონებაგახსნილ მკითხველსაც იგი თავისიანადა და ახლობლად.

შფოთიანი, ხმაურიანი ადამიანების დანახვა ადვილია, ისინი თვითონ გვეჩხირებიან უსიამოდ თვალში. საქმე ჩუმი, ღალიანი ფუტკარივით მშრომელი, გამრჯე, თვითონ რომ მუდამ ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს, უჩინრად ირჯება, იღწვის და თავისი ნაღვაწითა და ნაამაგარით დედაბოძად უდგას მშრომელ ხალხს, საზოგადოებას და ქვეყანას, გამორჩევით მქმნელია — აი, მათი დანახვაა ყველასაგან კაცობის გვირგვინი. სწორედ ამდაგვარ კაცთა გვარსა და გუჯაბს ეკუთვნოდა განსვენებული.

მას ბუნებისაგან უხვად ჰქონდა მომადლებული ზეგარდმო მადლი, ალიო ადამიას შეეძლო სხვისი სიხარულით ეხარა და ეცხოვრა. იგი მარტო იმიტომ არ იყო პოეტი, რომ სტრიქონთა გარითმვა ძალუძვა. იგი მთლიანად პოეტური სულისა გახლდათ, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე, მუდამ კეთილი საქმისათვის შეთქმული, სამშობლოს ხატის წინ გულმხურვალედ მლოცველი. არა სხვათა დასანახადა და მოსაჩვენებლად ირჯებოდა ასე, სამშობლო ქვეყნის სიყვარულის ის ღალა, რასაც იგი იღებდა, იყო უკეთესი მერმისის რწმენა, დღევანდელობის წინაშე წმინდა სამსახური, მისი წარსულის დიდი თაყვანისცემა. იგი ერთგულად ემსახურებოდა მწერლობის დიად მიზანს; ჩახშობილი სინდისის ხმის გამოღვიძებას, იგი მხარს უჭერდა ადამიანს, თანაუგრძნობდა მათ, ადამიანთა სულში განაცხოველებდა სიკეთეს, ქადაგებდა ზნეობრივ სისპეტაკეს, მოსავდა ადამიანთ სათნოებით და უღირსთ საკუთარი სულის სიღრმეში ახედებდა.

დღეს ჩვენ დიდუბის მიწას ვაბარებთ მის გაცივებულ ცხედარს. სულის საოხად ისღა გვრჩება, რომ ის ამ სიკვდილით, რომელმაც მისი ფიზიკური სიცოცხლე წარიტაცა, არ მომკვდარა, ის კვლავ თავის სათაყვანებელ ხალხთან იქნება, ვიდრე მის წიგნებს სხვათა გულების გათბობა და შეძვრა შეეძლებათ, ვიდრე მისი წიგნებიდან ადამიანები გონებრივი სალაროს გასამდიდრებლად აზრებსა და ფიქრებს ეზიარებიან და მათთან იქნებიან წილნაყარნი.

ელგუჯა მაღრაძე

* სიტყვა, წარმოთქმული სამგლოვიარო მიტინგზე.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ